

# האנטי

12

1958



# სსსს

139

გამოდების მეთორმეტე წელი

12

დეკემბერი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

# უიწაარსი

## პროზა

- 3. რავაზ ინანიშვილი. საღამო ხანის ჩანაწებები. მოთხრობები
- 17. გურამ დოჩანაშვილი. ათასი წვრილმანი. მოთხრობა
- 33. თამაზ გოდეაძისვილი. ბუნის ბუჩქი. მოთხრობა
- 41. აკაკი ვასაძე. ძახილი ოკიანეში. ჩემი ბებერი კაპლის ძვეს. უზბის ძირში. მოთხრობები
- 58. ვლადიმერ სინარულიძე. მაცბი. უხამსი. მოთხრობები
- 78. ბორის შატბერაშვილი. ფიქრები. მოთხრობა.
- 84. თინათინ ჯავახიშვილი. წარსულიდან. მოგონება

## კოეზია

- 16. ლია სტურუა. ვიბნაში, 1968. ლექსი
- 32. ლია ვაგვაგაძე. ლექსები
- 40. ტაბუ მებურთვილი. ლექსები
- 57. ჯემალ ინჯია. ლექსები
- 76. მურმან ჯგუზური. ლექსები
- 77. გრიგოლ ჯულუსიძე. ლექსები
- 83. დენაბა მახშიშვილი. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ

## ფანტასტიკა, თავგადასავალი

- 93. ოთარ საღრაძე. ცისფერ კლანტაში. მოთხრობა

## ჩვენი კალენდარი

- 103. ნოდარ ჩხეიძე. სანდრო შანშიაშვილი
- 147. ვახტანგ ნათაძე. ი. ტურბანაშვილის „ლექსები პროზაში“

## კრიტიკა, კულტურისტიკა

- 109. რავაზ მთვალეძე. ახალგაზრდული კოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემატიკა
- 117. ვასილ რცხილაძე. დიდი შოთას მთარგმნელის საფლავთან

## სადისკუსიო ტრიბუნა

- 119. ზვიად გამსახურდია. ა. თაყაიშვილის „ენა ძველი, ენა ახალი“
- 126. გივი მამაკარიანი. სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი

## მეცნიერება

- 131. მიხეილ შენგელია. რუსთაველი და ბალატი
- ჩვენი სტუმრები
- 153. თამარ დრაგაძე. პირველად დედის თვალში გნახე...
- 156. შურნალ „ციცკის“ 1968 წლის ნომრების უინა-არსი

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
გურამ ასათიანი,  
აკაკი ბაქრაძე,  
გივი ვეგვაკორი,  
გურამ გვირდვინიძე,  
მერაბ ელიოზოვილი,  
პარლან კალაძე,  
კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე,  
ოთარ პაპოკორია  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ წერეთელი,  
ნოდარ წულეისკირი,  
ტარიელ ვანტურია,  
სიკრი ვილანია,  
თამაზ ჭილაძე,  
ლავა ჯანაშია.



# სალამო ხანის ჩანაწერები

## ლ ა მ ა ზ ი ქ ა ლ ი

არაო, ეგრე არ გამოვარო, ჩვენაო საძე-  
რიაწიანელები გახლავართო, ვიწროების  
მგლებიო, და მესამეც დააღევიენეს. მე-  
სამეს მეოთხეც მოაყოლეს, მაგრამ ეს  
უკვე მეტისმეტი იყო, ღმერთი სამო-  
ბით არისო, ლორს ცოტა წააჭრა, ბურის  
ნატეხზე დადო, ერთ ლუქმად ჩაიდო  
და ცხენისკენ გაალაჯა. ცხენთან მისუ-

ლი მობრუნდა, მათრახის საკიდს მარ-  
ჯვენა ხელს უყრიდა.

—ხო, თრიმლები შეგხედებათ ემანდ,  
მალალ-მალღებო, და ისინი არ დამიფუ-  
კოთ!

„ვიწროების მგლებიც“ წამოშლი-  
ლიყვნენ, ჩოფურა შალიკო შარვლის  
ტოტიდან ძურწებს იცილებდა, ან-



ღრიას ჭიქა ეჭირა და ყბამორეცილ ბიჭს ხელადიდან არაყს ასხმევინებდა. გაავსეს, გაღმოდანეს, — უჰ-უჰ-უჰო — და ანდრია დათიკოსკენ წამოვიდა. ცდილობდა არაყი ახლა მინც აღარ დაღვროდა. დათიკომ ცხენს ლაგამი ამოსდო, აღვირი კისერზე გადაუგდო და მსუბუქად შეჭდა. ცხენმა, სიმძიმე იგრძნო თუ არა, გავარდნა დააპირა, მაგრამ დათიკომ კისერი მოუღრიჯა და კაჭკა ბალახების ლეწვით პატარა წრე შემოატარა. აბარბაცებული ანდრია ჭიქას მაღლა სწევდა და თან ცხენს ერიღებოდა.

— ესეცა, დათიკო, ეს ერთიცა, კურღლელაურელი დედაკაცისა!

არავინ არ იცოდა, ვინ იყო ეს კურღლელაურელი დედაკაცი, ვის სადღეგრძელოსაც ათადან-ბაბადან სადღეგრძელოების ივირგვინად სვამდნენ თავქაჯიანი კუხელები. დათიკოს ტკბილად ჩაეცინა, წვეთის დამლევი აღარა ვარო, და კიდევ ერთხელ შესთხოვა:

— არ მაწყენინოთ, ბიჭებო.

— ბალები ხომ არა ვართ, დათიკო!

— ჰო, აბა თქვენ იცით!

ცხენს ქუსლი ამოჰკრა და ბილიკზე გაავლო. ერთხანს წახრილმა იარა იმ ვადაბურულ ბილიკ-ბილიკ, მერე ტოტებმა გაიწვათიწიეს, განათდა, მაღალი ცა გამოაჩინეს. ცხენმა აღმართი გეზად ასტრა, შლავამლეგით ავიდა გორის თხემზე, მარცხნივ შემობრუნდა, ორიოდ ნაბიჯიც გაიარა, თითქოსდა მუხლის გასაშლელად, და შედგა; დათიკოს არ შეუჩერებია, თვითონ შედგა. ახლა კაციცა და ცხენიც მთრთოლვარე ცისკიდურზე ახატული ფეოქავდნენ.

ძირს, ჯავრცხილებით, ღვითთა და დაგვალული მუხებით ამოჩეჩილი გობ-მახების ქვემოთ, თეთრი რიყე იყო, რიყეზე წმიდა, მომწვანო მდინარე მოედინებოდა, და იქიდან, იმ მდინარიდან ამ გორის თხემამდე, უფრო სწორად — იქით გორიდან აქეთ გორამდე, ვეება ჩადრმავებული სივრცე სექტემბრის სუფთა ჰაერითა და ნაშუადღევი მზის

ტკბილი სხივებით იყო სავსე. ჰაერში იშვროდა, ჭრიჭინები არ ჭრიჭინებდნენ, მდინარე დაბლა იყო, ძალიან დაბლა, მისი ხმა აქამდე ვერ ამოდიოდა. „ღვთის ძილია თუ რაა!“ — ხმამალა თქვა სახეგაბრწყინებულმა დათიკომ, მათრახი შეათამაშა, ცხენმა ნალით ქვა ჩავალა და ფეხდაძაბული ჩაუყვა დაღმართს.

ჩამოდიოდა გორისფერდზე შევხალათიანი მხედარი, ცხენი კარგი ჰყავდა, თვითონ სამი არაყი ჰქონდა გადაკრული, თავს ამოდენა ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძობდა და, საამო ნირვანაში ვადასული, მოდიღინებდა:

ჰაი, დედასა, ყორანო.

შენ ჩემი ლეშით ძღებოდე,

მე შენი არ მეშინოდეს,

შენ ჩემი შიშით კვდებოდე...

ამ ფერდოზე ცხელოდა, ვახურებულ ლოდებზე მთის რუხი ხვლიკები გაფართხლიყვნენ, ცხენი რომ მიუახლოვდებოდა, გარბოდნენ და თან უკან იხედებოდნენ. ინესტოებდაბერილი ცხენი თვალს გაჰკიდებდა, და თუ ხვლიკი ან მისი სირბილი უჩვეულოდ მოეჩვენებოდა, შემკრთალი ფრუტუნებდა. მაღლე წყლის ხმაც მოვიდა. „რიყეზე გავალ და დავაღვინებ“, — გაიფიქრა დათიკომ. წყალი დაგუბებული, დამცხვრალი ხმით ხმაურობდა. აქედანაც კი იგრძნობოდა, რომ გავაფხულზე ვადაფხავებულ ქვებს ლოპრი მოსდებოდა და ტალღა რბილად ვადადიოდა. თვითონაც მოუნდა დაღევა. ფერდობი რომ ჩაათავა, ცხენს ბილიკიდან ვადახვევინა, კბოდეს წაადგა, ჩამოხტა, ცხენს წინ გაუძღვა და კამკამა ფშაზე ჩაიყვანა. ცხენი მაშინვე არ დასწაფებია. დათიკომ კარგად იცოდა მისი ეს ხასიათი და ლოდზე ჩამოჭდა, ქუდი მოიხადა, წყალს მარჯვენა ხელი ამოუხვია, თმა დაისველა, სახეც მოიხრისა...

იჭდა და ეღიმებოდა. გუშინწინაც აქ იყო. იმ კვირასაც, მაინც სადღაც შორეული მოგზაურობიდან მობრუნებულ იგივეთ უყურებდა ყველაფერს. უჩვე-



ნებოდა, რომ ბუნებაც მასავით წირვანაში იყო გადასული, ბუნებასაც ტკბილად ეღიმებოდა და მის ძარღვებშიც რბილად, მომთენთავად მიმოდიოდა სასმელით შემთბარი სისხლი.

ის იყო მეორედ წაიხარა წყლისკენ, რომ ქვემოთ, რიყის იქითა მხრიდან, შავი, ზოგზოკა „ვოლგა“ გამოვიდა. ნელა, ნელი რწევით და ციმციმით მოდიოდა. მიწა, თითქოს ზღვის ზედაპირი ყოფილიყო, იზნიქებოდა, მანქანა ფრთხილად აჰქონდა ზევით და მერე ასევე ფრთხილად უშვებდა ძირს. წყალს რომ მოადგა, გაჩერდა. ოთხნი გადმოვიდნენ, ოთხივე ჩრდილებივით დაგრძელებულნი და წვრილები. ოღონდ ეგ იყო, ტანსაცმელი ეცვათ მეტისმეტად ხასხასა ფერებისა. დათიყო იმ წამსვე მიხვდა, რომ ერთი ქალი იყო, — დგომაზე და რაღაც თავისებურ მუქზე. თუმცა იმასაც შარვალი უნდა სცმოდა. ცოტაზე გაიშალნენ, ხელეზს იშვერდნენ, იხრებოდნენ, ხანდაზან რაღაც სიტყვების ნაწყვეტებიც აღწევდა დათიკომდე. ისევ მანქანაში შელაგდნენ. მანქანა დაიძრა. მდინარის პირს აღმა ამოუყვია. ძრავის ხმას წყალი თუ ახშობდა, მთლად ჩუმად მოდიოდა. დათიკოს ასცდა. აქ მდინარე უხვევდა, იქითა მხრიდან პატარა ტოტი უერთდებოდა, შესაყართან დიდი, პრიალა მორევი იყო. ისევ გადმოვიდნენ ოთხივენი. ერთი ქალი იყო, ტანწორწვრტა, შუქია ქალი. იცინოდნენ და ისე ლაპარაკობდნენ. „იბანავებენ... ნეტავ გოგოც თუ იბანავებს?! გოგოც იბანავებს“.

ცხენმა წყალი დალია და ახლა კისერწაგრძელებული ეწვდებოდა ქვეშორის ამოზინებულ ბალახს. „ერთი მაინც დამეკრა თვალი“... ქალი დათიკოსკენ მობრუნდა, წამოიხარა, მზითვაბრწყინებული ოქროსფერი თმა ლოყებთან ჩამოეშალა, როგორღაც რბილად გაიზნიქა, ხელი მოიქნია და წყალში ქვა ჩააგდო. ბიჭებმა შეუტიეს. გაიცინა და რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. თმა ისევ ჩამოშლილი ჰქონდა, ის თმა მზის სხივებს აირეკლავდა და, საო-

ცარი იყო, ნამდვილი შარავანდი ედგა. „აი, აღს რომ იტყოდნენ ძველად...“ გაეღიმა დათიკოს. — წავედი, ერთი მაინც დამეკრა თვალი! შენი მკლავების პირივე, შენი“. — თავისთავად მოვიდა ლექსი: — „ერთ ისეთ ამოვიგმინე, სამჯერ იძრა მიწანია... სამჯერ იძრა მიწანია“. ცხენს მისწვდა, ყურები ჩამოუსრისა. ცხენმა დაიფრუტუნა და ჩიჩვირი მკერდზე აჰკრა. „რაო, შენც გეზარება წასვლა?“ ერთხელ კიდევ გახედა, რა თქმა უნდა, ქალს. „ეს რა არის?“ ბიჭებს შარვალ-ხალათი დაეხადათ, ერთად ჩატუტქულიყვნენ და რალაცას ჩაჰკირკიტებდნენ. „დინამიტის ჩაგდებას აპირებენ ლაწირაკები“. თითქოს დენმა დაჰკრა. ცხენი სწრაფად მიიყვანა კბოლდესთან, მდინარისგან მოთრეული ხმელი ვერხვის ფესვზე მიაბა, ჩექმების ყელეები აიწია, მათრახის წვერი აიყვცა და მორევისკენ წავიდა. ბიჭებს მართლაც დინამიტი გაემზადებინათ, ახლა ის ერთს ეცირა, ორნი რალაცას არიგებდნენ და უკან-უკან იხვედნენ. იქ, უკან, კელაპტარივით ენთო ის ქალი. დათიკო მორევთან მივიდა, მათრახინი ხელი მაღლა ასწია და დაიძახა:

- არ ჩააგდო!
- ბიჭმა ვერ გაიგო მისი სიტყვები, წყალთან მოდგა, პირიდან პაპიროსი გამოიღო, ცალი ყური დათიკოსკენ მოიშვირა და ასე იკითხა:
- რაა? რა ვინდა?
- არ ჩააგდო.
- რატომ?
- იმიტომ, რომ აკრძალულია.
- რა არის?
- აკრძალული.
- ბიჭს უაეცინა.
- მოიცა ერთი, რაღა არ არის აკრძალული!
- არ ვიცი, ეგ კი აკრძალულია.
- წადი, კაცო, შენს გზაზე, შენ ვინ რას გეკითხება.

**რეპაზ ინანიშვილი**  
მოთხრობები



— რას ქვია, ვინ მეკითხება?! ტყის მცველი ვარ.

— თხოპო, ტყის მცველი! როდის აქეთია, ასეთი წესიერები გახდით ტყის მცველები!

„რა მასლაათი გავაბი აქა?!“

— არ ჩაავდო და მორჩა და გათავდა! უკანწასული ის ორი ბიჭი და გოგოც მოვიდნენ, დინამიტთან ბიჭს გამოჰკითხეს, რა უნდაო. უთხრა, რაც დათიკოს უნდოდა. გაუკვირდათ, ხელები აქან-დააქანეს, აყაყანდნენ. გოგო კი მაცდური ხატით იდგა, ცისფრად მოზურუსებული თვალებით დაინტერესებული იყურებოდა და თეთრ კბილებს ყრუანტელის მომგვრელად აქათქათებდა. მართლა ძალიან ლამაზი იყო. მართლა წყრილი, მზემოკიდებული მკლავები ჰქონდა. ხელში ვამლის სიმსხოლურჯი ქვა ეჭირა და ათამაშებდა.

დათიკომ მამაკაცური გუმანით იგრძნო, რომ ქალს მოეწონა.

— შენ ეი! — იძახდა ერთი ბიჭი. — შენისთანა მეტყევეები რამდენი გვინახავს, იცი?

დათიკოს აღმა აუარა სახეზე. მათრახის ტარზე მოჭერილ თითებში ტკივილი იგრძნო. „ბიჭებიც რა ლამაზები არიან, ოხრისშვილები“.

— არ ჩაავდოთ-მეთქი!

— აბა, მე ჩავაგდებ და შენ იდექი მანდ!

ახლა დინამიტი ამ თხელ, კუნთებადქცეულ ქოჩორა ბიჭს ეჭირა. ამხანაგს პაპიროსიც გამოართვა, დინამიტის პატრუქს თავი გაუსწორა. პაპიროსი მოქაჩა და ამხანაგებს ანიშნა, უკან დაიწიეთო. ისინი ნელა, ღიმილით წავიდნენ უკან. მათ შორის გაღიმებული გოგოც. დათიკოს წელანათქვამი სიტყვები შემოენთენ ისევ: „შენისთანა ტყის მცველი რამდენი გვინახავს, იცი?“ ვნახოთ, რამდენი გვინახავთო... და უკვე შუა მორეცში იდგა, წყალი მკერდამდე სცემდა, მათრახიანი ხელი მდლა ჰქონდა აწეული და იძახდა:

— აბა, ჩაავდე!

დინამიტის ბიჭი უცებ მოეშვა. ღი-

მი გაუქრა. ის ახლა იმით უფრო დაინტერესებული, როგორი სახით გატანსაცმიანი კაცი მორეცში, ვიდრე თავისი განზრახვით. სხვებმაც მიიბრინეს. ამჯერად ქალს ალტაცებული თვალები ჰქონდა, ქვა დაძაბული ხელით ეჭირა — ოდნავ განზე გაწეული.

— გიჟი ხარ, ვინა ხარ, რა გინდა, მოშორდი აქედან, ხათაბალაში არ გავგვვიო!

მაგრამ ბიჭების ხმაში შეძაბუნებული კაცის კილო იგრძნობოდა, და ამ კილომ დათიკოს გულზე მოჰფონა. ორი ნახტომით ავარდა ნაპირზე, წყლით სავსე ჩექმები რამდენჯერმე დაჰკრა მიწას, მარცხენა ხელი გაიწოდა და, რაც შეიძლებოდა, უბრალოდ თქვა:

— მომეცი დინამიტი!

თხელმა, კუნთებადქცეულმა ბიჭმა დინამიტი ზურგისკენ წაიღო და ჯვერდ-გვერდზე წავიდა, თითქოს გასაქცევ მომენტს ეძებდა. დათიკო მიჰყვა, დანდობილი წავიდა მისკენ; ის იყო უნდა მისწვდომოდა კიდეც, და სწორედ მაშინ, ბიჭი სილას დასწვდა და მთელი ძალით შეაყარა ქვემოდან სახეში. გაისმა ქალის ცივი შეკვივება. დათიკოს უნდოდა მიბრუნებულიყო და დაენახა, რა ხდებოდა, მაგრამ კეფამი ჰახანით დაეცა რადაც...

წინწამოზიდული ქალი ჯერ ისევ პაერში ქანაობდა. მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავთან მიეტანა, შეძრწუნებული თვალები დასკდომაზე ჰქონდა...



როცა გონს მოვიდა, კარგა ხანს ვერ მიხვდა, სად იყო და რა ამბავი იყო მის თავს. რაღაც შავ-წითელი ბურბურელები ეგრისებოდნენ თვალწინ. უცებ გაახსენდა ყველაფერი. წამოწევა სცადა, თავი ოდნავ კი წამოსწია, მაგრამ ისევ დაუვარდა. „პირქვე დავვარდი და გულაღმა რატომ ვწევარ?“ მარცხენა ხელი კეფასთან მიიტანა. ჩისხლი არ მოჰყვა და ამან ცოტა აწუგეშა. ისევ წამოიწია. ახლა შესძლო და წამოჯდა.

რივე ცარიელი იყო, აღარც მანქანა ჩანდა, აღარც მანქანის პატრონები. „რა მიქნა, კაცო, მომკლა და ეგ არის“... კეფაში თითქოს გამდნარი ტყვია ჰქონდა ჩასხმული. ისევ მოისვა ხელი, ვეება კოპი ეჯდა. წყალგაღმა თავისი ცხენი იდგა და მისკენ იყურებოდა. წაშოდგომა სცადა, ვერ წამოდგა. „მომკლა, კაცო, იმ ძუძუძალმა“. მწარედ გაეღიმა „მერე რისთვის!“ გულის რვეა იგრძნო, შეერთა, უფრო შერცხვა, თითქოს ის ლამაზი ქალი ისევ უყურებდა. წამოდგა, წყლამდე მიბარვანავდა. იქ პირდაპირ ჩავარდა, ცოტაზე წატიტივდა, გონება დაეწმინდა, ძაღლური ჭყაპაჭყუბით გავიდა იქით ნაპირზე, მერე მთვრალივით მიბარბაცდა თავის ცხენამდე და უნაგირს ჩაეჭიდა. ახლა შეჯდომავდა იყო საქმე... მაგრამ ეს საქმე ისე აღარ აწუხებდა. აღრე თუ გვიან შეჯდებოდა, აბა მამა რა იქნებოდა! ახ-

ლა მარტო მომხდარ ამბავში გარკვევას ცდილობდა. „რატომ, რის გულისათვის, კაცო?!“ მუბლით უნაგირის ბაღის მისწოლოდა და ასე ფიქრობდა. „რატომ, რის გულისათვის მაგ ძუძუძალმა!“... ბოლოს სახე გაუნათდა. მარცხენა ფეხს ხელი მიაშველა, უხანგში შეყო, მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, აიწია და უნაგირზე გადაჯდა. ახლავა გაახსენდა, ცხენი რომ დაბმული იყო. ამაზე კიდევ უფრო ხალვითად გაეღიმა. წაწვა, აღვირს მისწვდა, გამოჰკრა, ფესვი გამოამტვრია და ცხენიც გავარდა. მიეზაყებოდა ცხენზე—სველი, შუბლზე თამამიწებებული, შიგადაშიგ იღიმებოდა და თან სულ ამას იმეორებდა: „გაიგე ლამაზი ქალისა რამე! გაიგე ლამაზი ქალისა რამე!“ ჩააზლავუნებდა, ან თავს აიქნევდა, კეფა ეტკინებოდა და ღიმილში სიმწარე გაერეოდა. „უუ, თქვენი!“...

## შ ა ნ ო

საბავშვო ბაღის ვესტიბიულში ვრძელ სკამზე იჯდა და თავის ბიჭუნას ელოდა. დიდი, მძიმე ხელები საწვიმრის ჯიბეებში ჩაიფუცო, სკამის სახურავულს მისწოლოდა და ვაპრიალებულ მუხის პარკეტს ჩასჩერებოდა. პარკეტის ერთ ფილას ორი ნუჯი ჰქონდა. ეს ნუჯრები სათვალეს ჰგავდა, შუაში ბოლომოკაუჭებული ხაზი ჩამოუდიოდა და ის ხაზიც პატარა ნუჯრით თავდებოდა. ეს ქვედა ნუჯრი ზედგამოჭრილი უღვაშები იყო, თანაც მისი მეზობლის უღვაშები. ერთხელ ამ მეზობელმა ასე უთხრა: შენ, ჩემო ვანო, პატროსანი კი არა, მშობარა ხარ და იმიტომ ვერ შოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ, იმის საბუთად, რომ მშობარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: მე შემიძლია შიშველი ხელით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც არ უნდა ავიძაღლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, გზაბნეულ ბავშვს რომ

დაუყვავებენ, თითქმის ისე დაუყვავა: ეგეთი სიმამაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა აღამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძაღლი... გველი და ძაღლი რა სახსენებელია აღამიანთანო. მეზობელი უხეიროდ აკოკოლებული კაცი იყო, ვანოს რომ დაეკრა, ხუხულასავით დაშლიდა. ერთი სული ჰქონდა, მიეფურთხებინა მაინც, აქ, ამ პარკეტზე გამოხატულ უღვაშებზე მაინც, მაგრამ ესეც არ შეიძლებოდა და ნერვიულად ატოკებდა თითებს. უცებ მეორე სართულიდან სკუპსკუპით ჩამოვიდა მსუქანი, პებელასავით მორთული და მხრებშეზიდული პატარა გოგონა. ჯერ შორიდან უყურებდა ვანოს. მერე ბალერინას პატარა ნაბიჯებით მოიბრინა, წინ გაუჩერდა და კეკლუცად ჰკითხა:

ამბავი ინანიშვილი  
მომხრობავი

- ვინ გნებავთ?
- მისო. — მიუგო ცანომ.
- ვინ მისო?
- ჩემი ბიჭი.
- რა გვარია?
- ბუჭყიაშვილი.
- ბუჭყიაშვილი? — გაეცინა გონასს. — ეგ როგორი გვარია?
- არ მოგწონს?
- არა.
- თვითონ რა გვარი ხარ?
- გა-გუ-ა.
- ვაგუა ჯობია ბუჭყიაშვილს?
- კი. მსახიობი ვაგუა ჩემი ბიძიაა.

ელენე ვაგუა ჩემი მამიდაა, აბესალომ ვაგუაც ჩემი ბიძიაა. ჩემი დედიკო მუსიკის მასწავლებელია, ჩემი ბებია — ცირკის უფროსი, ჩემი მამიდა — ტელევიზორების უფროსი, აბესალომ ვაგუა — უნივერსალის უფროსი. ჩვენ სულ უფროსი ნათესავები გვყავს. ჩვენ ყველაფერი ბევრი გვაქვს.

- რა ყველაფერი გაქვთ ბევრი?
- ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი...
- რად გინდათ ბევრი ავეჯი და ბევრი ჭურჭელი?
- ი! აბა სტუმარი რომ მოგვივა?
- მერე რა, მოვიდეს რა!
- აბა თქვენ როგორ ცხოვრობთ?
- ისე, უბრალოდ, ერთი დიდი ფარდაგი გვაქვს, ვაფშლით ძირს და ვკოტრილობთ ყველანი — მეც, მისოც, მამუკაც, ჩვენი დედიკოც და, თუ სტუმარი მოგვივა, ისიც. ჩვენ ხის ჯამები გვაქვს, ხის კოვზები — კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
- ავეჯი სულ არა გაქვთ?
- ნწ, სულ არა გვაქვს. ავეჯი რომ გვექონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!
- რას ვეღარ ითამაშებდით?
- ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განავრძობდა.

— ჩვენ ტანსაცმელიც ისეთი გვაქვს, სადაც გინდა, ჩააჩეკი. აი, ნახე! ვანო იატაკზე ჩაჯდა, გოგონას გაუცინა და ისეც სკამს დაუბრუნდა.

- ხომ კარგია?
- დიას. — დაუქნია გოგონამ თავი და ოდნავი შეყოვნების შემდეგ მორიდებით იკითხა:

— არც მანქანა გყავთ?  
— მანქანა რად გვინდა, ჩვენ სულ ფეხით დავდივართ. დავმწკრივდებით და მივდივართ, მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, მთა-მთა. მანქანაში რომ ზიხარ, რა უნდა დანახო? ბალახებში ჩამალულ, თვალზედაკუსულ კალიას დანახავ? ვარდისფერცხვირიანი პატარა თაგუნების ჭიდაობას დანახავ? პირდაღებულ კისერგაღანდაღებულ მწყრის ბარტყებს დანახავ? ბალახის ყურში ჩაძინებულ წვიმიან წვეთს დანახავ?

- ჩქარა რომ მიდიხარ?
- ჩვენ არსად გვეჩქარება, ჩვენ ასეთი ხალხი ვართ, არსად არ გვეჩქარება.

გოგონა მთლად გაშტერდა, ცოტაც და მოივლევდა ქვედა ტუჩს. ვანომ პაწია ხელში ხელი მოჰკიდა და ჩამოაღებინა:

- რა გინდა, რატომ აწვალე მაგ ტუჩს? რაზე დაგომავა?

ამ დროს მისო გამოვარდა და შორიდანვე დაიძახა:

- წავიღეთ, მამაჩემო?
- წავიღეთ.

ვანო წამოღდა. გოგონა ახლა უკვე ქვემოდან შესცქეროდა, თვალები სევდით ჰქონდა საგვს.

- წამიყვანეთ თქვენთან?
- კი, როგორ არ წავიყვანთ. — მიუგო ვანომ, — ახლა მაღლა ადი, ხვალ კი უსათუოდ წავიყვანთ.

●  
გოგონა დიდხანს გასცქეროდა გვერდიგვერდ მიმავალ მამა-შვილს. მამას მოკლე, გახუნებული, ბოლომდე მოჭრული საწვიმარი ეცვა. მაღალი იყო, დიდი, განიერი ბეჭებით უძრავად მიჰქონდა ღამაში თავი. შვილი თეძომდეც კი ვერ სწვდებოდა. მიდიოდნენ და მილაპარაკობდნენ:

— მაშა, „ვოლგა“ რომ მოგცენ, „ვოლგა“, ბულდოგი და იგრემანული ავტომობილი, რომელს აირჩევდი?

— ვინ იძლევა?

— არა, ისე, რომ იყოს: „ვოლგა“, ბულდოგი და ავტომობილი, რომელს აირჩევდი?

— რა თქმა უნდა „ვოლგას“.

— იი, შენცა ხარ, რა! მე ავტომობილს,

დაგიხვდებიოდი და მანქანასაც წაგარაგებოდაოდი. თმევედი და ბულდოგსაც.

შვილმა ხელი გამოსტაცა, ცოტაზე გაირბინა, შემობრუნდა და, თითქოს მართლაც ავტომობილი სჭეროდეს, დაუყვირა.

— ჰენდე ჰოპ!

ვანომ მორჩილად ასწია ხელები მაღლა.

## განთავისუფლებული წყალი

ბაღში მილი გასკდა. განთავისუფლებული წყალი გახარებულ შადრვენად ავარდა ცაში, უნდოდა წასულიყო მაღლა, ძალიან მაღლა, მაგრამ ძალა არ ეყო, წვეთებდ დაიშალა და ნიათავამოცლილი დაენარცხა მიწას. მიწამ ხერხეპა დაუწყყო, მაგრამ წვეთები არ დანებდნენ, ევაგორდნენ, დამოგორდნენ, შეერთდნენ, ქვეშორის გაძვრენ, თავდაღმართი იპოვეს და დაემგნენ. ეს უკვე წვეთები კი არა, პატარა ნაკადული იყო. ჩაირბინა მწვანეიანი ფერდობი, ორმო რამ დახვდა, ჩავიდა იმ ორმოში, აქეთ ეცა, იქით ეცა, გასასვლელი ვერ იპოვა; მაშინ დატრიალდა ადგილზე, მოკრიფა ჩალაბულა, მოიტეტივია, დააბზრიალა — მწყობრად, მოყოლებით: იტრიალა, იტრიალა, გაბეგრდა, გაიბერა, ორმო ვაავსო, ევადასკდა და ისევე თავქვე დაემგა. მირბის, მიჩუხჩუხებს. შეძვრა სქელ, ჩაბნელებულ მაცვლიანში. მაცვლიანი თავიდიდი, ფიჭრია გოჯილებით იყო სავსე. ამ ტომის გოჯილები აი, უკვე მესამე ათასწლეული მიდის, სხედან, შუბლი ერთმანეთში ჩახლართულ თითებზე აქეთ დაყრდნობილი, რაღაცას ფიქრობენ, ფიქრობენ და არავის კი არ ეუბნებიან, რას ფიქრობენ. ვიღაცამ დაიძახა, — ჰარიკა, წყალი მოვიდა, თავს უშველეუთო, — წამოცვიდნენ, ეცნენ მაცვლის ძირებს, ჩამოეკიდნენ ზედ და ახლა იქ განაგრძეს ფიჭრი: ჰკიდთან თავდაყირა, ოდნავ ქანაობენ და დროს არ კარგავენ — ფიქ-

რობენ, ფიქრობენ... წყალი კი აქეთ აწყდება, იქით აწყდება და გზას მიიკვლევს. ხმელი ფოთლები ვიწვივებენ, კენესიან. აი, ვავიდა მაცვლიანიდანაც, ქვიან ფერდობს წაადგა, არ შეჩერებულა, არ მიმოუხედავს, პირდაპირ გადაეშვა. ასკდებოდა ქვებს, იმსხვრეოდა შხეფებად, იტოტებოდა, ერთდებოდა, ისევე იტოტებოდა, ჩავიდა სულ ძირს... და იქ, სულ ძირს, მწვანე ტბორი დახვდა — დიდი, ხავსმოდებული, ჩაძინებული ტბორი. შეეხო თუ არა, ტბორს გაეღვიძა, პირი დაადო, ჩაისრუტა—ოჰოჰო—ჰოო — ისრუტავს და ისრუტავს, თან თიმთიმებს სიამოვნებით.

მოვიდნენ ბაღში მოსეირნე მაშა და მისი ყანჩელა, ცხვირცქვიტი გოგონა. გოგონამ დაინახა:

— უყურე, მაშა, ნაკადული!

— ოო, — თქვა მაშამ და გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდა ნაკადულს. მერე მობრუნდა, ხმელი ვერხვი დაინახა, ჯიბის დანა ამოიღო, იმ ვერხვს უარა, უარა, ბოლოს ხმელი ქერქი ააძრო, ღარი გამოათალა. თან სულ იძახდა:

— ჩვენ ახლა მაგას, ჩვენ ახლა მაგას...

ღარი ფერდობზე ქვას და ქვას შუა გაამავრა, წყალს დაურუა და სინდიყივით მიძიმე, ლურჯმა ნაკადმა მსხვილი, თახთახა რკალის მოხაზვა დაიწყო ჰაერში.

**რეზა ინანიშვილი**  
მომხრობავი



გოგონაც იცინოდა და მამაც.  
ისინი რომ წავიდნენ, ახლა სხვები მოვიდნენ: მამა, დედა და ორი ბიჭი.

ბიჭებმა ღარი დაინახეს:

— უყურე, მამიკო, უყურე!

— ოო, — თქვა იმ მამამაც. ახლოს მივიდნენ, ხელები შეუშვირეს. ხელის-გულებზე სასიამოვნოდ უღიტიწებდათ ღარიდან გადმომავალი ნაკადი.

— გამოდით აქეთ, არ დასველდეთ, ფეხები არ დაისვაროთ! — მფოთავდა ლედა.

მაგრამ მამამ და ბიჭებმა არ დაუჯერეს.

— მოდით, იცით რა! იცით რა ვქნათ ჩვენ?! — იძახდა მამა და აქეთ-იქით იყურებოდა, რაღაცას ეძებდა. მერე გაახსენდა. ჩანთიდან ფაშლი და დანა ამოიღო, ფაშლს თავი მოჰკვეთა და შეჭამა, ბოლოც მოჰკვეთა და ისიც შეჭამა, ჩაქუტდა, პაწაწინა სოლები დათალა, ის სოლები თავ-ბოლო წაკვეთილ ვაშლში ჩაასო (წისქვილის ბორბლისებურად), გაუყარა სწორი, სწორი ჯოხი, მერე გამოჭრა ორი თავკაა ბოწკინტი, ღარიდან გადმომავალ ნაკადს აქეთ-იქიდან დაუდგა, ზედ ბორბლიანი ჯოხი გადაადო და წავიდა!.. ღარიდან გადმომავალი წყალი ბორბლის სოლებს ეცემოდა, ბორბალი ბზრიალებდა და შხეფებს მადლა-მადლა ისროდა.

ყველანი იცინოდნენ: მამაც, დედაც. ბავშვები ხომ იცინოდნენ და იცინოდნენ!

მერე ისინიც წავიდნენ.

მოვიდა საღამო.

მაყვლის ძირებზე ჩამოკიდებული თავდიდი ფოჯილები დარწმუნდნენ, რომ წარლენა არ იყო. ჩამოვიდნენ მიწაზე, დაჰყვნენ ნაპირ-ნაპირ წყალს, შუბლზე ხელშემოდებულნი, — ერთი ვნახოთ, სად მდის, რას აკეთებსო, დაჰყვნენ და... ღარი და ბორბალი დაინახეს. მაშინ ცალ ხელს მეორეც მიამე-

ლეს შუბლთან. უყურებდნენ და... ფიქრში იყვნენ: მხოლოდ ლამაზი რაღაც იყო ეს, თუ სასარგებლოც. მაგრამ სანამ გველაზე ბრძენი გოჯილაცკი რაიმეს ვადასწვევტდა, წლები უნდა გასულიყო... ისევე ერთმა პატარა, მთლად უჭკუო გოჯილამ ისაზრა. წყალში შეცურა, ბორბალს მოეკიდა და წავიდა!.. ადის და ჩადის, ადის და ჩადის, თან სულ კისკისებს. იმ ერთს მეორე პატარა ფოჯილა მიჰყვა, მეორეს მესამე... ისინიც ჩამოეკიდნენ ბორბალს. წყალს უჭირს, მაგრამ მაინც ატრიალებს, ასდევნ და ჩასდევნ, ასდევნ და ჩასდევნ.

იმ უჭკუო გოჯილების დედ-მამა კი ნაპირზე დგანან და ბრაზობენ:

— ფესმით თქვენ, თუ არა! ახლავე გამოეთრიეთ მანდეღან! გესმით, თუ არა!

უჭკუო გოჯილებთან ერთად მთელ ღამეს სხივებიც ეთამაშებოდა წყალსა და ბორბალს ნაღვლიანი მთვარე...

როცა გათენდა, გახეთქილ მილთან მივიდა შავი, ძოღურული კაცი. ფიცრის ყუთიდან ნელ-ნელა ამოაწყო რკინის იარაღები. იმ ადგილს, საცა გახარებულ შადრევნად სცემდა განთავისუფლებული წყალი, ჯერ რეზინის სქელი ტყლაპი დაადო, მერე რკინის სალტე შემოუჭირა და წყალი მილში ჩაქეტა. ფერდობზე მიმავალი ნაკადული ცოტა ხანს კიდევ ფეთქავდა გადაჭრილი ძარღვივით, მერე დაწვრილდა, დაწვრილდა და გაქრა. გაჩერდა ბორბალიც. თავდიდი, ფიქრია ფოჯილები უკვე მაყვლიანში შემალულოყვნენ, მთვარეც წასულიყო. ვერხვის ქერქის ღარიდან ერთხანს კიდევ ჩამოდიოდა წკრიალა წვეთები, მერე ისინიც შეწყდა...

# პ ა ც ი

კაცი უგუნებოდ იყო. სერზე ავიდა, ფინჩის დიდი კონა შეკრა, ჩამოათრია, მაინც უგუნებოდ იყო. თოხი აიღო, ციდაზე ამოსული კარტოფილი გათოხნა, მაინც უგუნებოდ იყო. სოფელქვეყანაში გავიდა, სხვა კაცებში ჩაჯდა, სამი სივარეტი მოსწია, მაინც უგუნებოდ იყო. ადრე დაწვა, არ დაეძინა. იტრიალა, იტრიალა, ადგა, ბრეზენტის შარვალი, ბრეზენტის ქურთუკი და რეზინის ჩექმები ჩაიცვა, სავაზუნ შემოიკრა, ქული დაიხურა, კედლიდან ორლულიანი თოფი ჩამოხსნა და ტყეში წავიდა. იარა, იბლოტა განთიადის სველ ბინდში, ოფლი ჩამოიღინა. მზის ამოსვლისას ფოცხვერი წამოუხტა, უღვასავით გაიკლაყნა აბლაბუდებად ვაბმულ სხივებში. ორჯერ ესროლა. პირველ სროლაზევე ფოცხვერი ღრუბელივით შეიკუმშა და დაეცა, მაგრამ მეორედაც ესროლა. მამინ ფოცხვერს კვნესა აღმოხდა, საზარლად გააკანკალა, თავი უკან გასწია, თეთრი კბილები გამოაჩინა და ასე დარჩა. კაცმა კი თოფი გადახსნა, ცარიელი ვაზნები ამოიღო, ლულებში, ჩაბერა, სავეგები ჩააწყო.

წყეტუნნი რაღაც შემოესმა. მიბრუნდა, მიბრუნდა, ბუჩქი გადასწია, გოცებული შედგა. ფოცხვერის ორი პატარა ლეკვი ბარტყებივით აღებდნენ წითელ პირს, აბრიალებდნენ თვალებს და უღრენდნენ. კაცმა თოფი მიუშვირა. ლეკვები ისევ ისეთივე თვალების ბრიალით უყურებდნენ, ისევ უღრენდნენ. მამინ კაცს გაეღიმა, ახლოს მივიდა, თოფის ლულით შეუღიბინა. ლეკვები მიიკუნტნენ, საბრალოლად აწყეტუნდნენ. მამინ კაცმა თოფი ბუჩქზე მიაყუდა, ქურთუკი გაიხადა, ძირს გაფინა, ჯერ ერთ ლეკვს მოკიდა ქეროში ხელი, აიყვანა და ქურთუკზე დასვა, მერე — მეორეს, და ისიც გვერდზე მიუსვა. ქურთუკი ბოროსავით გამოკრა. დედაფოცხვერს ოთხივე ფეხი ქაშრით ერთად შეუკრა, მკლავი დაუყარა,

ზურგზე წამოიკიდა, ბოლჩადგამოკრული ქურთუკი მარცხენა ხელით აიღო. მარჯვენაში თოფი დაიჭირა და წელში მოხრილი დაადგა გზას. დედაფოცხვერს ღიადლარჩენილი პირიდან სისხლი სდიოდა და კაცს შარვლის უკანა უბეს წითლად უღებავდა. მაგრამ კაცი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ქურთუკში აფუთფუთებულ ლეკვებს დაჰლიმებდა. ხელზე სისველე იგრძნო, ამანაც ღიმილი მოჰგვარა. მიდიოდა და თოფიანი ხელით იწმენდა შუბლიდან ოფლს.

უცებ ლაწანი მოესმა, თავის მიბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ მადლიდან რაღაცა დაეცა და მიწაზე წააბღავა. მაგრამ კაცი არ დაიბნა, თოფი კონდახით მოიქნია, თავქვეზე დაგორდა, გაწვა და ორჯერ დააქუხა. ახალი ნახტომისათვის შემზადებული მამალი ფოცხვერი მიწას დაასკდა და ბალახებს დაუწყო გლეჯა. კაცი წამოდგა. ბეჭი მოისინჯა. ჩამობღენილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ცხვირსახოცი ამოიღო, ოთხად გაკეცა, ზედ დაიღო. იდგა და საიმოენების დიმილით დაჰყურებდა მამალ ფოცხვერს, რომელიც ჯერ კიდევ კანკალებდა. მერე თოფში ვაზნები გამოცვალა, ცალი ხელით თავთან მიუშვირა და ესროლა. ფოცხვერი ჯერ მოიკუნტა, მერე გაიქიმა და ასე დარჩა. თვითონ დაჯდა, თოფი გვერდზე მოიღო, მხარზე დადებულ ცხვირსახოცი მოიცილა, ნახა, რომ სისხლით ხყო გაყვლითილი, და თავი დააქნია. ცხვირსახოცი ხელახლა დაკეცა და ისევ დაიღო. სივარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. მესამე ნაპასი რომ დაარტყა, ადგა, დედაფოცხვერი და ქურთუკში გამოკრული ლეკვები დაბლა ჩამოიტანა, მამაფოცხვერთან დააწყო, ისევ დაჯდა, ქურთუკი ცოტაზე გახსნა, ლეკვები ამოახედა, თითოთ დაუწყო გაღიზიანება. ლეკვები პირს აღე-



ბდნენ და ცდილობდნენ თითქმის წასწვლამოდნენ. ერთი სწვდა კიდევ, წოწვნა დაუწყო. კაცს ელტინებოდა და მხიარულად იცინოდა. მერე მხრიდან ცხვირსახოცი ერთხელ კიდევ მოიცილა. ნახა, რომ სისხლის დენა თითქმის შეწყვეტოდა. დანა ამოიღო, ჩაიშლულა და ფოცხვერების გატყავებას შეუდგა. ხანდახან წამოდებოდა, წელს გამართავდა, ლეკვებს დაჰძიმებდა. ერთხელ მივიდა და თითი კიდევ შესთავაზა, მაგრამ პირი აღარ უხლიათ. შეწუხებული თვალებით იყურებოდნენ და საბრალობლად კრუსუნებდნენ.

ორივე ფოცხვერი რომ გაატყავა, ტყავები ერთად შეკრა, საღ მხარზე გადაიკიდა, მარცხენა ხელში ისევ ბოღჩადგამოკრული ქურთუყი დაიჭირა,

მარჯვენაში — თოფი და ვახალსებულ-ლი ნაბიჯით წავიდა შინისკენ.

●  
სალამოს კაცი სოფლის მოედანზე იჯდა, ორგვლივ სხვა კაცებისა და ბიჭბუჭობის ბრბო ეხვია. კაცი მხარს იმიშვლებდა, ხან ერთს მიუშვერდა ჩამოვაზულ ადგილს, ხან მეორეს და თან ჯაღონსურა მებლაპრის იერიით ყვებოდა:

— მოვდივარ და უცებ ლაწ! თავის მობრუნებაც ვერ მოვასწარი და რაღაცა დამეცა. მე აქეთა ვვდივარ, დედ-ფოცხვერი იქით, ლეკვები-კიდევ იქით, მოვიქნე კონდახი...

კაციც, სხვა კაცებიც და ბიჭბუჭობაც ყველანი ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ.

## ნაპერხლის წითელი ფოთოლი

ბებერი მუხა აღერდილი იყო. უკანასკნელი ფოთლები, რა ხანია, რცხილებსაც დასცივდათ, წიფლებსაც, თამელებსაც; თვით ისიც, დაკორძილი, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი მუხაც, შავად იყო აღანძული — მისი სქელი, გალაქულივით პრიალა ფოთლები ძირს იყვნენ დაფენილნი და ხანდახან თუ შეთართოლდებოდნენ ნიავის წამობერვაზე; კბოღზე გადმოხნეჭილი ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი კი მხოლოდ ოდნავ მოღუნულიყო და წითლად დუღუღებდა ტყის ბინდი ჰაერში. მუხამაც, ხევში მიმავალმა მომწვანო წყალმაც, მსუქანმა მაჩვამაც და დიდთავა ბუმაც იცოდნენ, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ვის ელი, შე საბრალო! — შელიკლეკებდა ქვემოდან წყალი, — ჩამოდი ჩემთან, თუ შენისანებზე ნაწყენი ხარ, ქვემოთ წაგიყვან, ულაამაზეს ადგილებს იგაჩვენებ და, საცა მოგეწონოს, იქ დარჩი.

მაგრამ ფოთოლი ხმას არ სცემდა წყალს.

გამოვიდოდა ყოველ დილა მსუქანი მაჩვი, ღრმად ჩაისუნთქავდა სუსხიან ჰაერს, დაინახავდა ნეკერჩხლის წითლადმოღუღლულ ფოთოლს, ზიზღით შეიჭმუხნებდა ქონიან დინგს და აბუხლუნდებოდა თავისთვის:

— ნეტავ ვის ელის ეს ტუტუცი, არ ურჩევნია თავისიანების გვერდით იყოს?!

მუხას კი ის აბრაზებდა, ჯანსუსტი, ყოველგვარ სმაურზე მოცახცახ ფოთოლი როგორ იჩენდა მისთვის გაუგებარ სიმტკიცეს.

მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლებოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალ-რბილიანად გათანავა ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო საუსე და მხოლოდ ოდნავმესამხნევად ეღუნებოდა მხრები.

●  
ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქურაშდა. დაუბერა ცივმა, ნოტიო ნიავ-

მა. მთელი დღე იჭროლა. მერე ნიავი ჩადგა და წვიმა წამოვიდა. იწვიმა შუალამედე, შუალამის შემდეგ კი წვიმა თოვლმა შეცვალა. როცა ვათენდა, ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაეღო სადღაც შორს. ხეების წვიმითგამავებულ ტოტებს რბილი, ფაფუკი თოვლი დასდებოდა, ესენისფერ მიწას თეთრი, ფუმფულა საბანი გადაჰფარვოდა, კბოდეზე ვადმოზიდული ნეკერჩხლის წითელი ფოთოლიც თოვლით იყო დაჰმომებული, მაგრამ ის მაინც ისევ მტკიცედ ეკიდა ტოტის ბოლოზე და ისევ ვილაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ჩამოდი, შე საცოდავო! — დაუძახა ქვემოდან წყალმა, — ჩამოდი, სანამ ყინულს არ შევუბოჭივარ მთლიანად.

მაგრამ ნეკერჩხლის ფოთოლი ხმას არ იღებდა.

ბებერი მუხაც, ღირსეულად თავდაჭერილი სდუმდა.

შუადღისას მზე გამოვიდა. ნეკერჩხლის ფოთოლს თოვლი ჩამოადნა. ჩამოდნა თოვლი ხეების ტოტებიდანაც. ტყეში ისმოდა ჩამოშვავებული ლეშხისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა. მიწაზე დაგებული თოვლი ქაფქორივით დაიხვრიტა, მაგრამ საღამო ხანზე ხმები ისევ შეწყდა. მთების წვერებიდან ყინვა ჩამოვიდა. იგი ლურჯად ჩამოვდა ტყეში. გაჩუმდა წყალიც, ფრინველებიც. მიდამო მოიცვა სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ.

და აი, ამ დროს მინასავით უძრავ ლურჯ ჰაერში, ბებერ მუხასთან, შემოვიდა ხარირემი. ის ყველამ მაშინვე შეამჩნია, ყველა გაიქცაფა, თითქოსდა თითისწვერებზე შედგენენ ერთმანეთის უკან. ხარირემი მოწყენილი, მაგრამ ზვიადი, ნელ-ნელა მოდიოდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ყურებს შეატაკებდა, ნესტოებს დაბერავდა და ისევ წაეიდოდა, — თოვლშერჩენილ მიწას შავად

აჩნდებოდა მისი შუაზე გაყოფილი ნაფეხურები. ჩავიდა ზეგში, პატარა ხანს წყალს დაეწაფა, მერე თავი ასწია და ვაკვირვებული დარჩა. კბოდეზე ვადმოზიდულ ნეკერჩხალს ერთი დიდი წითელი ფოთოლი შერჩენოდა და ის ფოთოლი თრთოდა, ცახცახებდა; ნიავი არ იძვროდა — ისე თრთოდა და ცახცახებდა. ირემმა კისერი წაიგრძელა და კიდევ უფრო ვაკვირვებული შეაჩერდა. მაშინ ფოთოლი მოწყდა, წამოვიდა ფარფატივით, წამით თითქოს ჰაერშიც კი შედგა, მერე მოეშვა და გულალმა დაეცა თოვლზე — წითელი, უსასოო. ირემმა დრუნჩი მიუახლოვა, წინა ფეხიც ასწია, უნდოდა, ჩლიქი წაეკრა, გადაებურუნებინა, ენახა, რა ფოთოლი იყო ასეთი, მაგრამ ის ისე უმწყოდ ესვენა თოვლზე — სისხლისფერი, სიფრიფანა, ოღნავ მოხრილი მხრებში — ფეხი დაუშვა, მორიდებით შემოიუარა, რამდენჯერმე შედგა, მოიხედა, რაღაც საოცარმა ნაღველმა შეიპყრო, თავი ასწია და ამოიბღავლა.

ზამთრისპირის გარინდებულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარირემის უდროული ხმა. აქამდე უძრავი ლურჯი ჰაერი ზანზარებდა, თრთოდა.

ყოველივე ეს ბებერმა მუხამაც დაინახა. აი, თურმე ვის უცდიდა ნეკერჩხლის დიდი, წითელი ფოთოლი! აი, მრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდევ ერთი სურათი, იცნობდა ასეთ რამეებს ბებერი მუხა!.. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: უნდოდა, მასაც ხარირემივით აეწია თავი და დაებღავლა, დაებღავლა ისე, რომ ტანი აპბურძღლოდათ ვამტერებით მდგარ წიფლებსა და რცხილებს. ეს არ შეეძლო, და იდგა ჩუმად, კვირტების უბეები ნელ-ნელა ევსებოდა წვეთებით. ეს წვეთები იყო მისი ცრემლი.

გამავ ინანიშვილი  
მოთხრობავი

# ჯოხი რმცხასი

ჩვენს სოფელში შვიდასზე მეტი კომლი ცხოვრობს. ყოველ კომლს, რა თქმა უნდა, თავისი გვარი აქვს, მაგრამ შეიძლება კაცის მოძებნა მინც გავიძნელდეთ, რადგან ერთი გვარისა ხშირად ოცი-ოცდაათი კომლიც კია. ამიტომ უმჯობესია მეკომურის მეტსახელიც იცოდეთ. მეტსახელი კი თითქმის ყველას ჰქვია. არიან: ნეკრიჭამიანი, მეგელიჭამიანი, ლიტრიძიანი, დაბაძანიანი, ვირთავიანი და, ვინ იცის, კიდევ ვინ აღარა. ჩემი თქმით ასე გამოდის, რომ ეს მეტსახელები საჭმის გადვილების მიზნით უნდა შეერქმიათ გლეხებს ერთმანეთისათვის; შეიძლება ეს ნაწილობრივ ასეც იყოს, მაგრამ ყოველ მეტსახელს რომ რაღაც სხვა საწყისებიც აქვს, რაღაც ღიმილოფრქვეული სევდიანი საწყისები, ეს უფრო საყურადღებო უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანებისათვის, და მეც მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით გადმოგცემთ პაპაჩემის ნაამბობს. პაპა კიდევ ბევრზე ამბობდა, ამასაც ჩვენ დავარქვით თავისი მეტსახელი და იმასაცო, მაგრამ (მომიტყვოს მისმა თეთრწვერიანმა ლანდმა, თუ ახლა მისმენს), ზოგი ამბის მონაწილე რომ თვითონ ყოფილიყოს, არ მჯერა. სულ სხვაა ეს „ჯოხირეცხასი“. აპათ, ეს ჯოხირეცხას ამბავი და თვითონ განსაჯეთ, როგორც პაპის მონაწილეობის, ისე იმ ღიმილოფრქვეული სევდის თვალსაზრისითაც, რაზედაც მე ზემოთ მქონდა ლაპარაკი.

დგანან თურმე ერთხელ ჩვენებურები, პაპა და მისი ძმაცკები, სოფლის მოედანზე, მყუდროში. მასია, ნაწიმიარი, ტალახი, დაპყრდნობიან ჯოხებს, წამოუხსნამთ გახუნებული, დაძინილი ფარაჯები, ეფიცებნიან მზეს და მასლაათობენ, თავს ირთობენ ხანგრძლივი წვიმით გუნებაშეებრებულები. ვნახოთ და ეტლი გამოჩნდა. ბატონები მობრძანდებოდნენ, ორი ბატონი, შავ

სერთუკებში იამოწყობილი, მშენიგრად ჩასუქებულნი, გაპარსულნი, ღამაზ ჯოხებზე ხელებჩამოწყობილნი. წითელსარტყელიანი, დაჭარხლებული მეეტლე თავმომწონედ მოერეებოდა კანჭმალალ, კუღდანასკვეულ ცხენებს. აი, შემოვიდნენ მოედანზე, ერთმა ბატონმა რაღაც უთხრა მეეტლეს, მეეტლემ ცხენებს — დრო! თან სადავეებიც მიიზიდა და ზედ ჩვენი, მყუდროში თავშეყრილი გლეხების წინ გააჩერა კისერმოღრევილები. ბატონებმა ქვაბუნა ქულები მოიხადეს, ოდნავ ასწიეს ზევით, გლეხებს თავიანთი მოტყეპილი თავები დაანახვეს და ისევ დაიხურეს სწრაფად. გლეხებმაც მოიხადეს თავიანთი დაძინილი, თუშური ქულები, გლეხებმაც უჩვენეს თავიანთი ჯაგარაკინკარიბოები, მაგრამ იმათ აღარც ქულები დაუხურავთ და აღარც თავები აუწვევიათ მაღლა. წესი ასე იყო, გლეხური ზრდილობა, თავდახრილები უნდა მღვარიყვენენ ბატონების წინაშე, და ისინიც იღვენენ თავდახრილები და ელოდნენ, რას უბრძანებდნენ ბატონები. მაშინ ერთმა ბატონმა ბრძანა:

- ხომ კარგად ხართ?
- კარგად, შენი კენესამე.—მიუგეს თავდახრილმა გლეხებმა.
- ხომ კარგი პირი უჩანს მოსავალს?
- კარგი, შენი კენესამე.
- ხომ კარგად გექცევათ მამასახლისი?
- კარგად, შენი კენესამე.
- კარგად იყავით!
- კარგად, შენი კენესამე.

ეტლი დაიძრა, და როგორ მოხდა, არავინ არ იცის, ერთ ბატონს ჯოხი დაუვარდა. არაკუნდა ის ჯოხი ეტლის საფეხურზე, ამოტრიალდა და ტყავ — ძირს, ტლაპოში! გაიქცენენ გლეხები ჯოხის ასაღებად, მაგრამ ყველას პაპას ძმაცკმა იასონამ დაასწრო, ჯოხი იმან აიღო, ტლაპში მოსვრილი ჯოხი. აბა ისე, ტლაპიანს ხომ არ მიაწვდიდა ბა-

ტონებს, ჩაირხინა წყალზე, გარეცხა, გაამშრალა ფარაჯის კალთით და მიართვა. ბატონმა გაუღიმა და თავი დაუქნია მადლობის ნიშნად. იასონმაც თავი დაუქნია, მხოლოდ იმან წელშიმოხრილმა, ხელბრამოშვებულმა. მეეტლემ ცხენებს შოლტი გადაუჭირა და ეტლი გააქროლა, სსწრაფოდ მოაშორა იქაურობას. დარჩნენ მარტო გლეხები, იასონა აქეთ, გზაზე, სადაც ეტლი იდგა, სხვები იქით — ერთად, მყუდროში. შეხედეს ერთმანეთს იასონამ და იმ გლეხებმა, და რა აცინებდათ იმ გლეხებს, ეშმაკმა უწყის, ატეხეს ხიხითი: — ხიი-ხი-ხი-ხი! ხიი-ხი-ხი-ხი! ბატონ-კაცურად — ვაა-ხა-ხა-ხა-კი არა, გლეხურად: — ხიი-ხი-ხი-ხი... იცინოდნენ წელშიმოხრილები და ფარაჯის კალთე-

ბით იმშრალეზდნენ ცრემლმოტრულ თვალებს.

— რა იყო, ე! — იკითხა ვაკვირვებულმა იასონამ.

— მოდი, ჯოხირეცხავ, მოდი! — დაუძახა დაყვავებით ბაპაჩემმა. — მოდი, დადექი ჩვენთან!

და ის დღე იყო და ის დღე, იასონას ხომ შერჩა მეტსახელად ჯოხირეცხა. ეს სახელი ჰქვიათ მის შვილებს, შვილიშვილებს და შვილისშვილისშვილებსაც. არის ჯოხირეცხაანთ შალიკო, ჯოხირეცხაანთ მიხა, ჯოხირეცხაანთ ვანუა, ჯოხირეცხაანთ ტრისტანა, ჯოხირეცხაანთ სპარტაკა, ჯოხირეცხაანთ ანეტა, ქეთუა, პეპელა, იზოლდა და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ აღარა.



3 ი ე ტ ნ ა ე ი, 1968

კალიფორნიელი ფერმერის შვილმა  
ძველი ხისმჭრელების ნაშიერმა,  
რომელიც ოცნებობდა  
თავის მკვიდრ და ჯიშის ოჯახზე,  
დილას გადაწვა ერთი სოფელი,  
ხოლო სადამოს მოეჩვენა:

*როდესაც ის და მისი ძმები,*

ვეებერთელა მწითური კაცები  
სვევოიას ჭრიდნენ და ურემზე  
აწყობდნენ,

მათი დენა ქალაქისკენ  
ზღაზენით და ჭრიალით  
დასაფლავების რიტუალს გავდა...

ყველა ქვეყანას აქვს თავისი დროშა,  
და მას, კალიფორნიელი ფერმერის  
შვილს

ხელში რომ სჭეროდა რომანტიული  
ძველი ბაირალი —

ბალახის ფოთლები...

ის გაიგებდა,

რომ არა მართო ფერმები და სენსაციები,  
არამედ ზოგჯერ

„მამაკაცის ტანიც იყიდება აუქციონზე“  
და არ დატოვებდნენ ჯოგებს და სიმინდს  
მისი ძმები —

ვეებერთელა მწითური კაცები...

მას რომ სცოდნოდა,  
რომ ამერიკაში ცხოვრობდა კაცი,  
რომელსაც ჰქონდა სემიტური გვარი  
აინშტაინი,

წერდა ქაღალდზე უკვდავ ფორმულებს  
და უყვარდა მუსიკა,

*მას კი სდევნიდნენ,*

რადგან არ მოსწონდათ მისი რასა,  
ამერიკელი ხისმჭრელის შვილი  
ალბათ სხვაგვარად შეხედავდა

ზანგებს და ყვითელკანიან ვიეტნამელებს...

მას რომ გაეგო,

რომ ესპანეთში მოკლეს კაცი

სახელად ფედერიკო გარსია ლორკა,

რადგან არ იცოდნენ ვინ იყო იგი,

მაგრამ რომ სცოდნოდათ,

მაშინ სამჯერ ან შვიდჯერ მოკლავდნენ,

რადგან მას ჰქონდა ფორთოხლისფერი  
სალამოები

და ხილვა ბავშვის,

რომელმაც გული შუა ზღვაში

გადაისროლა...

მაშინ კალიფორნიელი ფერმერის შვილი

არ მოკლავდა არც ერთ ვიეტნამელს,

რადგანაც მეორე მსოფლიო ომში

დაიღუპა კაცი, რომელსაც სჯეროდა,

რომ, იქნებ ყველა ადამიანში მოკლულია  
მოცარტი.





## ათასი წვრილმანი

● ვერა და ვერ შეთანხმდნენ, ბულალტერი ერთსადაიგივეს გაიძახოდა:

— როცა გინდა, მაშინ მოდი.

— კი მაგრამ, როდის იყო, დილიდან საღამომდე აქ რომ იჯექით?

— კაცო, — შეხედა ბულალტერმა, — რომ გეუბნებოან, ესე იგი, აქ ვიქნები.

— ნუთუ არ შეგიძლიათ, ზუსტად მითხრათ?

— რა...

— რა და, როდის მოვიდე...

— კაცო, როცა გინდა, მაშინ მოდი... ვაჰ! მეტი რა გინდა, როცა გაგეზარდება, მაშინ მოდი.

— მაგისი თქმა, კი ბატონო, კაია, მაგრამ...

— ნეტაი ვინმემ მე მითხრას მასე და თუ უნდა...

— მერედა, — საჩქაროდ გააწყვეტინა სანდრომ, — რომ არ დამხვდეთ?

— შენ არხეინად იყავი, დავხვდები. პაპიროსი ხომ არა გაქვს?

გააბოლეს და თითქოს დამშვიდდნენ,



ბულალტერმა სიამოვნებისაგან თავა გადასწია და ჰერს მიაბოლა, მაგრამ სანდრო ისევ აფორიაქდა და ვითომცდა სხვათაშორის იკითხა:

— ისე, საერთოდ, დღის პირველ ნახევარში უფრო ბრძანდებით, თუ მეორეში?

— კაცო, — მწყრალად მიაჩერდა ბულალტერი, — როცა გინდა, მაშინ მოდი... ვაჰ, თუ არ ვიყო, მოიცდი და ის იქნება.

— ასეც ვიცოდით! — აღშფოთდა სანდრო, — მთელი დღე გამიცდება ხვალ მე აქ... ხომ გეუბნები, ზევ დილით გავდივართ.

— მარგომ აკი ზევ საღამოთით...

— ეგენი კი, მე მანქანას უნდა გავყვე, მანქანას.

— კი გენაცვალე, — ხელისგული აჩვენა ბულალტერმა, — მობრძანდი ხვალ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ფული გამოწერილი იქნება, ყველაფერი, აიღე და წადი.

— თქვენი ჰირიბე, ტაოგრაფის ფული არ დაგავიწყდეთ.

— აჰ, რა დამავიწყებს... რაა, კაცო, ასე რომ ღელავ ახალგაზრდა ადამიანი.

— ეჰ, — გული დასწყდა სანდროს, — ისე, ათასი საქმე მაქვს ხვალ და აქ თუ ლოდინი დამჭირდა, აღარ ვაცი...

— კაცო, — მამაშვილური საყვედურით მიაჩერდა ბულალტერი, — ჩემი ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება და მართალს აღარ მიჯერი? ყველაფერი რიგზე იქნება — აგერ ვარ მე და აგერ ხარ შენ.

— ახლა კი, მაგრამ... ხვალ?

— უჰ! — ბარძაყზე ხელი დაირტყა ბულალტერმა, — ხელწერილი დაგიდო, თუ რა ვქნა ახლა მე მეტი!

ქუჩაში გამოსვლისთანავე სანდრომ დიდ საათს ახედა და ტროლეიბუსის გაჩერებისაკენ გასწია. ერთ შორეულ ნაცნობს მოჰკრა თვალი და უნებურად მხრები აიწურა, არ დამინახოსო, მაგრამ „ოო“-ო, მოესმა და მწარედ ჩაიციხა.

— რაა ხარ, სანდრო! — შესძახა ნაცნობმა და სეგ ჯიჟურ დაეტაკა საკოც-

ნელად, სანდრომ ძლივს მოასწროს ჩებიდან ანთებული პაპიროსის გაშლება.

— კარგად, გმადლობთ, შენ როგორ ხარ!

— ვართ, ასე... — თვალები მოჭუტა, — ასე, საშუალო კაცის პირობაზე, ცოტათი, შეიძლება, — ეშმაკურად ჩაიციხა, — უ-უეეთესადაც, აბა! — მერე წაშში შეიკვალა სახე და ძალიან სწრაფად, საქმიანად ჰკითხა — არა, მართლა, როგორ ხარ, სანდრო, ჰა?

— კარგად, კარგად, შენ ხომ კარგად? — კი, კი.

რალაც წარმოუდგენლად აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა და სანდრომ თითქოსდა სხვათაშორის იკითხა:

— რომელი საათია, ხომ არ იცი?

— ახლა?

— კი.

— ახლა არის... — ნაცნობი დიდი გულსყურით დააქვერდა საათს, — ოთხს უკვლია ოცი წუთი.

— უჰ! — შეიცხადა სანდრომ, — ოთხს თუ სამს!

— ოთხს, — შეწუხდა ნაცნობი, — რა იყო, თუ რაიმე გიჭირს, ფულს გასესხებ, თუ გინდა.

— აჰ, არა, ფული კი არა, დამავიანდა, აუჰ, რა სირცხვილია!

— წადი, წადი, სანდრო, აბა ჰე! — შეაგულიანა ნაცნობმა, — შენ საქმეს ნუ გაიფუჭებ და ჩვენ მერეც კი მოვასწრებთ ჰუჰჰუჰს.

— კარგად იყავი, დიდი პოდიშო.

— რაა საბოდიშო, შე კაცო...

როგორც კი შეტრიალდა, სახე აელეწა, — რატომ, რისთვის იცრუა, თორემ კი... ვერ იტანდა, როცა ძალაუვნებურად ტყუილი უნდა ეთქვა. არადა, სხვანაირად შეუძლებელი იყო — დადექი ახლა შალიკოსთან და უსმინე, — მე შენ გეტყვი, მოზეზრდება ენის ტარტალი...

ქუჩა გადაჭრა. ოდნავ ციოდა, პატარა, შემპარავი სუსხი გაყლენთილიყო ჰაერში და ესიამოვნა. შორს ტროლეიბუსი გამოჩნდა და ამიტომ პაპიროსის

მოწვევა გადაიფიქრა. სუსხიან ჰაერს მალე შეეჩვია და ისევ აწრიალდა. არა, ხომ იცის, ნაღდად მოატყუებს ის ბუღალტერი... ამასობაში მინებშეოროტქლილი ტროლეიბუსი ჩამოდგა და თავისუფალი ადგილიც კი აღმოაჩინა, თანაც ფანჯარასთან, ოღონდ მძღოლისაკენ ზურგშექცევით უნდა დამჯდარიყო. ამასაც არა უშავდა რა, მაგრამ ცოტათი ეუხერხულა, ხანდახან თავს შეატრიალებდა და ასე იყურებოდა წინ.

ტროლეიბუსში ერთი ნაცნობი შემოვიდა, რომელიც ძალიან უყვარდა.

— ოჰ, ნიკოს გაუმარჯოს.

— ო, გამარჯობა, — უთხრა ნაცნობმა, — როგორა ხარ, როგორაა საქმეები...

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია სანდრომ, — ზეგ დილით ექსპედიციაში მივდივარ.

— მართლა? — გაიოცა ნიკომ, — ამ შუა ზამთარში?

— აბა!

— ვინ და ვინ მიღიხართ?

— მე და სამი ქალი... შენ არ იცნობ.

— კარგია, მხიარულად იქნები.

— კი, როგორ არა! — და უცებ სანდროს ორი დღის დავროვილი ბოღმა მოაწვა: — ქალებთან ექსპედიციაში წასვლა საშინელებაა პირდაპირ... ყველაფერი, ყველაფერი შენს კისერზეა — ეს მივლინებებო, მასალის გამოტანა, ტობოგრაფი უნდა წამოვიყვანო საიდანმე, მაგათი ბარგი სულ ზურგით უნდა ათრიო, შოფერს შენ უნდა უშოვნო ბენზინის ქვითრები, ბუღალტერმა შენ უნდა მოგატყუოს და კიდევ ათასი რაღაც... ახლა, ადგილზე რომ ჩავალთ, მოწყობა, დალაგება, მერე კი მუშაობის დროს... არა, ყველა ქალი არაა ეგეთი, მაგრამ ამათთან ჩემი მტერი წავიდა! ეს ტობოგრაფიც ისეთი შემხვდა, მტრისას — წუწვი, წუწვი რომ, ნუ იტყვი. სულ მეკითხება, ფული რამდენი მეკუთვნის, ხომ ზუსტად მომცემთ, დაქვითვა ეხება თუ არაო, თანაც, წამდაუწუმ იმეორებს, არა, ფული კი არ მიანტერესებს, მაგრამ მიანცო... მოკლედ, შე-

მიკლეს ხელში, ეს ორი დღეა და კიდევ უარესი მეღის.

— არა უშავს, სანდრო, — ვითომცდა გაამხნევა ნაცნობმა, მაგრამ ამ სიტყვებმა საბოლოოდ მოუშხამა გუნება და ინანა, რამე ამალაპარაკაო.

ნიკო უცებ ფეხზე წამოდგა და ვიღაცა გოგოს ადგილი დაუთმო.

— როგორა ხარ, ლალი? გაიცანი, ეს სანდროა, მოხეტიალე გეოგრაფი, — იხუმრა ნიკომ, — ეს კი ლალი. მე ახლა ჩავდივარ, ნახვამდის.

— ნახვამდის, — უთხრა სანდრომ, გოგომ კი ხელი დაუქნია. მერე, ტროლეიბუსი რომ გაჩერდა და ისევ დაიძრა, სანდროს გაახსენდა, რაც უნდა ეთქვა და გოგოს გასაგონად ჩაილაპარაკა: — ძალიან სასიამოვნოა.

გოგოს ხმა არ გაუტყია და სანდრო ძალიან შეწუხდა, რამეც არ იფიქროსო, ხომ იცი, ზოგიერთი გოგოს ამბავი... არ ეგონოს, ნიკომ განგებ გამაცნოო და... ძალიან დაღლილი იყო, თორემ აუცილებლად ჩავიდოდა პირველსავე გაჩერებაზე. ძალიან არ სიამოვნებდა, ზურგშექცევით რომ მგზავრობდა, თანაც, ეს გოგო... ძლივს მოვიდა სანდროს გაჩერებაც და ის იყო, უნდა წამომდგარიყო, უეცრად გოგომ თავის მკვეთრი მოძრაობით უკან გადაიყარა თმა და ამაყად ჰკითხა:

— თქვენ გიყვართ მუსიკა?

— დიახ, — და უნებურად ძალიან სულელურად გაიღიმა, — მე ჩავდივარ, ნახვამდის.

— ნახვამდის.

„არა, საერთო ჯამში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა“, — გაიფიქრა სანდრომ, როგორც კი ტროლეიბუსიდან ჩავიდა.

●  
მეორე დღეს ბუღალტერიის კარი შეღო თუ არა, შიშით გაიხედა სკამისაკენ და მაშინვე მწარედ გაიფიქრა: „ასეც ვიცოდი“, და დაბნეული მიუ-

გურამ დოჩანაშვილი  
ათასი წვრილმანი

ბრუნდა ტოპოგრაფს, რომელიც ბუ-  
ლალტერიაში შემოპყვა.

მოლარემ ერთი კი ახედა და მერე  
ისევ აპრელბულ ქაღალდებში ჩარგო  
თავი. სანდრო მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ბოდიში, ბულალტერის ხომ არ და-  
უბარებია, როდის მოვა?... ბოდიში, ბუ-  
ლალტერი როდის...

— არაფერი უთქვამს.

— აჰა...

ტოპოგრაფი გაშრა. მერე თავის კან-  
ტურს მოპყვა სინანულის ნიშნად: „ახია  
ჩემზე. რა მინდა, თქვენთან რომ მოვდი-  
ვარ“...

ერთხანს ჩუმად იდგნენ, მერე სან-  
დრომ თქვა: „არა, ნამდვილად მოვა“,  
და ისევ გაბრაზდა, თავი გაიქნია: „გუ-  
ლი შეიძლება გავისყდეს კაცს, ამათ  
ხელში...“

— იცი რა, — გვერდზე გაიხმო ტო-  
პოგრაფმა, — თქვენ ექსპედიციაში  
თქვენი საქმისათვის მიდინართ, მე კი...  
სრულებითაც არ მესაჭიროება გეოგრა-  
ფიული ექსპედიცია, ისიც ამ შუა ზამ-  
თარში. თავისთავად, მე ეკონომიური  
მხარითა ვარ დაინტერესებული და..  
ნუ... თუმცა, დღეს ალბათ ყველაფერი  
გაირკვევა.

სანდრომ ვერაფერი უთხრა; საათს  
დახედა — ათ წუთში მარგოს უნდა შე-  
ხვედროდა. რატომ, რისთვის, არც იცო-  
და... ტოპოგრაფს უთხრა, დამიცადეო,  
და კარისაკენ გაემართა.

— მე კი დავიცდი, მაგრამ... — დაა-  
წია ტოპოგრაფმა.

— რა მაგრამ? — გაღიზიანდა სან-  
დრო და გამომწვევად მიაჩერდა.

— არა, არაფერი.

რომ არ დაეგვიანა, ტაქსი დაიჭირა.  
ზუსტად გამოცხადდა ბაზართან, სამა-  
გიეროდ მარგომ თხუთმეტი წუთით  
დაიგვიანა. როგორც იქნა, გამოჩნდა და  
სანდრო გაკვირებული შეაცქერდა —  
დაკეცილი ტომრები ეჭირა და აშკარად  
ეტყობოდა, ჩვეულ საქმეს რომ უნდა  
შესდგომოდა.

— აჰა, უკვე მოხვედი? რა კარგია,  
რომ მომეხმარები, წავიდეთ...

ბაზარში ახალი შესულები იყვნენ...  
ჯერ მხოლოდ სამიოდე კაცი დაეჯახა  
სანდროს, სანამ მარგო თავის გეგმას  
ნაწილობრივ გააცნობდა — ჯერ კარ-  
ტოფილი და ხახვი უნდა ეყიდათ ექს-  
პედიციისათვის, შემდეგ კი სხვა რამე-  
ები. მერე მარგომ თვალები დახუჭა და  
ნიკაპი გაიშვირა — აი, იქით წავიდეთო  
და ვილაცხვებს მოხერხებულად აუარა  
გვერდი. სანდრომაც მისდია, მაგრამ ვი-  
ლაცა კაცი მოულოდნელად გადმოუხ-  
ტა ცხვირწინ და მკერდში თავი ატაკა.  
სანდრო შეფერხდა და ახლა ზურგიდან  
ეძგერა ვილაც... სანდროს წარმოადგენა  
არა ჰქონდა, ვინ იყო დამანაშავე —  
თვითონ თუ ის კაცი... ამიტომ ბოდიშის  
მოხდა დააპირა, მაგრამ იმ კაცს ყურად-  
ღება არ მიუქცევია მისთვის. მერე  
ფრთხილად მიიხედა, მაგრამ ვერც მი-  
ხვდა, ზურგზე რომელი დაეჯახა.

მარგო ამასობაში მეკარტოფილეებს  
ევაჭრებოდა: „ოცდაათი რა ამბავია,  
ოცად მომეცი“...

როგორც იქნა, დაადგა საშველი და  
ერთი ფუთი კარტოფილი იყიდა. მერე  
ხახვისაკენ გაეშურა და სანდროს ამჯე-  
რად უფრო გაუძნელდა გზის გაკვლე-  
ვა — მძიმე ტომარა ხან ფეხებში ებ-  
ლანდებოდა, ხანაც გამვლელებს ხვდე-  
ბოდა. ამ ყაყანაში, ჯახისა და შეხლა-  
შემოხლაში სანდროს მუხლები მოეკე-  
თა, მარგო კი აღმაფრენით ვაჭრობდა,  
ალბათ, დასვენებული თუ იყო... ასე და  
ამგვარად იყიდეს ხუთი კილოგრამი  
ხახვი, სამი თავი კომბოსტო, ყველი,  
ლობიო, ნიორი, ნიგოზი კინაღამ დაავი-  
წყდათ, ჭარხალიც გაიხსენეს და მძიმედ  
დატვირთული სანდრო ძლივს მიაბიჯებ-  
და. შუბლზე ხვითქი გადასდიოდა,  
მაგრამ ორივე ხელი დაკავებული ჰქონ-  
და, მერე მარგომ ლოყაზე მიიღო თი-  
თები: — უჰ, შაქარი! შაქარი და მარი-  
ლი კინაღამ არ დამავიწყდა?

სანდრომ მკაცრად შეხედა:

— კი მაგრამ, თქვენ სახლთან გას-  
ტრონომი არაა?

— როგორ არა, — გაიოცა მარგომ, —  
ჩემი სახლის პირველ საართულზე მშვე-

ნიერი გასტრონომია, ხაჭოც იშოვნება და ყველაფერი...

— იქ იყიდეთ მაშინ.  
— რა ვიცი, ბარელამ მოგვეთავებინა.  
— იციო რა, — თვალი გაუსწორა სანდრომ, — ექსპედიციის ფული დღეს თუ ვერ გამოვიტანე, ალბათ საერთოდ ვერ წავალთ.

— ჯერ არ გამოგიტანია?  
— არა.

— რატომ მერე? — ქალო საყვედურით შეაქკერდა და სანდრო კინელამ გადაიარია, მაგრამ დროზე შეიკაეა თავი.

— ვერ გამოწერა ბულალტერმა, — და გული შემდეგი სიტყვებით მოიფხანა: — ქალბატონო მარგო.

— აა?! მეც არ გამოიკვირდა? ტაქსი! სანდრომ ტომრები უკანა სავარძელზე დადო და მარგოს უთხრა:

— თუ გნებავთ, წამოგყვებით.

— არა, არა, თუ ფულია გამოსატანი, წადი.

— ამას ვინ აიტანს?

— არა, მაშინ ჩემს ძმას ავატანინებ.

— დაიცა, სანდრო, — ქალმა ხელჩანთაში ააფათურა თითები, — აი, ეს გამომართეი...

— რა არის ეს? — ფულს დააქკერდა სანდრო და გულმა რალაცა ცული უგრძნო.

— თუ ხატრი გაქვს, სამი ბილეთი გვიყიდე... რბილი... ხეალ ბარგისათვის რომ გამოგვივლი, ბილეთიც მოიტანე, შენი ჭირიმე, სანდრო, კარგი? მე დღეს ნაპოლეონი უნდა გვაკეთო...

— ჰა, ჩქარა, ჩქარა, — შეიღრინა შოფერმა.

სანდრომ მანქანას თვალი გააყოლა და გაბრაზების ნაცვლად ერთიანად მოეშვა. ქუჩაში მოწყენილი, დადარდიანებული მიაბიჯებდა: „არა, ბატონო, არა, არ უნდა დაიარებოდნენ ეს ქალები ექსპედიციეზში... ისე, ზოგი კია საქმის გამკეთებელი, მაგრამ... უჰ, ბულალტერი ახლაც რომ არ დამხედეს“.

მართლა არ დახვდა. ტოპოგრაფმა დაბეჩავებული კაცის მზერა შეაგება და სანდრო, თვალის არიდების ნაცვლად,

ძალიან დააინტერესა ტოპოგრაფის სახემ: მოკლე, წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. პირისახე მშვენიერად გაეპარსა, მაგრამ მაინც გეგონებოდა, თითქოს წირპლიანი თვალები აქვსო. ყურები ისე დაეკეცა, სანდროს მაშინვე გაახსენდა სიტყვა „ყურუშსალი“...

ბულალტრის მოლოდინში ზედიზედ მოსწია სამი სიგარეტი. გაბრუვდა და უსიამოვნა—ისე ძალიან აღარ ედარდებოდა ბულალტრის მოუსვლელობა. მერე უკანასკნელი ლერიც მოსწია და სიგარეტის საყიდლად ქუჩაში გავიდა. როცა მობრუნდა, ბულალტერი საყვედურით შეეგება:

— სად ხარ, კაცო, ამდენ ხანს?

სანდროს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ... არა, ნაღდად არ ღირდა — რაიმე უარესს უპასუხებდა ბულალტერი.

— ფული თუა? — მისუსტებული ხმით იკითხა.

— კი, კაცო.

— ტოპოგრაფისაც?

— აბა, მე დაგპირდი და არ იქნება?! — შეგულიანდა ბულალტერი.

ტოპოგრაფმა ხელისგულზე გაიშალა ათმანეთიანები, მერე თითების ნაცადი მოძრაობით შეაჯგუფა და უბეში ღრმად შეინახა.

— აბა, ხვალამდე, — მხნედ, მომჯობინებულ ხმით უთხრა.

— ხვალამდე, ხვალამდე, — თავი დაიქნია სანდრომ.

ღღის ბოლოს სამსახურში მივიდა, მნესთან.

— ჩექმები მიხნდა, ორმოცდასამი ნომერი.

— არა მაქვს.

— ამასწინათ არ მიიღეთ?

— ორმოცდასამი არა მაქვს.

— აბა რომელი გაქვს?

— ორმოცი, ორმოცდაერთი, ორმოცდაათი უნდა მქონდეს, ორმოცდახუთიც მაქვს, ერთი წყვილი.

**გურამ დოჩანაშვილი**  
ათასი წვრილმანი

— კი მაგრამ, ორმოცდასამი რატომ არა გაქვთ...

— არა მაქვს, რა ვქნა...

პატარა ღუმელის შემდეგ სანდრომ მნეს უთხრა:

— ძალიან გთხოვთ, ძალიან, თოვლი იქნება იქ და სულ დავსველდები. ამ ზამთარში ხელი თუ არ შეგვიწყვეთ, ძალიან ვაგვიჭირდება, ძალიან.

— შორს მიდიხართ?

— კი.

— სადა, მთაში?

— დიახ.

— რომელი ნომერი გინდა?

— ორმოცდასამი.

— მგონია კი უნდა იყოს, — და რომელიღაც ყუთს თავი ახადა, — ჰო, აი, ჩემისთანა კაცი იყოს დედამიწის ზურგზე და...

— წყალი ხომ არ შედის?

— წყალი შედის კი არა, მაგითი ავიღეთ გერმანია.

და უცებ სანდრო მოულოდნელად გაბრაზდა:

— კი მაგრამ, თუ გქონდა, რას მაწვალდები, რას!

— ვაპ, მადლობის მაგიერი ხარ? — გაიოცა მნემ და მხრები აიჩიჩა, — გადასარეგია ამ ხალხის საქმე.

●  
იმ ღამით უცნაურმა სიზმარმა გააწვალა. თითქოს ვიწრო ფიცარზე იწვა, ძლივს იცავდა წონასწორობას, ძალიან ქვემოთ კი, პარტერში, ხალხი იჯდა და მშვიდად ისმენდნენ მის საყვარელ ნაწარმოებს. ერთი სული ჰქონდა, თავის გემოზე გაწოლილიყო და ისე მინებებოდა მუსიკას, მაგრამ არ შეიძლებოდა — ქვემოთ ხალხი ძლივს მოჩანდა, ფიცარი კი ისე ვიწრო იყო და თანაც აქერცლილი... მერე, არაფერი უგრძენია, ისე აღმოჩნდა იატაკზე გაწოლილი და ერთხანს მშვენივრად, არხეინად იწვა, რადგან იცოდა, ვერავინ ვერ ხედავდა და ისე ისმენდა იმ ნაწარმოებს. ხელები თავქვეშ ამოედო და თვალები დაეხუჭა, მაგრამ უცებ ჩაბნელდა, ისევ

განათდა და ვიღაცამ იკვილა. წამოჭრა და ნიკაპაწეულ ხალხს თვალი მოავლო. ყველა მალლა იყურებოდა, ჭალისაკენ და მანაც ახებდა. იქ ბუნდოვანდ მოჩანდა ვიღაც, ვიწრო ფიცარზე გაწოლილი. სახეარულმა ხალხმა კედლებისაკენ დაიხია, მან კი გონება დაძაბა და მიხვდა, რომ იმ ნაწარმოებს ისევ უკრავდნენ. იატაკზე წოლა მაინც ველარ შეძლო და, განრისხებულმა, მთელი ძალით დაარტყა მუშტი თვალწინ ალაპლაპებულ კლავიშებს...

●  
გათენებისთანავე წამოხტა, მშვენივრად გრძნობდა თავს. საექსპედიციოდ გამოეწყო და ძალიან ესიამოვნა — მაღალყელიანი ჩექმები, ფართო სამხედრო ქაბარი წელზე, უხეში ძაფით მოქსოვილი ჯემპრი, კეფაზე სვანური ქუდი, ჯიბეში კი მონადირის მძიმე დანა, ყოველ წუთას რომ ახსენებდა თავს.

საბარგო მანქანას შორიდანვე მოკრა თვალი და ნაბიჯს აუჩქარა. კაბინაში შეიხედა და გაელიმა — დიღმელ ვანუას თავი დაედო საჭეზე და ეძინა.

— ვანოს გაუმარჯოს, — მინაზე დააკაკუნა სანდრომ.

— გაუმარჯოს.

— დიდი ხანია მიცდი?

— მე რაღვი, მეძინა.

ჯერ ქალებს გაუარეს. ვანუა ძარაზე ადიოდა და სანდრო ბარგს აწვდიდა. მარგო, მაცვალა და თინა დილაადრიან ცოტათი მოტეხილებივით გამოიყურებოდნენ და სრულებით არ წაგავდნენ ისეთ ქალებს, უმიზეზოდ სიცილი რომ უყვარდათ. არადა, უკვე გადაცილებულნი იყვნენ უმიზეზოდ სიცილის ასაკს და სანდროს იმათი გაუთავებელი კისკისი ყოველთვის აღიზიანებდა. ახლა, ძილისაგან დაბუყებული და მოწყენილი სახეები რომ ჰქონდათ, გაცილებით სასიამოვნოდ გამოიყურებოდნენ. შემდეგ ტაოზგრაფთან გაიარეს — იმან მაშინვე გააღო კარი, მერე კი ჩემოდანი იდელოვინი გამოიტანა. სულ ბოლოს ვანუასთან წავიდნენ, სოფელ დიღომ-

ში. ვანუა უზომოდ დაფიქრებული დაი-  
არებოდა კიბეზე და სხვადასხვა ნივ-  
თებს ჩემოდანში ალაგებდა. ცოლი მო-  
რიდებით ეკითხებოდა რაღაცეებს და  
ვანუა გულგრილად, დაუდევრად პასუ-  
ხობდა — ვანუას მიხრამოხრამში ოჯახის  
ერთპიროვნული უფროსი იგრძნობოდა.  
— ვანო, საპარსი მიგაქვს? — მღელ-  
ვარედ შეეკითხა ცოლი.

— მა! — უთხრა ვანუამ და მუხლ-  
თან შარვალი დაიფერთხა.

ქალმა ჯაგრისით გაუქრო მონაცრის-  
ფერო ლაქა და ისევ იკითხა:

— სარკე გაბატანო?  
ვანუამ მხრები აიჩჩინა:

— მა მე სარკეები დამარჩენია იქა?  
მცხეთამდე ისე იარეს, ერთმანეთი-  
სათვის ხმა არ გაუტყიათ. მცხეთაში ქა-  
ლიან გემრიელი, თბილი პური იყიდეს  
და მაღიანად ილუქებოდნენ.

— ორი პური უნდა გვეყიდა, —  
თქვა ვანუამ, — მცხეთაში გემრიელი  
პური იცის.

ეს იყო და ეს, ვანუას ხაშურამდე  
კრინტი აღარ დაუძრავს. მცხეთიდან  
გორამდე, სანდროს აზრით, ყველაზე  
უინტერესო, მომბაზრებელი გზა იყო.  
მოსწყინდა და წამდაუწყმე ექაჩებოდა  
სიგარეტს. მერე შოფერს გახედა და  
გაეღიმა — დიდი უცნაური კაცი იყო  
დიდიმელი ვანუა. რა უნდა მომხდარიყო,  
ის რომ აჩქარებულყო, ანდა რომ გა-  
ეკვირვა — აი, ვთქვათ, სარკეში რომ  
ჩაეხედა და საკუთარი თავის ნაცვლად  
ნაცნობი ინსპექტორი დაენახა, უფროსს  
გაუპარჯოსო, იტყოდა. დაძინების გა-  
სათვარი ნიჭი ჰქონდა — დღის განმავ-  
ლობაში შეეძლო ასე ოც-რცდაათჯერ  
დაძინა, ხუთ-ხუთი წუთით. ხოლო  
თუ საჭმე არა ჰქონდა რა, მთელი ოცდა-  
ოთხი საათი ეძინა, მერე ძლივს ახელდა  
თვალს და, გაბიევიანებული, წამოზრ-  
დილ წვერს ხელისგულით ამოწმებდა.  
თუმცა კარგა გვარიანი ღიბი დასდებო-  
და, მაინც მოზვრის იერი დაჰკრავდა —  
ჯანიანი კაცი იყო დიდმელი ვანუა. ერთ-  
ხელ სანდროს ქუჩაში შეხვდა, ქვეითად  
მიდიოდა სადღაც. ერთმანეთი მოიკით-

ხეს და რომ დაემშვიდობა, ძალიან მო-  
იწყინა: კაცოუ, სადღასაც მივდიოდი  
და რო აღარ მახსოვსო? სანდრო თანა-  
გრძნობით შესცქეროდა, ვანუა კი ერთ  
თავად დაიძაბა და ასე იდგნენ ერთხანს.  
მერე კი შვევით ამოისუნთქა — უი,  
ჰო, კბილი უნდა ამოვიღოვო...

ასეთი კაცი იყო დიდმელი ვანუა, და  
სანდრო ღიმილით იხსენებდა ყველა-  
ფერს, რაც კი ახსოვდა, მაგრამ უცებ  
თოვლი დაინახა ხის ძირას და გაეხარდა.  
მერე კიდევ მოჰკრა აქა-იქ თოვლს თვა-  
ლი. რაც უფრო სცილდებოდნენ მცხე-  
თას, უფრო მატულობდა თოვლი, მერე  
კი, გორის შემდეგ გრძელი აღმართი  
რომ აიარეს, თეთრად გადაპენტილ ველ-  
ზე აღმოჩნდნენ. მხოლოდ სამანქანო  
სველი გზა კრილებდა და ვანუამ მხვე-  
ტავი აამუშავა. წვრილი ფანტელები ქა-  
ბინის მინაზე დნებოდა და სანდრო ვე-  
რაფერს ხედავდა, რადგან მერე მხვე-  
ტავი არ მუშაობდა. ასე ბრმასავით  
ჯდომა აღიზიანებდა და სურამში გააჩე-  
რებინა მანქანა — აქ აგარაკია და სუფ-  
თა ჰაერზე ვისაუზნოთო...

ვანუამ გულმოდგინედ ისაუზნა და  
მერე ისევ დაიძრნენ. უღელტეხილი  
გადაიარეს, კარგახანს მოუნდნენ ზესტა-  
ფონამდე — გზა სველი იყო და ვანუა  
ფრთხილობდა. ზესტაფონში ისე წვრი-  
ლად სტოიდა, სანდროს გუნება მოეშხა-  
მა და ზემო იმერეთისაკენ მიმავალი  
გზის დანახვა აღარც სურდა. მაგრამ თვა-  
ლი მაინც ვანუას ფანჯრისაკენ ეპარე-  
ბოდა და ნაცრისფერი ცის ფონზე ტო-  
ტებდალეწილ ხეებს ათვალეირებდა.

— მაგარი თოვლი კი ყოფილა აქა, —  
თქვა ვანუამ.

ის სოფელი კარგახანს ეძებეს, რად-  
გან ცილიცა ფარაჯამოსხმულმა კაცმა ვა-  
ნუას უთხრა, ასე, ხუთ კილომეტრს გა-  
ივლი და საცდელთან უნდა აუხვიოთო.  
ამ საცდელის ძებნაში მთელი ორი  
საათი დაკარგეს. „საცდელი“ ვანუა  
და სანდროს საცდელი სადგური, დაწე-  
სებულება, ესე იგი შენობა ეგონათ,

გურამ დოჩანაშვილი  
სტასი ვზილმანი



შენობა კი ვერა და ვერ იზოვეს, თუმცა ათვრე მინც ჩაუარეს იმ ადგილს, ფარაჯამოსხულმა კაცმა რომ მისწავლა. არადა, გამველოცი აღარ ჩანდა იმ გულისგამაწვრილებელ წვიმაში. როგორც იქნა, ვილაცა პატარა, გალუმბულ ბიჭს წააწყდნენ და ყველაფერი გაირკვა: „საცდელი“ აღმოჩნდა „ავტობუსის მოსაცდელი“ — ბეტონით გადახურული ორი ბოძი. იმ გზას რომ დაადგნენ, უკვე მოსალამოვდა. შვიდი კილომეტრი სულ ხრიალით აიარა მანქანამ და, როგორც იქნა, სოფელს მიაღწენ. ბნელოდა, თოვდა, კაცი არ ჩანდა ორღობეში. სანდრო მანქანიდან გადმოვიდა, განათებულ სახლს მიადგა და გამწარებულმა იყვირა:

— ეი! ე! მასპინძლო, აა!!

ნამეტანი ხმამალა გამოუვიდა და უცებ გულზე მოეშვა, შერცხვა კიდეც: „რაღა გიჟივით ვყვირი ამ უცხო სოფელში, ა?“ მინც არავინ გაეპასუხა, ახლა სხვა ღობეს მიადგა და მეორე სახლსაც ასე შეუძახა: ეი! ე! მასპინძლო, აა!! — რა გაყვირებთ ბატონო, აგერ არ ვარ? — უთხრა ვილაცამ. სანდრო შეკრთა და მიაჩერდა — დაბალი კაცი იყო, იქვე, ორიოდ ნაბიჯზე იდგა, ხელის ცერები ქაშარში ჩაეყო და უყურებდა.

— ერთი, თქვენი ჭირიმე... გამარჯობათ! ერთი, თქვენი ჭირიმე, ბინა გვინდა დავიჭირავოთ, ექსპედიცია ვართ. გეოგრაფიის ინსტიტუტიდან, აკადემიიდან... ხვალ კიდეც სამი ქალი ჩამოვინდა ორი ოთახი გვინდა.

— ორი, არა?

— დიახ, ბატონო.

— ორი, ორი,... — დაფიქრდა კაცი. — კი, ერასტოს ექნება.

მანქანასთან რომ მივიდნენ, სანდრო კინალამ გადაიჩია — ვანუას თავი დაედო საჭეზე და ეძინა. შეანჯღრია და ერასტოს სახლს მიამუერეს.

— კი ბატონო, — თქვა ერასტომ.

ბარგი-ბარხანა გადმოტვირთეს. მეორე სართულზე აჰქონდათ, სანდრომ ათი გზა მინც გააქეთა და საშინელი გულბატკივლით აღმოაჩინა, რომ ჩექმაში

წყალი შედიოდა — „რას მომცემდა ის... რა ექნა, სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ბარგის გადმოტვირთვა როცა კი დამთავრეს, დიასახლისმა სტუმრები პირველ სართულზე მიიწვია და უკვე გაშლილი სუფრა დაახვედრა — მობრძანდით, ჩემო ბატონო... ერასტომ თამადად მეზობელს დაუძახა — მექანიკოსი მიხაკო საერთო ჯამში კარგი მოლაპარაკე აღმოჩნდა, მაგრამ შაბლონურ სადღეგრძელოებს ამბობდა. ვანუას განსაკუთრებით დაუახლოვდა და სულ იმასთან გადადიოდა ალავერდს. უბრალო, გემრიელი სუფრა იყო — ლობიოში პური ამოუსვეს, წინილიც დააყოლეს, მხოლოდ ღვინო არ ვარგოდა.

— ეს ჩვენ-ჩვენ დედამამიშვილებს გაუმარჯოს, — იძახდა მიხაკო, — ვისაც ცოცხალი გყავთ, დიდხანს გვიცოცხლოს, რკინასავით იყონ, ვისაც გვაკლია, ხსოვნა იყოს, ვისაც არა გყავს, ისეთი მეგობარ-ახლობელი მოგვეცეს, დედამამიშვილობა გავეცივოს.

— გაუმარჯოს დედამამიშვილებსა, კარქა იყონ, — ამბობდა ვანუა.

მექანიკოსი მიხაკო რატომღაც ალუმინის ტოლით სვამდა. როგორც მალე გამოირკვა, საოცრად უყვარდა ლითონი, როგორც ასეთი; გაკრიალებულ ლითონზე კი პირდაპირ ჭკუას ჰკარგავდა თავის მიდრეკილებას სრულიადაც არ მალავდა, პირიქით — დიდი ბალთიანი ქაშარი ჰქონდა და რკინიგზელის პიჯაკი ეცვა, რკინის ღილებიანი. სიგარეტს ვერცხლის პორტსიგარიდან იღებდა და სანთებელას კობტად აჩხაქუნებდა — არა, ყოჩაღი ბიჭი იყო მიხაკო. ისე, კი გახლდათ ორმოციოდე წლის, მაგრამ მინც...

ვანუა მოწყურებული სვამდა, სანდრომ კი გული ვერ დაუდო — ნაღდად „გაკეთებული“ ღვინო იყო. თანაც, დადლილომისაგან თავი უყარდებოდა. ერთხანს ითმინა, მერე კი წამოდგა.

— რა იყო, ჩემო ბატონო, გაწყენინეთ რამე? — შეიცხადა მიხაკომ.

— არა, რას ბრძანებთ, ნამგზავრი ვარ და ძალიან დავიღალეთ.

— აჰ, ადრეა ჯერ... თუ რამე გაწყენინეთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი:

— რას ბრძანებთ, მაგრამ ხვალ დილით ჩვენები ჩამოდიან, მატარებელა უნდა დავხვდეთ... რვის ნახევარზე დაბაში რომ ვიყოთ, ექვსზე გვიწევს აღვმოვა.

— აჰა, პატივცემული ივანე მაინც დაგვიტოვებო.

— რა ვიცი, როგორც უნდა.

— დავრჩები, — თქვა ვანუამ, — ღვინო მამინდა.

სანდრომ მეორე სართულზე ლოგინი გაშალა, დაწვა და სანამ ჩაიძინებდა, უცნაურად აღტყინებული ვანუას ლაპარაკი მოესმა.

კარგახანს ბურანში დაბორილობდა: ისე იყო დადლილი, დაძინების თავიც არა ჰქონდა, ძილ-ღვიძილში ხმამაღალი ლაპარაკი ესმოდა, მერე თითქოს ჩაქინა, მაგრამ ჩქარა გამოიღვიძა — დიასახლისი გამწარებული კიოდა. სასწრაფოდ წამოხტა, მხოლოდ შარვალი ჩაიცვა და ფეხშიშველი შეეყარდა ოთახში. ერასტო არსად ჩანდა, დიასახლისი და ვიღაცა უცნობი კი მიხაკოს ებლაუჭებოდნენ. რომელიც გამწარებული მიიწვედა ვანუასაკენ. ვანუა კედელს მიყრდნობოდა, უაზროდ ატრიალებდა თვალებს და ლულულუდებდა:

— ნეტა რა უნდა... ჰა?

მიხაკო დაუსხლტა იმ უცნობს, ვანუასთან მიიჭრა და ხელი ღონივრად მოუქნია, მაგრამ ააცდინა და თვითონვე წაიქცა. სანდრო ერთხანს გაკვირვებული დასჩერებოდა, მაგრამ მიხაკო მყისვე წამოხტა და ასლა შიგ ცხვირ-პირში სდრუხა ვანუა. იმანაც უნდილად მოუქნია ხელი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ მთარტყა. სანდრო შუაში ჩაუვარდა მოჩხუბრებს, მაგრამ მიხაკო ვერაფრით დააშოშმინა.

— მოკლეს, მოკლეს, — გაჰკიოდა დიასახლისი.

ვანუამ ხელის ზურგი გაისვა ცხვირზე და მერე უაზროდ დახედა სისხლს. დიასახლისმა ეს რომ დანახა, სულ გადაიბრია...

— მოკლეს! მართლა მოკლეთ-ეს!

— რათა მწყევლი, ქალო? — ჩაბუტბუტა ვანუამ.

მიხაკოს შემოეხვივნენ, ამშვიდებდნენ, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ დაუჭრა და ჰქუჟაში და მაინც მიიწვედა ვანუასაკენ. კარგა ხნის შემდეგ დაადგა სანდრო სწორ გზას:

— კაცო, მასეთი მაგარი მუშტის პატრონი, როგორ ურტყამ ადამიანებს, არ გეცოდება?

— მოგკლავ, გამიშვით! — ერთიც მიაყვირა მიხაკომ, მაგრამ ჩქარა გაიბაღრა. თავი დინჯად დახარა და მოხიზლულმა დახედა თავის მუშტს. კარგა მოსული კაცი კი გახლდათ, მაგრამ ვანუა ისეთი მთვრალი რომ არ ყოფილიყო, ნაღდად ცუდი დღე დაადგებოდა. სანდრომ ისარგებლა და ვანუა მეორე სართულზე აიყვანა. მერე ჩექმები და ჯემბარი ჩაიცვა და ქვემოთ ჩავიდა. მიხაკო თავის მართლებას მოჰყვავდა:

— მაგან ისეთი რამე მიიხარა, ბატონო, ისეთი, რომ...

— მე მაპატიეთ, თქვენი ჭირიმიე...

— აჰ, არა, გამიშვით!

— მე მაპატიეთ, მე, უცხო სოფელში ვარ და...

— აჰ, თქვენთან პატივისცემის მეტი რა მეტქმის! — მერე ისე დააცქერდა სანდროს, თითქოს პირველად ხედავსო და გადაეხეხა:

— შენი ჭირიმიე, შენი, ყველა შენისთანა იყოს ნეტავ... მოდი ერთიც გაკოცო, შენისთანა გამოვიდოდეს ნეტავ ჩემი შვილი...

სანდრო მეორე სართულზე აბრუნდა და კედელს მიყუდებული ვანუა დანახა, რომელიც მთელი გულისყურით დაშტერებოდა ხელის ზურგზე მოთხანნილ სისხლს, მერე კი თავი ძლივს ასწია და სანდროს ავად მიაჩერდა:

— ამისთვის წამამიყვანე?

— მიდი ეხლა, დაწეკი! — მკაცრად უთხრა სანდრომ.

— არა, ამისთვის წამამიყვანე? — უფრო სერიოზულად იკითხა ვანუამ.

გურამ დოჩანაშვილი  
ათასი წგრილმანი



— შენ გიყი ხომ არა ხარ, მე კი არა, თავაძემ გამოვაგზავნა აქ.

— არა, მე შენ გეკითხები, ამისთვის წამამიყვანე? — საკმაოდ გამომწვევად ჰკითხა ვანუამ და სანდრომ იგრძნო, რომ ცოტაც და გაარტყამდა. თითები აუკანკალდა და ალბათ ძალიან შეეცვალა სახე, რადგან ვანუაც კი მიხვდა ამას და შერიგებით იკითხა:

— რატომ წამომიყვანე, სანდრო, ცოდო არა ვარ...

— დაწეი ახლა და დაიძინე! — ხმაში სუსხი დაეტყო სანდროს.

— ესე? — წამოწვა ლოგინზე ვანუა.

— ჯერ გაიხადე.

ვანუა წამოჯდა და ფეხსაცმელისაკენ დაიხარა, მაგრამ თავმა დასძლია და ბრავანე მოადინა. რადიი თავი მიღო იატაკზე, იქვე დაეძინა და სანდრომ ძლივს ასწია, მხოლოდ ფეხსაცმელი გახადა, საბანი გადაახურა. სივარტეს მოუკიდა და ისევ ქვემოთ ჩავიდა.

— თუ მართლა უმსგავსი რამ იკადრა, ხვალ ბოდიშს მოვანდევინებ, — უთხრა მიხაკოს, — თუ არა და...

— იცი, რა მითხრა? — მიმოიხედა მიხაკომ, — იცი? მაგან... მაგან ისეთი რამე მითხრა... ბოდიშს ვიხდი ქალბატონ ტასიასთან, ჩემი დასავითაა მაგი, მაგრამ პირდაპირ მითხრა, რომ... წარმოვიდგენია, რა მითხრა? მაგას როგორ მოვითმენდი, ბრანზიანად მითხრა, მე კი ახლა, აი ახლა, კაი გულით გიყვებით და მაინც ძლივს ვთქვი...

— რა ვითხრა, რა?...

— აბა?! სწორედ მასე მითხრა... — დაეთანხმა მიხაკო.

— თქვენი ჭირიმი, თქვენი ჭირიმი, — ივიორებდა მკერდზე მუჭებშიხუტებულ დიასახლისი, — კილო კაი, ერასტოს დაეძინა, თორემ... აჰ, აჰ, მტრისას!

— აბა? — დაეთანხმა უცნობი.

— მარა თქვენისთანა ადამიანი არ შემეხვედრია ჯერ! — აღტაცებით შეხედა მიხაკომ, — ერთხელ ვნახე მარა უმცროს ძმასავით მიყვარხარ, შენი ჭირიმი, შენი, მოდი გაკოცო! — და ისე მოულოდნელად ეძგერა, სანდრომ ავჯერად ვერ მოასწრო პირიდან ანთებული

პაპიროსის გამოღება. მიხაკო უკან გაქცა, ტა, გაკვირვებულნი. დასამახსოვრებელი სურათი იყო — მიხაკო დამწვარ ტუჩებს ენით ილოკავდა და უშნოდ იჯლანებოდა, სანდრომ კი ხელისგული მიიღო შავად მოთითხნილ ლოყაზე და გამწარებულმა გაიფიქრა:

„რა ვიციო, მაინც, ამ ქართველებმა პირზე კოცნა?!

ერთ ხანს კი მოინდომა დაძინება (ლოგინში ჩაწვა და თვალები დახუჭა), მაგრამ ვადღაიფიქრა — თთახში არ დაიდგომებოდა, სპირტის ისეთი ბული იდგა. სანდრომ საბანი წაიფარა თავზე, მაგრამ პატარა ხანში იქაც შეიპარა ის აუტანელი სუნი და გაბრაზებული წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ეზოში გავიდა. ყველას ეძინა, მთელი სოფელი ჩაბნელებული იყო, ალბათ სინათლე თუ გამორთეს. ეზოდან გავიდა, კარგახანს მიჩერებოდა სიბნელეს და როცა ოდნავ გამოიკვეთა გზა, ორღობეს გაუყვა. ორიოდ სახლი ჩამოიტოვა და მიმოიხედა — სოფელი აქ თავდებოდა. მაინც გაუდგა გზას; ცოტათი საშინო კი იყო ამ შუალამისას უცხო ადგილებში სიარული, მაგრამ სწორედ ეს შინში უცნაურ სიამოვნებას ჰგვრიდა. ისიც სიამოვნებდა, დატკეპნილ თოვლზე რომ მიაბიჯებდა და გასამხნეველად თოვლი დააგუნდავა, ხელისგულეებში დაამრგვალა. მაგრად მოიქნია მარჯვენა, სადღაც შორს ისროლა გუნდა და უეცრად შედგა — შუალამისას ამ მიყრუებულ გზაზე მანქანას რა უნდოდა, მაგრამ მაინც ჩამოიარა.

სოფლიდან მოშორებით, უცხო ადგილას, მარტოდმარტოს, ძლიერი სინათლე ეძგერა და თვალები მოაჭუტინა. ჯერ ძალიან შორს გამოჩნდა და თითქოს სათამაშო მანქანასავით დაეშვა თავდადმართში, მაგრამ მის დინჯ მოძრაობაში ნამდვილი მანქანის სიმძიმე იგრძნობოდა. მოსახვევებში მკვეთრი სინათლე მოულოდნელად წაეპოტინებოდა შორეულ მთებს და მერე ისევ გზაზე დაეზვინებოდა ხოლმე. მანქანა დინჯად, ხაზგას-

მული გულგრილობით მოდიოდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საბაბიციკმული ძაღლების ყეფას და გზისპირა ლოდებს, რომელთა ჩრდილებიც სინათლის მოახლოებისთანავე წა-მოიშართებოდნენ და მძიმე საბურავებ-ქვეშ უვარდებოდნენ მანქანას, თვით ლოდები კი უძრავად ეყარნენ მისჯილ ადგილებზე. და როცა მანქანა მიუახლოვდა და მძღოლი, საცა იყო, დინახავდა, სანდრომ გადაწყვიტა ხეს ამო-ურარებოდა, მაგრამ მერე გაბრაზდა — „რატომ, რისთვის?“ და გუნზე გადავაფეხი, მაგრად დაეყრდნო თოვლით და-ფარულ მიწას. მანქანამ კი თავით ფეხ-ამდე გაანათა, მაგრად მიიბჯინა ორივე აბრდღვიანებული თვალი და მერე ნე-ლა, მძიმედ გასცდა. სანდრომ თვალი გააყოლა და ამ კუნაპეტ ღამეში აბზი-ნებული თოვლის დანახვა ეუცნაურა. ისევე რომ დაბნელდა ყველგან, სოფ-ლისკენ გაემართა, მანქანის ძლიერი გუ-გუნით ღონემოკრეფილი. რომ არ შეშინებოდა, ცდილობდა შორიდან დაენახა თავისი თავი, ასე პატარა და უმნიშვნელო ამ უზარმაზარ ღამეში; ცდილობდა, სასაცილოდაც კი მოჩვენებოდა. რომ ასეთ პატარა არსებას შეშინებოდა კიდევ. მაგრამ ეს ძნელი იყო: რაც უნდა შორიდან მოეკრა თვალი საკუთარი თავისათვის, მაინც მაშინვე მისკენ მი-ილტვოდა და ეს ორი სხეული—მიმავა-ლი და მოთვალთვალე, საოცარი სიზუს-ტით ჯდებოდა ერთმანეთში.

ვანუა ექვს საათზე გააღვიძა. კარგა-ხანს ეჯავჯავრა, სანამ თვალი გაახელი-ნა. პირზე წყალი შეისხეს და უმძრახად გაუღვნენ გზას. ვანუა ბუნდოვნად ხედებოდა, იმ ღამით რაღაცა რომ და-აშავა, საშინლად აინტერესებდა კილ-ეც — რა, მაგრამ შეკითხვებისაგან მა-ინც თავს იკავებდა და საჭეს გაბრუე-ბული ატრიალებდა, სანდროს კი ერთი სული ჰქონდა, როდის მიხვლიდა პირში ყველაფერს. მერე მიხვდა, ვანუა მაინც რომ არ იყო დამლაპარაკებელი და უცებ ძალიან ხმამაღლა გამოუვიდა:

— არა, თუ გახსოვს, გუშინ რა ჩაი-დინე!

— ჰა? — პირი გააღო ვანუამ.

— რა და... არა, შენ თუ იცი, რა ჩაიდინე?

— რა ჩაივინე, რა...

დიდი ოღროზოდრო დაღმართი იყო და ჩაფიქრებული, მკაცრი სახეებით ძალიან არაბუნებრივად ხტოდნენ და დროდადრო კაბინის სახურავს თავს ურტყამდნენ.

— რა და... რომ იცოდე, რა სიტყვები უთხარი იმ მიხაკოს.

— რა უთხარი...

— ისეთი სიტყვები ვითქვამს, ისე-თი... — და გაიფიქრა — „მართლა, მა-ინც რა უთხრა ნეტა იმ მიხაკოს, ჰა?“

— რა მიტომს, რა... — შეევედრა ვანუა.

— რა და სანამ მიამბობდა, ბოდიშიც კი მოიხდა.

— ვაჰ. ეგეთ სიტყვებს მე რათ ვიტყვო.

— მე რა ვიცი რად...

დიდ გზაზე რომ გავიდნენ, ვანუამ საოცრად მოიწყინა. სანდრომ ერთხანს მალულად აათვალიერა და თუმცა კარ-გად ვერ ხედავდა მის სახეს, ეღანაშა-ულა, ასე რომ დაადარდიანა. ბუნებრივ წესიერი, პატიოსანი კაცი იყო დიდმე-ლი ვანუა და ამიტომ სინდისი ქეჭნიდა, მაგრამ რაღაც აუხსნელი სიჯიუტე აიძუ-ლებდა, სიტყვიერად არ გამოეხატა თავისი წუხილი და ეს ორმაგად სტანჯავ-და. სანდროც ცოტათი კეთილი ბაჭი იყო და კინაღამ დაიწვა იმისი საცოდა-ობით.

— ისე სულ იმათი ბრალია... გავე-თებულ ღვინოს რომ გაძალღებდნენ, ჭკუა სადა ჰქონდით, — ეგ ღვინო ვაღარეც კაცს... აბა, ნამდვილი ღვინო როდის იყო, აღამიანს რომ აგვიყება.

— ეჰ... — თქვა ვანუამ.

ვათენებამდე შორს აღარ იყო, მაგრამ ჯერ ისევე ბნელოდა. რაღაც უცნაური სისინი ესმოდა ბუნდოვნად და გზისპი-რას ატორტმანებული ხე რომ დაინახა,

**გურამ დოჩანაშვილი**  
ათასი წგრილმანი

გაოცდა — „ოჰ, რა მაგარი ქარი ყოფილა“...

მერე თოვდა; თეთრი ნამცეცები განათებულ ზოლში ირეოდა და ქარით ძალამოცემული, ისე ენარცხებოდა კაბინის მინას, სანდრო უნებურად თვალს ხუჭავდა, მაგრამ ჩქარა შეეჩვია. გულმა ევლარ მოუთმინა და სრულიად უშიშეზოდ მანქანა გააჩერებინა ვანუსა. მაშინვე ყელში ეტაკა ქარი, კაბინის კარს ხელი ჰკრა, მიაჯახუნა და სახეზე ალაგ-ალაგ დაადნა რამდენიმე ფიფქი, დამწვარ ლოყაზედაც მოხვდა და ესიამოვნა. უცნაურად გახალისდა, თითქოს მთელი ღამე თეთრად არ გაეთენებინა. ზურგი შეაქცია ქარს და მაშინვე რამდენიმე ნაბიჯი ძალაუვნებურად გადადგა. ისე ძალიან ქროდა. ასე რომ ვაგრძელებულიყო, დაუსრულებლად ივლიდა, მაგრამ ქარმა სული მოითქვა თითქოს და სანდროც წყელში გაიმართა. მერე ისევ დაუბერა და უკან გადაიხარა. ერთიანად მიეყრდნო ქარს და გაოცებულმა ზემოთ აიხედა — ორ აჩონჩხილ ბოძს შორის გაბმულ სქელ მავთულებს უემამფოთებლად ახუზუნებდა ქარი. დროდადრო ძლიერი, და თანაც დაწვრილებული სისინი ისმოდა — თითქოს უზარმაზარ წვეკლას ურტყამდნენ ღამეს... მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან პნელიოდა.

● ვანუსა თავი დაედო საჭეზე და ეჭინა თუ დარდობდა, კაცი ვერ გაიგებდა. მანქანა კარგახანს იდგა ვაგზალთან, სანამ მატარებელი გამოჩნდებოდა. მემანქანემ ნელა, მშვენივრად შემოიყვანა მატარებელი პირველ ხაზზე და პროექტორი გამოართო. მატარებელი რომ გაჩერდა, ჩუმმა უღრიალმა დაგუბებული სურვილივით ჩამოუარა ვაგონებს და სანდრომ თვალი მოჰკრა ტოპოგრაფს — ორმეტრიანი ლარტყა ფრთხილად გამოაძვრინა ვაგონიდან და, სანამ ასფალტზე ფეხს დადგამდა, უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდა და ვაგზალსა და ახლომდებარე მიდამოს დაუწყყო თვალიერება.

— მიდი, კაცო, რას გაჩერდი ხარ. — ზურგში ხელი წაჰკრა ვილიცამ.

ტოპოგრაფი ჩამოხტა და გრძელპალტოიან აყლაყულას ახედა:

— კი მაგრამ, რა არის, არ შეიძლება, რომ აღამიანმა... ა?

— მიდი, ბიძიკო, მიდი... — დაუყვავა ახნახმა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი დაყვავება იყო.

— ვაჰ, ეს რანაირი ხალხი ყოფილა, — ჩაიბუზღუნა ტოპოგრაფმა.

— ხალხს მოგცემ მე შენ, ვინაა შენი ხალხი! — ბერე ახმახი ხუმრობის, გუნებაზე დადგა: — მაგ შენი ხმლის კი არ მეშინია მე...

— ეს არ ვახლავთ ხმალი, — თქვა ტოპოგრაფმა და ლარტყას მზრუნველად ახედა.

— არა, მართლა? ყველაფერს გაფიცებ...

— კაცო, — ჩაერია სანდრო, — აქეთ გამოიხედე, ქალები, ქალები სად არიან?

— რა ვიცი, — გაიკვირვა ტოპოგრაფმა, — შენ არ მითხარი, სხვა ვაგონში იქნებიანო... რა უზრდელი იყო...

ორჯერ ჩამოურბინა მატარებელს, მაგრამ მარგო, მაყვალა და თინა არსად ჩანდნენ. მერე № 6 ვაგონის ჩაფიქრებულ გამყოლთან მიიბრინა და ჰკითხა:

— ბოდიში, რბილი სად არის?

— ბოლოში.

სანდრო ვაგონში შევიდა, ტოპოგრაფი კი ქვემოთ დარჩა. რამდენიმე კუბეში შეიხედა და უცებ გამრა: მარგო სარკეში იყურებოდა, მაყვალას კი ნაწინავები გაშალა და არხეინად ივარცხნილა თმას.

— წავა, წავა მატარებელი! — იყვირა სანდრომ.

— ოჰ, გამარჯობა სანდრო, გამარჯობა, როგორა ხარ? იცი, ჩვენ დაგვეძინა...

— წავა, წავა! თინა სადღაა?

— ჰი-ჰი! — თავი გვერდზე გადასწია მაყვალამ და კეკლუცად გაუღიმა, — ერთ ადგილას.

„ არა, ნაღდად გადარეულან...“ —

გაიფიქრა სანდრომ, — წამოდით, წამოდით ჩქარა!..

გასასვლელისაკენ გაემართნენ, ყელზე პირსახოც შემოხვეული თინა ღიმილით მიესალმა სანდროს და თავი დაიქინია თუ არა, მატარებელიც დაიძრა.

— სანდრო, სანდრო! — იყვირა ტობოგრაფმა.

— ჰო, ჰო! — გაეპასუხა და ქალებს უთხრა, — აბა, ჩახტიო, ჯერ ნელა მიდის, მე მოგეშველებით.

მაყვალა ტობოგრაფს მხარზე დაეყრდნო და ერთი ორჯერ თითქოს დააპირა ჩახტომ, მაგრამ ვაგონის სახელურს არასგზით არ უშვებდა ხელს და ისე, რა თქმა უნდა, ვერ ჩახტებოდა. ამასობაში მატარებელმა სიჩქარეს უმატა და გამწარებული სანდრო სათადარიგო მუხრუქს ეტაკა. რაღაცა შიშინისდამავარი კი ვაისმა, მაგრამ მატარებელს სვლა არ შეუწელებია. ამასობაში ქალებმა სამივე ჩანთა ტობოგრაფს მიაჩქრეს რატომღაც და, რადგან მაყვალა ვერ ჩახტა, აკისკისდნენ.

ტობოგრაფი პირველად ხედავდა ამ აღტაცებულ ქალებს, მატარებელს მისდევდა და გაკვირებული მისჩერებოდა. მერე კი, როცა დაიწმუნდა, სანდრო და ქალები ვეღარ ჩახტებოდნენ, დანადგლიანებული, დაეჭვებული შეაცქერდა სანდროს და ცრემლმომდგარი თვალებით ამეტყველდა: „რას მიშვრები... მღუპავ? მტოვებ, ხომ, შე უსინდისო, ამ უცხო ქალაქში“...

სანდროც გაოგნებული მისჩერებოდა, მერე კი მატარებელმა ტობოგრაფი ჩამოიტოვა. სანდროს ისევ თვალწინ ედგა იგი, სამი ჩანთითა და ლარტყით ხელში მარტო, მაყვალა და თინა უზომოდ გახარებულნი იყვნენ — ამდაგვარი რამ ჯერ არ შემთხვეოდათ და ყოველივე ეს მათთვის რაღაც რომანტიკისდაგვარი იყო. მშვენიერ გუნება-განწყობაზე დადგნენ, სანდრო კი საშინლად ნანობდა, რატომ არ უთხრა ტობოგრაფს, სადგურთან მათი მანქანა რომ იდგა: „ვაითუ ვერ მიხვდეს... არადა, სად წავა? თუმცა, გავიხედე და დაკრას

ფეხი გაბრაზებულმა და თბილისში დაბრუნდეს?“..

— მეორე გაჩერებაზე სექცია დაგზიდებით და იმას წამოყვებით უკან... — ურჩია ვიღაცა კეთილმა კაცმა.

— მართლა? რა კარგია, რა კარგი! — ტაში შემოჰკრეს ქალებმა, სანდრო კი მოიღუშა და ხმას აღარ იღებდა.

სექციაზე რომ გადასხდნენ, სანდრომ თვალი მოავლო ვაგონს და არ ესიამოვნა — ნაქორწილარი, ადგზნებული ხალხი ყაყანებდა და მოუერიდებლად ათვალეირებდნენ ახლად ამოსულებს. ერთმა კაცმა ხომ სულ თვალებით შეჭაბა მაყვალა — მარჯვენა ხელში ქოლგაავიოთ ამყად ეჭირა ჯოხზე წამოცმული გოჭის თავი, საექვოდ ბარბაცებდა და ასე უყურებდა მაყვალას. მარჯომ აიღო და რაღაცა უჩუჩრჩულა მაყვალას, თან იმ კაცს უყურებდა. კაცი გაიმართა და ამაყად შეხედა. გოჭის თავს — საბუთივით რომ ეჭირა ხელში.

მარჯომ და მაყვალამ გაიციინეს, თინამაც, რა თქმა უნდა, გაიციინა.

— ბოდიში, რომელი საათია, ხომ ვერ შეტყვიო? — ჰკითხა სანდროს კაცმა. სანდრომ ცოვად ახედ-დახედა და პერე უთხრა, რვა ხდებო.

— აჰ, მეტი არაა? უჰ... ეგება ჩამორჩა თქვენი საათი და ბოდიში, ქალბატონო, თქვენთანაც ასეა? — მარგოს მიუბრუნდა.

— კი, კი. კაცი ახლა მაყვალას მიუტრიალდა და უთხრა:

— თქვენ ალბათ ჩამოსულები ჰრძანდებით, წამოზრძანდით ჩემთან, დაისვენებთ, მოისვენებთ, წავისაუზმოთ პატარა, ჩვენ დავურტყამთ კიდევ, — სანდროს შეხედა.

— გამდლობთ, არ გვიინდა.

— რატომ, შე კაცო, ქართველები არ ვართ? ჩვენ თუ ერთმანეთს ვერ ვცემთ პატივს, აღარ ყოფილა ამ ქვეყანაზე არაფერი და ისაა.

— თავე გამანებე!

— რა?

**გურამ დოჩინაშვილი**  
ათასი წვრილმანი



— რა და, გადი აქედან, თავი გამანე-  
ბე, — უთხრა სანდრომ და თვალბში  
ისე შეხვდა, კაცს პირზე შეამრა ღიმი-  
ლი.

დაბაში რომ ჩავიდნენ, სანდროს კი-  
დე ერთხელ რეჩხი უყო გულმა — მან-  
ქანა აღარ იდგა. არც ტობოგრაფი ჩან-  
და, „ნეტავ სად წავიდნენ? ან იპოვნეს  
კია ერთმანეთი? ალბათ მატარებელს  
თუ გამოედევნენ...“

და უცებ მიხვდა, რომ მეტის ატანა  
აღარ შეეძლო. ერთიანად მოეშვა, გა-  
ოგნდა, აჟრიაშულელებული ქალები მო-  
საცდელ დარბაზში დატოვა და იქ მი-  
ვიდა, სადაც ერთ დროს მანქანა იდგა და  
ვანუას გამოჩენას დაელოდა. ეინჯღლავე-  
და. ერთ ხანს თითქოს გათენდა. მაგ-  
რამ მერე ჩამოიჭუფრა და ახლა ისევ  
ბინდ-ბუნდი იდგა. სანდროს ირველივ  
ხალხი იყო, მშვიდად ელოდნენ ავტო-  
ბუსს, ხანდახან ფეხს თუ მოინაცვლებ-  
დნენ, ეს იყო და ეს.

ერთ ხანს გაბრუნებული რომ იდგა  
სანდრო, თითქოს დაისვენა, მერე კი  
ყველაფერი ნელ-ნელა წამოუტივტივდა  
თვალწინ, ამ სამი დღის წვალება — ბუ-  
ღალტერი, ტობოგრაფის ფული. შალი-  
კო, ტროლეიბუსში გაცნობილი გო-  
გო... ისევ ბუღალტერი, ისევ ტობოგ-  
რაფი, ბაზარი, მწე... მანქანის დატვირ-  
თვა, ნისლიანი გზა, წვიმა, უკუნეთი,  
„საცდელი“... ბარგის გადმოტვირთვა,  
დასპირტული ღვინო, ვაკეითილი სად-  
ღეგრძელოები, ჩხუბი, მიხაკოს ცეცხ-  
ლოვანი კოცნა... უძილო ღამე, თმავაშ-  
ლილი მაყვალა, სარკეში მომზირალი  
მარგო... თინა, ყელზე პირსახოცმომოხ-  
ვეული... მუხრუჭის ამო შიშინი. ტო-  
პოგრაფის იდიოტური ლარტყა... მო-  
კისკისე ქალები... მთვრალი კაცი, ხელ-  
ში გოჭის თავი რომ ეჭირა.

მრისხანებამ მუშტებად შეუტრა თი-  
თები, ერთიანად დიძაბა; ამ წვრილ,  
მომბაზრებელ წვიმაში მაინც რალაც-  
ნაირად უსუსურად გრძნობდა თავს,  
არადა, ერთი დაღრიალება ყველაფერს  
ერთია — ოდნავ მაინც იჭერებდა გულს.  
აუტანელი, ერთიდაიგივე წრეები იშლე-  
ბოდა გუბებში და თანდათანობით უფ-

რო ატორტმანდა წყალი. ცას ახედო, ცა-  
სახით იგრძნო, წვიმამ რომ იმატა, მისი  
ხი იქვე, მოპირდაპირე ფარდულთან გა-  
დავიდა და იქ შეეფარნენ წვიმას — ჯერ  
მსუქანი, დონდლო ქალი გაეშვა, მერე  
ფაფხინიანი კაცი, მერე ვიღაცა გამხდარ-  
რი, სათვალისანი, მერე პატარა გოგო,  
უზარმაზარი ჩანთით ხელში, სხვებიც  
მიპყვნენ...

გამწარებული სანდრო ისევ ადვალზე  
იდგა და გრძნობდა, როგორ უსველდე-  
ბოდა ფეხი. ახლა მისთვის სულერთი  
იყო, დასველდებოდა თუ არა; ბრაზით  
გონებაამღვრეულს, აღარაფერი სურდა,  
მაგრამ ერთადერთი კაცი, წვიმაში რომ  
დარჩა, მაინც შეათვლიერა. ეს იყო  
ასე, ორმოცდაათი წლის უხეში, ძვალ-  
მსხვილა კაცი, ღამის დარაჯი, რომე-  
ლიც თავისი სოფლის ავტობუსს ელო-  
და; შეცივებული, საოცრად სუსხინი ღა-  
მის შემდეგ გუნებამომხამული კაცი უპ-  
რავად იდგა და ახლა მისთვისაც სულ-  
ერთი იყო, დასველდებოდა თუ არა;  
წარბები მოეჭმუნა და გაბოროტებული  
შესცქეროდა ფარდულის სახურავქვეშ  
შეყუთულ ხალხს. მერე მზერავაშტე-  
რებულ სანდროსაც ბრაზიანად შეხვდა,  
მაგრამ სანდროს თვალში არ დაუხამხა-  
მებია. კაცმა ზურგი შეაქცია, თუმცა  
სანდრო მისი სახის დანახვისას ბუნდოვ-  
ნად მიხვდა რალაცას და თითქოს გულ-  
ზე მოეშვა. დაფიქრებული შესცქერო-  
და ზურგმშექცეულ კაცს და მშვენიერად  
ახსოვდა მისი სველი, გაუპარსავი სახე,  
უბეებში ჩამდგარი ჩრდილებით, მოკუ-  
მული ტუჩები, დაბერილი ყვრიმაღე-  
ბიც გაიხსენა და მიხვდა, თვითონაც რომ  
ასე გამოიყურებოდა და მამინევე მოუ-  
დუნდა დაჭიმული სახის ნაკვთები. უც-  
ნაური შვება იგრძნო და იმწამავე  
თვალწინ წარმოუდგა ტობოგრაფის გა-  
ვირვებული, საყვედურით აღსავსე თვა-  
ლები, მისი ცრუ ეჭვები და გაედიმა.  
მერე ის ნაქორწილარი თამადა გაახსენ-  
და, ამაყად რომ ეკავა გოჭისთავიანი ჯო-  
ხი და ჩაიცინა კიდევ; იცოდა, ხალხი  
რომ უთვალთვალდება და ასე მარტო-  
ხელად სიცილი რამეში არ ჩამომართვა-  
ნო, გაიფიქრა; თავი რომ შეეკავებინა,

გაიარ-გამოიარა, ამასობაში ის კაციც შემოტრიალდა და მკაცრად მიაჩერდა. სანდრომ ისევ აათვალიერა და მიხვდა, რომ ის კაცი ძალიან ცუდებოდა და ისე ფართოდ გაუღიმა, საბოლოოდ მოსცლოდა ყოველგვარი სევდა და პრაზა. კაცმა ზიზღით იქცია პირი, სანდრო ერთხანს გაუბედავად იდგა, მერე კი, თათვის სიმართლეში დარწმუნებულმა რამდენიმე ნაბიჯი გადაადგა და წამოძახილით: „ჰე, ჰე“, კაცს მხარზე ხელი დაჰკრა. იმან ბრაზით ანთებული თვალები მიაბჯინა, სანდრომ კი გულიანად, ხმამაღლა გაუცინა. იგი იცინოდა იმაზე, რომ სისულელეა შალიკოსთანა კაცს მოერიდო, რომ ტობოგრაფისთანა კაცმა თავი მოგაბეზროს... რომ ბაზარში აუარება ხალხი ყოველთვის ირევა და ორი მთვრალიც თუ იჩხუბებს, ეგეც არაფერი... ახლა, შეზარხოშებულ კაცს მაყვალასავით მკერდსავე ქალი თუ მოეწონა, დიდი ამბავი... ჩექმაში წყალი რომ შედის, არც ამით დაიქცევა ქვეყანა და ღამის გატეხაც, ხანდახან, ნაღდად კარგია...

კაცი განრისხებული შეჰყურებდა და რაღაცა მეტისმეტის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ არ შეიძლებოდა ასე გულიანად მომცინარი ადამიანის გაჩერება და პირზე შეაშრა სათქმელი...

„გივია თუ რა“, უმწეოდ გაიფიქრა და საბურავებზე მოკალათებულ ხალხს შეხედა. ისინიც გაკვირვებულნი შესტყეროდნენ სანდროს — დონდლო ქალი გაცეხული, ტუჩებზე ხელისგულაფარებული... ფაფახიანი კაცი წარბებაწეული, სულელური გამომეტყველებით, თითქოს ფოტოაპარატის წინ ზისო... გამხდარმა კაცმა ახლახან დააოროთქლა სათვალეს, გაწმინდა და, მაინც სათვალის

ზემოდან, მკერდზე ნიკაბდაბჯენილ მისჩერებოდა სანდროს...

გაცეხული ხალხის დანახვაზე კაცი ისევ განრისხდა და ბრაზისაგან აცახცახებული მიუტრიალდა სანდროს, მაგრამ მისი სიცილის დანახვისთანავე რაღაც გაებზარა სახეში და კარგად დაუკვირდა — არა, ეს არა ჰგავდა გონებააოღერელის სიცილს, რომელიც ყოველთვის საზარელი ბგერებითა გაჟღენთილი; ეს იყო გაუგებარი, მაგრამ მისაღები სიმართლე, რომელიც თითქოს მასაც სჭირდებოდა ახლა და კაცმაც გაიღიმა — სულ რომ არაფერი, მთქნარებასავით გადამდებია ხანდახან სიცილი...

ხალხი ისევ გაკვირვებით შესტყეროდა მათ. სანდრომ კი, როცა სიცილში ის გატანჯული კაციც აიყოლია, უცებ ხალხისაკენ გაიშვირა თითი და უფრო მომეტებულად ახარხარდა. ფარდულს შეფარებულებმა იუკადრისეს მისი საქციელი და პირი იბრუნეს — ზოგი სადგურისაკენ იხედებოდა, ამიშინებულ ორთქლმავალსა და განინთულ ბორბლებს მიაჩერდნენ, სხვებმა კი ნისლით დაფარული, გაუჩინარებული მთებისაკენ იქციეს პირი, მაგრამ ვერც ერთნი და ვერც მეორენი ვეღარაფერს ხედავდნენ — იმათ შეურაცხყოფად ეღვრებოდათ ყურებში სანდროს ახირებული სიცილი და ცდილობდნენ, როგორმე ამაყად და ღირსეულად დაეკვირათ თავი; მხოლოდ ერთადერთი ბავშვი, დიდი ჩანთით ხელში, ინტერესით მისჩერებოდა მათ; მან ჯერ არ იცოდა, რისთვის იყო საჭირო ეს უგუნური სიამაყე და პირდაღებული ათვალიერება იმ თავსხმაში ახარხარებულ ყმაწვილსა და მუხანის კაცს, რომელიც იმ ყმაწვილს მოხიბლული შესტყეროდა და, რაღაცას მიმხვდარი, უილაჯოდ იღიმებოდა.



## ბესარიონ ნიჟარაძის საფლავი უ უ მ ჳ უ ლ უ ი

თავისუფალი ბალახი,  
თავისუფალი ნაძვი,  
თავისუფალი ენგური,  
თავისუფალი წვიმა,

ლილეოს გადამღერება  
მზეთა შემოსვლის წინა,

თავისუფალი თეთნულდი,  
რომელიც თეთრად ბრწყინავს.

თავისუფალი ქარი  
და ვარსკვლავების წვიმა,  
თავისუფალი სვანი,  
რომელსაც ტკბილად სძინავს...



ბალახმრავალო და ბალახრძიანო,  
ნადირმრავალო და მჟავეწყლიანო,  
მთამრავალო და თეთრთოვლიანო,  
მიწაო ჯიხმრავალო.

მე ექოსავით გავჩნდები შენთან,  
რადგან მეძახი,  
რადგან მეძახი და შენი ხმა ქუჩებში  
რეკავს,

რადგან თოვლისფერ მურყვამებში შიშობს  
კერაი  
დაკარგვას ჩემსას.

ყველაზე მაღალო  
და ყველაზე ლამაზო,  
ლამაზო მიწაო,  
მე ექოსავით გავჩნდები შენთან...



ჩაფრასტალ! მიხდებოდა მე,  
სგიმიც მიხდებოდა ძალიან,  
ჯიხვივით ვეწაფებოდი სგიმს,  
ახლა მანდ აგვისტო და მთვარეა.

ტყის მარწყვიც მიხდებოდა მე,  
შენს ჩურჩულს მე ადვილად მივხვდები,  
— სვანეთი გიხდება შენ,  
გიხდება, გიხდება, გიხდება.

ნაძვებში ახლა ალბათ წვიმს  
და მინდა მანდ უფრო მეტად,

— სი ხოჩა დინა ხი, სი,<sup>2</sup> —  
ასე ვილა მეტყვის ნეტავ.


სხვა არის აწინდელი გზა,  
სხვა არის აწინდელი მზერა,  
მე მინდა, რომ შენ ისევ თქვა:  
— ჩამოდი, მიშგულადალ,<sup>3</sup> მზეა.

ჩაფრასტალ ხომ გიხდება შენ,  
სგიმიც ხომ გიხდება ძალიან,  
სვანეთი ხომ გიხდება შენ,  
ჩამოდი, გეხვეწები ძალიან...

1 გულმკერდის სამკაული  
2 შენ კარგი გოგო ხარ, შენ

3 საალერსო სიტყვა (ჩემი დღე შენ).





## ბ ზ ი ს ბ უ რ ქ ი

გიორგი შაბაძის ილუსტრაციები

მამიდაჩემი მასწავლებელი იყო. თმის დროს ჩვენ სკოლაში ინგლისურსა და ფრანგულს ასწავლიდა. როცა ვესტუმრებოდი (მამიდა ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა), რუსულად მესაუბრებოდა. რუსული კარგად არ ვიცოდი და ამიტომ მაინცდამაინც არ მიყვარდა მასთან სტუმრობა. ერთხელ მამიდამ მეზობელი გაქურდვას გადაარჩინა და მთელი ქუჩა ალაპარაკდა; ერთმა ქალმა სამი გასიებული ვაჟკაცი ისე შეაშინა, ალბათ ამის შემდეგ აღარც იქურ-

დებენო. ჩვენი მეზობელი ქირურგი მარტოხელა კაცი იყო და მთელ დღეს სისხამ დილიდან დაღამებამდე ჰოსპიტალში ატარებდა, დაჭრილ ჯარისკაცებს უვლიდა. იმ ქირურგის მამაც ქირურგი იყო. ბინა გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი, მეზობლებში ხმა იყო დარბეული, თქროცა აქვთო, მაგრამ ვერ ეპოვნათ ქურდებს თქრო. მამიდამ გვიან ამოიარა ქუჩაზე და ქირურგის ფანჯარაში დაინახა, როგორ ვაჰკრა ვიღაცამ ასანთი. მამიდამ იცოდა, ქირურგი

ამ დროს შინ არ იყო ხოლმე და სადარბაზოში შეეკარდა. ქირურგის ბინის კარი ღია დახვდა. მამიდა არ დაიბნა, ბინაში შევიდა და დაიძახა: ვინა ხართ აქო?! ქურდებს შეეშინდათ და გარეთ გამოცვივდნენ. მამიდა ერთ-ერთ მათგანს მოეკიდა. ქურდმა მოიქნია იდაყვი და მწარედ ჩაკრა მკერდში. ერთი თვის შემდეგ მამიდას მკერდი ატკივდა; ყოჩალი ქალი იყო და ყურადღება არ მიუქცევია.

როცა ომი დამთავრდა, მამიდაჩემს ქმარი და შვილი ერთ დღეს ჩამოუვიდა ფრონტიდან. ბიჭმა სწავლა განაგრძო, ქვარმა — მუშაობა.

ერთ დღეს მამიდა ადრე დაბრუნდა სასწავლებლიდან და ჩვენთან შემოიარა.

— ქირურგმა მითხრა, სიმსივნეაო!

— რას ამბობ! — გაფითრდა დეაჩემი.

— კვერცხის ოდენა. სასწრაფო ოპერაციაა საჭირო. ჩემ ბიჭს ნურაფერს ეტყვიო!

— რას ამბობ, ქალო!

— შენ რაღა მოგსვლია! — მკითხა მამიდამ.

— გრიპი მაქვს.

— წამლები იშოვნეთ? — ჰკითხა დეაჩემს მამიდამ.

— ამას კი ეშველება.. — წაიბუტბუტა დეამ.

— კარგი, ჰო, — თქვა მამიდამ, — ხვალ ვწვები.

— რას ამბობ?!

მამიდა სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

— ღმერთო, შენ გვიშველე!!

მამიდამ ოპერაცია გაიკეთა, ცოტახანს კარგად იყო, მაგრამ მალე ისევ ჩაწვა...

— ამბობენ, ავთვისებიანი იყოო! — უთხრა დედამ მამას, როცა მამა პარტიული კრებიდან გვიან დაბრუნდა.

მამა ცუდ ხასიათზე იყო (მამას საერთოდ არ უყვარდა ავადმყოფებთან სიარული. განსაკუთრებით ბავშვებია ავადმყოფობას ვერ იტანდა. მამიდასთან ძლიერ მივიყვანეთ).

— ვიცი. — თქვა მამამ სასოვნარკვე-  
აით და სამზარეულოსაკენ წავივიწყე

— გეძახის. — უთხრა დედამ და თვალი აარიდა.

მამა შემობრუნდა და კარი გაიჭახუნა. დედამ მანიშნა, გავყვეთო. მე მამას გამოვეკიდე.

მამიდა წყნარად იწვა თავის თეთრ ქათათა სუფთა ლოგინში. მამა რომ დაინახა, გაიღიმა და უთხრა:

— აბა, შენ იცი. ბიჭს მიმიხედე.

— კარგი ერთი... — რალაცნობიარდ თქვა მამამ, ასე მამა არასდროს ლაპარაკობდა.

— ეი, ბიჭო! — მიმიხმო მამიდამ.

მიუუახლოვდი. მამიდამ ხელი გამომიწოდა. მეც გავუწვდინე ხელი. მამიდამ მანიშნა, უფრო ახლოს მივსულიყავი და თავზე ხელი გადამისვა.

ჩემი მამიდაშვილი შინ არ იყო: სალამოს სწავლობდა, დღე კი მუშაობდა. მამიდაჩემის ქმარი სამზარეულოში იყო გასული, პაპიროსს პაპიროსზე ჭაჩავდა. მამიდას მშვიდი და ნათელი სახე ჰქონდა: გამიკვირდა, ამ ხალხს რა აწუხებს-მეთქი.

— ჩემ ბიჭს ნურაფერს ეტყვიო... — წაიჩურჩულა მამიდამ და... გაჩუმდა.

— ჩაეძინა. — ვუთხარი მამას.

— გადი ოთახიდან! — მიბრძანა მამამ. ამ დროს მამიდაშვილი შემოვარდა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღაც მშველელს ეძებდა და მერე ხამალალი ტირილით დეაჩემს ჩაეხვია...

ის იყო პირველი ღამე, რომელიც შინ არ გამითენებია. დედამ ნება დამართო, ჩემი მერხის ამხანაგთან დავრჩენილიყავი. სულმოუთქმელად გავიბრინე მანძილი ამხანაგის სახლამდე. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ძლიან მაინტერესებდა, რას მეტყოდა თანაკლასელი, როცა მამიდაჩემის სიკვდილის ამბავს შევატყობინებდი.

— რა მოხდა? — მკითხა ამხანაგმა.

— მამიდაჩემი მოკვდა.. — მე ძლიერ ვსუნთქავდი.

თანაკლასელი დაიბნა და არ იცოდა რა ეთქვა...

— არა უშავს, შვილო, დაწყნარდი,— მომიახლოვდა ამხანაგის დედა, — დიდები დავიხოცებთ, პატარები — დარჩებით...

გავეცოდი! ასეთი ამბავი მოხდა და... — დედამ იცის, რომ ამალამ ჩვენთან დარჩები? — მკითხა ისევ ამხანაგის დედამ და თავზე ხელი ვადამისვა.

რატომღაც იმ წამსვე, შეუვგებლად და მკვეთრად გავარჩიე ეს მოფერება მამიდაჩემის ალერსისაგან. მამიდამ რბილად და ფრთხილად მომიტათუნა ხელი; ამხანაგის დედამ კი თითქოს სხვათაშორის, თითქოს უხეშადაც კი. ვიცი, რომ ორვერ ხელს დედის გული ამოძრავებდა, მაგრამ განსხვავება მაინც ვიგრძენი. და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ვალდებული ვარ მახსოვდეს ეს ალერსი, დედის უნაზღა და უკანასკნელი ალერსი, მე რომ მერგო, რადგან მამიდაშვილი შინ არ იყო.

ჩვენს კლასში ყველას ერქვა ზედმეტი სახელი. ჩემს უკან „დიდთავა“ იჯდა. „დიდთავას“ მართლაც დიდი თავი ჰქონდა და მისი მონათვლა არ გაგვძნელებია. ცუდად სწავლობდა, თუმცა ხანდახან ოთხიანსაც გამოუტრევდა ხოლმე ჰუმანიტარულ საგნებში. ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრია ძალიან უჭირდა, ფიზიკა-ქიმიისა კი საერთოდ არაფერი გაეგებოდა. ვერ სწავლობდა, ვერ იმახსოვრებდა, არ ესმოდა და ამიტომ იზეპირებდა. მექანიკური დამახსოვრება დიდ ჯაფას მოითხოვდა. ბიჭები აბრაზებდნენ: თავი სულ გიდიდებდა და გიდიდებო. სინამდვილეში „დიდთავა“ წონაში იკლებდა, ხდებოდა და თითქოს პატარავდებოდა კიდევ. მერვე კლასში ძალიან იავადმყოფა, მაგრამ მესამე და მეოთხე მეოთხედებში იარა და მასწავლებლებმაც სამიანები დაუწერეს იმ პირობით, რომ სხვა სკოლაში გადავიდოდა. „დიდთავა“ სხვა სკოლაში არ გადავიდა. სამაგიეროდ, კერძო მასწავლებლები აიყვანა და მეცხრე კლასი შედარებით იოლად გაიარა. მეათე კლას-

ში ისევ ჩაწვა. მთელი ანგლობები და პატარა სექტრებიც კი, რომლებიც ჩვენს კლასში ახალი მასწავლებლის შემოსვლასთან დაკავშირებით თამამდებოდა, „დიდთავაზე“ იყო აგებული. ამიტომ, როცა „დიდთავა“ სკოლაში არ მოდიოდა, კლასი მოწყენილი იყო. „დიდთავამ“ პირველი და მეორე მეოთხედი გააცდინა. საახალწლო არდადეგებზე ვინახულეთ მთელმა კლასმა. ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ თვალები ჰქონდა ოდნავ გადმოქაჩული და თავი სტკიოდა, თუმცა თავის ტკივილზე არაფერი უთქვამს. ჩვენთან თავზე ლაპარაკს ერიდებოდა.

თერთმეტ იანვარს, სკოლაში რომ გამოცხადდით, პირველი გაკვეთილის ბოლოს კლასში დამრიგებელი შემოვიდა. თვალები ნამტირალევი ჰქონდა.

— დღეს დილით, შვიდ საათზე ანზორი (ასე ერქვა „დიდთავას“) გარდაიცვალა... — დამრიგებელს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ნიკაბი აუკანკაულდა. თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. ჩვენ ფეხზე წამოვდექით.

კლასში ფული შეგროვდა და გვირგვინი ვიყიდეთ. გასვენებაზე მთელი კლასი ერთად ვიყავით. დედამისი კიოდა, მამა კედელს თავს ურტყამდა.

„ბავშვს ათი წელია სიმსივნე ჰქონდა, — ლაპარაკობდნენ მეზობლები, — მშობლებმა იცოდნენ? იცოდნენ, რასაკვირველია!“

ათი წელი... სიკვდილის მოლოდინი... ალგებრა-გეომეტრია - ტრიგონომეტრია და სიკვდილის მოლოდინი. მასწავლებელთან სამიანზე ცხარე კამათი, შემდეგ თხოვნა, ხვეწნა-მუღარა და... სიკვდილის მოლოდინი...

ვერის ძველ სასაფლაოზე მივედი. ცხედარს მშობლები ძლივს აავლიჩეს, კუბოს სახურავი დააჭედეს და საფლაოში ჩაუშვეს.

„საწყალი, ეგ ერთი ვაჟი ჰყავდათ... რაღა ჯანდაბათ უნდათ ახლა ის ქონება,

თამაზ გოლდამიშვილი  
ზნის ზუჩაძე

მანქანა და აგარაკი... მზე და მთვარე  
მაგ ბიჭზე ამოსდიოდა... დაცარიელდა  
სახლი“.

— თითო მუტა მიწა მიაყარეთ, ბი-  
ჭებო. — გვთხოვა დამრიგებელმა.

მე დავიხარე, მატლიანი შავი მიწა ჩა-  
ვბლუჭე და საფლავში ჩავყარე. მერე  
ხელი გავიწმინდე და იქვე, მამიდაჩემის  
საფლავისაკენ წავედი. ვიღაცას საფ-  
ლავზე თეთრი ვარდები მოეტანა. ნეტავ  
სად იშოვეს ამ ზამთარში ასეთი თეთრი  
ვარდები?! ალბათ რძალმა... მაიბიდა-  
შვილმა დიდიხანია ცოლი შეირთო. არც  
ამათ დაუცარიელდებათ სახლი. რაღაცა  
მოხდება. დიდთავას სიყვარულსა და  
სევდას ვიღაცა გაინაწილებს.

მე და „დიდთავა“ ტოლები ვართ, ესე  
რავი, შეიძლება მეც მოვკვდე. კლასში  
ისევ შეგროვდება ფული გვირგვინისა-  
თვის და მეორე დღეს ალბათ ვიღაც მა-  
ინც მიიღებს ორიანს. მერე რა, რომ სა-  
საფლაოზე იყო და შინ როცა დაბრუნ-  
და, ვერაფრით ვერ დაატანა თავს ძალა  
ჯაკეთილებს ჩაჯდომოდა!

მე პირველად მომივიდა თავში ასეთი  
აზრები და გამოიკვირდა. ჩემი გრძნობე-  
ბი სიკვდილმა უხეში ხელით მისწი-  
მოსწია და ძალით ჩაეკვება მათ შორის.  
ახლა მას უკვე ჩვეულებრივად ველაპა-  
რაკებოდი.

შინ გვიან დავბრუნდი. არ მინდოდა  
შინ წასვლა. მთელი ქალაქი მოვიარე და,  
როცა ძალიან დავიღალე, ჩვენს ქუჩაზე  
აეღუწვიე. კარი მამამ გამიღო. გამიკვირ-  
და: მამა კარს არასოდეს აღებდა.

— შინ არავინ არის? — ვკითხე.

— სად იყავი ამდენ ხანს? — მკითხა  
მამამ და თავზე ხელი გადამისვა.

— არსად.

— ვერ მოგსვლიათ კარგი საქმე. სა-  
წყალი ბიჭი. — მამამ ახლა მხრებზე გა-  
დამისვა თავისი დიდი, მძიმე ხელი.

არც მანამ და არც მერე არ მახსოვს  
მამა მომფერებოდეს.

დედა სამზარეულოს კარიდან გვიყუ-  
რებდა.

„დაცარიელდა სახლი!“

● აი, ვდგავარ შენ საფლავთან, წმინდა  
კაცო! თუმცა, მოიცა, მუხლს მოვიყრი;  
არა, ჩამოვკვდები სადმე, რადგან შენ  
არაფრის გაზვიადება არ გიყვარდა; ჩა-  
მოვკვდები და ვისაუბროთ, მომენტარა  
შენი ხმა, შენთან ბაასი.

— „როცა რაიმეს ჰქმნი, გულით უნდა  
შეჰქმნა; თუ რაიმე გტკივა, მთელი სხე-  
ულით უნდა გტკიოდეს. არაფრის არ  
უნდა გეშინოდეს, წმინდა სულის პატ-  
რონს. მხოლოდ იმაზე იფიქრე, რაც გა-  
წუნებს. და თუ მნიშვნელოვანი რამ არ  
გაწუნებს, სჯობს დაისვენო და სხვებს  
დაუგლო ყური. ყოველთვის აღმოჩნდე-  
ბიან ადამიანები, რომელთაც ჭკეყნისა-  
თვის ზრუნვა მუშა-ფუტკარივით არც  
მოწყინდებათ და არც დაღლით. ეცადე  
მათგან ისწავლო და მათ რიგში ჩადგე-  
ხომ გესმის, რასაც აკეთებ?! ადამი-  
ანებს შენი მთავარი სული უნდა უჩვენო.  
სუფთა სული უნდა გქონდეს, ქათქა-  
თა. შენ გიყურებენ!“

აი, ვდგავარ შენ საფლავთან, წმინდა  
კაცო! ჭკეყნის პატრონი იყავი, ჭკეყ-  
ნის მზრუნველი, მე კი მარტო ვარ შენ  
საფლავთან, ნუთუ დავივიწყებს?! ნუთუ  
შეიძლება შენი დავიწყება!...

თეთრი ხალათი ეცვა, თავზე მრგვა-  
ლი ქუდი ეხურა.

— შემოდი, შემოდი, აი აქ ჩამო-  
ჯექ. — ღრმა სავარძელზე მიმითითა.  
სხვაგან ვერც დევჯდებოდი: ყველგან—  
მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე თუ სკამე-  
ბზე გვერდებში ახლადამოსული წიგნის  
ფურცლები დასტებდა ელაგა. მე ვერა  
ვჯდებოდი და ძალიან ვღელავდი.

ლონიერი იყო, კუნთებდა ასხმული;  
ენერგიულად, თუმცა ღინჯად და ნელა  
მოძრაობდა.

— დაჯე, კაცო, რო გეუბნები. —  
მითხრა და გამიღიმა. მკაცრი გარეგნობა  
ჰქონდა, გეგონებოდათ, საერთოდ არ  
იციინისო. მაგრამ გაიღიმებდა თუ არა,  
პატარა ბავშვივით გულუბრყვილო და  
მშობლიური ხდებოდა.

— რა გვარისა ხარ?

ვუთხარი.

— რა გქვია?

ვუთხარი.

— აი ხომ ხედავ, რამხელა წიგნის რედაქტორი ვარ, მაგრამ ნუ გეშინია. ორ კვირაში გამოიარე ან მე დაგირეკავ. ტელეფონი გაქვს?

მე ტელეფონის ნომერი ვუთხარი; ჩემს რვეულს დააწერა და ისევ გამილიმა. დიდი თვალები ჰქონდა, ბოჩოლასავით დიდი და წყლიანი. თვალები შორიდან შავი ფერისა უჩანდა, მაგრამ თუ მიუახლოვდებოდი, მუქი თაფლისფერისა აღმოჩნდებოდა. ტკბილი ხმა ჰქონდა. მას შემდეგ ბევრჯერ არ შევხვედრივარ, ყოველთვის ბევრი საქმე ჰქონდა და ვერიდებოდი. მაგრამ თუ შემთხვევით ერთ ოთახში აღმოვჩნდებოდი, იქიდან არ გამოვიდოდი, სანამ საუბარს არ მორჩებოდა. სანტერესო და მიმზიდველი საუბარი იყო.

ჩვენი პირველი საქმიანი შეხვედრა ჩემთვის ისე სასიხარულო იყო, მადლობაც არ მითქვამს, როცა წამოვედი.

ახლა მოვედი შენთან მადლობის საქმელად. მთელი გულით, მთელი შეგნებით, როგორც კი მესმის და როგორც მგონია, მადლობას გიხდი. ვთავისუფლებდი ამ ვალისაგან, რომელიც ვერ გადაგიხადე. თუმცა ერთხელ ვცადე. საავადმყოფოში არ შემომიშვეს. ექიმმა მითხრა, განძრევა და ლაპარაკი არ შეიძლებაო. მერე სხვებისგან გავიგე, როგორ გაველიმა, მოძრაობა საწოლშიც რომ ავიკრძალეს. ჯიუტი კაცია, ექიმებისა არა სჯერაო. რა უნდა დაგეჯერებინა, რომ მოკვდებოდი? რომ სხეულის ერთი განძრევა და სიკვდილი ერთი იყო? ამას როგორ დაიჯერებდი! ან როგორ შეიძლებოდა შენი სიკვდილი, როცა ამდენი საქმე გქონდა გასაკეთებელი! მოგებურდა გაუნძრევლად წოლა, მეთვალყურეებს შეხედე. შენიანები ღამისთევისაგან დაღლილები იყვნენ. ჰოდა, წამოდექი!

არ ვიცი ეს ასე იყო თუ არა. მე არც კუბოში მინახავხარ. ახლა კი აქ ვარ. ამ

ლოდის ქვეშ განისვენებს შენი ცხედარი. შენ ხომ ის კაცი ხარ, რომელმაც კარგად იცოდა გზა კლდე-ღრეებში მაღალ თოვლიან, სუფთა და მიულწვეკელ მწვერვალისაკენ. ახლა გზას ვინ მიმასწავლის, რჩევა ვის ვკითხო?! შენნაირად არავინ მაიმედებდა და დამცინოდა; შენნაირად არავინ მაცამტვერებდა და მამხნევებდა. მინდა შენ მოგბაძო ყველაფერში, მაგრამ რომ ვერ დაგიმასხოვრე! ვერ მოვასწარი შენი დამახსოვრება. ერთი იმედი მაქვს: შენ წიგნებში იშლება ის სათუთი ყვავილი, გამჭრიახი გონება და გამარჯე მარჯვენა, გაფაციცებით რომ ზრდიდა შენი მკაცრი და ოდნავ უხეში გამოხედვის მიღმა დაგუბებულ გამჭვირვალე, ქათქათა სულში. ამიტომ არ გეშინოდა არაფრის, სიკვდილისაც კი, რომელიც ფეხზე ადგომით დაჯაბნე.

აი ვლგავარ შენ საფლავთან, წმინდა კაცო! და ვგრძნობ მოდიან, მოდიან ბევრნი, ჩემზე დიდები და პატარები. ჩვენებურები და უცხოელნი და ჩემს გვერდით დგებიან.

„შენ ვიყურებენ!“

●  
მამაჩემი სამოცდაათხმეტი წლის მაღალი, ბეჭებანიერი, ახოვანი კაცი იყო. როცა ვესაუბრებოდი, ყოველთვის ვათვალიერებდი. ასე ვეფერებოდი, რადგან ახლოს არ მიკარებდა. იმ დღესაც ეზოში ვიდექით და ტელევიზიით ახლადგადმოცემულ ნარკვევებზე ვმსჯელობდი. მე რაღაცას ვუმტკიცებდი, ის არ მიჯერებდა. მერე შენ შესვლა გადაწყვიტა. ვუთხარი, გავისიერნებ და მალე მოვალ-მეთქი. ის-ის იყო ნაბიჯი უნდა გადამედგა, რომ კბილის კბილზე დაცემის ხმა შემომესმა. მოვბრუნდი... მამას უკვე შუშის თვალები ჰქონდა! მამას გახელილი, არაფრისთქმელი, თუმცა ოდნავ გაკვირვებული თვალები ჰქონდა. ტურნები გაჭიმვოდა და კაცს ეგონებოდა, ილიმებო. მე, თურმე,

თამაზ გოლაჩიშვილი  
ზნის ბუჩქი

დავიღრიალე... მამა ჩემსკენ გადმოქანდა. ვერ შევიკავე ეს მძიმე კაცი...

ჩემს ყვირილზე მეზობლები შეგროვდნენ. მამას ხელი დავავლეთ და შინ შევიტანეთ, ტახტზე დავასვენეთ.

მამა ცივდებოდა. მამა ნელ-ნელა ხელში მიცივდებოდა. მე გაფაციცებით ვეძებდი სიტოცხლის ნიშანს მის სხეულზე; მე სითბოს ვეძებდი. მამა ცივდებოდა და მხოლოდ ყელზე ორივე მხარეს საძილე არტერიებიდა ჰქონდა თბილი. ორივე ხელი აქეთ-იქით დავადე და ეს საბოლოო სითბოც ჩემში გადმოვიდა...

დედა ატირდა.

მამას კისერი გაუშავდა. პირდაპირ კი არ გაუშავდა, ჯერ გაუწითლდა და მერე გაუშავდა. შავმა ფერმა მალე გადაუარა და ისევ პირისფერი გაუხდა კისერი. მამას შშვიდი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ეს ყველაფერი ზუსტად მახსოვს. ვიღაცა კაცი მკარანახობდა, დამემასხოვრებინა ყოველივე, რაც მოხდებოდა. თითქოს ვიღაცასთვის უნდა მეამბნა, თითქოს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... და მეც მორჩილად, გულისყურით ვასრულებდი იმ კაცის თითოეულ ბრძანებასა და მითითებას.

სასწრაფო დახმარების ექიმმა მამას თვალები დაუხუჭა.

მერე დაიწყო გრძელი ღამე. მერე დაიწყო მომქანცველი გრძელი ღამე და ისე აირ-დაირია ყველაფერი, რომ ვეღარ შევძელი დამახსოვრება.

მე ვიდექი კუბოს თავთან კედელზე აკრული და ვტიროდი. მე არ შემეძლო დედაჩემის მწუხარების ცქერა და ჩვენ ერთმანეთის გულისათვის თავს ვიკავებდით, თუმცა ორივენი მაინც ცხარედ ვტიროდით.

ხალხი მოდიოდა. ხალხი განუწყვეტლივ მოდიოდა. ვილაკებენ მამხნევებდნენ. მე არ მჭირდებოდა იმათი თანაგრძნობა, მე აღარაფერი მჭირდებოდა. ისინი კი არ მეშვებოდნენ, ისევ მოდიოდნენ და მამხნევებდნენ. მერე ის

კაცი ამომიდგა ზურგსუკან დასწრითაა ჩურჩულა: უნდა დაიმახსოვრო ვინც მოვა, უნდა დაიმახსოვრო, აუცილებლად უნდა დაიმახსოვრო. სანამ შემეძლო ვასრულებდი ამ ბრძანებასაც, მაგრამ უცებ მოსულნი ისე დატრიალდნენ კუბოს გარშემო, რომ თვალს ვეღარ ვაყოლებდი. მერე ისინი ერთ დიდ ადამიანად გადაიქცნენ. იმ ადამიანს ათასი ხელი ჰქონდა, მართმევდა ყოველ ხელს სათითაოდ და წასვლას არ აპირებდა. ათასივე ხელი, რომ ჩამოვართვი, მეგონა მომშორდებოდა, მაგრამ კიდევ ათასი ხელი გაუჩნდა და ასე რამდენჯერმე, ვიღრე თავბრუ არ დამეხსნა.. ვეღარ შევუსრულე იმ კაცს დაპირება, ვეღარ დავიმახსოვრე დანარჩენები. ან რატომ უნდა დამემახსოვრებინა?!

ერთხელ მამამ მითხრა: ბაბუაჩემი სამოცდაათოთხმეტი წლისა მოკვდა, უცებ, მოულოდნელად. ეს გადმოცემით ვიცო, ბაბუას არ მოვსწრებივარო. მამაჩემიც სამოცდაათოთხმეტი წლისა გარდაიცვალაო. ისიც ასე უცნაურად: დაწვა, დაიძინა და აღარ გაულღიძნია. საშინელი დილა გაგვითენდა იმ დღეს.

ის მრავალხელიანი ადამიანი კიდევ ორჯერ მოვიდა ჩემს გასამხნეველად და დასამშვიდებლად, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე სულერთი იყო. მე მხოლოდ დედას ვუყურებდი, მეშინოდა, არაფერი დამართნოდა და ჩვენ ვმხნეობდით ერთმანეთისათვის. ის კაცი კი მეუბნებოდა: ნუ შიშობ, მგლოვიარე ქალს არაფერი დაემართებაო...

ბოლოს ყველაფერი დამთავრდა. სასაფლაოზე უკანასკნელად ვაკოცე მამას გაყინულ, გათეთრებულ ღიდრონ ხელებზე და იქაურობას მომამორეს.

მამაჩემიც სამოცდაათოთხმეტისა მოკვდა. ისიც ასე უცნაურად: ვიდექით, ვსაუბრობდით და... მოკვდა. მელაპარაკებოდა, სიტყვა შუაში შეწყვიტა და... მოკვდა. მამამ ვერც კი გაიგო, როდის მოკვდა. ალბათ იმიტომაც ჰქონდა ოღნავ გაოცებული თვალები.

დი, თავს მხნედ, ლაღად ვგრძნობდი და ვდილი, რომელსაც აქამდე შეგვხვედრივარ! თუმცა ყველა მახსოვს, თან მახლავს. ადამიანი სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ გამახსოვრებინებს თავს. მაგრამ აქ, ამ საფლავში ჩემი სისხლიც მარხია. ამიტომ მიყვარს ეს საფლავი; ეს ჩემი საფლავიც არის. და რადგან აქ ჩემ სისხლთან ერთად ყველა სიკვდილი დავმარხე, მთელი სხეულით ცხადად ვიგრძენი, რომ აღარაფრისა მეშინია!

მე და ჩემი მეგობრები დილით ადრე დავხვდით ბეტონით სავსე თვითმცლელს ქარხანასთან და სასაფლაოზე მივიყვანეთ. ბეტონი წინაღობით დამზადებულ ხის ყალიბში უნდა ჩავვესხა. ბიჭები ურიკებით ეზიდებოდნენ, მე კი მსხვილ მორს ვურტყამდი, რომ ხსნარი კარგად გამჭდარიყო საძირკველში. სასაფლაოზე თითქმის ბნელოდა და ყველაფერი უფორმო, მუქი ნაცრისფერი იყო ირგვლივ. ბეტონის ხსნარი რომ არ გამშრალიყო, ბიჭები ჩქარობდნენ. მეც ვჩქარობდი. ასე დაძაბულ შრომაში გაიარა რამდენიმე საათმა. მერე ბიჭები ალაპარაკდნენ, რაღაც იოხუნჯეს კიდევ. კარგად არ მახსოვს, მეც გამეღიმა, მგონი. მერე... სიმღერა შემომესმა! ჯერ რაღაც დაგადუგი გავიგონე. მერე ეს რიტმიანი გუგუნი გარკვეულ ჰანგად იქცა და მსხვილი მორის მოძრაობასა და რახუნს აპყვა. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ბიჭები ჩემგან შორს იყვნენ და მომღერალიც ვერავინ დავინახე. უცებ შევჩერდი. სიმღერაც შეწყდა. მუშაობა განვაგრძე და სულ ცოტა ხნის მერე ისევ ამღერდა ვიღაც. მე ისევ შევჩერდი. ბიჭებს ბეტონი მოჰქონდათ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, სიმღერა არ ისმოდა...

ნუთუ ჩემშია ეს ჰანგი, ჩუმი, გაუბედავი, მაგრამ მინც სიმღერის მსგავსი?

ნუთუ ეს მე ვარ? ნუთუ მე ვმღერი? მამი, გესმის? მე შენ საფლავს ვაშენებ და ვმღერი. საფლავს გიშენებ და ვმღერი! რატომ? რატომ? მე ხომ აღარაფერი მინდოდა, არაფერი მაინტერესებდა. მე ხომ აქ, ამ საფლავში ჩავცალე თითქოს, რაც გამაჩნდა?! მაშ რა მამღერებს??

უცებ მეზობელ საფლავთან დარგული დიდი ტირიფი მწვანედ აფეთქდა, ბზის ბუჩქებმაც მწვანედ დაიწყო ბიზინი, ვარდები წითლად აენთო, მხვიარა ნაცრისფერი სურო გამწვანდა, საფლავის მუქი გრანიტი ნაცრისფრად ალაპლაპდა.

უცებ იყვია ყველაფერმა ჩემს გარშემო. ყვიროდა ხეც, საფლავის ქვაც, ყვავილიც, მიწაც, ჩრდილიც.

მზე ამოსულა! მზე ამოსულა!! მზე ამოვიდა და თავისი ფერი და ადგილი დაუბრუნა ყოველ საგანს — ქვას თუ ყვავილს. საღვაც ვიღაცამ დაიყვია, შორიდან მანქანის ზუზუნიც გაისმა. მესაფლავეები მოვიდნენ, სუფთა ტანსაცმელი გაიხადეს და სამუშაო ჯვალო ჩაიცივეს. მეგობრები მომიახლოვდნენ და მითხრეს, ყველაფერი მზად არისო. მე არ გამეკვირვებია და ისევ მზეს შევცქეროდი. მე ვუცქეროდი მზეს, რომელიც ჯერ კიდევ არ ანათებდა მთელი სიძლიერით, მაგრამ მისი ცხოველმყოფელი სხივები მთელ ქვეყანას ამოძრავებდა, ამოძრავებდა რაღაც კანონით, რომელიც თითქოს არავინ იცის და ყველამ იცის, რომელსაც ყველა ეწინააღმდეგება და უსიტყვოდ ემორჩილება...

მერე მე ტანსაცმელი გავიწმინდე, ხელ-პირი დავიბანე და სამსახურში წავედი.



## ვინს აუნილა თვალი ბუნებას

ჩემი სალამი ჭყვიშსა და მთისძირს, —  
აქ ღვთაებრივი სევდა ფხიზლობდა;  
აქ სიზმარივით ბუნდოვან სივრცის  
მიღმა თვლემს ლექსის მარადისობა.

აქ აღარ დადის თავაწეული  
კაცი თამამი და გაბედული,  
ვინც დაგვიტოვა ლოცვად ქცეული  
მიწის ტკივილი და საყვედური.

აქ აღარ დადის... და აღარ ამღვრევს  
დარდს, აღარ ამღვრევს აღისფერ ღვინით...  
ვინც გამოსტაცა რიონის ტალღებს  
თავისუფლების ველური ჟინი.

„მას გახელილი დარჩა თვალები“,  
ვინც აუნილა თვალი ბუნებას...  
და დიდი სულის იღუმალება  
ერს დაუტოვა დასაპურებლად.

## მრავალ მდინარეს შეეხარება

მრავალ მდინარეს შეეხარება,  
ენგურო, შენი ლამაზი ბედი,  
მრავალ მდინარეს შეეხარება  
შენი მოლურჯო, ძლიერი ქედი.


მე მეხარბება იმ ჭაბუკების,  
ვინც მკერდს აგებებს ქარსა თუ წვიმას...  
მე მეხარბება იმ ჭაბუკების,  
ვისაც ხვდა შენი გახედვნა წილად.



ვწევარ და ვფიქრობ.  
ფანჯარაზე თამაშობს ჩრდილი  
და ბალიშით თავქვემ მიდევს  
გამტყდარი ძილი.  
აყვავდეს ლამის,  
ოცნებაში აყვავდეს ლამის,  
ნათელი სული  
იმერული მთვარიან ლამის,

ამტკივდეს ლამის,  
მონატრება ამტკივდეს ლამის,  
აგერ ერთი წლის  
უნახავი დედის და მამის.  
ვწევარ და ვფიქრობ...  
ფანჯარაზე თამაშობს ჩრდილი  
და ბალიშით თავქვემ მიდევს  
გამტყდარი ძილი.





## ქახილი ოკეანეში

ეს იყო უკანასკნელი ბოთლი არაყი, უკანასკნელი იმ თხუთმეტიდან, რომელიც რეისში წამოსვლის დღეს იყიდეს და ყველასგან ფარულად შეინახეს ლოგინის ქვეშ მიყრილ მძალაყელიან რეზინის ჩექმებში. აქამდე ხელგაშლილი თანამეინახენი სრულიად შეიცვალნენ — სითხეს გამოზომილად ანაწილებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გემო ჩაეტანებინათ არაყი სასიამოვნოდ უხუტრებდა სხეულებს და ისინი საუბრობდნენ წარსულზე. ოკეანეში უფრო წარსულზე საუბრობენ, რადგან იქ აწმყო არასახარბიელო და გამაბ-

რუბებლია; თუმცა, ხმელეთზეც ასეა და საერთოდ, ადამიანებს წარსულზე უფრო უყვართ საუბარი, ვიდრე იმაზე — რაც არის. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავი მეტის სრულყოფილებით ჩანს და შესაფასებლად ადვილია. ოკეანეში მაინც ძალიან უყვართ ლაპარაკი იმაზე, რაც ოდესღაც მომხდარა და ისინიც წარსულზე საუბრობდნენ.

— ...არა, აღარაფერი ვუთხარი. უბრალოდ, თავი მივანებე და გავცილდი, — დაასრულა ჯოტომ.

— დიდი სისულელე გქვია! — ხეკმა



ხელი აიქნია და გაბრაზებულმა მაგიდას მუშტი დაჰკრა. ცოტა ხნის მერე ჩაფიქრდა და ხმადაბლა დაუმატა: — თუმცა, ვინ იცის, იქნებ მეც...

— რა თქმა უნდა, შენც ასე მოიქცეოდი. ყველა, ვისაც გასვრა არ უნდა, ყველა ასე მოიქცეოდა.

— „ვისაც გასვრა არ უნდა!“ ჰე, კარგად ლაპარაკობ. უცბად გემჩნევა ნასწავლი რომ ხარ, — ჩაიციხა ხეკმა.

ხეკი — ეს მისი ზედმეტსახელი იყო. სინამდვილეში კი კაცს, რომელსაც ჯოტო ესაუბრებოდა, მამია ერქვა. მაგრამ გემზე ძველ მეზღვაურებს ზედმეტსახელებით იცნობენ. ჯოტო კი ახალბედა მეზღვაური იყო და ჯოტოს ეძახდნენ.

— ბევრ შემთხვევაში სწავლა არაფერს ნიშნავს. შენ სრულიად არ გისწავლია, მაგრამ ზოგიერთ განსწავლულს მირჩევნია.

— ეს იმიტომ, რომ დავმეგობრდით, მეგობარი კი ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს.

— სწორი ხარ. მეგობარი ძალიან ბევრს ნიშნავს, — კბილებში გასცრა ჯოტომ და ჭიქაში დარჩენილი სითხე მოწრტუპა. მაგიდის კიდეზე დადგმულ ბოთლს ცერად ვახედა. ეცოტავა. — მართალი გითხრა, მთელი ცხოვრება ეეძებდი მეგობარს. არა, კი არ ვეძებდი, უბრალოდ, მთელი ცხოვრება მსურდა მყოლოდა მეგობარი და თითოეული, ვინც გარშემო მყავდა, ვცდილობდი დამემეგობრებინა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ჯოტო.

— შენც, ხეკ... მაგრამ მე არასდროს მიძებნია იმაზე უკეთესი, ვინც გარშემო მყავდა. მე ისინი მიყვარდა და ვცდილობდი მეგობარი ვყოფილიყავი.

ხეკმა არაყი ჩამოასხა და სითხეს მიაშტერდა.

— ასეც უნდა გექნა.

— მაგრამ სხვები არასდროს მიძებნია, გესმის?! იქნებ უნდა მეძებნა. იქნებ ადამიანებში ადამიანი უნდა ეძებო ისევე, როგორც რაიმე სხვა განძი.

— „ადამიანებში ადამიანი...“ ჰე, ეს აღარ ვიცი. მართალი გითხრა, მეც არა-

სდროს არავინ მიძებნია, — ხეკმა თით ღიმილმა გადაუბრინა სახეზე, სიამოვნებისგან თვალები დაუწვრილდა და ჩასჩურჩულა, — ჩემი ლილიც სრულიად შემთხვევით გავიცანი და შემეყვარდა, თორემ, ცოლიც არ მეყოლებოდა. ხანდახან მიკვირს, ჩემისთანა მატანტალას როგორ გამომყვა.

— რატომ? შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ.

— ამას იმიტომ ამბობ, რომ დავმეგობრდით.

— მართალია, ჩვენ მეგობრები ვართ. შენ მე სიკვდილს გადაპარჩინე და, მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის შემდეგ, ან იქნებ უფრო ადრეც, დავშორდებით და შესაძლებელია ველარც ვერასოდეს ვნახავთ ერთმანეთს.

— იქნებ ასეც მოხდეს.

— ეს ძალიან ცუდია.

— ჰო, ცუდია, მაგრამ დიდს არაფერს ნიშნავს. პირადად მე ყოველთვის მემახსოვრება, რომ ჯოტო კარგი ბიჭი იყო.

— მეც მემახსოვრები, რა თქმა უნდა მემახსოვრები.

ჯოტომ ზანტად გადაისვა ხელი სახეზე და ილუმინატორში გაიხედა. იდგა მარტის თვე. მთელი ღღის მანძილზე მზე ერთხელაც არ გამოჩენილა და სქელ ნისლში აღრეული ღრუბლები თითქმის წყლის ზედაპირამდე დაწვდენილიყვნენ. ღღისითაც ბნელოდა და მას იმეგვარი შეგარძნება დაუფლა, ვითომ დაორთქლილი მინიდან გასქქროდა საიდუმლოებით მოცულ, მხრჩოლავ სივრცეს. თან ისიც სიამოვნებდა, ნესტიანი ქარი რომ ვერ იჭრებოდა ილუმინატორში და ვერას აკლებდა ირგვლივ გამეფებულ გამაყუჩებელ სითბოს და სიმყუდროვეს. ისინი ბოცმანის კაიუტაში ისხდნენ. თვითონ ბოცმანი საშტურმანო ხილზე იხმეს და ხეკთან მარტო დარჩენილმა ჯოტომ გული საუბარს გადააყოლა. მას ერთგვარ შვებასაც გვრიდა, რომ იყო ასე: კაიუტაში ჩაკეტილი, მოწყვეტილი მთელ სამყაროს, და ყოველივე, რაც აქამდე ენახა, მიღმა არსებულად ეჩვენებოდა. მანამდე ჯოტო ცხოვრობ-

და დიდ ქალაქში და სწავლობდა, და მეზღვაურებს უყვირდათ. თუ რამ წამოიყვანა იგი ქალაქიდან. მართალია, ხეკი მისი მეგობარი იყო, მაგრამ მასაც უყვირდა, რამ წამოიყვანა ჯოტო ზღვაში მეთევზედ, რადგან თვითონ მუდამ იმაზე ოცნებობდა, რაც შეიძლება მალე შეედგა ფეხი თავის სოფელში, მოხვეოდა თავის პატარა ლილის და ნაცნობ ახალგაზრდა ბიჭებთან ერთად ლუდით საესე კათხები მოეყუდებინა. ხეკი თხუთმეტი წლიდან ზღვაში ეურავდა და, თუმცა, ძალიან დაუმეგობრდა ჯოტოს, მაინც ვერ გაეგო, რამ წამოიყვანა იგი ზღვაში. უბრალოდ, არ უნდოდა ამის გაგება; არ უნდოდა, ან არ შეეძლო და, ბოლოს, ბრაზით მიახალა:

- შენ ადგილას აქ არ წამოვიდოდი!
- აბა, წინდწინ ამის თქმა გაგიგია?!
- არა, ჯოტო, უცნაურია. ნასწავლი კაცი ხარ, ჰოდა, თავისუფლად შეგეძლო ამაზე იოლად გეცხოვრა.
- ეს მხოლოდ გეჩვენება, რომ ვინმე იოლად ცხოვრობს. ცხოვრება ყველასთვის ძნელია, ყველასთვის ერთნაირად.
- მე ასე არ ვფიქრობ.
- იმიტომ, რომ ამაზე ბევრი არ გიფიქრია.
- შენ კი მაგ კოლოფს ზედმეტად აწვალე! გეფიცები, არ გირჩევ.
- რას იზამ, ეს ჩემი ნაკლია.
- ჰეი, უცნაური ბიჭი ხარ და უცნაურად ლაპარაკობ. მაინც მომწონხარ! მე სიამოვნებით ვიქნებოდი ჯოტო.
- მეც სიამოვნებით ვიქნებოდი ხეკი, რომ შეიძლებოდა. ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, ჯოტოდ ყოფნა არ მინდოდა.
- ახლა კი უკვე აღარ მესმის შენი.
- აღარც მე მესმის. მოდი დავლიოთ.
- კარგი სიტყვაა... დავლიოთ. ყველა იმ თევზის შესანდობარი იყოს, ჩვენს ბადეში რომ გაეხვევა.
- იყოს, თანახმა ვარ.
- მათ თვალი ჩაუტრეს, გაუღიმეს ერთმანეთს და უცბად გადაკრეს. ახლა უკანასკნელ წვეთამდე ამოსცალეს ჭი-

ქები, რადგან მოუნდათ ბოლომდე დასთვრალიყვნენ. ბოცმანსაც აღარ უცდიდნენ. კიდევ იცოდნენ იმაზე, რომ კაპიტანთან დაბარებული ბოცმანი ნემსებზე იჯდა, სიზმარივით ეზმანებოდა, თუ როგორ სვამდნენ მის წილ არაყს და ნერწყვებს ყლაპავდა. მერე, ვითომც წინასწარ შეეკრათ პირი, ორივემ ერთდროულად შეწყვიტა სიცილი, — თითქოს იმ ხნის მანძილზე ფართულად გრძნობდნენ, რომ სიცილის მიღმა იმალებოდა რალაც გარკვეული აზრი, რალაც გამოკვეთილი სურვილი, რომლის დაოკებაც არ შეეძლოთ. ჯოტოს მოწყენილობისა და სასოწარკვეთილების მსგავსმა იერმა გადაჰკრა სახეზე, ილუმინატორიდან განაცრისფერებულ ცას შესცქეროდა და გაურკვეველ სიტყვებს ჩურჩულებდა. ხეკი დაჟინებით მისჩერებოდა მას და, როცა მოლოდინის მდუმარება აუტანელი გახდა, უფრო დაუყვარა, ვიდრე უთხრა:

- არა, ჯოტო, შენ ყველაფერი გქონდა!
- ჰო, ეს მართლაც, თითქმის ასე ჩანდა.
- შენ ყველაფერი გქონდა, ყველაფერი და შენი ადგილი აქ არ იყო.
- საოცარია! ნუთუ აღარც აქ... — ფიქრებში გართულმა თავისთვის ჩაილაპარაკა ჯოტომ.
- რა თქმა უნდა!
- ჯოტომ ისევ ილუმინატორში გაიხედა და გაიფიქრა: „ღმერთო, ეს ადამიანი ცდილობს სულში ჩამიძვრეს. აბა, როგორ ავუხსნა რომ ზოგჯერ დადგება ისეთი წამი, როდესაც აღარ შეგიძლია ერთ ადგილას გაჩერდე, გინდა მოსწყდე და გადაიკარგო. როგორ ავუხსნა, რომ ზოგჯერ გეკარგება საკუთარი თავის შეგრძნების უნარიც, გარშემო აღარაფერი მოგწონს, ბრაზდება, ბრაზდება და გაბოროტებას ცოტად გიკლავს. მაშინ კი საჭიროა, რაც შეიძლება მალე სხვა სამყაროში ამოჰყო თავი...“

აპაჩი ვანაძე  
მომთხრობავი



— ჯოტო!

ხეკი გაოცებული მიაჩერდა მას და იმგვარი სახე ჰქონდა, თითქოს სურდა ხმამალა დაეყვირა.

— შენ მაინც, მაინც უნდა მითხრა!

— რა?

— განა მე ყველაფერი არ მოგიყევი? შენ ჩემი მეგობარი ხარ და უნდა მითხრა, რა გაწუხებდა.

მართლაც, ხეკი ძალიან გულახდილი იყო და ჯოტოს ძალა არ ჰყოფნიდა, გულახდილობითვე არ ეპასუხა. ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება — გულახდილობას გულახდილობითვე უპასუხოს, და ჯოტომ მიუგო:

— გულგრილობა, ხეკ.

ხეკი დადუმდა. არ მოელოდა ამგვარ მოკლე პასუხს და დაიბნა.

— გულგრილობა? — წაიბუტბუტა თავისთვის, — გულგრილობა... ეს მართლაც ცუდია.

— ეს ძალიან ცუდია. განა საშინელება არ არის, როცა ადამიანი გულგრილი ხდება.

— მართლაც, ეს საშინელებაზე უარესია. ამაზე წინათ არ მიფიქრია, მაგრამ ახლა მახსენდება, რომ ადამიანებს ზოგჯერ ერთმანეთისა სრულიად არაფერი არ ედარდებათ.

— სწორი ხარ. მეც ასე მგონია.

— ეჰ! — მან მჭილი გადაისვა ბაგეებზე და თვალები ისე აემღვრა, თითქოს ტირილს აპირებდა, — შენ კარგი ბიჭი ხარ, ჯოტო!

— შენც, შენც ძალიან კარგი ბიჭი ხარ.

— მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბევრს ფიქრობ.

— ვიცი, ეს ჩემი ნაკლია-შეთქი, აკი გითხარი.

— და მაინც, ჯოტო, შენ ყველა გყავდა, გიყვარდა კიდევ ისინი... განა სულ ამას არ ამბობდი?

— მართალია, ხეკ, მაგრამ...

ჯოტომ მცირე ხნით პასუხი დააყოვნა. „ღმერთო, ეს კაცი სულში მიძვრება. მას უნდა ხმამალა ვთქვა, რაც საკუთარი თავისთვისაც არ გამიმხელია.

ამ კაცმა ყველაფერი მიამბო და ჩემთვისაც იგივეს თხოულობს...“

— მაგრამ ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ არავინ მყოლია, — განაგრძო ჯოტომ.

— როგორ? ახლახანს ამბობდი ყველა მყავდაო?

— მე მყავდა ყველა, ხეკ, მაგრამ დადგა დრო, დადგა გადამწყვეტი წამი და უცებ, აღმოვაჩინე, რომ ვყოფილვარ სრულიად მარტო... თუმცა, იქნებ ჩემი ბრალიც არის... მაგრამ დგება ხოლმე ასეთი წამი, როდესაც ყოველი აზრი, ყოველი მდგომარეობა გამოიცდება და ბევრი მათგანი აღმოჩნდება ყალბი, რადგან სინამდვილეს ვერ უძლებს. — ჯოტო ბრაზიანად, დამარცვლით წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს თავს ძალას ატანდა და უჭირდა მათი განდობა. მერე, სახეზე ოდნავ სევდიანი ღიმილი გადაეკრა, ფრთხილად ჩამოასხა არაყი, აიღო ჭიქა, თითქოს აწონა და ნელა, ზანტად მოწრუპა.

— ჯოტო, როგორ შეგიძლია ასე წრუპო არაყი?

— მსიამოვნებს. ახლა მსიამოვნებს.

— მაპატიე, მაგრამ შენი არ მესმის.

— არაფერია.

— მაგრამ, მაინც, ძალიან მომწონხარ. მე არ მესმის რატომ, მაგრამ ვგრძნობ. რომ კარგი ბიჭი ხარ.

— შენც ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ძალიან კარგი.

კიდევ ჩამოასხეს არაყი და სწრაფად, ერთი ყლუბით დასცალეს. მერე კიდევ, და როცა კიდევ ჩამოასხეს, კაიუტაში ბოცმანი შემოვარდა.

— აბა, სულ ხომ არ ამოცალეთ?

— არა, ბოც, ნუ გეშინია.

— კიდევ კარგი, სულზე მოგისწავრით, პა! — ჩაიროხროხა ბოცმანმა, არცის დანახვისას თვალები გაუბრწყინდა და ჭიქა პირთამდე აავსო. დაილოცა და ხარბად დალია.

— იფ, კარგია.

— რაო კეპმა?

— ტვინი წაიღო. ხვალ საპვლინგატორო უნდა გარეცხოთო.

— ამის მეტი არაფერი ახსოვს.

— კიდეც დალიე, ბოც.

— რატომაც არა?!

და კიდეც გადაკრა.

— ახალ ამბებსაც გეტყვიო...

— განა შეიძლება ჩვენს პატარა „თოლიაზე“ რაიმე ახალი მოხდეს, შუა ოკეანეში? — ჩაიხიბხიბა ხეკმა.

— ჩვენთან არაფერი. მაგრამ მოშორებით გემი იღუპება.

წამით სიჩუმე ჩამოწვა.

— იღუპება? — ოღონაც გასაგონად გაიმეორა ჯოტომ და ბოცმანს გაოგნებული მიაჩერდა.

— სად? რა ადგილას? — ჰკითხა ხეკმა.

— არც ისე ახლოს. ათი წუთის წინათ რადიომიმღებში გაისმა SOS და მის მერე განუწყვეტლივ მეორდება.

ჯოტო უკვე დამთვრალიყო და ყველაფერი, რასაც ბოცმანი ამბობდა, უცნაურად ეჩვენებოდა. ის პირველად იყო ოკეანეში და პირველად გაიგონა ცხადად წარმოთქმული სიტყვები: მოშორებით გემი იღუპება. ეს სიტყვები ფანტასტიკურად უღერდა და ჯოტოს გააყრუოლა. თვალწინ წარმოუდგა გემი, რომელიც თანდათან იძირებოდა. ეს სურათი კინოკადრებით ნათლად წარმოესახა. მაგრამ კინოში რატომღაც არასდროს არ აღლევებულა. ყოველთვის გრძნობდა, რომ უყურებდა მხოლოდ თეთრ ტილოზე აღბეჭდილ ამბავს და ზღაპარში წაკითხულივით აღიქვამდა. მან იცოდა, რომ გემები მართლაც იღუპებიან, მაგრამ არასდროს განუცდია ეს. ახლა კი თვითონ იყო გემზე, არაჩვეულებრივი სიციხადით ხედავდა ყველაფერს. და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ეს საშინელებაა, ბოც!

— ჰმ, საშინელებაო! ამგვარ საშინელებას მტერსაც კი არ ვუსურვებ, ჩემო კარგო.

ჯოტომ წარმოიდგინა, რა შეშინებულნი და უმწეონი იქნებოდნენ იმ გემზე მყოფი ადამიანები. მათ არაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ, ელოდნენ შეველას

და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: **იხსენით ჩვენი სულეები...**

— მერე და მათ ვინ უშველის, ბოც? — შემპარავი ხმით ჰკითხა ჯოტომ.

— ყველა. ყველა ვინც გაიგებს მათ ძახილს.

— ყველა? ჩვენ, ჩვენ რაღას ვიზამთ?

— რა თქმა უნდა, ჩვენც მივებმარებით, — უპასუხა ბოცმანმა, ლოგინზე პირადმა დაწვა და სიგარეტი ამოიღო, — ეს ზღვის კანონია ასეთი.

— როგორი, ბოც?

— აი, ასეთი... თუ ვინმემ გაიგო მანლობლად გემი იღუპებაო, უნდა უშველოს.

— მართლა, ხეკ?

— რა თქმა უნდა!

წამით ჯოტო ბავშვურმა სიხარულმა აიტანა:

— კარგი წესია!

— ზღვაში ცული წესები არ არსებობს, — ამაყად ჩაიროხროხა ბოცმანმა.

— არა, მართლა კარგი წესია, ბოც. თქვენ ალბათ ვერც გრძნობთ, რამდენად კარგი წესია.

— ჩვენ ამას იქნებ ვერცა ვგრძნობთ. მაგრამ ვიცით, რომ კარგი წესი არის, კარგი და საჭირო.

— მაშ, მოდიოთ ამ წესის დღეგრძელობისა დავლიოთ.

— ჰა, შენ ცოტა სმას მიეჩვიე, ჯოტო. ნამდვილი მეზღვაური ხდები.

— ჯოტო ნამდვილი მეზღვაურია, — დაუდასტურა ხეკმა და ბოთლში დარჩენილი არაყი ჰიქებში გაანაწილა. ბოლო ჰიქაზე ბოთლი ორივე ხელით ჩაწურა, ილუმინატორი გამოაღო და ტალღებში ისროლა. ილუმინატორის ვალებისტანავე ოთახში ზულით შემოიჭრა ქარი და ჯოტოს მოეჩვენა, რომ ქარს თან ახლდა ის მწივანა ხმები, რომლებიც ახლა ჰაერში იყო მიმოფანტული: **იხსენით ჩვენი სულეები, ... - - - ...იხსენით ჩვენი სულეები, ... - - - ...**, და ასე დაუსრულებელ ტალღებად განეგრცობოდა



ეს ძახილი, სანამ საშველი არ დადგებოდა, ან საბოლოოდ არ ამოიხშობოდა ყელი მავედრებელისა. ამ ხმებს ჯოტო მთელი თავისი არსებით აღიქვამდა და მოსვენება ეკარგებოდა. თითქოს ზედ ყურში ჩასძახოდნენ:

იხსენით ჩვენი სულები  
 იხსენით ჩვენი სულები  
 იხსენით...

ხეკმა ილუმინატორი ჩაკეტა.  
 — მაშ, ამ კანონისა იყოს, ჰა?

— იყოს!

— ჰო, ამ კანონისა დავლით.

და სამივემ ერთდოულად გადაკრა. მერე ისინი ჩუმად ისხდნენ, რადგან არაყი აღარ ჰქონდათ. ჯოტო ილუმინატორში იყურებოდა, ფიქრობდა გემზე, რომელიც შველას თხულობდა და უდიდეს კმაყოფილებას გრძნობდა, იმ წყვილადში სხვებთან ერთად ისიც გზას რომ იკვლევდა მის გადასარჩენად. ფიქრობდა ამაზე და გვერდით მკდარ მეგობარს წასჩურჩულა:

— კარგი იქნებოდა ხეკ, ეს კანონი ყველგან მოქმედებდეს.

— სად ყველგან?

— ყველგან, თუნდაც იქ, სადაც ჩვენ არა ვართ. ყველგან და ყოველთვის.

ხეკს სიმთვრალე უკვე ძალზედ მოკიდებოდა და გაოცებული, ვერმიხვდარი მზერა მიაპყრო ჯოტოს. ბოცმანმა კედლიდან გიტარა ჩამოხსნა. სიმები მოსინჯა. დიდხანს ეძებდა მელოდიას და, ბოლოს, რაღაც აკორდს მიაგნო. ააყოლა.

— კარგია, ბოც, იმღერე...

ბოცმანმა ძველი ოდესური სიმღერა დააღიღინა. თვალები მილულა, დაბალი ხრინწიანი ხმით მღეროდა. გარეთ შტორში მატულობდა, კაიუტაში კი ნადვლიანი, მოწყენილი სიჩუმე ჩამოწვა და ხეკმა წაიდუღუნა:

— ყოფილიყო კიდევ ერთი არაყი, ჰა?

— მართლაც, ერთი და მეტი არა.

— რაღაც, უგუნებოდ გავხდი, — ხეკი წამით დადუმდა და ჩაფიქრდა. მერე, ისევ ჯოტოს მიაჩერდა და განაგრძო: — მაგრამ შენ მაინც არ იმითხარი...

— რა არ გითხარი?

— აი ის — აქ რამ წამოგიყვანა. სულ ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია.

სიმთვრალე უკვე ჯოტოსაც მოკიდებოდა და მან ბანგმორეულივით წამოისროლა:

— მინდოდა მენახა...

— რა, აქ რა უნდა გენახა? — უცებ ბრაზიანად, ხმამაღლა დაიყვირა ხეკმა.

ტალღა ძლიერად დაეჯახა გემის ფერდს, მერე ქარმაც ილუმინატორთან გულისგამაწვრილებლად დაიწვილა, მაგრამ კაიუტაში მაინც ვერ შემოიჭრა.

— თეთრი ვეშაპი.

— თეთრი ვეშაპი? — ხეკი წამით გაჩერდა. დამშრალ ბაგეზე საჩვენებელი თითი გადაისვა და თითქოს რაღაცას იხსენებდა.

— თეთრი ვეშაპი... ჯოტო... ათი წელია ეცურავ და არ მინახავს. შენ მე მატყუებ. თეთრი ვეშაპი არ არსებობს.

— არა, მე არ ეტყუი.

— თეთრი ვეშაპიო?! როგორ, სულ თეთრი?

— ჰო, ბამბასავით თეთრი, — ოცნებებში წასულივით მიუგო ჯოტომ.

— ეი, ბოც, ბოც, გამოიხედე ერთი!

მაგრამ ბოცმანი ყურადღებას არ აქცევდა. ის ახლა სხვა სიმღერას მღეროდა. მელოდია სევდიანი იყო და სასიამოვნო: მეზღვაური თვალს აყოლებდა ზღვაში მფრინავ მერცხალს და სახლს იგონებდა... ჯოტო უსმენდა ბოცმანს, მაგრამ სრულიადაც არ ფიქრობდა სახლზე. ის ფიქრობდა მხოლოდ დასაღუპავად განწირულ გემზე, ილუმინატორის მიღმა სიბნელეში იყურებოდა და გრძნობდა, რომ მისი გულიც ქარის მიერ ატაცებული ძახილის მსგავს ხმებს გამოსცემდა:

... --- ... , ... --- ... , ... --- ... ,

— არა, თეთრი ვეშაპი რა თქმა უნდა არ არსებობს, — ჩაილულღულა თავისთვის ხეკმა და კედელს მიაშტერდა.

... --- ... , ... --- ... , ... --- ... ,

— თეთრი ვეშაპი არ არსებობს, ჯოტო! — ისევ ჯოტოს მიუბრუნდა ხეკი.

— რაო, რა სთქვი?

— თეთრი ვეშაპი არ არსებობს-მეთ-  
ქი, გესმის!

— მესმის, მესმის, ოლონდ, შენ უბ-  
რალოდ არ შეგხვედრია. აი, იყო ერთი  
კაცი — მეზღვაური, ჰერმან მელვილი.  
მას სწამდა, მან იცოდა, რომ სადღაც  
დაცურავს თეთრი ვეშაპი.

— ბოდავ! მთვრალი ხარ და, ბოდავ!

— არაფერსაც არ ვბოდავ!

— მაშინ, თუ მართლა არსებობს,  
რატომ არ უნდა შემხვედროდა. ყველა  
ზღვები შემომივლია, ვეშაპთმჭერზეც  
ემუშაობდი. ეეჰ, ბოდავ. ისიც ბოდავდა,  
ვინც ამას ამბობდა.

— არა, ის კარგი კაცი იყო და არ  
ბოდავდა. შენ კი, არ იცი და ბოდავ  
გგონია.

— ბოდავ! ბოდავ! თეთრი ვეშაპი, ჰა?  
ბოც! მართლა იმ თეთრმა ვეშაპმა ჩაგ-  
ყლაპოს, თუ არ გამოიხედო!

ხეკმა გაცხარებით აიქნია ხელები.  
ბოცმანი უწინდებურად თავისთვის ლი-  
ლინებდა. მერე, კარი გაიღო და კაიუტა-  
ში შტურმანმა შემოჰყო თავი.

— ბიჭებს გაუმარჯოს!

— გამარჯობა! შემოდი შტურმან.  
ცოტა კი დაიგვიანე. ახლახანს უკანასკ-  
ნელი გამოვწველეთ... ორივე ხელით.

— რას იზამ, ბედი არ მქონია,— თქვა  
შტურმანმა. ის იყო გამხდარი, მაღალმა-  
ღალი ახალგაზრდა კაცი. სახეზე ავადმ-  
ყოფურად ყვითელი ფერი გადაჰკრავ-  
და და უღონო, ბეჩავი ადამიანის იერი  
ჰქონდა, რისთვისაც კაპიტანი დასცინო-  
და ხოლმე.

— მღერი, ბოცმან? — ნაზი, მორი-  
დებული ხმით ჰკითხა შტურმანმა.

— სხვა რაღა დამარჩენია.

— კარგია, იმღერე, — ის სკამზე ჩა-  
მოჯდა. ბოცმანმა სიმღერა განაგრძო.  
ერთხანს უხმოდ უსმენდნენ. შტურმანი  
იყო გამაღიზიანებლად ფხიხელი და  
ხისგან გამოთლილ მანეკენს ჰგავდა.

— აი, შტურმან, ჯოტო მიმტკიცებს,  
თითქოს თეთრი ვეშაპი არსებობს, სულ  
თეთრი, ბამბასავით თეთრი... შენ რას

იტყვი? — უცებ მიმართა ხეკმა და თვა-  
ლებში შეხედა.

— თეთრი ვეშაპი? — ამ მოულოდ-  
ნელმა კითხვამ შტურმანი დააბნია.  
ერთხანს ხმა ვერ ამოიღო და თვალები  
განზე გააცეცა.

— არა, შტურმან, ხეკს უნდოდა ეკით-  
ხა, იმ გემს დროზე თუ მივუსწრებთო.

— ააა, გემს... მაშ, თქვენც გაიგეთ.

— განა ამ პატარა ნაფოტზე რაიმე  
დამიძლევა?

— არყის მეტი ვერაფერი, ჰე, ჰე...  
საუბედუროდ, საკმაოდ შორს არის.

— მაინც რამდენ საათში მივალთ? —  
ჩაეკითხა ჯოტო.

— პირდაპირ რომ წავსულიყავით,  
სამ საათში მივიდოდით.

— როგორ თუ პირდაპირ?

— ესე იგი პირდაპირ... მაგრამ კეპი  
ჰკვიანი კაცია. ჩვენ მხოლოდ ცოტათი  
გადავუხვიეთ ძირითად კურსს, — შტუ-  
რმანი გამოცოცხლდა. სალაპარაკო მიე-  
ცა და სიამოვნებისაგან ხელებს ისრეს-  
და. — კეპმა გადაწყვიტა: ის საწყალი  
გემი ძირითადი კურსიდან, ვთქვათ, 40  
გრადუსზე იმყოფება, ჩვენ კი ოცი გრა-  
დუსით გადავიხარეთ. თუ სამი საათის  
განმავლობაში არავინ გამოჩნდა, მაშინ  
პირს უცხად ვიბრუნებთ მათკენ და  
ვუშველით. მაგრამ შეუძლებელია სამი  
საათის განმავლობაში ვინმემ არ უშეე-  
ლოს. ჰე, ჰე, ჩვენი კეპი ეშმაკი კაცია.  
მან არც წესს უღალატა და არც გზა გა-  
ივრძელა. დრო, დრო ოკეანეში ძვირ-  
ფასია.

— მართლა?

— რა თქმა უნდა! შენ ჯერ ახალბე-  
და ხარ, ჩვენი კაპიტანი კი ძველი მეზ-  
ღვაურია. ჰკვიანი კაცია ჩვენი კაპიტა-  
ნი.

— ის მეტისმეტად ჰკვიანი ყოფილა.  
შტურმან!

ტალღა ხელმეორედ მოასკდა ფერდს  
და გემი ძლიერად შეარყია. შტურმანმა  
თავი ძლივს შეიმაგრა. სკამიდან რომ არ



გადმოვარდნილიყო, ხეკმა ხელი შე-  
აშველა და თან ყურში ჩასძახა:

— არა, შტურმან, მე სულ სხვა გვით-  
ხე. მე გკითხე, არსებობს თუ არა თეთ-  
რი ვეშაპი. აი, ჯოტო ამტიციებს...

— გეყოფა, ხეკ!

— რატომ? არა, რატომ მეყოფა?

— იმიტომ რომ მე არაფერსაც არ  
ვამტიციებ. მე არ ვიცი. არ ვიცი, გეს-  
მის! და მომბეზრდა კიდევ ამაზე ლაპა-  
რაკი.

ბოცმანმა სიმღერა დაამთავრა და ვი-  
ტორა განზე გადასდო.

შტურმანი წამოდგა.

— წავედი, ბიჭებო. ჭკვიანად იყა-  
ვით და ნუ ყვირიხართ.

— ნუ გეშინია, ჩვენ არ ვინახუებთ.  
ისე კი, გვაპატიე, ცარიელი ბოთლით  
რომ დავიხედით, — მიუგო ხეკმა.

— არა უშავს. სხვა დროს სავსეზე  
მოგისწრებთ.

შტურმანი გავიდა. ხეკი გამარჯვებუ-  
ლი სახით მიუბრუნდა ჯოტოს, ხმამაღლა  
გაიციხა:

— ახლა, ახლა რაღას იტყვი? არსე-  
ბობს თეთრი ვეშაპი?

— გეყოფა ხეკ, მომბეზრდა-მეთქი!

— არა, მიბასუხე, მიბასუხე, — იმე-  
ორებდა ხეკი და გრძელ საჩვენებელ  
თითს ცხვირწინ უტრიალებდა.

— გეყოფა-მეთქი. შენ არაფერი არ  
გესმის! — მთელი ხმით აღმოხდა ჯო-  
ტოს. ხეკი შეცბა. ბოცმანი გვერდზე  
გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა. ჯო-  
ტო იჭვნეულად მიაჩერდა მეგობრის სა-  
ხეს და ახლა ფიქრობდა იმაზე, რამ ათ-  
ქმევინა ყოველივე ის, რასაც რამდენიმე  
წუთის წინათ მოჰყვა. ისიც შენიშნა,  
რომ ხეკის ვაოცებულ, კეთილ თვალებს,  
რომლებიც აქამდე მხოლოდ კეთილი ეჩ-  
ვენებოდა, საოცრად სულელური გამო-  
მეტყველება ჰქონდა. არა, ამდენი მანც  
რამ მალაპარაკაო, გაიფიქრა. მერე, წა-  
მოდგა და კარისკენ გაემართა.

— არ გეწყინოს, ხეკ.

— რატომ... არაფერია. შენ ჩემი მე-  
გობარი ხარ და... რაც არ უნდა მითხრა,  
მანც მიყვარხარ.

— ეგ აგრეა... რა თქმა უნდა... რამ, ხომ იცი, ხვალ ადრე უნდა ავლ-  
გეთ და სჯობს დავიძინოთ.

— მართლაც, ეს ყველაფერს აჯო-  
ბებს.

— ჰოდა, წავედი.

— წადი ჯოტო.

ჯოტო ვიწრო დერეფანში გავიდა. გე-  
მი მაგრად ირწეოდა და ხელებით კელ-  
ლებს მიებჯინა. რწვევისა და სიმთვრალი-  
სგან თავბრუ ეხვეოდა. უსაშველოდ  
გრძლად მოეჩვენა დერეფანი. როდესაც  
სასადილო ოთახს მიუახლოვდა, შედგა  
და გრძელი მაგიდის გასწვრივ ჩამომსხ-  
დარ მუზღვაურებს გახედა. ისინი დომი-  
ნოს თამაშობდნენ, სახეები დაძაბვლით  
და კენჭებს მთელი ძალით ურტყამდნენ  
პლასტმასის ზედაპირზე.

— აბა, ახლა ბაზარში წაბრძანდი, გე-  
ნაცვალე! — თქვა ერთმა მათგანმა, გაი-  
ჭიმა და გამარჯვებული, კმაყოფილი  
ღიმილით გვერდით მსხდომ ამხანაგებს  
გადახედა.

— რატომაც არა, სიამოვნებით, —  
იხტიბარი არ გაიტეხა მეორემ და რამ-  
დენიმე კენჭი იყიდა. როდესაც საჭირო  
რიცხვი ვერ იპოვა, სახე შეეცვალა.

— მიდი, მიდი, ნუ გრცხვენია! მაგრამ  
ამ ბაზარში ბანანი იშვიათი ხილია. შენ  
კი სწორედ ბანანს დაეძებ. ხომ ასეა,  
პა? ჰე, ჰე...

დანარჩენებიც აჰყვნენ სიცილში და  
ხუმრობები დააყარეს.

ჯოტო გაოგნებული მისჩერებოდა მა-  
გიდაზე დაყრილ კენჭებს, გრძნობდა  
გულს ბოლმა როგორ აწვეებოდა და თა-  
ვისთვის ჩურჩულებდა: „არა, ეს საში-  
ნელება! აუტანელი ხდება ეს ყველა-  
ფერი! უნდა შევაჩერო, უნდა გამოვაფ-  
ხიზლო! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა  
ვიღონო რაიმე...“ სიტყვები ყელში სო-  
ლივით მოაწვა და დაუოკებელი სურვი-  
ლისაგან უკვე დაეძაბა სხეული, როდესაც  
მხარზე ვიღაც ხელით შეეხო. შეც-  
ბა, უკან მიიხედა და ხეკი დაინახა. ხეკს  
უჩვეულოდ ნაღვლიანი ღიმილი ვადა-  
ჰკვრიდა სახეზე და ჯოტომ მთელი იმ  
ხნის მანძილზე პირველად ამოიკითხა

მის თვალეში გამოუთქმელი თანაგრძნობა და შუღარა: არ გინდა, ჯოტო, დაწყნარდი. მაინც არაფერი არ გამოევა. იქნებ უარესიც იყოს. გესმის? არ გინდა!

ჯოტო ზანტად შებრუნდა, ბარბაცით გაუყვა ვიწრო დერეფანს. თავისი კაიუტის კარი გაღო და ლოგინზე გულაღმა გაწვა. მაშინვე თავბრუ დაეხეა. მოეჩვენა, რომ ყოველი საგანი ქაოტურად დაბრიალდა ჰაერში. დროდადრო უზარმაზარი ტალღა ამოასკდებოდა ილუმინატორს და ქარიც შესლილივით აკივლდებოდა ცივი, უღმობელი ხმით. ილუმინატორის სქელ მინაზე დაცურებული წყალი იყო ჯერ ლურჯი, შემდეგ უფრო გამჭვირვალე და თეთრი ხდებოდა და, შემდეგ, თვალისმოშორებული სიამკარავით გამოჩნდებოდა ირგვლივ გაწოლილი სიბნელე, როგორც სივრცეში უძრავად დაკიდული შავი ხავერდის ფარდა. მაგრამ ყოველივე ეს ვერ აღწევდა პატარა კაიუტაში, რომელიც ჯოტოს სამყაროსგან მოწყვეტილ თავშესაფრად ეჩვენებოდა. კაიუტაში

სუფევდა გამაყუჩებელი სიბოხო, სიწყუდროვე, ოღონდ საიდანღაც, საიდანღაც შიგნიდან გულსაკლავ ვედრებასავით მაინც ამოისმოდა დაგუდული, შეუწყვეტილი ძახილი:

იხსენით  
იხსენით  
იხსენით ჩვენი სულები  
.....

●  
ჯერაც მღვიძარე სიზმარეულ ბურანში გახვეულიყო ჯოტო. თვალეშილულულს ეზმანებოდა შორს მყოფი, გაქირვებაში ჩავარდნილი მეზღვაურები, რომლებიც ჰაერში საბრალობლად ასავსავებდნენ შიშისაგან დაუძლურებულ, უღონო ხელებს და მიუხედავად ყველაფრისა სწამდა, საკუთარ თავთან მართო დაჩენილს ისევ სჯეროდა, რომ ოკეანეში გაბნეული ჩქარი გემები — და მათთან ერთად პატარა „თოლიაც“ — თავაწყვეტილად მიქროდნენ პირდაპირი კურსით — SOS.

## ჩემი ბებერი კაკლის ქვეშ

ზოგჯერ, როდესაც ძალიან ვიღლები და თითქმის მავიწყდება, რომ მე ვარ ოცდარვა წლის კაცი, ქართველი: როდესაც ქალაქის მჭვარტლით ამომეგსება თვალეში, ქალაქის ერთფეროვანი ხმაური და ფუსფუსი მაჩლუნგებს, ქალაქის სურვილში დამავიწყდება ჩემი სურვილი: როდესაც ოთახში გამოკეტილს აღარ მესმის და ღონეც აღარ მაქვს შევისმინო შორიდან მოსული ხმები. მაშინ უზომოდ მომინდება ჩემი ბებერი კაკლის ქვეშ წამოწოლა და ხავსით დაფარულ მის ფესვებზე თავმიდებულს ღრმად ჩაძინება.

შემდეგ, ყველაფერი ერთ დღეში ხდება — სასწრაფოდ ვჯდები მანქანაში და თავზეხელაღებულივით მივექანები მწვანე-ყვავილასკენ, სადაც პაპის დანა-

ტოვარი სახლი გვიდგას. ახლა იქ ბაბუაჩემის ძმის შთამომავლობა ცხოვრობს, სახლიც მათია, — გაყოფა და წილობანა ალბათ გვარში არ მოვედგამს, — მაგრამ გულში სამუდამაქამოდ ჩაქვითიკრებულია ის შეგრძნება, რომ იმ სახლისა ვარ და თბილისში დაბადებული ჩემი შთამომავლობაც იმ სახლისა იქნება.

მწვანე-ყვავილა — ასეთ სახელს საქართველოს რუკაზედაც ვერ ნახავთ, რადგან ის ცალკე სოფლად, დაბად ან ქალაქად არც არსებობს. ის წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის, რიონის პირას გორაზე შეგდებულ, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის განცალკევებულ და სამყაროდან მომხიზვლელად ამომხტარ უბანს. მწვანე-ყვავილა ჩემთვის განკერძოებული სამყაროა, რიონის დაულ-



ლელი ჩქერებით განწმენდილი მყუდრო სავანე. მივუახლოვდები თუ არა მწვანედ ჩამოპურული ეზოებით შემოზღუდულ მის ვიწრო შექებს, ჩუმი სიმშვიდე და სიხარული ამიტანს. ღია სარკმლებიდან მეზობლები იხედებიან და იმერული ზრდილობიანობით გულთბილად მესალმებიან. საიდანღაც მომესმის: — გამარჯობა, კიკოლიკა! — და ირგვლივ ვიხედები.

— ნამეტანი თავმდაბალი ნუ ხარ, ბიჭო. წამით ასწიე მაი ცხვირი და ცას შეხედე! — განაგრძობს იგივე ხმა და უკვე ვხვდები, ვინც უნდა იყოს. მანქანის ფანჯარიდან თავს ვყოფ, ზემოთ ვიყურები: ორსართულიანი სახლის სახურავზე ჩემი ბავშვობის მეგობარი ჭირიმელა წამოსკუბულა.

— რას ასხლართულხარ, ბიჭო, მანდ? გზა ხომ არ აგერია? — უნებურად მეუფლება იმერული კილო და ვგრძნობ, რომ იმ წამს მართლაც კიკოლიკა ვხდები.

— ზამთრიზა ახალ კრამიტს ვაგებ. იანვარში ენის დასასველებლად შემოპატიყებულს, კინწიც რომ არ დაგისველდეს, იმიზა ვზრუნავ.

— ავაშენა ღმერთმა.

— შენც ავაშენა და დაგამშვენა ღმერთმა, რომ არ გვივიწყებ. უშენოდ ჩემს ნარდს ხმა დოუგუბდა.

— არაფერია, ჭირიმელა, ნარდს ისე აგმიღერებ, ათ წელიწადს გეყოს, — ხელს დაუქნევ და ქვევით გავსრიალდები.

აგერ, უკვე ჩვენი სახლის მწვანე აივანიცა და ღობიდან ტოტებგადმოშვერილი კაკლის ხეც მოჩანს. მოპირდაპირე ჭოშკართან ჩვეულებისამებრ სამფეხაზე მოკალათებულა ახალგაზრდობაში გაბროლეტარებული აზნაური კოწია ქათამაძე. საბრალო, სიბერეში სულ დაყრუვდა, მიწიდან ამოდწეული კუთვდაა თუ ესმის წინაპრებისა და მხოლოდ მათ ლანდებს ესაუბრება; მზერაც საკუთარ თავში ჩაფლული და გაყინული აქვს. თუმცა, ოთხმოცდაათ წელს

გადაცილებულიც შავად იღებავს სიწველი უღვაშს, ტუჩიდან ჩიბუხს არ იშორებულა და დაუღლელად მარცვლავს კრიალოსანს. მოკლედ, ისევე გააზნაურდა. „მიჩქელ გაბრიელს სიიდან გამორჩენია მაგ უბედური“, — იტყვის ხოლმე კოწიას მოვლით თავგაბეზრებული რძალი. მწვანე-ყვავილაზე ყველას უყვარს კოწია და მეც მიყვარს. ალბათ იმიტომ მიყვარს, რომ პაპიჩემის მომსწრეა და კიდევ მომსწრე ბევრი იმისა, რაც მე არ მინახავს. მისდამი ზუსტად ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც მუზეუმში შემონახული ნივთისადმი. რაც თავი მახსოვს, კოწია სულ ასე მოხუცი იყო. რამდენჯერმე გამოლაპარაკება ვცადე, მაგრამ ვერაფერს მივუხვდი — თითქოს სანსკრიტის ენით მესაუბრებოდა. ახლაც, გვერდში რომ ჩავუარე, ძალაუნებურად მივესალმე: — გამარჯობათ, კოწია ბატონო! — მთელი ხმით დავიყვირე, თუმცა წინასწარ ვიცოდი, ყურსაც არ შეიბერტყავდა. მართლაც ასე მოხდა.

მანქანიდან ჩამოვედი და ჩვენს ჭოშკარს მივადექი. უწინდებურად იმედი აღარ მქონდა, რომ ვინმე შემეგებებოდა. გასულ გაზაფხულს ოთხმოცდაშვიდი წლის დიდი ბებია ანო, საფლავის კარამდე ოჯახის ბურჯი და ჯაეარი, სტუმრისა თუ შინაურის პირველი დამხვდური და გამცილებელი თავად გავაცილეთ საფინჩიის სასაფლაოზე და მისი ნაშვირნი კი ქალიან-კაციანად სამსახურში იქნებოდნენ გაკრფილები. მყუდრო ეზოს თბილი, ოდნავ ნესტიანი შუადღე ეუფლებოდა. სახლის კედელთან მიდგმულ მერხზე ჩამოვჯექი. ძველი, ბავშვობიდან ნაცნობი, მაგრამ სახილველად მაინც სასიამოვნო და თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად ქამთა ცვალებადობისა, საკუთარი სახეების მქონე ნივთები ძალაუნებურად იპყრობდნენ ჩემს ყურადღებას: კიბის ქვეშ მიწაში ჩაფლული ტუნომტვრეული თექვისმეტფუთიანი ქვევრი, რომელშიც პაპიჩემის დროს მაჭარს აღვიწებდნენ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის წლები-

დან მოყოლებული, მწვანე-ყვავილაზე წყალსადენი მიღების გაყვანამდე წყლის რეზერვუარად იყენებდნენ; უხმარობისგან ფერდებდაზარული საწნეხელი — მასში მხოლოდ ჩემს ახლო წინაპრებს თუ დაუთვრიათ ფეხები და დაუსივებიათ გახელებული ტერფები ყურძნის ტყულებში, — ალბათ, შემად მხოლოდ იმისთვის არ აპობენ, რომ ქართული კაცის სისხლი და ინსტინქტი არ ანებებთ ამის გაკეთებას. ქვედა სართულზე საკუჭნაოდ და სარდაფად გადაკეთებული ოდესღაც ქართული დარბაზის ღრიჭოდ დარჩენილ კარებში გულამომკვარტლული და გვერდებჩამოშლილი ბუხარი ცალი თვალთ დაყინებით მომჩერებია და თითქოს ცდილობს მომაგონოს ის გარდასული დღეები, როდესაც ამგვარადვე უეცრად ჩამოსულს, მუდამ დაუზარებელი დიდი ბებია ანო გამოიცილობდა მჭადსა და ხაჭაპურს. გაზის ქურაზე ტაფაში გამოცობილ მჭადსა და ხაჭაპურს, ევროპული საწნეხი მანქანებით დაწურულსა და შუშის ბოცებში დაყენებულ ღვინოს ახლაც მობართმევენ ჩემი ბიციოლები და მამიდები, მაგრამ ყველაფერ ამას თიხისა და აღამიანის გემო აღარ დასდევს. ანოს მიწიერ ცხოვრებასთან ერთად მათაც დაასრულეს თავიანთი ცხოვრება, ოღონდ, ჯერაც არსებობდნენ და ცოცხლობდნენ ჩვენს მოგონებებში.

თვითონაც არ ვიცი, მწვანე-ყვავილაზე ჩასვლისას ასე დაყინებით რად ვფიქრობ ანოს გარდაცვალების დღეზე. ალბათ იმიტომ, რომ იმ დღეს ზედმიწევნითი სისრულით გამომეღვანდა მისი უშფოთველი, მტკიცე ხასიათი და ყოველგვარი შემთხვევითი მოვლენის აუცილებელ პირობად გადაქცევის ის გონიერი ნიჭი, რომელსაც „ხალხურ სიბრძნეს“ უწოდებენ. სიკვდილს იგი ისევე შეხვდა, როგორც ყოველდღიური ცხოვრების რიგით უსიამოვნებას, რომელსაც აიცოცხლეს ზოგჯერ გულში იმარხავდა, ზოგჯერაც, ახლობელთა დასამშვიდებლად აბუჩად ივდებდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში, ძილის წინ თავის ოთა-

ხში გამოკეტილი და ღვთისმშობლის საყვარელი ხატის წინ მუხლებზე დამხობილი თავდავიწყებული ლოცვით აქარწყლებდა.

...ოჯახში სიკვდილს სულ არ ელოდნენ და ბედის წინაშე უღონონი ვერ ამბობდნენ სამღურავ სიტყვას, ვერავის ამტყუნებდნენ, რომ ეცლებოდათ ზურგი დასამყარი, ერთგული მლოცველი.

შვილებმა ზეზედ ათიეს ღამე, ქალიშვილები ლოგინთან ისხდნენ. ფანჯარაში კი მსუქანი მთვარე სიკვდილის თვალივით ეკიდა. ანო უძრავად იწვა და თვალგახეილს თითქოს ეძინა. სიფრიფანა, მშრალი ნესტოებით გაზაფხულის ნოტიო მიწიდან ამონადენ სურნელს იყინოსავდა, გულში სწირავდა უძვირფასეს ძღვენს და ევედრებოდა: მსუბუქი იყავ! მსუბუქი იყავ! მერე, როცა ცამ გაირიყრაყა და იმერეთის ფაფუკი დილა ნიავთან ერთად ფერდობებს მოედო, ვაყებმა ჩემად იცვალეს ფეხი, ქალბებმა ცრემლი ჩამოიწმინდეს; ღამის სიბნელეს თავდადწეულმა ანომ კი თვალები გაახილა, ცისფერი მზერა გარშემო მყოფთ შეეკლო, გათელილი ლოგინი უღონო თითებით მოსინჯა და ყრუდ წარმოსთქვა:

— ახლა, იცით, ავდგები და ხელბირს დევიბან.

ვაყები მხარში ამოუდგნენ, ფრთხილად მიიყვანეს მოხუცი წყალთან. მაგრამ სანამ ხელებს დაიბანდა, ანომ სარკმლიდან ცერად გაჰხედა ეზოს: ეზოში ალუბლის რტო ტოკავდა, ირგვლივ ბატონობდა ტყემლის ყვავილის ფერი, მზის ქვეშ სიმინდი იშმუშნებოდა, ცვარს ღვრიდა ქლიავი, წითელი ალუჩა უაზროდ იღიმებოდა და ყველაფერი ისე ღამაზი ჩანდა, რომ გული ერთდროულად სიამითა და ნადველით აევსო, და ჩაიჩურჩულა: „შვილებო, ქე მენანება ამ ჩემი ნაოფლარის დატოვებაო“ და ცრემლის ერთადერთი წვეთი ჩამოუცურდა ნაოჭებით დაღარულ დაწვზე. იმავე წამს პირზე წყალი შეისხა, გას-

აკაპი მახბძი  
მოთხრობები



წორდა და რაღაც უცნაური ღიმილით — რომლის არსიც ღღემდე ვერ ამოვეიხსნია, — დინჯად, მშვიდად გაემართა საწოლისკენ, გულაღმა დაწვა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მანამდე დაუნახველსა და საოცარს ჰვრეტდა, თითქოს ვიღაც უცნობის უეცარ სტუმრობას ელოდა, და სიკვილიამდე ერთხელაც არ დაუქვენესია...

— ეთერო! ნახევარ საათს სასადილო ოთახში შენს რბილ სკამზე თუ დამსვამ, იმისთანა ამბავს დაგაზვედრებ, რომ გესიამოვნება! — ჭირიმელას ჰყვივილმა ფიქრი შემაწყვეტინა და მერხიდან წამოვლექი.

— გასაოხრებელი სკამი ოჯახში სა მაქვს, შე შეჩვენებულო! — შორიდან მოისმა ბიცოლაჩემის კისკისა ხმა და ჭიშკარში გავედი. მარჯვენა ხელში ბაზარში ნაყიდი სურსათით დატენილი ჩანთა ეჭირა. რომ დამინახა, მარცხენა ხელი ჯერ დამიქნია, მერე ლოყაზე მიიღო და წამოიძახა: — უი, ბიჭო, როის ჩამოხვედი? სწორედ გუშინ გნახე სიზმარში და რავა ამიხდა?

— ყველაფერი კაი ასე ავიხდეს ცხოვრებაში. მარა, რაია, ერთხელ შენს სუფრასთან მჯდარი მეც დაგესიზმრო, ეთერო? იქნებ, ესეც ახდეს? — არ მოსივნა ჭირიმელამ და ისევ დაიწყავლა სახურავიდან.

— რო დამესიზმრები, ე, მაშინ უთუოდ დაგსვამ იმ რბილ სკამზე, — მომიახლოვდა, გადამეხვია და მოიბოდიშასავით:

— რავა ვერავინ დაგიხვდით შინ, მოგიკვდა ჩემი თავი

— კაი ახლა, სტუმარი ხო არ ვარ.

— რას მიქვია სტუმარი და შინაური — ოჯახში ორივეს ქალი უნდა დახედეს, მარა ხო იცი, ანთს სიკვდილის შემდეგ... ჰოდა, სამსახურში რო არ ვიაროთ მე და მამიდაშენმა, მარტო ბიძაშენის ჯამაგირით რას გავხდებით... პაწია მეისვენე, ბიჭო, და ახლავე წაგახემსებ. შენ რო გიყვარს, იმისთანა ლობიო მაქვს, მჭადსაც ახლავე გავაფიცებ და...

სანამ ბიცოლაჩემი საუზმეს მთავარსა რებდა, საშინაო შარვალ-პერანგი გადავიცი, რატომღაც ფეხსაცმელიც გავიძირე და უკანა კიბეს ჩავყევი. შიშველი ტერფებით მიწასთან შეხებისთანავე სხეულში სასიამოვნო ყრუანტელმა დამიარა. მართალია, არც დილა იყო და არც ცვრიან ბალახზე ვიდექი, მაგრამ გალაკტიონის ლექსი მაინც გამახსენდა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე — რაა მამული?“ რა თქმა უნდა, ფეხშიშველა იმითომ არ ჩავსულვარ ეზოში, რომ ეს ლექსი მიყვარდა და შეპირად ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს ისიც სადაოა, გალაკტიონმა ჯერ „მამული“ დაწერა, თუ ცვრიან ბალახზე გავლამ შთააგონა ეს სიტყვები. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ გალაკტიონმა „მამული“ დაწერა ქალაქში, გახურებულ ასფალტზე მდგარმა და ქალაქის სიცხით სულშეხუთულმა.

ეზოში ჩასვლისთანავე ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს რაღაც საქმე უნდა გამეკეთებინა. გამოცდილ მეზაღესავით მშუნველი თვალი გადავავლე ხეხილს და რამდენჯერმე საგანგებოდ ღრმად შევისუნთქე ჰაერი. იმავე წამს საფეთქლები ამიხურდა, კუნთებში სისხლი მომაწვა, ფეხები თავისთავად მოსწყუნდნენ ადვილს და თავქვე დამაქანეს. ერთ ბოლოში, ღობედ ჩარგულ მაყვლის სწირ ბუჩქებიდან, მეორე ბოლოში კენწეროაზიდულ კაკლის ხემდე ეზოს გარდიგარდმო ვიწრო ბილიკი სერავდა კაკლის ხეს რომ მიეუახლოვდი, შევდექი, ფართული სიამაყითა და სილაღით შევათვალეიერე მისი გაღმონქეილი კეწეწები, რომლებზეც, წინათ, ნიგვზის დასაბევირად კეტმომარჯვებული იოლად ვიკიდებდი ფეხს და, მერე, ხელისგულეებით ფრთხილად მივეყრდენი ნუჟრით დაფარულ მის ტანს. ერთხანს გაშეშებულივით ვიყავი, უფრო და უფრო ძლიერად ვუჭერდი თითებს უზარმაზარ ღეროს და ჩემთვისაც გაურკვეველ სიტყვებს ფსალმუნით ვბუტბუტებდი. შემდეგ, ხავსმოდებულ ფეხებს შორის წამოკვეჭი და საოცრად ძალმოცემულ-

მა მზერა როინის ხეობას გავაყოლე. უკვე წინასწარი კმაყოფილებით შევავთვალე ვერე შევეული ფერდობის თავზე მძიმედ ჩამოყრდნობილი ჩამოშლილი კედლები ბაგრატის ტაძრისა და გავიფიქრე: ჯერ კიდევ საკითხავია, ამერიკელ სნობს მეტი უფლება აქვს იამაყოს თავისი ცათაბჯენით, თუ მე — ჩონჩხაღქცეული ტაძრით-მეთქი.

კვირა დღე იყო. მწვანე-ყვავილას სამრეკლოდან ხარის რეკვა მოისმა და გავიხედე მარჯვნივ, სადაც წმინდა გიორგის სახელზე აშენებული ეკლესია მწვანედ ამოლტილ ხეებს შორის თეთრად ქათათებდა. ჩემი მზერა კიდევ რაღაცას თხოულობდა და ოცნებით გადავწვდი აჭრელებულ ბორცვებს იქით მდგარ მთის კალთას, „რომელიც გამოირჩია მდღემან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შეუნიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაა გარდაათხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა... სახელი მისი გელათი.“ წამით, არაბუნებრივი სიციხადით ვიხილე თვალისმოშორელი სინათლის რკალში მოქცეული მისი გუმბათები, პირწამახულ თავებს ცისკენ რომ იწვდიდნენ და თან იტაცებდნენ სიმძიმეს გაქანგისფრებული კედლებისა. ვისაც თვალი არ შეუსწრია მოსახვევიდან სივრცეში ხოხობივით ამოვარდნილი მისი უბადლო გამონათებისათვის, დე, თავი მისცეს უსაშველო ნიპილიზმსა და სკეპტიციზმს. ხოლო მე, ოცნებებშიც გელათის ხილვით ატაცებულად, ჩემი ბებერი კაკლის ქვეშ მწოლარე, ცის კიდობანზე დაკიდულ თეთრ გამჭვირვალე ღრუბლის ფთილებს მივჩერებოდი, ვგრძნობდი, თანდათან როგორ მეკარგებოდა ჩემივე სხეულის შეგრძნება: მიწაზე ვწევარ — თითქოს მიწის ნაწილი ვიყო, ფოთოლი ირხევა — და მეც მასთან ერთად ვქანაობ და საიდანლაც ვილაც ჩამძახის:

- ეს ცა — თვითონ შენ ხარ!
- ეს ხე — თვითონ შენ ხარ!
- ეს მიწა — თვითონ შენ ხარ!

სიხარულისგან სუნთქვა მეკვრებოდა თავს ვერ ვიკავებ და ხმამაღლა ვყვირი: — ვინა ხარ? გესმის, ვინა ხარ-მეთქი! — მე ვარ, ბიჭო! რამ დაგაფეთა, ბიძაშენი შოთა ვარ და, ნეტა რა გავყვირებს!

— შენა ხარ? — ჩემს წინაშე შოთა ბიძიას ვეება, ძლიერი სხეული და კეთილი, სანდო სახე ილანდება.

— რაა, არ გჯერა თუ? ვითომ ასე შევიცვალე ამ ერთ თვეში?

ჯერაც გაბრუებული არაფერს ვპასუხობ.

— ბიჭო, შეშლილივით რომ დაგიყვლებია თვალბი, ამისთანა რა დაგეისზმრა? მე აქა და სიზმარ იქა-თქო, თქვი და მოდი ერთი გადამეხვე, — მქაზე ხმით ჩაიროხროხა ძია შოთამ და კაკლის გრჯლოს სიმსხო მკლავებით თავის უზარმაზარ ღიბზე მიმიკრა.

ნასამხრალს, ეზოში გამართული ტალავერის ქვეშ, სუფრას ვუსხედით ბიძაჩემი შოთა, ბიცოლა ეთერი, მათი შვილები ალე და ანუკა, ყველას მამიდა — მამიდა თამარი, მამიდა ნუჩიკო თავისი ქმრით შაქროთი და შვილით გიორგით, და მე; ბაღდადურ შუშხუნა თეთრ ღვივნოს ეშხიან კოხტა იმერულ მრავალყამიერს ვაყოლებდით. ვერც ერთმა ვერ შეგნიშნეთ დამე როგორ შემოგვეპარა. ვარსკვლავებით განათებული, ქართველი კაცის გულივით მაღალი და გაშლილი ღია ცის ქვეშ უზომოდ მსიამოვნებდა ყოფნა და ჩემთვის უხმოდ ვიმეორებდი: როგორ მიყვარს, ღმერთო, როგორ მიყვარს ყველა ესენი! მათ სიყვარულსაც თითოეული ნერვით აღვიქვამდი და ვფიქრობდი, რომ ბედშავ საუკუნეთა სრბოლას სწორედ ამ სიყვარულის ნიჭმა გადაგვარჩინა და პირადად მეც, ამ ცხოვრებაში ეს სიყვარული თუ გამამხნევებდა.

ძილის წინ ბიცოლაჩემმა ოთახში დამიგო ლოგინი, მაგრამ მე გავკიუტდი, თავი ზედმეტად მოვიმთვრალე და ეზო-

პაპი მასამ  
მოთხრობები



ში კაკლის ხის ძარას ხალიჩა გავაშლევინე, ზედ წამოვწექი და ნახევართვლემასა, ჭრიჭინობელათა გახელებულ სიმღერასა და კუზიან ფესვებთან გლასუნში გავატარე ღამე.

უთენია, რიონის ხეობიდან ჩამონაბერმა ნიავმა გამომაფხიზლა. ბინდბუნდში უკვე მელნისფრად იხაზებოდნენ მოპირდაპირე მხარეს აზიდული დაბალი მთები. ხეები, მდინარე, ცა, სახლები თითქოს სუნთქავდნენ და ისე იშმუშუნებოდნენ, როგორც გამოღვიძებისას აფორიაქებული ბავშვი. ფეხზე მსუბუქად წამოვხტი, გულთან თავაშვებულად მოწოლილ ენერგიასა და ქმედების სურვილს ამკარად ვგრძნობდი, — უკვე მზად ვიყავი საკუთარ ოთახში გამოსაკეტად და ყოველდღიურად შემოხიზნული ფიქრების დასახვე-

დრად. „შორს ჩემგან ყოველგვარი უფროსობა და უიმედობა!“ ხალიჩაზე წამოვსვე, ფესვზე დავდე და უნებურად ხელი დავავლე იქვე დაგდებულ გოროხს. მერე, ჭიშკართან მდგარი მანქანისკენ ბილიკს ავყევი და გზად თითებით ვფშვინტდი ნოტიო მიწას. გასასვლელში წამით შეეყოყმანდი — ოჯახს ხომ არ გამოვეშვიდობო-მეთქი, მაგრამ ჩემი დაუშვინდობებლად წასვლის გასამართლებლად, დიდი ბებია ანოს სიტყვები გამახსენდა: „ბიჭო, რავა მოჩვენებასავით გამოლანდღები და გაუჩინარდები ხოლმე“, — და საჭეს მივუჩქექი.

როდესაც უკან თბილისისაკენ მივქროდი, თავს მხნედ, ლაღად ვგრძნობდი და წინა დღის გუნებაგამოყოლილი სახელდახელოდ შეთხზულ სიტყვებს ვუგზავნიდი მწვანე-ყვავილას:

მე თვეში ერთხელ მოვდივარ შენთან  
და თან მიმაქვს ერთი მუჭა ნოტიო მიწა, —  
კაკლის ფესვებთან მიმოხუნულ ფშვიად გოროხებს,  
სიფრთხილით დაფშვინი,  
ერთი მისხალიც არ მსურს დავკარგო,  
და თან წავიღებ,  
რომ გადაღლილმა ზოგჯერ ჩავამხო ხელებში სახე  
და ქურჩის მტვერით ამომშრალი ჩემი ოცნება  
მისი სურნელით გავაცოცხლო,  
გამოვაფხიზლო.  
და,  
მერე,  
ისე  
ახლის სულით გაბრწყინებული  
დავუყვე ხალხით გატენილ ქუჩებს,  
რომლებიც მუდამ მომელიან და მეძახიან.

## უ შ ბ ი ს კ ი რ უ ი

გადასასვლელი უკან დარჩა. მე კლდიდან ჩამონანგრევე უზარმაზარ ლოდს მივეყრდენი, ოდნავ შევისვენე. დილიდან შეუჩერებლივ მივაბიჯებდი მზით აჭრტიალებულ მთებში და ახლა ღონეს ვიკრეფდი, დარჩენილი მანძილი

დაბინდებამდე რომ გამეარა. შუადღის ხვატი უკვე შენელებულიყო. ჩრდილში სასიამოვნოდ გრილოდა კიდეც. შორს, აჭრელებულ ფერდობებს იქით, ნასამხრალ მზის სხივებზე ლაილას თოვლიანი კალთები ნაზ ფერებად

იღვრებოდნენ. მაინც რამდენი ფერი გადაჰკარავდა ლაილას: ყვითელი, მოლურჯო, თეთრი, მომწვანო და კიდევ სხვა ბევრი — გაურკვეველი და უსახელი. ქალივით ნაზი და კეკლუცად მოეღვარე იყო ლაილა. დიდხანს გვეცქეროდი მას, მერე გავსწორდი, ზურგჩანთა მხრებზე კარგად მოვირგე და თავქვე ბილიყს ისევ დავყვევი.

აქეთ სიარული უფრო მიადვილდებოდა — ქველორდიანი აღარ იყო სავალი გზა და მზეც ისე მცხუნვარედ აღარ მიწვავდა კისერს. „დაბინდებამდე სოფელში ჩავალ“, ვთქვი ჩემთვის და ნაბიჯს ავუჩქარე.

ქვემოთ მაზერიც გამოჩნდა. მთების გოლიათურ ჩრდილებს მისი მინდვრები შავად დაეღუქა და ისიც მათ მხრებქვეშ გარინდელყოფო. ფერდობზე სვანები ბალახს თიბავდნენ. ერთ რიგში ჩამწკვრივებულნი ცელს რიტმულად იქნევდნენ, რიტმულად და შეუჩერებლივ. მათკენ გავწიე, ვიფიქრე, მაზერამდე უმოკლეს გზას ვკითხავ-მეთქი.

სანამ სათიბს მივალწვევდი, მზე უკვე მთებს იქით იწურებოდა. მხოლოდ უშბის თავი დარჩა წითლად შეღებილი, სხვა ყველას ლეგლურჯი გადაჰკარავდა. სვანებმა თავი ანებეს თიბვას, ცელები ერთად მიაწყვეს და ბალახზე დაეყარნენ.

— გამარჯობათ, — შორიდანვე მივესალმე მთიბელებს და ზურგჩანთა მხრებიდან მოვიძრე.

მზისგან გარუჯულ, გაოფლილ სახეებს ხელსახოცით იწმენდნენ და სველი პერანგები ძლიერ მკერდსა და მკლავებზე მიკროდათ.

ჩემს მიახლოებისთანავე ფეხზე წამოდგნენ. ხელი ჩამომართვეს.

— ჩამოჯექ, გეტყობა, შენც დადლილი ხარ, — მითხრა ყველაზე უფროსმა მათ შორის, — ახლახან მოვათავეთ. ღმერთმა უშველოს, დროზე ჩავიდა, თორემ მეტი ღონეც აღარ იყო, — დადუმდა და მაშინვე დაამატა, — საით გავიწვივა?

— მაზერს, მეგობართან,

— აბა, რომელთან? — ჩამეკითხა გვერდზე გადაიწია და საესე კალათას ხელით მისწვდა.

— იქაურები თუ ხართ, თქვენც გეცოდნებათ სოსო კვიციანი.

— როგორ არ ვიცი. სოფლის განაპირას დგას იმის სახლი.

მან მოთიბულ ბალახზე პატარა სუფურა გაშალა და ზედ საჭმელი გადმოაწყყო.

— ჰოდა, მაზერამდე მოკლე გზას ხომ ვერ მასწავლიდით?

კალათში ისევ ჩაჰყო ხელი და ორი თლამო ჭიქა ამოიღო.

— რა გაჩქარებს?

— სტუმრად მივიღივარ და მეუხერხულება კარზე გვიან მიდგომა.

— არაფერი უხერხული არ არის, — მომიჭრა სვანმა, — ოჯახის პატივია სტუმარი. რა დროსაც არ მიხვალ, ერთნაირად გაეხარდებათ.

— ჰო, ასეა, — დაუდასტურეს სხვებმაც.

— ახლა ცოტა მოვისვენოთ, წავიბურმარილოთ და ერთად გავწიოთ.

— სწორია, მაზერში ჩასვლას ყოველთვის მოასწრებ, — დასძინა მეორემ და კარგა მოზრდილი თუნგი გადმოიღო. — ჯერ დავილოცოთ: კეთილი იყოს შენი სტუმრობა და ჩვენი შეხვედრა, — თქვა და რახი ჩამოასხა. ერთი თლამო მეც მომაწოდა.

ჭიქა გამოვართვი, მაღლობა ვუთხარი და დავცალე.

სხვებმაც ჩამოირიგეს რახი და პირველად ჩემი სადღეგრძელო შესვეს. მთაში ასე იციან — პირველი სადღეგრძელო მუდამ სტუმრისაა.

როცა ყველამ დაღია, მეორედ შეავსეს ჭიქები.

— ჩვენი მიწისა იყოს...

— დაილოცოს, — ვთქვი და გადაეკარი.

მოსივებულნი მადიანად შევექცეოდით საჭმელს და თან რახს მალიმალ ვაყოლებდით.

აპაპი მასაძე  
მოთხრობები



დაღლილი სხეულები რახმა ჩქარა შეგვიხურა და ახლა სასიამოვნო მოთენთილობას ვგრძნობდი. ბალახში გვერდულად გავწეჭი და ცას ავხედე. მიწისა და თივის სურნელი მცემდა. სახელდახელოდ შეკრული ძნებიდან კალიების სიმღერა მესმოდა და ყველაფერი ეს კიდევ უფრო მათრობდა. ჰაერი იყო წმინდა, ნოყიერი და მთელი მკერდით ვსუნთქავდი. ჩემს წინ უშბა აზიდულოყო და მალლიდან შუბლმოქურთუხებული გადმომცქეროდა. დიდებული იყო სანახავად — მხრებგაშლილი და ტანდაკუნთული. უშბა რომ არ იყოს, სვანეთის მთები არაფრად ეღირებოდა-მეთქი, გავიფიქრე, როცა ლაილას და თეთულდის ნაზი და მოელვარე მწვერვალები გამახსენდა. მასში სილამაზეზე მეტად ძალა იგრძნობოდა, დიდებულიაო იტყოდო და არა მშვენიერი. უშბა კაცია, სვანი კაცი — შუბლმაგარი და ტანმკვრივი.

როცა თუნგი გამოვცალეთ, ყველანი წამოვდექით. სვანებმა ცელები აკრიფეს, მე ზურგჩანთას დავავლე ხელი და ფერდობზე დავეშვი.

ბნელდებოდა. ღამის სიგრილე სიამოვნებდა გახურებულ და მოთენთილ

სხეულს. იყო სიჩუმე. მხოლოდ ჩვენი ლაბარაკი და სიცილი ისმოდა. უცებ უმარავი ბრჭყვიალა ვარსკვლავით მოიქედა და ისეთი გახდა, როგორც ზღვის პირას — სავესე, თითქოსდა ხელით მისაწვდომი. მე გვერდით მყოფ ახალგაზრდა სვანს მხარზე ხელი გადავხვიე. ორივემ ასე მხრებზე მკლავგადაჭლობილებმა განვაგრძეთ გზა და ჩვენთვის ვდღინებდით.

სოფლის დასაწყისში დავშორდით ერთმანეთს. ერთ ხანს კვიციანების სახლის ჭიშკართან შევედქი და თვალი გავეყოლე შუკაში მიმავალ მთიბველებს. სანამ ღამეში სულ არ გაუჩინარდნენ, გაუნძრევლად ვიდექი და ვუყურებდი.

მერე შევალე მალაი ალაყაფის კარი და მეგობარს გავძახე.

ახლაც, რამდენჯერ არ გავიხსენებ იმ დღეს, მუდამ კარგი შეგრძნება მებადებდა გულში — კარგი და დიდი. იქ იყო იმგვარი სილამაზე, რაც გავსებს და ძალას გამატებს. იქნებ, სწორედ ამიტომ არ ივიწყებს ადამიანი კარგს და ცუდს კი შლის გონებიდან. მეც არ მავიწყდება უშბის ძირში სვანებთან შეხვედრა, მათთან განცდილი და ნახული, ან, უფრო სწორად, არ მინდა დავივიწყო.





რაც მე უნდა დავინახო,  
 იმას სხვა ვერ დავინახავს.  
 რაც მე უნდა დავიშარხო,  
 იმას სხვა ვერ დავიშარხავს.  
 თუმცა ხსოვნა ზოგჯერ მკრთალი  
 სინათლისა არის ხოლმე, —  
 რაც მე უნდა დავიხსომო,  
 იმას სხვა ვერ დავიხსომებ.  
 ვინც მე უნდა შევიფარო,  
 იმას სხვა ვერ შევიფარებ.  
 ვინც მე უნდა შევიბრალო,  
 იმას სხვა ვერ შევიბრალებ.  
 მას, რასაც მე დავივიწყებ,  
 სხვა ვერ ჰკადრებს დავივიწყებას.  
 რომელ დღესაც დავივიწყებ,  
 იმ დღეს სხვა ვერ დავივიწყებ.  
 შეიძფერ ფერფლად აფერინდები,  
 შევერთვები ცის არშიას, —  
 რასაც მაშინ მე ვიხილავ,  
 სხვა ვერ ნახავს სიზმარშიაც.



ბზებმა აგივსეს ტვერი იმედის  
 და ოცნებების ბალი მტრედებმა  
 აგიხშიანეს უცხო გალობით.  
 ცუდ მიმბაძველებს უკიჟინებდი:  
 უკან ნუ მომდევთ, აგიმტვერდებათ,  
 ასეთი არის გზების კანონი.

თუმც მომავლისკენ ხელებს იწვდიდი  
 და სულ გვეიდა ზურგზე ერთთავად  
 ათასი ფუთი ტკბილი ზმანება,  
 მაინც არ ჰგავხარ იმას, ვინც მიდის  
 შარაზე უკან მოუხედავად  
 და არაფერი არ ენანება.





## მ ა ტ ბ ი

თავმოყვანილი მთების ტყიანი ფერდები ნაკეცებად ეშვებიან მყუდრო ხეობაში. გაღმითაც და გამოღმითაც მათა უბეებში პატარა სოფლებია მიყუყული. ხეობაზე გადმომდგარი კოშკებიანი სახლები ვერცხლისფრად კრთიან მთვარის შუქზე. ხანდახან ცივი ქარი აჩქარებით გაირბენს შემოდგომის გაშიშვლებულ ტყეში, გაჩონჩხილ ხეებს წამით შეაქრქოლებს და ყოველივე ისევ წყდება.

...სიბუნელიდან ამოჭრილი კივილი და

ცხენის ფლოქცების თქარუნი ბილიკით შემოვარდა ხეობაში, ხმაურით გაიფანტა ვარშემო. ბილიკი ჭრის ტყეს, თავქვე ეშვება და კლდის ძვიდეს გასდევს ფრთხილად. ცხენოსნის ლანდი გრძლად გაეფინა ვიწრობზე, დაღარულ კლდეზე გადატყდა და აფართხალდა. უზანგზე შემდგარ მხედარს, დიდი, გაბრწყინებული თვალები ფართოდ დაუღია, გამომწვევად მიშტერებია სიბუნელს და დროდადრო მოწოლილ შიშის შეუჩვეველ გრძნობას გამყინავი კივილით აზ-

შობს. სახეს უაზრო, იარასავით ღიმი-  
ლი უსერავს... ვარბის ცხენი, ბრმად  
მინდობილი პატრონის გაშმაგებულ ნე-  
ბას.

უცებ ტაკანით ვარდება სიჩუმე  
და ცხენის გაბმულ ჭიხვინს, დინჯი, ვა-  
ოცებული კივილი ერთვის მხედრისა.  
ქვევით მიიმედ ენარცხება სხეული, რა-  
ღაც, გამოკვეთით, დიდხანს იფხრიწება,  
მერე ჩუმი შრიალით ჩაცურდა ღორ-  
ლი, კაჟუნით ვაგორდა ქვა და ჩქარა  
ისევ მოგროვდა ხეობაში სიწყნარე.

სოფლის განაბირა ეზოში ბებერი ნა-  
გაზი აყმუვლდა.

— მაკვი უნდა მოვჭყლა! — კბი-  
ლების ღრჭენით იტყოდა ბუხართან  
მჯდარი ბათალბი, თავს გააქნევდა, გა-  
დააბურჭყებდა და წყებლით მიაყრიდა  
ნაცარს.

ცოლს ვახშმის თადარიგი დაეჭირა.  
ლანდივით დაფარფატებდა, ქმრის ყო-  
ველ შეძახილზე შეტოკდებოდა, დადგე-  
ბოდა გარინდული და მერე ისევ საქ-  
მეს აგრძელებდა. ოთახის შორეულ,  
ბნელ კუთხეში ორ ჩვილს მშვიდად ეძი-  
ნა. ბათალბის ზურგთან გრძნეულივით  
ჩაჩოქილიყო ბებერი ხათუნი, მამამი-  
სის დეიდა. ხათუნის პატარა, დაღარულ  
სახეს სიკვდილის ფერი დასდებოდა.  
მოჭუტული, წირბლიანი თვალებით ბო-  
როტად დაჰყურებდა თავის ვაცრეცილ  
ხელებს და ძაფივით წვრილი ტუჩებით  
უჩუმრად უთვლიდა სამყაროს ათას  
წყევლას.

დაღარი რომ ნაცარს მოიკიდებდა,  
წყებლით ჩამობერტყავდა ბათალბი, თი-  
თქოს ნაკვერცხლის ვარვარზე ყოფილი-  
ყოს დამოკიდებული მისი ბრაზი.

ცეცხლის ჩრდილები კედლებზე კან-  
კალებდა და ქალსაც აკანკალებდა, სტუ-  
მარს ნატრობდა ცოლი.

ხათუნი მხერას სარკმლისკენ აპა-  
რებდა მაღიმალ, მთვარეს ხედავდა და  
ტუჩები უფრო უცახცახებდა.

სადღაც ყმუოდა ძაღლი.

ქალს სუფრა გაეწყო, ქმრისთვის და-

ახება ვერ გაებედნა, გულხელდაკრე-  
ფილი შორიანლო იდგა და ბათალბის  
უყურებდა.

— ბათალბი! — დაიძახა გარედან ვი-  
ლაცამ.

ცოლ-ქმარი შეკრთა. კაცი ადრე გა-  
მოერკვა, გარეთ გავიდა და ცოტა ხან-  
ში თომას შემოუძღვია ოთახში.

— თომა ყოფილა, — უთხრა ბათალ-  
ბიმ ცოლს.

— ღმერთმა ავაშენა, თომა!... კარგ  
დროს მოხვედი, სწორედ ვახშმად  
ესხდებოდით, — თქვა ქალმა.

დაბალ მაგიდას მიუსხდნენ. ხათუნიმ  
ბათალბის ადგილზე გადაინაცვლა, ნაკ-  
ვერჩხალს ჩააშტერდა.

კაცმა სტუმარი ადღეგრძელა და არ-  
უიანი ჭიქა გამოსცალა. ბიჭმაც შესვა.  
ქალმა წვნიანი ჩამოარია. თომამ ლუკ-  
მა ჩააწო, შეჭამა და თქვა: — მაკვი გა-  
დაიჩეხა ცხენით!

ბათალბი წელში გაიმართა, უაზროდ  
მიაჩერდა თომას, პურის ნატებს ღეჭავ-  
და გაუთავებლად. ცოლს ეგონა ლოდი  
ლაშივარდაო, იატაკს დახედა, შვება იგ-  
რძნო უსაზღვრო და, როგორც — იკი-  
თხა.

— ნასვამი ყოფილა... ამ ბილიკებზე  
ცხენის ჭენება ვის გაუგონია?! ისიც  
ღამით, — თქვა ბიჭმა.

ხათუნი მათევენ მიტრიალდა, დამკნარ  
სახეზე მკაცრი გამომეტყველება ოდ-  
ნავ შეურბილდა და ისევ მიუბრუნდა  
ბუხარს. მძინარე ბავშვების მშვიდი სუნ-  
თქვა მკაფიოდ მოისმა კუთხიდან. ცოლ-  
მა შეიღებს განხდა. ბათალბი კვლავ  
ტუჩებს აცმაცუნებდა.

— ახლა ამოვასვენეთ... ძალიან დამ-  
ტვრეულა საწყალი... ძაღლს მიუგნია  
და ყმუილზე ჩვენც მივედით... მისი  
სულის მოსახსენებელი იყოს! — თქვა  
თომამ და შესვა.

უხმოდ შესვა ბათალბიმ.

ვახშამი მალე მოთავდა. სტუმარი წა-  
ვიდა და ყველანი დასაძინებლად დაწე-



ნენ. ერთხანს ცოლი ყურს უგდებდა ქმრის უთავბოლო წრიალს და მერე მშვიდად მიეძინა.

მეორე დღეს წინასწარ გამზადებული მორები ჩამოზიდა ტყიდან ბათალბიი. ცოტა შეშაც დაჩეხა... შებინდებისას თავისი ჯალაბობა სტუმრად გადარეკა; მეზობლებში — მარტო უნდოდა ყოფნა ბათალბის. მთვარეულივით დაბორიალობდა ოთახში მთელი საღამო,

სკამებს ეჯახებოდა, აყირავებდა მარტოკა მიუჯდა ტაბლას და მომცრო ჰქიით ერთნახადს წრუპავდა გვიანობამდე. ხანდახან კბილების კრეჭით თავს შეაქანებდა, მჯილს მკერდზე მიიბრახუნებდა, ცივ ბუხარში გადააბურცებდა და თითქოს ბნელ სარკმელს შეუხვდებოდა გაავებული:

— რად უნდა მომეკლა მაცგი?

## შ ხ ა მ ს ი

ვიწრო სასადილოს სიღრმეში სამი მაგიდა იდგა. ერთს — თომა და მისი ნაცნობები უსხდნენ, სხვა მაგიდებთან — ჩასუქებული კაცები საქმიანად პურმარილობდნენ. სასადილოს დანარჩენი ფართობი დახლსა და წოწოლა მაგიდებს ეკავა. მეზუფეტე ჩამუჭული ხელებით დახლს დაყრდნობოდა და იატაკზე უხილავ წერტილს დაშტერებოდა. მარტო ერთი წოწოლა მაგიდის გარშემო იდგა სამი კაცი. მათგან ორი მაღალი და გამხდარი იყო. მესამეც მალაი იყო; ოღონდ ძალიან სქელი და ბეჭვანიერი. სამთავეს გრძელი, წაწვეტებული უღვაშები ჰქონდათ. სქელი შეუსვენებლავ ქაქანებდა, გამხდრები მოწიწებით უსმენდნენ. მაგიდაზე ლუდით სავსე დიდი კათხები ელაგა.

შუშისა იყო სასადილოს ქუჩისპირა კედელი.

ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. ტროტუარის კიდეზე მოხუცები ისხდნენ და კრიალოსანს აწყაპუნებდნენ. ცალი მხრიდან აწეული, მოშლილი მანქანის ქვემიდან შოფრის ლანჩებახეული ფეხსაცემლები მოჩანდა. ჩაცუტქული ბავშვები საქმიანად უჭიტინებდნენ მანქანას. ხის ძირში მთვრალი მეკურტნე იჯდა და თითით მიწაზე რაღაცას ხაზავდა... ბინდისკენ იწურებოდა დღე.

თითქოს ფეხაკრეფით შემოვიდა სასადილოში დაბალი, გამხდარი კაცი. პატარა კაცს განიერი, გრძელი პიჯაკი ეც-

ვა, ჩაფართხუნებული შარვლით ჭუჭყიან იატაკს მოიხვეტავდა. ქუდიც დიდი ეხურა და ყურები რომ არ ჰქონოდა კაცს, ალბათ ნიკაბამდე ჩამოფხატებოდა ღილაკიანი, ხინკალივით დახაზული ქუდი. მოსულმა ცეცებით მოავლო იქაურობას თვალი და დახლიდან მოშორებით გაჩერდა.

— თუ შეიძლება ლუდი დამისხით ჭიქაში, — მორიდებით თქვა ჩია კაცმა. დახლიდარი ავადმყოფი შვილზე ფიქრობდა.

პატარა კაცმა თხოვნა გაიმეორა, მისი ხმა მეტი რიდით გაიყენთა.

წოწოლა მაგიდასთან აყუდებულმა ზორბა უღვაშამ უნებურად ლუდის კათხა გადმოავლო იდაყვით.

მოსული ერთიანად შეიკუმშა, დაფეთებული მიუტრიალდა იმ სამს.

— რას მეუბნებოდი? — ჩახლჩილი ხმით იკითხა დახლიდარმა.

პატარა კაცი დაიბნა, მერე, როგორც იქნა მხნეობა მოიკრიფა, დახლისკენ ნაბიჯი გადადგა და ჩუმად თქვა:

— ლუდის დაღვევა მინდოდა.

— სუფრაზე დამეწვიე! — უბრძანა მოსულს სქელმა მოქეიფემ და მხარზე ტორი დაარტყა.

ღარცხვენილივით დადგა მაგიდასთან პატარა კაცი.

— ჩვენი უბნელი მიშა! — წარუდგინა ზორბამ იმ ორს.

მათ სხვათაშორის შეათვალეირეს სტუმარი და კვლავ სქელს მიაჩერდნენ. მიშა ნიკაპით უსწორდებოდა მაგიდას, მისი თავი თითქმის ლუდის კახხის ოდენა იყო.

ჯანაინმა გვერდით დაიყენა მიწვეული.

დახლის გადღმადან ქალი გამოვიდა, კათხის ნამსხვრევეები ალაგა, იატაკი მოამშრალა და უკან შებრუნდა.

თომა მიშას უყურებდა.

— მაცივარი რაა? — ჩაიღიმა სქელმა, — ორ მაცივარს უბრალოდ ვერ მოვიდებ ზურგზე, თორემ — რაა მაცივარი? ამ კვირაში სამი პიანინო ავიტანე მარტოკამ მესამე სართულზე.

— პატარა ავტობუსი რომ აწიე უკნიდან, ის მოყვივ! — უთხრა ერთმა გამხდარმა.

ჯანაინმა თავმოწონედ ჩაიქნია ხელი, საესე კათხა შემართა — რაღაც სადღეგრძელო თქვა — და სულმოუთქმელად გამოსცალა. იმ ორმაც შესვალული. მიშა მოჯადოებულებით უყურებდა, როგორ წიწქნიდა ცხენისკბილება, ზორბა კაცი გამხმარი თევზის კლდს... მერე უცებ თომას გამოხედვა იგრძნო, აფორიაქდა, აწრიალდა და, ვითომ შემთხვევით, ლუდის ღიღ კათხებს აწოფფარა. ხინკალა ქუდის ღიღს და ხედავდა თომა, მაგრამ მაინც არ აშორებდა თვალს... მერე ჩიაკაცმა ნელნელა დაიხია გასასვლელისკენ, სწრაფად გამოალო კარი და გარეთ გავიდა.

შუშის კედელში ხედავდა თომა — როგორ გადავიდა პატარა კაცი ქუჩის მეორე მხარეს და ხის ძირში მიმჯდარ მთვრალ მეკურტნეს გვერდით ჩაუარა. მეკურტნე თავაუღებლად გაელაპარაკა ბიშას და ხაზვა ვანაგრძო. მიშა გაჩერდა, ცოტა ხანს იდგა, რამდენჯერმე ფეხი შეინაცვლა. მთვრალი ისევ ხაზავდა მიწაზე და აღარაფერს ეუბნებოდა... პატარა კაცი ფრთხილად გაეცალა ჩაუქრებულ მეკურტნეს და კედლებდახეთქილი, ორსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა... ქუჩა ბინდში დაიბურა...

რამდენიმე დღის შემდეგ, დილაადრიანად თომა სასადილოსთან მივიდა შესასვლელში, კბეზე დადგმულ ყუთზე ლამის დარაჯი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. კარზე ორლულოანი, სანადირო თოფი იყო მიყუდებული. სიჩუმეში მარტო ცოცხების შრიალი ისმოდა. ირგვლივ კაცი არ ჩანდა, მხოლოდ შავტუხა, უღვაშა მეეზოვეები — გრძელი ცოცხებით — ქუჩებს გვიდნენ. თომა ყარაულს მიესალმა, პაპიროსის მოსაკიდებლად მისკენ დაიხარა, იქვე დადგა და გააბოლა. დარაჯმა ეჭვით გამოხენდა, თავით ფეხებამდე აწომა და თვალეზში მიაჩერდა.

— ერთი კაცის ნახვა მინდა, იქნება თქვენ იცნობდეთ? — უთხრა თომამ. ყარაულმა პასუხი დააყოვნა, მეეზოვეებს გახედა, თოფსაც მოეფარა მზევრით და მერედა თქვა:

— ვინ კაცი?

— მგონი აქ უნდა ცხოვრობდეს, — თომამ დაბალი სახლისკენ გაიშვირა ხელი — ტანად დაბალია და ძალიან ფაშფაშა ტანსაცმელი აცვია... ქუდიც ახურავს ღილიანი, ხინკალა ქუდი...

— გასაგებია, — შეაწყვეტინა დარაჯმა. — მიშას აქ ყველა იცნობს. მაგ სახლში ცხოვრობს და აქვე ახლოს, ნავთის საწყობში მუშაობს.

— არ ვიცი რომელია მისი ბინა, — უთხრა თომამ.

— რად გინდა მიშა?

— გავიცნო მინდა.

დარაჯს გაუკვირდა.

— შეხვალ თუ არა სადარბაზოში, მარცხნივ პირველი კარი იმისია.

თომამ მადლობა გადაუხანდა და დაბალი სახლისკენ წავიდა.

— ოღონდ არ გავიღებს კარს! — მიაყვირა ყარაულმა.

თომა გამობრუნდა.

ვლადიმერ სინარულიძე  
მოთხრობები

— ნუთუ მართლა არ იცნობ მიშას? — ისევ გაიკვირვა დარაჯმა.

თომამ გაიღიმა, მართლაც — უთხრა.

— კარგი! — თქვა ყარაულმა. — კარგი!... შენ არ მოხვიდე ახლოს, თორემ შეეშინდება.

დარაჯი წამოდგა, გაიზმორა, მერე გაიღიმა, ყვითელარწიაშემოვლებული კბილები გამოაჩინა და მხნე ნაბიჯით ორსართულიანი სახლისკენ გაეპარა. ტროტუარიდან ოდნავ აცილებულ ჩაკეტულ ფანჯარას მიადგა და ჯიბის დანით დააბრახუნა.

.. ჩვეულებრივ დღეს, თავის ქუჩას, მეზობლებსა და ნაცნობებს ხედავდა მიშა სიზმრად. მსუბუქად, არხეინად მიაბიჯებდა პატარა კაცი, ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ყველაც კეთილსალამს უბრუნებდა. ქუჩის ბოლოში გავიდოდა, მერე უკან ბრუნდებოდა და ისევ კაი გამარჯობა ყველას — თითქოს აგერ ახლა არ ჩაევლოს და არ დაეკრას თავი ნაცნობებისთვის. მთელი სიზმარიც სულ ეს იყო: ქუჩაზე წინ და უკან სიარული, ნაცნობი სახეები და გაფუჭებულ, თავმონგრეულ თოჯინასავით თავის ვაუთავებლად კანტური გარშემო...

...დარაჯი იდგა და აბრახუნებდა. გაბმული კაკუნის შემდეგ ოთახში ფრთხილად, მოზოდიშებით ჩაახველეს, მერე მძიმე, მუქი ფერის ფარდა გადაიწია და სიბნელეში მიშას პატარა თავი და შეშინებული თვალები გაილანდა.

— გამოდი გარეთ!.. შენთან ვილაც ბიჭია მოსული... რამე მიჰქარე ალბათ და საზღაურსაც ახლავე მიიღებ! — მკვახედ უთხრა ყარაულმა.

მიშას სახე დაუგრძელდა, პირი დაალო და ღია დარჩა.

— თოჯინით დაგვრიხავს, ისეთი ზობა ბიჭია... თანაც სულ ცქმუტავს ადგილზე მოკრივესავით... რა ქენი ასეთი, შე საცოდაო?

— არავისთან მიჩხუბნია, — ძლივს მოახერხა მიშამ ხმის ამოღება.

— მით უარესი შენთვის! ნათეს მოი-

ბარავდი და დასაჭერად იქნება... მოიყვანა... ლი... აბა ასე ადრე რამ მოიყვანა... თან შენზე ამბობს — არ ვიცნობო... თუმცა აგერაა და ვკითხავ... ასე ადრე რატომ მოხვედი? — დაუძახა ყარაულმა თომას.

— მერე იქნებ სადმე წასულიყო და ვერ მენახა.

— ეგ მე ვიცო. — უთხრა დარაჯმა მიშას, თომას კი ისევ დაუძახა, — სად მუშაობ?

— ვსწავლობ! — გაიღიმა თომამ.

— მაღაც, — უთხრა ყარაულმა მიშას. — ცუდათაა საქმე. მგონი დაჭერაც უნდა შენი და გალახვაც... სახეზე ეტყობა ყველაფერი.

— არ გამოვალ, — ჩუმად თქვა პატარა კაცმა.

— არ გამოხვალ და მე გაგლახავ, შე ცინგლიანო! — შეუყვირა დარაჯმა და მერე თომას გასძახა, — გამოვევარდები გარეთ და მაგ ვილაც მოთრეულს ვცემო — ამბობს ეგ უბედური.

— რატომ? — გაიღიმა თომამ.

— ასე არ მითქვამს! — შეიცხადა მიშამ.

— ეგ მე ვიცი, თქვი თუ არა... აგერ მოდის უკვე აქეთკენ. პირდაპირ ფანჯარაში შემოალაჯებს ალბათ და ერთიანად მიგიღწეწავს ყველაფერს... ასე იციან მაგისთანებმა!

თომა სასადილოსთან იდგა და ღიმილით იხედებოდა ყარაულისკენ. — თუ ძმა ხარ, გამიწიე კაი მეზობლობა, გააჩერე, დაამშვიდე... ხომ იცი, ცუდის გამყვებელი არა ვარ?! შეაკავე მე ჩაიცივამ და ახლავე გამოვალ.

დარაჯი ფანჯარას მოშორდა და თონასთან მივიდა.

— ახლავე გამოვა... ცემას უპირებ, თუ დაპატიმრებას?

— არც ერთს, — გაიკვირვა თომამ.

— ძალიან გაბრაზებულია შენზე, — ოქედგაცრთებელივით თქვა ყარაულმა. — გაგინებს და გემუქრება.

სასადილოს შესასვლელის კიბეზე დადებულ ყუთზე ფერგაცილი, ძვე-

ლი სამხედრო ფარაჯა იყო გადაფარებული. დარაჯი ყუთზე დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და განზე დაიწყო ცქერა.

დაბადებიდან სენივით დაჰყვა მიშას შიში. რაც თავი ახსოვდა ყველასი და ყველაფრისა ეშინოდა. ეს გრძნობა ჭირვეულად უჩიხიკნებდა და ბავშვობაში გააუღმებით აჩხუბებდა. შიში რომ დაეჭლია როგორმე, დაკაცების შემდეგაც არ მოიშალა შფოთიანი ცხოვრება. ამის გამო ციხეშიც ამოჰყო ორჯერ თავი, დაუღვარაი და საშიში კაცის სახელიც დაიმკვიდრა. ამ სახელმა უფრო დააშინა მიშა. სახლში იჯდა მეტწილად, გარეთ გასვლას ძნელად ბედავდა... ბოლოს მასთანაც მოვიდა საშველი: ერთ-ტელ, ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჩხუბში ძალიან გაუჭირდა და იკადრა ეთქვა, შეშინაო. მოქიშპემ იმ წუთშივე გაანება თავი. მიშას გაუკვირდა და ამის შემდეგ ოდნავადაც რომ გაძნელდებოდა საქმე, ამ დიდებულ „მეშინიათი“ მწვენივრად იცავდა თავს... როგორც იქნა მოისვენა გაწამებულმა კაცმა. ასე თუ ისე, მაინც ნორმალურად წარმართა უკვე მისი ცხოვრება... ახლა სიმშვიდე იშვიათად ერღვეოდა მიშას...

თიმა წინ და უკან დადიოდა. მეეზოვები წურწურებით ქუჩებს რწყავდნენ — ტროტუარებზე წყლის რვიანებს ხატავდნენ. ვაილო პურის მალაზია. პირდაპირ ქუჩაში გაშლილ დახლთან რიგი გაიჭიმა. რიგში მოხუცები იდგნენ. მერე საბარგო მანქანა ჩამოდგა. ძარიდან ყუთებში ჩაწყობილი რძიანი ბოთლები გადმოზიდეს. გაყიდველი დახლში ჩადგა. რიგი წაგრძელდა და ამოძრავდა.

მიშა დიდხანს არ ჩანდა. დარაჯმა თოფი მხარზე გადაიკიდა, ფარაჯაგადაფარებული ყუთი იღლიაში ამოიღო და სადღაც წავიდა. რძის გაყიდვა მთავრდებოდა, რამდენიმე ქალიღა იდგა დახლის გასწვრივ. შორიდან მანქანების თანაბარი გუგუნე მოისმოდა. ქალაქი ჩვეულ რიტმში დგებოდა. როცა ქუჩაში გამეღეღებმა იმატეს, მიშა სადარბაზოდან გამოვიდა, გაჩერდა და მშვიდად გაიხედა სასადილოსკენ.

შიშის ადგილი უშველებელმა სიცარიელემ დაიკავა და უცნაურად გულგრილი გახადა მიშა. შიში გაურკვეველის მოლოდინში ჯიჯნიდა, მერე კი გულგრილობის გარდა ვერაფერს ვეღარ გრძნობდა, თან სრულიად გამოცეცალა ღონე, ვინმესთან გაძალიანება კი არა, განძრევაც უძნელდებოდა.

„არასდ მინახავს, — შუბლშეკმუხვნილი ფიქრობდა მიშა და მისკენ მამავალ მოლიმარ თომას უყურებდა. — ამ შტერის ალბათ ვინმეში ვეშლები... კარგ დროს კი გამოვედი... ეგ ვაჟბატონი მაგრად ვერ გამოლახავს. დიდი-დიდი ორჯერ დამარტყას, იქნებ წიხლიც მომაყოლოს ბოლოს, მაგრამ მერე ხალხის მოერიდება და უეჭველად გაიქცევა... კარგი იქნება მუშტი ყბაში არ მომხვდეს, თორემ ორი კვირა მაინც მარტო წვიხიანის ჭამა მომიწევს. ფერდში მორტყმაც საშინელებაა, სულ ანჭვრიტს აცის... ფერდში და ყბაში ნუ!... და სხვაგან, სადაც იქნება — იყოს!... ყველაზე უკეთესია — შუბლში მოუხვდეს ხელი. შუბლში რომ მომარტყას უცბად დავეარდები და არც არაფერი შეტკინება. მას კი თითები დაემტვრევა — ამას სახლში მისვლის შემდეგ იგრძნობს — თანაც გაუხარდება, ასე ადვილად რომ წამაქცია და წამსვე შემეშვება... ერთი ბეწო ძალა მაინც რომ მომცა, გამოქნეულ ბუშტს შუბლს მივუშვერდი... ეგაა ცუდი — განძრევაც არ შემიძლია, არა მაქვს ის პატარა ძალაც...“

— გამარჯობათ! — უთხრა დაბნეულმა თომამ და უხერხული ღიმილით გაუწოდა ხელი. — სასადილოში გნახეთ ამ რამდენიმე დღის წინ... თქვენც მიყურებდით... იქნებ გახსოვართ კიდეც?

— არა, — ჩუმად თქვა მიშამ. — არ მახსოვხართ.

„მკერდი ამობურცული აქვს, მხრები ზორბა და ხელებიც დაკუნთული... ცაცია ხომ არაა?.. არა, ცაცია არაა...“

ვლადიმერ სინარულიძე  
მოთხრობები



მარჯვენა მხარე მარცხენაზე ვანიერი აქვს და ოდნავ წამოწეული“...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— თუ არ შეწუნდებით, ცოტა გავიართო, — ენის ბორძიკით შესთავაზა თომამ.

„თანხმად მიშა, ოღონდაც მარჯვენა მხრიდან დაგიდგება... ვინ მიგვიდგება, როდის მოისურვებ დარტყმას?! მორევით, შენი მარცხენა მუშტიც მომერევა, მაგრამ შედარებით სუსტი გექნება მარცხენა ხელი“...

ნელა გაუყენენ ქუჩას.

— თქვენი სახე მეცნაურა სასადილოში, — დაბნეულობა გადაუვიდა, დამშვიდდა თომა. — მე მყავს ნათესავი, რომლის ასავალ-დასავალი კარგა ხანია დავეკარგეთ... იმ კაცს თქვენი სახელი ერქვა, თანაც მიგამსგავსეთ, ბატონო მიშა, და ამიტომ მოვიინდომე თქვენი ნახვა.

მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა ნათქვამისთვის, თომამ მხიარულად გაიციხა.

— აქ დაბადებიდან ვცხოვრობ, — ჩუმად, ბორძიკით დაიწყო მიშამაც ლაპარაკი. თან ისეთი რიდი იკრძნობოდა მის ხმაში, ჩანდა. თომას გაღიზიანებას ერიდებოდა. — ჩქარა ორმოცი წლის ვაგხდები. ამ ბინიდან არასოდეს გადავსულვარ და აბა როგორ დავეკარგებოდი ვინმეს!.. გარდა ამისა, მარტო ბებია მყავს... ისიც სოფლად... ძალიან მოხუცია, ადგომაც უჭირს. კეთილი მეზობლები უწყობენ საწყალს ხელს. სხვა?... კიდევ ერთი ახლობელიც მყავს, ბებიაჩემის დისშვილი... მარტო ხელა დარჩა ბოლომდე, რადგან ვერ დაანება საცოდავმა არყის სმას თავი... უკანასკნელად ათი წლის უკან ვნახე... ესაა მთელი ჩემი ნათესაობა... ბატონო...

— მე თომა მქვია, — ჩაურთო თომამ.

— სულ ეგაა მთელი ჩემი ნათესაობა, ბატონო თომა!

ისევ გაჩუმდნენ. თომამ გამზირისაკენ მიმავალ ქუჩაზე გაუხვია. მიშა გამობმულივით მისდევდა გვერდით. პატარა

კაცს იგივე — ჩაფართხუნებულ ვალი და ვანიერი პიჯაკი — ეცვა. თავზეც დიდი, დილაკიანი ქუდი ეხურა.

გაურკვეველი კვლავ მიწვდა მიშას. სადღაც მკერდში კვლავ ვაფაჩუნდა შიში. ასეთ დროს არეული ფიქრი იცოდა... ახლა, რატომღაც, აჭაფებულ ტალღაზე ფრთაწამოკრული თოლია გაახსენდა... დაინახა უღრუბლო, გამურული ცა — ზღვის კიდეზე აკრული გემის ფართო საკვამურიდან ამოვარდნილი შავი ბოლქვებით გამურული... მერე მოაგონდა მზეს მიფიცებული მეზობლის ჭუჭყიანი, გაბურძნული ძაღლი... და ეგ ჩვენება უცბადვე განდევნა უცნაურმა სურათმა: ჯარისკაცთა ლეგიონები უღრუბლად მოდიოდნენ გაშლილ მინდორზე და მათი ჩექმების რიტმულ ბაგუნს ყრუდ გამოსცემდა გათოვლილი ბალახით გადაყვითლებული მიწა...

ვაშირზე გავიდნენ. თომა ვერ ახერხებდა ლაპარაკის წამოწყებას და დამნაშავესავით გახედვდა ხოლმე პატარა კაცს. მიშა, თავის შარვლის ვანიერ ტოტებში დროდადრო გაელვებულ ყვირთელ ფენსაცმლის წვერებს აშტერდებოდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ბიჭს სიარულში.

— მშვენიერი ამინდია, შეგვიძლია ზღვაზეც წავიდეთ საბანაოდ, — თქვა თომამ.

ქალაქიდან მოშორებულ მთებით შეზოგარულ დიდ წყალსაცავს ზღვას ეძახდნენ.

მიშას შუბლი ფიქრის ნაოქებით დაეღარა, ცერად გამოხედა თომას და გაბნარული ხმით უთხრა:

— თუ გინდათ, რომ მეც წამოვიდე... წამოველ.

კიოსკთან ჩაიარეს. თომა რიგში ჩადგა და ორ-ორი ცალი ყველა ახალი გზითი იყიდა. ნახევარი მიშას გაუწოდა. თვითონ კითხვა დაიწყო. მიშამ გაზეთები ჯიბეში ჩაილაგა და ისევ ფენსაცმლის წვერებს დააშტერდა.

— ნუ გიკვირთ, ბატონო მიშა! — უცებ დაკეცა თომამ გაზეთი. — სასადილოში გნახეთ და ძალიან მომინდა

თქვენი გაცნობა. ამისთვის პატარა სი-  
ცრუეც მოვიშველიე—ნათესავზე ტყუ-  
ილი ვითხარით... ცოტა უჩვეულოდ გა-  
წოვიდა. თორემ რა არის იმაში ცუდი.  
რომ კაცმა ვინმეს გაცნობა და მასთან  
ყოფნა მოინდომოს?

თქვა და პასუხს დაელოდა. როცა პა-  
ტარა კაცმა ქურდულად გამოხედა, თო-  
მამ ღიმილი დაახვედრა. ღიმილივით გა-  
შალა ტუჩები მიშამ და წამსვე მოშორ-  
და საშინელი დაძაბულობა, გაიმართა.  
თავი ასწია, თავისთვის გულში მხიარუ-  
ლად გაიცინა.

— შვილი გყავთ, ბატონო მიშა?

— ცოლი არა მყავს და შვილი საი-  
დან მეყოლება?!

ხმაყალი სიცილით თომამ გახუმრე-  
ბა მოუწონა.

მანქანის მოლოდინში გამზირის კი-  
დეში დადგნენ. გაჩერდა მანქანა. დიდი  
პატივის შემდეგ მიშა წინ დაჯდომაზე  
დათანხმდა.

დამშვიდდა პატარა კაცი, აზრი დაუ-  
ლაგდა.

„ვინდა მარტო ვმჯდარვარ ჩემს  
ოთახში გამოკეტილი, ვინდა ამ თომას-  
თან ვყოფილვარ... ორივეგან შედარე-  
ბით კარგად ვგრძნობ თავს, — ფიქრობ-  
და მიშა. — ოდნავ შებოჭილი კი ვარ  
ახლა, მაგრამ ოთახში გამოკეტილს მძი-  
მე ლოდივით რომ მაწევს რაღაც  
გულზე, ის შეგრძნება ხომ მიძინე-  
ბულივითაა ახლა ჩემში?! ეშმაკმა უწ-  
ყის, საღ სჯობდა ყოფნა, აქ თუ შინ?..“

ვიწრო ქუჩებში მანქანა ფრთხილად  
მიიკვლევდა გზას.

— თუ დამეთანხმებით, მეგობარ  
გოგონას წამოვიყვანდი ზღვაზე, —  
უთხრა თომამ.

გამხიარულებული მიშა შეცბა, მაგ-  
რამ გატეხილი ხმით მაინც თქვა, —  
როგორც გნებავთ, მე ყველაფერზე თა-  
ნახმა ვარ.

ბაიას სახლთან შეჩერდნენ.

მიშა მანქანაში დარჩა.

მოლოდინში ისევ აემღვრა ხასიათი.  
მისი გონება თითქოს ცომივით გადა-  
ხილა რაღაცამ. ვიღრე თომა მოვიდო-

და, ოდესღაც მუზეუმში ნანახ შიშველი  
ქალის სურათზე ფიქრობდა... მერე სა-  
ჯინიბოში მუშაობის ღანა გაახსენდა,  
როცა შავმა ულაცმა უმიზეზოდ უთავა-  
ზა გვერდში წიხლი და ორი კვირით  
სავადმყოფოში ჩააწვინა... მოაგონდა  
ვაზაფხულის ტყე, აყვავებული ტყემ-  
ლის ხეები და საცაღფებო ბილიკზე  
ეყვნების წყარუნით საბალახოდ მიმავა-  
ლი ფერდებგაფსებული, ფერადი ძრო-  
ხები... მერე ხალხით გაჭედილი უზარ-  
მახარი ველი დაინახა. მჭიდროდ, მხარ-  
დანხარ ჩამწყრივებული მობიჯებდა  
ხალხი რკინით მოჭედილი, მძიმე ჩექ-  
მებით და ღონიერი ნაბიჯით თავის გზა-  
ზე ყველაფერს თელავდა...

მანქანა ტროტუართან იდგა. შოფერი  
მიშას ვაზეთს კითხულობდა. ბაია და  
თომა უკანა სავარძელზე დასხდნენ. ჩია  
კაცის უცნაურმა ჩაცმულობამ გოგო  
გააკვირვა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და  
ღიმილით მიესალმა. აჭარხლებულ მი-  
შას თითქოს ძალით დააქნევინა ვიღაცამ  
თავი... მერე პატარა კაცი გატრიალდა  
და გზას მიაჩერდა.

ზღვამდე ათიოდე წუთის სავალი თუ  
იქნებოდა.

მანქანა ხშირად ჩერდებოდა გადა-  
სასვლელთან.. ბოლოს ქალაქიდან გავი-  
და და აღმართს შეუყვავა. დაკლანკილ.  
ნოასფალტებულ გზას ორივე მხრიდან  
გააღევდა ქვის დაბალი, თეთრი ბო-  
ძების უღევი რიგი: ხალხით გაჭედილი,  
დავერდებული ავტობუსები გაჭირვე-  
ით მილოღავდნენ აღმართში. თომამ  
მანქანის ყველა ფანჯარა გააღო და კა-  
ბინაში ქარის კორიანტელი დატრიალ-  
და. ბაიას თმა აეშალა და გრძელ,  
წითლოვარე ხაზებდ მიმოფანტა სა-  
ხეზე.

შემალღებიდან ზღვის გაღმა ნაპი-  
რი, მინდორი და მინდვრის იქით გრძე-  
ლი, ხრიოკი ქედი გამოჩნდა. დასავლე-  
თის გამუქებული ჰორიზონტი მძიმედ  
აწვებოდა შორეულ მთებს...

ვლადიმერ სიხარულიძე  
მომხრობები



მანქანამ ბოლო აღმართი ჩაათავა, რესტორანს ჩაუარა და საწყლოსნო სადგურის წინ, მანქანების სადგომზე გაჩერდა.

შუა ზღვაში მიყრილივით მოჩანდა ნაევები. საწყლოსნო სადგურის ნაგებობები შეფერდებოდა იყო გაშენებული. უერდი ზღვის ყურეში ჩადიოდი. ნაპირას გაყოლებით, მიწაში ჩასმულ პალაუბზე ბაწრით ება ნაევები. ვაგრძელებოდა, ისევ ნაპირთან, ფიცრული ბაქნები ირწყოდა წყალზე. ზღვის მხრიდან ბაქნების გვერდებზე მანქანის ძველი საბურავები ეკიდა. ყოველ ბაქანთან საბურავებზე მიბჯენილი გლისერი იდგა.

ბარი მოვლევითი ჰქონდა მენავეების კატარა ჯინსურს. თომა მარტო შევიდა ჯინსურში. შიგნით სიგრილე იყო, ბნელოდა. ჟანდ და ვიღაც ბიჭი ყუთებზე ისხდნენ. მათ შუა ერთმანეთზე შედგმული ყუთები ეწყო, ზედ არყიანი ბოთლი. ჭიქები, შემწვარი თევზი და გამხმარი პური ელაგა. ჯინსურის კუთხეში ხის მოკლე, საწოლზე ნახევრად მიშველ ბიჭს ეძინა.

— ასე ადრე რამ ამოგიყვანა? — გაუხარდა ჟანდეს.

მეორე ბიჭმა კუთხიდან ერთი ყუთი ცმოიტანა და სკამად დააგდო. თომა დაჯდა. მენავეებს გულგაღებლილი, თეთრი ხალათები ეცვათ.

— ეგ თუ დალიე, როგორღა იმუშავენ ამ სიცხეში? — თვალით ანიშნა თომამ არაყზე.

— ცოტას დალევე, — თქვა ჟანდემ.

მეორე მენავეს გიგლა ერქვა. გიგლა მაღალი ბიჭი იყო, დაკუნთული. გრძელი ხელები ჰქონდა.

— მარტო არა ვარ. ჟანდე, ბაია და ერთი მეგობარი მახლავს, — უთხრა თომამ.

ჟანდე წამოდგა და გარეთ გავიდა.

გიგლამ დანჯღრეული კარადიდან ბრეზენტი გამოიღო და მძინარეს გადააფარა. მერე სუფრას გარშემო ყუთები შემოუწყო...

ყველა თავისუფლად მოთავსდა. თომამ გვერდით დაისვა პატარა კაცი. ჟან-

დემ არაყი ჩამოასხა. მიშა არყით ჭიქას მიაჩერდა.

— დაელიოთ, ბატონო მიშა! — თქვა თომამ და ჭიქა პატარა კაცის სასმისს მიუჭახუნა.

მიშამ შესვა. თომას სახე დაემანჯა — არაყი მაგარი იყო და უცბადვე დაუარა ტანში. ყველამ გამოსცალა სასმისი. მიშამ ჭიქა დადგა, ქული მოიხადა და ხელები მუხლებზე დაიწყო. ერთადერთ თევზზე ბაიამ თევზი გადმოიღო.

— მიირთვით რაიმე, ბატონო მიშა! — უთხრა ჟანდემ.

პატარა კაცმა მორჩილად აიღო ბურის ნატეხი.

— მეტს ნუ დაგვალევინებთ, აღარ გვინდა, — თქვა თომამ.

მიშამ შვებით ამოისუნთქა.

— მე და გიგლა აქ ვადმოგსახლდით, რამდენიმე კვირაა — ქალაქში არ გყოფილვართ... ამ ჯინსურში გვძინავს, — თქვა ჟანდემ.

— ისეთი აუტანელი სიცხეა ქალაქში, მარტო დღით თუ ჩაგვიძინება კაცს... არა, მიშა? — თომამ მიშას გახედა.

— სიცხეა, — დაუდასტურა პატარა კაცმა.

— ღამის ორ საათამდე ხალხი ქუჩებში დაეხეტება, — ისევ მიშას გახედა თომამ.

— გვიან იძინებენ, — ჩაილაპარაკა მიშამ.

— შუადღე არც აქაა სასიამოვნო, — უთხრა ჟანდემ მიშას.

— მაგ დროს მკვდარი საათი გვაქვს, ჩეროში გვძინავს ყველას, — თქვა გიგლამ.

ბაია თევზს შეეჭეცოდა.

— მძიმე სამუშაო გავქვთ! — უთხრა ბიჭებს თომამ. — მოშასაც მთელი დღე დახუთულ სარდაფში უხდება ყოფნა.

— ძალიან მიჭირს ხანდახან, — თქვა მიშამ.

— ერთი კვირის წინ ვიღაც სტუმრებს მთელი შუადღე დავატარებდი კატარლით... კინალამ მზის დარტყმა მივიღე! — თქვა ჟანდემ.

— გუშინ ნავთი მოიტანეს, აუზის ავსებისას ისეთი ბული დადგა, სულ შიშვლებმა ვიმუშავეთ, მაგრამ მაინც ოფლში ვიწურებოდით, — თქვა მიშამ.

— თქვენ სად მუშაობთ? — იკითხა გიგლამ

— ნავთის საწყობში.

სოფლბარი ნელა, კარგ სიმღერასავით მიდიოდა. პატარა კაცი სიმშვიდითა და თავისუფლებით იქლინებოდა.

ერთი უცნაური ჩვევა მოთხოვნილებად ექცა მიშას: ყოველ დღე მალულად უკრავდა ხოლმე მეზობლის ნაჩუქარ ამოჩემებულ ფირფიტას. მისი ოთახის კარსა და ფანჯრებზე სქელი, გახინთული ფარდები ეკიდა და მუსიკის ხმა გარეთ არ გადიოდა. სადამოობით მიშა ოთახს აბნელებდა, ფირსაკრავს ხმაბაღალა რთავდა, საწოლზე წვებოდა და გატლიუნული უსმენდა... მუსიკის დასაწყისი არ მოსწონდა. მოსწონდა კი არა, ცოტა ეშინოდა კიდევ საკრავებისა და მომღერლების ათასნაირად დამსხვრეულო, დაფხრწილი ხმების... მიშას შუა ნაწილის მოსმენა უყვარდა — ორი ქალის ნელი, ძალიან მშვიდი სიმღერის. მღეროდნენ წყნარად, ნაღვლიანად... მხიარულადაც და კარგი ხმითაც, ისე მღეროდნენ, რომ პატარა კაცი თავდავიწყებით იძირებოდა დიდებულ ჰანგში... ეგ იყო მიშას ჩვევა და პატარა საიდუმლოებაც... ახლა თავისი ფირფიტა გაახსენდა. სწორედ ისეთი გრძობა ეუფლებოდა ახლა, როგორც იმ ორი ქალის სიმღერის მოსმენისას განუცდია. უგემური დასაწყისი უკვე მოთავებული იყო. მშვიდი, ნაღვლიანი და ამავე დროს მხიარული სიმღერა სიკეთესავით იღვრებოდა გარშემო.

თომა რესტორანს ხედავდა. რესტორანთან ავტობუსები ჩერდებოდა და იცლებოდა. ხალხი აქეთ მოდიოდა, ჯიხურს გვერდით ჩაუვლიდა და საცურაოსკენ ავრძელებდა გზას.

გიგლამ არყის ჩამოსხმა მოინდომა, მაგრამ თომამ ჭიქას დააფარა ხელი.

— გინდა თხილამურებით ისრიალო? — შეეკითხა ჟანდემ თომას.

— ბანაობაც გვინდა, — თქვა თომამ და წამოდგა.

საბანაო ტანსაცმლის ჩასაცმელად ბაია ჯიხურში დარჩა. დანარჩენები ნაპირისკენ წავიდნენ. ზღვა მშვიდი იყო. ოდნავ აჭაველებული.

ნაპირთან ბაიას დაუცადეს.

ბიჭვით ვიწრო თეძოების რხევით ბაია ფერღზე ჩამოდიოდა, შიშველ ტერფებს ფრთხილად აბიჯებდა ჭვიშიან მიწაზე. მჭიდროდ მოქმდარ, თეთრ საბანაო სამოსში ოდნავ ამობურცოდა პატარა მკერდი. მხრებიც დაუსრულებელი, მოზარდვით თხელი ჰქონდა.

ბიშა გაკვირვებით უცქერდა გოგოს... ქალი მას ყოველთვის ადევნებდა. სკულს. გამხდარს, დაბალს, მალალს, ქერასა თუ შავგვრემანს — ყველას გულის ჩქროლვით უყურებდა. ზოგჯერ ისეთი ღედაკაციც შეხვედრია ჭუჩაში, ოომ მერე რამდენიმე დღე დარეტიანებულივით უვლია. ბაია სხვა იყო, რადაცნაირად თბილი, მშვიდი... ახლაც, ნახევრად შიშველი რომ დაინახა, მაინც ვერ წარმოიდგინა: თავის აშშორებულ ოთახში, ჩავარდნილ საწოლში გართმული, ვნებით აკვნესებული ბაია... ეგ აკვირვებდა მიშას.

წონასწორობადაკარგულივით შექანდა ფიცრული ბაქანი. ბაია გლისერში ჩახტა. გიგლამ წყლის ფართო თხილამურები მოიტანა. ტანსაცმელი გაიხადეს და კატარღაში ჩაყარეს. გრძელი, განიერი ტრუსი ეცვა პატარა კაცს. გიგლა ჯიხურში დაბრუნდა. ჟანდემ გლისერს უკან ხუფი ახადა და რალაციის შეკეთება დაიწყო.

— ცურვა იცი? — ჰკითხა თომამ იქვე მდგარ მიშას.

— ვიცი! — თქვა პატარა კაცმა.

თომა ბაქნის კიდზე იჯდა და გრძელ თხილამურებს ირგებდა. ჟანდემ ხუფი დახურა, საჭესთან გადავიდა და ძრავა ჩართო. კატარღის უკან წყალი აბუყუყუდა. დახვეული თოკით ხელში, გლი-

ვლადიმერ სინარულიძე  
მოთხრობები



სერის ბოლოში ბაია იდგა. ბაწრის ცალი თავი კატარღზე იყო გამობმული. თომამ დაიმაგრა თხილამურები, ხელეზით ბაქანს დაეხვინა, ნელა ჩაიწია და კისრამდე ჩაიძირა წყალში. გოგომ თოკის გუნდა გადაუგდო. ადვილად ხელმოსაკიდი რომ ყოფილიყო, ბაწრის ბოლო ორად იყოფოდა და ერთმანეთთან მოკლე ჯოხით ერთდებოდა. თოკის დაჭიმვამდე კატარღა წინ გაიწია. დაბნეული მიშა ბაქანზე იდგა და მორცხვად ილიოდა. თომამ უთხრა, რომ ბაქანზე მიბმულ საბურავს ჩამოჰყოლოდა. მიშა საბურავს დაეკიდა... საბურავი მოწყდა და პატარა კაციანად ჩავარდა წყალში. მიშამ გაიცინა, საბურავი ბაქნის ქვეშ შეაცურა და ფიცარში ჩარჭობილ ჰანგს ჩაავლო ხელი. ცალი ხელი თომასაც ჰანგზე ეკიდა, მეორეთი — ჯოხით ეჭირა თოკი... თომამ მკიდროდ მიადგა ერთმანეთს ფეხები, თხილამურები სიღრმეში გაასწორა და მიშა კისერზე მოისვა. პატარა კაცი დამნაშავესავით იღიმოდა. კატარღა დაიძრა. თომამ ბიძგი იგრძნო, უცბადვე შეუშვა ჰანგს ხელი და თავიანად ჩაიძირა წყალში. მერე თანდათან მალა ამოძვრა და ზღვის ზედაპირზე გასრიალდა. მიშას ფეხები ამოკრულივით ჰქონდა თომას იღლიებში. პატარა კაცი მოიკუნტა და თითები თმაში ჩაებლალა ბიჭს... ჟანდემ სისწრაფეს უმატა. ყურედან შუა ზღვაში გადიოდნენ. გლისერი ნახანავით კვალს სტოვებდა. წყლის წვეთები ბროლივით ციმციმებდა მზის სხივებში. თხილამურები შხუილით მისრიალებდა ზღვის აჩეჩილ ტანზე. თომა ცდილობდა ნახანავის გვერდით ევლო, მუხლები უძიგძიგებდა... დროდადრო წყლის მტვერი შემოეხლებოდათ და სასიამოვნო სიცივე ჟრუანტელივით დაურბენდა ორთავეს...

მიშამ ხელები შეუშვა თომას, მსუბუქად დაჯდა მხრებზე. თვალები გაუბრწყინდა პატარა კაცს, სიხარულმა აიტაცა. მკერდზე მძიმედ მობჯენილი ქარი, თითქოს მის ტანში იცრებოდა და მოზღვავებული სიხარულის გარდა,

ყველაფერი მიჰქონდა... მიშამ ვერცხვად გაშალა და ხმამალა გაიცინა... კატარღის ბოლოში ბაია იდგა და ღიმილით იქნევედა ხელს... გლისერს კუდივით მისდევდა წყლის მოკლე და ფართო შადრევანი. დაჭიმული თოკი ნერვივით თრთოდა... უცებ თხილამურები ნახანავით კვალში შეიჭრა და აქაფებულ ტალღაზე შეხტა. ცალი თხილამურიანი ფეხი თომამ უშწევოდა გაასავსავა პაერში, წონასწორობა დაკარგა და დაჩეხილივით წყალზე გაეკოტრიალდა... როცა თავი ამოჰყო, გახარებული მიშა დინახა. მოშორებით, აწიწილ წყალზე თხილამურები ირწეოდა. ბაია სიცილით ეზიდებოდა წყლიდან თოკს. კატარღა უხმოდ მისრიალებდა... ლამაზად, სწრაფად, მიშამ თომასკენ გასცურა. თომამ აღრთვა, სანამ ახლოს მივიდოდა და... ჩააყურყუმელავა. მიშამ სიღრმიდან ფეხით დათრია თომა, ზემოდან მოექცა და ტერფითაც უბიძგა თავში. თომამ წყალი გადაყლაპა, სწრაფად დაქინა ხელები და ზედაპირზე ამოძვრა. მიშა იქვე ელოდებოდა. ხელმეორედ ჩაძირა და ისევ უბიძგა ფეხით თავში. თომას ყურები აეწევა, ღონივრად მოტორა წყალი და აქლომინებული ამოვარდა მალა. მიშა სიცილით გაქანდა მისკენ. ფეხების დგაფენით თომა ძლივს იგერიებდა პატარა კაცის შემოტევას. ძლიან სწრაფად ცურავდა მიშა, ყოველი მხრიდან ცდილობდა შემოვლას... დავიღალეო, — უთხრა ბოლოს თომამ და აშინდა დაწყნარდა პატარა კაცი.

...გაღმა ნაპირზე გაყვანა სთხოვა თომამ ჟანდეს. გლისერი ქედისკენ გატრიალდა. გახალისებული მიშა კატარღის გვერდზე ჩამოჯდა და ფეხები წყლისკენ გადაკიდა.

ნაპირთან ახლოს მიშა კატარღიდან ჩახტა და სირბილით ავარდა წყლიდან. აქ ამღვრეული, ჟანგისფერი იყო წყალი. ჩქარა მოვალო, თქვა ჟანდემ და გლისერის მონოტონური რაჯრაკი ტალღა-ტალღა გაგორდა ზღვის სიღრმისკენ.

ნაპირზე სამნი დარჩნენ... შიშველ,

ნაცრისფერ ქედამდე გადაჭიმული განიერი კორდონი შუაში უმესერო ოდა სახლი იღვა. სახლი მიტოვებულივით გამოიყურებოდა. ოდიდან ქედისკენ კუდის ზანტი ქნევით ჭრელი ძროხა მიიზღაზნებოდა.

თომა და ბაია გამხმარ, ბალახგაქუცულ მიწაზე წამოწვნენ.

ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ნაპირთან ბებრულად ბურტყუნებდა ზღვა.

მიშა გულალმა დაწვა და თვალები ცას მიაკიდა.

ხმას არავინ იღებდა.

„ამ მშვენიერ ოდას გაწყობა და გალამაზება უნდა. — ოცნებაში ჩაიძირა პატარა კაცი. — კედლებს ყვითლად შევღებავდი და ამ ფერს წითელი სახურავიც მოუხდებოდა... სახლს ხის ფერად მესერს შემოვავლებდი და მარგილებზე ოქროს ძაფებით მივაბამდი თეთრ მტრედებს... ყოველ დილით, მზის ამოსვლამდე მხარზე ბადეგადავადებულ ზღვისკენ გავეშურებოდი. ნაპირთან ჩემი პატარა, სწრაფი კატარლა დამსუდებოდა... შუა ზღვაში ფართოდ მოვისროდი მსუბუქ ზადეს და უკან ვაჭირვებით დავითრევიდი... ბრჭყვილა თევზებით დაიხუნძლებოდა ჩემი პატარა ნავი. ნანადირევით გადატვირთული ნაპირზე დავბრუნდებოდი... ოდიდან ჩემკენ ყრიაშულით გამოიქცეოდნენ კულულებიანი ბავშვები, გზად მტრედებს ააღრუნდნენ და ოქროსფერი ძაფებით დაისერებოდა დილის ლაყვარდოვანი ცა... ბავშვები ჩემი იქნებოდა და სახლის ზღურბლთან ტანადი ცოლიც მომეგებებოდა. შემოიღვებოდა ოთახში, ბუხრის კიდესთან რბილ სკამს დამიდგამდა და ლამაზი თითებით კეციაზე სქელ ჭადს დამიკებოდა... თუ სახლს ბუხარი არა აქვს, უშეკველად გავაკეთებინებდი!“

— ამ სახლში ნეტავი ცხოვრობს ვინმე? — იკითხა მიშამ.

— მეც ვუყურე წელან და ვერაფერს ვევაძინე... კუდის ქნევით მხოლოდ

ძროხა მიდიოდა ქედისკენ, — თქვა თომა მამ.

— თომა, შენ მეთევზე უნდა იყო, მაგარი ბადე უნდა გქონდეს და ყოველ დილით სანადიროდ უნდა ვადიოდე საკუთარი კატარლით, — თქვა ბაიამ და წამოჯდა. — ეგ ოდა სახლი შენი იქნება, ოღონდ გარემო დიდ. გრილ ხეებს დაურგავ, ეზოში ღრმა ჭას გათხრი და მოქანცულ მგზავრს გემრიელ, ცივ წყალს მიაწვდი ხოლმე... მთელ ამ მხარეს მოამარაგებ თევზით და ამით არჩენ ოჯახს!

„რატომ თომა და არა მე“, — რაღაც ეტიქნასავით მიშას და შორს, ქედზე ზოლად გაწოლილ მზის ყვითელ სხივს გახედა.

— მეც ეგ გავიფიქრე, — გაუღიმა ბაიას თომამ, მერე მიშას შეხედა. — ჩავიდეთ ზღვაში, გავგრილდეთ შინც.

მიშა მზის ყვითელ ზოლს უყურებდა, თომას ნათქვამი გაიგო, მაგრამ წაუყურა.

— ნადირობიდან დაბრუნებულს მე და ჩვენი ბავშვები ეზოში შემოგვეგებობოდა, სველი, უხეში ტანსაცმლის გახდაში მოგხმარებოდა... მერე ტაბლას გაგიწყობდი კეცზე გამოძცხვარი ცხელი ხაჭაპურებით და ჭაში ჩაციებულ ღვინოს ხელადით მოგართმევდი, — თქვა ბაიამ.

„რატომ თომა და არა მე?“ — გაბრაზებულივით გაიქნია მიშამ ფეხი. წვივზე შემომხტარი კალია ვადმოავდო და ისე მოსინჯა თვალით ბაიას მკერდი და ბარძაყები, თითქოს ხელით შეეხო.

თომამ შეამჩნია, უკმაყოფილოდ მოაშორა მხერა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ზღვაში მინდა შევიდე.

— მე ცოტას კიდევ მივეფიცებო მზეს, — თქვა ბაიამ და ისევ გაწვე მიწაზე.

ტუჩმოკუმულმა მიშამ თვალი გააყო-

ვლადიმერ სიხარულიძე  
მოთხრობები

ლა თომას და ოდისკენ შეტრიალდა... დღევანდელი დღე თავიდან გაიხსენა პატარა კაცმა, ფიქრით გადალუქა თვითუღი წუთი, ჰირვეულად იხსენებდა ყველაფერს. გუნება აემღვრა, წამოწითლდა და აირია მიწა. უცებ თავისი ბავშვობა გაახსენდა: ხავსმოდებული, ვიწრო ხიდი და ხიდის ქვეშ ტბასავით გაშლილი მდინარე მოაგონდა. ხიდიდან წყალში თავითა და ფეხებით ბავშვები ხტებოდნენ — ბავშვებში მიშაც ერია... მერე წითელ ტლაპოში გაწოლილი ვეგება, მრისხანე კამეჩი დაინახა... და ბოლოს — მისკენ ზურგშექცეული ფარაჯიანი ხალხით გაქედლი მინდორი გაილანდა მის ფიქრში. ხალხი ტალღასავით გაგორდა ცის კიდისკენ, გაგორდა და ჰორიზონტში ჩაიძირა უხმაუროდ, მშვიდად, როგორც ჩამავალი უამრავი მზე... ყველაფერი გაიხსენა პატარა კაცმა, დამშვიდდა და გაბოროტდა.

„რატომ ეგ და არა მე? — ფიქრობდა მიშა. — ვითომ მე ბავშვებს ვერ გავაჩენინებ, გოგო? თუ ცუდი შთამომავლობა მეყოლება?.. რადგან ჩემზე მაღალი და ღონიერია, ამიტომ მოუხდება უხეში ტანსაცემელი და მხარზე გადაღებული ბადე?.. თვითონ მას რატომ ჰგონია, რომ ჩემზე კარგი და ღირსეულია?... დილაადრიანად სახლიდან გამომიყვანა, მერე მხრებზეც მომიხვია და ალბათ ამიტომ ჰგონია?!. მაგას იმდენი ნაცნობიც არ ეყოლება, რამდენი კაციც მე დამიჩაგრავს!“

მიშა ფრთხილად უყურებდა თვალდახუჭულ ბაიას.

სიომ დაუბერა. ტყეისფერი, ერთმანეთში ჩაზეღილი ღრუბლები ტატიით მოგორავდნენ ცაზე. შორეული მთები ისე მოჩანდა, თითქოს მათი მწვერვალები ცას წაეგლიჯოს. მათათა ფერდებზე უძრავად ეკიდა წვიმის მოქუშული ფარდა. კვლავ აცხუნებდა, მაგრამ ნახევრად ჩამუქებულ ციდან, ჩაშავებული ჰორიზონტიდან სიბნელემ და სიგრილემ გამოჟონა. მზის ყვითელი სხივი ქედზე წაიშალა და ახლა ზღვის

გაღმა მინდორზე გაწვა ისევ ვიწრო ზოლად.

„კარაქიანი ნამცხვრით გამოზრდილმა ბიჭმა ჩემთან ერთად გასეირნება მოისურვა, — გულში ჩაიხიოთხითა მიშამ. — რატომ?.. საკითხავია რატომ?.. აი, ახლა ქვა რომ ვისროლო ზღვაში და იმას კარგად მოხვდეს, წყლის მთელი ზედაპირი კარაქით მოითხუწება... კაცს ცურვაც კი შეეზარება გაქონილ ტალღებში... ამ გოგოს ისე ჩავიხუტებდი — ძელბას სულ დავემსხვრევდი!..“

პატარა კაცმა ნათლად წარმოიდგინა თავისი ჩავარდნილ საწოლში გაშიშვლებული ბაია.

მიშა წამოდგა, ცუდი ღიმილით მოიხედა გარშემო და თავისი ჩრდილი გოგოს გადააფარა. ბაიამ პატარა კაცს შეხედა და ახლავა შეამჩნია მის ტანზე გრძელი ნაჭრილობევი.

— რის ოპერაცია გაიკეთეთ, მიშა? — შეეკითხა გოგო.

— არა... ეგ ჩხუბში მომივიდა. აი, აქაც მაქვს... ეგ სხვა ჩხუბში შემემთხვა...

მიშამ გრძელი ტრუსი აიწია და ბარძაყზე გრძელი ნაიარევი გამოაჩინა.

— სულ არ ჰგავხართ შფოთიან კაცს! — გაიღიმა ბაიამ.

— კაცს არც უნდა ემჩნეოდეს ეგ, — დინჯად თქვა პატარა კაცმა და ზღვაში თომას გახედა. — მაგის ასაკში უკვე ორჯერ ვიყავი ნამყოფი ციხეში.

გოგომ გაიკვირვა.

— იცით რის გამო?.. გოგოს გულისთვის. ისე დავარტყი ერთხელ ვილაცას, რომ რამდენიმე კვირა ყბაგატეხილი იწვა საავადმყოფოში.

— მეორედ? — გაიღიმა ბაიამ.

— მეორედ — იძულებული ვიყავი, რამდენიმე გოგო ცოლად შემერთო... ყველას ერთად ხომ არ წაიყვანდი?.. ამიტომაც ისევ იქ გამაგზავნეს.

გოგო დაინტერესებული უსმენდა. ვიწრო ზოლად მთაზე მზის სხივი გაეფინა.

— ბაია, გახედე, ბაია, — ჩურჩულითა და უცნაური სიხარულით თქვა მი-

შამ. — ხედავ მთაზე გაწოლილ ყვითელ ზოლს?

გოგომ მზის სხივი დაინახა.

— რას ჰგავს, ბაია, ეს ყვითელი ზოლი?

— იმ მხრიდან მზეს ღრუბელი აფარა და სხივი ვიწროდ ეცემა მთას, — თქვა გოგომ.

— ასეა!.. მაგრამ რას ჰგავს? — შეწუხდა მიშა.

გოგომ მხრები აიჩეჩა.

— ყვითელი ზოლი კარაქის უზარმაზარ ნაჭერს ჰგავს!.. უშველებულ ნამცხვარზე წასმულ კარაქს! — ამოაფრქვია სიტყვები მიშამ და თითქოს მერეღა დამშვიდდა.

გოგომ გაიღიმა.

— ხომ ჰგავს, ბაია? — იმედიანად თქვა პატარა კაცმა და სიცილი აუვარდა.

გაეცინა გოგოსაც... პატარა კაცი მუხლებზე ხელებს იტყლაშუნებდა, ხტოდა, სიცილით იგუდებოდა. ბოლოს თავი ველარ შეიკავა და მიწაზე გაგორდა... მთელი ტანი უთრთოდა... ბაიას სახეზე ღიმილი შეაშრა.

— ჩამოდით წყალში! — დაიძახა თომამ.

ჩქარი ნაბიჯით გოგო ზღვაში შევიდა.

მიშა წამოჯდა, თომას გახედა და მტკიცე ხმით თავისთვის თქვა: „არა!.. მე სახლის დასათვალიერებლად მივდივარ!“...

...უკაცრიელ სახლს პატარა კაცმა გარშემო შემოუარა. კარებზე გარდიგარდმო ფიცრები იყო აჭედებული. სახლზე მიდგმულ კარლია, გაბოლილ სამზარეულოში მარტო ძველი, ფეხმოტეხილი ტახტი იდგა კუთხეში...

„სახლს უნდა ძალიან მაღალი, სიბიჭვით ნაგები ყორე და თუჯის მძიმე, გორგოლაკებიანი ჭიშკარი!.. ეზოს მშვიერი მგელივით გააგებელი ძაღლი უნდა!.. ავაბოლებ კერას; ცოლიც მეყოლება და უამრავი ბავშვიც! — თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, ბრაზიანად ფიქრობდა მიშა. — ქალი ძალას აფასებს;

ეგ ვიცით ჩვენ!.. ახლა, მშვიდად, არხეინად მივალ ნაპირთან და გავჩერდები. დაველოდები... თომა წყლიდან ამოვა და ღიმილით გამოექანება ჩემკენ... „როგორ იტყუარე, თომა?“ — ღიმილითვე შევეკითხები მე და, ვიდრე პასუხს მივიღებდე, უცბადვე მივაყოლებ: „რას ჰგავს მთაზე გაწოლილი ყვითელი ზოლი, ბატონო თომა?“ „აბა რომელ მთაზე, ბატონო მიშა?“ — მკითხავს და გაიხედავს ბაიას მიჯნური... ზურგსუკაჩ მიმაღულ სქელ კეტს ამ დროს გავიქნეე სწრაფად და ზუსტად, რომ პირდაპირ ყბაში მოხვდეს — ყურის ოდნავ ქვემოთ... გაგორდება, ან მოცელილი ბალახივით გადაწვება და ტუჩები წითლად შეედებება... რას იტყვის ბაია. წყლიდან ამოვარდნილი, სველი ბაია?.. ვერაფერს იტყვის საწყალი გოგო, თვლებს დააჭყეტს მხოლოდ და გაშეშდება. „აქში, ბაია!“ — მე ვიტყვი სამადაგიეროდ და კეტშემართული დავედევნები. ბევრს ირბენს საწყალი გოგო, ოღონდაც ყველა გზას გადაუჟეკტავ, ერთის გარდა, სახლზე მიდგმულ სამზარეულოში შესასვლელი გზის გარდა... მერე მშვიდად დავდებები ზღურბლზე და ღიმილით მივაჩერდები... აცახცახებული გოგო გაბოლილ კედელს აეკრობა, მაგრამ მე ძველ ტახტზე გავაკრავ და... აჭრიალდება ფეხმოტეხილი ტახტი, ავცნესდება თმაწიწილი ბაია“...

ზღვიდან გლისერის ხმაური მოისმა. ბაია და თომა ნაპირზე ისხდნენ.

მზე რძისფერ ღრუბელს აფარავითირი ღრუბელი თითქოს მეწინავე მსედრიონი იყო ჩაჯავშნული, მოქუფრული ჯარისა. აღმოსავლეთის ცაზე გაშეშებულივით ეკიდა მრუმე ღრუბელი. კრიალა ცის ნახევი სწრაფად ვიწროვდებოდა დასავლეთიდან. წამოთბერა ქარმა. ზღვა შეჩანჯლარდა. პატარა, აქოჩირილი ტალღები ერთმანეთს ერეკებოდნენ და უძლურად იმსხვრეოდნენ ნაპირთან.

ვლადიმერ სიხარულიძე  
მოთხრობები



„მერე ახმაურდება გარემო, ათასი ხმა არეულად აყაყანდება... ზორბა კაცები დიდი, რუხი ძაღლებით სიკვდილივით გამომენტობიან. გადავირბენ ბარს, გადავირბენ მოას. ეკლებით დამეკაწრება მთელი სხეული და ბოლოს, ძალიან გვიან, ქანცმილუული მივეგდები მტერიან შარაზე. მდევრები კი მოდიან, ყველა მხრიდან მოდიან — კალიასავით მოხტიან... მერე ჩემს გარშემო მოგროვლებიან, წრეს თანდათან შეაეწროვებენ და თავზე წამომადგებიან... ყურდაცქვეტილი ძაღლი სისხლისფერ ენას გრძლად გადმოაგდებს, ენის წვერით ჩემს ტუჩებს შეეხება. საჩეზე დამდინდება გაწებილი ნერწყვი, ძაღლის კბილები გაცოფებით აკაწაწდება... მდევართა მეთათური ფეხს დამაჭერს მკერდზე და მშვიდად, მეტისმეტად მშვიდად იტყვის: „რად გააკეთე, ბინძურო ყაჩაღო?“ მე ჩუმიად თქმას დავაპირებ: „რას ჰგავს, უფროსო მდევარო, მთაზე გაფენილი ყვითელი ზოლი?...“ მაგრამ თქმას აღარ დამაცლიან, დამბუზნიან, ჩეკმების ჭუჭყს კბილებზე მიმახოცავენ... ამით დამთავრდება ყველაფერი, ამით დამთავრდება“...

ახურებული თვლებით მიშამ ნაპირისკენ გაიხედა.

ქანდემ მოტორი ნაპირიდან მოშორებით გამორთო... კატარა უხმაუროდ შესრიალა ტალახში. ქანდე გლისეროიდან გადმოხტა და თომასა და ბაიას გვერდით დაჯდა.

მიშამ ნიკაბი მკერდს მაგრად მიაბჯინა.

„მიპატიებია, მსუყე, თავხედო თომა!.. შენთვისაც მიპატიებია, თვალგნებიანო, ბაია!. ძაღლისა და მდევრების ხათრით — ყველაფერი მიპატიებია თქვენთვის!“..

ცა შეიკრა და შეიხუთა ჰაერი. ჩრდილები გაიკრიფა, ნაცრისფერი დაიღვარა გარშემო. თითქოს უხალისოდ გამოსცრა ცამ. სქელი წვეთები ბარტყუნით დაენარცხა და გახურებულმა მიწამ წამსვე შეიშრო სველი წერტილები.

თომამ მიშას გასძახა. პატარა კაცი ხელა გაეშურა ნაპირისკენ.

უფრო ჩამობნელდა, დაიწია რტობული... ერთბაშად წამოვიდა თქემი.

მიშა კატარისკენ გაიქცა.

როცა ყველა მოგროვდა, ქანდემ დახია გლისერი, ნახევარწრე შემოხაზა და ადგილიდანვე დიდი ნიჩქარე აიღო. წვიმის ფარდა სქელდებოდა. მძიმე წვეთები შიშველ მხრებზე ხტოდნენ და ნემსებივით წიწკნიდნენ ტანს. მიშა გლისერის ბოლოში იდგა, წყალზე დატოვებულ ღარს უყურებდა და ნერვიულად ფიქრობდა: „ამდენი ფიქრით თავი ვახეთქავზე მაქვს, თვალებიც მიჭრელებდა და ათასი ჭიანჭველა დამიბიძს მკერდში... რას მიწვებიან ეგ ურჯულოები!“ გლისერი ხტუნვით მიიწვევდა წინ, კატარის ფსკერს დგაფანით ეხეთქებოდა მოლონიერებული ტალღები. ბაია და თომა ქანდეს გვერდით იდგნენ და სახე წვიმისთვის მიეშვირათ. გლისერმა კონცხს შემოუარა და ყურეში შევიდა. ზღვა შედარებით მშვიდი იყო ყურეში და წვიმა უფრო კოკისპირული ჩანდა... კატარა ნაჩქარევად მიაბნეს ბაქანზე, ტანსაცმელს ხელი დაავლეს და ჯიხურისკენ გაიქცნენ.

...კუთხეში ისევ ეძინა ბიჭს და გივლამ ისევ გადააფარა ბრეზენტე. ჯიხურის მიწის იატაკზე, შუაში, პატარა ორბო იყო ამოთხრილი. სივრძეზე, წრიულად ჩააწყო გივლამ შუა ორბოში და ნაფოტებით ცეცხლი გააჩალა. ჩასაცმენლად სათითაოდ გადიოდნენ ჯიხურის გვერდით — დაცარიელებულ ფიცრულში, რომელსაც საღაროდ ხმარობდნენ.

ჯიხურიდან მოჩანდა გზა და გზის პირას რესტორნის ჩარდახიანი აივანი, სადაც ავტობუსის მოლოდინში ხალხს თავი შეეფარებინა.

დაღვრემილი მიშა გაყინულივით იჯდა. თომა გარშემო უტრიალებდა. შემთხვევას ელოდებოდა, რომ დანაღვლიანებული კაცი გაემხიარულებინა.

ცეცხლის ენები წაგრძელდა, ჯიხურში დათბა. გივლამ აგურები შემოაწყო იარმოს გარშემო. აგურებს შორის სქელი მავთულის ჯოხები გასდო და ზედ



ტაფა დადგა. ჟანდე თევზებს ფატრავ-  
და. ბაია ჭიქებში წყალს ავლებდა და მა-  
გიდალ აკოწიწებულ ყუთებზე ალაგებ-  
და. იქვე იყო არყიანი ბოთლი და ახა-  
ლი, აფუებული პური.

ჯიხურის კართან ანლოს, მოასფალ-  
ტებულ ვიწრო გზაზე გუბეები გაჩნდა.  
გუბეებიდან წყალი თითის სიმსხო ნაკა-  
ლულებად იწრიტებოდა და ფერდით  
ზღვისკენ მიეჭანებოდა...

...შეფერნენ. თუნუქის სახურავზე გა-  
ნწყვეტილი ბრაზუნობდა წვიმა. ბნელ  
კუთხეში ისევ ეძინა ბიქს — გვერდიც  
არ შეუცვლია. უკვე მეორე ბოთლიდან  
სვამდნენ არაყს. ბაიამ ცოტა დალია და  
ლოყები აუხურდა. მიშა უხმოდ სცლი-  
და ჭიქას, თვალებით თითქმის ბოთლში  
ჩაძრომა სურდა. დროდადრო ამღვრე-  
ულ, უძრავ თვალებს გარშემო მოატა-  
რებდა, კარგა ხნით ჩამოკიდებდა თვი-  
თეულზე მხერას და მერე კვლავ ბოთლს  
აშტერდებოდა. მისი უგუნებობა მძიმედ  
აწვებოდა ყველას — იშვიათად ლაპა-  
რაკობდნენ.

...კეთილი მეგობრები... ერთმანეთის  
საყვარელი მეგობრები! — ღვარძლით  
ფიქრობდა პატარა კაცი. — ჟანდე თო-  
მას მეგობარია და ამიტომაც კეთილად  
უყურებს ბაიას. გიგლა კი ჟანდეს ამ-  
ხანაგია და მალე ალბათ თომასაც გა-  
უამხანაგდება... მერე გადახვევენ ერთ-  
მანეთს ხელს, წრეს შეკრავენ და მხიარ-  
ულად აცქმუტდებიან... „ერთმანეთის  
კეთილი მეგობრები!.. თუ შეგიძლიათ,  
ორიოდე წუთით მიშა გარეთ გაუშ-  
ვით?.. მხოლოდ ორიოდე წუთით... მი-  
შას სახლის საძირკველის მისველება  
უნდა... რა არის აქ გასაკვირი? მისვე-  
ლება ყველას უნდება ზოლომე... მაშ წა-  
ვედი... ჩქარა მოვალ!“ როგორ წვიმს?  
როგორ წვიმს?!. გასვლისთანავე ტან-  
საცმელი ჩვარივით ჩამომეკიდა... ეშმაკ-  
საც წაუღია ტანსაცმელი!.. ვიხდი ყვე-  
ლაფერს, კი არ ვიხდი — ვიგლეჯ ტანსა-  
ცმელს და შიშველი ვრჩები... ღრმად,  
ქმენით ვსუნთქავ, როგორც წასასვლე-  
ლად გამზადებული ორთქლმავალი... და-  
ვიძარი ადგილიდან, თანდათან სვლას

ვუმატებ და ბოლოს კივილით გავრბო-  
ვარ... ვიცი, სადაც მივდივარ! აი, გა-  
მოჩნდა ჯიდეც!.. გამოჩნდა ბრაზიან,  
წითელ ტალახში გაწოლილი ვეება კა-  
მეჩი... მის გეგრდით დაწვეები, ბრაზში,  
წითელ ლაფში ამოვევლები და ჩუმიად  
შევევედრები: „ლონიერო კამეჩო, მო-  
მეც ძალა შენი!“ მოწყალეა კამეჩი!..  
დამძიმებული გამოვრბივარ უკან და  
კვალად მომდევს სისხლივით წითელი  
ზოლი. მოვრბივარ თავდახრილი, მიწა  
ზანზარებს ჩემს ფეხქვეშ, ყალყზე დგე-  
ბიან ზორბა ტალღები და ღონიერად  
უბათქუნებენ ნაპირს... გამოიხატა წვი-  
მამში, გამოიკვეთა საცოდავად მდგა-  
რი პაწაწკინტელა ჯიხური. ფოლადის  
შუბლს გვერდში ვაძგერებ და მთიდან  
დაცურებული მორივით ზღვისკენ  
ხტუნვით გაგორდება კარმოგლეჯილი,  
ფიცრის პატარა სახლი... ნაპირთან უკ-  
ვე დიდტანინან ტალღა ელოდება, და-  
ითრევს და... გაუჩინარდება ჯიხურის  
თუნუქის სახურავი, მხოლოდ ბურთი-  
ვით დიდი ბუშტები აბუყბუყდება  
წყლის ზედაპირზე და მალე ისიც გაქ-  
რება“...

რესტორნის ჩარდახიან აივანზე აღა-  
რავინ იდგა. ცეცხლის ორმო ნაცრით  
ამოივსო.

— როგორ წავალთ აქედან, ჟან-  
დე? — შეეკითხა თომა.

— ძველი მანქანა აქვს აქ ერთს და,  
ალბათ გვათხოვებს, — თქვა ჟანდემ.

— ნუთუ არ გეშინიათ, ძლიერად  
დაეჯახოს რაიმე ჯიხურს, ააყირავოს და  
ზღვაში გადაადოს? — მძიმედ, სიტყ-  
ვების დამარცვლით თქვა მიშამ და  
მკაცრად გახედა თვითეულს ცალ-ცალ-  
კმა.

თომა წამოწითლდა, სხვებმა გაკვირ-  
ვებით, უხერხულად გადახედეს ერთმან-  
ეთს.

— თუ არა და გაგვიძნელებდა ახლა  
მანქანის შოვნა, — თქვა თომამ.

— ვითომ ძნელი მოსანგრევია ეგ სა-

**ვლადიმერ სინარულიძე**  
მოთხრობები



ცოდავი ქოხმახი? — ჩაიცინა პატარა კაცმა.

ჟანდემ გამომწვევად შეხედა მიშას. ჭიუტად მიაბჯინა მიშამაც თვალები.

— თუ არ გვათხოვა, რაღა ვქნათ? — სწრაფად თქვა თომამ.

— მე არ მეტყვის უარს, — უთხრა ჟანდემ და თევზის ჭამა განაგრძო.

ჩიხურის გვერდით გამავალი ვიწრო გზა დაიტბორა.

„წვიმს და წვიმს!.. ადგილი, სადაც ჩიხური იდგა, წყალმა ჩარეცხა. ტალახიანი ღვარი ფერდით ჩაცურდა ზღვაში. პალოებზე გამობმული ნაგები წყლით გაივსო და ჩაიძირა. ნაპირთან, ეკლიან ბუჩქზე ფერადი რალაც აფარებხალდა... „ყოჩაღ, შენ, კარმოვლევილო ჩიხურო, ჩემთვის გოგო დაგიტოვებია!.. „ატალახებულ ფერდობზე სრიალით ჩავდივარ. „წამოდექი, ლამაზო ბაია!.. „კრინტს არ ძრავს ზონდა, არ გულა გოგო... ხელში ავიტაცებ თბილ სხეულს და ისევ გავრბივარ მძიმედ, ბაგა-ზუგით, დიდხანს, ვიდრე უკარგოვ. ტრიალ მინდორში შეგვარდებოდე... წვიმს და წვიმს!.. „აბა იარე, ლამაზო ბაია! — ვეუბნები გამოცოცხლებულ გოგოს. — ოღონდ ჯერ კარგად დავისველდეს თხელი კაბა, გამოინაკეთოს ფუნთუშასავით აფუებული შენი პატარა მკერდი და მერე გაიარე... ნელა, თეძოების მსუბუქი რხევით...“

უხალისოდ გრძელდებოდა სმა, თითქოს ყოველი ჭიქა მიცვალბულის გახსენებით იცლებოდა. პატარა კაცი დუმდა. ჭიუტი მზერით ბოთლს ღრღნიდა. მისი გავლამებული თვალები და ავღიმისში მოღრეცილი ტუჩები შფოთის წინათგრძნობით ავსებდა ჩიხურში მყოფთ.

— წავიდეთ! — ჩუმად უთხრა თომას ბაიამ.

— წავიდოდით, ჟანდემ თუ მანქანას გვიშოვნოდი, — თქვა თომამ.

— გიგლა, უთხარი მანქანა გვათხოვოს ცოტა ხნით! — უთხრა ჟანდემ.

გიგლა გარეთ გავიდა. „გაუთავებლად წვიმს!.. ათასი გავარ-

ვარებული ხაზი გაივლებს მაღლა აგრუნუნდება. უკიდევანო ტრამალის შუაში ქოხი დვას და ჩვენც იქით მივმართებით. წინ ბაია მიდის, უკან მივყვები და შეუფერხებლად ვათვლიერებ მისი სხეულის თვითეულ ნაკვთს, ასე კარგად რომ ჩანს, სველ, შემოტმანსულ სამოსში... ქოხის წინ გოგოს ვუბიძგებ... დაემზოს მუხლებზე, ჩემს წინაშე ცოდვები გამოსიციდოს!.. ვადაფარებულში, ქოხის სიღრმეში ვჯდები მე და დიდხანს ვუყურებ სველ თმებში გახვეულ ჩაჩოქილ გოგოს... მერე თითით მოვიხმობ და კალთაში ჩავისვამ...“

მიშამ ჭირვეულად მოავლო ირგვლივ თვალი, ბაიას უცნაური ღიმილით შეხედა და მშვიდად, ძალიან მშვიდად თქვა: — მინდა მუხლებზე დავისვა, ბაია. პატარა მკერდი მინდა გავითბო.

ჟანდემ შოლტცივით გაიქნია ხელი. პატარა კაცს მავრად მოხვდა კეფაში. წინ გადაქანდა და ცხვირით ყუთიდან ბოთლი გადაადგო. თითქოს ატირებულ, ანჩხბი ჩვილი უცბად გაეჩუმებინოთ — ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა ჩიხურში. წვიმაში მოყოლილი ბიარალივით ჩამოიღორთხა მიშა, უწინდელი ნალველი წამსვე ჩაუდგა თვალებში.

— ნულარ დამარტყამთ... მეშინია! — თქვა ჩუმად.

ბაიამ ტუჩი მოიკვნიტა, თითქოს გახლეჩამდე დაჰყეტილი, ცრემლიანი თვალები თავჩაქინდრულ მიშას მიაჭედა.

არყის სუნით გაიქნინა ჰაერი ჩიხურში.

თვალწინ დაუდგა თომას სასადილოში შემოსული პატარა, დაშინებული კაცი. ყარაულიც მოაგონდა და გაახსენდა მხრებზე მომჯდარი, ბავშვივით გახარებული ჩია კაცი. თომამ ნატკენივით კეფა მავრად მოისრისა და წყენით გახედა ჟანდეს.

— ბოდიში უნდა მოიხადო! — ხვეწნით წაუჩურჩულა ბაიამ ჟანდეს.

— მაპატიეთ, მიშა, არაყი დავლივ ბევრი, — ჩუმად თქვა ჟანდემ.

პატარა კაცმა მორჩილად დაიქნია თა-

ვი, მიწაზე დაღვრილ არყის გუბეს უყუ-  
რებდა.

ვიწრო გზაზე გივლამ მანქანა ჩამო-  
ყენა... უხმოდ ჩასხდნენ ყველანი. ვიდ-  
რე წავიდოდნენ. ჟანდემ კიდევ მოუხა-  
და ბოდიში. მიშამ ისევ მორჩილად და-  
იქნია თავი. სანამ მანქანა თვალს მოე-  
ფარებოდა, ჟანდე წვიმაში იდგა... მე-  
რე ჯიხურში შებრუნდა.

დაღმართით მანქანა რბილად მიგო-  
რავდა ქალაქისაკენ. ფეთიანებივით  
ხტოდნენ რეზინის ჯოხები და წინა ფან-  
ჯარაზე ორ დიდ, გაშლილ მარაოს ხა-  
ტავდნენ. თომა უხეიროდ ცდილობდა  
ლაპარაკის წამოწყებას და ბოლოს დარ-  
ცხვენილივით გაჩუმდა. ბაია წრიალებ-  
და, განიერ სავარძელზე ადგილს ვერ  
პოულობდა, მერე თომასგან გაიწია და  
კაბინის ვვერდს აეკრო.

— ვინ იყო ის მძინარე? — იკითხა ბა-  
იამ ცრემლიანი ხმით.

— ჩვენთან მუშაობს, — უთხრა გიგა  
ლამ.

— მაგრად დამთვრალა.

— მთვრალიც იყო და მთელი ღამეც  
ფეხზე გაატარა.

პატარა კაცი გივლას გვერდით იჯდა  
და აპრიალებულ გზას უყურებდა.

მიშა ხედავდა უდაბნოზე მიმავალ აქ-  
ლემების გრძელ ქარავანს... ვალიაში  
დამწყვედულ კბილებდაკრეჭილ მგლებს  
ხედავდა და განუწყვეტლივ ესმოდა  
წყლის მომაბუზრებელი ბუყბუყი... პა-  
ტარა კაცს ყვავილების დიდი, ლამაზი  
ბალი გაახსენდა და მერე — ფართოდ  
გადაშლილი, ყვითელი ველი დაინახა.  
ველი გატენილი იყო კაცისხელა, რკი-  
ნით მოჭედილი ჩექმებით, რომლებიც  
ულევ მწკრივებად მისკენ მძიმედ მოა-  
ბიჯებდნენ...



მ ღ ი უ ი

მზეზე ელავს დაფერილი წალდი,  
ორღობეში მიიმღერის ურემი,  
ვიღაც მგზავრმა ქვას გაუყო დარდი,  
გზა ილღება მდინარეში ყურებით.  
კივის ქოხში დამწკვდელი ცელი,  
ხეებს კვირტად ამოუთქვამთ დილა,  
ბერიკაცმა მოიჩრდილა ხელი —  
ასაკაფი გზის დანახვას ცდილობს.

მზის აივნით კოპწიაობს ოდა,  
წყაროსაკენ მიხტის კენტი ცირა,  
ცით სავსეა აუესები კოკა,  
ძიძამ ძუძუ შეაშველა მტირალს.  
ახლო ცაა სურვილივით მძაფრი,  
შორით ქარი აქანავებს ლელიანს;  
მთები ჰგვანან დამშვიდებულ აფრებს  
და გრივალთან შერკინებას ელიან...

ს მ ფ ე ლ ი

მიირხეოდა ფიორა კვამლი..  
ლამეს ხერხავდა ყვირილი მამლის  
და გამთენიის მცოცავი ალი  
ეძალებოდა ცასა და მიწას.

დღე თენდებოდა... დიოდნენ ველად,  
ველის სიმღერას ამბობდა ცელი,  
ხეს აწუხებდა ფოთოლი ხმელი  
და წკრიალებდნენ სხივები მზისა...

მახლობელ ჩირგვში ჰყვავდა სოკო,  
ცას შესძახოდა თავანი სოფლის,

მოცლილი ქარი არხვედა ფოთოლს  
და ღამდებოდა საოცრად მალე.

მოფათურებდა ყანიდან ლანდი,  
მზე ჩადიოდა და მთვარე ჩანდა,  
სხიოდა შუქი იაფი სანთლის,  
და იძინებდა დაღლილი მკლავი.

მიირხეოდა ფიორა კვამლი..  
ლამეს ხერხავდა ყვირილი მამლის...

მოკვდები. გულზე დავიკრფე ხელებს,  
მოგონებებში ვიცოცხლებ მარტო,  
აპრილის ხმაზე მიმღერებს ღელე,  
წვიმის ჯოგებით მეწვევა მარტი.  
მოსაგონებელს ასწევენ მძიმედ,  
და უხმაუროდ დასცლიან ჭიქას,  
თვალცრემლიანი ამოვა ვინმე  
და მოასწორებს საფლავის თიხას.

აიწვევება ბალახი თოთო,  
ბალახზე უხვად დაათოვს ფოთოლს  
და იშრიალებს წიფელი შხვერთი..  
გამთენიისას, ავდგები მკვდრეთით,  
და, ჩვეულებრივ, დაფუსტვენ ჩიტებს..  
წუხელ მესიზმრა ასეთი ბედი;  
ვინ იცის, იქნებ, ამიხდეს კიდევ!..



## კომკავშირული

ჩველი ბავშვივით დღე გაიბადრა,  
თეთრი აპრილი ძარღვში გვიღელავს,  
შენ დაიბადე  
და დაიბადა  
ჩემი თაობის დიდი სიმღერა.

გული გმირობის ძახილს მივანდეთ,  
მზემ სიყვარული ზღვად გადმოლექა,

ჩვენ დავიბადეთ  
და გავიზარდეთ  
ათას ზოიად, ათას ოლეგად.

დიდი ხმაური იგრძენეს გულებმა, —  
ასე დაიწყო გზა სამღერალი...  
და ვით ოცნების დადასტურება,  
მზისკენ მიფრინავს ჩვენი მერანი!

●  
დღეებს გავვრიდე ქარებიანს  
და მზეს ვუსწორდები ზმანებით,  
ჩემი სიმღერები ზარებია, —  
შენი სამლოცველოს ზარები!


ძველი ტკივილები დამიყვავე,  
სულში სამაისო დარია...  
თითქოს ვარსკვლავებთან ამიყვანე,  
როგორ ამამაღლე ძალიან!


დუმისს გამაშორე რა ხანია,  
მარად შენთან ერთად ვიქნები,  
თურმე ცხოვრებაზე მაღალია,  
ხვალის იმედებზე ფიქრები.

დღეებს გავვრიდე ქარებიანს  
და მზეს ვუსწორდები ზმანებით,  
ჩემი სიმღერები ზარებია, —  
შენი სამლოცველოს ზარები!

●  
მეცხვარეები მიდიან მთაში  
ღრუბლებისა და ნისლების ზევით,  
მეცხვარეები მიდიან მთაში  
სიმღერითა და კომბლების რხევით.

მეცხვარის მუხლმა არ იცის დაღლა,  
ბილიკებს მისდევს ქარაუნის ბოლი...  
მეცხვარეები იწვევენ მაღლა  
და მიაქვთ სითბო შვილის და ცოლის.





## ფ ი ქ რ ე ბ ი

მწერალი ვახტანგ მოდებამე დიდი ხანია აპირებდა მოთხრობის დაწერას ფუქსავატ, იოლი ცხოვრების მაძიებელ ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი მოვალეობის გრძნობა ხალხის, საზოგადოების, საკუთარი ქვეყნის წინაშე. შემთხვევით როდი აირჩია ეს თემა. ბევრის მნახველი იყო თავად, ბევრის გადამტანი. მუშაობდა მაღაროში, ქარხანაში, ვემზე; ცხოვრებაში ავიც ენახა და კარგიც. კაცურ კაცსაც შეხვედროდა და თაღლითსა და

ყალთაბანდსაც, ისეთებს, სხვის ხარჯზე ცხოვრება რომ უყვართ, შრომას თავს რომ არიდებენ. ვახტანგს უნდოდა ეჩვენებინა ამ ვაჟბატონების ნამდვილი სახე, მათი „ფილოსოფიის“ უგვანობა და სიყალბე. ბევრჯერ ჩაუჯდა მოთხრობას, მაგრამ ვერა და ვერ გაართვა თავი. ის, რასაც წერდა, როგორღაც ყალბი, ნაძალადევი ეჩვენებოდა, ისეთი, მკითხველს გულში რომ ვერ ჩასწვდებოდა. ვერ ააღლეებს, ვერაფერს ეტყვის. მამასაღამე, ჯერ უნდა ტიპებისათვის

მიეკვლია, ფაქტები გამოენახა, კიდევ და კიდევ ჩაპკვირვებოდა საკითხს...

რასაც ეძებდა, სრულიად შემთხვევით შეხვდა. შეხვდა სწორედ მაშინ, მოსკოვში მივლინებით რომ მიემგზავრებოდა.

ვახტანგი ვაგონში ავიდა თუ არა, მისი ყურადღება სამმა ახალგაზრდამ მიიპყრო. დერეფანში იდგნენ და რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. მათმა თვითდაჯერებულმა კილომ, მოურიდებელმა, უბოდინო საქციელმა უნებლიეთ დაინტერესა მწერალი. რატომღაც მოუნდა გაეგო, ვინ იყვნენ, რაზე ლაპარაკობდნენ, რით სულდგმულს იდგნენ. საუბარი განყენებული იყო. ლაპარაკობდნენ ცხოვრებაზე, ადამიანის მოვალეობაზე, შრომაზე. ყველას თავისი სათქმელი ჰქონდა, სიტყვას პირიდან სტაცებდნენ ერთმანეთს.

განსაკუთრებით ცხარობდა მაღალ-მაღალი ახალგაზრდა. მას უკვე მოესწრო სამგზავრო ტანსაცმლის გადაცემა: სპორტულ ყაიდზე შეკერილი ლურჯი შარვალი და ამავე ფერის შალის ხალათი ეცვა. თავმომწონედ ჩამდგარიყო ამხანაგებში და ერთი ყოფით ამბობდა:

— ამ ცხოვრებას, რაც შეიძლება, მეტი უნდა წავლიჯო, იმხიარულო, დრო ატარო, სხვა რა შეგჩნება? ჩვენ რომ ჩავგჩიჩინებენ, შრომა, შრომაო, სულ ლიტონი სიტყვებია. მუშაობას თუ თავი შევაკალო, სიბერეში რაღა უნდა მოვიგონო? არა, ძმაო, მე როგორც მეცხოვრება, ისე ვიცხოვრებ, შენ რა გეკითხება?

— ჰო, ჩვენ სხვა ხანაში ვცხოვრობთ, — სიტყვა ჩამოართვა მეორემ, — რომ გამახსენდება, როგორ ცხოვრობდა წინათ ხალხი, გოაცებული ვრჩები: იბრძოდნენ, შრომობდნენ, სწავლობდნენ, ყველაფერი როგორღაც უბრალო, პრიმიტიული იყო. ადამიანები ცოტათიც კმაყოფილებოდნენ.

— არც არის საკვირველი, — დასძინა მესამემ, — იმ დროს ყველაფერი უბრალო მუშების ხელით კეთდებოდა, ინ-

ტელიგენცია ის-ის იყო, ფეხს იდგამდა ახლა სხვა პირობებია, ადამიანი უფრო კრიტიკულად აზროვნებს, უფრო შორს იხედება.

ვახტანგი ისმენდა ამ სიტყვებსა და გოაცებული ფიქრობდა: „რა არის ეს? უბრალო გულუბრყვილობა თუ აშკარა ცინიზმი? ვისი აზრებია, ვინ ავრცელებს ასეთ უგვანობას?“ მაინც აინტერესებდა, კიდევ რას იტყოდნენ, რით დამთავრდებოდა ეს კამათი, ეს უზადრუცი მსჯელობა.

— არა, რაც არ უნდა თქვან, ჩვენ ამერიკამდე ჯერ ხელი არ მიგვიწვდება, — წამოიწყო ისევ პირველმა, — იქ ჩვენზე უკეთ იციან ცხოვრება. ტექნიკაზე ხომ აღარაფერს ვამბობ!

ვახტანგს სიბრაზისაგან სახე წამოენთო. თავი ვეღარ შეიკავა და უნებლიეთ წამოიყვირა:

— სად ამოიკითხეთ, ან სად მოისმინეთ ასეთი აბღალუბლა? ცხოვრებაზე მსჯელობა რომ შეგეძლოს, უნდა რაღაც იცოდე, თქვენ კი რისი მომსწრენი ხართ? რა გინახავთ?

— სხვათა შორის, — დაცინვით წამოიძახა ერთმა, — თუ კამათი გინდათ, იკამათეთ, ასე რომ გვტუქსავთ, ბავშვები ხომ არ გგონივართ?!

მოღებაძეს უნდოდა ეპასუხა, მაგრამ თავი შეიკავა — „ამათთან კამათს რა აზრი აქვს? ცხოვრება ყველას საკადრისს მიუზღავს, ყველას თავის ადგილს მიუჩენს.“ — გაიფიქრა.

ერთ-ერთ სადგურზე ვაგონში სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები ამოცვივდნენ, ასე, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის გოგონები და ბიჭები. რუხი ფორმის ტანსაცმელი კონტად ადვით ტანზე. დერეფანი მათი მხიარული, წყრილა ხმებით აივსო. ერთმანეთს არიგებდნენ, იცინოდნენ, დასაჯდომ ადგილებს ეძებდნენ. ბაქინიდანაც ისმოდა ყვირილი და მხიარული შეძახილები:

— აბა, თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთ!

ზორის შაბანაშვილი  
შვიძინაძე



— ბიქს არაფერი გაუჭირვოთ, გაუფრთხილდით!

— ნახვამდის! კარგად გემგზავროთ! ნახვამდის!

ამასობაში მატარებელიც დაიძრა. მოსწავლეები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. ყოველი მათგანი მოსკოვზე ფიქრობდა, ეტყობოდა, პირველად მიემგზავრებოდნენ იქ, და ცოტა არ იყოს, ღელავდნენ კიდევ. ვაგონში სიჩუმემ დაისადგურა, სიცხით მოთენთილი მგზავრები მიყუჩდნენ. უეცრად ვაგონში ვიღაც მამაკაცი შემოიჭრა, იშუაშსვე მიხვდებოდათ, უცხოელი რომ იყო. ფართო ნაბიჯით მოდიოდა, თან დამტვრეული რუსულით ლაპარაკობდა.

— იცით, რა ბიჭებია? კორესპონდენტი ვარ, ასე ადვილად ვერაფერი გამაკვირვებს, მაგრამ, მართალი ვითხრათ, გოცნებული დავრჩი. ვინ დაიჯერებს, რომ ის რთული მექანიზმები ამ პატარა ხელებმა ააწყვეს!

სამი ახალგაზრდა უტყვი აღტაცებით მისჩერებოდა უცხოელს. მოდებამე დაცნვით ადევნებდა მათ თვალს. გულში ებრალებოდა გზასაცდენილი ბიჭები. უცხოელი კი ხმამალა ამბობდა:

— გამარჯობათ, გამარჯობათ, ედისონებო! გამოფენაზე მიემგზავრებით? შესანიშნავია! ის, რაც თქვენს მიერ შექმნილა, ყველამ უნდა ნახოს, გაიგოს ხალხმა, რა შეუძლია ახალგაზრდა ხელებს!

სამი ახალგაზრდა აშკარად შეცბუნებული იყო ჟურნალისტის საქციელით. ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ დასტრიალებდა ეს კაცი მოსწავლეებს. რით იყო ასე აღტაცებული.



ვეებერთელა საგამოფენო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ათასობით ადამიანი მოსულიყო აქ, რომ ენახა სხვადასხვა მანქანები, საოცარი მექანიზმები, ხელსაწყოები, ხის, ლითონის, შუშისა თუ ქვის ნაკეთობები.

ვახტანგიც აღელვებული დადიოდა ამ ზღვა ხალხში, უკვირდა, როგორ შექმნეს ყველაფერი ეს იმ პატარა ბიჭუნებმა და

გოგონებმა, ჩემთან ერთად რომ ვახტანგის რობოტს ვაგონში ვიყავით. აოცებდა მათი ნიჭი, მომისმოყვარეობა, ცოდნა, სიმარჯვე, შემართება, გამბედაობა. ყველაფერი ის, რასაც ირგვლივ ხედავდა, და რაც ამდენი ხალხის აღტაცებას იწვევდა, ხომ შრომით იყო შექმნილი.

უეცრად ის სამი ახალგაზრდა გაახსენდა და სიბრაღულით გული შეეკუმშა. არა, როგორ ყოყოჩობდნენ, როგორ მოპქონდათ თავი, ინტელიგენტები ვართო! მერე და, ამ ბავშვებთან შედარებით რანი იყვნენ, რას წარმოადგენდნენ? „არა, — ფიქრობდა ვახტანგი, — შრომა, მხოლოდ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, შრომა არის ჩვენი სიცოცხლის ქვაკუთხედი.“

ზოგჯერ ადამიანი თავს დააღწევს ხოლმე ყოველდღიურ ყოფას, ყოველდღიურ წვრილმანს, და თითქოს თვალი აეხილაო, მთელი თავისი არსებით შეიგრძნობს სიცოცხლის სიღრმეს, აღიქვამს მის სილამაზეს.

რალაც ამდაგვარს განიცდიდა ვახტანგი ახლა, როცა ფიქრობდა შრომაზე, მის დანიშნულებასა და გარდამქმნელ ძალაზე. შრომა და ცოდნა ერთად შერწყმული ცვლის ადამიანს, ცვლის თვით სამყაროსაც. ყოველი ადამიანის შრომა ერწყმის სახალხო შრომის ვრცელს ოკეანეს. საბრალო ის ადამიანი, ვისაც შრომის სიხარული არ განუცლია.

ვახტანგის ყურადღება ახლა ტექნიკის განყოფილებამ მიიპყრო. იქ ყველა რობოტს ეხვეოდა, ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, როდის ამოქმედდებოდა ლითონისაგან შექმნილი გონიერი „არსება“. აი, თვალებბრიალა, გამხდარმა ყმაწვილმა გამოაცხადა:

— ყურადღება! რობოტი სიტყვას ითხოვს!

იმავე წამს რობოტს თვალებში მოციმიკიმე შუქი ჩაუდგა და ლითონის კაცმა ოდნავ ყრუდ, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— რობოტი გახლავართ, რობოტი გახლავართ, სახელოსნო სასწავლებელში

დავიბადე! ჰო, როდის? 1968 წლის მარტში. დღეს მე ვიქნები თქვენი მეგობარი გამოფენაზე. გზა მომეცით! ცოტა ფრთხილად იყავით!

რობოტი მტკიცე ნაბიჯით მიმოდიოდა. ათიოდე მეტრი რომ გაიარა. შეჩერდა და ისევ გააფრთხილა მაყურებლები, გზა მომეცითო. ხალხი ალტაცებითა და ფარული შიშით შესცქეროდა ამ საოცარ ქმნილებას.

ახლა კი მიხვდა ვახტანგი, ვინ იყო ის „ბიჭი“, სადგურზე გამცილებლებმა რომ ახსენეს.

რობოტმა ხომ გააოცა ხალხი, მაგრამ მას არც სხვა მექანიზმები ჩამოუფარდებოდა. ერთ კუთხეში ხალხი იმჟიდროდ შემორტყმოდა ჰაერის ბალიშზე მდგარ ავტომატსანას. ვიღაცამ მსუბუქად დააჭირა ღილაკს ხელი. რაღაც უხილავი, ძლიერი ძალის ზეგავლენით მანქანა ზემოთ აიჭრა და ჰაერში იწყო ტრიალი. „აი, ჩვენი ტრანსპორტის მომავალი სახე“ — ფიქრობდა ვახტანგი, — ასეთ მანქანას ვერც კლდე-ღრე შეაჩერებს და ვერც უგზოობა.

ძალზე რთული ჩანდა საათის მექანიზმის ასაწყობი ავტომატური ხაზიკი. ლითონის ფართო მიმღებში ყრიდნენ ასობით სხვადასხვა სახის დეტალს და ყველა დეტალი, საბოლოოდ აწყობილი გამოდიოდა ხაზიდან. ახლა მხოლოდ მათი ბუდეში მოთავსებულა იყო საჭირო. ყველაფერი ეს ისე ხდებოდა, ადამიანს თითის განძრევაც არ სჭირდებოდა.

— ნუთუ ესეც მოსწავლეების ხელით არის შექმნილი? — ვაოცებას ვერ ფარავდნენ ჰალარა ინჟინრები. ვახტანგს ყველაზე მეტად მაინც მოსწავლეები აღეკვებდა. სიამოვნებდა მათი კმაყოფილი სახეების ცქერა. ბავშვები სიხარულს ვერ ფარავდნენ, მაგრამ არ ყოყორობდნენ. მედიდურობა არ ემჩნეოდათ.

„მათ ადგილზე სხვები რომ ყოფილიყვნენ, თუნდაც აი ის სამნი, ჩემთან ერთად რომ მგზავრობდნენ, როგორ აიპრებდნენ ცხვირს? ამათ კი ბუნებრივად უჭირავთ თავი.“ — ფიქრობდა ვახ-

ტანგი. მათთვის არც თუ ისე ადვილი იყო, პასუხი გაცათ ყველა შეკითხვაზე, მაგრამ არ ლელავდნენ, ღირსეულად იქცეოდნენ—მშვიდი, საქმიანი იერით მიმოდიოდნენ. ვახტანგს თანდათან მოსწონდა ეს მკვირცხლი მხიარული ბიჭუნები და გოგონები. საათი საათს მიადევდა. ვახტანგი სტენდიდან სტენდზე გადადიოდა, ვიტრინიდან, ვიტრინიანაზე. ვინ იცის, რა სულეტი და ფიზიკური ძალის დაძაბვა დასჭირდა იმას, ვინც ცივ ლითონზე ის ფიგურები ამოტვიფრა, ან ხეზე ნატიფი ვრავიურა ამოკვეთა; რამდენი შრომა დასჭირდა მინის და ბროლის ცისარტყელსავით მოელვარე ნაკეთობების შექმნას.

კედლები თითქოს სადღაც გაქრა, და ახლა ვახტანგი ხედავდა არა მარტო საგამოფენო დარბაზს, არამედ დიდ ქვეყანას, რომელიც თავის შვილებს შრომისა და გამირობისაკენ მოუწოდებდა. მწერალი ფიქრობდა დარბაზში მოფუსფუსე ბიჭუნებისა და გოგონების მომავალზე და მტკიცედ სწამდა, რომ ისინი იშრომებდნენ მშენებლობებზე, მღაროებში, დაზებთან, ღუმელებთან, კათედრაზე, ინსტიტუტებში. ცხოვრება წინ მიჰქროდა, მომავალი თავისას მოითხოვდა და ვახტანგი უნებლიეთ შეეკითხა საკუთარ თავს: „მაგრამ ზვალ რას გააკეთებენ სამშობლოსათვის ის ქარაფშუტა, თავმომწონე ახალგაზრდები?“ კითხვაზე პასუხი ვერ გამოიხატა. მაგრამ იცოდა, მატარებელში დაწყებული კამათი როგორღაც უნდა დასრულებულიყო, რატომღაც გრძნობდა, იმ ახალგაზრდებს ისევ სადღაც უნდა შეხვედროდა.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. დარბაზში ტევა აღარ იყო. უეცრად ერთმა მოსწავლემ სიმღერა წამოიწყო, თავისუფლად, ულად იღვრებოდა წკრილა ხმა. ასობით ადამიანმა აიტაცა ჰანგი. ეს ის სიმღერა იყო, დიდი ხნის წინათ, პირველ ხუთწლედობან ერთად რომ იშვა.

ვახტანგს არ შეეძლო ამ წუთებში

**ბორის შატბერაშვილი**  
ფიქრები



მხოლოდ მდუმარე მაცურებელი ყოფილიყო. უნდოდა ელაპარაკა, ეთქვა რამე, გაეგო, რას ფიქრობდა, რაზე ოცნებობდა მის ირგვლივ შეკრებილი ხალხი. ამ ფიქრით იგი გაემართა დარბაზისაკენ, სადაც პრესკონფერენცია უნდა გახსნილიყო. დარბაზი უკვე გაჭედული იყო. ვახტანგმა ძლივს იპოვა თავისუფალი ადგილი. პრესკონფერენცია ჩვეულებრივად როდი მიმდინარეობდა: მომხსენებელს ლაპარაკს არ აცლიდნენ კითხვას კითხვაზე აყრიდნენ.

ვახტანგმა თვალს არ დაუჯერა, როცა თავის გვერდით ის სამი ახალგაზრდა დაინახა. რამ მოიყვანა ისინი აქ? უბრალო ცნობისმოყვარეობამ, თუ სურვილმა, თითონაც ხალხში გარეუღიყვინენ? თუმცა მათ სახეებზე, მათ გამოხედვაში ვახტანგმა რაღაც ახალი, კეთილშობილური შენიშნა. სადღა იყო მათი დამცინავი, ქედმაღლური ღიმილი! დარბაზში გამეფებულ განწყობილებას ისინიც თავის გავლენაში მოექცია, სერიოზულად, გულისყურით უსმენდნენ მომხსენებლებს და ცოტა არ იყოს, შეცბუნებულებიც კი ჩანდნენ.

ბოლოს კათედრაზე ის ყმაწვილი ავიდა, საგამოფენო დარბაზში რობოტთან რომ ტრიალებდა და მნახველებს ახსნა-განმარტებდას აძლევდა.

— ეს გამოფენა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია იმისა, რასაც ქმნიან ჩვენი სახელსწიფო სასწავლებლის მოსწავლეები, — ამბობდა იგი, — ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერი მოგვცა, ზრუნვა არ მოგვაკლო. ჩვენც ვალში არ დავრჩებით, წავალთ იქ, სადაც სამშობლო გავგავზავნის, სადაც საქმე მოგვიხმობს!

ვახტანგს ეჩვენებოდა, რომ ათასობით ჭაბუკის და ქალიშვილის ხმა ესმოდა. იმათი ხმა ესმოდა, ვინც ამ დარბაზში იმყოფებოდა და იმათიც, ვინც დაუღალავად შრომობდა ჩვენს თვალუწყველნი სამშობლოს საკეთილდღეოდ. თითქოს გრძნობდა მათი გულების ფეთქ-

ვას და ფიქრით ხან წარსულს გრძნობდა, ხან მომავალში დაქროდა. ერთიც და მეორეც შრომასთან, თაობათა გამირულ შემართებასთან იყო დაკავშირებული.

ბოლოს მიკროფონთან ის უცხოელი ჟურნალისტი მივიდა — ამერიკელი ყოფილიყო.

— მე გამაოცა ამ გამოფენამ, — დაიწყო მან, — უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, ასეთი რამ ჩემს ქვეყანაში რომ მენახა. თქვენში ახალგაზრდობისათვის ყველა გზა ხსნილია. დღეს ახალგაზრდა დაზგასთან თუ ტრიალებს, ხვალ ატომურ ხომალდებსა და კოსმოსურ რაკეტებს შექმნის!

მსმენელები მიხვდნენ, რომ ეს სიტყვები გულწრფელად იყო ნათქვამი და ტაში დიდხანს, ძალიან დიდხანს არ დამცხრალა.

ბოლოს, პრესკონფერენციაც დამთავრდა. ვახტანგი, სხვებთან ერთად, კარისკენ გაეშურა, და თითქოს განგებო, კვლავ იმ სამ ახალგაზრდას შეეჩეხა; დარცხენილები ჩანდნენ, ეტყობოდათ, უხერხულად გრძნობდნენ თავს.

ვახტანგს ახლა აღარ შეეძლო გაჩუმება, ღიმილით გადახედა მძალდასუსტად და ჰკითხა:

— აბა რას იტყვიან ახალს? ნუთუ არც ახლა შეგეცვალათ აზრი ცხოვრებაზე?

მალაღმა დუმილით უპასუხა. არც მის მეგობრებს ამოუღიანთ ხმა. ან კი რა უნდა ეთქვათ?

ვახტანგი ფართო მოედანზე გავიდა. მზის კაშკაშა სხივებს ქალაქი გაეჩახჩახებინა. ქუჩები ხმაურობდა. ირგვლივ სიცოცხლის ჟრიალი იდგა.

დაბრუნდა თუ არა სასტუმროში, ვახტანგი მოთხრობის წერას შეუდგა. უნდოდა მკითხველს ყველაფერი მასთან ერთად განეცადა, მისი აზრებით გამსჭვალულიყო, მის ფიქრებს ჩასწვდომოდა.





### ღ ი ლ ა

ეს სიხარულის ცრემლი  
რას მოასწავებს ნეტავ?  
იქნებ მონეტა მელის  
გზად დაგდებული კენტად,  
იქნებ პირველად ფრთას შლის  
ჯერ უცოდველი ვაშლი,  
იქნებ ფოთოლი შეცბა —  
წვიმად ჩამოდგა ზეცა,  
იქნებ ვიპოვო სადმე  
ჯერ უპოვნელი რითმა,

იქნებ ღიმილად იქცა  
გაუცინარი ბაგე,  
იქნებ ამ წუთში სადღაც  
მტრობა გათავდა ძველი,  
ან გაბუტულმა ბაღღმა  
ნაწყენ ბავშვს მისცა ხელი,  
იქნებ ნაცარმა მწველი  
მზის სხივი გაიმეტა,  
ეს სიხარულის ცრემლი  
რას მოასწავებს ნეტავ!..

### თ ი ვ ა

ხელები ჩემი გაჟღენთილა  
თივის სურნელით,  
მთელი დღეობით  
თითქოს თივა  
მეფუტკნოს მინდვრად,  
ან სათივეში მძინებოდეს  
ალიონამდე!

დაედოთ ბინა,  
ანდა ნაწნავებს ებანათ  
გვიმრის ფოთლებში.

ჩემი ხელები გაჟღენთილა  
თივის სურნელით,  
თითქოს უკვდავა  
ყვავილები  
მჭეროდეს ხელში,  
ან გამეფიბოს  
ნორჩი სამყურა.

ხმელი თავთუხის სურნელება  
ასდით ნაწნავებს  
და გავრუკულვარ  
როგორც მზეში...  
მოგონებები გაჟღენთილა  
თივის სურნელით,  
ნედლი ბალახით  
და უსაზღვრო  
გულისტკივილით.

მინდვრის სურნელით  
გაჟღენთილა ნაწნავი ჩემი.  
თითქოს ყვავილებს  
დალალებში

მომავონდება  
თიბვის ალო,  
მწუხრის ფერები  
და მზით გამთბარი  
გაზაფხული  
მელღერება სულში!



# წარსულიდან

თინათინ ჯავახიშვილი ქართველი მეთხველისთვის კარგად აცნობილი, როგორც შესანიშნავი მთარგმნელი და ბავშვების საყვარელი მწერალი. ახლანდელ მწერალმა დაამთავრა სანტერესო ავტობიოგრაფიული წიგნი „წარსულიდან“. მეთხველს ვთავაზობთ ამ წიგნის რამდენიმე თავს.

● ჩემი ცხოვრება თავიდანვე უცნაურად წარიმართა. შესაძლოა, თვით მე მერყეუბობდეს ასე, რადგან ყოველ ადამიანს საკუთარი თავი რაღაც გამოჩაყლისი, სხვებისაგან თავით ფეხამდე განსხვავებული ჰგონია. ერთის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია: ცხოვრების განუწყვეტელ ქართველობებში ჩემი არსება გამაგრდა, ჩაიკირა და ყოველგვარ უბედურებას ბოლომდის შეუდრეკელად შეხვდა. დიდი პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვი: ვისაც ცხოვრებაში ტანჯვა არ განუცდია, ის უძლურია.

● ამ ცოტა ხნის წინათ სურვილა დამეხადა, მენახა ის ადგილები, სადაც ბავშვობა და ყრობა გაატატა — მენახა ჩემი განახლებული სოფელი.

● თბილისიდან ჩემს სოფელამდე მთავლა წინათ არც-თუ ისე ადვილი იყო. რკინიგზიდან კარგა მანძილი უნდა გავცვლო. თუ მდიდარი იყავი, ეტლს დაიქირავებდი, თუ არადა, ჭრიალა ურმით დაკმაყოფილებოდდი. თუმცა არც ურემი იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. მეტი წილი სახლისა ფეხით დააარებოდა.

● ჩემი სოფელი — ძველა ქართლის გულში მდებარეობს. ჩემი ბაღობის დროს სოფლის შუაგულში წმიდა გიორგის ეკლესია იდგა. ეკლესიის გალაგანს და თვით ეკლესიასაც თითქმის მთლიანად ფარავდა ასწლოვანი მუხის ტოტები. მუხს დღესაც ხელუხლებლად დგას. ამბობენ, თამარ მეფე რომ ნაჭარბაგეც ესტუმრებოდა და ლიახვის ნაპირებს ჩაუვლიდა, მის რაშს ამ მუხსზე გამოაბამდნენ ხოლმეო. რა ლამაზია ეს მუხს, ღონიერი, უდრეკი, რაც უნდა ცხელოდეს, მის ტრტებქვეშ მაინც გრილა.

● სოფელში ქვითირის, ალიხისა და მიწური სახლები იყო. სიღარიბე, სიღატაკე მეფობდა. დაჯლანილი ქალამნები და დაკონილი კაბები; ფეხშიშველი, ტანშიშველი, ცუბ-ცხელებით დაანულებული, მუცელგაბერილი ბავშვები.

● დღეს უკვე მოხუცებული ვზივარ მუხის ძირას და

● მისი ფოთლების შრიალში ვივინებ წარსულს. რა არ გაახსენდება კაცს?!

● ჩემი თავი სამი წლიდან მახსოვს. მზიან დღეს ბიბაჩემმა დედულეთიდან მამის სოფელში ცხენით წამიყვანა. ერთი სოფლის ბოლოს, უშველგებელი კაქლის ხის ძირას, ხელში ამიყვანა და მითხრა:

— აბა, თუ ყოჩალი ხარ, მოგლიჯე ფოთოლი! შემემინდა და ბიბას შევეხვეწე, ხელში აღარ მინდა, უნაგირზე დამსვი-მეთქი.

● დიდხანს მახსოვდა და დღესაც მახსოვს ეს პირველი შიში — იღუპალი და გაუზარებელი.

● პაპის ოჯახში ათ წლამდე ვიზრდებოდი. უფროსი შვილიშვილი ვაზლდით, ნებიერი, ნანატრი. პაპაჩემი შეძლებული კაცი იყო. სწორედ იმ დროს ახალ სახლს აუწუნებდა.

● პაპაჩემის და მისი ძმის დიდი ოჯახი ერთ სახლში ვცხოვრობდით. სახლის აივანი ხის ტიხარით იყო შუაზე გაყოფილი.

● პაპის ძმას შვილიშვილები ჰყავდა. ძალიან მიყვარდა მისი უფროსი შვილიშვილი, ჩემი ტოლი ბავრატი. ჩემს მიერ შესუსული ლექსებით ველაპარაკებოდი ხოლმე:

შენცა მოკვდი, ბავატო,  
შენცა მოკვდი, ბავატო,  
შენ ლობიო მაჭამე.  
შე შემწვარ ხორცს გაჭმეო.

● გავძახოდი ტიხარიდან. ბავრატი გამოიტანდა ჯამით ლობიოს და ისე, ბებიჩემს რომ არ დანახა, სახლის უკან გაგზობოდი. მე თუფშოთ მაშქონდა ხორცის ნაჭრები. მე და ბავრატი ერთ ჯამში ვჭამდით. ბებიას თუ შევეტყობდა ამ ამბავს, დამეშუქებოდა ხოლმე: დედასთან გაგაგზავნი, თუ კიდევ გაუბეუდება და ლობიო სხვის ჯამში ვიჭამოაო.

● პაპაჩემს მომიზნავედ ბიძაშვილი ჰყავდა. პაპა



სანდროს ვეძახდით. ქვითიკის დაბალი სახლი ედგა. იატაკი მიწური ჰქონდა. დიდიდან საღამომდე ღია დერეფანში მხარეთოსე იყო წამოწოლილი ჭიოფი ვეფრეფრებული ტახტზე. ხანდახან დამძინებდა:

— აბა, კუდრაჭა, წამო, მსახლი დავარხიო!

სახლის წინ ნახევრად მონგრეული ალიზის სათონე იდგა. სანატრელი მსხლის ხეც ამ სათონის გვერდით შრიალებდა. პაპა სანდრო ზღაზუნით წამოდგებოდა, ხელს ჩაიხივებდა და მსხლისკენ გაემართებოდა. მეც მივცუნკუდდებოდი და თან რაღაც ლექსებს ვტიკტიკებდი, რადგან ვიცოდი, რომ პაპა სანდროს ამ ლექსების გაგონება სიამოვნებდა. მოხუცი ყურს მივდებდა და იციონდა. ცისფერ თვალებს ფართოდ გაახეულად ხოლმე და დამაცქერდებოდა:

— ვინ გასწავლა, გოგო, ვეც ლექსი?

— არავინ. მე გამოვიგონე.

— შენ? ნუ სტყუი! ლექსებს მხოლოდ პოეტები იგონებენ.

ამის შემდეგ მსახლს დაარხედა და ისე შინ წამიყვანდა, გზაში კი შემითანხმდებოდა:

— ლობიო არა ვჭამოთ? შენ ხომ გიყვარს...

მივღვდი, თან უკან ვიხედებოდი, ბებიამ არ დამინახოს—შეთქი.

ჭამის დროს პაპა სანდრო მეტყოდა:

— აბა, თუ არა ტყუი, ლობიოზე გამოთქვი ლექსი.

მეც დაუზარებლად ვიგონებდი რაღაცას და ყოველი ახალი ლექსი პაპა სანდროს აღტაცებას იწვევდა.

● ოთხი წლისა თბილისში ჩამომიყვანეს. პაპაჩემს მთაწმინდაზე ექვსთახიანი სახლი ჰქონდა. გზოში უნაბის საში ხე იდგა. უნაბის ეკლიანი, წერილფოთლებს ხე დაღვარჩნილი იყო. მისი ნაყოფი მწვავედ შედებულ ლოტოს პატარა კოჭებს წააგავდა. არ ვიცოდი, როდის უნდა შეჭამა უნაბი.

ბებიამ მითხრა:

— რთვილს დაღებს და დაკვირვოთ. მაშინ ძალიან ტკბილია!

აბლა, ამდენი ხნის შემდეგ, როცა უნაბის მწიფე მარცვლებს დახედე, მაგრინდება მთაწმინდა და პაპაჩემის სახლი. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო რთვილი და, რასაკვირველია, არც ის, თუ შეიძლებოდა ყოფილიყო დართვილული ადამიანი!

როდესაც პირველად მივწვდი რაზას, კარი გაკაფე და მეორე ოთახში გავედი, მამიდებმა დაიკვირეს:

— რაზას მიწვდა, ნახეთ, კარი გააღო!

თავი უკვე დიდად წარმოვიდგინე, რადგან შემემლო თავისუფლად გამელო კარი, აქამდე სხვები რომ მიდებდნენ ხოლმე.

პაპა და ბებია კაკლის ხის ტახტზე იწვნენ. ტახტი გრძელი და განიერი იყო, გვერდებმორქუქურთმებული. ტახტზე, მათ ფერხითი, სივანეზე ვიწქი და თავს, ეტყობა, მშვენიერად ვერძნობდი.

სახაზინო პალატიდან მოსვლისთანავე პაპაჩემი

გაზეთების კითხვას იწყებდა. სულ სამ გაზეთს კითხულობდა. ისეთი კარგი მეზიურება ჰქონდა, ზეპირად ვიპასუვებდით, რომელი გაზეთის რომელ გვერდზე რას კითხულობდა პაპა. როცა კითხვას დაამთავრებდა, გაზეთს მომიტეხდა და მეტყოდა:

— აბა, ერთი წაიკითხე, რა წერია!

დავიწყებდი ზეპირად კითხვას. პაპა და ბებია განცვიფრებული შემომცქეროდნენ.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ოთხი წლისა ქართულად და რუსულადაც თავისუფლად ვკითხულობდი. რუსული წიგნები მოსკოვიდან მომდიოდა. იქ ცხოვრობდა ბიძაჩემი, რომელიც მუდამ მიგზავნიდა დასურათებულ საბავშვო წიგნებს. ეს წიგნები ყველა ზეპირად ვიცოდი.

● პაპაჩემი დიდი ჩინოვნიკი და, ამავ დროს, დიდი თავგამოდებული ლინგუალი იყო. მასსოვს, დიდის ამბით ისდიდა ხოლმე დღეობა „ნიკოლოზობასა“. ამ დღეს ჩვენს ოჯახში მაშინდელი მოწინავე ქართველი სასოვალეობა იკრიბებოდა. აქ ნახავდით კონსტანტინე მამაიაშვილს (ჩვენი ნათესავი იყო), ვაგაფშაველას, ნატო გაბუნიას, ბაბო კორინთელს, გრიგოლ ყიფშიას მგულღუს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ავქსენტრ ცაგარელს... მასსოვს მათი ხუმრობა და სიცილ-ხარხარი.

მეორე დღეს კმაყოფილი პაპა იტყოდა ხოლმე:

— დმერთო ჩემო, ნეტა ჩვენი შვილებიც ასეთი ღირსეული ქართველები გამოვიდნენ!

— არტახტები? — ეკითხებოდა გულმოსული ბებია.

პაპაჩემი თავს აარიდებდა ხოლმე ცოლთან უსაგნო გამოსა და უკმაყოფილოდ გაჩუმდებოდა.

● ხუთი წლის ვიყავი, როდესაც უფროსმა მამიდამ სასეირნოდ წამიყვანა. მასსოვს ბაღი, ვიდაც ახალგაზრდა, იმ ბაღში რომ შემოგვხვდა, მამიდაჩემისა და იმ შენობის ჩხუბი. შინ რომ ვბრუნდებოდით, მამიდამ პირობა დამადებინა:

— თუ ბებიას უთხარი, რომ უცხო კაცი მელაპარაკა, იცოდე, აღარსად წაიყვან.

თითქოს ბულმა რაღაც უგრძნო, ბებია ძალიან უკმაყოფილო დავტყვად:

— სად იყავით ამდენ ხანს?

— ბაღში ვსეირნობდით.

— ამდენი ხანი? ვინ შეგვხვდათ?

— არავინ! — გულგრილად უპასუხა მამიდამ.

— უცხო ნახეთ ვინმე? — ბებია მას არ ენდოდა ახლა მე შემეგვითხა.

მამიდას შეგხედე. იდგა, ეუდს ხელში ატრილაუ და და მე მიყურებდა. მისი მუქარა მომავიწინდა.

წარმუხუხრულად და მამიდას გულის გასაპარად ვიჭრე. ახლად წიგნი ყოველდღიური სეირნობა. ბაღში მე დამ ის კაცი გვხვდებოდა. ბებიას ეჭვი

**თინათინ ჯავახიშვილი**  
წარსულიდან



ქონდა, მაგრამ ჩემი სჯეროდა, ვერ წარმოედგინა თუ თითისტოლა გოგო ტყუილის თქმას მოვახერხებდი.

პატარაობიდანვე ადამიანებს ფერებად ვახარისხებ. უცნაურია, არა? პაპარემი ცოტა ხელმოჭერილი და მძიმე სასაითის კაცი იყო, ამიტომ შავ ფერად წარმოედგინა. მამის დედა — ნაცრისფერად, დედის დედა — თეთრად, მამა — წითლად, დედა — ვარდისფერად, უმცროსი მამიდა — მწვანედ.

- გოგო, აბა, თქვი რა ფერისაა დედაშენი?
- ვარდისფერი.
- საიდან არის ვარდისფერი? ნაცრისფერია, — ხარხარებად ბებია, მამის დედა.
- მე გაბრაზებული ვიმორებდი:
- ვარდისფერია, ვარდისფერი!
- პაპა?
- პაპა შავია!
- რად არის, გოგო, შავი?
- იმიტომ, რომ...

ბებიამ იცოდა, ამის მეტს აღარას ვიტყვოდი. სკოლის ასაკამდე ყოველ წაფულს პაპარემის სოფელში ვატარებდი. დედას თითქმის ვერ ვხედავდი. ჩემს ირველივ ტრიალებდნენ პაპა, ბებია, ძიძა და სამი მამიდა.

პაპა მუდამ რადიციტ უკმაყოფილო იყო. ბებია თავმომწონებდა. ისე ამაკი იყო, არავინ, გარდა თავის შვილებისა, ადამიანად არ მიჩნდა. სამაკიეროდ, უფროსი მამიდა მყავდა სადა ხასიათისა, მზარელი, ვატაცებული, ვიტარაზე დამკერელი და მომღერალი. გულით უნდოდა გათხოვება.

ერთ წაფულს დედასთან გამგზავნეს. იქვე მყავდა ჩემი ტოლი მეგობრები, ნათესავები. ჩენი პაპა სანდროს მსგავსი აზნაური ძია მინა, მთელ დღეს თავბარდული რომ იჯდა აივანზე და წვიკისავან გამწარებული იპურტყებოდა, სულ მუდამ ცნობრების უკმაყოფილო იყო, სულ მუდამ ვიღაცას ავიწყებდა. შვილები არ ჰყავდა. ცოლად ესვა აზნაურის უქნარა პერი, რომელიც ოჯახურ საქმეს ბუსუნით აკეთებდა და ილანძლებოდა.

ძია მინას ძმა მოუტლეს. ამ ს ოთხი ობოლი დარჩა. უფროსი ჩემი ტოლი იყო, ძალიან ტყვიანი და სათნო ბავშვი. ახლა ის გამორჩენილი პედაგოგია.

დავბროდი ბავშვებთან. ვიგონებდი ათასნაირ თამაშს. ძალიან მიყვარდა ყაყაჩოს გაუმლედი ყვავილიდან დელოფალას გაკეთება. დაჯერებული კოკრესი, ორ მწვანე ფოთოლს გაეხსნიდი, გამოჩნდებოდა წითელი, ვარდისფერი, თეთრი კაბა, თავდაბურულ ქალებს რომ აცვიათ ხოლმე. შემდეგ მეორე ყაყაჩოს მოვაცილდი ფერცლებს და თავზე აბურტენილ თმას დავუტოვებდი. ამ თმას კაბიანი ყაყაჩოს ჩამოვაცმევდი და ყაყაჩო თავდაბურულ ქალს დავმსგავსებოდა. ასეთ ქალებს ოცს, ოცდაათს ჩავსკუებოდი და ათასნაირ სახელებს დავარქმევდი. ამას „სტუმრობანას“

ვუძახდი. ეს იყო ჩემი ყველაზე საყვარელი გემართობი. სიბერემდე შემომრჩა სიძულვილი ქანჩნებში დამწადებული დედოფლებისა, რომლებიც ძალიან წაგავან ადამიანს...

ბავშვები მასობელ სოფლებიდან მოდიოდნენ სათამაშოდ. სოფლის ბაღებსა და ვენახებში ვსირობდით, მინდროს გარს ვუვლიდით, ყვავილებს ვკრფედით, მზირად საათობით ვუყურებდით მკას.

სოფელში ახლაც შემორჩენილია ძველთაძველი ჩვეულება: თუ მკას შეესწარი, მომკლებმა თავთაგებისაგან შეკრული ჯვარი უნდა მოვართვან. ჯვარი დოვლათის ემბლემა გახლავთ. შენ, მიმსვლელმა, სამაკიეროდ, მომკლს ფული უნდა აჩუქო.

ქალიშვილური თავმომწონება თორმეტი წლიდან დამეტყო; დედას ვთხოვე და მან ოქროს ძეწვიანი საათის მკერდზე გაკეთების ნება დამართო. მკას დროს თავთაგების ჯვარი მომართვა ერთმა გლეხმა. საათი მკერდიდან ავიცილე და გლეხს ფულის მაგიერ მივეცი.

გლეხს ერთ ხანს ხელში გვავა საჩუქარი, ზედ დაცურებდა, მერე ღიმილით თავი გადააქნია, შემომხედა და საათი ჯიბეში ჩაიღო.

— გოგო, ეს რა პქენი, საათი რად მივეცი? — მითხრა ჩემმა ნათესავმა. აბა, ამაზე რა უნდა მუბახუხა? შინ შეფეთიანებული მივედი. მივეჭია, ხეირს არ დამაყრინდნენ. საბედნიეროდ, უსათობა არავის შეუმჩნევა.

უცბე დედაჩემი სიცილით შემოვიდა ოთახში, ხელში ჩემი საათი ეჭირა.

— გადარეული არ არის ჩემი გოგო? ეს საათი ვის მივეცი?

მე ტირილი მოვრთე. სხვა, აბა, რა მექნა. გლეხს საათი მოგებნა და დედაჩემისათვის გადაეცა. ძვირფასი ნივთია, ბავშვს ყანაში ნუდარ გამოატანო, არისად დაკარგოს, თავთავის ჯურის სანაცვლოდ მომიცაო.

ჩენი სახლის მანდალიონების ქვეშ მერცხლების აუარებელ ბუდეს ნახავდი. ოღნავ ორიერაყებდა თუ არა, ატყდებოდა შეფერხმატკბილეული წრიანი! ჩიტუნები შრომობდნენ, ბარტყებს ჭიალუას უწინდავდნენ, ფრენას ასწავლიდნენ. განწირულად და თავდადებულად დაფრინავდა დედა ერთი თავიდან მეორეზე. ეტყობა, ბარტყები სხვადასხვა ხასიათისა ჰყავდა და მათი აღზრდა უჭირდა.

ბებიას ეუამბობდი, რამდენმა ბარტყმა ისწავლა ფრენა. ბებიარემი უკმაყოფილოდ მეკამათებოდა:

— გოგო, რამ გადავარია?! როგორ შეიძლება ადამიანმა ღაითვალის, რამდენმა ჩიტმა ისწავლა ფრენა? ჩიტები ხომ ერთნაირები არიან?

— არა, ყველა სხვადასხვანაირია, ბებია! ერთი მეორეს სულ არ წაყავს, — ჩემსაზე ვიდექი.

ერთხელ ჯობი ავიდე და ერთ-ერთ ბუდეს მიყავდე. მინდობდა შემეტყო, მავარი იყო თუ არა.

ბუდე ბარტყებთან ერთად ჩამოვარდა. ამ დროს საიდანაც გაჩნდა კატა, დასტაცა ორივე ბარტყს პირი და მოიტაცა. ღრილით გამოფუდექი, მაგრამ იმ წყევალს, აბა, ვინ დავწოდა!

უცებ ორი მერცხალი მოფრინდა. ეტყობა, დედალ-  
მამალი იყო. დაიწყეს ჭერში ტრიალი და საშინე-  
ლი ჭყიანი. მათ სხვა მერცხლებიც მოჰყვნენ. მთე-  
ლი აივანი ჭირისუფალი მერცხლებით აივსო.

იმ დამეს დიდხანს არ დამძინებია. უკრებში სა-  
ცოდავი მერცხლების ჭყიანი მღვდა და ბოროტი კა-  
ტის მოტაცებული ბარტყები მელანდებოდა.

● დადავ საკოლაში წასვლის დროც, მაგრამ რომელ  
საკოლაში მივებარებინე? ბევრი რჩევა არც დასჭირ-  
ვებიათ: ამ დროს თბილისში გახსნილი იყო სათა-  
ვადანაწარმო გიმნაზია. მოსკოვში მცხოვრები ბიძა-  
ჩემის გავლენა გამოიყენეს და გიმნაზიაში მიმაპა-  
რეს. იქ ვაგატარე ერთი წელი.

მთაწმინდიდან კონკრეტული დავდიოდი ვაკეში. გავი-  
ჩინე მასლობელი ამხანაგი — ნინო. ისიც ჩემსაკვიო  
მთაწმინდაზე ცხოვრობდა. სიციქვეში ტოლი არა  
ჰყავდა. გიმნაზიაში მასთან ერთად დავდიოდი.

მამინდელი დავდიოვის ქუჩის კუთხეში, სადაც  
ახლა აფთიაქია, მიხელო მამულაშვილის ყვავილებს  
მალაზია ჰქონდა. მე და ნინოს ძალიან გვიყვარდა  
ვიტრინაში ჭოთნებით გამოფენილი სხვადასხვა ფე-  
რის დიდი ციკლომენების ცქერა. ერთხელ, ჩვეულებ-  
რავ დიდქოთ ვიტრინაში. ამ დროს რაღაცა მან-  
ქანებით მინა კუთხიდან კუთხემდე გაიბზარა. გული  
გავვიცდა. გავიქეცი. კარვა ხანს უკანმოუხედავად  
ვირბინეთ. გვეგონა, გოროდოთი დაგვიჭერდა. აღ-  
მართო კურდღლებით მივბრუნდი, მაგრამ არა-  
ვინ დაგვწყვიტა! ამის შემდეგ ვრბობდით ქუჩით  
უზუკვდით ხლომე. რამდენიმე თვის შემდეგ ნინომ  
მითხრა:

— ნუ გეშინია, ვერ ვიცნობენ, წამო, ვნახოთ,  
გამოცვალოს თუ არა მინა?

ქუჩა ჩავიარეთ და დავინახეთ: მინა არ იყო გა-  
მოცვლილი. კუთხე დიდი—თითონ რგოლით დაეწებე-  
ბინათ. ამ რგოლს ავერ, 1930 წლამდე ეკავა ის მინა.

გიმნაზია შორს იყო. ამიტომ ბებიამ გადაწყვიტა,  
სვიატოპოლსკი-მირსკის ქუჩაზე მდებარე ქართველ  
ქალთა სასოფადოების საკოლა „განათლებლამი“ გა-  
დავეყვანე. საკოლის დირექტორი ანასტასია ერისთა-  
ვი—ზომტარია იყო. ნინო და ილიტი ნაკაშიძეები,  
მარიამ დემურია, ანასტასია ზომტარია ჩვენი საკო-  
ლის გამგებობას შეადგენდნენ. ამ საკოლაშიც ერთი  
წელი ვისწავლე და აქვე ვიგრძენი პირველი ყმაწ-  
ვილური გატაცება. ბიჭი საკოლის ეზოში ცხოვრობდა.  
მეზულაურის ლენტეხიანი ქუდი ეხურა. ამ ლენტე-  
ხიანი ქულის დანახვა წონასწორობას მაკარგვინებდა.  
სწავლა? გაკვეთილები?

იდაყვებზე დაყრდნობით დავკეტიდი „ემშაკის  
მათარხის“ ნომერს, რომელიც მაქსიმ გორკვი იყო  
დახატული. გორკვის ჩემებიც ეცვა, თავზე ფართო-  
ფარფლიანი ქუდი ეხურა, ქამარზე კი აკინძული  
ჩანდა მისი პიესების პერსონაჟები.

— შენ ისევე მავ სურათს ჩააკირკიტებ? — მეა-  
თელ მეკითხებოდა ბებია.

„განათლებლამი“ სწავლის დროს გატაცებით დავე-

წაფე ქართულ ლიტერატურას. ზეპირად ვიცოდი  
ილია, აკაკი, ხაწორიორი „ვეფხისტყაოსანი“. წაკი-  
თხული მქონდა ეკატერინე გაბაშვილი, გიორგი შე-  
რეთელი და, რაც მთავარია, ვეყას მთელი პოეტური  
მემკვიდრეობა. მიყვარდა აგრეთვე კოტე მაყაშვილი.  
ორი სტრიქონი მისი ერთი ლექსისა დღესაც მას-  
სოვს:

„გვი, იმას, ვინც კი შევსა ამ ნექტართან  
ერთად წამი,  
მან დასწყველოს სიყვარული, თუთი უტტებსი  
მისი წამი“.

ხარბად ვკითხულობდი რუსულ ლიტერატურას.  
ლევ ტოლსტოის „ადგომისა“ და „ჩაკვი მურატის“  
გადაკითხვას მრავალი დღე და უძილო დამე მოვან-  
დომე.

● ჩემი მშობლები 1912 წელს ია ეკალაქის ოჯახთან  
ერთად გორში გადასახლდნენ.

ია ეკალაქემ და მამაჩემმა გორში გაზეთი „ქარ-  
თლი“ დაარსეს. გაზეთმა ორად ორი წელი იარსე-  
ბა — 1913 წლის ბოლოს ცენზურამ აკო ალა, ვი-  
ნაიდან, რომანოვების მეფობის სამახი წესის შეს-  
რულებასთან დაკავშირებით, რაღაც მიუღებელი ამ-  
ბავი იყო დაბეჭდილი.

ია ეკალაქე ქუთაისში გადასახლდა, ჩვენი ოჯახი  
კი გორში დარჩა. მამა იქ მეშუათა ბანკის თავმჯდო-  
მარედ მუშაობდა.

1912 წლის სექტემბერში მშობლებმა გორის ქალ-  
თა გიმნაზიაში გადამიყვანეს. გიმნაზიის დირექტო-  
რი ვინმე სმირონოვი იყო. სმირონოვს ჭირვით ეჯარე-  
ბოდა ქართულები. შავგერემანი, ჩასუქებული კაცი  
იყო. დირექტორის ფორმა ეცვა, შეუღვასწილა ვერ-  
ნახავდით. როგორ მაშინებდნენ მისი ბრჭყვიანობა დი-  
რექტი და მხრებზე დაკერებული მოვერცხლილი,  
მრგვალი საბეჭურები!

1914 წელს სმირონოვმა რუსეთის ისტორიის სა-  
ხელმძღვანელო დაწერა. წიგნი დიდი სიყვარულით  
იყო გაქვდითილი რომანოვების სამეფო სახლის მი-  
მართ. ბოლო გვერდზე დაბეჭდილი იყო სურათი: აკ-  
ვანში მემკვიდრე უფლისწული ალექსი იწვა. აკვანის  
ზედ ანგელოზები დასტრიალებდნენ.

● გიმნაზიაში გორის მასწავლის თავადებისა და აზნაუ-  
რების, ჩინოვნიკების, ვაჭრებისა და შვედლებული  
გლეხების შვილები სწავლობდნენ. სწავლობდნენ სხვა  
ეროვნების წარმომადგენლებიც. არასდროს არ მას-  
სოვს, რომ მხოლოდ ქართველ გოგონებთან მეამხანაგა.

სწორედ გიმნაზიაში მიხვდი, რომ არ იყო ბები-  
აჩემი მართალი, როდესაც მარწმუნებდა, ყველაზე  
ლამაზი და ჭკვიანი შენა ხარო. ერთი ჩემი ამხანაგი  
ებრაელი იყო, მესხათის შვილი. ეს გოგონა ყველა-

**თინათინ ჯაბახიშვილი**  
წარსულიდან



საგან გამორჩეოდა ჭკუითა და გონიერებით. ბებიაჩემს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

— რას მივდ-მოვლები? — მიწყვებოდა სულით ხორცამდე აღმფთვებული, — როგორ შეიძლება, სხვა გოგო შენზე ჭკვიანი იყოსო? აბა, ერთი მიზასუხე?

ბავშვობიდანვე მიყვარდა ბუნება. ჩემი მთავარსე უთაფრესი გატაცება ბუნება, მისი სილამაზე და საიდუმლოებანი იყო. დედაჩემს სოფელში ერთი ბიძამ-გილი ჰყავდა, გაუთხოვარი ქალი, კეკე, ჩვენთან ხშირად ჩამოდოდა ურბინი. უცნაური ქალი იყო, თავისეფური ხასიათის მქონე.

ერთსელ მარტის თოვლ-ჭყაპში გვეწვია. შემოვიდა თუ არა, გაცვიებული და აჯანკალებული, ვკითხუხ: — დეიდა კეკე, ყოჩივარდა გაიშალა?

სტუმარმა შემომხედა. გაბრაზებულმა შალი გადაიკოღ და მითხრა:

— გოგო, შენ ხომ არ გადარეულხარ, აბა, რადლოს ყოჩივარდაა? თუ ძალიან მოგნატრები, წამოეთერი სოფელში და იქ აღვეწე თვალყური ყვავილების ამოსვლასა და გაშლას. კიდევ კარგი, ის არა მკითხვ, ვამღებმა დაიკვავილეს თუ არაო!

გავიტრუნე. თვალწინ ბურქის ძირას ამოსული ყოჩივარდა და თვალუქუნა ია წარმომიდგა. ამ ყვავილებისადმი ნაზი სიყვარული დღემდე არ გამწვავებია. ამბობენ, ფრანგებს იმიტომ უყვართ ია, რომ იგი ნაპოლეონის საყვარელი ყვავილი იყოთ. ნუთუ იის სიყვარულს ახსნა და განმარტება უნდა: საკვირველია, სიბერემდის შემომჩრა სიყვარული ნაზი საჩენების მიმართ. ასლაც მიყვარს ტრელი ლენტი, პატარა ქილა, ყუთი და ბეჭირი სათამაშოც.

უცნაურად მიტაცებდა სასაფლაოზე სიარული და ეპიტაფიების კითხვა. ერთი ეპიტაფია სამუდამოდ ჩამჩრა მესხიერებაში: „ჩემ ქვირფას მეუღლეს, სამუდამოდ დანაგრული მეუღლე“. როდესაც ბებიას მოვუყვები ამ წარწერის ამბავი, გაიქინა და მითხრა, მე ვიცი, ამ „დანიერულ მეუღლეს“ საყვარელი ჰყავდაო!

ეს სიტყვები სილასავით მომხვდა. მივხვდი, რასაც უფლისშობდა თავის სიტყვებში ბებია და მისი ნათქვამი ნამდვილ მერყელობად მივიჩინე.

ჩემი სოფელი ძველ დროშიაც მომხიბლავი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სიღატაკე ყველას მიმიეტივითად აწვა, იქ წერა-კითხვის უცოდინარ კაცს სანლითაც ვერ იპოვიდი.

ზაფხულობით ახალგაზრდობა დიდებულად ატარებდა დროს. ხან წარმოდგენებს ვგდამდით, ხან ლექსებს ვკითხულობდით, ხან სხვა რამეს წამოვიწყებდით ხოლმე. ყველა გართობის ავანაჟანი მე ვიყავი. ნათესაეებსა და მეგობრებს სცენაზე ვათამაშებდი, თავად ვრეჟისორობდი. სცენაზე რომელიმე როლის განასხიერება არ მიყვარდა, სამაგიეროდ,

ლექსებს დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი. მიუხედავად, გიმნაზიაში მაინც მთავარ რაოდენობაში ლექსდენ და მათალებდენ, ითამაშეთ.

ასე მზიარულად მივიღებოდა ზაფხული სოფელში. ლხინი ლხინს წაებებოდა ხოლმე. კანადლებოდა ცეკვა. ვიყვარდეს, თუ ვინმე გამეთამაშებოდა, ტრიალს აღარ გავთავებდი! ამხანავეები ვაფრთხილებითი მყავდა, თუ ნამეტანი ვქნა, კაბის კალთა მომიტარეთ—მოტო.

— კაბა მოვწიე, რალა! — სანამ არ დამივიკრებდენ, არ ვაგერდებოდი. დამამასსოვრდა ერთი ეპიზოდი: გოგო-ბიჭები სასეინროდ წავედიო მინდორში. დიდაც წვიმამ მოვეცნსრო. სამების ველისის ნანგრევში შევაფარეთ თავი. წვიმამ უფრო უმატა. გოგო-ბიჭები გაიფანტენ. მარტო რომ დავრჩი, ტირილის გუნებაზე დავდიქი.

— ილიო, — ვუთხარი ბიძაშვილს, — წვიმის წვეთები ცრემლებს წაგვანან, არა?

— რაო? — გაიკვირა ბიჭმა, — ასე გრძელი ცრემლები ვის გაუფანთა?

— ვანა წვეთი გრძელია?

— მე წვიმაზე გუნებაში.

— მე კიდევ წვიმის წვეთზე მოგახსენებ. აი, შეხედე, მართლა ცრემლს არა გავს?

— შენ როგორც ვატყობ, კაუტობა დავუწყა, სხვანაირად ტიკტიკენ?

— მერე ცუდა პოეტობა? — შევინწინე მე და ისე ნალვლიანად ვაგერდი, კაცი ვერ მიხვდებოდა, მართლა პოეტობა დავიწყე თუ არა.

— მაშ, იცი რას გეტყვი? — მოხრა კიდევ ბიჭმა, — ხედავ, ან იესოს ხატს? მოლუნე და თავზე ქოლგასავით დაიფარე, წვიმა ისე ძალიან აღარ დაგსველებს.

— როგორ შეიძლება ხატის დაფარება? — გავკვირდი მე.

— რატომ? შენ გჯონია, ღმერთი მართლა არის ცაში? ვინახავს?

— სულელი, აბა ვის უნახავს, მე რომ მენახა? მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი და ღმერთის არსებობაში ეჭვი პირველად შემეპარა.

ხატი მოვლუნე, იესოს სახე ქვეყიდან მოვატკე, წამოვიფარე და შინისაკენ მოვეურცხლე. ხატმა მაინც ვერაფერი მიშველა. შინ თავით ფეხებამდე სველი მივედი. კიბე ავირბინე და ხატი ბებიას წინ, აივანზე დავაგდე. ბებიამ უკან დაიხია, შემინებულმა პირჯვარი გადაისახა:

— ეს რა ამბავია, გოგო? ხატი? საიდან მოიტანე? დიდი ჩოქოლი შევიქნა. აივანზე მთელი ოჯახი შეიყარა. ყველა თავზარდაცემული იყო. პირჯვარს იწერდნენ. ბოლოს ისევ ბებიამ მოისახრა: ხატი შინამოსამსახურეს ღვთისშობლის სამლოცველოში წააღებინა.

ოჰ, რა დღე გადამხდა! ბებიამ დაწერილობით გამომკითხა ყველაფერი. ძოღაზე უფრო ვაგვდი, სიმართლე მეთქვა. ის ხატი შედეგ თავის ადგილზე აღარ მიუტანიათ—ღვთისშობლის სამლოცველოში დარჩა.



რეკოლუციის შემდეგ ხატი ერთხელ კიდევ ვნახე. მინის მაგივრად იყო ჩასმული ერთი ღარიბი გლეხის ქიხის ფანჯარაში.

გორის გიმნაზიის მასწავლებელთა მეტი წილი უფერული ადამიანი იყო. ჭარბეული მასწავლებელი მხოლოდ სამი გვყავდა: ნიკო ლომოური, ანა ხახუტაშვილი (ცეკვიტი) და მღვდელი ივანე კაპანაძე.

ნიკო ლომოური! მისი ჭაღარა თმა, წერილი ტუჩები და დინჯი, ტბილი ლაპარაკი დღესაც თვალნათლივ მახსოვს. როგორი სიყვარული ჩაგვინერგა მოშობილი ერისა და მოშობილი ლიტერატურის მიმართ! ნიკო ლომოური აპრილი, თოვლჭყაპიან, უსიამოვნო ცივ დღეს დაგვასაფლავებო. ბუნება ხშირად ცდებდა! ადამიანი ხომ ყველაზე ძვირფასი შენაძნება ბუნებისა და ასეთ ვარდისფერ ადამიანს უკანასკნელი დღეც ვარდისფერი უნდა ჰქონიდა.

ნიკო ლომოური ანა ხახუტაშვილმა შესცვალა. კარვად მახსოვს მისი ნახეთი გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება. ანა არაჩვეულებრივად სათნო თვალის პატრონი იყო. გადმოგვხედავდა და თითქოს გულის ხილრმეში ჩავსწვდებოდა. ერთი ნაკლი ჰქონდა: კოჭლი იყო. ამას თუმცა არ იმჩნევდა, მაგრამ თუ ყურადღებას მიაქცევდი, ეს ნაკლი მხედველობიდან არ გამოგჩნებოდა. როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ მასწავლებლის სიკოჭლე მოსწავლეებმა მაინც ვერ შეინიშნეს, მე კი შინ მივიდი თუ არა, დედას ვკითხვებ:

— ჩენი ახალი მასწავლებელი, ანა ხახუტაშვილი კოჭლია ხომ, დედა?

— ვე რა შენი საქმეა! — შემომიბოცა დედა.

— მაგრამ თურმე მწერალია, — გამომაწაწორე ვითომ ნათქვამი.

— სიკოჭლე არ უშლის ხელს ნიჭიერ ადამიანს. აი, წამოირღებო და წაიკითხვ: კოჭლი იყო დიდი ინგლისელი პოეტი ბაირონი. შესანიშნავი ფრანგი მსახიობი ჭალი ხარა ბერნარდი კოჭლი იყო. — მერე გაიღიმა და დაუმატა, — ეგებ ანა ხახუტაშვილიც დიდი მწერალი გახდეს, რა იცი?!

ანამ საიდანღაც შეიტყო დედაჩემის ნათქვამი გულში მაღლიერი იყო. გავიდა წლები. ანამ ეს ამბავი ორმოცი წლის შემდეგ მოიგონა.

— დედაშენმა რაც ჩემზე თქვა, არ ასრულდა. აბა, ვის ვუნდოვარ, იუბილევ ვერ გადამიხადეს! ალბათ ღირსი არ ვყოფილვარ! — მითხრა ნაღვლიანად.

მე კი არა მგონია, მილაღ ასე იყოს საქმე. ანა ხახუტაშვილი რამდენიმე საინტერესო მოთხრობის ავტორია, ხოლო მისი რომანი „ისებ ლაღიაშვილი“ სწორედ უმართებულად გვაქვს მივიწყებული.

ყოველივე ზემოთ ნათქვამს ახლა მცირედენი წუწუნით უნდა შემოვაპარო. უსახლვრო გულკეთილობას ყველას მიმართ ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ჩავყუწებოვარ. ჩემი აზრით, უსახლვრო არაფერი ვარგა: არც სიკეთე, არც სიყვარული და, რასაკვირ-

ველია, არც სიძულელი. ყოველგვარ ზედმეტობას ადამიანი წონასწორობიდან გამოჰყავს.

მახსოვს, ვერ კალდე ცამეტა წლისა ვიყავი — გიმნაზიიდან შინ ვბრუნდებოდი. თებერვალი იდგა. ციოდა, გზებია და ველ-მინდვრებში თოვლჭყაპას გაედგა ფეხი.

გზაში შემოთ დატვირთული ურემი შემომხედა. შვშა გასაყიდად მიჭქონდა გლეხს. ურემს პატარა, ასე ათითვე წლის ბიჭი მოხდევდა სახრით ხელში. ბუნებამ და წელზე შალის ნაჭერი შემოხვია. ვახსევლა შარლის ტოტებში ლურჯად მოუჩანდა შიშველი მუხლისთაგები. ფეხზე რაღაც წინდის მსგავსი და მოვლანული ჭალანები ეცვა.

როგორც კი ეს სიცივისაგან აბაჯაგებული ბიჭუნა, მისი უმწყო, გასტყეული სახე დავინახე, დიდანს არ მიფიქრა, მივბრუნე თავიდან თიფთის თბილი შალი, საჩქაროდ გავიხადე კალშემიცი და ბიჭს გავეწოდე. ბიჭი დაიბნა, ვერ გამორკვეულიყო, რა მოხდა, რა მინდოდა.

— გამომართვი, მიჩუქებია. ჩაიცივი კალთოი და შალი მოხვიე, — ვუთხარი და გავიქეცი.

იქნებ ცოცხალი ხარ, პატარა ბიჭო? ახლა შენც ჩემსაგვით დაბებრებული იქნები. ალბათ თავს შეილი-შვილები ვახვევია. გაჯონდება თუ არა ოდესღაც მომხლადი ეს ამბავი? მე კი იმ ღამეს სიცივ მომეცა...

ამის მსგავსი ბევრი რამ მიმხდარა ჩემს ცხოვრებაში. ეს ჩვეულება სიბერემდე გამომეცა. უკანასკნელ ლუკმის გავუყოფ ადამიანს, მტერსაც კი. არა, მართლა კი არ უწუწუნებ? სხვებისათვის სიკეთის გაკეთება უდიდესი სიამოვნებაა. სხვა სასლავრი საჭიროც არ არის...

ზემოთ მგონი უკვე ვთქვი, რომ ლიტერატურამ ვერ კიდევ გიმნაზიაში გამიტაკა-მეთქი. დღეობებს მწერდი და ყველა ჩემი ნაფიქრ-ნაგერნობი თუ წაკითხული მიღებული შთაბეჭდილება შიგ შეჭმონდა. ახლო მეგობრები ამგვარ ჩანაწერებს ერთმანეთს ვუკითხავდით. მეგობრების წრე ღიდი იყო.

ბევრი მეგობარი სიბერემდე შემომჩნა, ზოგმა კი, სამწუხაროდ, ჩემს გულში კვალაც ვერ დატოვა.

მესუთუ კლასში მყავდა ერთი მეგობარი, სოფლის მღვდლის ქალიშვილი. იმ სახლის პირდაპირ, სადაც ჩემი მეგობარი ბინად იდგა, მასრის სამხედრო უფროსის კანცელარია იყო. ჯარში გაწვეული ახალგაზრდა რუსი ბიჭები კანცელარიაში გადამწერლებად მუშაობდნენ. ჩემმა მეგობარმა სიყვარულის ქსელი გააბა ერთ ჯარისკაც გადამწერთან. ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. გოგო რას წერდა, არ ვიცი, მაგრამ ჯარისკაცის წერილებს კი ვკითხულობდი. ეს კამიგრაფიული ასოებით ჩატიკტიკებული სატყფიალო ბარათები შესანიშნავი მწერლების რომანების ამონაწერებიდან იყო მილიანად შედგენილი.

გამოცდების დამთავრებისას, სოფელში წასვლის

თინათინ ჯავახიშვილი  
წარსულიდან



წინ, ჩემმა მეგობარმა საიდუმლოდ გადმოხმცა ცისფერი ლენტით შეკრული წერილები, თან დაუმატა: — შევიძლია გადავიკითხო და ისიამოვო. იცი, რა კარგი წერილებია? ვერც ერთ რომანში ვერ წაიკითხავ უკეთესს.

წერილები, რასაკვირველია, იმდღესვე გადავიკითხე და შეყვარებულ მეგობარს ვუთხარი:

— ეს ხომ მხოლოდ ამონაწერებია რომანებიდან და ლექსებიდან!

— როგორ? შენ საიდან იცი? გმურს, არა?

წერილები მაინც არ წაიღო, ჩემთან დატოვა. ავიღე და მეც ყველა ერთი, დიდი დაწვნილი კალათის ძირში ჩავალაგე. ჩავალაგე და კიდევ მიმავიწყდა, რომ ეს წერილები მქონდა. ერთ დღეს დედაჩემს გადმოვუთხარე კალათი სახამთრო, თბილი ტანსაცმლის ჩასაღებებლად და არკი ენასა წერილები? გაეცინჯა, ყველა თავიდან ბოლომდე გადავიკითხა. ჩემდა საუბედუროდ, ყველა წერილი ასე ბუნდოდნად იწყებოდა: „ჩემო ყველა“, „ლამაზო“, „ტურფა“. თითქოს ეს არ იყო საკმარისი, წერილებში დედაჩემს მათი ამწერის სურათიც ეპოვნა.

დამიძახა. ტანში გამცრა. მივხვდი, რისთვისაც მეძახდა. დედაჩემი კარადასთან იდგა, კარი გამოუღო.

— ვისია ეს წერილები? — მომხალა, — ვინ არის ეს სამხედრო ახალგაზრდა?

— დედა, ეგ წერილები ჩემი არ არის! — როგორღაც მოვახერხე და მტკიცედ ვუპასუხე:

— მაშ ვისია?

— ვერ გეტყვი, ვისიც არის. შენ რომ გაიგო, დედამის მისწერ და მოკლავენ.

— არ მივწერ, მხოლოდ თქვი, ვისია წერილები?

— მომაბარა. მეც დაბირდი, შევინახავ-შემეტი. ეს ამბავი რომ გაიგოს, ვერნება, მე წავაკითხე!

— კარგი. ახლა მჯერა, ეგ წერილები შენი არ არის. მაინც მინდა ვიცოდე, ვისია. თქვენ ჯერ პატარები ხართ, შეილო, შენც და შენი ამხანაგებიც. ამის დროც მოვა. მაშამ რომ შეიტყოს, დიდი უსიამოვნება მოგვლის შენც და ამ წერილების პატრონსაც. დაუბრუნე და იცოდე: ამნაირი შუამავლობა ყოველთვის ცუდად მთავრდება ცხოვრებაში. შენი გულკეთილობის გამო ადვილად გამოვიყენებენ ადამიანები... მივხვდი, ვისიც არის ეს წერილები, — მითხრა ბოლოს დედამ.

მეღელის ქალშვილი სოფლიდან ჩამოვიდა. წერილები გადავეცი და მეგობრობაც შეწყდა. მას არ გაუგია, რა დღე გადამხდა მისი წერილების გადაქედებს.

ჩვენში გაზაფხული ნაადრევად იცის. მოულოდნელად ამოვა ზალახი, გაიშლება ყვითლად შინდის ხე, ძებვითა და წალბით შემოვლებული ღობის ძირას ტინჭარი ამოიწვირება. ნორჩი ტინჭრის მოკრეფა ძნელი არ არის—ხელებს არ სუსხავს, რადგან ჯერ არ ვამწარებულა, ტკბოლია. არც ჯონჯოლი ჩამორჩება შინდის ხეს. შემდეგ ამოვა ყორივარდა. მუხის ძირას

აი გაახვლს თვალს. აქა-იქ საიდანღაც ვერხვანა ფუტკარი და ჯონჯოლის ყვავილზე მოიკალათება. აყვავდება ტყემლის, ატმის, ჭერმისა და გარჯარის რტობი. მალე მსხლისა და ვაშლის ხეზეც გაიშლება თეთრი და ღია ვარდისფერი ყვავილი. აყვავებული ზალი ზღაპრული სანახაობა. ზაღში ფუტკარი ნახად ზუზუნებს და ამ სილამაზით გაბრუებულს, ყველაფერი გაეწყვდება. გაზაფხულს ადამიანი ცხოვრების განახლებას უკავშირებს. სწორედ ამ გრძნობამ დამაწერინა ყმაწვილური ლექსები:

ის

ჩვენს ვენახში, ღობის ძირას,  
ამოვიდა ია...  
ცივმა სიომ დაუქროლა,  
კაბა შევირხია...  
მზემაც სთერი დაიმურა,  
დატყნა თვალგებოლია...  
ახლა ყველას ენანება  
ბაწაწინა ია... და სხვა.

აყვავდება ვაზი. ვაზის ყვავილს უჩვეულო, მტკნარი, ნაზი სუნე ასდის.

ზაფხულში შემოვა ნაადრევი ჭერამი, გარჯარი, მსხალი და ვაშლი. დამწვივდება ხორბალი, ყანა ჩაყვითლდება. ტორლოა თავზე გადაუფურენს—ჯერ სულ დაბლა დაეშვება, შემდეგ შურდულივით ცის ლაქვარდში გაქრება, მწყურების ჭეით-ჭეით და მათი დინჯი სიარული ჭზას ავიზენებს, რათა ბუდეს ვერ მიაგნო. სიცხეა, პაპანაქება. მიყრუებულ სოფელს თითქოს სძინავს. მხოლოდ ხანდახან მოისმის ბავშვის ტირილი, ვიღაცის შეძახილი, ძაღლის ყევა. ნაწუღადეს თუ ავარიღდება და ადამიანიც ამოისუნთქავს. ნელა ეშვება მზე, შეუმჩნეველად მიცურავს დასავლეთისკენ. ხალხი სახლებიდან გამოდის და ბალ-ვენახებისკენ მიეშურება სივრცულში სამეშობო. გუგული ვიღაცას დღეებს უთვლის. მოვა ნახირი, ძროხები მოიჩქარაან სახლისკენ, ჯიქანში რძე მოსწოლიათ. ჩამოამდება—ჯერ კიდევ ვაარჩევ საგნებს. ცაზე ვარსკვლავები აციმციმდებიან, გამაღიზიანებლად გიღმიან. ზაფხულში დამევები ბნელია. ორღობეში ციციანთელას დასაჭერად მისდევენ.

არ მიყვარდა ღამე სიარული. მეშინოდა ხეხილის ჩრდილსა. მდუმარებით სავესე ღამეებს, დიდი და პატარა ლიახვის შესართავთან, ტალღების ხმაური და ბაყაყების უთავბოლო ყიყინი აფხიზლებდა.

რევოლუციამ გიმნაზიის მერხზე მომიწვრო. რევოლუციის პირველსავე დღეს ჩამოყალიბდა მოსწავლეთა კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდინენ: დავით აღმაშენებელი, გიორგი ქვეციანი, ალექსანდრე ლობჯინიძე და მიხეილ ლალიანი. მათ პირველმა ჩამოაგდეს კედლიდან მეფედედლოების სურათი და ზედ შესდგინა.

ჩამოყალიბდა მარქსისტული წრე. წრეს რიგრიგობით ვთავმჯდომარეობდით. კვითსულობით „კაბიტალის“ ონიშვილისეულ ხელნაწერ თარგმანს. ვკამათობდით, ვჩხუბობდით. მარქსისტული წრის წევ-

რები გორის მოწინავე ახალგაზრდები იყვნენ.

1817 წლის მაისში ახალგაზრდობის ყრილობა შედგა. ყრილობა მოიწვიეს თბილისში, ყოფილი რევლუტი სასწავლებლის შენობაში. დელეგატები ჩრდილო კავკასიიდან, ყარსიდან და ბაქოდანაც ჩამოვიდნენ. სხდომებს თავმჯდომარეობდა ვინმე რომანოვი. გორის მოსწავლეთა და ახალგაზრდობის დელეგატებმა არჩეულნი ვიყავით მე და ვალერიან ლიპარტიანი.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა: ახალგაზრდობის ჩაბმა ახალ ცხოვრებაში და მომავლის პერსპექტივები.

მამინდელი გორი ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი ცენტრი იყო. იქ ჩამოდიოდნენ: ისაკ ბერიშვილი, დემნა შენგელია, პაოლო იაშვილი, გუგული ბუნიაშვილი და ბევრი სხვა მოღვაწე სიტყვაგაზეშული მწერლობისა.

კონსტანტინე გამსახურდია პირველად გორში ვინახე, ქრისტეფორე რაჭველიშვილის ქორწილში. ამ ქორწილს ბევრი გამოჩენილი ქართველი ახალგაზრდა დაესწრო. მახსოვს, ფაქინა და ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, მომავალში ჩვენი სათაყვანებელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ყველას ერთი ნახვით შევეიცვარდა.

გორში ხშირად იმართებოდა საღამოები. ამ საღამოებზე პოეტები პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები ექსპრომტებით ანეციფრებდნენ საზოგადოებას.

გორშივე ცხოვრობდნენ ევრეთოშვილები, „გენიოსი ახალგაზრდები“, მათი ცხოვრების გზა შემდეგ სამიკრონოებსა და ღვინის სარდაფებში დამთავრდა.

ერთხელ, ვალერიან გაფრინდაშვილმა ესტრადაზე ექსპრომტი წარმოთქვა:

ექსპრომტებით დავიღალე,  
აღარა მაქვს გული მთელი,  
ვიცი, ბევრ ფულს შემოგვიწირავს  
ჩვენი რაფო კორინთელი!

რაფომ, ცნობილი ქველმოქმედის შვილმა, არ დააყოვნა, ახტა სცენაზე და რუსულად უბასუხა:

Во сне по лесу я шел,  
Пели канарейки,  
Рад пожертвовать я вам,  
Но нет ни копейки.

ხალხმა აღტაცებით დაუჯრა ტაში რაფოს და მასთან ერთად გაფრინდაშვილიც და იაშვილიც სცენაზე გამოვიდნენ.

მამაჩემი განათლებული, ზრდილი, სათნო ხასიათის ადამიანი იყო. არც ნიჭი აკლდა. გაგიჟებით უყვარდა თეატრი. 1905 წელს, როდესაც ცხინვალის სასამართლოში მუშაობდა, თავისი სასსრებით ააშენა ქალაქის თეატრის ხის შენობა. სამწუხაროდ, თეატრმა მხოლოდ ხუთი წელი იარსება — 1910 წელს დაიწვა. ცხინვალის თეატრი მამაჩემი, ზაზა მარაბ-

ლი, ვასო იარაღოვი და ქუმარტიოვი საქველმოქმედო წარმოდგენებს დგამდნენ და სექტაკლებში თვითონვე იღებდნენ მონაწილეობას. საგასტროლოდ ხშირად ჩამოდიოდნენ: ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, სოსო ტვიციძე. მამაჩემი „ლალატში“ თამაშობდა სულეიმან ხანის როლს, ნინო ჩხეიძე კი ზეინაბი იყო. წარმოდგენებზე მეც დავეყავი ხოლმე. სცენის მთელი მორთულობა — ხალიჩები, ვერცხლით შეჭებელი დიდი ყანწები და ბევრი სხვა რამ — ჩვენი სახლიდან აქონდათ წაღებულნი.

მამაჩემი მენშევიკთა პარტიას თანაურდნობდა, შემდეგ წვერივ გახდა ამ პარტიისა, მაგრამ გორულმა მენშევიკებმა მალე ამ პარტიიდან გარიცხეს და ქუჩაში გამოაყრეს ცნობა: „გარიცხულია პარტიიდან, როგორც ბოლშევიკების აშკარა მომხრე“.

ორ კვირასაც არ გაუვლია, მამაჩემმა თავი მოაკლა. ჩვენ, ქვების მიტოვლევანი შვილი, დედა და ბებია, ღვთის ანაბარა დავრჩით. არც ერთი ადამიანი არ იყო ჩვენი ბედის გამწარებელი. შეიძლება იმიტომაც, რომ იმ მიმედ დროს ყველას თავისი გასაჭირი ადგა.

მამაჩემის სიკვდილი რომ შეიტყო, ჯავრით თავზარდაცემულმა დედამ თქვა:

— სულელი ხშირად სჩადის სისულელეს, მაგრამ ხანდახან ჭკვიანი სისულელით ჭარბობს სულელს.

ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ის თითქოს განაჩენი იყო, რთავ დედამ მამაჩემის მთელი ცხოვრება შეაფასა.

გვედარი მამაჩემი... მარჯვენა საფეთქელზე მიმზარი სისხლი.

ამ დღეს შევები ცხოვრებას და მის შემდეგ აღარ მომისვენია. ადამიანის ცხოვრება მდინარეა. დინებას უნდა გააყვე, შეებრძოლო. ან ფონს გახვალ, ან დაიხრჩვები. მეც, სუსტი და საამისოდ მოუშაადებელი შევები ცხოვრების მძინარეს.

ემუშაობდი. აბა, ჩემი ნაშრომი ოჯახს რას ყოფოდა! ძალიან გავვიჭირდა. დედას არ შეეძლო მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ღრმად განათლებული ქალი იყო, ვერ შეეუა ცხოვრებას. ეს მისი ბრალი კი არა, დროის ბრალი იყო!

ვინც მივისძვრის, ზუნების ამ საშინელი მოვლენის მომსწრე ყოფილა, არც არასდროს დაივიწყებდა.

იცი, მაგალითად, რომ ომი ომია, ყოველდღე უბედურებას, სიკვდილს, დასამიძრებას მოუღია, მაგრამ მივისძვრა სულ სხვაა. ადამიანი ვერ გრძნობს მის მოახლოებას.

ღამის სამი საათი იყო, სახლი რომ ოდნავ შეიძრა. შემდეგ შეჩვენარდა. სინათლე ჩაქრა. ზანზარი რამდენიც კლუს გაგრძელდა.

— მოწესაბაო! ბავშვები ქუჩაში, ჩქარა! — დაიყვირა ბებამ.

თინათინე ჯაღახიშვილი  
წარსაუღლიდან

დღეა დაინა, დააღვიძეს ბავშვები. სიბნელეში ტანსაცმელი აგვერია — ვინ რას იცვამდა, აღარ იცოდა.

მთელი ოჯახი და მთელი მოსახლეობა ქუჩაში გავცვივდით. ციოდა, მაგრამ სიცივეს ვერა ვგრძნობდით. ხალხი პანიკას მოეცვა. ქალაქის მმართველობამ გამოგვიცხადა, სასწებში არავინ შევიდეს, ეინაიდან შეიძლება მიწისძვრა კიდევ განმეორდესო. ღამე ცის ქვეშ გავათიეთ. ლოგინი და ტანსაცმელი გარეთ ვყარა. ავეჯის გამოტანა არავინ გახსენებია! ვათენდა დილა. ხალხი სამხედრო მოედანზე გავიდა და ქუჩის კარებში მოთავსდა. ჩვენც გამოგვიკეცეს ერთი კარავი. უფასოდ დაგვირიცეს სადღილი სამხედრო სამზარეულოდან. თავზარდაცემული ხალხი დაიფრიატა. ზოგი სოფლებში წავიღ-წამოვიდა, ზოგმა კი თბილისს მიაშურა.

წაშუადღევის სამ საათზე მიწისძვრა კიდევ უფრო მეტი ძალით განმეორდა.

გავიდა წლები. დიდი სამამულო ომის დროს ზვეჯრეკე განსხვებია ეს ამბავი. როდესაც ბოშიმ სკლეზბა, უფერად ჩამობნელდება, ბურანი წამსვე გაქრება და ავევლა საგანი თავის სახეს იღებს. ასე მოხდა მიწისძვრის დროსაც.

მიწისძვრით დაზარალებულმა ხალხმა სხვა თავშესაფარი ვაჩინა. სკოლის შენობების დასიანების გამო სასწავლებლები დაიკეტა, მხოლოდ დაწესებულებებში დარჩა ადგილზე. ჩვენ თავშესაფარი აღარ გვეძონდა ვორში. დედაჩემი უწლოვანი ბავშვებით სოფელში წავიდა.

მე მყავდა უშვილო ბიძა — ექიმი, რომელსაც შეეძლო ჩემი და-ძმა დროებით თავის ოჯახში შეეფარებინა, მაგრამ მან ასე მიბასუხა:

— მივაბაროთ ბავშვები უპატრონო ბავშვთა სახლში, იქ დაიზრდებიან, მერე ვნახოთ!

ახლაგაზრდას ყველაფერი იოლი ეჩვენება. უცროსების, დედისა და ბებიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ თითქოს ძალ-ღონე მომიმატა. სწორედ ამ რწმენამ მომიყვანა დღემდე და ბევრი რამ შემამალებინა.

●

ქალაქიდან ჩემს მშობლიურ სოფელში დავბრუნდი და აქ სამუშაოზე მოვეწყვე. თითქოს ჯიბრზე, ავიდაც სწორედ ამ დროს ვაგზდი.

რადგან მიწისძვრის შემდეგ ჩვენთან საავადმყოფო დაკეტული იყო, სურამის სამხედრო ჰოსპიტალში გამაზავნეს. ჰოსპიტალში თავი მოყვართ ავადმყოფი და სიმულანტი თეთრგვარდიელ ოფიცრებს. ოფიცრები იმ ჯარს ეკუთვნოდნენ, რომელიც მენშვეიკურ-

მა მთავრობამ ბათუმში წასასვლელად დაირიგა გამოატარა. ბათუმის ნავსადგურიდან ეს მთავრობისადმი საზღვარგარეთ გავიდა.

არაფერია დამარცხებულ ადამიანზე უფრო უსამართლო სანახავი — ბოროტი და დაუნდობელი ხელბა.

●

რამდენიმე დღე სრული ანარქია სუფევდა მთელ საქართველოში. არ ვიცოდით, რა მოგველოდა. სადღაც ბრძოლა იყო გაჩაღებული!

ერთ დღითი მე და ანა ქუჩაში გავედით. სამარისებური სიჩუმე იდგა. უცებ აფთიაქის შენობის კუთხიდან ჯარი გამოვიდა. სიჩუმით მოცულ ქუჩაში ჩქემების მწყობრი ბავშვი გაიხმა. ჩვენ თვალში გვეყავინ მომავალი მეთაური.

— ხალამი არიას! — დაეცვირეთ მე და ანამ.

— ხალამი, გოგოებო! — ხელი მალა ასწავა მსუბუქი ნაბიჯით მიმავალმა მეთაურმა, ცერად ვადმოგვხვდა და ნაბიჯს უმატა.

— ეს არის ბოლშევიკური ჯარი? მერედა, რატომ არ მოგვიტაცეს? — წაგურჩულე ანას.

— მე არ მეშინია მოტაცების, შენ გეშინოდა, ლამაზი ხარ!

— არც მე მეშინია! ეს უფროსი არა მგონია გოგოებს იტაცებდეს. აბა, გავავეთ, ვნახოთ, მოგვიტაცებს თუ არა!

მე და ანა გავყვეით ჯარს. ჯარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. რუსები იყვნენ. ჩვენ თვითული მითვანი გვიღიმოდა და რაღაცას გვეძახებდა.

ჯარს მაინც მივდევდით. გოგო-ბიჭების კარგადი ჯგუფი შემოგვიერთდა და ყველა ერთად მივეყვეით ყაზარმაძემ. მე და ანა შორიასლოს გაეჭრადით. გვიწოდდა ერთხელ კიდევ დაგვენახა მეთაური. მეთაური შავვერემანი, პირსმელი, შუატანის კაცო იყო. მიუხედავად სიცივისა, ტყავის უსახლო ქალეტი ეცვა. ქამარზე რევოლვერი გვიდა, თავზე კი „ბუღიონოვა“ ეხურა. ყაზარმაძთან რომ მივედით, მეთაურმა დაგვენახა და ჩვენგან გამოეშურა.

— თქვენ აქ რა გინდათ, გოგოებო? ჯარს მისდევთ?

— ისე, საინტერესო! — ორივეს მაგიერ ვუბასუხე მე.

— ახლავე შინ წადით. რა თქვენი საქმეა ყაზარმა და ჯარის დადევნება! ვოქვით, ვინმემ გაწყინით, მერე? აბა, მოუსვით ახლავე, აქ აღარ დავინახოთ!

შემდეგ შევიტყვეთ, ვინ ყოფილიყო ეს ჩვენი კეთილისმყოფელი მეთაური — პოლიტიკომისარი ვინაობივით.



# ფანტასტიკა, ტანვარჯიშისა და სპორტის

მოთარ სარკაძე

## ციხის კლანდესტინი

— ყოჩაღ, — შეაქო ხომალდის კაპიტანმა პირველი შტურმანი.—მშვენიერი მანერები იყო, გადადიტ წრიულ ორბიტაზე და თანდათან შედით ამ უცნაური პლანეტის ატმოსფეროში.

ასეთ შექებას ახალგაზრდა ასტრონავტი არ მოელოდა, გაწითლდა, სავარძელში გასწორდა და სამართავი დაფის კლავიმენტზე კარგი პიანისტისებრი ათამაშა ოცივე თითი.

სპირალიური შტოკდა, პლანეტის ვიწრო ზოლი წინ გამოისროლა და დამუხრუჭება დაიწყო. შტურმანმა შეზღუდვები გამწკრივებული თვალელები დააფახულა და დისტანციური მართვის ბლოკი აიღო. რამდენიმე ბერკეტი გადასწია, უცნობი პლანეტის ატმოსფეროს სინჯი აიღო და გაანალიზა. უკმაყოფილო დარჩა შედეგით, ისევ გადასწია რამდენიმე ბერკეტი და ანტი-ნივთიერების დოზირებას შეუდგა. საწვავის განყოფილებაში ერთი საცავიდან მეორეში წუთილი გადაინაცვლა ოხვეადმა ნივთიერებამ. გამოთვლებმა მანქანებმა ყველაფერი დააჯამეს. შეაჯერეს და პასუხების ჭრილში მზა მონაცემები ჩამოყარეს. შტურმანმა კმაყოფილებით გადასწია აპარატურას.

— საინტერესოა.—ჩაესმა შტურმანს კოლეგის ნაფიქრი.—არსებობს ამ პლანეტაზე სიცოცხლე, როგორც ამას ჩვენი საბჭოს ზოგიერთი წევრი ამტკიცებს, თუ ამჟამადაც ხელმოცართულები დაერჩებიან!

— ციხურ პლანეტებზე, საერთოდ, არ არსებობს სიცოცხლე. — ფიქრითვე უპასუხა პირველმა შტურმანმა.—ასეთ პლანეტებზე კარბალი ფანჯბადი, ჟანგბადი კი, როგორც მოგეხსენება. მომავალდინებელი აირია.

— მაგრამ არსებობს მისაზრება, რომლის მიხედვითაც...

— მისაზრება ბევრია, ფაქტი კი ცოტა.— შეაწყვეტილა პირველმა.

სპირალიური წრიულ ორბიტაზე გადავიდა, პირველმა შტურმანმა ანტიგრავიტორი გამორთო. მერე, ყოველ შემთხვევისათვის; ანტინი-

თიერების დამცველი მაგნიტური ველი გააძლიერა და სპირალიის დასაქლომად ხელსაყრელი ადგილის ძებნას შეუდგა. დისტანციური ხედვის აპარატი გამორთო და უშუალო, ვიზუალურ დაკვირვებაზე გადავიდა. ყველა თვალი ერთად გაახილა და ვიდეოფონის ეკრანს გაუშტერა. ეკრანზე გარკვევით ჩანდა ოკეანეთა და კონტინენტების კონტურები. ზოგან დიდ-დიდი მდინარეები და ტბის ხედაპირები ლაპლაზებდნენ მზის შუქზე. მომწვანო-მომწვანო ფერის ხავერდოვანი ტყის მასივები პლანეტის მთელ სიგრძეზე გადაჭიმულიყო. დაბლობები და სწორი ადგილები უფრო ლიანდერად იყურებოდნენ. სპირალიიდან მეორედ შემოვიდა დაიწყო. შტურმანმა ყურადღება გაამახვილა. გამოჩნდა მთიანი მხარე, ცოტა იქით—ციცაბო კლდეები, უფრო იქით კი ვაე ადგილები.

— უცნაური პლანეტაა. — გაიფიქრა მეორე შტურმანმა.—არაფრით არ ჰგავს ჩვენს ურუს.

— ურუსთან შედარებით ეს ნამცეცი პლანეტა წერტილივით გამოჩნდებოდა.—ფიქრითვე უპასუხა პირველმა შტურმანმა, — მაგრამ მეტად ბრაზიანი ჩანს.

— ყველა პლანეტა ასეთია ამ უცნაურ გალაქტიკაში.—დაეთანხმა მეორე, — ისე ბზრი-ალებენ და ბორბავენ. თითქოს ორი დღის სიცოცხლე ჰქონდეთ.

— იქნებ ეს ახლად დაბადებული გალაქტიკაა და სამყაროს კანონზომიერებანი ჭერჭერობით ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული.

— შესაძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია, — გაიფიქრა პირველმა და დისტანციური მართვის ბლოკზე ბერკეტი გადასწია. სადღაც, გიგანტი სპირალიის სიღრმეში, რთული მექანიზმები ამუშავდა. საძრომის მრგვალი კარი გაიღო და დაშვების ადგილისაკენ მცირე ყალიბის მართული ყუმბარა გაქანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თვალისმოშორებულმა ელვებამ მზის სიყაყაშე დაჩრდილა. სითბოს და



ორთქლის მძლავრმა ტალღამ სპირალოდამდე მოაღწია, შტურმანმა გვერდითი ილუმინატორიდან გადაიხედა. ჭკვეით, პატარა გორაკების ადგილას, შავად მოჭიქული მრგვალი მოედანი ჩანდა.

დაიწყო დაშვება. სპირალოდი პლანეტის ატმოსფეროს მეკრივ ფენებში შევიდა, შტურმანმა კოპისის გამაცეხებელი მოწყობილობა ჩართო და სპირალოდის სისწრაფის შესამცივრებლად მარაოსმაგვარი ფრთები გაშალა. უკვე კარგად ჩანდა პლანეტის მთავორიანი ზედაპირი და ვეებერთელა, კრალა წყლის მასივები. როგორც ეტყობოდა, პლანეტაზე გრივავი ბოლოქრობდა. აქა-იქ ზღაპრულ ტოტებად იქსაქებოდა ცისფერი ელვა, დროდადრო რომელიმე, დროებით შესვენებული, ევლკანი ამოხიზვლებდა ხოლმე გაბრაზებით და დაგროვილ ბლდმას ერთბაშად ამოანთხევდა გულიდან. შორს, სადღაც ტყის ვრცელი მასივი იწვიოდა და არე-მარს ყვილიად ფერავდა.

შტურმანმა შეაოწმა ატმოსფეროს სინჯი და თავი უქმყოფილად გააქნია.

— სიცოცხლისთვის მეტად მოუხერხებელი პლანეტაა,—გაიფიქრა მან,—ყველაფერს ეშვებოდა, ატმოსფეროში ამდენი ენგზადი რომ არ იყოს. ეს მომაკვდინებელი აირი იმდენია ამ ცეროდენა პლანეტაზე, რომ გიგანტ პლანეტებსაც კი მოწამლავდა.

ტრანსგალაქტიკური სპირალოდის დაშვება არც ისე იოლი საქმე იყო. პირველი შტურმანი დაიძაბა, მას ერთი სურვილი ამორჩაგებდა: ისე სწრაფად და უხიფათოდ დაესვა სპირალოდი, რომ მთავარი კაპიტნის ქება დაენახებრებინა.

რაც უფრო ღრმად შედიოდა სპირალოდი ატმოსფეროს მეკრივ ფენებში, მით მეტად ეღებოდა ცეცხლის ალი. ახლა იგი კედლიან ვარსკვლავს ჰგავდა და წარმოუდგენელი სისწრაფით უახლოვდებოდა დელამიწას. კიდევ რამდენიმე წუთი და ალბათ დაენარცხებოდა კედლი, მაგრამ უცებ, მიწიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე, ვარდნა შეწყვიტა და ჰაერში გამოკეიდა. ცეცხლის ალი მიხედა — დაცხრა, სპირალოდი შეტორმანდა და გრძელი, პირობილიური ამორტიზატორებით მსუბუქად შეეხო შავად მოჭიქულ მოედანს. სპირალოდი ამორტიზატორებზე დაირწა, შემდეგ გაიჩრდა და ფანტასტიკურ მოჩვენებასავით გაიჩინდა უღრანი, დაბურული მწვენი ტყის ფონზე.



კარგა ხანია იგი თვალუბის ფახელით გასცქერის უპირდაპირე მხარეს და ფიქრობს. ძლიერ უჭირს ამდენ რამეზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ შიდა და ცხოველური ინსტინქტი ტყისკენ უხმოხს. ტყე კი მისთვის, პირველ რიგში, საკმელს ნიშნავს. იქ უამრავი გუცია, პია და ლაო-ლაო დადის. ამ ბუხუბუყა მიწის ნა-

პირზე კი მყარლ მშის თუ დაიკერს დაიკერს? ესეც საკითხავია, მაგრამ შესწავლის სცილდება აქურობას. ბუნქებს შორის გაწოლილი, შიშითა და ძრწოლოთ ვაცქქერის სპირალოდის და მის ახლო-მახლო მოფუსფუსე უცნაური ფორმის ცხოველებს. მერე შხერა ნაცნობ ადგალებზე გადააქეს, მაგრამ ვერ პოულობს და ძალიან უჭერს. მერამდენევერ აქეთებს ამას, ძენ მოთვლის. ახსოვს მხოლოდ, როგორ ამოვიდა ორჯერ ბრაზიანი მთის იქიდან მშვენიერი ამუ და ორჯერვე მოედარა მტირალა მთას. მშვენიერი ამუ გაცილებით მეტჯერ მოველინა ცას. მაგრამ მან მხოლოდ თოამდე იცოდა თვალა.

წოლა მალე მობეზრდა. ადგა. შავი, მოკლე ბუნეთი დაფარული ფარო ბუქები გაშალა და დაფანული წარბები ჩაშაგებულ, გრძელფრჩხილა კოტიტა თითებით მოიფხანა. მერე დაკოერილი ხელი დაქანებულ, განიერ შუბლზე გადაისვა, ცხვირის ნესტოები დაბერა და სტენით ამოუშვა ჰაერი. ესიამოვნა. ბუდეში ღრმად ჩაქვდარი თვალები ეშმაკურად დაახამხამა და გაიფიქრა:

„მიწაში ჩაძვრა.“

სხვანაირად ვერ წარმოედგინა. ვანა შეიძლება მთელი მთა ვაქრეს.—უგზოუკლოდ დაიარგოს? არა, მან უბრალოდ ადგილი შეინაცვლა და მიწაში ჩაძვრა.

„თი ისე, როგორც ლაო-ლაო, — ფიქრობდა იგი.—მე მას ვკამ და იგი ჩემში ვაღმოდის, მე კი მიწაში ვადავალ, როგორც ეს ღიღთავა ყუს დაემართა მისთვის ყველაზე მოკლე იღეს. მიწა?...“

მიწა რაღაში ვადადიოდა, ეს კი აღარ იცოდა. ესეც არ იყო, მობეზრდა ამდენი უაზრო ფიქრი. დაიხარა, სასოებით აიღო ხელში ჰაღარა ხის ფოთოლში გახვეული მოვრეხილი ხის ტიტი, მერე ხელით ვეებერთელა კეტი აიტაცა და ტყისკენ შეტრიალდა. მალიმალ იყურებოდა უჩან და თანდათან უმატებდა ნაბიჯს. უცებ გადააფიწვა ყველაფერი. აჩქარდა. სამი დღეა არაფერი ჩასვლია პირში. გუშინ მასის მცირეოდენი ფესვები ამოთხარა და ჰამა, მაგრამ ფესვებმა გაბერა, დაპურებით კი ვერ დააპურა.

„ლაო-ლაო რომ მომაკვდევინა, ყველას გვეყოფოდა ხორცი“, — გაიფიქრა და შუაგულ ტყეში შედგა.

ტყის სიღრმიდან მობებრილმა ნიაგმა ნადირის სუნი მოიყოლა. მან კისერი წიაგრძელა, დაიძაბა. თვლები აემღვრა და ჩაუსისხლიანდა, კუნთები აუცახახდა. უფრო მაგრად ჩაეცინდა კეტს. ქურდულად მიმოიხედა და ჰაერი დაყნოსა. მერე ფრთხილად წაიწია წინ და თავდასასხმელად მოხერხებული ადგილი შეარჩია.

ჩამჩუმები არ ისმოდა. მხოლოდ ერთხელ ვადიფრინა მჩხავანამ და ჰქრელი ფრთების ტყლამა-ტყლუმით ტყის სულ ზემო საართელის

მცხოვრებნი დააფრთხო. ირგვლივ ისევ იდუ-  
მალებით სასევ სიწყნარე გამეფდა. რამდენ-  
ჯერმე შორიშერთი გაისრიალა მის წინ ბრძენ-  
მა სისინამ და ჭაგნარებში მიიმალა. ეს კარგის  
მომსაწვევებელი ნინანი იყო. იმედი მიეცა.  
გაასაკეცა ყურადღება.

„უცბე გამოხტება ბილიკზე და თუ დამავგიან-  
და, მერე სიკვდილიც კი ვერ დაეწევა.“—ფი-  
ქრობდა იგი.

ტყეში, თითქოს გოლიათმა გაიღვიძარა. ყვე-  
ლაფერს გამოცოცხლება დაეტყო. დამფრთხა-  
ლი მხეცები უკანმოუხედავად გარბოდნენ.  
ჰყოილით გადაიზრბინეს ხის კენწერობები ტან-  
საპრაზნებებში და ისევ გაისუსა—გაიზინდა  
ტყე. მის მახვილ სმენას ლაო-ლაოს ძახილი  
ჩაესმა. გული აუჩქროლდა. საკუმის მოლო-  
დინში ნერწყვი ჩაუდგა პირში.

სულ ახლოს ტყაყუნით გადაიმტვრა ხმელი  
ტოტი, ფშვინვა მოისმა, გვიმრით დაფარული  
ბილიკი შეიზრა და ლაო-ლაოც გამოჩნდა. იგი  
მოდრიდა თავდახრილი და ნაცრისფერი ზურ-  
ვი უტაცებდა. ხშირად ისვენებდა, ფრთხი-  
ლობდა. მალი-მალ ყნოსავდა პაერს და გაბრა-  
ზებული ზმუღოდა: „ლაო-ლაო!“

იგი კუნთებდა და სურვილად იქცა. კადვე  
წამი და ლაო-ლაოს გემრეული ხორცი შიმ-  
შილს მოუკლავს. დღევით დაუბრბინა თრთოლ-  
ვამ ძარღვებში, თვალებზე ბინდი გადაეფარა  
და წამით გონება დაკარგა. როცა გონს მოვი-  
და, ლაო-ლაოს უკვე ჩაველო. დაგვიანება კი-  
რედ რამდენიმე დღის შიმშის ნიშნავდა. იგი  
ორად მიიხარა, შეიკუმშა და უცბე ფლოადის  
ზამბარასავით გაიშალა. მოწყვეტილ ნასროლ-  
მა კეტმა ხშირ ფოთლებში გაიწეულია. ორ ხეს  
შორის გაჭიმულ ლიანას მოხვდა, ნახევარმთვა-  
რესავით გაზნიქა და გავარკვებული ძალით  
უკან გამოაბრუნა. მერე თავს ზევით ვადაუ-  
ფრინა, რამდენიმე ხმელი ტოტი მოტეხა და  
ხმურით დაეცა მის უკან.

ლაო-ლაომ დაიზმულია, ბილიკიდან ისკუბა  
და დაბრულნი ტყის სიღრმისაკენ გაქანდა.  
შეშინებული ცხოველების კივილმა და ხმელი  
ტოტების ლაწალაწემა მთელი ტყე შეძრა, შეა-  
შფოთა, შეაზანზარა.

მას რაღაც ჩასწყდა გულის სიღრმეში. აკან-  
კალდა, შესცივდა. მოშავო-მოყვითალო ბეწვი  
ყალყზე დაუდგა. უსიციოცხლო, გაფართოებულ  
თვალუმს ეღვარება დაკარგა. დაეზინდა, ჩა-  
კვდა.

იღმა ვაგონებულნი, ასეთი რამ მის ცხოვრე-  
ბაში არ მოხდარა. მისი ცხოვრება რაა, სხვი-  
სგანაც არ სმენია და, საერთოდ, როდის აქეთ  
დამეგობრდნენ ლიანა და ლაო-ლაო. თვალე-  
ბი დახუჭა. გაუგონარი ამბავია: ლიანამ უკან  
გამოისროლოს კეტი და ლაო-ლაო სიკვდილს  
გადაარჩინოს.

— აუ უ უ უ!—აღმოხდა მას.  
ეს იყო განწირული ადამიანის ყმული. ცოვ-

მა, ძლიერმა ხმამ ქრუნატელით დაუარა და  
ბურულ ტყეს. ტყე წამით გაისუსა, გაიზინდა და,  
როგორც კი ხმა თავის სიღრმეში შთანთქა, ის-  
ევ ამზინდა. მას უკვე აღარაფერი ესმოდა, ვა-  
ხევებუღოც და თვალს ვერ აშორებდა ლიანას,  
რომელიც ჭერ კიდევ ირხეოდა და სისი-  
ნასავით იგრხებოდა. თანდათან დაეუფლა  
შოში. მზერა მოაირია და თავისთვის დაიწყო  
ბუტბუტი:

„უბრეგრესი ცეცხლის მარად უჭრობ სულს  
ვფიცავ, არ მეგონა, თუ შენ მისი მეგობარი  
იყავი. მე მხოლოდ ლაო-ლაოს მოკვლა მიწ-  
დოდა. შენ ტყუილად ბრზობ და იკლავებდი...  
მე შენს წყენილებას არ ვაპირებდი... მე მხო-  
ლოდ ძალიან მშია და...“

თავი ასწია და ლიანას შეხედა. ლიანა უჭ-  
რავად ეკიდა ორ ხეს შორის. კარვად ენიშნა  
ლიანას ვაჩრებება. ვათამამდა, ახლოს მივიღა  
და ახლა ახლოდნი დაიწყო თვალბრუნება. დიდ-  
ხანს, ძალიან დიდხანს აუვირდებოდა და რაღა-  
ცას ბუტბუტებდა თავისთვის. ვაბედა, ხელი-  
თაც შეეხე, სიხარულისაგან შეხტა და იმ ხის  
გარშემო დაიწყო სიარული, რომელზედაც ლი-  
ანა იზრდებოდა. იგი სულ უფრო და უფრო  
სწრაფად უვლიდა ხეს გარშემო და გამუდმე-  
ბით ბუტბუტებდა. როცა დაიღალა, ხის ძირას  
ჩაჯდა და ისევ გაუშტვრა თვალები ლიანას.

„შენ ჩემი მეგობარიც უნდა ვახდე.—დაას-  
კენა მან,—ძალიან მკირდები. შენ მე პატარა  
შვილს მაჩუქებ, მე კი ყველაზე საზოჯლარი და  
ბრზიანი ბუხუნას კრულ ტყავს მოვართმევ  
და შენს ფეხთით დავაგებ. მერე თეთრი დღე-  
ები გვესტუმრება და არ შეგვიცვდება, თბი-  
რად იქნება.“

აღმა, ფრთხილად მივაღერსა, მიესიყვარუ-  
ლა. წეწლედ დაკიდებული პატარა ძელის დანა  
შეიხსნა, ყველაზე ნორჩი ტოტი შეაჭრა, შიშო-  
თა და ძრწოლვით აიხედა ზევით, სახე ვაგებდა  
და ყურებამდე გაიღიმა. ლიანა უძრავად  
ეკიდა ორ ხეს შორის.

„გმადლობთ, ჩემო კეთილო მეგობარო, გმა-  
დლობთ,— გაიფიქრა,— დღეს იქით ჩვენი მე-  
გობობა ცეცხლისა და ხის მეგობობაზე უფ-  
რო მტკიცე იქნება. მე შენთან ხშირად მოვალ-  
ყველაფერში დაგეხმარება და რასაც შეგპირ-  
და, მალე მოვართმევ.“

ხალისი დაუბრუნდა, კრული ხის ფოთოლ-  
ში გახვეული მშვილდევით მოქნილი ტოტი ამ-  
ოილო და ლიანასთან ერთად შეაახია. როცა  
საქემს მორჩა, შიმშილმა ისევ მოაგონა თავი  
და ყველაფერი გადააიწყდა. ველური  
სურვილები მიიძალა, აწრაიდა, აცმუქდა.  
ნაღვლიანი თვალები მოავლო ტყეს.

„წაველ სადღეობში.—გაიფიქრა მან, — იქ-  
ნებ სხვამ მოკლა რამე.“

ოთარ საღრამე  
ცისფერ პლანეტაზე



მოკლე და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ბეჭემ-  
მოხრილი ბილიკს ჩაშტერებოდა და სხვას არ-  
აფერის აქცევდა ყურადღებას. უნდოდა, რაც  
შეიძლება ჩქარა მისულიყო სადგომში და გამ-  
აღარიყო. ცალ მხარეზე კეტი ვადრო, მეორე  
ხელში კი ქალბა ხოს ფთოლოში შეხვეული  
მწვილიან ფორმის ტოტი და ლინა ეჭირა.

ლდე გაილია, გაუფერულდა და დამემში ათ-  
ქვიფა. იგი შედგა, მიმოიხედა. ნესტოები აუ-  
ცახცახდა. სახე წიავს მიუღებოდა. კვამლის სუ-  
ნით იგრძნო სადგომის სიახლოვე. უფრო ენ-  
ერგოულად გაუყვა ბილიკს. შინითა და მიჩვე-  
ნებებით სავსე თხელ ტყე გაიარა და მიწისა  
და ცის შესაყართან ცეცხლის აღს მოაკრა  
თვალი. იმწამსვე დაეუფლა სიმშვიდე, შინი გა-  
ქრა და გასრმომოხვეულმა მოჩვენებებმა უკან  
დაიხიეს. ახლა იგი თავაწეული შიამაჯებდა.

შთის ძირას, იქ, სადაც გამოქვამულები იწ-  
ყებოდა, დიდი კოცონი ენთო. კოცონის გარ-  
შემო მისივე მსგავსი არსებანი იდგნენ. იდგნენ  
გაუნძრევლად და ჩემად. მან იმწამსვე იცნო  
შავი ცის ფონზე მარტოდ მდგარი მრისხანე  
ტუ. იგი ყოველთვის განაცალკევებით იდგა და  
ორივე ხელით გყრდნობოდა ვეება კეტს, რო-  
მელიც მას, როგორც ყველაზე ძლიერს, გო-  
ლიათი კაპუს სიკვდილის შემდეგ ეტყო.  
კეტი მაშინ დიდი მოწონებით გადასცა მას სად-  
გომის ყველაზე უხუცესმა წევრმა. ტუ ერიღე-  
ბოდა კოცონს. ცეცხლთან სიახლოვე მის მოწ-  
ონილება მიაჩნდა. ტუ კი ყოველგვარი მო-  
ჩრჩილებას სისუსტედ თვლიდა. მეტად დამოუ-  
კიდებელი ხასიათის იყო და სხვა თვისებებთან  
ერთად ამანაც განსაზღვრა მისი წინამძღოლად  
არჩევა.

„ააფერია, ოდესმე მეც გავხდები წინამძ-  
ღოლი,“—გაიფიქრა მან და სადგომს მიადგა.  
დიდცხვირა ლოდს აპოუფარა, ტოტი და ლინა  
საგულდაგულად დამალა, რაღაც ვაუგუ-  
ბარი სიტყვები ჩაიბუბუნა და თამამად მიუ-  
ახლოვდა კოცონს. ახალი ხორცის სუნი ეცა.  
ჩასისხლიანებულ თვალები მოავლო სადგომს,  
ძველი კოცონის ნანატრალში შიშველ ქალებს  
და ბავშვებს ეძინათ. ცოტა იქით ნახევრად შექ-  
მელი გვიანტი ეგდო. თვალი დაუბნეულა,  
გონება აემღვრა. მხეცური სიშმაგით მიიჭრა  
ღემთან, ძვლის დანით საკმაოდ მოზრდილი  
ნაჭერი ააჭრა, ორივე ხელით ჩაბღუჯა და თავ-  
დავიწყებით დაუწყო გლეჯა მეჩხერი. გრძელი  
კბილებით.

შორს, ძალიან შორს. ტყეში რაღაც მხეცი  
აყმუღღდა. მას რამდენიმე წერილი ხმა აპყვა.  
მერე სადგომის ახლოა ქმენით გაიბინეს  
კრულთვალა ნაცარებმა და ირგველი ისევ სა-  
მარისებური სიჩუმე გამეფდა. შევნაბდმოსხ-  
მული დამე კოცონის ირგველი დასახლდა. მყუ-  
დროება ტუმ დაარღვია:

— ბევრჯერ გვესტუმრა მშვენიერი მშვენიერი  
შენ კი არ ჩანდი.—ისე თქვა მან, რომ არ გან-  
ძრებულა და არც მოუხედავს მისკენ.—აღბოთ  
ისევე მზის შვილის სანახავად იყავი წასული  
მყარალი მიწის ნაპირას.

იგი მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა. დაუ-  
ფარავი ზოლოტი შეხედა ტუს და ისევე განაგრ-  
ძო ჯერ კიდევ თბილი ხორცის ჯიჯანა. სიჩუმე-  
ში დროდადრო მისი ტუჩების წყლაუნეი ისმო-  
და. პირისახე და მეგრული სისხლით მოესვარა.  
დახრული ძვლებს გაროა ფეხის გაქართ  
დამალა. დამშვიდდა, გაროა და სიამოვნებისა-  
გან გაიხმორა. აღარ ეამა უში ხორცი, კოცო-  
ნიდან მუგუზლით გაეაზრებულელი ბრტყელი  
ქვა ვაშაათობია და ზედ ხორცის ნაჭერი და-  
ლო. ყური მიუღვდა. ხორცი რომ ამიშინდა,  
გახარებულმა ხელი ხელს შემოაკრა და მოგუ-  
დული, გაურკვეველი ტემბრის ხმა ამოუშვა  
პერიდან.

— შენ კარგად აღამიანის სახეს,—კვლავ გა-  
ისმა სიბუნებში ტუს გამოკვეთილი ხმა.—შენ  
ემსგავსებო, უძლურ პიებეს. განა შეიძლება  
ძლიერ აღამიანს ასე მოშვიდეს?

მან არ უპასუხა, ხორცი გადააბრუნა და ნა-  
ციანი მიწაზე პატარა წყებლით ხანების გავ-  
ლება დაიწყო.

მშვენიერმა ამჟამ ნახევარ გზაზე მეტი განე-  
ლო ღრუბლიან ცაზე და მტარალა მთისკენ  
გადაიხარა. კოცონის გარშემო უმეტესობა  
უკვე ეძინა. ფეხდგომელა, ფოთილი ძილია.  
უბრალო ფაჩუნზე თრთოდნენ და შემინებუ-  
ლი იყურებოდნენ აქეთ-იქით. ეს იყო მხო-  
ლოდ თვალის მოტყუება. ბტრანში გახვევა.  
ყოველ წუთს, ყოველ წამს, კაშპაში კოცონის  
მოუხედავად, მონალოდელი აყო რომელიმე  
მხეცი თავდასმა. წუხელ ორი უყურადღე-  
ბოდ მიტოვებული ბავშვი გაიტაცა ბრახიან-  
მა ბუხუნამ. ამ დამითაც შენიშნეს მისი მწე-  
ნე თვალები სადგომთან და ამიტომ იყო დღე-  
ვანდელი დამე ასე შიშინი და იღუმალებით  
სავსე. ფხიზლობდა ტუ და მის გარშემო მდგა-  
რი რამდენიმე კაცი. ფხიზლობდა ბებერი ტა-  
მოც, ცეცხლის მოვლა-პატრონობა რომ ევა-  
ლა და უხუცესთა შორის პირველ კაცად ითვ-  
ლებოდა.

„ცეცხლს განსაკუთრებული მოვლა-პატრო-  
ნობა უნდა, — იცოდა ნოღმე მან თქმა, — თო-  
რემ თუ გავინაწყენდა, გაიპარება და სხვის  
სადგომში გადასახლდება“.

ბებერი ტამოს ცეცხლთან ყველაზე ახლო  
ქმონდა მიჩნეული ადგილი და მის სულიერ  
მამდ ითვლებოდა. მას დღისით ეძინა, საღ-  
მობობით კი ცეცხლს დარაჯობდა. იგი ახლაც  
ფხიზლობდა და ბროიტად აცეცხდა ბუღებე-  
ში ღრმად ჩამჭარა წირბლიან თვალებს. დღეს  
ტამო ჩვეულებრივზე მეტად ჩაფიქრებული  
და გულწითხრობილი ჩანდა. მისი განწყობი-



ლება სადგომის სხვა წევრებსაც გადაედო და მთელი დღის განმავლობაში ერთი მხიარული სიტყვა არ თქმულა, ერთხელ არ გაუღიმიათ. ბებერი ტამო ხშირად ბუტბუტებდა ცეცხლის სადიდებელ ლოცვებს და დროდადრო კოცონის თავზე ლურჯად მოლივლივე ალს უშტერებდა თვალს. ხან თბილ ნაცარს მომუქავდა ცალი ხელით და ჰაერში აბნეწდა, ჩამოცვენლი მტვერს თვალს გაყოლებდა და ფერი ეკარგებოდა, შვემდებოდა. აი მან ერთხელ კედევ მომუქა ნაცარი და ჰაერში გაფანტა. მერე თვალები მოლულა, სუნთქვაც კი შეეკრა. სისხლი მოაწვა დამიკნარა სახეზე.

— ააააა! — იცვლა უცებ.

თვალისდახმამების უმალ მთელი სადგომი ფხვნი დაფა. ტუ ენერგიულად ჩაეჭიდა ორივე ხელით კეტს და მიმედ მოატრიალა თავა. წელში გასწორდა, ბეჭები გაშალა.

ბებერმა ტამომ ხელები გასასვავა და ტურჩები ააცმატუნა, თუმცა ხმა არ გამოუცია და სიტყვა არ უთქვამს, მიცვალბულს დემსგავსა. შიშითა და ველური შორჩილებით შემოეცალა ხალხი. ისინი ეძებდნენ ტამოს ასეთი ცვილებების მოზებს, მაგრამ ვერ პოულობდნენ და უფრო მეტად ეძალებოდათ შიში. ბებერი ტამო ცახცახებდა და იგრიხებოდა.

„ალები ცივმა მიწამ მოიხმო“, — გაფიქრა ტუმ და კოცონს თვლი მობრუნდა, შებრუნდა. ტამოს არ გამოპარვია მისი მოძრაობა.

— მე ვხედავ მას, — როგორც იქნა, ამოთქვა ხრიწიანი ხმით და თვალები გაუბრწყინდა, აუცილდა. — მე ვხედავ მას! — ჩურჩულით გაიმორა ცოტა ხნის შემდეგ და ადგა. ორივე ხელი აღაპყრო ცისკენ, თითები მომუქა და უხილავ მოწინააღმდეგეს დემუქრა.

ქალები კვილით დაეხვნენ ნაცრიან მიწაზე და თავი ხელბში ჩარგეს. ბავშვები აბდავდნენ და დედებს მიეკრნენ. კაცები ტუს გარშემო შემოიკრბინენ.

იგი არ განძრეულა. თავდალუნული ავლებდა წვებლით ნაცარში ზახებს და ფიქრობდა. მერე წვებლა კოცონში ისროლა, — შემწვარი ხორცი ქვიდან გადმოიღო, ნაცარი ჩამოაბერტყა და უხალისოდ დაუწყო წიწყნა.

„დროზე უნდა მოიცილოთ თავიდან“, — გაფიქრა ბებერმა ტამომ და მანქვა-გრეხას თავი დაანება. დამწვიდდა. თვლი შეავლო თავზარდაცემულ ხალხს. მიხვდა, სადგომი მის გადაწყვეტილებას ელოდა და საკუთარი ძალის უპირატესობა იგრძნო. — „ახლა ყველაზე ხელსაყრელი წამია. — დაასვენა მან. — თუ დღეს არ გადაწყდა, ხვალ უკვე გვიან იქნება. ხვალ მეორე წავა მყარად მიწის ნაპირას და მალე სადგომში აღარც ერთი მონადირე აღარ დარჩება. გეგანტის ხორცი ორ დღეში გათავდება და მერე შიშით სიკვდილი გველის მოხუტებს“.

— მე ვხედავ მას, — განსაკუთრებული იდუმალებით წარმოსთქვა ტამომ. — იგი დამესაგით სამიში და ცეცხლით გაუმძლარი ბორბებია. მას შიშშილი და სიცივე მოაქვს. მის წინაშე თვით შებრეჭობი ცეცხლის სულიც კი უქლურია და კრძალვით თრთის. ჩვენს გარშემო ნოტიო მიწის მოციქულები დაეხეტებიან და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელიან, რომ ხელიდან გამოვვლავდნენ დღე და მარადელი სიბნელეში გადასახლონ ჩვენი სული. ფრთხილად, ეს ბორბებმა ჩვენს შორის არის და ჩვენსავე რისხვას ელოდება.

ყველამ ერთმანეთს გადახედა, მერე რატომღაც ტუს შეხედეს.

— შენ ქარაგმებით ლაპარაკი გიყვარს, — თქვა ტუმ, — პირდაპირ თქვი და ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩემი კეტის სიმძიმის ქვეშ გაიქვლიტება.

— მალე თითონ დღეები ეწვევა ჩვენს მხარეს, — მაინც შეპარვით წამოიწყო ტუმ, — მდინარეები და წყალი სქელი ქარქით დაიფარება, ხეები გამოშვლდება, სიცივე ნემსებს მოიპარვებს და ჩხვლტას დაეფიქვებს, ნადირი უფრო ფრთხილი და უკარება გახდება. ჩვენ ერთმანეთის ხორცის ჭამას დაეწყებთ და...

— ეს არ მოხდება! — ერთდროულად წამოიყვირა რამდენიმე ხმამ.

ქალები ნაცრიან მიწიდან წამოიშალნენ და პატარები გულში ჩაიკრეს, ხელებით დაფარეს. თითქოს მათ უპირებდნენ შეჭმას. მრისხანე მზერა მიაპყრეს ტამოს. სიწუმე ჩამოვარდა. ლანდებით სავსე ღამე სუნთქვა შეიკრა, გაიხსუსა. გაიხსუსა ტყე, წყალი, ზეცა. ნიავი უსიცოცხლოდ გაწვა მიწაზე და ბალახებში გაითქეფა, გაუჩინარდა. კოცონმა რამდენჯერმე გაიტკაცუნა და ლურჯად მოლივლივე ალი ვარსკვლავებივით აკიფებულ ნადევრალში ჩამავლა, ჩაიფერვლა. უფრო მეტად მოეძალა სიმავე ღამე.

ტუ შეიბრა. იგი გრძნობდა, რომ ახლა მისი ჯერი იყო. ყველა მას მიშტერებოდა, მისგან ელოდა პასუხს. დაკვიანება ძალაუფლების დიკარგვას უღრიდა.

— ეს არ მოხდება! — დაიბუხუნა მან კარგა ხნის ფიჭვის შემდეგ და გამარჯვებულის მზერა მოავლო სადგომს.

ტუმ მთელი თავისი გულსწყრომა ამ ორ სიტყვაში ჩაატია, თუმცა ვაცილებით მეტის თქმას აპირებდა. სამაგიეროდ, რაც სიტყვებით ვერ მიახვებდა, თვალებით გამოხატა.

„მალე ტუს კეტს საქმე გაუმჩნდება, — გაფიქრა ცხიერმა ტამომ და სიამოვნებისაგან ენა გააწყლავუნა. — აქვე უნდა გაყოტონ და ცე-

**ოთარ საღრამე**  
ცისწვირ პლანეტაზე



ცხლში ჩაავდონ, რომ მისი ფერფლი ტყე-მინდორს მოფინოს ქარმა“.

იგი შეაშფოთა განსაკუთრებულმა სიწყნარებმ. შეიშმუშნა, ხორცის წიწყნას თავი დაანება, წამოიზღაზნა, გაიზმორა და მხოლოდ ახლა შენიშნა შორიახლო მდგარი ხალხი. საითაოდ შეათვალიერა ყველა. მერე მზერა უფრო შორს გადაიტანა და ტუს თვალებს შეეფეთა, ნაკვერჩხლებივით რომ ბრდღვიალებდა სიბნელეში. არ ენათმოვნა, ინსტინქტურად დაიხია უკან და დიდცხვირა ლოდისკენ გააპარა მზერა. თვალი შეაველო საიმედოდ დამალულ ნივთებს და წელში გასწორდა. ჩამქრალ თვალბუმში იმედის ნაპერწყალმა იყვია. ამოიგინა.

სადგომი შეტორტმანდა. კოცონის გარშემო გაწოლილი ჩრდილები აფარფატუნენ, გადაიხლართნენ და ერთმანეთში აირივნენ. ამ მოულოდნელ მოძრაობას ყმულით გამოეხმაურა ტყე და ყველამ და ყველაფერმა სული ჩაიდგა, ამოძრავდა. თანდათან შეიკრა მის გარშემო უხილავი, ჭადრაქიანი წრე. მოწყალეობით ახედა მშვენიერ ამუს და ვედრებით მიმართა:

„შენ დამიფარე, მშვენიერო ამუ, ბოროტ აღამიანთა რისხვისაგან. მიეცე ჩემს სხეულს ძალა და გამბედაობა. გამიხსენ გონება, გამინათე გზა აზრით და იმ მთის ძირს, სიდიანაც ყოველდამ ინებებ ამობრძანებას, ყოველთვის დაგზავლება ჩემგან საჩუქარი. ან მიბრძანე და...“

მას მოეჩვენა თითქოს ამუმ თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. უფრო მეტად გაბრწყინდა ვარსკვლავებით მოქვილდ ცაზე და ვერცხლისფერ ნათელად მოეფინა არე-მარეს.

თავისუფლად ამოსიუნთქა. კარგად ენიშნა ამუს აკიფება. მადლიერების გრძნობა გამოეხატა სახეზე. სხეულს შიშით წარბოვული ძალა დაუბრუნდა და გონებას აზრი მიეცა. დამშვიდდა და ოდნავ გათამამდა.

— რა მოხდა,— გაბედა, როგორც იქნა, — რატომ მიყურებთ ასე?

— შენ არღვევ ყოვლისმძლე ცეცხლის წმინდა კანონს,— ჯიქურ შეუტია ბებერმა ტამომ, — აღარ ემორჩილები სადგომის გადაწყვეტილებას. მინც დადინარ ცბიერი შიზს შვილის სანახავად მურალი მიწის ნაპირას. შენი საქციელი გადამღებია და, თუ კვლავაც ასე გაგართმელა, ჩვენი ამქვეყნად უფლის დღეები საოცრად შემცირდება. შენ უნდა მოკვდე!

— არა! — წამოიყვირა მან.

— უნდა მოკვდე! — ჯიქურად გაიმოვრა ტამომ და ბოროტად მოკუტა თვალები, — სხვა-ნაირად სიმშვიდე არ გველორება. გუშინ შენს გატყვენილ ბილიკს ორი ახალგაზრდა გაკყუა და გიგანტზე ნადირობისას ოთხი ძლიერი ხელი დაგაკვდა. დღის მობრძანებისას კიდევ ორმა ცდა გაპარვა და ასე იქნება მანამ, სანამ შენ ცოფილდ სულს ნოტიო მიწა არ მიიბარებს.

მან ნაბიჯი წარსდგა წინ, სიტყვის თქმა დაა-

ბირა, მაგრამ მიხვდა, რომ თავის მარხულმა მან შეცოდებას აზრი არ ჰქონდა. ტამოს სიტყვებმა თავისი გააკეთა; ხალხში შიშით და უნდობლობა დათესა და ახლა გადაწყვეტილების შესრულებამდე ცაზე ვარსკვლავის გაელვებაზე უფრო ნაკლები ღრო დარჩა.

ტუმ კეტი მომძარცვა და დაიძრა. იგი წინ წახრილი მიდიოდა და გორბო ტანს მსუბუქად მიათამებდა. ნადიროვით აბრიალებდა ჩაწითლებულ თვალებს და ეტყობოდა საკუთარ ძალას გრძნობდა. მალე მისი შემწეობით ყველაზე საშიშ ბოროტებას მოეღებოდა ბოლო და უხაროდა. უფრო მეტად ამაღლდებოდა ყაცების თვალში. ხოლო დღის შემდეგ ყოველი ქალის ოცნება გახდებოდა მის გვერდით წოლა.

„მე მოვკვავ მას,— ფიქრობდა ტუ, — მოვკვავ პირველივე დარტყმით, ერთი მოქნევით. დანარჩენზე ტამო იზრუნებს. მე კი...— თვალი შეავლო საქალებობს,— იმ უკაიება აღუაქს დავითრევ ამ ღამით...“

თანდათან მცირდებოდა მათ შორის მანძილი.

— შენ ვერ გაბედავ, ვერა! — დიოქუზა მან და შეჩივული ნადიროვით აწრიალდა.

ეს იყო მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძობლება. ხმა გრგვინვასავით დაიბნა სიბნელეში და იმდენად მოულოდნელად, რომ ტუ შედგა და შეუყოყმანდა. მაგრამ ეს მოხდა გაელვებაზე უსწრაფესად და ტუს შეყოვნება არავის შეუმჩნევია. იგი გააოცა წამიერმა სისუსტემ, უფრო ენერგიულად გასწია წინ, ჯიქურ მიიჭრა მასთან და ვეება სიმძიმის კეტი მსუბუქად აიტაცა ორივე ხელით. მერე ყველაფერი სიზმარივით უცნაურად და თვალისდახამხამებაზე სწრაფად მოხდა. კეტმა წულით მოხაზა ნახევარწრე სივრცეში და მიწას დაასკდა. მაგრამ რაც ყველაზე მეტად საოცარი იყო, მან მოასწრო კვერღზე გახტომა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ტუ თვალს არ უჯერებდა. კარგა ხანს ეგონა, რომ მისი მსხვერპლი კეტის სიმძიმემ მიწაში ჩაითანა. თავდახრილი ჩაშტერებოდა ერთ წერტილს, კვალს ეძებდა; მაგრამ ამაოდ. ნაბზარიც კი არასდ ანდა მიწას. გაკვერვებულ თვალზე მოავლო ხალხს. მათ გაცრეცილ, ფერდაკარგულ სახეებზე შიშის გარდა ვერაფერი ამოიკითხა. მერე მოწყვეტით მობრუნდა და ისევ იმ ადგილს დააშტერდა, სადაც რამდენიმე წამის უკან სამსხვერპლო იდგა. მყუდროება სიბნელიდან მოვარდნილმა სიტყვებმა დაააროვია:

— მე მოვალ დილასთან ერთად და შურს ვიძიებ!

ეს იყო ზარივით წმინდა და ფოლადივით მტკიცედ თქმული სიტყვები, ელვასავით მოკვეთილი და გრგვინვასავით ძლიერი.

ტუმ რამდენიმე ნაბიჯი ვადადგა სიბნელისა-

კენ და უცებ შედგა, ბოროტად გაეღიმა. კისრის ძარღვები დაბებრა და დაეკიმა. თვლები აუწყლიანდა, აეწვა. სახე მოექცა. გაეცინა, თანდათან აუწია ხმას. ახარხარდა, არჩხროხდა, გაბოროტებული თვალები გაუფართოვდა, ხელები გაშალა და გაოგნებული ერთ ადგილზე დატრიალდა. მისმა ძლიერმა ხმამ მიძინებულ დამე გამოაფხიზლა და ყუბოლა-ხრიარლი აიყოლია. თავხარადცემული ხალხი პირქვე დაემხო. ბავშვები ატირდნენ. ყველაზე გულადმა კაცებმა კი ცეცხლთან სიახლოვე ამჯობინეს ტუს გვერდით დგომას. ბებერ ტამას იმედი გადაუწყდა, მოიკეცა და კოცონის პირად ჩაეცუტა. ტუ ძველებურად როხროხებდა და ექოთი დაბოხებული ხმა ლომის ბუხუნით გაისმოდა ევირობში. მერე უცებ შეწყვიტა ხარხარი და სიკეთაუთქმულად განმარტოვდა ჩაფიქრებული.

ამ ამბის შემდეგ დღემა დრომ განვლო, ტყე ახლად შეიშოსა, მიწდევები ლორთქი ბალახით დაიფარა. თეთრი დღეები შორეულ ქვეყნებში გადასახლდა და ზამთრით წელგაწყვეტილმა აღმიახებმა შეებით ამოისუნთქეს. ნადირთა ტყავის მძიმე ქურჭები შეიხსნა, ახალისდნენ და ყვირილ-ხივილით მოედვენენ სადგომის ახლო-მახლო ველ-მიწდევებს. სიკვდილის პირას მისულმა ბებერმა ტამომ თვალში გამოიხედა, სული მოიბრუნა, თავის ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი და სწრაფად აღიდგინა ავადმყოფობით შეწყვეტილი სახელი. კაცებმა ახალი იარაღის შეკვრა-გამოთლა დაიწყეს და ხშირად წესიერი კაცი ტეხნას მთელ დღეს ანდობდნენ. ბავშვები ძლიერ ცრებოდნენ, იმდენი მოჰქნდათ საქმელი ბალახი და სხვადასხვა მცენარის ფესვები. ცეცხლზე განუწყვეტლივ თუხთუხებდა წყალი და იხარშებოდა საქმელი. ყველა რაღაცას საქმიანობდა, ფუსფუსებდა, მხოლოდ ტუ იყო უცვლელი. იგი ისევ ვანცალკევებით იდგა გულჩათხრობილი და ილაშინდებდა ამბავს ვერ იგიწყებდა. გულისფანქვალთ ელოდა ყოველი დღის მობრძანებას და მის გამოიქნას. ელოდა, თუმაც დაწმენებულს იყო, რომ იგი კარგა ხანია რომელიმე მხეცის იუკმა გახდა და თუ მართლა გამოჩნდებოდა სადმე, აუცილებლად ნადირის ხახით. ან იქნებ თეთრმა დღეებმა გაიყოფინეს თან. ზოგჯერ მისზე ფიქრი ისულელად ეჩვენებოდა და უღარდებოდა ეღიბებოდა. მაგრამ ხანდახან ღამით, რაღაც გაურკვეველი, ცხოველური ინსტინქტი გამოადვიებდა ჩათვლემილს და შუშოთებული ამახვილებდა მისენას, თვალს უშტერებდა ფერდაკარგულ დამეს.

აი ახლაც რაღაცამ ისე დაიჭირა შეაწუხა, რომ თვალები კუცია და მორგევივით კისერი რამდენადაც შეეძლო წაიგრძელა. თვალი შეავლო სადგომს—ყველას ეძინა. ეძინა ყველაზე ფხიზელ ყურახაც. ამან დაამშვიდა. ცას ახედა და დაბერილი ფილტვებიდან შუილით ამოუშვა ჰაერი.

ირგვლივ საეჭვო არაფერი იყო, თუმაც რაღაც გაურკვეველი გრძნობა მაინც არ ასვენებდა და აფრთხობდა.

შორს, ქვეყნის დასალიერს, ცას ნათელი შეეპარა. დაიწყო ფერთა ჯადოქრული მოსვლა-მოხლავება. სამყარო გამოცოცხლდა და ამოძრავდა. მთელ დამეს ფეხზე მდგარი მთები უფერულ ჩრდილებად გახვედნენ დაბლობებში. არეშარე დაფერიანდა, ასვენრდა. ჯერ ერთი გულქრელი მიესალმა დილის მობრძანებას, მერე — მეორე, მეორეს — მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე და რამდენიმე წუთში სამყარო ყალბობით შეავსო მუსიკამ. ყვაველებმა კისკისით გამოანათეს ბრდღვილა ფერებში და ფიანდაზად დაქვარდნენ ფერდობებს.

ტუმ ხარბად შესუნთქა ჟანსალი ჰაერი და უხალისოდ შეიმშუშნა. თვლები ამოისრისა, რაღაც ჩაიბურღლუნა თავისთვის და ორივე ხელით დაეყრდნო კეტს. მამაკაცებისაკენ გააპარა მზერა. მამაკაცები ფეხზე იდგნენ და თვლიდნენ. ესიაოვნა მათი სიფრთხილე. ხალხისით ვახტა პორირობას, უხერხულად მოიქემა კეფა და მხრები შეათამაშა. მსხვერპლს დადარაჯებული ნადიროვით შეათვლივით მიდამო, ყურები ცქციტა. მის მახვილ სმენას ჩქამი ჩაესმა. წინ გადაიხარა და გაიხეფ-გამოიხივდა. ხმაური აღარ განმეორებულა. ისევ დაუფლდა სიმშვიდე. ახლა სხვა რამეზე დაიწყო ფიქრი. წარბები ერთად შეჰყარა. შუბლი დაუნარქდა. იგი გამალებით ფიქრობდა: დღეს, როგორც კი მე ნაკვერჩხალს გაუფერულეხს, ტამო ნიშანს მისცემს და ნადირობისადმი მიძღვნილი ცეკვა დაიწყება. ცეკვის შემდეგ კი, თუ მარად უქრობი ცეცხლი ინებებს, სანადიროდ წაიყვანს ხალხს. ეს იქნება ამ წლის პირველი და ყველაზე დიდი ნადირობა. მის ქეთილად დამთავრებამზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

„ახლა იოლია ხალხის დამორჩილება,—ფიქრობდა იგი.—ყოველდღე სანადიროდ ევილით და მზის შვილზე ფიქრისათვის აღარ ეცლებათ. ძველი ტყავაბაც გაცვდა, გაიქემა, გამოსაცვლელია, ტყავი კი არა გვაქვს. ხორციც აღბრკვეონია კარგა ხანია საძლომად. თეთრმა დღეებმა ხალხი დააბეჩავა და დააჩაჩაწა, უსაქმურობისაგან გარყვნა.—ზიზლით გადახედა კოცონის პირას ორ ახალგაზრდას,—რა ვანდაბა იზიდავთ ამ უბედურებას მყარალი მიწისაკენ. მზის შვილი ამაყუ და დაუნდობელია. განა მის დედაშობებულს—მხესა ჰგავს, რომელიც გვათბობს და ნათელით გემოსავს. რომ შემეძლოს...“

ტუმ ფიქრი შეწყვიტა და შეწუხებულია მიმოიხედა. ისევ ჩაესმა რაღაც ხმა, მაგრამ ვერ მიხვდა, გამსმარი ტრტი ჩამოტყდა ტყეში, თუ შამხნარებში მხეცებმა გაიბრინა. სხვა დროს

**ოთარ სალრაქი**  
ცისფერი კლანტახე



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

ამ უმნიშვნელო ხმაურს ამდენ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ დღეს რატომღაც ყველაფერი აღიზიანებდა და ზედმეტად აფრთხობდა.

„დიდი ხანია აღარ მინადირია და ალბათ ამის ბრალია,—დასაკენა მან,—გადამაიფოყდა მაკოთრი ტყის ეხა“ — მერე სიამოვნების ტალღამ გადაუარა სახეზე და საკუთარ მკერდსა და ხელეზე დაიხედა. ესიამოვნა ქეხსავეთ მკერავით კუნთების თრთოლვა და მორებივით მსხვილი ხელების დანახვა.

„თუ ნადირობამ კარგად ჩაიარა, თეთრი დღეების მეორედ მობრძანებამდე ხალხი მორჩილებში შეეყოლება და ბებერი ტამო ჩემს თავს შეევედრებს ყოველსაშემძლე ცეცხლს. მთავარი, პირველი ნადირი მე მოვკლა, თანაც ერთი დარტყმით“.

ამ უკანასკნელმა სურვილმა ის წყველი დამე მოაკოხა. მაშინაც ერთი დარტყმით აპირებდა მის მოკვლას, მაგრამ არ გამოუვიდა და ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა ავტორიტეტი. ცუდ ხასიათზე დადგა. უხალისოდ აიტაცა კეტი ცალი ხელით და მერე ხელის თრევა-თრევეთ სადგომის შემოვლა დაიწყო. ფეხაკრეფით და შეპარვით მიბიჯებდა. ქურდვით აცეცებდა თვალებს. ყველას და ყველაფერს აყვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავსო. უწესრიგოდ მიყრილ ქალებთან და ბავშვებთან შედგა. მიძიმდ დაუშვა კეტი. დიდხანს ძებდა იგი, ვისი დაპორჩილებაც იმ დამით ვერ მოახერხა. ბოლოს შენიშნა: განაპირად იწვა დედამისის ახლოს და სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. ყურცქვიტას გაქექილი ტყავი სახახვეროდ უფარავდა სხეულს. სპილენძისფერი, სორცასვე ტანი უცნაურად ბზინავდა ძალდაუკარგული კოკონის შუქზე. მკვრივი, შიშველი მკერდი ზომიერად აღი-ჩაუდიოდა. ყელზე ირიბად გაწოლილი მარდვი მშვიდად უძევდა.

ტუმ პირში დაგუბებული ნერწყვი გადაყლაპა, წელიდან დატურებული ტყავის წინსაფარი შეისწორა და სიამოვნებისაგან ხელი-ხელს შემოკპრა.

„უნდა მივეპარო და მოულოდნელად ვეცე“ — გაიფიქრა მან.

კატასავით ფრთხილად გადაბიჯა მძინარე ქალებს, გაინაპირა და თუნძულ-თუნძულით გაეშურა მისკენ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა და თავზე წაადგა.

„იმდამინდელივით, კბენა რომ დამიწყოს,— გაიფიქრა მან,—სინისლასავით მოგახრობ“.

მერე ელვისუსწრაფესად წელში მოიხარა, ცალი ხელი მხარში ჩააყლო და კატის კნუტივით აიტაცა, შემობრუნდა და ბანჯგვლიან მკერდზე მიიზიდა.

გოგო ჯერ კიდევ ბურანში იყო და ბრმად ემორჩილებოდა მის ველურ ვნებას. ტუ უცებ შეკრია. თმა აებურძგნა, აეშლა. ყურები ყურ-კეტიტასავით აუთამაშდა. დამდღერპულივით შე-

უშვა ხელი მსხვერპლს და გოგონა მოწინააღმდეგეცა მიწაზე. გონს მოეგო და შემწინებულმა შეჭკვილა.

ტუმ თვალები დახუჭა. სახეზე სისხლად მოწოლილი ვენბა უტუიქცა. ბრაზისაგან გაფითრდა. გვერდნიდან წუთით ჩამოუჭროლა რაღაცამ და უხმოდ ჩაერპო მიწაში, ზუსტად მის ფეხთან. იგი არ განძრეულა, გაქევადა. ოდნე მოატრიალა თავი, თვლის ქუთუთოები ასწია და ჩასისხლიანებული თვალები მიწაში ჩარქობილი წვრილი თხლის ღეროს გაუშტვრა. ღერო ჯერ ისევე ქანობდა. წინ გადაიხარა, გავეებული ხარვივით დახარა თავი და ნიკაპი მკერდს მიბიჯინა. ასე იდგა კარგა ხანს. მერე მოტრიალდა და წარბებს ქვემოთდან ახედა მოსალოდნელ მოწინააღმდეგეს. ალღომ ამ უღალატა: უახლოეს ბექობზე, იქ, სადაც ჰალები თავდებოდა, ამაყად იდგა მისი მოსისხლი მტერი და უტიფრად უყურებდა.

„შურისძიების ქამი დადგა“—გაიფიქრა ტუმ და რამდენიმე ნახტომით კეტთან გაჩნდა. ბავშვივით აიტაცა ხელში და გულში ჩაიკრა. იმ წამსვე მიეცა ძალი, დამშვიდდა და გათამამდა. თვალები გადაუბრიალა ქალებს. ქალები წივილი-კივილით შემოეკონენ. პირქუშმა მამაკაცებმა, ყოველი შემთხვევისათვის, იარაღი მოიმარჯვეს. ვინ კეტს დაეყრდნო, ვინ ჭკავამომულ ჯოხს წაატანა ხელი, ვინ უბრალოდ გაჩორკინა შუბისმავგარ ტოტს წაუბრინა.

— გათაღდა, დღეს გამიარჯვებს ყველაზე ძლიერი,—წამოიყვირა ტამომ და წამოღდა. ტუსთან მივიდა და მრავალმნიშვნელოვნად ჩახედა თვალებში. ტუმ უხეშად ჩამოიცილა გზიდან და თამამად გადადგა ბექობისაკენ ნაბიჯი.

„მთავარია, ერთი დარტყმით მოკვლა, რომ იმდამინდელი ამბავი არ განძრეოდეს“,—ტეტირობდა და ჯიუტად უახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს.

— კიდევ ნაბიჯი და შენ მოკვლები!—მორჩნა ბექობიდან.

ტუ შედგა. სიბრაზისაგან ნაკვერჩხალივით გაწითლა. კბილები გააკრაქუნა, ერთი კი მოიხედა უკან და ბექობისაკენ ისუქა.

ტუმ ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როდესაც მან შვილდევით მოხრილი ხე მარცხენა ხელით ასწია. მის ბოლოებზე გამობმულ ლიანას თხლის წვრილი ტოტი გამოსდო და ლიანა, რაც შეიძლებოდა, დაიჭიმა. მერე უცებ გაუშვა ხელი და გაირინდა.

ტუმ დაიბდავლა. მკერდზე იტაცა ხელი და მიწას დაენარცხა, ტკივილებს სძლია, წამოხტა ფეხზე, მაგრამ ისევ დაცა და აფართხალდა. ორივე ხელით ჩაქვიდა თხლის წვრილ ღეროს და მკერდიდან ამოძრობა სცადა, მაგრამ ამაოდ. რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო მეტად მოსჩქეფდა სისხლი ჭრილობიდან. სხვა რომ გე-

რადვერი მოახერხა, ჯოხი კურილობაშივე გადატეხა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. იგი აღარ ბღაოდა. მხოლოდ გამწვანებული ზეჟოდა და ამოდ ლამობდა ფეხზე წამოდგომას. ერთი-ორჯერ ჩაიმუხლა კიდევ. მაგრამ პირქვე ჩაემხობოდა თვალცრემლიანიმამ განუტევა სული. უკანასკნელად ესლა გაიფიქრა:

„რაც მოთავარია... ერთი დარტყმით უნდა მოგ...“

მეტე აღარ დასცალდა. მისი დაუდგრომელი სული ნოტიო მიწამ მიიბარა.

იგი დინჯად ჩამოვიდა ბექობიდან, ჯერ კიდევ თბოდ გემას მითახლოვდა, ფეხი ვაკპრა, ვაასწორა და ზედ შედგა. გამარჯვებული სახით გადახედა თავზარდაცემულ ხალხს. მეტე მსუბუქად ჩამოხტა ძირს, ტუს კეტს წამოავლო ხელი, ემძიმა, მაგრამ არ შეიმჩნია და სადგომას მითახლოვდა. ხალხი ორად გაიყო და გზა მისცა. თავაწუქულმა გაიარა მათ შუა, კოცონთან მივიდა და ტუს ხელისუფლების სიმბოლო—კეტი ცეცხლში ისროლა.

გმინვა აღმოხდა ხალხს. ბებერმა ტამომ უკმაყოფილოდ ჩაიბურღლუნა რაღაც, მაგრამ სწრაფად გაჩუმდა და ფართოდ მზერა გააპარა ტუს კეტისაკენ. გამომშრალ ხის შირს ხარბად ლოკავდა ცეცხლის ენები და ვეებერთელა კუნძი თვალისდახამხამებაში დანაკვერჩხლდა; ტამო გაცოცდა.

„გათავდა, ყველაფერი გათავდა“,—ფიქრობდა იგი და კოცონს თვალს არ აშორებდა. თანდათან გაუარა დაბნეულობამ. კოცონის გარშემო დაიწყო ქოთქოთი და ყველას ყურადღება მიიპყრო. მისგან ელოდნენ ამ გაუფიქრარი ამბის ახსნას. ეს ტამოს კარგად ესმოდა, მაგრამ პასუხისათვის დრო იყო საჭირო და სწორედ ამიტომ დაიწყო კოცონის გარშემო ხტუნვა. ბოლოს შედგა, გაშუშდა, ორივე ხელი ზეადაყრო და გადმოკარკულული თვალები ცეცხლის აღს გაუშტერა.

— აღსრულდა! — აღმოხდა მას, — გაიმარჯვა უძლიერესმა. დღეიდან ჩვენი წინამძღოლი მშის შვილის მეგობარი იქნება, ჩვენ კი მისი ნების აღმსრულებელინი და მორჩილნი. ასეთია ყოვლისშემძლე ცეცხლის ნებასურვილი.

ცხოველური მორჩილებით გადახედა ტამომ ახალ წინამძღოლს და ხელით ანიშნა, კოცონთან ახლოს მისულიყო. წინამძღოლი სიამაყისაგან წამოწილდა, მაგრამ უხერხულობას სძლია. კოცონთან მივიდა და ყველას გასავონად თქვა:

— ნადირობის დღეს სხვა დროს დაენიშნავ. ახლა ქალები წავლენ შიშველი მთის ძირას და ჩემს ნანადირევს მოიტანენ. ხორცი ბლომად აჩის, ბევრ დღეს გვეყოფა.

თქვა ეს და განერხდა აღტაცებულ ბრბოს. დიდცხერია ლოდთან მივიდა, მხრიდან მშვილ-

დი მოიხსნა, ქამრიდან ისრები ამოაცურა მოწიწებით დაალავა მიწაზე. მეტე გვერდით მიუქდა, ხელი მოუფოტუნა გამომშრალ ხეს, ზურგით ლოდს მიესვენა და ოცენებაში წასულმა, ჩასთვლიდა.

●

იგი უჩვეულო ხმამ გამოაფხიზლა, მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდა, რაღაც ძალამ ჰაერში აიტაცა, რამდენჯერმე ამოატრიალა და მიწას დაანარცხა. მწარე ტკივილის მიუხედავად, სწრაფად წამოხტა, მშვილდისაჩს ხელი წამოავლო და შემოფოტუნა მიმოიხედა.

ირგვლივ გაუგონარი ამბავი ხდებოდა: მთები და ბორცვები ირყეოდა, მიწა ზანზარებდა, რამდენიმე ადიღლას ღრმა ნაპარს დაედო პირი. ძირიანად ამოგლეჯილი ვეებერთელა ხეები უწესრიგოდ ეყარა. ზოგიც მიწაზე იყო გაქრული, ბალახივით. უფრო ხმელ ხეებს ცეცხლი ეკიდა, ახლო-მახლო ბუჩქები დაფერფლილიყო. ჰაერში წყლისა და მტვრის ბორი იდგა. მზე სავსე მთვარესავით ეკიდა პირიზონტზე და ყველაფერს რაღაც ცეცხლიანი, მოყვითალო-მონაცრისფრო ელფერი გადაჰკრავდა. საოცარია, რაღაც ერთი წუთით ჩასთვლიმა მხოლოდ და როგორ შეიცვალა ყველაფერი.

საღდაც შორს, გულისშემამონებლად წუთოდა რაღაც და თუმცა ხმა თანდათან სუსტდებოდა, მაინც ისე ჭრიდა სმენას, რომ სხეული თრთოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა. აქა-იქ ცოცხალ-მკვდარი აღამიანები ეყარნენ. მისგან ხელმარცხნივ, სულ ახლოს, ჩამქრალ კოცონთან, გულაღმა ამოტრიალებული ტუს ვკამე ეგდო. ჩამოცხა. ბურუსი აიშალა, ზევით აიწია და იქექა. მეტე ცხელმა ნიაგმა წამოუბერა და წამით ცა ვახისნა. მან თავი ასწია და თუმცა მშის ელვარებამ დააბრმავა, მაინც შეავლო თვალი, როგორ მიფრინავდა მშისკენ ცეცხლოდებულები ჰატარა ბურთი.

„წაივოდა, მზეს დაუბრუნდა“, — გაიფიქრა მან.

ცა დიდხინია შეიკრა, წვიმამაც მოუხშირა, მაგრამ იგი ძველებურად თავაწუქული იდგა და თვალდახუტული მაინც ხედავდა მშის შვილს, გრძნობდა მის ძალასა და სიდიადეს. იდგა განუწმრტებლად და მისი სველი სხეული ბრინჯაოს ქანდაკებასავით ლაღლაებდა პირველყოფილი ბუნების ფონზე.

●

როდესაც სათადარიგო ძრავები გამოერთოდა და სპირალიდზე ხელოვნური მიზიდულობა

**ოთარ საღრაძე**  
ცისხვარ კლანებატე

ჩართეს, პირველი შტურმანი სასტარტო აბა-  
ზანიდან ამოძვრა და სამართავ პულტთან მოი-  
კალათა. მეორე შტურმანს უკვე დაეწრო მის-  
თვის და სტარტის დროს დაშვებულ შეცდომებს  
ასწორებდა. ხომალდი თანდათან გადადიოდა  
ძირითად კურსზე.

— მე შეგონა, უფრო გაძნელებოდა სტა-  
რტი,—გაიფიქრა პირველმა შტურმანმა,—ურ-  
უდან აფრენა უფრო მტკიცეული იყო.

— პლანეტის ატმოსფეროს აფეთქების ეში-  
ნოდან, — უპასუხა მეორემ.—მაგრამ საბე-  
დნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. უც-  
ნაური პლანეტა იყო,—დაუმატა მანვე ცოტა  
ხნის შემდეგ.

— მე კი ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით  
ფერთა გამა და ორ ქვედა კიდურზე მოარუ-  
ლი სასაცილო ცხოველები. სიამოვნებით ვიცი-  
ხოვრებდი ამ პლანეტაზე, ამდენი ჟანგბადი  
რომ არ იყოს. იგი ისეთი პატარა და საყ-  
ვარელია, რომ ზუსტად ერთი ოკეანისთვისაა  
განკუთვნილი. ასეთი ბუნებრივი თანამგზავ-  
რები მაინც მისცა ურუს,—ინატრა მან.

— მე კი არასოდეს ვისურვებდი ასეთ პლა-  
ნეტაზე ცხოვრებას. ერთი დღეც იქნება, ჟან-  
გბადი აფეთქდება და მერე მშვიდობით სიცო-  
ცხლეც კოსმიურ მტერად იქცევა შენი პლა-  
ნეტა.

— ეგ არ მოხდება, — არ დაეთანხმა პი-  
რველი,—მალე იქ მოაზროვნე ცხოველები  
გაჩნდებიან, ჩამოყალიბდება ადამიანი. გახ-  
სოვს, რა ქვეიანი თვალები ჰქონდა იმ ორ  
კიდურზე მოარულ ცხოველს, ჩვენს შორიან-

ლო რომ დადიოდა და გვითვალავდებოდა.  
ხიმმა მისი ტენის იმპულსები ჩაიფრებდა.  
გაშიფვრისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შე-  
იძლება კიდევ აზროვნებდესო. ყოველშემთხვე-  
ვაში იმპულსებს შორის გარკვევით შეინიშ-  
ნება ლოგიკური თანმიმდევრობა.

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა მეორემ,—  
ორგანული სიცოცხლის განვითარების ცნო-  
ბილი თეორიაა. გაჩნდება ადამიანი, შემდეგ  
საზოგადოება, ცივილიზაცია, პროგრესი. შე-  
იქნება კულტურა, დაიხვეწება ფორმა. მაგრამ,  
სამწუხაროდ, ჯერ არვის უნახავს მისი თუნ-  
დაც ორგანიზებული ფორმა.

— მაგრამ ჩვენ ვნახეთ მისი ჩანასახი, ვნა-  
ხათ მის კლასიკურ ფორმასაც. პო მართლა,  
ხომ არ იცი, რა შეარქვეს ამ უცნაურ პლა-  
ნეტას?

— დედამიწა უწოდეს.

— დედამიწა? — გაიმეორა პირველმა. —  
მე მომწონს ეს სახელი და თუ ოდესმე კვლავ  
მომეცა საშუალება, აუცილებლად ვესტუმ-  
რები.

სპირალიდი გაცდა ყვითელი მზის მიზი-  
დულობის სფეროს და ძირითადი მარშრუტის  
ელიფსოიდის შემოვლა დაიწყო. იგი თან-  
დათან უმატებდა სიჩქარეს და მალე კოს-  
მოსის ხვერდლოვან სივრცეში პატარა ვარსკე-  
ლავად აკიაფდა, მერე ელვარე წერტილად იქ-  
ცა და ბოლოს, სამყაროს უკიდვარო სივრ-  
ცეში გაუჩინარდა.





ოთხმოცი წლისა შესრულდა მსცოვანი ქართველი საბჭოთა პოეტი და დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი. აჟრნალ „ცისკრის“ რედაქცია და რედკოლეგია მრავალათასიან მადლიერ მკითხველთან ერთად სულითა და გულით ულოცავს გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ამ სახელოვან იუბილეს, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს მშობლიური კულტურის საკეთილდღეოდ.

ნოდარ ჩხეიძე

## სანდრო შანშიაშვილი

XX საუკუნის ათიან წლებში ახალგაზრდა ქართველმა პოეტებმა შექმნეს შინაარსითა და ფორმით ახალი ქართული ლექსი. ეს სიახლე პირობითი ცნებაა. ის გულისხმობს ტრადიციის როგორც განვითარებას, ისე, ნაწილობრივ, უარყოფას. ის გულისხმობს ახალი, ეპოქით პირობადებული იდეების, თემების, პრობლემებისა და შთაბეჭდილებების პოეტურ დამუშავებას, ლექსის ვერსიფიკატორულ გამრავალფეროვნებას, პრინციპულ სიახლეება მხატვრული აზროვნების ხასიათში. ეს პროცესი გარკვეულად დასრულდა ოციან წლებში და ტრადიციად ექცა მთელს შემდეგდროინდელ ქართულ პოეზიას.

ამ ახალი ქართული ლექსის შექმნაში თავისი მნიშვნელოვანი, გვერდაუვლელი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა

ქართველმა პოეტმა და დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა. ახალი პოეზიის მედროშედ თვლიდა სანდრო შანშიაშვილს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის გემოვნების ერთ-ერთი მეტრი და კანონმდებელი კიტა აბაშიძე. სანდრო შანშიაშვილზე დიდ იმედებს ამყარებდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე. არ დარჩენილა ქართული მწერლობის თითქმის არც ერთი მკვლევარი და კრიტიკოსი, რომელსაც არ შეეცნაველოს სანდრო შანშიაშვილის შემოქმედება, მისი პოეზია, პროზა და დრამატურგია.

პოეტის პირველი ლექსებისათვის უპირატესად უსთეტიზმი, უსავნო სევდა და სენტიმენტალიზმი და მამასიათებელი. ის წერს უიმედო სიყვარულ-

ზე, გამიჯნურებულ რაინდებზე, კომკმ  
ტყვედქმნილ ქალწულებზე:

დაბურულ ტყე-ღრეში გრიგალი ჰქრის!  
მთაბარი ზანზარებს, ვრიალებს, თრთის!  
მერანო მხედრისა ჭიხვინებს, რბის!  
ოხშივარს ნესტოდან ფრტუტნით ჰყრის!  
სად მიჰქრის მხედარი? რა უნდა ვის?  
შებნელო კოშკია თხემშედა მთის!  
იქ რძალი ზენარი სარკმელთან ზის!  
გაჰყურებს მიდამოს, მწარედა სტირს!  
რა ნაღველს შეჰყრია, რა სევდა სჭირს?  
— მიჯნურსა მოსტაცეს, ტყვე არის ის!  
(1905).

ახალგაზრდა პოეტთა უმეტესობის  
მსგავსად, განურჩევლად ეპოქისა და  
ეროვნებისა, მასაც არა სწამს მარა-  
დიული სიყვარული, მაგრამ ის უარს  
არ ამბობს წუთიერ სიამოვნებასა და სი-  
ხარულზე:

— ცელქო ქალო, მოდი დამით!  
ნიშანს მოგცემ სანათით!  
თუ არ დაჰყოფ ჩემთან მარად,  
დარჩი ერთი საათით!  
ერთი კოცნა და გავშორდეთ!  
სხვას რას მოთხოვ სიხარულს?  
მართალი ხარ, ვერსად ეპოვებთ  
სამუდამო სიყვარულს.

მაგრამ ამავე პერიოდში დასწერა  
პოეტმა ოპტიმისტური, მოქალაქეობ-  
რივი პათოსით აღბეჭდილი ლექსები.  
მხტვრავლედ გამოეხმაურა 1905 წლის  
რევოლუციას, და 17 წლის ყმაწვილმა  
უკვე განსაზღვრა თავისი პოლიტიკური,  
სოციალური და პოეტური მრწამსი.

მედვარ ბრძოლისთვის ყველა ავძარით,  
გაიბრიალებს ცივი ხანჯალი.  
უნდა დაინგრეს ძველი ტაძარი.  
ხვალ იერიშით მივდივართ მტერზე,  
ავაგებთ მტარვალს მახვილის წვერზე.  
თავისუფლება ვის არ სწყურია:  
ქმებო, გამოდით, გვიხმობს გურიი!

ამ ლექსის გამოქვეყნება გახდა  
ერთ-ერთი მიზეზი პოეტის დაპატიმრე-  
ბისა. მაგრამ მას საერთო-სახალხო,  
ეროვნული ინტერესებისათვის, რევო-  
ლუციის ინტერესებისათვის არასოდეს  
ულაღატნია. არ უღალატნია მას არკ  
რეალისტური პოეტური მეტყველებისა  
და კანონებისათვის და თავისი მოქა-

ლაქეობრივი და პოეტური  
ბოლომდე ერთგული დარჩა. მისი ხა-  
სიათი და ბუნება კარგადაა გამოხატუ-  
ლი 1911 წელს დაწერილ ლექსში „მიყ-  
ვარს ცხოვრება“.

მიყვარს ცხოვრება მოუსვენარი,  
ვით ზღვა მქუხარი, მარად მღელვარი,  
თამამად სცემდეს ოცნების ფრთენი,  
ცხარე ბრძოლაში დავლიო დღენი!

1911 წელს სანდრო შანშიაშვილი  
საზღვარგარეთ წავიდა. ის სწავლობდა  
ციურინსა და ბერნში, შემდეგ ლექ-  
ციებს ისმენდა ბერლინისა და ლაიფცი-  
გის უნივერსიტეტებში. მას აინტერე-  
სებდა ხელოვნება, ფილოსოფია და,  
განსაკუთრებით, ბერძნული მითოლო-  
გია. საზღვარგარეთ ყოფნის ეამს და-  
წერა მან მრავალი ლირიკული ლექსი,  
პოემა და ბალადა. მათში პოეტმა გად-  
მოსცა სამშობლოსაგან დამორებით კი-  
დეგ უფრო გამძაფრებული სიყვარუ-  
ლი თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხი-  
სა. აქვე იჩინა თავი პირველად პოე-  
ტის დაინტერესებამ ქართული ისტო-  
რიით, მისი ფოლკლორით, მითოლოგი-  
ითა და კულტურით. ის ახლებურად  
იაზრებს და გადმოსცემს ტრადიციუ-  
ლი მითების სიუჟეტებს. დიდ მნიშვნე-  
ლობას ანიჭებს მითოლოგიურ პერსო-  
ნაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებსა  
ხატვას, მათს სულიერ მდგომარეობებს.  
როგორც პოეტი და დრამატურგი, სან-  
დრო შანშიაშვილი ზედმიწევნით და-  
ძახული, ტრაგიკულამდე ამადლებული  
სიტუაციებისა და მდგომარეობების  
მხატვარია. ციურინში დასწერა მან  
1911 წელს პოემა „იასონი და რენო“.  
ძნელი არაა, რენოს დარდსა და წუხილ-  
ში მკითხველმა უცხოეთში. გადახვე-  
წილი პოეტის ფიქრი და გულისტკი-  
ვილი ამოიკითხოს:

ეჰა, ცრემლო, რა ტკბილი ხარ,  
ოდეს ისმენ გულის ფრთხილს.  
ეჰა, ცრემლო, რა მწარე ხარ,  
როს ეცემი მკერდზე ტრფილს.  
მოგშორდება, მეტად იწყებ  
ჩაბნელებულ თვალზედ კრიალს.  
შენში ვპოვებო სულის შევას,

შენითვე ესვამთ შხამის ფიალს!  
 ოპ. ნეტავ შენ წარბოცავდი  
 ამ უკუღმართ ბედის ტრიალს.

მთის ნიაგმა ოდნავ დამკრა,  
 თან მომიძღვნა შავი გლოვა;  
 შაშვმა ბუჩქში ჩაიკენესა:  
 აღარ მოვა, აღარ მოვა!

პოი, გედო, თეთრო გედო!  
 გადფრინდი უცხო მხარეს!  
 იქა ნახავ გულის სატრფოს,  
 მონავარდესს, მოვლვარდესს;  
 უთხარ, თუ ვით სევდის ცეცხლი  
 მღვრევიწინებს ცრემლსა ცხარეს.

(1911, ციურხიზი)

სანდრო შანშიაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის მუსიკალურ აზრს. მოვლენის საერთო ხასიათს ის უფარდებს ლექსის რიტმს, ასევე განწყობილებასა და სულიერ მდგომარეობას შესატყვისი პოეტური მელოდიით, ხან ნაღვლიანითა და ელეგიურით, ხან კი აღგზნებული და დინამიური მელოდიით გადმოსცემს. მის ლექსებში, ისევე როგორც იმ დროინდელი სხვა ქართველი პოეტების ლექსებში, სტიქიურად იჩინა თავი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განსაკუთრებით ტექნიკური პროგრესის გამაღებულმა და მრავალფეროვანმა რიტმმა. საერთო პოეტური ამოცანა ის იყო, რომ ამ რიტმებს, თითოეულ მწერალთან ორგანიული და ინდივიდუალური, მათი ფსიქიკისა და მსოფლმხედრების შესაფერი სახე მიეღო და დამოუკიდებელი ღირებულება შეეძინა. ეს რიტმები პოეტურ ფენომენად, ფიზიკური, სოციალური და ფსიქიური სინამდვილის მხატვრულად ამსახველ ფორმად უნდა ქცეულიყო. ამ მხრივ, სანდრო შანშიაშვილმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული ლექსის განახლების საქმეში. მისი ლექსი მრავალფეროვანია. მის პოემებსა და ბალადებში, ხშირად ცალკეულ ლექსებშიც კი გამოყენებულია სხვადასხვა რიტმი. ამ რიტმულ სხვადასხვაობას განაპირობებს როგორც განსხვავებული

მეტრული ზომები, ისე, ერთსა და იმავე მეტრულ საზომში სხვადასხვა ტონალობისა და სიმძაფრის მუხლთა არსებობაც.

უკვე 1916 წელს სანდრო შანშიაშვილმა პოლემიკურ ლექსში „თუ რევას მკითხავ“ გამოთქვა თავისი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი დებულებები. ეს დებულებები ეხება პოეტის მისიას, მის დანიშნულებას, მის დამოკიდებულებას ლექსთან, მკითხველთან და საკუთარ თავთან. შანშიაშვილის ღრმა რწმენით, მკითხველმა პოეტის შემოქმედებაში საკუთარი თავი უნდა დაინახოს და მისი თანამზრახველი გახდეს. მან უნდა შეადუღაბოს აზრი და გრძობა, რათა ლექსს მისცეს ღრმა შინაარსი და სიღამაზე. პოეტი წინააღმდეგია უსაგნო ლირიკისა და ცრუ ოცნებების ისევე, როგორც გაუმართლებელი ძიებებისა და მხოლოდ ტექნიკური სრულქმნილებისა. ამავე დროს, ის უარყოფს, როგორც ხელოსნობას, ისე უსისხლო ესთეტიზმს. მთელს ამ პოლემიკაში ნათლად ჩანს შანშიაშვილის დამოკიდებულება იმდროინდელ პოეტურ მიმართულებებთან: სიმბოლიზმთან, ფუტურისტთან, დადიზმთან, იმპიინიზმთან და ა. შ. თუ კარგად შევაფასებთ იმ განვლილ ეპოქას, უნდა აღვნიშნოთ, რომ შანშიაშვილი მათი პრინციპული წინააღმდეგი იყო უმთავრესად მსოფლმხედველობრივსა და იდეოლოგიურ სფეროში.

ამავე დროს პოეტმა ხაზი გაუსვა მისი ლექსებისა და პოემების ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს. „მე ლექსიც არ მწამს ამბის უთქმელი და, მით უმეტეს, პოემა ვრცელი“. მართლაც, შანშიაშვილის თითქმის ყველა პატარა ლექსიც კი, არა თუ ბალადები და პოემები, რაიმე ამბავზეა აგებული. სიუჟეტს განსაზღვრავს რაიმე თქმულება, პერსონაჟის თავგადასავალი, შემთხვევა მისი ცხოვრებიდან. პოეტის ყოველი ლექ-

**ნოდარ ჩხიძე**  
 სანდრო შანშიაშვილი



სი კლასიკურ ქარგაზეა აგებული: იწყება და სრულდება. ის ბუნებით ეწინააღმდეგება მხოლოდ განწყობილებებისა და შთაბეჭდილებების ხატვასა და გაღმოცემას. ამდენად, ის უარყოფს მოდერნისტული ხელოვნების თემას, შთაბეჭდილებიდან და განწყობიდან საგნისა და მოვლენისაკენ მიმავალ გზას. თუ რა მხატვრულ დონესა და სიმაღლეებს აღწევს პოეტი ეს, რა თქმა უნდა, სულ მთლად შემოქმედებით პრინციპებზე არაა დამოკიდებული. გადაწყვეტი მნიშვნელობა, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, შემოქმედის ნიჭიერებასა და აზროვნების სიღრმესა აქვს.

სანდრო შანშიაშვილის ლექსიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი პოეტური მეტყველება მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ ხალხურ პოეზიასთან. შეიძლება, ამ მხრივ, მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პარალელის გავლება. ხალხურ შემოქმედებასთან ნათესაობაზე ლაპარაკობს არა მარტო ცალკეული პოეტური მეტაფორები და სახეები, არამედ ავტორის დამოკიდებულებაც მასალასა და თემასთან.

ამის საილუსტრაციოდ გამოვდგინათუნდაც 1945 წლის 9 მისით დათარიღებული ლექსი „გამარჯვების სიმღერა“:

იმ მახარა გაზაფხულზედა,  
ვარდი მეყარა უხედა გულზედა,  
მზემ დაანათა იაღბუხზედა,  
ხმა აგუგუნდა მინდვრად, ხნულზედა:  
გაუმარჯვით ომში წასულებს.  
ცხრა მაისია! რა ხალისია!  
რა საზეიმო სამზადისია!  
თვალში ცრემლი მაქვს სიხარულისა!  
ვადამხევი, შენი გულისა...  
ვაუმარჯვით ომში წასულებს.

როგორც პოეტი, სანდრო შანშიაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საგანთა ფიზიკური ხელშესახებლობით ხატვას, ჭეშმარიტად პლასტიკურ ფერწერას. მისი პეიზაჟები, გმირები, ცალკეული საგნები თუ მოვლენები კომპოზიციუ-

რი მთლიანობითა და დასრულებულობით გამოირჩევიან. ის ეძებს და პოულობს ზუსტ და მეტად არსებით დეტალებსა და ნიშანდღეებს. ამ მხრივ შანშიაშვილი ძალზე ახლოს დგას ეაყადწვევლას პოეტურ კულტურასა და პოეტურ ტრადიციებთან.

ძმულს აწოვებს ალაზანს  
გალმა-გამოლმა მწვერაღანი.  
წყალნი ავრერივ მორბიან,  
თითქოს თმას შლიან მხეველნი.  
შუამას მოწმენდილია,  
დაბლა კვსავენ ელვანი.

ანდა, აი, რამდენიმე ნაწყვეტი კახეთისადმი მიძღვნილი ცნობილი ციკლიდან:

არ ავზნებია წას გული  
ზექვეყნითი ალითა,  
არ გამსქვალულა წინაპრის  
სიამაყით და ძალითა,  
ვისაც კახეთი სამოთხე  
ჯერ არ უნახავს თვალითა!

კახეთზე, მის ხელთქმენელ სილაპაზეზე, მის ტრაგიკულსა და პეროიკულ ისტორიაზე დაწერილ პოეტურ წიგნთა შორის სანდრო შანშიაშვილის ლექსებს მეტად საპატიო, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. პოეტმა იშვიათი გულწრფელობით, უბრალოდა და სადად გამოხატა თავისი უანგარო სიყვარული სამშობლო მხარისადმი:

კახეთის დილაჲ, გრილის ნიათი,  
დაპრილ გულს ჰკურნავ, ავსებ სიამით!  
კახეთის ველო, გომბორის კალთავ,  
რაოდენ სიტკბოს გრძნობისთვის ხლართავ!  
ხსოვნა თან დამაქვს გულში მარადის,  
შენ, საყვარელო კუბოს კარამდის!

სანდრო შანშიაშვილის პოეზია ჩვენი სამშობლოს ცხოვრებისა და ბრძოლის მატანეა. ის აღტაცებით შეეგება ოქტომბრის რევოლუციას და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას. თავისი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ბალადა „დღესერთა ლენინთან“ მან სამოქალაქო ომსა და ინტერვენტთა წინააღმდეგ გადახდილ გმირულ ბრძოლებს მიუძღვნა. ეს ბალადა საუკეთესოა ომზე დაწერილ ქართულ

პოეტურ ნაწარმოებთა შორის. ალბათ ვერც ვიპოვიდით მკითხველს, რომელსაც არ ახსოვდეს ეს სევედიანი და ლამაზი ისტორია ქართველ დედასა და ლენინთან ერთად მეტროპოლ, ვაჟაკურად დაღუპულ ჯარისკაცზე.

და იმ დღიდან მოელის...  
გარეთ ცივა... ჰქრის ქარი!  
ზის და უცდის ვულშეკდარი  
დედისკრთას შთის ქალი.

პოეტის ლექსებში ასახვა ჰპოვა საბჭოთა ხალხის გმირულმა შრომამ კოლექტივიზაციისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში; დიდი სამამულო ომის დროს სანდრო შანშიაშვილი წერს ლექსების დიდ წიგნს საბჭოთა ადამიანების მამაცობაზე. მისი ყოველი ლექსი სიმხვევითა და რწმენით, მოქალაქეობრივი და პატრიოტული შეგნებითაა აღბეჭდილი. ომის დამთავრების შემდეგ პოეტი ეხმაურება ქვეყნად გაჩაღებულ აღდგენით სამუშაოებს; ის კვლავ დიდი სიყვარულით წერს თავის სამშობლოსა და ხალხზე, ადამიანთა უპირველეს მოვალეობაზე საზოგადოების და ქვეყნის წინაშე.

მაგრამ კიდევ უფრო დიდია სანდრო შანშიაშვილის წვლილი ქართული დრამატურგიისა და თეატრის აღორძინების და განვითარების საქმეში. ქართული თეატრის ისტორიაში არის პერიოდები, რომელსაც თავამად შეიძლება შანშიაშვილის ხანა ეწოდოს.

ქართულ თეატრსა და დრამატურგიას მან განუზომელი ვალი დასდო არა მარტო თავისი შესანიშნავი, იმ დროისათვის უმნიშვნელოვანესი ორიგინალური პიესებით, არამედ გადამოთარგმნილი, გაქართულებული და ეროვნულად ამეტყველებული ნაწარმოებებითაც. მის პიესებზე თაობები აღიზარდა. აღიზარდა, როგორც მკითხველები, ისე თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები. მრავალი გამოჩენილი და მხტოვანი ქართველი მსახიობის შემოქ-

მედებითი გამარჯვებები სანდრო შანშიაშვილის პიესებთან და მის გმირებთანაა დაკავშირებული. არიან მსახიობები, რომლებმაც სახელი გაითქვა შანშიაშვილის პიესებში თამაშით. არა ერთსა და ორ ქართველ რეჟისორს მოუპოვებია პოპულარობა და სახელი შანშიაშვილის პიესების დადგმით. ცხადია, რომ შანშიაშვილის პიესებზე ეხმაურებოდა ჩვენს თეატრალურ მიღწევებს თავიანთი შემოქმედებითი პრინციპების დადგენასა და განხორციელებაში. და ამ მხრივაც მეტად დიდი მისი დამსახურება ქართული თეატრისა და, საერთოდ, ქართული ხელოვნების წინაშე.

სანდრო შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის ორმოცდაათამდე პიესა. ამ მხრივ, მისი ნაყოფიერება გაოცებას იწვევს. მწერლის პირველი პიესა „ბედი მგოსნისა“ 1910 წელს გამოქვეყნდა. მას საფუძვლად დაედო ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ტრაგიკული ბიოგრაფია.

შემდგომ წლებში თავი იჩინა რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა პოლიტიკურმა და მოქალაქეობრივმა დაბნეულობამ, ამ დაბნეულობიდან თავის დასაღწევად მიმართულმა ძიებებმა, ლიტერატურულმა გავლენებმა და სანდრო შანშიაშვილი ზედიზედ სწერს თავის მეტად განმაურებულ სიმბოლისტურ პიესებს „შეგების თავდას“, „მეფე მგოსნის“, „ბერდო ზმანისა“ და „ლატავრას“. საკმარისია ითქვას, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ამ პიესების გამოქვეყნებამდე და დადგმამდე იცოდა მათი შინაარსი. იმართებოდა ცხარე და თითქმის დაუსრულებელი დისკუსიები პიესების თემის, პრობლემატიკის, იდეური გააზრებისა და მხატვრული გადაწყვეტის ირგვლივ. ამ დისკუსიებში ზშირად მონაწილეობდნენ ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულეები ივ. ჯავახიშვილი, ირ. ევდოშვილი, გიორგი ლეონიძე და მრავალი სხვა.

ნოდარ ჩხიშია  
სანდრო შანშიაშვილი

მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე სანდრო შანშიაშვილი კვლავ მტკიცედ და საბოლოოდ მიუბრუნდა რეალისტურ პრინციპებს. ეს განაპირობა მისი პიესების რევოლუციურმა თემატიკამ, საზოგადოებრივი ყოფისა და ცხოვრების საჭიროებებთან პრობლემატიკამ.

რუსთაველის სახელობის თეატრის ისტორიაში დაუვიწყარი ფურცლები ჩასწერეს სანდრო შანშიაშვილის ორიგინალურმა და გადმოკეთებულმა პიესებმა. „სპარტაკი“, „ჰერეთის გმირები“, „ამბოკარი“, „ანზორი“, „ფეოდალური“, „არსენა“, „კრწანისის გმირები“, „ხევისბერი გოჩა“, — აი, მეტად მოკლე სია იმ პიესებისა, რომლებიც მთელი ოცდაათი წლის მანძილზე ასულდგმულებად ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

1936 წელს მოსკოვში რუსთაველის თეატრმა მაცურებელს აჩვენა შანშიაშვილის პიესა „არსენა“. სპექტაკლმა უმაღლესი შეფასება და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. „არსენას“ ავტორი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო გასტროლების შემდეგ პიესის დამდგმელ რეჟისორს აკაკი ვასაძეს და არსენასა და ანზორის როლის შემსრულებელს აკაკი ხორაგას

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ.

●

სანდრო შანშიაშვილის მთელი შემოქმედება აღბეჭდილია რევოლუციური რომანტიკით, ზღვა ენერჯითა და ჭეშმარიტად ქართული ტემპერამენტით. მოკრძალებას იწვევს არა მარტო მისი ნიჭი, არამედ მისი ნებისყოფა და იშვიათი შრომისმოყვარეობა. ის მეტად სასიამოვნო, გულისხმიერი, ხელგამწილი და პირდაპირი კაცია. მრავალი ქართველი მწერლისა და მოქალაქისათვის გაუქაფია მას ცხოვრების გზა. მრავალი მეგობრისა და ამხანაგისთვის გაუმართია ხელი. მისი სტუმართმოყვარე ოჯახის კარი მუდამ ღია იყო და არის ყოველი პატიოსანი და მართალი კაცისთვის, და თვითონაც მუდამ ნანატრი და სასურველი სტუმარია. მომავალ წელს სანდრო შანშიაშვილი 80 წლის გახდება. მისი დაბადების დღეს ვეღარ დაესწრებიან გერონტი ქიქოძე და გიორგი ლეონიძე, მაგრამ მასთან იქნება მისი ყველა მეგობარი და პატივისცემული, მასთან იქნებიან რამდენიმე თაობის მოხიბლული მკითხველები.





# პროზა და პუბლიცისტიკა

რედაქციის მიერ

## სხალგაზრდული პოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემეტიკა

მამ გაუმარჯოს, დღევ დღევანდლო,  
შენს შეუცდომელ და მტკიცე რწმენას.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

გვეტყვით ნახს და ამ წერილში ახალგაზრდა პოეტებად აღარ ჩავთვლით ზაურ ბოლქვაძეს, გივი გეგეჭკორს, ანა კალანდაძეს, ნაზი კიკლასონიას, მუსხრან მაჭავარიანს, შოთა ნიშნიანიძეს, ჩანსულ ნიჭაბაძეს, მორის ფოცხიშვილს, ვახტანგ ჯავახიძეს, ამის საშუალებას გვაძლევს მათი ასაკიც და მათი უკვე საკმაოდ ნათლად გამოკვეთილი ლიტერატურული პროფილი. აქ შევეჩებით მხოლოდ იმ ახალგაზრდების შემოქმედების ნაწილს, ვისაც ჯერ კიდევ უკან მიჰყვება თავისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯების სმა და ვინც ჯერ კიდევ მხოლოდ ეშვადება მწერლობის დიდ გზაზე გასაბიჯებლად. ამ ახალგაზრდა პოეტების არასრული სია შემდეგნაირად გვესახება: ანზორ აბულაშვილი, რეზო ამაშუყელი, დილარ ივარდავა, გენო კალანდია, ტაგუ მებურიშვილი, ბიძინა მინდაძე, ლიანა სტურუა, იორამ ქემერტელიძე, ბესიკ ხარანაული, ლია ჰაჭავაძე, ახლაზნ გამოქვეყნებული თაიანთი პირველი ლექსებით უტრადლება მიიქციეს მარი გველესიანმა, რა ორჯონიკიძემ, ალი გუგუციძემ, თედო ბექიშვილმა, გივი ალხაზიშვილმა, ვანო ჩხიკვაძემ, ჯარჯი ფხოველმა, ბალათერ არაბულმა...

ახალგაზრდა პოეტობა და პოეტის ახალგაზრდობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებები როდია. ვფიქრობ, ახალგაზრდა პოეტი, რომელიც თავისი ასაკითაც და ლიტერატურაში მოტიანი წილობითაც ჯერ კიდევ დაწმენდის, დადუღების, თავისი ადგილის და მოწოდების ძიების

პროცესში იმყოფება. არის გამოწკლისი, როცა შემოქმედი ლიტერატურული მომწიფების პერიოდს საკმაოდ ადრე ამთავრებს ან პირიქით. ლერმონტოვმა „მასკარადი“ თექვსმეტი წლისამ დაწერა და ალბათ დამეთანხმება მკითხველი, „მასკარადი“ სრულიად არ ჰგავს დამწერის პოეტის ლიტერატურულ ვარჯიშს.

ახალგაზრდული პოეზიის ამ უახლესი ნაკადის დახასიათებისას ხშირად გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ, რომ მათი ძირითადი ნაკლია გაცეცხა „ფსევდოლირიკულ“ ჩაღრმავებებით, რაც თითქოსდა ლექსის მოქალაქეობრივი ელერადობის შემცირების ხარჯზე ხდება.

რაშია საქმე? მართლა გაიტაცა ჩვენი ახალგაზრდა პოეტები წერილმანმა თემებმა? მართლა დომინირებს მათ ლექსში წმინდა ემოციური საწყისები და ლექსი მხოლოდამხოლოდ ლირიკული განცდის მოზაიკური სურათი გახდა? მართლა „შეკამა“ მათი ახალბედური პოეზია ჭარბმა, თვითმიზნურმა ესთეტიზმმა? მართლა ჩამოშორდა მათი პოეზიის გულისყური სამოქალაქო პრობლემეტიკას და ვიწრო, პირადული განცდების ასპარეზად იქცა? მართლა დაეტყო ახალგაზრდულ ლექსს კოსმოპოლიტიზმის მქრქალი ცილი? მამ რატომ შეწყუხდა ასე ზოგიერთი „ლიტერატურული ენციკლოპედისტები“ ახალგაზრდული პოეზიის დახასიათებისას? რატომ მივიღია ზოგიერთმა ფრიალ პატივცემულმა მგოსანმა სპეციალური ლექსით გამოხმაურებოდა „უდიდო“, „უსაგნო“, „უსათაურო“ და „უმარჩილო“ ახალგაზრდა პოეტებს?

აქ კიდევ ერთ გარემოებას ვაუხსენებ ხაზს.



მთელი წერილის მანძილზე არსად არ ეხმარათ ასეთ ფრაზას: „მართალია, ეს ყველას მიმართ არაა ნათქვამი, და არც ჩვენი მოსაზრების განზოგადება შეიძლება...“ და ა. შ. არ ეხმარათ იმით, რომ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა მისამართით გამოთქმულ შენიშვნებსაც და ქებასაც მერტყალებად ყველა მათგანი ვაიზიარებს და აქვე მოგვიხდება ჩვენთვის არასასურველი ფაქტის აღნიშვნა: ეს ახალგაზრდა პოეტები ძალიან ჰგვიანან ერთმანეთს. ეს მსგავსება მათი მსოფლმხედველობის, პრობლემათიკის, ცხოვრების სპეციფიკის მსგავსებთადაც გამოწვეული და კიდევ იმ ნიშნით, რომელსაც თავის ნამდვილ, მაგრამ არასიმპათიურ სახელს ამჟამად არ დაუძახებთ.

უმათერესად შეეხებოდა 1968 წელს „მნათობის“, „ციხისკრის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ნომერებში გამოქვეყნებულ მათს თითო-ორთა ნაწარმოებს და უკანასკნელ ხანს გამოცემულ ზოგიერთი მათგანის პირველ წიგნს, პირველ ლიტერატურულ განცხადებას.

ლექსებს ძირითადად საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებისა და მათი მოქალაქეობრივი ეფერადობის თვალსაზრისით განვიხილავთ.

ბოლოს და ბოლოს, რას ჰქვია მოქალაქეობრივი პრობლემათიკა და რა განსაზღვრავს ჩვენი დროის შემოქმედის პოზიციას ამ საკითხში? ეს ლიტერატურული აზროვნების ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და აქ პრობლემების ალფავიტური ჩამოთვლა ვერაფერს გვიშველის. სამოქალაქო ყველა ცხოვრებისეული საკითხი, რომელსაც ეპოქის მოთხოვნილებათა გაცნობით გატაცებული ხელოვანი შეეხება, მაშინ როდესაც იგი მოახერხებს თავისი ვიწრო, პირადული განცდებისა და ინტიმური ეპიზოდების კამერულ გადმოცემაზე მალა დადგეს. სამოქალაქო ყველა სერიოზული პრობლემა, რომელიც ისტორიის გარკვეულ მოსახვევებ ადამიანთა ფართო წრის წინაშე დგას. მაგრამ სადღეისო პრობლემათიკასთან ხელოვნების დამოკიდებულება როდი ნიშნავს საგანგებო ინფორმაციებისადმი მეყვსეულ გამომხატურებას. სახეებით მოაზროვნე კაცი ამას სულ სხვა გზებით და საშუალებებით აკეთებს. ქუმმარბადა შემოქმედმა დინჯად, აუჩქარებლად თავის მხატვრულ ქურაში უნდა გაატაროს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენა და მისი სრულიად ახლებური, იროგინალური ინტერპრეტაციით უნდა წარუდგეს მკითხველს. კოსმოსში მორიგი თანამგზავრის გაშვების დღესვე პრესაში გამოქვეყნებულ, „აღტაცებულ“ ლექსთა ერთი ნაწილი უგემოვნო, ცრუმთავიტიკური დეკლამატორობის ნიმუშია მხოლოდ და ქუმმარბიტ ლიტერატურასთან ძალიან ცოტა აკვირია აქვს.

მაგრამ არც უკან მივდევნებულნი ვართ ხარბილთ. არის საკითხები, რომლებზეც საუბარი ხვალ შეიძლება გვიან იყოს, ან მათი უდროო გამოდევნება არასასურველ ტონად ჩაეთვალოს მწერალს. ამ საკითხებს სადღეისო საკითხები ჰქვია და იგი დაკვირვებული მხატვრისაგან დროულ ასახვას და გადწყვეტას ელოდის.

ლიტერატურის წინაშე უხსოვარი დროიდან მდგარი ზოგადსაკაცობრიო პრობლემები (იმის და მშვიდობის, ჰუმანიზმის, მეგობრობის, სიყვარულის...) საუკუნეების მანძილზე ძირითადად იგივე რჩება. ისინი მხოლოდ ნაწილობრივ იცვლიან სახეს, ნელდებიან ან მწვედებიან ან კონკრეტული ვითარების შესაბამისად. მაგრამ ყოველ დროს და ყოველ ქვეყანას თავისი შედარებით ვიწრო, ადგილობრივი, აქტუალური პრობლემები გააჩნია. სწორედ მათ უწოდებენ სამოქალაქო პრობლემებს. იქნებ ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ზოგიერთი პრობლემის შესხენება ზედმეტი არ იყოს; ესენია: ჩვენი გრანდიოზული აღმშენებლობის წარმატებათა და ცალკეულ ნაკლოვანებათა მიზეზების რკვევა, ახალგაზრდობაში კომუნისტური იდეალებისადმი რწმენის განმტკიცების პრობლემა, სოფლად მუშახელის ნაკლებობის პრობლემა, ნაციონალური კულტურების განვითარების პრობლემა, ახალგაზრდა კაცის მიერ ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნის პრობლემა, მამების სულიერ მონაპოვართა დაცვისა და განმტკიცების პრობლემა, ხმის ამაღლება სხვადასხვა დარღვევათა და უკანონოთა წინააღმდეგ, რომელთაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში... აქ აღარ ჩამოთვლილთ თანაგვარ მორალურ და ეთიკურ პრობლემას, რომლებიც ხშირად სხვადასხვა სიმწვევით წამოიჭრება ჩვენს წინაშე.

თაობას, რომელსაც ახლა ახალგაზრდობას ვუწოდებთ, ცხოვრებამ ურთულესი ამოცანები დააკისრა. ჩვენი მამების მიერ დიდი შრომითა და რულდებით აკავალული გზა სრულიმნიშვნელობის არ არის ბოლომდე მოკირწყლული და განათებული. ეს ბუნებრივია. ჩვენ უკვე გვიხდება უამრავი პრობლემის დამოკიდებულებად, ჩვენებურად გადაჭრა და ამ შემართების ცხოველყოფილ შედეგად მტკვრ შემთხვევაში უკვე გარკვევით ჩანს და იგრძნობა.

ვინ იცის, როდის უფრო იყო საჭირო ახალგაზრდა კაცის სულის საქველმოქმედო მობილუზება, მისი ომანიანი და გაბედული კეთება; მაშინ, როცა მტკვრისოვნი მკვრდით გადაფარა ტყვიამტრქვევის ამბრაზურას, თუ ახლა, როცა ეიენტანის ჭუნგლებში დედმომბილა ბავშვებს წვავენ და ლოს-ანჯელესის ცათამბრქნეთა ჩრდილში დემოკრატიულად მოაზროვნე სენატორს ტყვიას ესვრიან—ახლაც და მაშინაც.

თავისი ანჭარბული მაქისციების მიუხედავად, ჩვენი ეპოქა სრულებითაც არ არის ისეთი თავბრუდამხვევი და დამაბნეველი, ზოგიერთი ბუნდოვანების მოყვარული პუბლიცისტის ნაწერებში რომ ვკითხულობთ. ცხოვრება დამაბნეველი მაშინაც, როცა არ იყო, რა აკეთო, როცა განსაზღვრული არა გვაქვს შენი დამოკიდებულება იმასთან, რითაც ცხოვრობ. მსოფლიოს ახალგაზრდობის ჯანსაღმა ნაწილმა კი მშვენიერად იცის, რა უნდა აკეთოს. იგი უთვალავ კაბინეტ-ლაბორატორიებში საფუძვლიანად ჩამუხლული ახალ, სამშვიდობო მეცნიერებას (და მგონი ახალ მუსეაც კი) ექნის. იგი მუქარის დევნის უგზავნის ამერიკის პრეზიდენტის სამხედრო მარჩევლს. იგი უარს ამბობს, ვიეტნამის მარბეველი ჯარისკაცის მუზარადი ჩაიკვას და ღარიბთა ლაშქრობას წინამძღოლობს—კალიფორნიიდან ვაშინგტონისაკენ რომ მიემართება. იგი ავად მოზუზუნე საელჩოების წინ საბრტეტსო კოცობებს ანთებს და ვინ იცის, რას აღარ აკეთებს იგი—ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცი.

ჩვენს ახალგაზრდა თანამედროვეს სწორედ მისი დიდებულა საქმეების დარსი და ტოლფასი ლიტერატურა სჭირდება.

ლექსს (და არა პოეზიას საერთოდ, რ. მ.) უძველესი დროიდანვე დაეტყო მის შინაგან ბუნებაში ორგვარი სტილის განენა. ერთ ლექსში ყურადღებას იქცევს პუბლიცისტური პათოსი. ასეთ ლექსს მომწოდებელი, მამობლიზებული დანიშნულება აქვს და მასში ძნელი როლია პრაქტიკული მისიის პოვნა. მეორე ლექსს წმინდა სუბიექტურ-ემოციური საწყისიდან ასაზრდოებენ, პოეტის საკუთარი მე, მისი განწყობილების ნათელი ხატები და მინორული ხმები იტაცებენ მკითხველს. ერთსაც და მეორესაც საუკუნეების განმავლობაში თანაბარი უფლებით ითვსება პოეტური ხელოვნება. ბოლოს მოვიდა კრიტიკოსი და ლირიკის ერთ სახეს პირობითად სამოქალაქო უწოდა, ხოლო მეორეს — ინტიმური (ასეთი დაყოფა მხოლოდ პირობითი შეიძლებადა ყოფილიყო, რადგანაც ქვეშაირტი სამოქალაქო ლირიკა ამავე დროს ინტიმურია და ქვეშაირტი ინტიმური ლირიკა — სამოქალაქო). არ დიბს კამათი იმაზე, ლირიკის რომელი სახე უფრო გამოხატავს პოეზიის ბუნებას. რომელი უფრო მაღალ საფეხურად მიანიჩა მუზეების დმერთს. ჩვენ ფაქტებს მიყვებით, ფაქტი კი ის არის, რომ აღამიანის სულის გაკეთილშობილების საქმეში ორივე მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ესტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე მისი ყველაზე მგრანობიარე სიმი—ლიტერატურა, წინ წამოსწევდა ხოლმე

ლირიკის ერთ-ერთ რომელიმე მხარე. როცა ოცდაათიოდე წლის წინათ გამოცემულ ლექსთა ზოგიერთ კრებულს ვფურცლავთ, ძნელი შესამჩნევი როლია ის გარემოება, რომ სამოქალაქო-რიტორიკული, პუბლიცისტური ლექსი დომინანტობს. ახლა ლექსს უფრო მეტი ლირიკული სინაზე და აღამიანის სულეირ სამყაროში ჩაღრმავების სურვილი დაეტყო. ორივე ეს ლექსი-პუბლიცისტური და ლირიკული—ერთნაირად სჭირდებადა და სჭირდება მკითხველს. ხოლო თუ ახლა ლექსში ლირიკულმა საწყისმა იმატა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ლიტერატურულ კანტატებს, ხმამაღალ სიყვარულს და პლაკატურ პუბლიცისტრობას პოეზიაში დრომ დიდი ხანია სულთათნა უმღერა. ლიტერატურას მხოლოდ ქვეშაირტი ნიჭით აღბეჭდილი ქმნილება წინ შემორჩნენ. და მაინც, პოეზიას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს თავისი დიდი სამოქალაქო პათოსი, ხოლო როცა მკითხველი ახალგაზრდა პოეტის წიგნში ზოგჯერ ლამაზი სახეებისა და ფსევდოფილოსოფიური ლაილის მეტს ვერაფერს იპოვნის, მას სრული უფლება აქვს, ავტორს მკაცრად მოთხოვოს სამოქალაქო პრობლემატიკისადმი მეტი ინტერესის და გულისყურის განმოჩენა.

ვალკატორის ერთ ლექსში წერდა:

არის მკითხველი მშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ ვადამკითხველი;  
ის ფურცლავს, ნიშნავს, ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინ არის აქ გამკითხველი.

მკითხველისა და „გადამკითხველის“ პრობლემა ურთულესი პრობლემაა, და იგი ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისათვის „გაუხსნელი საქმე“. ერთნი ჩახედავენ წიგნს და თუ მასში ვერ აღმოაჩინეს ლექსი კოსმოსის დაპყრობაზე, სოცილისტურ აღმშენებლობაზე, გრდემლსა და უროზე, — ასკვნიათ, რომ პოეტს მოქალაქეობრივი ეფერადობა აკლია, მეორენი კი ლექსის ურთულეს ნიუანსებში ხედავენ გრდემლსაც, უროსაც, ხედავენ ჩვენი ეპოქის ძნელადშესამჩნევ ნიშნებს და საერთოდ იმას, რისთვისაც დღეს პოეტს კითხულობენ.

დღეს, როცა ხელთა გვაქვს ქართული პოეზიის ტომეულები, როცა პოლიგლოტებისა და უცხო ენების მასობრივი ცოდნის ეპოქაში ყველაზე დიდი საშუალებებია არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა, არამედ საზღვარგარეთის პოეტური კულტურის გასაცნობადაც და ლიტერატურის მკვლევართა მელანი ტონობით იხარჯება ლექსის რომის, რიტმის, არტიკულაციის, მისი ემოციურ-რაციონალური მხარის

**რამზა მიშველბაძე**  
ახალგაზრდულ რკმეზია და მოქალაქეობრივი პრობლემატიკა

მეცნიერული გაშუქებისათვის, როცა ხელთა გვაქვს ათასგვარი ფრაზეოლოგიურ-ინვერსიული ლექსიკონები და გენიოსთა პოეტური არსენალის რენტგენულ-კრიტიკული ნეგატივებიც, ალბათ შესაძლებელი გახდა საშუალო ნიჭით დაჯილდოებულმა ლიტერატორმაც კი ისწავლოს „ლექსის კეთება“, გამომცემლობათა პოლიფემის მღვიმიდანაც კი მოახერხოს გამოღწევა და მკითხველამდე მისვლა.

მაგრამ ამით ყველაფერი როდი მთავრდება. შიოთხველი, — ის დიდებული და კეთილი კაცი, სულგრძელი ბიბლიოგრაფის უკან რომ დგას, — ჭეშმარიტი პოეზიისაგან მშვენიერად არჩევს ფსევდოლიტერატურულ თვალების სრესას, იგი ერთ მშვენიერ დღეს უარს იტყვის ასეთ „პოეტზე“ და მერე ამ უკანასკნელის მიერ ციდან ვარსკვლავების მოწყვეტადა თუ მოაბრუნებს. პასუხისმგებლობა დროისა და მკითხველის წინაშე უნდა ვახდეს პოეტის თვითანგარიშის მითვარი კრიტიკაში. ყოველგვარ კრიტიკაზე უკეთ დრო დალაგების ლიტერატურულ თეთრსა და შავს, მაგრამ დრო ისევ კრიტიკისევე ხელთ აკეთებს ამას, და დროა ჩვენმა კრიტიკამაც ხელთ უფრო წმინდა ცხრილი აიღოს, რათა ლიტერატურული „თანამგზავრები“ ისევე იმ ადგილებს დაუბრუნოს, საიდანაც ასე შემთხვევით ამოვიდნენ, თუ ამოიყვანეს.

ქართულ ლექსში შეთავსებულია აღმოსავლური პოეზიის აფორისტულობა და ევროპული ლექსის კანონიკური სტილი. ეს ყველაფერი, ტრადიციის გამძლე ფუნდამენტზე დაშენებული, აძლევს ჩვენს პოეტურ შემოქმედებას დიდ ემოციურ ძალას და ესთეტიკურ მომხიბვლელობას. გარდა ამისა, ქართულ პოეზიას ყოველთვის ჰქონდა ერთი უძვირფასესი თვისება: მასში საზოგადოებრივი აზრი ღომინანტობდა. პოეტის ფიქრი მუდამ საქვეყნო ჭირვარამს დასტრიალებდა. კლასიკური ლექსის ფილოსოფიურ სიმბოლიკაში ზოგჯერ ძნელი გასარჩევი ხდება, საიდ იწყება ინტიმური და საიდ თავდება საზოგადოებრივი. ხოლო ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, როცა პოეტთა ერთი ნაწილი თვითმიზნურმა ფუქსიტყვაობამ გაიტაცა, გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა:

ო, რა თქმა უნდა ბრძოლა  
დაუნდობელი მოდის.  
მოაქვს ახალი ქროლა  
სამოქალაქო მოტივს.

გამოურკვევლად მოდის  
მოსაგონებლად მწარე  
გამოურკვეველ ბინდის  
და მისტიციზმის მხარე.

დაიხ, მტკიცება არ უნდა იმ ფაქტს, რომ პოეტის თანამედროვეობას და მის ჭანსად დამო-

კიდებულებას თავის ეპოქასთან, უკრეველის ყოვლისა, მისი პოეზიის სამოქალაქო მატრია განსაზღვრავს.

როცა რეზო ამაშუკელი ომის ეკრანიდან გადმოსულ ყავარჯინან კაცს ხატავს („დღილი სამამული“), ან ცარიელ მაგიდასთან ციტქნა პურის მიჩერებულ თავის ბავშვობას იგონებს („1942“), იგი მთელი თავისი თაობის გულწრფელ სულისძვრას ეხმარება და ლექსის ლირიულ-პუბლიცისტური პათოსით ვანცდისა და ვარდასახვის ექსპრესიას აღწევს. პოეზიის მოქალაქეობრივი ელერადობა პლაკატურობით როდი მიიღწევა. ცალმხრივობის და თვითმიზნური პანეგირიკის შაბლონურ სიყალბეს ყოველთვის ატყუია უნიჭობის ბეჭედი. მკითხველს სჯერა რეზო ამაშუკელის, როცა იგი სინანულთა წერს ვეიტნამის ჭუნგლებში დაღუპულ ამერიულ ჯარისკაცზე. ბრმა იარაღად გამოყენებული ახალგაზრდა კაცის სიკვდილს მისი თანამედროვის პოეტური თანავარძლობა ახლავს, მითუმეტეს რომ:

...მე არ ვიცი შენი სახელი,  
მაგრამ მე ვიცი,  
ვინც შენს ხელებს შაშხანა მისცა,  
(„შენს ღია თვალებს“).

ლიანა სტურუას წიგნის პირველსავე გვერდებზე დაბეჭდილ ლექსებს ჰქვია: „ღმინის ის-მენს ბეთხოვენს“, „იური გავარინს“, „გრემის მონასტრის ერთ-ერთი კედელზე“, „პირველ ადამიანს, რომელიც გავიდა კოსმოსში“ და სხვ. სტურუას ფაქიზი ლირიკისათვის თითქოს უჩვეულ უნდა იყოს ასეთი თემები, მაგრამ ახალგაზრდა პოეტის ღირსება სწორედ ის არის, რომ მან მისეულ მხატვრულ ობიექტივში გაატარა საყურადღებო სადღეისო მოვლენა და თავისთავად პოეტურ სავნებს ლირიკული სიბო და სილამაზე შემატა. იური გავარინს, ერთ დროს სრულიად ჩვეულებრივ რუს ახალგაზრდას, იმ საოცარი გაფრენის შემდეგ მთელი მსოფლიო უსმინს და შეკუერებს, და „ახლა გემიც, სახლიც და კაციც ელის და ყვირის:— ეს მე ვარ „მიწა“, და სწორედ მაშინ, როცა კოსმოსის გვირმა ზემოდან დახედა ფეხისწვერებზე შემდგარ პლანეტას:

მას მოენატრა როგორც არავის,  
მღინარის გრილი და ხუფთა წყალი,  
მიწა, რომელსაც ბაღასი ფარავს...  
(„იური გავარინს“)

ამ პოეტურმა ფრაზამაც უნდა აქციოს ვარსკვლავთა დამპყრობი მკითხველისათვის ახლობელ კაცად.

მოქალაქეობრივი სისხეტაციის და ჰუმანიზმის მოტივის სადა და ნათელი გაშუქებით ხასიათდება ლ. სტურუას ლექსი „ომგადახდილი მოვიდა კაცი“. ამ ლექსის ქვეტექსტში დაყენებულია ის თანამედროვე პრობლემა, რომელიც



ჩენი პლანეტის დაუწყობლობის ნახევარი მიწეზი მაინც არის.

ომგადახდელი კაცი თავის ქალაქში დაბრუნდა. დაბრუნდა და მას, ათასგვარ ჭირსა და ცეცხლში გამოვლილს, ცხოვრებაში პირველად შეეშინდა. იგი ნასახლარებმა შეაშინეს. სახლი, რომელშიც არაღიანი ცხოვრობს, სიკვდილის აკლამას აგონებს ჯარისკაცს. აღამიანებს ყველაზე უფრო მარტოობის ეშინიათ. ღვას კაცი პარსადღე და სახლში შესვლა ვერ გაუბედავს:

და ჩაესმოდა ბნელში ჯარისკაცს,  
როგორ ტიროდა ფუძე სახლების  
ბიჭებს, რომლებიც ვეღარ დაკაცდნენ,  
ქალებს, რომლებიც სხვაგან გათხოვდნენ...

თითქოს მკითხველიც, ლექსის ლირიკულ გმირთან ერთად, ამ უშუქი ფერებით დახატული ნაღვლიანი სურათის წინაშე დგას და შორს რომელიღაც ტირილგარეულ სიმღერას მღერიან. არა, ეს მშვიდობა არ არის—ფიქრობს ჯარისკაცი.

მშვიდობა იყო სადღაც სულ ახლოს,  
თეთრი ბავშვებით და თოჯინათი,  
მშვიდობა იყო დიდი სახლები,  
რომლებშიც ენთო ბევრი სინათლე.

სწორედ ის დიდი სახლები, თავიანთი დიდი სიცოცხლით და ხმაურით ემახდნენ თავის ჩამქრალ კერასთან მდგარ კაცს. მაგრამ ჯარისკაცმა დასძლია მარტოობის იარა:

და... მან დაძლია ეს უსაშველო  
სახლებისაკენ კაცური ლტოლვა,  
რომ არ ენახათ შორიულ ბავშვებს,  
სახლები, სადაც არაღიანი ცხოვრობს.

ემზარ კვიტიციშვილის ახალ წიგნს („მწვანე აფრებ“) სწორედ ის ჯანსაღი მოქალაქეობრივი პათოსი ასაზრდოებს, ურომლისოდაც ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას ვიწრო ბირადული მასშტაბების ლირიკის მომქანცველი იერი დაედებოდა. წერს ავტორი ძმთა სასაფლაოზე და როდღ იწყებს იმით, რომ აქ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული გმირები წვანან, ან იმით, რომ მათ სახელებს მოწიწებით შეინახავს შთამომავლობა. ეს უშუქველი ფაქტი უკვე ნათქვამია ფრაზაში—„ძმთა სასაფლაო“, ხოლო პოეტის პანეგირიკული ყვირილი გმირთა საფლავებთან შორს იქნებოდა იმ ლირიკული, სევდიანი და ცრემლიანი განცდისაგან, რასაც ძმთა სასაფლაო ბადებს მნახველში. ამიტომაც ე. კვიტიციშვილის ლირიკული გმირი „საუქუნოდ მძინარეთა სამეფოსთან“ ხელდას არყის ხეებს, ამ ხეთა თეთრი კანივით კრილა და სუსტ მზეს, ხელდას შვილის საფლავთან დახრილ დედას, ხელდას ჩრდილს,—ნაცრისფერ კედელს ხავსივით რომ ეცილება, და ჩამავალ მზეს გარდასულთა ფარჯიანი ლანდები უხმოდ რომ მიპ-

ყვებოან. ასეთია იგი, ახალგაზრდა პოეტის თვალთ დახატული ძმთა სასაფლაო, ხოლო ამ, ერთი შეხედვით, ცრემლნარევი ლექსის მოქალაქეობრივი ქვეტექსტი გვახსენებს: „მუხლი მოიყარეთ ძმთა საფლავების წინაშე. სამარადეამოდ პატივი ეცით მათს წითელ ხსოვნას“.

ემოქის წინაშე ხელოვანის პასუხისმგებლობის თემა გამოხატული ე. კვიტიციშვილის ლექსში „ქალაქი ცაში“. ლექსში არსად არ არის ნახსენები სიტყვა „ხელოვანი“ და არც მის მოქალაქეობრივ მოწოდებაზეა ლაპარაკი. ავტორი იწყებს იმით, რომ დამით ქალაქი საოცრად წაგავს ვარსკვლავებით მოქედულ ცას და სახელოსნოს ღია ჭერიდან ისე ჩანს, თითქოს ქალაქი „შორდება მიწას და ცაში ადის.“ და ამ ქალაქს, რომელსაც დაუქარავს ყველაფერი „ტლანქი და მძიმე“, რომელიც ვარსკვლავთა ბაღში გახვეული, „ამხელა სიმაღლეს უძლებს“, სახელოსნოს ღია ჭერიდან შესცქერის ორი თვალი. უკვე მიღწეულია სათქმელის თქმის ყველაზე მომგებიანი დონე. ე. ი. მომენტი იმ სიდიდემლოს გამქდაუნებისა, რისთვისაც ეს ლექსი დაიბადა და ქვემოთ კვითხულობთ:

ჭრიალებს ღერიძი და ძველი მიწა  
ბრუნავს ვეება კარუსელით.  
შენ ფიქრიც გყოფნის და ძალაც  
გყოფნის, —  
სუსტი ზმანება აქციო ცხადად;  
სახეშეშლილი და გაოფლილი  
გათენებამდე იმ ქალაქს ხატავ. (გვ. 28).

როგორც ვხედავთ, თემისადმი სრულიად ახლებური მიდგომა და პოეტური სიუჟეტის ორიგინალური გადაწყვეტილი ლექსის ავტორმა მიგვაჩვენა იმ ღვთიერი შთაგონებაზე, ურომლისოდაც ხელოვანი ქალაქში მხოლოდ განათებულ ფანტებს დაინახავს. მიგვაჩვენა მხატვრის ტიტანურ შრომაზე და იმ პერსპექტიულ გამარჯვებაზეც, რაც გამოხატულია სტრიქონებში: „შენ ფიქრიც გყოფნის და ძალაც გყოფნის, — სუსტი ზმანება აქციო ცხადად“.

თუმცა ერთგან ემზარ კვიტიციშვილისა და უძებნის მკითხველი ასეთ მოუწყვეტელ და ზოგჯერ უსაფუძვლო განზოგადების პრეტენზიით მოწვილ სტრიქონებს:

ო, როგორ მესმის სუნთქვა შემოდგომის,  
ო, როგორ მესმის,  
შავად ქანაობს და ისე მოთქვამს  
ყოველი ფეხი. (გვ. 40).

„ციხარის“ № 8-ში დაიბეჭდა იორამ ქემერტელიძის ლექსი „ცხენი“, რომელიც უთუოდ მიიქტეეს მკითხველის ყურადღებას თავისი ძლიერი შინაგანი პათოსით და ფილოსოფიური

**რევაზ მიშველამაძე**  
ახალგაზრდალური პოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემატიკა



ელერადობით. ლექსი იმ დაუბერებელ სამოქალაქო-მორალურ პრობლემაზე მიგვიანშნებს, რომელსაც „სიკეთისათვის სიკეთით მიზღვა“ ჰქვია: მთელი წლის განმავლობაში ემსახურა ცხენი კაცს, და შემოდგომაზე, როცა მორჩა „ლობის ცეხვა თუ სიმინდის რჩევა“, როცა ყველაფერი დააბნინა, კაცს სულ ცოტა ხნით დაეიწყა თავისი ერთგული თანამემეცხე-ცხენი. მაგრამ პირუტყვმა არ აპატია უმადურობა. აი, მოსულა იგი უმადური პატრონის სახლის კარიბჭესთან, ტორებით მიწას სცემს და ჭიხვიანებს.

გავად კარი და ყელამდე ბალახში,  
**თოვლში,**  
 რომ არ იყვიროს, რომ არ მოშივდეს —  
 თივა,  
 ბალახი,  
 ქათო და როში  
 დაეუყარე და დავაშოშინე.

მაგრამ უკვე გვიან არის. ცხენს აღარ უნდა ქათო და როში. უმკაცრეს ვაფრთხილებად და საყვედურად გაისმის მისი დაინებული ჭიხვიანი.

სულ ერთი წუთით, ერთი წუთით გამიქრა  
**თვალწინ,**  
 სულ ერთი წუთით დავიურევა და ვერ ვიხილე,  
 გადარეული კატაბარდიო,  
 გვიმრით და ანწლით,  
 ზედ გულისკართან ისევ ჭიხვიანებს.

ამ სტრიქონებით თავდება ლექსი და რა შესანიშნავად არის აქ გასამართლებული უმადურობის უსახო სახე. რა მშვენიერი შეგონებაა ჩადებული ნაწარმოების პოეტურ სიუჟეტში.

დილარ ივარდავა სათქმელის თქმის პირდაპირ (შეიძლება ითქვას, ზოგჯერ პუბლიცისტურ) გზას ირჩევს. მისი ლექსების თემატიკა ლიტერატურაში საქმაოდ დამუშავებული მოვლენებია, მაგრამ ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც იცის თავისი შესაძლებლობა, ჭერჭერობით ლექსის თემატიკასა და პრობლემატიკაში თვითმიზნურ ჩიხრკედლობას, ისეთი „ცნობილი“ თემების თავისებურ პოეტურ ინტერპრეტაციას ამჯობინებს, როგორცაა „სამშობლოვ“, „ჩემი მამულის ყანა!“ „გაზაფხული და ქალიშვილი“...

გადარჩენილო ათას იარებს  
 მუხავ, ფოლადო,  
 მუხავ, ძლიერო! —  
 დღეს შენი სული დროშად ფრიალებს,  
 საამაყო და სახედნიეროდ.

ასეთი სიდა და უპრეტენზიოა დილარ ივარდავას პოეტური სიტყვის დამოკიდებულება სამშობლოსთან. ახალგაზრდა პოეტის ლექსი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ტრადიციული

სინათლით და დამაჯერებელი პათოსით მკითხველის ყურადღებას, მაგრამ ზომიერად ღილის ფილოსოფოსობას. ალბათ თვით ავტორის გარდა არ მოიძებნება მკითხველი, რომელიც სამშობლოსადმი მიძღვნილი ამ სტრიქონების აზრს ჩაწვდობა:

და ლოცვასავით ჩურჩულში გმტყვი  
 — ვესურდა შენი მზე მზესთან გვენახა.  
 რამდენადაც ნათელი პოეტური სახე:  
 მაღალი ჩრდილი მიწას გართხმული  
 იყო ღობილი და ჰაეროვანი.  
 (გაზაფხული და ქალიშვილი).

იმდენად ყალბი და ხელოვნურია:  
 და ჰგავდა იგი საოცარ სიზმარს  
 აპრილის ხმებით ტოტებდახუნძულს.

(იქვე)

ამასწინათ გაზეთებში გამოქვეყნდა ასეთი ცნობა, „ოცი წლის ქალიშვილმა ტირესტა მარკალომ (ფილიპინები) ადგილობრივი გაზეთის რედაქციას მიმართა: „უყვიდი თვალებს, რომ გაპირებულ მშობლებს დავესმარო“. ამ შემაძრუნებულ ფაქტს ტაგუ მეტურიშვილმა შესანიშნავი პოეტური ინტერპრეტაცია მოუძენა. „თვალები“ ახალგაზრდა პოეტის წიგნში („კარგი დღე“) ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. ლექსის მოქალაქეობრივი პათოსი შურისძიების ზარის რეკად გაისმის. ადამიანური და უშუალოა „თვალების“ ლირიკული გმირის აღშფოთება და გულსტიკილი:

შენ სიყვარულით გელის დათრობა,  
 არ გამაგონო ეგ ხმა უმწერო,  
 არ გამაგონო: ახლა რა დროა?  
 არ გამაგონო: — ცაა უმწერო.  
 მე უნდა გკითხო, მე უნდა გკითხო,  
 იაიების ლურჯო სიცილო.  
 ჭერ შენ ამ ქვეყნად რა ნახე თვითონ,  
 რომ მაგ თვალებით სხვებმა იცქირონ.

თითქოსდა, ერთი შეხედვით, დიდი გამბედაობაა სამშობლოზე დაწერო ლექსი ყოველივე იმის შემდეგ, რითაც ჩვენი პატრიოტული პოეზია ამ მდინარი და ძლიერია. ამიტომაც ხშირად ამ თემაზე შექმნილ ახალგაზრდულ ლექსს ლიტერატურული რემინისცენციის ელფერი გადაჰკრავს. მაგრამ, როცა პოეტი საკუთარი მხატვრულ-ემოციური საწყაროდან ამოდის და ქრესტომათიული გავლენებისაგან თავისუფლდება, არ შეიძლება მამულისადმი მიძღვნილმა მისმა სტრიქონებმა უშუალოა და სახეობრივი ორიგინალურობა არ შეიძინოს. საილუსტრაციოდ ერთი პატარა ლექსის ნაწყვეტი მოვაქვს:

..მე მას მოვტაცე სხეული, სისხლი  
 და სხვაზე მეტი ფერი და სითბო.



ქართველთა  
წიგნების კავშირი

და იხი გავჩნდი, — იმის აღიხსნე  
ბალახებიდან ავღევი თითქო.  
ზურგით მივეყრდენ ხავსიან კედელს  
და მიცვივოდა თვალში სინათლე;  
შეფფრინდი, როგორც ქარი ან მტრედ  
მის სინათლეში და გაივინდი.

ალი გუგუშოძე — „ჩემი მიწა“.

ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა კაცის სულიერი  
მისწრაფებების განცდათა მხატვრული ასახვის  
სასიამოვნო ნიმუშებით ხასიათდება ბესიკ ხარა-  
ნაულის („ფშაური გზის ნაბიჯები“), ბიძინა  
მინდაძის (ციკლიდან „მამინე, მდინარე როცა ვი-  
ჯავი“), დილარ ივარჯიშავის („თეთრი სიმღერა“,  
მამის მოლანდება“, „სიმღერა მამულზე“), ან-  
ზორ აბულაშვილის (ციკლიდან „ახსთუშანი,  
მზე და თოვლი“) და გენო კალანდაის („ნუ და-  
მანახებ“) ლექსები.

სამოქალაქო პრობლემებისადმი შეხმიანების  
და თანადროულობის მაჩვენებლისთვის ყურის  
დაგდების სურვილითაა აღბეჭდილი თედო ბე-  
ქიშვილის, ვოგი ჩარკვიანის, იზა ორჯონიკი-  
ძის, ლია ქავეკვაძის, ნოდარ ადგიშვილის,  
თამარ ერისთავის, მარი გველეხიანის, ბელა შა-  
ლვაშვილის, ლალი ჭაფარაშვილის, რუსუდან  
მკერვალიშვილის, ბადათერ არაბულის და ვა-  
ნო ჩხიკვაძის პოეტური სტრიქონები.

აქვე აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ახ-  
ალგაზრდული პოეზიის ერთ სერიოზულ ნაე-  
ლოვანებას: მათი ლექსების ფორმის, რიტმის  
და არტიტეტონიკის საოცარ მსგავსებას. პოე-  
ზიაში ჩახედული მკითხველი დაუფიქრებლად  
დაც კი გაბრჩევს ერთმანეთისაგან ქართული სა-  
ბჭოთა პოეზიის დიდოსტატების თუნდაც ყო-  
ველ ცალკე აღებულ სტროფს. ასევე ადვილად  
განვასხვავებთ ე. წ. საშუალო თაობის პოეტთა  
ლექსებსაც. მაგრამ სცადეთ და განსხვავეთ ერ-  
თმანეთისაგან ჩვენი ახალგაზრდა პოეტების  
ხელწერა. ისინი ერთნაირად, ერთ პანგზე (ან  
თითქმის ერთნაირად და თითქმის ერთ პანგზე)  
უკრავენ პოეზიის ათასსმოგან ინსტრუმენტზე.  
მე ამოვიწერე რამდენიმე მაგალითი ლექსთა  
საშინი სტილური მსგავსებისა და მინდოდა  
მკითხველისათვის ერთგვარ თავსატეხად წარ-  
მედგინა, რათა მისსავე გუმანს დაედგინა—რო-  
მელი სტროფი. რომელი ახალგაზრდა პოეტის  
შეიძლებადა ყოფილიყო, მაგრამ მკითხველის  
მოთმინებას (და კიდევ სხვა რალაცას) მოვერი-  
დებ და ამჟღად ის ადგილი ჩემს სტატიაში მე  
თვითონ წავშაღე.

უკანასკნელ ხანს ახალგაზრდა ქართველმა  
პოეტებმა სცადეს კალამი პოემის რთულსა და  
ტევად უნარში. აქ მხოლოდ რეზო ამაშუყელის  
„ქახილზე“ და ემზარ კვიციანიშვილის „მწვანე  
აფრებზე“ შეგნარდებით.

ე. კვიციანიშვილის პოემის ლირიკული გმირი  
შორეულ ციურ ხმებს გაედევნა, სიმალღების  
ძახილით მოწოდებულმა აუშმა მწვანე აფრე-  
ბი და აი, თავაწყვეტილი შთაგონება ცის კა-  
ბადონზე მიაქროლებს. ქვემოთ ელვისისწრა-  
ფით ცვიან ერთმანეთს ღლებები და ღამეები,  
ერთმანეთს მისდევს ქალაქის წყება და წყება,  
მწვანე აფრებიდან გამპრული ბუხრები  
და მდინარის ლურჯი ტანი ბავშვის ნახატოვით  
მოჩანს. და ამ დაუსაბამო ქროლვაში პოეტი  
ძლივს ასწრებს თავისი გმირის სულის მოძრა-  
ობის და ფიქრთა ფრამენტების ჩანისვნას.  
პოემას ერთიან ლიტერატურულ სხეულად  
კრავს და მისი იდეის სიმბოლურ ღრძიად გას-  
დევს სამყაროს უსასრულობის შეცნობით ოდ-  
ნავ შეგმრთალი, მაგრამ თავისი სიცოცხლის  
ხის სინდელში დარწმუნებული კაცის ფილო-  
სოფიური ნაზრევი, გამოთქმული მოხდენილი  
მხატვრული სახეებით. ვარსკვლავებთან ახლო-  
მყოფის დაფიქრება სრულიადაც არ არის ბრმა  
ოპტიზმით სავსე. მან იცის, რომ აქ, საღდაც  
ახლოა სიკვდილი, რომ:

შენც შენი წილი სამარ გელის,  
რისთვის იცოცხლე და კვდები რისთვის,  
არც იგი ხშირად, უტყვი და ბნელი  
და უსამანო არყოფნა გიცდის.

ზემოდან ჩანს ღამეული ქალაქი თავისი ცოდ-  
ვებით და უცოდველობით, ხოლო ქვემოთ, მი-  
წაზე, საღდაც

ისარგაურილი თრთის ანტილომა.  
ნაკვალევს სისხლის მიმყვება ზოლი.

მაგრამ მიწისგან ასე შორს მყოფს კოსმოსურ  
სიჩუმეში მიწის ძახილი მოესმა. მიწა თავისი  
დიდი სიყვითლი კვლავ ეძახის თავისსავე პირ-  
მშოს. და სიცოცხლის უკვდავების გარანტიად  
კოსმიური ხომალდის ფანჯრებს მოადგება მზე  
—ადამიანისსავე ასე ნაცნობი და ახლობელი.

პოემაში იგრძნობა ოცნების ზორცმესხმაში  
დაეშვებაც, ადამიანური სევდაც და სიკვდილის  
წინაშე ჩვეულებრივი შიშიც, მაგრამ „მწვანე  
აფრების“ ლეიტმოტივი სწორედ სიცოცხლის  
სიყვარული და სიმალღეთა დაძლევის ოპტი-  
მიზმია შემდეგ სტრიქონებში გამოხატული:

შენც ახსლტილხარ მრავალჯერ მიწას,  
მაგრამ ვერასდროს ვერ მიატოვე,  
სულ თვალწინ გეღბა, ვერ დაიფიწყე  
მაღალი მთები, თეთრად ნათოვი.  
ის ბრუნავს და შენ მას იღვენები,  
ის ვენახია, მწვანე მარადის,  
უნდა გაცოცხლოს მისმა მტვენებმა  
და მისი ჩრდილი უნდა გვარავდეს.

რეზაზ მიშვილამძე  
ახალგაზრდულნი პოეზია და მოქალაქეობ-  
რივი პრობლემები



რევხ ამამუკელის პოემაც („ძახილი“) ჩვენი თანამედროვის მხატვრული მონოლოგია, რომელშიც, „მწვანე აფრებისგან“ განსხვავებით, ავტორმა წინ წამოსწია მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური მხარე და მისი ლირიკული გმირის სულიერი ცხოვრება ოდნავ ზეაწეული ტონით და საინტერესო მხატვრული საღებავებით გადმოსცა.

**დღე დღეს მისდევდა...**  
**სამყუთხედი წერილებისთვის**  
**ათევდნენ ღამეს**  
**თვალგამშრალნი ცრემლით დედები.**  
**ქუჩებში უხმოდ**  
**თავშესაფარს თხრიდნენ და თხრიდნენ**  
**და არიგებდნენ**  
**ხორთუმიან აირწინადებს.**

ეს საოცრად ნაცნობი სურათი მოზაიკური სიძლიერით შემორჩა ჩვენი ბავშვობის დღეებს და რეზო ამამუკელის პოემა იმითაც არის საინტერესო, რომ მასში პველ კორჩაგინის შემდეგი თაობის დიდი სულიერი წრთობა რეალისტური კეთილსინდისიერებითაა დახატული. ამ თაობას არ უბრძოლია შაშხანით ხელში, მაგრამ მის სულს ცხოვლად დაინდა ომის და ომისშემდგომი არანაკლებად ძნელი წლების სუსხიანი ქარტეხილები.

**სახრჩობელაზე ირწეოდა**  
**თეთრი ქალწული**  
**და შეუბღალავ, ურყევ რწმენას**  
**ერქვა ზოია!**  
**მისი ნერვებით,**  
**სიამაყით**  
**და მისი სისხლით**  
**გაჟღენთილია არტერიი**  
**ჩემი თაობის.**

პოემაში მინიშნებულია იმ გარემოებაზეც, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყო ათწლეული, როცა სხვადასხვა მიზეზთა გამო, ახალგაზრდულ სინდისს, ახალგაზრდულ რწმენას ბურუსიანი


დღეები დაუდგა. მაგრამ მან მაინც ენახა „დროშად ქცეული ქვეშაირტება მოხვეცილი მამათა სისხლით“.

„ძახილი“ თავისი აქტუალობით, ჯანსაღი მოქალაქეობრივი პათოსით და მხატვრული ექსპრესიით ჩვენი თაობის სულიერი ცხოვრების ასახვის ერთ-ერთ საინტერესო ლიტერატურულ ცდად მიგვაჩნია.

● თავს ნებას ვაძლევთ დავასკვნათ, რომ ქართული ახალგაზრდული პოეზია ჩვენი დღეების ცხოვრებით ცხოვრობს და მის საუკეთესო ნაწილს სწორედ ის მოქალაქეობრივი პრობლემები ასაზრდოებს, რაც სამართლიანად არის საბჭოთა ხალხის ბრძოლის და შენების ანი და პოე. მაგრამ ახალგაზრდა პოეტთა უმეტესობა ჯერჯერობით ხელმარჯვედ როდი ფლობს პოეტის ამოუწურავ არსენალს. ყველას როდი ეხერხება აზრის ნათლად, სხარტად და ლამაზად გამოთქმის დიდებული ხელოვნება. ამ ახალგაზრდა პოეტების ერთმა ნაწილმა მზამზარეულად გადმოიღო ლექსის რიტმის, ზომის, ვერსიფიკაციის პოეტური ფორმები და თვითონ რატომღაც ცოტა დროს ხარჯავს ახალ, ორიგინალურ ფორმათა საძიებლად და დასამკვიდრებლად. აქედანვე გამომდინარეობს ის გარემოება, რომ რამდენადაც თვითმყოფადნი არიან ჩვენს მიერ ზემოთნახსენები ახალგაზრდა პოეტები თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, იმდენად მომბეზრებლად ჰგვანან ისინი ერთმანეთს პოეტური ფორმით.

ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისი კინიველირებას ყველაზე ნაკლებად იტანს. ჩვენი სურვილია აქედანვე განსხვავდნენ ისინი ერთმანეთისგან და მკითხველმა ნახოს მათი, თუნდაც თავიდან არაყოველთაის წარმატებული, მაგრამ ძიებისა და აღმოჩენის სურვილით შთაგონებული პოეტური გზა.

...ნუ იწყებენ ყველანი ასე რბილად, ასე ტკბილად, ასე ერთნაირად.



## დიდი შოთას მთარგმნელის საფლავთან

შარშან, სექტემბერში, როგორც ფერადი მეტალურგიის სპეციალისტი, დიდ ბრიტანეთში გაემგზავრე სამეცნიერო მივლინებით. ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგებისათვის სხვა ლიტერატურასთან ერთად საჩუქრად წავიღე აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. სხვათა შორის, მის მთარგმნელს მარჯორი უორდოპს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საქმიანი მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩემს პაპასთან — ვასილ რცხილაძესთან, რაც მე გარკვეულ საიმოვნებასა და სიამაყის გრძობას მგვირღია.

ვასილ რცხილაძისადმი გამოვზავნილ წერილში მარჯორი უორდოპი 1909 წელს წერს: „დიდად პატივცემულ ბატონო რცხილაძე, დიდი საიმოვნებით მივიღე თქვენი წერილი და ნახუქარი ეურნალ-გაზეთები, მაღლობას მოგახსენებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი ქართული წიგნთა კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართული წიგნის შეკრება, რაც შეიძლება შემდეგში მივართვათ ერთ ინგლისურ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილად შეიძენს საჭირო მასალებს“.

ვასილ რცხილაძე ცხრაასიან წლებში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან გამოსცა მრავალი სახელმძღვანელო, რომლის შემოსავალი ქართულ უნივერსიტეტს ხმარდებოდა. 1909 წელს მან თავისი ხარჯებით დააარსა ჟურნალი „მოსავალი“; იგი არჩეული იყო ქართული დრამატული და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა 1905—1917 წ.წ.

ვასილ რცხილაძე მარჯორი უორდოპს ხელს

უწყობდა საქართველოს ცხოვრების შესწავლაში. ერთ წერილში იგი ასე სწერს უორდოპს: „ვისაც ბედისაგან დაჩაგრული ჩემი სამშობლოსადმი ცოტათი მიიწე უძველესი გული, მას თავმოდრეკით ვუწვევ სამსახურს და ვესაუბრებ. არ ვიცი იქნება გესიამოვნებოდით, რომ ჩვენი ქვეყნის აწინდელ მდგომარეობაზე რამე მომეწერა. არც დაგზარდებოდით, რომ თქვენთვის სასიამოვნო გასაგონი რამ ყოფილიყო. ისევე ისეთი უფლებობა, როგორც თქვენს აქ ყოფნაში გახლდათ და ბევრით მაშინდელზე მეტი სიღატაკე და ყოველის მხრივ უსახსრობა. აი ჩვენი ყოფა-ცხოვრება“.

ყოველივე ამან უფრო გააძლიერა ჩემი ინტერესი მარჯორისა და მისი ძმის ოლივერ უორდოპებისადმი. ამიტომ ძალიან მინდოდა მოხვედრა ქალაქ სვენიოუქსში, სადაც უორდოპები იყვნენ დაკარგულნი.

ჩემი მივლინების ბოლო თვეებში მუშაობა მომიხდა ლონდონის უნივერსიტეტის იმპერიალ კოლეჯში გამოჩენილ მეცნიერთან, ფიზიკური ქიმიის დიდ სპეციალისტთან პროფესორ ალკოთან. მან ცხოველი ინტერესი გამოიჩინა „ვეფხისტყაოსნისა“ და საერთოდ საქართველოსადმი, მისი დიდი ისტორიული წარსულისა და დღევანდელი ცხოვრებისადმი. პროფესორმა მიმიწვია სახლში და გამოთქვა სურვილი მიეღო ცნობები მ. უორდოპის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ, რისთვისაც დაუკავშირდა ქალაქ სვენიოუქსის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს ლოურენსს. ბიბლიოთეკას ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვებოდა; ლოურენსმა დახმარებისათვის ადგილობრივ პრესას მიმართა; გამოქვეყნდა საგაზეთო შეკითხვა მარჯორი უორდოპის საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ. ამ საგაზეთო შენიშვნას გამოეხმაურა ქალაქის დამკრძალავი ბიურო, ფილოლოგები გორდონ მარნოკის

მეთაურობით, რომელმაც ქ. სევენოუკის წმიდა ნიკოლას ეკლესიის მღვდლის საშუალებით საბოლოოდ დაადგინა სასაფლაო და საფლავის აღდგომა. ამ ძიებებში მიიქცია მარჯორის ძმის, ოლივერის შვილის ყურადღება, რომელიც ქალაქიდან მოშორებით, თავის მამულში ცხოვრობს.

აღმოჩენილ იქნა დაკარგული საფლავი. დღეები დასჭირდა საფლავის წესრიგში მოყვანას. ეს იყო ა/წ. ივნისის ბოლო რიცხვებში.

როდესაც პროფესორმა ალკოკმა მიაშობ ყოველივე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დანიშნა დღე — კვირას 30 ივნისს, დღის 4 საათზე ლოურენსი გველოდებოდა სევენოუკისის, სასაფლაოზე. იმ დღეებში ინგლისის რკინიგზებზე დადი ვაფიცვა მოაწყვეს. სრულიად შეწყდა მატარებლების მიმოსვლა. ცუდ გუნებაზე დავდებო. შეუძლებელი ხდებოდა სევენოუკსში მოხვედრა დანიშნულ დროზე. ისევ პროფესორმა ალკოკმა მიხსნა და მომაკითხა მანქანით.

მზიანი დარი იდგა. ვავემგზავრეთ ბეკენემისაყენ, სადაც პროფესორი ალკოკი ცხოვრობდა. პროფესორმა დამათვალეებინა თავისი სახლი, გამიმასპინძლა, რის შემდეგ ვავემგზავრეთ მისი ოჯახით ქ. სევენოუკისაყენ. დანიშნულ ადგილზე წმიდა ნიკოლას ეკლესიის კარებთან შეგვხვდა ბატონი ლოურენსი და როგორც ყოველთვის — კორესპონდენტი. ჩემთვის მოულოდნელად, სასაფლაოზე მოსულიყო მ. უორდროპის ძმის, ოლივერის შვილი ანდრე, რომელსაც ვაგეგო ჩემი ჩამოსვლის მიზანი.

გულთბილი და სასიამოვნო საუბრის შემდეგ ვავემართეთ მარჯორი უორდროპის საფლავისაყენ. კარგა ხანს ვიღებდით ფოტო და კინო აპარატით სასაფლაოსა და მის მიდამოებს. ვადავიდე მარჯორი უორდროპის საფლავი. სავარაუდო საფლავზე დაკრძალულნი არიან მისი მამა თომას უორდროპი, დედა მარჯორი უორდროპი და ძმა ოლივერი მეუღლითურთ. მარჯორი უორდროპი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა 1909 წლის 7 დეკემბერს. ცერემონიის შემ-

დეგ ანდრე უორდროპმა თავის მანქანაში ჩამოსვლა პარტია და პროფესორ ალკოკთან ერთად სახლში წამიყვანა. ანდრე უორდროპი სიხარულით გვესაუბრებოდა მისი მამისა და მამიდის ცხოვრებაზე. მიიხრა, თქვენ პირველი ქართველი ხართ, ვისაც მე შეგვხვდით. იგი ოცნებობს საქართველოში ჩამოსვლაზე, ძალიან სურს იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მისი მამა და მამიდა მოღვაწეობდნენ.

ანდრე უორდროპის მეუღლე სახლთან შემოგვეგება. გაგვიმართეს საუზმე ეზოში, ღია ცის ქვეშ. ანდრე მარჯორი მესაუბრა ცნობილი ქართველოლოგის, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ლანგის შესახებ, რომელიც ამჟამად ამზადებს შრომას უორდროპების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ვამხარა აგრეთვე ის ამბავიც, რომ უნივერსიტეტის ქართველოლოგი ასპირანტები საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით თარგმნიან ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს დავით ლანგის ხელმძღვანელობით.

უორდროპმა სიუბრიზი მომიწყო, იგი სახლში შევიდა, გამოიტანა ვერცხლის ქაფჩები და გამოიწყოდა. მათზე ქართულად ეწერა: „ქ. ღთა. აცხონოს მკედლის შვილი, მირზა. ვნც დალიოს შენდობა უთხრას“. მეორეზე კი ეწერა „ბაბაიაშის გმელი გმირფალავადის სულის ვარ — მიხალი 75“. ცოცხალი შენდობა უორდროპმა სხვა ქართული ნივთებიც გამოიტანა: თბილისის ხედი, შესრულებული ზეთით მხატვარ ზახარაგის მიერ, თამარ მეფისა და არჩილ მეფის სურათები ფერებში. ანდრე მანვენა მარჯორის ხელნაწერები, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანი, გამოცემული 1912 წ. ლონდონში. ილია ჭავჭავაძის „განდევილი“, ნათარგმნი და გამოცემული 1895 წელს ლონდონში, მან წარწერით მიძღვნა საჩუქრად.

გულთბილი საუბრისა და გამოთხოვების შემდეგ დაეტოვეთ უორდროპის სახლი. 5 ივლისს გახეთ „სევენოუკის ქრონიკაში“ გამოქვეყნდა ფოტორეპორტაჟი მარჯორი უორდროპის საფლავზე ჩემი ვიზიტის შესახებ.

# საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

## ზვიად გამსახურდია

### ა. თაყაიშვილის „ენა კველი, ენა ახალი“

ამას წინათ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ა. თაყაიშვილის წერილი „ენა ძველი, ენა ახალი“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული თარგმნითი ლიტერატურის ერთი ნაწილის განხილვას ენობრივი თვალსაზრისით. თავისთავად არაფერია ცული იმ ფაქტში, რომ კაცმა მოისურვოს გარკვეული პოზიციიდან აზრის გამოთქმა ამა თუ იმ ავტორის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე, მოგვაწოდოს დაფიქრებელი, წინასწარ გააზრებული კრიტიკა ენობრივი ლაპსუბებისა, ან საქმიანად აღნიშნოს ნაკლი თუ ღირსება ამა თუ იმ თარგმანისა. მაგრამ ამგვარ კრიტიციკულ მხოლოდ მაშინ ექნება ფასი, თუ იგი არ იქნება შედეგი სუბიექტური სიმპათია-ანტიპათიებისა, ან წინასწარ აკვიატებული ტენდენციური წანამსვლელებისა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ საჭიროა მხილება ისეთი კრიტიკისა, რომელიც საკითხში გაურკვეველობის გამო, ან სხვა რაიმე მიზეზით, შეგნებულად თუ შეუგნებლად აყალბებს ფაქტებს.

რა პრობლემებს არ ეუბიდება ავტორი ამ 25 გვერდიან წერილში! თეორიული ენათმეცნიერება, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კორიფეთა სტილის ანალიზი, ლექსის სტრუქტურა და პროზის თავისებურებანი, ონომასტიკა და ბოლოს, საბრალდებულო სკამზე დასმულ მთარგმნელთა შემოქმედება და ენობრივ-სტილისტური კონცეპციები. დიდად გვაკვივრებს აგრეთვე დამოწმებულ ავტორთა სიმრავლე, მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობს ავტორის მიერ არასწორად გაგებული ცნება „არქაიზმისა“, რომელიც, მისივე გამოთქმა რომ ვინმართი, „წითელი ზახვიით“ გასდევს მთელს წერილს.

ავტორი შეპყრობილია უჩვეულო, თითქმის

ფანატიური სურვილით, რაღაც არ უნდა დაუჭდეს „არქაიზმებად“ გამოაცხადოს ქართული ენის ლექსიკის სახეგარი მანც. მაგალითად: „უფლისწული ისედაც არქაიზმი; სეფეწული კი არქაიარქაიზმი!“ (როგორც ხედავთ, თავისი გზნების გასასკეცებლად მან ახალი ტერმინიც კი შემოიღო: „არქაიარქაიზმი“!). ახლა ჩვენ დავსკვნით: თუ „უფლისწული“ არქაიზმი (და ამიტომ ვადასაგდები სიტყვა), უნდა შემოვიღოთ მისი „ახალქართული“ შესატყვისი, რა იქნება ეს? „მეფის შვილი“. პო მაგრამ, გვეტყვის ლოგიკის მოყვარული მკითხველი, მაშინ „მეფეც“ არქაიზმად გამოვაცხადოთ, რამდენადაც დღეს მონარქიამ მოსკვამა წუთისოფელი. ე. ი. ჩვენს წინაშე დადგება ამოცანა: „მეფის“ და „უფლისწულის“ რაიმე ახალქართული ექვივალენტები შევქმნათ, რათა გავექვეთ არქაიზმებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ მას, რომ არქაიარქაიზმმა „სეფეწული“ც, ყოველგვარი კერძო თვალსაზრისების მიუხედავად, ქართულ ენაზე შეიძინა „პრინცი“ მნიშვნელობაც.

ახლა გვიბრძანოს ავტორმა, რომელი კენჭისყრის ძალით შერაცხა მან არქაიზმებად ისეთი სიტყვები, როგორცაა: „სიღლებიერე“, „ჟამი“, „ხურვება“, „დაკოდვა“, „ჭვრეტა“, „ხრწნალი“, „მეუფე“ და სხვა? საინტერესოა, რომ ავტორი გულომწყალუბას იჩენს და ვიხსნ აძლევს „ახალ ქართულში“ ისეთ სიტყვებს, როგორცაა: როკვა, სარეცელი, სოფელი, დიაცი, გვემა და ა. შ. მაგრამ იქვე გაისმის მისი მრისხანე ვაფრთხილება: ესენი სინთონიური სიტყვის იშვიათად სახმარი ცალგებია! თურმე მთარგმნელი და შემოქმედი უნდა დაელოდოს არლი თაყაიშვილს, სანამ მისგან არ მოვაღირებტოვა, ხშირად ან იშვიათად უნდა იხმართოთ ესა თუ ეს სიტყვა.



მაგრამ ავტორი უფრო შორს მიდის და აცხადებს: „მაგრამ სუბიექტურსაც ხომ გაანინათვისი ობიექტური საზღვარი?“ და ამ „ობიექტურ საზღვრად“ გვევლინება ისევ მისივე სუბიექტური მოსაზრებები. უმწარესად, საყოფიერ ობიექტურობაში დაყრებულობამ მიიყვანა იგი ზემოხსენებულ კუთხოვებად.

ა. თაყაიშვილს სათაურიდანვე აციკატებული აქვს მეცნიერულად დაუსაბუთებელი, პრაქტიკის მიერ უარყოფილი მოსაზრება, რომ არსებობს ორი ქართული ენა: ერთი ძველი და მეკლარი, ხოლო მეორე — ცოცხალი და ახალი. იგი თვალს ხუჭავს ამ ფაქტზე, რომ რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და XX საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მწერალი ერთი და იმავე ენობრივი გასაღებით სწერენ; რომ მეოცე საუკუნის მწერლების ენას ძირითადად იგივე ლექსიკური ბაზისი აქვს, რაც ცურტაველსა და მერჩულეს; რომ „ვისრამიანში“ ხშირად შეხვედებით ისეთსავე გრამატიკულ ფორმებს, როგორსაც უახლეს ქართულ მწერლობაში. მაგრამ წინასწარ აღებულ დებულებას ხომ სჭირდება გამართლება! და აი, შესანიშნავი სტუპიდიზმი: ნართანიანი მრავლობითი გამოცხადებულა ძველი ქართული ენის კუთვნილებად, ხოლო ებიანი — ახალი ქართულისა. თურმე ნუ იტყვით, ინვერსია და პოსტ-პოზიციური წყობაც ძველი ქართულის მანიკერება ყოფილა! მართალია, ნართანიან მრავლობითში დაცული უნდა იყოს ირიცხვში შეთანხმება სიტყვებს შორის, არ შეიძლება „მთანი მაღალი“, უნდა იყოს „მთანი მაღალი“, მაგრამ რა უფლებით ვცდილობთ მის გამოცხადებას მეკლარ, არქაულ „მორფოლოგიურ ოდენობად!“ ნართანიანი მრავლობითი მშვენება ქართული პოეტური მეტყველებისა, იგი უადრესად კეთილსმოვანია და ამავე დროს პრაქტიკულად მოსახერხებელი, გარდა ამისა, ნართანიანი დღესაც გაისმის ქართულ დიალექტებში, და სასაუბრო ენაშიც.

ენათმეცნიერებაში „არქაიზმთან“ ერთად არსებობს „პოეტიზმი“ გაგებაც. პოეტუზმი ისეთი სიტყვაა, რომელიც იხმარება პოეტურ მეტყველებაში. იგი ხასიათდება აწული ინტონაციური ელფერით, ჰქმნის ამღლებულ განწყობილებას, გამოიყენება როგორც სამკაული ლექსისა, ან პოეტური პროზისა. ასეთი პოეტუზმებიც არის, ოდეს, გარნა, მოთვარე, წარუხიცილი, წარტაცებული და სხვ. პოეტუზმებში შედის აგრეთვე სასაუბრო ენისათვის უჩვეულო ფორმები და სხვა. ასე რომ დიდი ნაწილი ამ სიტყვებისა, რომელთაც ა. თაყაიშვილი არქაიზმებად სთვლის, პოეტუზმებია და არა არქაიზმები. ასეთი პოეტუზმებითაა სავსე თანამედროვე ქართველი პოეტების შემოქმედება, რომანტიკოს და სიმბოლისტ პოეტებზე რომ არაფერი ვთქვათ: ასე რომ „შენი სულმნათისად ასულა ეროვანი“, „შენისმინევი ჰე,

ბუნებაე“, „პატრონი იგი წამწათა ქობისა...“ ა. შ. — პოეტური ენის ფორმებია და არა მხოლოდ „ძველი“ ქართული ენის კუთვნილება.

მართალია, რთულია ზუსტი სადემარკაციო ხაზის გავლება არქაიზმებსა და პოეტუზმებს შორის, მაგრამ პირობითად: არქაიზმად უნდა მივიღოთ ისეთი სიტყვა ან ფორმა, რომელიც აღარ იხმარება მწერლობაში, როგორც საერთო-სახმარი სიტყვა, პრაქტიკულად აღარ გვხვდება ლიტერატურაში და რომელიც გამოიყენება მხოლოდ გარკვეული საკუროვებისას. ეს შეეხება როგორც ლექსისა და მორფოლოგიას, ისე სინტაქსს.

ახლა განვიხილოთ რეცენზენტის დამოკიდებულება ოსკარ უაღლის ზღაპრების ჩემულ თარგმანებთან. როდესაც ვცდილობთ შევაფასოთ თარგმანი და მისი სტილის აღქმადობობა, ელემენტარულად უნდა ვიცოთ გარკვეული დენის სტილი და ენობრივ სტრუქტურაში, უნდა ვიცოდეთ აგრეთვე ავტორის სტილისტური კონცეფციები, მისი ესთეტიური კრედიტი, ან თუნდაც ის მიმართულება, რომელსაც ავტორი ცუთვნის. არ ვიცი, რამდენად ფლობს ა. თაყაიშვილი ინგლისურ ენას, მაგრამ მისი შეხედულება უაღლის სტილზე თავიდან ბოლომდე ყალბია და ეფუძვნება გაუგებრობას. იგი „ზოგადად ახასიათებს დენდების ენას“ და დაასვენის, რომ უაღლის ზღაპრები ობიექტურად არ მოიცავდნენ „ძველი ქართული“ გადმოღების აუცილებლობას, და რომ ეს არქაული სტილიზაცია მთარგმნელის სუბიექტური თვალსაზრის შემყარება. ერთი რომ უნდა განვსახვავოთ „ძველი ქართული გადმოღება“, „არქაული სტილიზაციისაგან“, მეორეც, უნდა მოვახსენოთ ა. თაყაიშვილს, რომ უაღლის ზღაპრები და განსაკუთრებით მათი შედარე წიგნი (ჭაბუკი მეფე, მებაღეობი და მისი სული) სწორედ არქაული სტილით ხასიათდება და ყველაზე მეტად ენათესავება სწორედ მეფე იაკობისეულ ბიბლიას. თუმცა მოემის სუბიექტური მოსაზრებით შესაძლოა ინგლისური ბიბლიის სტილი არად სახმარი იყოს, მაგრამ ამ ბიბლიამ ზეგავლენა მოახდინა ინგლისური პროზის ისეთ დიდოსტატებზე, როგორიც იყო დიკენსი, ტუკერევი, და უაღლი. დიდი ინგლისური პოეტები: მილტონი, ბაირონი, შელი, ტენისონი და სხვანი დიდ ზეგავლენას განიცდიდნენ ინგლისური ბიბლიის ენისას (ამგვარ ავტორიტეტებთან კი ვერაფერი სასხენებელია სამერსტე მოემი). ა. თაყაიშვილს უნდა მოვახსენოთ, რომ უაღლის შეხედულებები ენისა და სტილის შესახებ მკვეთრად განსხვავდებოდნენ მოემის შეხედულებებისაგან. უაღლის იდეალი იყო: „ენა განსხვავებული საერთო-სახმარი ენისაგან, საუცხოო მუსიკით, სულზე უტკბესი რიტმით, სა-



ზემო კადანსებით, მოოჭროვილი საუცხოო სიტყვებით გამდრებულ, მაღალი დიქციით გამორჩეული“ (იხ. მისი ტრაქტატი „სიტყუის დაკინება“).

უაღლი ძლიერ ახლოს იდგა იმდროინდელ ინგლისში გავრცელებულ ესთეტიურ მოძრაობასთან. პრერაფაელიტიზმთან. პრერაფაელიტიზმი, როგორც თავად უაღლი აღნიშნავს, არქაისტული მოძრაობა იყო, იგი მიზნად ისახავდა ფერწერაში რაფაელამდელი მხატვრების ფორმებისა და მეთოდების, ხოლო პოეზიაში შუასაუკუნეთა პოეტების ტრადიციათა აღორძინებას (უაღლია მორჩისი, დანტე გაბრიელ რუსტი, პოლმან ჰენტი და სხვანი). უაღლისთვის სიტყვებია: „ყოველი ხელოვანი უნდა გაეზარდეს უპირველეს ყოვლისა ფორმისა და საფუძეთის თანადროულობას... ხელოვნებაში ბუნება და ცხოვრება უნდა გადაითარგმნოს მხატვრული პირობითობის ენაზე“. მართლაც, მისი ზღაპრები უჩვეულოდ ამაღლებული პროზაული პოემებია, და არა მხოლოდ ტრადიციული გავების „ზღაპრები“. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ უაღლი, მოემისაგან განსხვავებით, დიდად აფასებდა აღმოსავლურ ლიტერატურას და ხელოვნებას. იგი ხშირად აღფრთხილებდა ორიენტალიზმს, როგორც „მხატვრული პირობითობის მოყვარულ და ბუნების კოპირების მოძულე მიმართულებას“.

ამ იდეებმა თავი იჩინეს სტილისადმი დამოკიდებულებაშიც.

სტილის ორნამენტული სილიადე უმაღლეს საფეხურს აღწევს, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით ზღაპრების მეორე ციკლში. აქ უაღლიმა პრაქტიკულად განახორციელა თავისი დებულება: „ხელოვნება მარტივი უქმნობს რაღაც, არამედ რთული სილამაზე“. უაღლი დიდად იყო მოწადინებული, რომ ინგლისურ პროზაში დანერგილიყო აღმოსავლური სული. ერთ ადგილას იგი დიდად აქებს ინგლისელ მწერალს უენრაიტს, რომელიც სწორედ ამ ტენდენციით ხასიათდება. აღმოსავლეთისადმი ტრფალმა თავი იჩინა მის უერცეს ზღაპარში „მებადური და მისი სული“, რომელიც, როგორც თემატიკურად, ისე სტილისტურად შორეულად ენათესავება შუპერზადას. ამ ნაწარმოების ფორმის დიდებულებას განაპირობებს ენის ულვეი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სიმდიდრე და ხატოვანება, რთული ორნამენტაცია, უაღრესად კეთილზმოვანი რიტმულ-ანტიკონატიური კადანსები, არქაიზმების სიჭარბე და თხრობის ბიბლიური მანერა. ასე რომ რასაც მოემი ამბობს ბიბლიის შესახებ, ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას უაღლის ამ ზღაპარზე. ამიტომ ნულარ გაუვირდება ა. თაყაიშვილი ჩემი თარგმანის „ზეაწული, მდორედ მიმავალი ფრაზა, დამძიმებული არაქული ლექსითა და გრამატიკული ფორმე-

ბით“. სწორედ ამიტომ გაისმის ამ ზღაპრის თარგმანში ქართული „ვისრამიანის“ ინტონაციებიც.

ავტორი კარგად რომ დაკვირვებოდა ჩემს თარგმანებს, დანახავდა, რომ ზღაპრები „ბედნიერი სეფეული“, „თავკერძა გოლიათი“ და „ეპაროდ და ბუღაბული“ უფრო განსხვავებული სტილით არიან თარგმნილი. აქ მხოლოდ ტენდენციურ კრიტიკოსს თუ მოეჩვენება არქაიზაცია. აქაიზაციას აქ შეგნებულად მოვერიდე. ვინაიდან დედანი აქ არ იძლევა ამის საბაბს. რაც შეეხება ნართანთან მრავლობითს, ინვერსიას, და ერთადერთ სიტყვას ბრენს, ეს არ ჩათვლება „არქაიზაციისკენ გაძლიერებული ფრონტი სვლად“. რაც შეეხება „ბრენს“. ენის სიმდიდრეს სწორედ სინონიმების სიჭარბე განაპირობებს, ამიტომ არ უნდა მოვერიოდო მსგავსი სიტყვების გაყოცხლებას.

ა. თაყაიშვილის თქმით, ოსკარ უაღლის ზღაპრები „მე მოთარგმნია ძველი ქართული, ე. ი. ჩვენი პავოგრაფიული ძეგლების ენით. თეალაჩინოებისათვის მოვიყვან ფრაგმენტს ჩემივე თარგმნიდან:

„მერცხალი გადაველო მდინარეს, დღანდა გემის ამძებზე დაკიდებული ფარები, გაღაფურინა გეტტოს, ნახა თუ როგორ ვაპრობდნენ ერთმანეთში მოხუცი ებრაელები, როგორ სწონდნენ თეთრ ფულებს სპილენძის საწორებზე. ბოლოს მიაღწია სახლამდის და შიგ შევიკრიბა. ხურვებაშეყრილი ბიჭი მოუსვენრად ბორავდა საწოლზე, ხოლო დედამის ჩასძინებოდა დალილი-დაქანტულს“.

ვინც გადაფურცლავს უაღლის ზღაპრებს, დარწმუნდება, რომ ასეთი წყობა და ლექსიკური მასალა ტიპური ჩემს თარგმანებში, ასე რომ რაღაც საბედისწერო ბანგით დანისლულ მგერას თუ მოეჩვენება ამგვარი ფრაზები „ძველ ქართულ ენად“. რაც შეეხება მღვდელმთავრის, მეფის, დიდებულის მეტყველებას, ეს თავად უაღლის არქაული ენით აქვს გამოცემული, ასე რომ ჩემის მხრით დედნის დალატი გამოვიდოდა, არქაიზმები რომ არ მესმარა ასეთ შემთხვევაში.

ა. თაყაიშვილის ეს წერილი ძლიერ ნაჩქარევად არის დაწერილი. ეს რომ არა, იგი დაინახავდა, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩემს მიერ თარგმნილი ორი ზღაპარი: „თავკერძა გოლიათი“ და „მებადური და მისი სული“. „თავკერძა გოლიათში“ მართლაც არ ფერძნობა არქაიზაცია, იგი მოზარდობისაა გამიზნული, ხოლო „მებადური და მისი სუ-

1 ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მან ვერ დანახა განსხვავება ბო-ძიუ-ისა და უიტმანის თ. ჩვენეკლესიულ თარგმანებს შორის.

**წიგნიად გამოსაქრანი**

ა. თაყაიშვილის „ენა ძვილი, ენა ახალი“



ლი" რთული, ფილოსოფიური ზღაპარია, სადაც იგრძნობა არქაიზაციისაკენ მიმავალი მიდრეკილება (შეიძლება სპეციალური შრომის დაწერა უაღლდის სტილის ნათესაობაზე ინგლისურ ბილიასთან, საერთოდ, არქაიზმების როლზე უაღლდის ენაში). უნდა გვახსოვდეს, რომ მეფე იაკობისეული ბიბლია თარგმნილია XVII საუკუნეში და მისი ენა დიდად განსხვავდება თანამედროვე ინგლისურისაგან. ეს სჩქარა რომ არა, ა. თაყაიშვილი არც ჰომეროსის შესახებ გამოთქვამდა ასეთ გაუმართლებელ მოსაზრებას. იგი თითქმის იწუნებს გნედლინის თარგმანს და ამბობს, ჩვენს ეპოქაში ასეთი რამ, აღარ უნდა გადმოვრდეთ. უნდა მოვახსენოთ მას, რომ ჰომეროსის პოემები არქაულ, იონიურ დიალექტზეც რომ არ იყვნენ შექმნილი, მაინც შეუძლებელი იქნებოდა მათი ეპიური სიდიადის და ამბობს, პათეტის გადმოცემა ა. თაყაიშვილისეული „ახალი ქართული“. ჰომეროსის ყველა დიდი მთარგმნელი ევროპაში არქაულად შეფერადებული ენით სთარგმნიდა და სთარგმნის მის პოემებს.

ამოდ ჰკონია ა. თაყაიშვილმა, თითქოს დღეს უკვე დაგმოვიდა ეს გზა. უახლესი ინგლისური თარგმანი ჰომეროსის პოემებისა ა. მერრის მიერ შესრულებულ სწორედ არქაიზაციით გამოირჩევა (აქაც უნდა აღნიშნოთ, რომ ჰომეროსის ენისა და სტილის პრობლემა, მისი თარგმნითი ექვივალენტის პოვნა ცალკე წერილის სახად გამოდგება):

რამდენადაც ა. თაყაიშვილმა თავის მეორე წერილში ახსენა ტ. ს. ველიოტი, ორიოდ სიტყვას ვიტყვით მისი ენობრივი პოზიციების შესახებ, აგრეთვე შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორი ენობრივი ვასალებით სწორედ თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი პოეტები.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ლიტერატორათათვის უცხოა ისეთი წინასწარგანწყობა „არქაულისა“ და „ძველისადმი“, როგორსაც ვხედავთ ჩვენში (ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყაროს წარმოადგენდნენ იტალიელი ფუტურისტები). მაგრამ მაინც, შეიმჩნევა ორგვარი ტენდენცია. მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში აღმოცენდა ახალი ტიპი მწერლისა, რომელიც განსხვავდება მწერლის ძველებური გავებისაგან. ეურნალისტური სული თანდათან ეუფლება ამ დროიდან დასავლეთის მწერლობის ფართო წრეებს. მწერალი — ეურნალისტი, პოეტი — ეურნალისტი მოითხოვს ყურადღების გამახვილებას მოველნათა ზედაპირზე, ყოველდღიურ წვრილმანებში დაეძებს იგი საზრდოს შემოქმედებისას. და თუ რომანტიზმი ზეადამიანური სამყაროსაკენ უხსნიდა გზას კაცობრიობას, ეს ახალი ეურნალისტური მწერალი ქვეადამიანური ინსტიტუტებითა და ინტერესებითა განმსჭვალული. ეურნალისტი — პოეტი თა-

ვისთავს კარგავს მოველნათა მრავალსაბუნებში, იგი მხოლოდ იმიტებით ამახვილებს საწუთროს მირაჟებისა, მას აღარ აწუხებენ მაღალი ფილოსოფიური პრობლემები, მისთვის უცხოა მარტვილობა სულისა, რომელიც მუდამ ჰქმნიდა და ჰქმნის ჰემარტივ ხელრევებსა. ამიტომაც სიმპტომატურია ის ენობრივი ტენდენცია, რომელსაც ამჟღავნებენ ეს ახალი ტიპის მწერლები. ისინი მოითხოვენ სალიტერატურო-ენის დაყვანას საზავთო ენამდე; მათი აზრით, სიტყვის კოლორიტი, ფრაზის მუსიკალობა კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ შინაარსისმიერ მასალას, რომელსაც ეს სიტყვა გადმოსცემს. თუ სიმბოლიზმმა უკიდურესობამდე მიიყვანა სიტყვის სურნელებით თრბა, ეურნალიზმში მოითხოვენ, სიტყვა გადაიქცეს პირობით ნიშნად, რომელიც მარტოდან კომუნიკაციის საშუალება და სხვა არაფერი. ამიტომ ვასაგებები ის საოცარი ისყრუე, რომელსაც ამჟღავნებენ ამგვარი ტიპის მწერლები. მათთვის უცხოა ის იღუმალი გრძნეულება სიტყვისა, რომელიც ჰქმნის ატმოსფეროს პოეტური განცდის გადმოსაცემად. მათთვის უცხოა სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის მიღმა დანახვა „მეორე მნიშვნელობისა“, რომელიც, მართალია ვერ შემოდის ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ უფრო რეალურია, ვიდრე პირველი. მათთვის სიტყვა იღუმალი სტიქიის განიცხადება როდია, არამედ მარტოდენ გარეგან ბგერათა კომბინაცია, ხოლო თვით ბგერები — ფიზიკური ვიბრაციების ჯამი. მათთვის უცხოა ბგერის სიღრმეში ჩაწვდომა, თვით ბგერის მნიშვნელობის ძიება, რომელიც იღუმალ დაკავშირებულია თავად სიტყვისა და ფრაზის მნიშვნელობისთან.

ამერიკულ პოეზიაში ეურნალიზმის წინამორბედად ითვლება უიტმანი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეურნალისტური განწყობილება არ არის ძირითადი მის პოეზიაში. მგზნებაზე ნათელმზღველი, რომელიც კოსმიური წიაღების ქვრეტისას ჰპოულობდა პასუხებს არსებობის დიდ კონცეპტზე, ვერასოდეს ჩაეტეოდა ვიწრო — საგანთო ლიტერატურის ჩარჩოებში. უიტმანის ყოვლისმომცველობამ, სინამდვილის მთლიანობაში აღქმამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ იგი ეურნალისტის თვალთ უყურებდა სამყაროს. უიტმანი იმიტომაც თაკილობს ლიტერატურის „ჩრეულებს“ შორის ყოფნას, რომ მისთვის უცხოა ყოველგვარი არტახები. მის ენაში ურთულეს ფილოსოფიურ საქცევებთან და ბიბლიკისებთან ერთად გხვდება ინტერ-სასაბურთო გამოთქმებს და სლენგსაც.

უიტმანის ეს ერთი მხარე უკიდურესობამდე მიიყვანა ელგარ ლ მასტერსმა და მასთან დაკავშირებულმა სხვა პოეტებმა. მასტერსის პრობლემატია ვიწრო-ადამიანურია; შემთხვევითი როდია, რომ იგი სივრცულად შემოი-

ფარგლა შუა — დასავლეთის ერთ-ერთი პატარა პროვინციული ქალაქით და უზარმაზარი წიგნი მოანდომა მის მკვიდრთა განცდების აღწერას. მისი ენაც ტიპობრივ საგავთოთ ენაა. როდესაც ესაუბრობთ ჩვენს საუკუნეში მოძალუბელ ჟურნალისტზე, უნდა გვასოსვდეს, რომ უკანასკნელ ხანებში დამახინჯდა ქვეშაირი ჟურნალიზმის გაგება. ასე რომ ეს ბოროტება გამოიწვია ცუდმა ჟურნალიზმმა და არა საერთოდ ჟურნალიზმმა. ელიოტიც ამ ორგვარ ჟურნალიზმს ანსხვავებდა (იხ. მისი სტატია „Journalism and Literature). მისი აზრით, სიფხტი და დეფოც ჟურნალისტები იყვნენ ამ სიტყვის ქვეშაირი გაგებით.

ტომას სტერნს ელიოტი არის პოეტი, რომელიც გადაჭრით უარყოფს მასტერსის გზას ლიტერატურაში. იგი კვძობს „მასტერსიზმს“ და ამბობს, რომ მართალია საჭიროა დაპირისპირება რომანტიზმისადმი, მაგრამ არა ამგვარი გზით. ელიოტის აზრით, ამისათვის საჭიროა აღორძინება კიდევ უფრო ადრინდელი ტრადიციებისა, კერძოდ, კლასიციზმისა და ინგლისელი პოეტი — მეტაფიზიკოსების ტრადიციებისა. ელიოტი არ არის ტიპობრივ გაგების „მოდერნისტი“ (მაგ. ფუტურისტული ტიპისა), იგი პირიქით, უკიდურესად ტრადიციული პოეტია. იგი ერთ-ერთ პირველ პირობად უსახავს პოეტს ტრადიციულობას. მაგრამ ტრადიციულობა მისი აზრით არ უნდა ნიშნავდეს მიმდამეფლობას, განწეორებას. პოეტი იმდენად ცივლად უნდა გრძნობდეს ტრადიციას, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა პომეროსიდან დაწყებული და მისი ქვეყნის ლიტერატურა თანადროულად არსებობენ მის ეპოქაში. ამას ელიოტი უწოდებს „ისტორიის შეგრძნებას“, რომლის სასუფლებლთაც პოეტი სძლევეს დროს და ეხიზარება „უქამობის შეგრძნებას“.¹ ასე რომ მისთვის ხდება შერწყმა ეპიქოსისა და უქამოსი. ამიტომაც ელიოტის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვჩნდება, თითქოს გვესაუბრება ყველა დროის პოეტი და არა მხოლოდ თანამედროვე პოეტი. ეს შეიძლება თქვას როგორც თემატურ მასალაზე, ისე ენაზე. მართალია, ელიოტი მომხრეა სასაუბრო იდიომის შემოკანაბრა პოეზიაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის მას ხელს უღრესად არჯულთ კონსტრუქციებისა და სიტყვების ხმარებაში, როდესაც ამას მოითხოვს კონტექსტი და განწყობილება.

დაიხ, ელიოტის პოეზია ყველა დროში არსებობს, მას ისეთივე ორგანული კავშირი აქვს ბავაყავატ გიტასთან და პომეროსთან, როგორც დანტესთან და ლაფორგთან. და სწორედ ამ ეპიქოსი თანმიმდევრულობის დარღვევას ელი-

ოტი აღწევს იმით, რომ მისი ენობრივი ინსტრუმენტი მოიცავს ინგლისური ენის განვითარების ყველა პერიოდს და ორგანულად უკავშირდება სხვა ძველსა და ახალ ენებს. მის პოემებში ახალ ინგლისურთან შერწყმულია სანსკრიტი, ძველ ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული და სხვა. ამიტომაც ელიოტის კითხვა მეცნიერულად დამუშავებული კომენტარების გარეშე ძლიერ რთულია. ჩვენს მიერ აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით მქადვენება მის პოემაში „იავარქმნილი მიწა“, სადაც შექპირისდროინდელ ინგლისურს უეცრად ენაცვლება თანამედროვე ინგლისური, ერთსა და იმავე წინადადებაში ნახმარია სანსკრიტული, ფრანგული და ლათინური გამოთქმები და სხვა. პოემაში „ოთხი კვარტეტი“ ერთი ფრაგმენტი დაწერილია ჩოსერისდროინდელი ინგლისური, გარკვეული ასოციაციების შესაქმნელად, ხოლო ელიოტის რელიგიური ლექსები, მაგ. „დიდი ალემის ოქსემათი“ საეგვა ბიბლიური საქვეყნობთა და ლექსიკით. ასეთივე ენობრივი ტენდენციებით ხასიათდებიან ამერიკელი პოეტები ეზრა პაუნდი, რომენსონ ჩეფერსი, თვით უილდერსი მოდერნისტი ე. კაინისი და სხვანი. ა. თაყაიშვილს გაუგვია, რომ ელიოტი მოითხოვდა სასაუბრო ინტონაციების შემოტანას ინგლისურ ლექსში. მას ჰგონებია რომ ელიოტი ამავე დროს ლექსიკაშიც სასაუბრო სიტყვებით შემოფარგლავს მოითხოვდა. სინამდვილეში საქმე ხება სალექსო სტრიქონის წყობას და ინტონაციას, მახვილთა განლაგებას და არა ლექსიკას, მორფოლოგიას ან სინტაქსს.

ასე რომ, არც ისე იოლია ისეთი პოეტის ენობრივ პოზიციებში გარკვევა, როგორც არის ტ. ს. ელიოტი. აშკარაა, რომ თანამედროვე ეპოქის დიდ შემოქმედთათვის ნათელია შემდეგი: ძველისა და ახლის გაგება ენაში პირობით საენათმეცნიერო ტერმინოლოგიას უნდა მივაყუთვნოთ. ენა ვერ იქნება გაყინული ვერც წარსულში და ვერც აწყმოში, პოეტისათვის ენა უფრო უქამოსის ფენომენია, ვიდრე უქამოა, ხოლო ენობრივი მახალის „სიძველეზე“ და „სიახლეზე“ დაპარაკი სუბიექტურ-ილლუზორული მიდგომის შედეგია. შესაძლოა ამ დებულების წინააღმდეგ წამოაყენონ მრავალი თეორიული მოსაზრება, მაგრამ შემოქმედება, როგორც პრაქტიკული სინამდვილე, ამ დებულებას მუდამ გამამართლებს.

ახლ რაც შეეხება ბელინსკის საყვედურს გოგოლისადმი: მას იგივე საყვედური უნდა ეთქვა თაისი სათაყვანებელი პუშკინისადმიც, რომელიც ძლიერ ხშირად ხმარობს სიტყვა-**Всяк-**სა და სხვა არქიზმებს. «И назовет ме-

**ზვიად გამახანდინი**  
ა. თაყაიშვილის „ენა ძვილი, ენა ახალი“

1 იხ. T. S. Eliot — „Tradition and the individual talent“.

**ნია ვსაკ სუწიი ვ ნემ ჟაზკ...»**

ლიან, დიდ რუს მწერლებსაც დიდად უყვარათ არქიზმების ხმარება,

უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ, როგორც ბ. ბრეჯაძე და რ. თვარაძე სამართლიანად აღნიშნავენ, ა. თაყაიშვილს დამახინჯებულდ მოაქვს ციტატები თარგმანებიდან. ძელია თქმა, შეგნებულად ხდება ეს თუ უნებლოთ. მაგალითად, ჩემს თარგმანშია: „ღვინით მოვაკრენი იდაყუებით იყაფვენ ბრბოში გზას, მოზრდილი, შავი თხიერები აქვთ მხრებზე შეგდებული“ (იხ. გვ. 84) .

მას კი ასე მოჰყავს ეს ციტატა: „ღვინით მოვაკრენი იდაყუებით იყაფავენ ბრბოში გზას, მოზრდილი, შავი თხიერები აქვთ. მხრებზე შეგდებული“. შესაძლოა მკითხველმა იფიქროს, რომ დროთა შეთანხმების წესი არ ეიცო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს რეცეპტის „დამასახურება“ გახლავთ (იხ. ცისკარი“, გვ. 147).

შემდეგ: „უფალმან ჩვენ გვიბოძა იგი სიქველეთა საყოფად“. უნდა იყოს: „უფალმან ჩვენმან გვიბოძა იგი“. ასეა ჩემს თარგმანში. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს წვრილმანია. ვისაც ძველი ქართულის სპეციფიკა გაეგება, იგი მიხვდება, რომ არის განსხვავება ამ ორ ფორმას შორის.

ხსენებული ტენდენციის გარდა ა. თაყაიშვილი იყენებს აშკარა კორექტურულ შეცდომებს და აცხადებს მათ ავტორისეულ შეცდომებად.

ახლა საინტერესოა გავარკვიოთ, რა ენობრივი ტენდენციებიდან აღმოცენდა ეს ე. წ. „ახალი ქართულის“ გავება, რომელსაც გაჴყვეტილი აქვს ორგანული კავშირი ძველთან, და რომელიც არ ფიგურირებს არცერთი მნიშვნელოვანი ქართველი მწერლის შემოქმედებაში, მაგრამ მაინც აცხადებს პრეტენზიას არსებობისას. XIX საუკუნის მყოფე ნახევარე ქართულ ლიტერატურას შემოეხიზნენ წვრილფეხა მწერლები და ჟურნალისტები, რომელთაც არ ჰქონდათ ორგანული კავშირი ქართული ენისა და კულტურის ტრადიციებთან. მათ შემოიტანეს ქართული ლიტერატურისთვის უცხო სული, რომელმაც გამოიღო თავისი შედეგი ენაშიც. ქართული ენის ჰემზობიტი მსუქვერთა აღმოფოთებისა და ცდების მიუხედავად, მათ დამჩინები თავიანთი კვალი ენის განვითარებას. ეს ტალდა შემდგომში უფრო და უფრო იზრდებოდა. დამკვიდრდა ლიტერატურაში ფსევდოხალხურობის ტრადიცია, რამაც აავსო ქართული ენა არაქართული ფორმებითა და კონსტრუქციებით. ცნობილია, აზროვნების პრიმიტიულობა და სიღუჭჭიკე ენობრივ სიღუჭჭიკერეში ვლინდება ხოლმე; ასე რომ, ხსენებული მწერლების ენა ანარეკლი იყო მათივე შინაგანი სამყაროსი. ამიტომ აბოზოქრდა გრიგოლ ორბელიანი და ცხელ გულზე უმართებულ



საყვედურებიც კი აჯადრა დიდ ილიას, რომელიც ფაქტიურად მისსავე ენობრივ პოპულარიზატორად იღგა! (მავე პოზიციებზე იღგა ივანე მაჩაბელიც). ამის გამო შეეხიზნა დიდი მოსიკაცი ვაჟა-ფშაველა მთის დიალექტს, სადაც მას ეკუთვნებოდა თავანჯარა ძველი ქართული. ამიტომ სწერდა რაფიელ ერისთავი საბა ორბელიანის ლექსიკონის წინასიტყვაში: „იქნება სთქვან, რომ ზოგი ქართული სიტყვები დაძველებულან და ვაუგებარნი არიანო, მაგრამ, ჩემის აზრით, სჯობს ისევე ის ძველი სიტყვები განვახლოთ და შევივითანოთ ლიტერატურაში სახმარებლად, ვიდრე სხვა ენას დავესხებით“.

თუმც უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ენის დაცინებისა უფრო ადრე დაიწყო. საბა ორბელიანის ლექსიკონი გვიანტური ცდა იყო ამ დაცინების შესაჩერებლად, განა თავად არ ბრძანებს საბა: „ვინადათან პატიოსანი ესე წიგნი დაქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“. ამ გარყენისა და დაცინების სიმტკობები კი შემდეგ გახლავთ: დავიწყებას მიეცა დიდძალი ლექსიკონი მასალა (აუთვისებლობის გამო), ენა სინონიმურად გაღარბდა, იქ სადაც უწინ რამდენიმე ფორმა იყო ნაფხისების გასარჩევად, დარჩა ერთი, სინტაქსი გამარტივდა, ორგანული ქართული წყობის აღვილი დაიკავა უცხო წყობამ.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: ე. წ. „ახალ ქართულში“ კანონიერად ითვლება სიტყვა „ახლო“. მაგრამ ამ სიტყვას უწინ ჰქონდა სხვა ნაღვანსებები (კონტრექსტის შესაბამისად).

საბა ბრძანებს: „სიტყვა მრთელ არს — ახლოხ, ხოლო მეტი — ახლოხირე (ხაზი ჩვენია), და ნაკლები — ახლო, ხოლო განყვეთილი — ახს“. როგორც ხედავთ, რაც ნაკლებია აღმნიშვნელი იყო დარჩა, დანარჩენი კი დაიკარგა. აგრეთვე მრთელი — მოვედ. მეტი — მოვედნი, ნალები — მოდი, ხოლო განყვეთილი — მო“. რომელია დღეს კანონიერი? ისევ ნაკლები — მოდი ივანე ითქმის ვანვედ და გადის შესახებ, წარვედ და წადის შესახებ და ა. შ. რა ენობრივი პროცესია, რომელიც სრულ ფორმებს აძევებს და სტოვებს ნაკლებ ფორმებს? ეს არის ენის დაცინებისა და გაღატაკების პროცესი, და არა ძველი ქართულის ახალ ქართულად გარდაქმნა, როგორც ზოგიერთს მგონია.

შევაკის მაგალითების მოყვანა მრავალ შეიძლება. ამას ჩვენ ვანიხილივთ სპეციალურ წერილში, ახლა კი ამით დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ კიდევ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ავტორს. ყველა დროში საბედისწერო გაუმგებობას იწვევდა ფილოლოგებისა და ენათ-

1. ეს თვალსაჩინო გახდება, თუ შევადარებთ ურთიერთს მაგ. გ. ორბელიანის „სადღვრამელოს“ და ილიას „განდევლოს“, „აზრდილოს“ ან „ლოცვას“.

მეცნიერების ჩარევა ლიტერატურის საქმეებში. დღეს თვით ენათმეცნიერებიც კი აღიარებენ (მაგ. შ. ბალი), რომ მწერალი, შემოქმედი ენათმეცნიერულ კანონებს კი არ უნდა უგდებდეს ყურს, არამედ თავის შინაგან ხმას, რომელიც მას ზშირად კარნახობს ენის ჩვეულ ფორმათა დარღვევას. ამიტომ არქაიზმების ვარგისიანობის თუ უვარგისობის განსაზღვრა მწერლის ამოცანაა და არა ენათმეცნიერისა, ვინაიდან ენათმეცნიერება პათანატომიურ ოპერაციებს ახდენს ენის გვაშზე, ხოლო მწერლობა ჰქმნის ენის ცოცხალ რეალობას. ზშირად ხდება ერთგვარი „გაცოცხლება“ არქაიზმებისა. ასეთ შემთხვევაში ისინი იქცევიან საერთო-სახმარ სიტყვებად და მათ ველარ ჩავთვლით მხოლოდ „ძველი“ ენის კუთვნილებად. ასე გაცოცხლდნენ აუარებელი „ძველი ქართული“ სიტყვები XX საუკუნის ლიტერატურაში. მათ უკვე დაიმკვიდრეს მოქალაქეობა დღევანდელ ენაში. ის რაც ზოგიერთი დოგმატიკოსი ენათმეცნიერისთვის ან ფილოლოგისთვის გაუმართლებელია და უვარგისი, შემოქმედისათვის, პოეტისათვის შესაძლოა კარგიც იყოს და აუცილებელიც; ვინაიდან ფილოლოგებს ზოგჯერ დაღატობთ ესთეტიური ალღო, პოეტური ენის შეფასებისას ისინი თავიანთი წინასწარგანსაზღვრული შაბლონური კანონებიდან უფრო გამომდინარეობენ, ვიდრე ესთეტიური აღქმიდან. ამიტომ გაუგებარია მათთვის, თუ რად ებრძვის შემოქმედი საყოველთაოდ დადგენილ კანონთა ჩარჩოს? პასუხი ერთია: იმად, რომ ჰემარტი შემოქმედი ვერასოდეს ჩაეტევა დოგმატიურ ჩარჩოებში, ჰემარტი შემოქმედება — ეს არის საყოველთაოდ დადგენილ კანონებთან ანტაგონიზმი, რომელიც გამართლებულია შემოქმედებისავე შინაგანი კანონებით. ხოლო ამ კანონთა გაგება ვერ ხელეწიფებთ ზოგიერთ ფილოლოგებს.

ახლა ყოველივე ჰემოქმედლის შემდეგ გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები.

1. ეს ა. თაყაიშვილების მიერ გამოგონილი „ახალი“ ენა სხვა არაფერია, თუ არა და ლექსიკურად გაღარიბებული, სინტაქსურად დაკნინებული და ემოციონალურად დადუნებული ჩიქორთული (და არა ქართული), რომელიც აკმაყოფილებს პრიმიტიულად მოაზროვნე ლიტერატორებს. ასეთ ადამიანებს სძლურთ ჰემარტი ქართული. ვინაიდან ეზარებათ ან არ ძალუბთ მისი შესწავლა და შესისხლბორცება. ისინი ესწრაფვიან პრიმიტიულობას, იოლ გზებს ენაში და ეს სწრაფვა სურთ მონათლონ „სისადავისაყენ სწრაფვად“, თუმც მათ ავიწყდებათ, რომ ენის სისადავე და ლიდუბჭირე სხვადასხვა ცნებებია. ჰემარტი ქართული კი მათ სურთ მონათლონ „არქაულ“, „მწიგნობრულ“ და ამიტომ არად სახმარ ენად. ეს ყოველივე იოლი მოსათმენი იქნებოდა, ასეთი ადამიანები რომ არ იწყებდნენ თეორეტიზებას და არ ცდილობდნენ სხვათათვის თავზე მოხვევას თავიანთი აკვიტებული კონცეპციებისას.

2. მზატურული თარგმანის თეორიული პრობლემების, თარგმანში სტილისტური ექვივალენტის შერჩევისა და ენობრივი სტრუქტურის შესახებ უნდა სწერდეს ადამიანი, რომელსაც რაიმე გაუგება თარგმნითი პრაქტიკისა, ან იცის უცხო ენები. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალა საბედისწერო შეცდომებო.

3. ელემენტარული ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს, რომ რეცენზიის დაწერისას კეთილსინდისიერად მოვიყვანოთ ციტატები განსახილველი ნაწარმოებებიდან და მკითხველს თავგზა არ ავუბნოთ კორექტურული შეცდომების ავტორისეულ შეცდომებად გამოცხადებით. დასასრულ, უნდა შეეხსენოთ რეცენზენტს ძველებური და მარად ახალი სიბრძნე: „ხოლო რომელმანცა აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმაბალოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.



## გივი მაჭავარიანი

# სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი

ქართულმა ენათმეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა პროფესორი გივი მაჭავარიანი, რომლის ნაშრომებმაც შეამზადეს და მნიშვნელოვნად განასაზღვრეს ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა.

დიდი ნიჭი და ფართო განათლება გივი მაჭავარიანს საშუალებას აძლევდა ნაყოფიერად ემუშავა როგორც ქართველური და შთის კავკასიური ენების, ისე ზოგადი ენათმეცნიერების მრავალ პრობლემაზე. მის მიერ შექმნილი ფუნდამენტალური მონოგრაფიები: „სონანტა სისტემა და აბლატი ქართველურ ენებში“ (თამაზ გამყრელიძის თანაავტორობით) და „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ იმ გამოკვლევათა რიცხვს ეკუთვნის, ავტორის საბოლოოდ რომ დამუკვიდრეს გამოჩენილი მეკლევარის სახელი.

აკადემიკოსი ვ. ჯირმუსკი წერდა, გივი მაჭავარიანის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება ქართველურ ენათა დარგში უდიდესი მიღწევებით დაგვირგვინდაო. ახალგაზრდა მეცნიერის შრომებს აღფრთოვანებული წერილები და ვრცელი რეცენზიები მიუძღვნეს ცნობილმა საბჭოთა ინდოევროპეისტმა და სლავისტმა ვ. ილიჩ-სვიტიჩიმა, სახელგანთქმულმა ნორვეგიელმა ქართველოლოგმა პანს ფოტმა, იტალიელმა პისანიმ, ამერიკელებმა ლემანმა და იაკობსონმა...

გივი მაჭავარიანი თორმეტი წელი ემსახურებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა ასეციატისტა — სტუდენტებისა და ასპირანტების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მის მიერ წაკითხული ლექციები უაღრესად შემოქმედებითი ხასიათითა და დახვეწილი ფორმით გამოირჩეოდა. ჩინებულად იცოდა საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ქართული მუსიკალური ფოლკლორი... მაღალი მეცნიერული ეთიკა და პრინციპულობა კიდევ უფრო საყვარელს ხდიდა ყველა მისი მახლობლისათვის.

ახალგაზრდა ენათმეცნიერის მუდმივი ინტერესების სფეროში მოქცეული იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და სტილისტიკის საკითხებიც. ამის თაობაზე არა ერთი ორიგინალური მოსაზრება ჰქონდა, მაგრამ მისთვის ჩვეულმა თავმდაბლობამ ხელი შეუშალა საჯაროდ გამოეყენა საკუთარი თვალსაზრისი.

გივი მაჭავარიანის ხანმოკლე, ნაყოფიერი მოღვაწეობა მოულოდნელად შეწყდა სწორედ მაშინ, როცა მისი ბრწყინვალე ნიჭი ქართულ ენათმეცნიერებას ახალ გამარჯვებებს უშვადებდა. ბევრი, ძალიან ბევრი დარჩა უთქმელი და განუხორციელებელი, მაგრამ ის, რაც მოასწრო, მას ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ლინგვისტთა პირველ რიგში აყენებს.

უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ყოველ ენაში განვითარების ნებისმიერ საფეხურზე გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით. შეიძლება ერთიმეორის ტოლფასად მივიჩნიოთ. ამგვარი ექვივალენტური, ენაში ერთდროულად არსებული ფორმირების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებად ჩვეულებრივ მიაჩნიათ ე. წ. სინონიმები: პა-

პა — ბაბუა, ხელადა — დოქი, გოგრა — კვახი, კომში — ბია, ხალიჩა — ნოხი და სხვ.

მეორე მხრივ, ენათმეცნიერება, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ენათმეცნიერება ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით:

ფორმები, რომლებიც აბსოლუტურად ექვივალენტურნი არიან, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ენაში ერთსა და იმავე ფუნქციას ას-

რულებენ, განიხილებიან როგორც ერთი და იმავე ოდენობის, ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ვარიანტები.

ამ ერთი შეხედვით ტრივიალურ დებულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხისათვის:

მართლაც, თუ პაპა და ბაბუა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით აბსოლუტურად ეკვივალენტური არიან, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ზედმეტია და უნდა განიღვენოს.

მაგრამ, ჰანამ ასეთ განაჩენს გამოვიტანდეთ, კანონიერია დავსვათ კითხვა:

მართლა სავსებით ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ საანალიზო ფორმები მოცემული ენის სისტემაში თუ შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ ლინგვისტური ანალიზის რომელსა-მე დონეზე მათ შორის თავს იჩენს ისეთი ფუნქციონალური სხვაობა, რომლის უგულებელყოფა არ იქნება მიზანშეწონილი ჩვენთვის საინტერესო ენის თვალსაზრისით?

ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს.

თვალსაზრისობისათვის დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს პაპასა და ბაბუს.

ისეთ წინადადებაში, როგორცაა „პაპაჩემი კარგი მონადირე იყო“, პაპა-ფუძე შეიძლება „შეცვალეთ ბაბუა-ფუძით. ამ ოპერაციის შედეგად მიღებული წინადადება — „ბაბუაჩემი კარგი მონადირე იყო“ — ობიექტურად იმავე შინაარსს გამოხატავს, რასაც ამოსავალი წინადადება. ანალოგიური ექსპერიმენტების მრავალჯერის გამეორების შედეგად ჩვენ მივაღწივთ დასკვნამდე, რომ აღსანიშნ საგანთან მიმართების თვალსაზრისით პაპა და ბაბუა ნამდვილად ეკვივალენტური არიან. ამგვარად გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ თავისი მნიშვნელობით (სემანტიკით), ან, სხვანაირად, ენობრივი ანალიზის სემანტიკურ დონეზე ეს ორი ბგერობრივად განსხვავებული ფორმა ფუნქციონალურად ტოლფასია.

მაგრამ მწელი არ არის დაერწმუნდეთ, რომ პაპა — და ბაბუა — ფუძეების ურთიერთშენაცვლება ყოველთვის ასეთ „უმტკივნეულო“ ოპერაციას არ წარმოადგენს. ისეთ კონსტრუქციებში, როგორცაა „მამა-პაპა“, „მამაპაპური“, „პაპა ნაქება სიტყვა“ პაპას ვერ შევცვლით ბაბუა ით: „მამა-ბაბუა“, „მამაბაბური“, „ბაბუ ანაქება სიტყვა“ მიუღებელია ქართულ სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკე კონსტრუქციის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ერთ-ერთი მცენარის სახელწოდება გამოიყენება

„ბაბუა უწყვირა“, მაშინ როდესაც „პაპა უწყვირა“ არ იხმარება. მაშასადამე, სემანტიკურად ტოლფასი ორი ფორმა ენობრივი ანალიზის სინტაქტიკურ ანუ კომპინატორულ დონეზე შეიძლება ეკვივალენტური არ აღმოჩნდეს: ბაბუა — ვერ შევა ყველა იმ კომპინაციას, რომლებიც დასაშვებია პაპა — ფუძისათვის და პირუქუ.<sup>1</sup>

ანალიზის შემდგომს საფეხურზე უნდა შემოვიტანოთ ე. წ. გარეენობრივი (ექსტრალინგვისტური) კონტექსტი, ე. ი. შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ სიტუაცია, რომელშიც წარმოითქმის ესა თუ ის წინადადება (რეალურად, ან მთხრობლის, ზოგჯერ, მწერლის გადმოცემით).

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მწერალი აღწერს კახეთის სინამდვილეს და მისი ნაწარმოების პერსონაჟები კახელები არიან. ცხადია, ჩვენ არ უნდა მოვთხოვოთ მწერალს, რომ მისმა გმირებმა კახურ კოლოზე ილაპარაკონ, მაგრამ, როცა საქმე მიღება „პაპა-ბაბუა“ ტიპის პარალელურ ფორმებზე, მწერალმა თავისი ნაწარმოების პერსონაჟს უნდა აარჩევინოს წყვილის სწორედ ის ცალი, რომელიც შესაფერისია მოცემული სიტუაციისათვის. ჩვენს მაგალითში ეს იქნება „პაპა“ და არა „ბაბუა“. აშკარაა, რომ „ხარატანთ ეგრის“ რომელიმე პერსონაჟის მეტყველებაში „ბაბუა“ ისევე უაღვილო, შეიძლება ითქვას, ყალბი იქნებოდა, როგორც „იმერეთის ცისკრის“ პერსონაჟის სიტყვაზმარებაში — „პაპა“.

ისტორიულ რომანში, რომლის მოქმედება თამარ მეფის ეპოქაში ვითარდება, უფრო გამართლებულია და (მოსალოდნელია) „პაპა“, ვიდრე „ბაბუა“. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს არც იმას, ავტორისეულ ტექსტთან გვექნება საქმე, თუ პერსონაჟის მეტყველებასთან და არც იმას, საქართველოს რომელი კუთხიდან არიან ნაწარმოების გმირები: პაპა უფრო ტრადიციული, „მამაპაპური“ სიტყვაა, ვიდრე ბაბუა და ეს გარემოება უნდა გავთვალისწინებულნი ჰქონდეს მწერალს, როდესაც ის

<sup>1</sup> აქ აღვნიშნავთ საკითხის სტატისტიკურ მხარეს. მაგალითად: კარტის „ხელმწიფეს“ ჩვენ უღებრივ (ე. ი. უფრო ზნორად) „ბაბუას“ ეძახიან და არა „პაპას“; თანამედროვე თბილისურ მეტყველებაში, როგორც ჩანს, უფრო გავრცელებულია გამოთქმა „თოვლის ბაბუა“, ვიდრე „თოვლის პაპა“ და მისით.

სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას.

**ბივი მახაპარიანი**

სალიტმარაბტრო მინის ნორმირების ზოგიერთი საკითხი



ბელს ჰიდებს შორეული ისტორიული წარსულის ამახველი ნაწარმოების წერას.

ჩატარებულ ანალიზს, რასაკვირველია, სისრულეზე აკლია და სიღრმეც, მაგრამ მის საფუძველზე მაინც შეიძლება ზოგი დასკვნის გაკეთება:

თუ შევეცდებით გავითვალისწინოთ ენობრივი ანალიზის ყველა დონე, დავრწმუნდებით, რომ პაპა და ბაბუა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არ წარმოადგენენ ფუნქციონალურად სავსებით ტოლფას, ეკვივალენტურ ფორმებს. სემანტიკურად, ე. ი. მნიშვნელობის თვალსაზრისით ისინი ეკვივალენტურნი არიან. სწორედ ამიტომ მოიძებნება ბევრი ისეთი ენობრივი კონტექსტი, სადაც პაპა და ბაბუა თითქოს დაუბრკოლებლად შეგვიძლია შევენაცულოთ ერთმანეთს. ამავე დროს ამ ორი ფორმის თავისუფალი მონაცვლეობა სავსებით შეუზღუდავი არ არის: არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ენობრივი კონტექსტებიც, სადაც დასაშვებია მხოლოდ ერთი, ან მხოლოდ მეორე. სხვათაშორის რომ ვთქვათ, კომბინატორული ფუნქციის თვალსაზრისით პაპა და ბაბუა არ შეიძლება შევადგასთ როგორც ეკვივალენტური ფორმები. მაგრამ იმ ენობრივ კონტექსტებშიც კი, სადაც დასტურდება ე. წ. „თავისუფალი მონაცვლეობა“, არჩევანის სრულ თავისუფლებას მაინც არა აქვს ადგილი. ენა გვთავაზობს სემანტიკურად ტოლფას ორ ფორმას, მაგრამ ჩვენნი, როგორც ქართულს ორ სალიტერატურო ენის მხმარებელთა (ე. ი. მოლაპარაკეთა და მსმენელთა ან დამწერთა და წამკითხველთა) დამოკიდებულება ამ ფორმებისადმი არ არის ერთგვარი. გარკვეულ შემთხვევებში არჩევანი ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული: ზოგს ერთი მოსწონს, ზოგს — მეორე; სხვა შემთხვევებში კი ჩვენ შეზღუდული ვართ გარეენობრივი სიტუაციით: ერთ სიტუაციაში პაპა უფრო გამართლებულად გვეჩვენება, სხვა სიტუაციაში, პირიქით, — ბაბუა.

- 1 ამასთან დაკავშირებით უნდა მოვფიქროთ, რომ სიტყვა პაპა დადასტურებულია საკმაოდ ძველ წერილობითს წყაროებში, მაშინ როდესაც ბაბუა, როგორც სალიტერატურო ენის ფაქტი, მხოლოდ ახლო წარსულში იჩენს თავს.
- 2 აქვე შემოვა სტატისტიკური საკითხები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.
- 3 საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისეული ბავშვები ორი პაპიდან ხშირად ერთს „პაპას“ ეძახიან, ხოლო მეორეს — „ბაბუსა“, თუ პირველი (ვთქვათ, მამის მამა) აღმოსავლეთ საქართველოდან არის, ხოლო მეორე (ვთქვათ, დედის მამა) — დასავლეთიდან.

ენობრივი კოლექტივის წევრთა დამატებითი ბულება თავიანთი ენის ერთეულებთან (ვთქვათ, სიტყვებისადმი) არის ემპირიული ფაქტი, ისევე როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეულების (ვთქვათ, იმავე სიტყვების) დამოკიდებულება აღსანიშნი ობიექტებისადმი. თუ მეორე სახის მიმართება ქმნის ენის სემანტიკურ ასპექტს, პირველი სახის მიმართებას შეიძლება ენის სტილისტიკურ არასპექტივულობა.

სემანტიკურად ტოლფასი ორი ფორმა სტილისტიკური თვალსაზრისით შეიძლება არაეკვივალენტური იყოს. ამგვარ შემთხვევებში ცნა სალიტერატურო ენიდან ერთერთის განდევნისა და მეორის გაბატონებისა „სივრცლის“ თავიდან აცილებას, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციას კი არ მოასწავებს, არამედ — სალიტერატურო ენის გაღარიბებას, მისი გამომხატველობითი რესურსების შემცირებას.

კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში აზრი არა აქვს საკითხის დასმას: პაპა თუ ბაბუა?

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობის უფლება აქვს როგორც ერთს, ისე — მეორეს, გადაგანაც სემანტიკურად ტოლფასი ეს ორი ფორმა სტილისტიკური და, როგორც ვნახეთ, აგრეთვე კომბინატორული თვალსაზრისით არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკვივალენტური.

ანალოგიური პრობლემები შეიძლება ვაჩინდეს არა მარტო ლექსიკურ, არამედ აგრეთვე გრამატიკულ ელემენტთა ურთიერთმიმართების კვლევისას.

უკვე კარგა ხანია, რაც ქართული სალიტერატურო ენის ზოგერთი მესვეური ებრძვის ისეთ კონსტრუქციებს, როგორცაა „ჩემ-ის აზრ-ით“, „დიდ-ის ამბ-ით“ და მისთ, სადაც სასტრუქტურის მოქმედებით ბრუნვას მსაზღვრელი შეიწყობა ნათესაობითი ბრუნვის-ის სუფიქსის საშუალებით, და მოითხოვს ვინმართ მხოლოდ „ჩემი აზრ-ით“, „დიდი ამბ-ით“ და მსგავსი კონსტრუქციები, სადაც — ის სუფიქსის ნაცვლად მსაზღვრელი იმავე ენობრივ კონტექსტში — ის სუფიქსს დაირთავს.

ამას იმით ასაბუთებენ, რომ აღნიშნული წყვილები („ჩემ-ის აზრ-ით“ — „ჩემ-ი აზრ-ით“, „დიდ-ის ამბ-ით“ — „დიდი ამბ-ით“ და სხვ.) ფუნქციონალურად ეკვივალენტურნი არიან, ხოლო, რამდენადაც სწორედ წყვილთა მეორე წევრები („ჩემ-ი აზრ-ით“, „დიდი ამბ-ით“) შეესაბამებთან დღევანდელ ქართულში გაბატონებულ, ე. ი. უფრო ხშირად ხმარებულ მოდელს (შდრ. „ჩემ-ი ხელ-ით დავწერე“, „დიდი-ი კოვზ-ით ჰამდა“, „კარგი ამხანაგ-ით ვამყობ“ და მისთ.), უნდა დაეტოვოთ უკანასკნე-



ლა ტიპის კონსტრუქციები და განედენოთ პირველი ტიპისა.<sup>1</sup>

ამ შემთხვევაშიც უნდა დაესვათ კითხვა: შეიძლება თუ არა ჩვენთვის საინტერესო ორი კონსტრუქცია ჩავთვალოთ ეკვივალენტურად იმ ფუნქციების თვალსაზრისით, რომლებსაც ისინი ასრულებენ ენობრივი იერარქიის ყველა ფუნქციებზე?

უდავოა, რომ სემანტიკური თვალსაზრისით მართლაც ეკვივალენტურ კონსტრუქციებთან გვაქვს საქმე: „ჩემ-ის აზრ-ით“ იმასვე ნიშნავს, რასაც „ჩემი-ი აზრ-ით“ (შდრ. აგრეთვე „დიდ-ის ამბ-ით“ და „დიდ-ი ამბ-ით და სხვ.).<sup>2</sup>

კომბინატორული თვალსაზრისით ეს კონსტრუქციები აგრეთვე თითქოს ეკვივალენტურნი არიან: არ მოიძებნება ისეთი ენობრივი კონტექსტები, სადაც პრინციპში დასაშვები იქნება ერთი და გამორიცხული იქნება მეორე. მაგრამ ეს ტოლობა მინც არ არის ასაოლუტური. ადგილი აქვს სტატისტიკური ხასიათის შეზღუდვებს: მსაზღვრელის — ი სუფიქსი საზღვრულის — ით სუფიქსთან კომბინაციაში დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გაცილებით უფრო

ხშირად გვხვდება, ვიდრე — ის სუფიქსი ანალოგიურ კომბინაციაში.<sup>3</sup>

კიდევ უფრო თვალსაჩინოა ფუნქციონალური სხვაობა საანალიზო კონსტრუქციებს შორის განხილვის სტილისტიკურ დონეზე. მაგალითისათვის შევედაროთ ერთმანეთს სემანტიკურად ეკვივალენტური ორი წინადადება: „საპატიო სტუმარი დიდ-ი ამბ-ით გააცილეს“ და „საპატიო სტუმარი დიდ-ის ამბ-ით გააცილეს“. სრულიად აშკარაა, რომ პირველი წინადადება უფრო ჩვეულებრივია, ყოველდღიურია, ბანალურია, შეიძლება ითქვას სტილისტიკურად ნეიტრალურია, მაშინ როდესაც მეორე სტილისტიკურად გამოყოფილია. გამორჩეულია (მარკირებულია). მეორე წინადადების ეს თავისებურება (სტილისტიკური „გამორჩეულობა“) დაკავშირებულია სემანტიკურად ტოლდასი ორი მოდელიდან უფრო იშვიათის ხმარებასთან (მსაზღვრელის — ის სუფიქსი საზღვრულის — ით სუფიქსთან).<sup>4</sup> საქმარისა, ასეთი სტილისტიკურად გამორჩეული (მარკირებული) მოდელი ვისმართო შეუფერებელ კონტექსტში, რომ მისი „გამორჩეულობა“ განსაკუთრებით ხელშეახებენ გახდეს: „პური დიდ-ის დან-ით დაქრეს“. „დიდ-ის დან-ით“ აქ მეტისმეტად პრეტენციოზულად, „გადაბრუნულად“ უღერს. „მაღალი სტილი“ შეუფერებელია ისეთი პრაქტიკული საქმიანობის აღწერისთვის, როგორცაა დანიო პურის დაქრა.

ამგვარად, ისეთი კონსტრუქციები, როგორცაა „ჩემ-ის აზრ-ით“ და „ჩემი აზრ-ით“, „დიდ-ის ამბ-ით“ და „დიდ-ი ამბ-ით“ და ა. შ. სტილისტიკური თვალსაზრისით არ შეიძლება ერთმანეთს გავუთანაბროთ. პირველი ტიპის კონსტრუქციები („ჩემ-ის აზრ-ით“ და მისთანანი) გამორჩეულ, მარკირებულ („მაღალ“) სტილს უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მეორე ტიპისანი („ჩემ-ი აზრ-ით“ და სხვ.) ჩვეულებრივი

<sup>1</sup> სტატისტიკურ კრიტერიუმთან ერთად აქ საქმე გვაქვს ე. წ. „ისტორიული“ კრიტერიუმის გამოყენებასთან: ორი პარალელური ფორმიდან ტოვებენ უფრო გვიანდელს, ხოლო შედარებით აღრინდელს აძევენ, როგორც მოკველულს. საინტერესოა, რომ იგივე „ისტორიული“ კრიტერიუმი ზოგჯერ საინფორმაციო მნიშვნელობის მქონე არგუმენტად იქცევა: ორი პარალელური ფორმიდან საჭიროდ მიიჩნევენ დატოვონ უფრო ძველი, ხოლო შედარებით გვიანდელი — განდევნონ. მაგალითად, ამ საბუთით ხშირად ცდილობენ დავემტკიცონ, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სწორი ფორმაა „შეცთობა“ და არა „შეცდობა“ (რაც უფრო ძველია, უფრო კარგიაო!).

თუ რამდენად მართებულია ამგვარი „ისტორიული“ კრიტერიუმის გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას, ამაზე აქ სიტყვას აღარ გვაგაგრძელებთ.

<sup>2</sup> შეიძლება ერთმანეთისთვის შეგვედარებინა აგრეთვე „ჩემ-ის აზრ-ით“ და „ჩემი-ი ხელ-ით“, „დიდ-ის ამბ-ით“ და „ქარგ-ი ამხანაგ-ით“ და ა. შ. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ლექსიკური, არამედ გრამატიკული სემანტიკა, ე. ი. ის მნიშვნელობანი, რომლებიც შეიძლება მივაწეროთ მსაზღვრელის — ის ი და საზღვრულის-ით სუფიქსებს.

<sup>3</sup> ამ საკითხის კვლევა სტატისტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით არავის უწარმოებია. ამდენად ჩვენი მსჯელობა პიოთეტურ ხასიათს ატარებს და არსებითად ჩვენს ენობრივ ინტუიციას ემყარება.

<sup>4</sup> ის, რაც შედარებით ხშირად გვხვდება. უფრო ჩვეულებრივია, „გაცვეთილია“. ის, რაც შედარებით იშვიათად გვხვდება, ნაკლებად ჩვეულებრივია, გამორჩეულია და ამდენად მეტ ეფექტს ახდენს. როგორც ეხედვით, ენობრივი ფაქტის სტილისტიკური შეფასება შეიძლება მჭიდრო კავშირში აღმოჩნდეს ლინგვისტური ანალიზის კომბინატორულ (მათ შორის აგრეთვე სტატისტიკურ) ასპექტთან.

**ვიკი მაჰაპარიანი**  
სალიტერატურო ენის ნორმირების ზომიერ-  
თი საკითხი



ვი, ნეიტრალური სტილის კუთვნილებად უნდა ვცნოთ.

ამიტომ აქაც, ისე როგორც „პაპა-ბაბუას“ შემთხვევაში, არა აქვს აზრი კითხვას: რა უფრო სწორია? „ჩემ-ის აზრ-ით“, თუ „ჩემ-ი აზრ-ით“, „ლიდ-ის ამბ-ით“, თუ „ლიდ-ი ამბ-ით“?

ერთი სწორია და მეორეც, თითოეული თავ- თავის ადგილას. ერთერთი მათგანის არჩევა და- დამჯერის შესაფერისად მიაჩნია მოცემულ სი- ტუაციაში. ენათმეცნიერის ვალია არა ამ გრამატიკულ-სემანტიკურად ეკვივალენტური მოდელებიდან ერთ-ერთის დაჯანონება და მეო- რის უყუვდება, არამედ აღნიშნული მოდელების კომბინატორულ და სტილისტიკურ ფუნქციითაა გულდასმითი გამოკვლევა ლინგვისტური ან- ლისის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. მხოლოდ ამგვარი კვლევა გვაძლევს უფლებას მსჯავრი დავდოთ ამა თუ იმ სიტყვას, გრამატი- კულ ფორმასა თუ კონსტრუქციას და დავსვათ ჩვენს სალიტერატურო ენაში მათი ყოფნა-არ- ყოფნის საკითხი. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვემყარებით ენობრივი ფაქტის მხოლოდ ერთ მხარეს, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანს (მაგალითად, სემანტიკურს) და არ ვითვალის- წინებთ მოვლენის სხვა ასპექტებს (მაგალითად, კომბინატორულს, სტილისტიკურს), ჩვენი დას- კვნები არ შეიძლება არ იყოს ცალმხრივი და, მაშასადამე, მცდარი. ამგვარი ცალმხრივი თეო- რიის პოზიციებიდან ბრძოლა (პრინციპში აა- მართლიანი) ფორმათა ნაირ-ნაირობის, სიჭრე- ლის წინააღმდეგ, ბრძოლა გამართული სალი- ტერატურო ენისათვის შედეგად გვაძლევს ენის გაღარიბებას, გაუფერულებას, სტანდარტიზა- ციას; ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. ბუნეპ- რივია, ასეთი ტენდენცია იწვევს მხატვრული სიტყვის ოსტატთა პროტესტს. მწერალი ენათ- მეცნიერს უყუარებს, როგორც ეანდარს, რომ- ლის ერთადერთი ფუნქციაა აუტორალის მას ამა თუ იმ სიტყვის ან ფორმის ხმაარება, იმ ღროს, როდესაც მწერალი (ვგულისხმობთ კარგ

მწერალს) თავისი მდიდარი ენობრივი მდიდრული წყალობით ხშირად გრძნობს ამ „აქრალული“ ფორმების სტილისტიკურ „გამორჩეულობას“, როგორც იტყვიან, მათს „სურნელებას“ და, მაშასადამე, მათი ხმაარების საჭიროებას სათანა- დო კონტექსტებში, თუმცა უპირის თავისი თვალსაზრისის თეორიული დასაბუთება.


მაგრამ ყველა ენათმეცნიერი „უანდარში“ როდია!

ერთია პოზიცია „გრამატიკოსისა“, რომელიც ენობრივ ფაქტებს ვიწრო, ცალმხრივი (უპირა- ტესად გრამატიკულ-სემანტიკური) თვალსაზრი- სით განიხილავს და ცდილობს თავისი (ზოგ- ჯერ სებისმიერად დადგენილი) ნორმები თავს მოახვიოს მწერალს; და სულ სხვაა პოზიცია თანამედროვე ლინგვისტური თეორიითა და კვლევის ზუსტი მეთოდებით აღჭურვილი ენათ- მეცნიერისა, რომელიც, როგორც იმპიექტური მეცნიერების წარმომადგენელი, მიზნად ისა- ხავს დეტალურად გამოიკვლიოს ენის ყველა ასპექტი და ამ გზით თავისი წვლილი შეიტა- ნოს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის რთულ და პასუხსაგებ საქმეში. ხოლო იმ შემ- თხვევაში, როდესაც თავს იჩენს კონფლიქტი „გრამატიკოსის“ დოგმებსა და მწერლის საღ ენობრივ ინტუიციას შორის, თანამედროვე ენათმეცნიერება უთუოდ მწერლის მხარეზე აღ- მოჩნდება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის თანა- მედროვე ენათმეცნიერების პოზიციებზე მდგო- მი ლინგვისტიკა ყოველთვის მწერლის მხარეა დაიჭერს. ზოგჯერ მწერლებსაც „ემულებათ“ და გაუმართლებელი ენობრივი ექსპერიმენტების, ხშირად ენის დაჭაობებული არქაიზაციის ვზას ადგებიან. ამგვარ შემთხვევებში ლინგვისტის რეაქცია, ალბათ, უარყოფითი იქნება, მაგრამ ასეა. თუ ისე, ლინგვისტს ყოველთვის მოეთ- ხოვება თავისი თვალსაზრისის დასაბუთება ენათმეცნიერების მოწინავე თეორიისა და მე- თოდების პოზიციებიდან.



# გეხნიეზება



მიხეილ შენგელია

## რუსთაველი და გეჟატი

შოთა რუსთაველის მხატვრული ინტუიცია, მხატვრული სენტენციები, მეტაფორები, აფორიზმები, ძალიან ხშირად სამედიცინო-ბიოლოგიური ცოდნის არსენალიდანღებულაბს მასალას, საკვებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რუსთაველს მიღებული ჰქონდა სამედიცინო განათლება ზოგად საერთო-ფილოსოფიურ განათლებასთან ერთად.

სად უნდა მიეღო რუსთაველს საერთოდ განათლება და, კერძოდ, სამედიცინო? „ვეფხისტყაოსანში“ სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ ნების მიეცემთ ჩვენს თავს, კვლავ ძირითადად ქართული მედიცინის ისტორიის პოზიციებიდან გამოვთქვამთ ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებები შოთა რუსთაველის ცხოვრების, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტების დადგენის მიზნით.

ერთი რამ უდავოდ გვეჩვენება: რუსთაველის ენა იმდენად ბუნებრივია, ლაღია, იმდენად თავისუფალი და ცოცხალია, იმდენად მდიდარია ქართული ხალხური ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით, დიალექტების მრავალფეროვნებით, რომ თითქოს შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ დამწერს ამ ენაზევე არ მიეღო საერთო განათლება. ენისა და აზრის, გამოთქმებისა და მეტაფორების ხალხურობა — „საეროობა“ იმდენად ხაზგასმულია რუსთაველის შემოქმედებაში, რომ ძნელად დასაჯერებელია მის შემოქმედს უცხოეთში, უცხო ენაზე მიეღოს განათლება და შემდეგ ასე „ლაღი“ ქართულით გამოეთქვას ადამიანის სულიერ ძებრების, განცდების ურთულესი მომენტები, ღრმა ფილოსოფიური და საზოგადოებრივი მოსაზრებები.

რუსთაველს არსად არ „წამოცდენია“ ისეთი სიტყვა, ტერმინი, გამოთქმა, რომელიც მისი უცხო ენაზე განსწავლულობის მანიშნებელი იყო, როგორც ეს დამახასიათებელია თუნდაც იოანე პეტრიწის შემოქმედებისათვის, მისი ენისათვის. ყველა ის უცხო ჩამომავლობის სიტყვა, ტერმინი, რომელსაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ ქართულ სამეცნიერო თუ სამედიცინო-ბიოლოგიურ ლიტერატურაში საქმაო მტკიცედ დამკვიდრებული ჩანს იმ დროისათვის და ამგვარად, მისი ათვისებისა და რუსთაველის ლექსიკაში მოხვედრის წყარო კვლავ ქართულ მეტყველებაზეა და წერილობით წყაროებში უნდა ვეძებოთ. ამგვარად, ჩვენ უდავოდ და სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, მშობლიურ ქართულ ენაზე ჰქონდეს განათლება მიღებული. სად შეეძლო მას ასეთი განათლება მიეღო ან რატომ უნდა წაჰყოლო ქართველი ახალგაზრდობა საერთოდ და, კერძოდ, რუსთაველი უცხოეთში სწავლის მისაღებად მაშინ, როდესაც გელოთი იმ დროს, მის თანამედროვეთათვის განათლებისა და მეცნიერული თუ ფილოსოფიური აზროვნების პარანსის წარმოადგენდა მთელი საუკუნის განმავლობაში? რუსთაველის დაბადებიდან 40-50 წლით ადრე, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს, დაარსდა გელათის აკადემია და რუსთაველის სიცოცხლის ბოლო წლებამდე მის თანამედროვეთა მიერ ის აღიარებული იყო „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“, როგორც „ყოველისა საეკლესიო საუნიერებისად“, მეორე „ათინად“ და უფრო მეტადაც კი („უიარეს მისსა“) მწიგნობრობისა



და სამეცნიერო-ფილოსოფიური აზროვნების ცენტრად.

„აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად. სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად აზინად, ფრიად უაღრეს მისსა, საღმრთოთა შინა წესად, კანონად ყოვლისა საეკლესიოისა შეუნებრებისად“<sup>1</sup>.

რუსთაველის ცხოვრების მიწურულს, თითქმის ასი წლის შემდეგაც, გელათი კვლავ ასეთივე რეზონანსით სარგებლობს მის თანამედროვეთა შორის; თვით რუსთაველისავე თანამოკალმის თქმით, ის თავისი მეცნიერულ-ლიტერატურული პროდუქციითა თუ თავისი მოღვაწეებით „ახალ რომად“ არის აღიარებული.

ახალ რომო

შენთვის თქვეს რომო

უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა

სად რომ დაჰკრძალენ წმიდათ სხეულთა.

მამასადამე, რუსთაველის დაბადებიდან მისი სიცოცხლის მიწურულამდე მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოში ისეთი დიდი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი არსებობდა, რომ თვით მოწინავე ქართველ მოაზროვნეთა თქმით (თუნდაც ეს ნაწილობრივ გადამეტებაც ყოფილიყო), ყველა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებში არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებს აღემატებოდა თავისი დიდი რეზონანსით. და რასაკვირველია, ქართველი ახალგაზრდობისათვის სადმე სხვაგან გამგზავრება სწავლის მისაღებად საეკვოდ გვეჩვენება. ჩვენ სპეციალური კვლევა გვაქვს მიძღვნილი გელათში საავადმყოფოსა და უმადლესი სამედიცინო განათლების არსებობის საკითხისადმი<sup>2</sup>. ამ შრომაში იმ დასკვნებამდე მივედით, რომ გელათში, აკადემიასთან ერთად არსებობდა საავადმყოფო; გელათის აკადემიის სასწავლო გეგმაში შედიოდა მედიცინის სწავლება. იოანე პეტრიწი და არსენ ვაჩეს ძე (შემდეგში იყალთოელი), რომლებიც გელათის აკადემიის „მოძღვრათ-მოძღვრებად“ (პროფესორებად) ითვლებიან, ფილოსოფიასთან ერთად ასწავლიდნენ სამედიცინო დისციპლინებსაც. გელათის აკადემიაში მედიცინის სწავლების საკითხებს შეეხნენ პროფ. გ. თავზიშვილი, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, აკად. ივ.

ბერიტაშვილი და სხვ. აკად. ივ. ბერიტაშვილი პეტრიწის შრომებს გელათის აკადემიის სამედიცინულ-მღვანელოებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ შ. რუსთაველს გელათში უნდა მიეღოს განათლებათ<sup>3</sup>. ეს მოსაზრებები ძირითადად ემყარებიან ი. პეტრიწისა და რუსთაველის მსოფლმხედველობისა და საერთოდ აზროვნების ზოგიერთ თანადაზნობეებს. ჩვენ განვიზრახეთ საკანგებო შეჩვენების საგნად გავგებახა ეს საკითხი და კონკრეტული მაგალითებითა და მოტივებით შესაძლო დასკვნები გავგვეკეთებინა, ძირითადად საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური საკითხების კვლევის პოზიციებიდან „ეფესოსის-ტყაოსანში“.

იოანე პეტრიწის „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც დიდ განძს წარმოადგენს ქართული სამედიცინო საბუნებისმეტყველო აზროვნების ისტორიაში, თარგმნისა როგორც ფიქრობენ, სწორედ იოანე პეტრიწის გელათში მოღვაწეობის პერიოდში. მართალია, იოანე პეტრიწი ძირითადად ფილოსოფოსი იყო და მისი ინტერესი ნეოპლატონურ-ფილოსოფიური ლიტერატურისადმი, როგორცაა ნემესისოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ სრულიად ბუნებრივი იყო, მაგრამ მაინც ეს არჩევანი — ძირითადად ანატომიური ფიზიოლოგიური ტრაქტატის თარგმნისა, ვფიქრობთ, გელათის აკადემიის პრაქტიკული, სასწავლო საქიროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული<sup>4</sup>. „ბუნებისათვის კაცისა“ წარმოადგენდა საშუალო საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროსათვის „ახელმძღვანელოს ანთროპოლოგიის შესასწავლად“, პროფესორი მატე ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ანთროპოლოგიურ შრომებსა და სახელმძღვანელოებს შორის ყველაზე მაღლა აყენებს ნემესისოსის ხსენებულ წიგნს. მისი გამოცემელი ს. გორგაძე წერს: „საინტერესო მასალას იძლევა ეს თარგმანი იმ სამეცნიერო და სამწიგნობრო სკოლის დასახასიათებლად, რომელსაც ეკუთვნოდნენ თვით იოანე პეტრიწი... არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმ ძველთა შორის, რომელთაც ჩვენ დრომდე XI-XII საუკუნიდან მოუღწევია, არც ერთი არ შეიცავს ისეთ უხვსა და მრავალმხრივ ლექსიკურ მასალას, იმდენს, ერთად თავმოყრილს... განსაკუთრებით ფსიქოლოგიურს და ანატომიურ-ფიზიოლოგიურს... რამდენიც პეტრიწის მიერ ნათარგმნი „ბუნებისათვის კაცი-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 295.

<sup>2</sup> მ. შენგელია „მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში“, 1961 წ. გვ. 112-126.

<sup>3</sup> აკად. ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, 1957, გვ. 132.

<sup>4</sup> იხ. მ. შენგელიას დასახ. წიგნი, გვ. 114.

<sup>5</sup> ს. გორგაძე, ნემესისოს ემესელი „ბუნებისათვის კაცისა“, თბილისი 1914, გვ. 5.



სა.<sup>1</sup> ა. სწორედ ეს, ჭართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ძეგლი, გელათის საქიმო-პრაქტიკული და სამედიცინო სასწავლო საქიმანობის ნაყოფს წარმოადგენს. ასევე უდავოდ მიგვაჩნია, რომ იოანე პეტრიწის მიერ პროკლედ დაიდოხანის „კავშირნი ღვთის მეტყველებითნი“ და მისი „განმარტებანი“ გელათის აკადემიის სასწავლო საპროექტისათვის არის შესრულებული, როგორც ფილოსოფიის ძირითადი სახელმძღვანელო.

ჩვენი ეს მოსაზრება ამკარაა, თვით „განმარტებათა“ ტექსტს თუ დაეკვირდებით.

ე. პეტრიწი წერს პირველ გვერდიდანვე და მთელ ტექსტში პერიოდულად იმეორებს მოწოდებას მოსწავლეთადმო:

**„შეისწავე ვითარმედ ამის პირველსა სიტყუასა ჰქვან წინამოსაგდებელი სიტყუა...“**  
(გვ. 10).

„ხოლო თუ თქუს ვინ სწავლის მოყურათმან, ვითარმედ ნივთი უგუარობა ყოვლითურთ უმსგავსო არს ზესთა გუარათასა, და ვითარ ეტრფის მის, იმინენ წდილმან მოსწავლისმან, რამეთუ ნივთი დაღათუ უმსგავსო და უსახო...“ (გვ. 83).

„...და ვიხარებეთ, სწავლის მაძიებელი“  
(გვ. 83).

მომართებები მოსწავლეთადმი „შეისწავე“, „გეგმა“, „გეგმას“<sup>2</sup>, უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ ი. პეტრიწმა პროკლეს „კავშირნი“ თარგმნა არა მხოლოდ საკითხავი წიგნით დაინტერესებულთათვის და „განმარტება“ დაწერა არა როგორც ფილოსოფიური ტრაქტატი, მხოლოდ მეცნიერული ინტერესებისათვის, არამედ როგორც სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი გელათის აკადემიისათვის, რათა ახალი ფილოსოფიური აზრით, ახალი მსოფლმეგნებით აღეზარდა გელათს თავისი მოსწავლეები.

რუსთაველის ეპოქის უმნიშვნელოვანესი სამედიცინო ძეგლი „წიგნი საქიმოა“ სხვა სამედიცინო ძეგლებისაგან განსხვავებით სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ეს წიგნი თავისი აღნაგობითა და შინაარსით მომავალ „აქიმთათვის“ განკუთვნილი სასწავლო წიგნია. ამას თვით ავტორი მრავალჯერ ამბობს: „ან რაზედაც სწავლაა უნდა მოსწავლესა, სრულად ვახსენო ამას წიგნსა შინა“<sup>3</sup>.

„ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს“<sup>4</sup>.

„და ვისცა სწავლიან რომელ კარგად იცოდეს,

პირველ შირიანსა მეცნიერობასა უნა სწავლა და დასწავლა რომელ ესე მეცნიერებაა ესაძლებოდეს, მით რომელ ამის მეცნიერობისა სრულიად სწავლაა დია ძნელი არს და დიდი ხანი უნა ამისა უკანა დგომისა, მაგრამ მსწავლებელსა ესე ყუოფის რაა კარგად დაისწავლოს.“ მე თვითოა მისი გამოცხადლო ავტორი, რომელ მოსწავლემან ადვილად ისწავლოს“<sup>5</sup>.

„ბუჰრანის“ გარჩევის დროს ავტორი პედაგოგიური მიდგომის ალღოსა და გამოცდილებას ამუშავებს და „ბუჰრანზე“ სწავლების მრავალი თეორიით არ ტვირთავს სახელმძღვანელოს. იგი მხოლოდ „გამორჩეული“, „მოკლე და ნივთიან“ თეორიებს არჩევს, რათა „მსწავლებლთათვის“ მოუწყინარი იყოს, რადგან „ყველა“ რომ ახსენოს, „მოსწავლესა მოეწყინების და სარგებელსა ვერ ჰპოებს“ — უდავოა, რომ „წიგნი საქიმოა“ მოსწავლეთათვის სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელოა და არა მკურნალთა ან მკითხველთათვის განკუთვნილი პოპულარული წიგნი. ყურადსაღებია ავტორთვე ის ფაქტი, რომ აღნიშნული წიგნი შედგენილია, „თარგმნილია“, „მწიგნობართუხუცესის“ და ვაზირთა ყოველი უბრველესის“ ჭყონდიდლის ბრძანებით. „მწიგნობართუხუცესობა“ თანამედროვე ტერმინოლოგიით განთლებების მინისტრის პოსტი იყო და სრულიად ბუნებრივია, რომ სასწავლებლის სახელმძღვანელოთი უზრუნველყოფისათვის სწორედ მას ეზრუნა.

1206 წლისათვის, „წიგნი საქიმოა“-ს შედგენის დროს, როგორც შავთელის ზემომოყვანილი სტროფიდან ჩანს, გელათი კვლავ ბრწყინავდა თავისი აკადემიითა და შესაძლებელია ეს წიგნი გელათის აკადემიაში თერაპიის ანუ „აქიმობის“ ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ ყოფილიყო განკუთვნილი და გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ „წიგნი საქიმოა“ ავტორი თუ „მთარგმნელი“ ზოგაყოფილი, როგორც თვით მისი ფსევდონიმი გვიჩვენებს, ყოფილი მასწავლებელია, ის თვითონ ამბობს „მიწამან მისმან ზოგა ყოფილმან“. ზოგა სულხანსაბა ორბელიანის განმარტებით მასწავლებელს ნაშნავს. თუკი გელათში სააკადემიოფო იყო მედიცინა ისწავლებოდა, სასწავლო სახელმძღვანელოები იქმნებოდა და სხვა — საფიქრებელია, რომ „მწიგნობართუხუცესი“ სასწავლო-სამედიცინო წიგნის შედგენასა თუ

<sup>1</sup> I. გორგაძე, ნემესიოს ემესელი „ბუნებისათვის კაცისა“, თბილისი, გვ. 22.

<sup>2</sup> იხ. იოანე პეტრიწის შრომები. ტომი II, 1937, გვერდები: 12, 16, 24, 81, 85, 86, 95, 97, 99, 103 და სხვა მრავალი.

<sup>3</sup> „ვახსენო, რომელ მოსწავლემან გაგონებით ისწავლოს“<sup>4</sup>. თბილისი, 1936, გვ. 10.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 38-39.

<sup>6</sup> მ. შენგელია, მედიც. განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, 1961, გვ. 125-126.

**მიხეილ უნგავლია**  
რუსთაველი და გელათი



თარგმნის უთუოდ დაავალბდა იმ დროისათვის გამოჩენილ სპეციალისტს, მედიცინის მასწავლებელს; ისეთ კომპენეტენტურ პიროვნებას, რომელსაც თავისი პროფესია—მასწავლებლობა ზედსახლად შერჩენია, უთუოდ ამ დიდ სასწავლო ცენტრში (გელათში) უნდა ემოლავანა. ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი გახდება, თუკი „წიგნი სააქიმოაჲს“ ავტორისა და გელათთან დაკავშირებულ სხვა სახელმძღვანელოებსა და წიგნებს შორის ტერმინოლოგიურისა და ლექსიკურ მსგავსებას შევინიშნავთ და ყველას მათ კი „ვეფხისტყაოსანთან“ ვუპოვით პარალელებსა და დამთხვევებს. მართალია, ვეფხისტყაოსანში „წიგნი სააქიმოაჲზე“ ადრეა დაწერილი და „ვეფხისტყაოსანის“ ავტორს არ შეეძლო უშუალოდ „წიგნი სააქიმოაჲსაგან“ შეეთვისებინა მთელი რიგი ტერმინები და ცნებები, მაგრამ მათი ლექსიკურ-ტერმინოლოგიური დამთხვევებით იმის თქმა შეიძლება, რომ ორივე ავტორი ერთი სამეცნიერო კულტურული თუ სასწავლო ცენტრის, სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ჯერ შევხვით „ვეფხისტყაოსანისა“ და „განმარტებაჲს“ ზოგიერთ შემხვედრ ადგილებს, რომლებზეც ზერეულ თვალის გადავლებითაც კი მკითხველს თვალში ეცემა.

1. იოანე პეტრიწის „განმარტებაჲში“ ანტიკური მატერიალისტური ფილოსოფიის მიხედვით მოცემულია სამყაროს, არსის, ყოველი უმარტივესისა და უპირველესის, 4 ელემენტისაგან შედგენილობის თეორია:

„რამეთუ ყოველთა შედგმულთა მარტივნი უპირველეს ვითარ ოთხთა ამათ კამორთა — ეიტყვ ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა, ვინაჲ ამითევე სახითა სიტყესთა კაე შირად უწოდა ვითარცა უმარტივესთა ყოველთა შორის საღმრთის მეტყუელთა ხედვითასა.“

არსის 4 ელემენტისაგან შედგენილობის თეორია გამოხატულია ნესტან-დარეჯანის მიერ ტარიელისადმი მიწერილ წერილში.

ღმერთსა შემეადრე, ნუთუ კელა დამხსნას სოფლისა შრომასა

ციცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა (1304).

მართალია, ხსენებული თეორია პეტრიწამდე ჰართულ წყაროებშიც არის (აბიბოს ნეკრესელი და სხვ.) და ერთი შეხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ რუსთაველს შეეძლო ეს თეორია მიედო ან ადრინდელ წყაროებიდან, ან უშუალოდ ბერძნული ფილოსოფიური ლიტერატურიდან, მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ ოთხი ელემენტის არსებობისა და მასთან დაკავშირებული რიგი გამოთქმებისა და მოსაზრებების რუსთაველური ლექსიკა ზუსტად ემთხვევა იოანე პეტრიწის იმ ტერმინებსა და ლექსიკას, რომელიც მოცემულია ამ თეორიის პეტრიწისეულ ინტერპრეტაციაში.

რუსთაველის ზემოთხსენებულ სტრიქონებში

ნახმარია სიტყვა „დახსნა“ („დამხსნასაჲს“ პეტრიწისავე გაგებით ნიშნავს ამ 4 ელემენტის დარღვევას, ერთმანეთისაგან დაშორებას. პეტრიწამდე ძველ ქართულ წყაროებში ეს მოვლენა, ცნება გამოითქმოდა, როგორც „განარღვევა“, რაც აგრეთვე დაავადებასაც ნიშნავდა, რადგან დაავადება წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ჰუმორალური კომპონენტის (ზემოხსენებული 4 ელემენტის ცოცხალ ორგანიზმში განსახიერება) წონასწორობის დარღვევა. მაგალითად, ი. პეტრიწი პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ თარგმანში წერს: „რამეთუ ყოველი რაჲზომ დაქსანადი და განყარადი ანუ სხეულებრივი არს და თანშეკრული, ანუ ქუემდებარესა შორის დამთხვევითი მოუგია გუამოვენაჲა თუხი. ხოლო დაქსნადი და მრავალთაგან შედგმული განიხარწეს.“<sup>1</sup> მის ორიგინალურ „განმარტებაჲში“ კი წერს: „ხოლო ესე დაქსნა არს ესთა, რამეთუ ზესთ უსხეულონი თან წარმოუღლებიან უადგილოდ...“<sup>2</sup>

ან კიდევ:  
„ყოველი ჟამსა შორის დაწყებული აღებული არს, ესე იგი არს შეზაგებული, ხოლო ყოველი აღებული ჟამის-შორისი და დაქსნადი“<sup>3</sup>.

მაშასადამე, როგორც რუსთაველი ისე ი. პეტრიწი 4 ელემენტის დარღვევის, დაშორების მოვლენას აღნიშნავენ დახსნის ტერმინით. ი. პეტრიწს „დახსნის“ სინონიმად სხვა ადგილას ნახმარი აქვს „დაშლა“. მაგალითად:

„ვიდრე საღამდის... დაშლა და ვნება გონებასა არ შეემთხუოდის“<sup>4</sup> და სხვ.

2. ცნობილია, რომ ი. პეტრიწმა „წყების“, „რიგის“ ფილოსოფიური კატეგორიის აღნიშვნელ ტერმინად შემოიღო, (როგორც პროკლე „კავშირის“ თარგმნისას, ასევე თავის ორიგინალურ „განმარტებაჲში“), ბერძნული სიტყვა „სირა“ („სირაჲ — სუღან-საბა ორბელიანი იძლევა რა ამ სიტყვის განმარტებას, წყაროდ ი. პეტრიწს ასახელებს) და მისგან ნაწარმოები სიტყვა-ტერმინები: სირათ-დასაბამი, სირათ-მთაჲარი. იგი მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ცნების ტერმინია და ხშირად აქვს ნახმარი პეტრიწს მთელ ტექსტში (დაახლოებით ასევე) ... ესრეთ მარტივად წესი და სირაჲ, რომელ არს ნათხზი ყოველთა, დააწყო და წარმოაჩინა, ვითარ გონებისა, სულისა, ბუნებისა და სხეულისა...“<sup>5</sup>

<sup>1</sup>) ი. პეტრიწის შრომები, ტ. I — 1940 წ. გვ. 111-112.  
<sup>2</sup>) ი. პეტრიწის შრომები ტ. 11, 1937 წ. გვ. 161.  
<sup>3</sup>) იქვე, გვ. 203.  
<sup>4</sup>) ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 222, იხილეთ აგრეთვე, გვ. 72.  
<sup>5</sup>) იქვე, 1937 წ. გვ. 6.

„რამთა ყოველთა უბრწყინველს და არა ვითარ ვათუთებული შორის მწყობრსა სირაჲსაჲს“. ასევე, მხოლოდ და მხოლოდ პეტრიწისეულია ქართულ მწერლობასა და სამეცნიერო ფილოსოფიურ ლიტერატურაში — ზემოხსენებული ოთხი ელემენტის აღმნიშვნელად სიტყვა „კავშირის“ გამოყენება. ი. პეტრიწი წერს:

„რამეთუ ყოველი ზიარებაჲ... იხილვების, ვითარ ამით ოთხთა კავშირთა შორის“ (გვ. 12). „ოთხთა ამით ბუნებათა კავშირთაჲ“ (გვ. 23, 38).

„რომელმან იოთხთა კავშირთაჲ“ (გვ. 60, 106, 118, 150, 166) და მრავ. სხვა.

თვით პროკლე დიადოხოსის წიგნის თარგმანიც კი, ხომ ასეთი სათაურითა აქვს — „პროკლე დიადოხოსისა პლატონისა ფილოსოფოსისა კავშირნი“. ახლა დავაკვირდეთ რუსთაველის შემდეგ სტრიქონს და მისი ლექსიც შევადართო პეტრიწისას:

„დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევპრთვებიარ სულსა სირასა“ (884,4). ამ ერთი სტრიქონის სამი სიტყვა იოანე პეტრიწის საკუთარი, ორიგინალური სიტყვა-ტერმინია, რომლებიც გარკვეული ფილოსოფიური ცნებების აღსანიშნავად პირველად გამოიყენა ი. პეტრიწმა და რომლებიც ამავე გავებით ნახმარი აქვს შ. რუსთაველს თავის პოემაში.

3. ნეოპლატონიკურ ფილოსოფიაში, როგორც ცნობილია ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა „ერთობისა“ და „მრავლის“ პრობლემა. „ნეოპლატონისტური ფილოსოფია იმთავითვე დაადგა ამ პრობლემის მოგვარების გზას და ამან განაზღვრა მისი ხასიათი და მიმართულება, სადაც უმაღლესი „ერთი“ ქვეყნის მიზეზად გამოიღიდა, მაგრამ იმ რიგად, რომ არც მის განყენებულ ერთობლიობას არაფერი დააკლდებოდა და არც ქვეყნის მრავალსახიანობა შეიღაზებოდა. „ერთი“, როგორც უმაღლესი მიზეზი, რომელიც თავისი ბუნებით სიკეთეა და რომელიც მთელ არსებულს საფუძვლად უდევს — ასეთი იყო პრობლემა, რომელიც ნეოპლატონიზმმა იმთავითვე დააყენა... ამით მოხაზული იყო ორი გზა „ერთიდან“ ქვეყნის საგნებისა და მოვლენისაკენ და მეორე, პირიქით, — საგნებიდან „ერთისაკენ“ 2. ი. პეტრიწისათვის უმაღლესი, პირველი ერთია, რომელიც სიმრავლეში „ერთია“ და „ერთობლიობაში“ სიმრავლეა. ამ „ერთობა“ მოცემულია „ყოფნა ყველადრისა“; ამ „ერთობით“ ნეოპლატონიზმმა ფილოსოფიურად დასაბუთა „ღმერთის“ არსებობა; ამ „ერთობით“ ი. პეტრიწმა იდეოლოგიური დასაყრდენი, საფუძვლები მოუპოვა ერთიანი მონარქიული საქართველოს არსებობასა და „ერთი“ მეფის მონარქიული

უფლებების აღიარებას. ი. პეტრიწი თავის ბოლო სიტყვაობაში სამებისა და ერთარსების საკითხს შეეხო. ეს „უღიდეგი თავსატეხი პრობლემა იყო საშუალო საუკუნეების სქოლასტიკისა და თეოლოგიისათვის... პეტრიწი გადადის სამების ფილოსოფიურ, ლოგიკურ, მეცნიერულ, ასტროლოგიურ და სხვ. დასაბუთებაზე. ყველაფერი რაც არსებობს, არსებობს სამებისა და ერთარსების სახით, ე. ი. არსება ერთია, სუბსტანცია ერთია, ხოლო არსობა მისი არის სამება — აი ნეოპლატონისტურად შეფარდებული ქრისტიანული სქოლასტიკის დებულება“<sup>3</sup>.

პეტრიწის „ერთი“ „არსი და მყოფი ერთისა მიერ გამოვლენით შთაბამძღვანეელი განგებნიას“ (207).

„იწყე თუთ ერთისა მისგან და პირველისა სანეტაროასა“ (გვ. 211).

„სადაც ილო რიცხვ, ყოველი ერთისა მიერ იწარმოების“ (გვ. 216) — რომელიც ვრცელდება გონებაზე, ცნობიერებაზე, „რამეთუ პირველ ერთისა ცნობისა რაიმეცა ცნა ყოველმან მძიბებელმან ცნობისაგან“?

რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ იძლევა ამავე ფილოსოფიურ მოსაზრებებს იმ ლექსიკითა და ტერმინოლოგიით, როგორც პეტრიწი. შევადართო რუსთაველის შემდეგი სტრიქონები ზემოხსენებულ პეტრიწისეულ აზრებსა და გამოთქმებს.

პე, ლ მ ე რ თ ო ე რ თ ო, შენ შეჰქმენ სახე  
ყოვლისა ტანისა (2, 1)  
ჩემნი ერთი გონებანი მეტად შორად  
გამოიქონა (520, 1)  
იტყვის: პე, მშეო, ვინ ხატად გაქვეს  
შინისისა დარისად.  
ერთარსებისა, ერთისა, მის უყამოსა  
უამისად (836,2)

მართალია, აქ მოკლედ, გაკვრით, ლექსისათვის დამახასიათებელი შემკირდოებული ფორმით — მაგრამ მაინც აშკარად და სრულყოფილად ჩანს ის აზრები, რომელიც ძირითად პრობლემებად არიან მოცემული პეტრიწის ფილოსოფიაში. ძველ ქართულ თეოლოგიურ თე ფილოსოფიურ ლიტერატურაში ვერ დავახსენებთ სხვა წყაროს, რომელიც ასე აშკარად ემთხვეოდეს რუსთაველის ზემომოყვანილი სტრიქონების აზრებსა და ლექსიკას.

4. ი. პეტრიწი თავის — „განმარტებაში“ წერს:

„უკუალად უკუეთუ არ ეზიარების სიმრავ-

3) მ. გოგიბერიძე, იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა. ი. პეტრიწის შრომები ტ 1, 1940, გვ. 66.

1) ი. პეტრიწის შრომები, გვ. 64.  
2) აკად. შ. ნუცუბიძე, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. 11, 1937, გვ. 1.



ლე ერთსა არცა რაჲვე რიცხვ, ვითარ და ასი, იყოს ერთ და არცა ნაწილნი მისნი, არამედ ერთისა მიერ გავრთღების შესაცეა რიცხვ და ყოველნი ნაწილი მისნი<sup>1</sup>. „წამის ყოფაჲ“ პეტრიწისათვის ჩვეული ტერმინია. შ. ნუცუბიძე წერს ამის შესახებ: „აქ წამებრივადაა წარმოდგენილი ანუ, როგორც პეტრიწი იტყობა „წამისყოფად“ უფლის ელვაჲ... 2 და ა. შ. რუსთაველი კი წერს თავის ერთ-ერთ ფილოსოფიურ სტროფში:

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა  
ძლევად მტერთადა,  
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა  
მიწიერთადა,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებეს, ზის უკვდავი  
ღმერთი ღმერთადა,  
იგი გაზღდის წამის ყოფით ერთსა  
ასადა, ასსადა ერთად (792)

იგივე აზრია გატარებული კვლავ რიცხობრივი მაგალითებით რუსთაველის შემდეგ სტროფშიც:

... იგი შეება საუკუნოს ცხადად პოვეს, არ  
იოცნეს,  
ერთსა მიჰხვდეს საზიაროდ, დიდებანი  
იასოცნეს (1455)

5. როგორც ცნობილია, ნეოპლატონური ფილოსოფიის მთავარი თავისებურება ანტიკური ფილოსოფიური იდეების აღიარებაა ქრისტიანული თეოლოგიის სამსახურად. მაგრამ რიგმა ფილოსოფოსებმა, ნეოპლატონიკოსებმა და, კერძოდ, ი. პეტრიწმა ანტიკური ფილოსოფიური იდეების გარდა, თავიანთ ნაშრომებში წარმართული რელიგიური იდეების ელემენტებიც შეიტანეს. აქად. შ. ნუცუბიძე უკეთეს რაკომენტარს ი. პეტრიწის „განმარტების“ იმ ადგილებს, სადაც იგი ეხება „შვილ მთიებს“, წერს:

„ამჲვე ხაზზეა მოთავსებული ქვეყნის მთლიან წყობაში „უპირველესის“ და „ერთის“ განუკვეთელად წარმოდგენა. როგორც „პირველი ერთი“ არ არის შემდგარი ნაწილებისაგან, ისე ცაჲ — „პირველი სხელი“ — არაა შემდგარი „ნაწილებითა სხელთაგან“. როგორც „ერთს“ უპყრია ქვეყანა, ისე „შვილნი ესე გასფეროებულნი მოქცეენი შვდთა მნათიანი — ცისა მიერ მის ერთისა“. ოთხი ელემენტითაც ვაკეთებულ ქვეყანა წარმართება შვილ მნათობთა მეოხებთ და ჩარევით: „ოთხნი ესე გარომელელებლნი ასონი შვდთა მიერ მოქცევთა და მის ერთისა“<sup>2</sup> (გვ. 95,8—10). მასმალაჲმე, ყოველივე, რაც ოთხთა ასოთა ანუ კავშირთა შორის იშლება და, უპირველეს ყოვლისა, ადა-

მიანი, მისი „ქმნაჲ და სხნაჲ“ შეიღობა მნათობთა გამგებლობაშია. აქედან გასაგებია, რომ ვედრებაც ადამიანის ბედის ასე თუ ისე წარმართვისათვის ამ „შვილთა მნათობთა მიმართ ენდა აღმართოს“<sup>3</sup>.

გავისხვით „ეველისტიკოსნიდან“ ის ადგილები, სადაც რუსთაველის პერსონაჟები (ავთანდილი) ევდრებას ადავლენენ ამ წარმართული „ლეთაუბების“ — „შვილი მთიების“ მიმართ, როგორც ადამიანის ბედის წარმართველთა მიმართ:

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა,  
ჭირი ჭირსა,  
გული შავად შემიღებე, სინბნელსა მიმეც  
ზშირსა,  
შემომყარე კავშიანი, ტვირთი მძიმე ვითა  
ვირსა,  
მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და  
შენთვის ტირსა“ (958).

ასეთივე ევდრებით სათითაოდ მიმართავს რუსთაველი დანარჩენ „შვილ მთიებს“: მუშთარს, მარობს, ასპირიონს, ოტარიდს, მთუარეს, მზეს. (იხ. სტროფები 959-964), სადაც აშკარად ჩანს მათი, როგორც ადამიანის ბედნიერებისა და უბედობის წარმართველი ძალის მქონე ლეთაუბთა თვისება.

მათ სამთა შვილნი მნათობნი ჰფარვენ  
ნათლის სვეტითა (1409)  
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედ,  
ციხა შვილისა (1309) 4.

რუსთაველის პერსონაჟების ასე დაბეჭითებით თავყვანისცემა „შვილთა მნათობთა“ მიმართ მიუთითებს თვით რუსთაველის შემეცნებაში, მის მსოფლგაგებაში ამ წარმართული რელიგიის ელემენტების არსებობაზე, რაც უთუოდ ი. პეტრიწის „განმარტებიდან“ უნდა მომდინარეობდეს აგრეთვე.

6. „შვილ მთიებთაგან“ ცალკე გვინდა გამოვყოთ მზე, როგორც განსაკუთრებული პრობლემა ი. პეტრიწის მსოფლგაგებაში და აგრეთვე, როგორც ენახვით, რუსთაველის შემეცნებაშიც. აქად. შ. ნუცუბიძე წერს: „პეტრიწი იღებს რიცხვს ხატად და მეორეს მხრივ ასეთივე ხატად აღიარებულა მზე, აქედან უკვე მზადდება ნიადაგი მზის არა ანალოგიად, არამედ უფრო არსებითად მისაღებდა... აქ უკვე გაკეთებულია დიდი ნაბიჯი მზის ისევე „ერთისა“, ხატად მიღებისათვის, როგორც რიცხვი „ერთი“ ხატად იყო მიღებული. „წარმართულ“ გამგებლობას აქ კიდევ ერთი ნაბიჯი რჩებოდა, რომ „ერთსა“ და „ღმერთს“ შუა მზე მოეთავსებინა და ამ გზით ანტიკური ფილოსოფიიდან წარმართულ

1) ი. პეტრიწი, შრომები, ტ. II, 1937, გვ. 27.  
2) იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. CXI.

3) ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 75. LX XV.  
4) იხ. აგრეთვე სტროფები: 1539, 281, და სხვ.

სოლარიზმისავე გზა გავიქცა“<sup>1</sup>. ვფიქრობთ. წ. ხუცუბიძის ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ მართებულია; მართალია პროფ. მ. გოგბერძინის აზრით, თითქოს „პეტრიწის ტექსტში არავითარ წარმართობაზე და არავითარ წარმართ ღმერთებზე ლაპარაკი არ არის“<sup>2</sup>, მაგრამ ვფიქრობთ, სხვა გავება შეუძლებელია ი. პეტრიწის შემდეგი სიტყვების:

„დაუდგენს თუ არსმან თვთებისა მიერ თვისა ხატ ქმნასა მის ზესთ არსისა მზისასა“<sup>3</sup>.

„ხოლო გონებად ერთგბრიეთა მზეთა მიერ წარმოღვა, რამეთუ ერთთა შერთებისა მიერ შედგა ყოველი ანაქუსი და მორთულობა გონებისა“<sup>4</sup>.

„ზესთაა სული, ვითარ ღმრთებერი ყოველთა სულთა და ყოველითურთ შეყოფილი ნამდვლ მყოფისა მზეთადა“<sup>5</sup>.

„უქუნაჲსკნელ მზემან მამისა მიერ წარმორსებულქმან თვთ საზესთათოთა მათუა ზესთა აღჰკანდა სულდები ჩუენ კაცთანი“<sup>6</sup>.

მზის, როგორც „ერთარსების“ დამამტიკებლად და საერთოდ „ერთისა“ და „სიმრავლის“ ურთიერთდამოკიდებულებს საილუსტრაციოდ მას თვით მზისა და მისი „შარავანდენის“ მაგალითი მოჰყავს: „ერთისადმი სიმრავლენი მყოფიანი მიერთდებიან, ვითარ და ესახებისა სამარჯოდ ჩუენი ესე ქუენაობითა მნათობა მზე, რამეთუ ნათელთა მისთა აქუს ერთი ვინაჲვე და განჩენილი თვსდა განსავალიცა უკუეთუ საქცევილი დისყო, რომელსა ურქუაშთ თუალად მზისა“<sup>7</sup>.

რასაკვირველია, შეუძლებელია თქმა იმისა, რომ თითქოს ი. პეტრიწს უნდოდა „ქართული წარმართობის აღდგენა“, როგორც ამას მ. გოგბერძინე არც სულ მთლად სამართლიანად უქიყნებს შ. ნუცუბიძეს, მაგრამ მის ნეოპლატონურ ფილოსოფიაში წარმართული რელიგიის ელემენტების არსებობა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგან თითქმის ყველა ნეოპლატონიკოსის (განსაკუთრებით პროკლეს მიმდევრების) შემოქმედებაში მოცემულია იგი მეტ-ნაკლები „ღოზით“.

მზე, როგორც ღვთაება, როგორც „ხატი“, ვედრების საგანი „ერთარსებისა ერთი“, რომელსაც მორჩილობენ ციერნი „ერთის იოტის წამისად (ი. პეტრიწით „წამისყოფით“), მოცემულია რუსთაველის შემდეგ სტრიქონებში:

იტყვი: „ჰე მზეო, ვინ ხატად გაქვეს მზიანისა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა მის უქამოსა. ვამისდა ვინ გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად, ზელსა ნუ მიცელი, მიაჯე, შეყარამდის ჩემდა და მისად (836).

ავთანდილი ევედრება მზეს. მზე „უმძლესთა მძლეთა მძლეა“ ადამიანის ბედისა, „მეფეთა სეეს“ წარმმართველი ძალაა, მას შეუძლია საყვარლები გაჰყაროს ურთიერთს და მათ დღე „ღამედ“ შეუცვალოს:

აჰა, მზეო, გეაჯები შენ უმძლესთა მძლესა, ვინ მდაბალთა გაამალლებ, მეფობასა მისცემ, სეესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემოცელი ღამედ დღესა (957).

რუსთაველმა იცის, რომ მზის „ხატად“ მიჩნევა გარკვეულ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული, რომ ქრისტიანული თეოლოგიური დოგმატიზმი ვერ მოითმენს ამას, ამიტომაც ამ მოსაზრებას ანტიკურ ფილოსოფიის წარმომადგენლებს მიაწერს:

ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი (837).

მაგრამ, ჩანს იგი ამ „წინანი“ ფილოსოფოსთ ნათქვამის თანამოზიარე და თანამჭრძობია (როგორც ი. პეტრიწი), რადგან მისი სათაყვანებელი პერსონაჲები ევედრებიან, მიმართავენ მზეს, როგორც „ხატს“, „ღმერთს“.

7. ი. პეტრიწი სულისა და გონების განსხვავებისას იძლევა გონების განმარტებას, რომელიც განსხვავებით სულისა („მცირედ“ აღიქვამს სავანს), ერთბაშად და მარტოვად „მიესმინს“ შესაცნობ სავანის ისე, როგორც (აღარებს პეტრიწი) „აღმოჰქდეს რაა მზე და აჰა შარავანდინცა მისნი უქამოდ და მიოდრეკელდ დაჰფარვენ მცირედ მცირედ ყოველსა, და არა მცირედ მცირედ მიდგებიან, არამედ მყის თანავე აღმოჩნასა მზისა დისყოჲსა აჰა და მიფენაცა შარავანდელთა. ესრეთვე და გონებასაცა ზედა იხილო... ვითარცა მზისადა შარავანდინა“<sup>8</sup>.

თინათინი არაერთხელ აქვს რუსთაველს მზესთან შედარებული, და უკვე გამოყვებული თინათინი ყოველივეს „ხედავს“, „ჰკრეტს“ („ხედვა“ და „ჰკრეტა“ ი. პეტრიწით ფილოსოფიური ცნებაა და სავანის შემეცნებას ნიშნავს) „მზერს“. გამეფებულთ თინათინი უკვე „მზეა“, „ხატი“ა, ამიტომაც მისი „ცნობა“, გონება, ყოველივეს

<sup>8</sup> ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 7.

<sup>1</sup> ი. პეტრიწის შრომები, ტ. I, 1937, გვ. 54-55.  
<sup>2</sup> ი. პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940 წ., გვ. 1002.  
<sup>3</sup> ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 23.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 166.  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 199.  
<sup>6</sup> იქვე, გვ. 208.  
<sup>7</sup> ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 213.

მიხეილ შინგელია  
რუსთაველი და ბეალთი



შეიცნობს ისე, როგორც „მზის შარავანდღენი“ მიესხმის და „დაზღვრვენი ყოველსა...“ მყის“.

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით  
ნათელითა,  
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა  
ხელითა,  
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა  
სამოსელითა,  
**ქალი მზეგრ უქვერეტს ყოველთა ცნობითა**  
**ზე-მხედველითა (45).**

8. ცნობილია, რომ ი. პეტრიწი თვითონ ქმნიდა ხელოვნურად ზოგიერთ ტერმინს, თუ ფილოსოფიური ცნების გამომხატველ სიტყვას. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „ზესთა“ და მისგან ნაწარმოები სიტყვებია: ზესთაჲ, ზესთარისი, ზესთაჲ-ქე, ზესთა ზესთაჲ, ზესთარსებაჲ, ზესთა-აღმკელო, ზესთავანყენებულო, ზესთაობა, ზესთ-განკურნებულო, ზესთგანფენა, ზესთ-განყენებულო, ზესთ-გასაგონაჲ, ზესთგონებითი, ზესთ-დაფუძნება, ზესთ-კიდოვნება, ზესთ-მდებარე, მხარესჲ, „სინამდვილის იქით“. ზესთაჲ, „ზეს-გონიერი და სხე. ზესთა — ი. პეტრიწით ნიშნავს: „მიღმას“ „მალალ საფეხურზე“, „იქითა მხარეს“, სინამდვილის იქით“. ზესთაჲ, „ზესთა“ ზემო, მალა მდებარე, მიღმა არსებული, უზენავსი (ს. ყახჩიშვილი). ი. პეტრიწისეული ეს ტერმინები რუსთაველს რამდენჯერმე აქვს გამოყენებული იმავე მნიშვნელობით, მხოლოდ ზოგან პოეტური რითმებისათვის შეცვლილ ფორმად ან საწყისს და მხოლოდით ფორმად:

მოვიდეს, და გავკვირდი, ექვი: „რამე  
საქმე ზესია“ (1171,4)  
მათ სხვათა მათი ამბავი თქვის, ვითა  
მეზავრთა წესია;  
მონამან უთხრა: „ჰე მანო, განგება რამე  
ზესია“: (1219)  
უყვილეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ იქმთ  
საქმეთა ზესებსა?“ (1377,3)  
პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა  
(685,3)  
ლაწვთა მისთა ელვარება ელვარება  
ზესთა-ზესა (1132,2)  
არა ევიმ, ცოდნა რას მარგებს  
ფილოსოფოსთა ბრძნობისა!  
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ  
მწუბობთა წყობისა (790)

9. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად სიყვარულის თემაზე დაწერილი პოემაა, ვარდა იმისა, რომ პოემის სიუჟეტი თითქმის მთლიანად სიყვარულის, მიჯნურობის ამბავზეა აგებული, თვით მიჯნურობის თეორია, სავანეზოდ აქვს რუსთაველს განხილული (სტროფები 20—31-მდე). იოანე პეტრიწიც თავის „განმარტებაში“ აყალიბებს სიყვარულის თეორიას და აღსანიშნავია, რომ პეტრიწისა და რუს-

თაველის მოსაზრებები საოცრად ეხმაურებოდნენ ერთ-ერთს.

აქედ. ნ. ნუცუბიძე წერს:  
„სიყვარულის თეორია პეტრიწის მიერ საბოლოოდ გამოთქმულია შემდეგნაირად: „სდევს წადილო მეწადისა საწაღსა და მეტრფისა სატრფოსა“. „სწყურის მისდამი“ და მათი საწაღო არის „სანთელი ყუავილითა“. ეს უყუწყევთა სიყვარულისა არის „თსთა დასაბამთაღვე ტრფიალგება“, რომელიც არის „არსი ზესთ არსთა მეცნიერებისა“ (გვ. 81, 31) სიყვარულის ძალა იმაშია, რომ იგი აღამაღლებს და აღიყვანს მეტრფეს „ტრფიალებითისა სირაჲსაგან ვიტყუთ, ვითარ აღმკვერთა და აღმყვანთა“. და ამაჲს პეტრიწი დასძენს: „სიგლახაკისაგან სიმდიდრეთა“...“

„რამეთუ სხუა არა რაჲ არს ტრფიალებმა თვნიერ დაქვირებაჲ ნებასა წადილისასა, ხოლო ყოველი ნებაჲ და ყოველი წადილი მაშინდა წადილ და ნება, რადს ეგოს უმხილგებლად მიღმო აღჩვეათაგან თვლისათა“ 2.

„სიყვარული და ტრფიალება, როგორც „წადიერება“ ქვეყნის წყობასთან არის დაკავშირებული... ადამიანურ ტრფობას ანუ სიყვარულს (განსხვავებით „უწესთაგან“-ის არსის მაღალი საფეხურის სიყვარულისა — მ. შ.), როგორც ვაშლილს „ოთხთა კავშირის“ ქმნისა და ხრწნის წიღში, სიყვარული მოცემული აქვს, როგორც ლმობა, როგორც წამება. ამიტომ სდევს მიჯნურობას ვახვლება: უმოღვაწეოდ, უქმნლად სატრფოს ძენდა არ ეგებოს; ამ ლმობასა და წამებას უნდა დრო და უნდა ადგილი, რომ „მეტრფოი“ და „სატრფოი“ შეხედნენ ურთიერთს რადგან ეს პირობებია „საშოვლო შეყვარისათჳს“ არ სქირდება მტკიცება იმას, რომ სიყვარულის ასეთი ფილოსოფიური ფორმულის ქარგაზუა სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი აგებული: ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის სამოქმედო თავგადასავლები ბრძენთა და ფილოსოფოსთა მოსაზრებების მიხედვით არის გაშლილი, მათი სწავლებით კი სიყვარული ბუნებრივი მოვლენა და მისი დასასრული კეთილია: „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდობა“ (1544). ვინ არის ის ბრძენი, ის ფილოსოფოსი, რომელსაც იმოწმებს რუსთაველი? მაგამ ჯერ მივხედოთ კვლევი პირდაპირ აზრობრძესა და ლექსიურ დამოხვევებს. ოთხი პირველადი ელემენტის „კავშირის“ საფუძველზეა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულიც დამკვიდრებული, ნესტანი წერს ტარიელს:

ღმერთსა შემეღრე, ნთუ კვლა დამსხნას  
სოფლისა შრომასა,

1 შ. ნუცუბიძე — ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 70.  
2 იქვე, გვ. 82.  
3 იქვე, გვ. 71.



# ციცხლა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა (1304).

აკად. გ. ჯიბლაძე მიაქცია ყურადღება ამ სტროფებს და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, როგორც ფილოსოფიური ლირიკის უმშვენიერეს ნიმუშს. იგი წერს: „როცა ნესტანი სიყვარულის ასპექტში ციცხლსა, წყალსა, მიწასა და პაერზე ლაპარაკობს, მის ცხოვრებაში ეს ოთხი ელემენტი მართლაც ანტიკური გავებით არის ასოცირებული სიყვარულთან“<sup>1</sup>.

აკად. გ. ჯიბლაძე ფიქრობს, რომ ეს ემპედოკლეს მოძღვრებიდან არის შემოთხული რუსთაველის სტროფებში: „გავიხსენოთ ემპედოკლეს მოძღვრებიდან ის მომენტები, სადაც ციცხლი, წყალი, მიწა, პაერი არა მარტო წარმოშობის ყოველივეს, არამედ ახსნილია ძალაც — ამ ოთხ ელემენტს ქმნალობის უნარს რომ ანიჭებს, ეს ძალა ემპედოკლესათვის სიყვარულია, ოთხი ელემენტი სწორედ სიყვარულის ძალით წარმოშობს ყოველივეს. სიყვარული აერთიანებს ოთხ ელემენტს, წინააღმდეგ სიძულვილისა, რომელიც ანტიკურ მოაზროვნეს გამთიშველ ძალად მიაჩნია“<sup>2</sup>.

მაგრამ საკითხავია, ემპედოკლედან უშუალოდ შემოვიდა ეს მოსაზრება რუსთაველის სტროფებში თუ პეტრიწის გზით? აღსანიშნავია, რომ ი. პეტრიწი, მხოლოდ ერთხელ ასახელებს თავის „განმარტებაში“ ემპედოკლეს და ისიც სწორედ სიყვარულთან კონტექსტში: „ვიეთა იტყოდა ემედოკლი, რამეთუ გონებით ყოველი აღმყული დაიპყრაო და ხუდა სიყვარულსა, რომელ არს ერთობაჲჲ“<sup>3</sup>.

ჩანს ემპედოკლეს ამ მოძღვრებას გელათის პეტრიწისეული სკოლა კარგად იცნობდა და თუ აქ პეტრიწი გაცკრით იხსენიებს მას, თვით გელათის ავადმიაში ის მოსწავლეთათვის უფრო ფართო სწავლებისა და მსჯელობის საკითხი იქნებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ თვით პროკლე დიალექტის ემპედოკლე არსად უხსენებია თავის „კავშირში“. ის მხოლოდ პეტრიწმა მოიშველია პროკლეს 29-ე თავის განმარტებისათვის.

ემპედოკლეს ამ 4 ელემენტის ურთიერთობასა და თვით დაჯგუფებაში ორიენტირებული მოსაზრებები ჰქონდა შეტანილი — ის ცალკე გამოკყოფდა ციცხლს და უპირისპირებდა დანარჩენს სამ ელემენტს. საბოლოოდ მან ციცხლი და პაერი გამოკყო, როგორც სითბოს და პაერის მატარებელი და დაუპირისპირა დანარჩენ ორს. ემპედოკლეს მოძღვრების ამ საკითხის ანარქული შეამჩნია პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ი. პეტრიწის „განმარტებაში“.

„მქნელად იტყვის, რომელსაცა უფროას არსათა და დროსტირიაჲ (გამძლე, მომქმედი მ. შ.)

ჰქონდის მოქმედება და უმჯობესი ვითარ ყოველთა ციერთა ქუეყნიერთაასა და ვითარ ციცხლსა სხუათა კავშირთაასა“ ან კიდევ:

„... ვითარ ესე ამით ოთხთა ასოთა მიერთა ზედა იხილვების; რამეთუ ციცხლი და აირი უმჯობესს შედგომილა შორის, და მათ მიერთა რომელობაჲ უმაცხოვნებელს, ვითარ უფროა დროსტირიაჲ“<sup>4</sup>.

ემპედოკლეს ზემოხსენებულმა მოსაზრებებმა, რომელმაც ი. პეტრიწის „განმარტებაში“ ჰპოვა ადგილი, ვფიქრობთ, ასახვა ჰპოვა რუსთაველის შემდგმ სტრიქონებში:

ციცხლა ციცხლის სიმხურვალე უჯავს,  
ამად აენთების,  
მაგრა წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდის,  
და-ცა-შრტების (905)

ამგვარად, უძვეველია, რომ ემპედოკლეს მოძღვრებას გელათის ავადმიაში ჰყავდა თავისი თანამოაზრეები და იგი ალბათ საქმათ სისრულით ისწავლებოდა, რაც რუსთაველის სტრიქონებშიც აისახა.

სიყვარულს, „სატრფოსა“ და „მეტრფოს“ საკითხში კიდევ არის ერთი საინტერესო დამთხვევა: ი. პეტრიწი წერს:

„შეისწავე, ვითარამედ... მიზეზი უყუნქევისასა თვსთა დასაბამთადე არს ტრფილიება, რამეთუ ტრფილიებას მიერ უუთ ეტრფის კულად არსი ზესთ არსთა შეუენერებისა მორთულბათა, ვინადაც ძალთა და ანგელთა აღმყავნებულობითთა ტრფილებითისა სირასასგან ვიტყუთ, ვითარ აღმყერელთა და აღმყავნეთა სიგლახაისასგან სიმდიდრეთა მიმართ“<sup>5</sup>.

იდეა სიყვარულის ამამღლებელი უნარის შესახებ ზუსტად აქვს რუსთაველს შემდგმ სტროფებში:

წავიციოხავს, სიყვარულსა მოციქულნი  
რაგვარ წყერენ?  
ვით იტყვიან, ვით აქებენ. ცან, ცნობანი  
მიაფერენ,  
„სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეყვანნი,  
ამას ეღერენ.  
შენ არ სკერხარ, უსწავლენი კაცი  
ვითმცა შევაყერენ (791)

ან კიდევ:  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმადრენათა  
(203)

ზოგთა აქეთ საღმრთო სიახლე, დაშერბის  
აღმადრენთა,  
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კექლუცთა  
ზედან ფრგენთა (22)

4 პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1950, გვ. 433-434.

5 ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 83.

1 აკად. გ. ჯიბლაძე, ვახ. „კომუნისტი“ 31/7—1966 № 173.  
2 იქვე.  
3 ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 77.

**მიხეილ შინგალიძე**  
რუსთაველი და გელათი

რუსთაველი ხაზს უსვამს, რომ იდეა—სიყვარული ადევამაიდებს—ეს არა მხოლოდ მისი ცხოვრებისეული დაკვირვებაა, არამედ გარკვეული ფილოსოფიური სწავლებიდან მომდინარეობს, რომ ნასწავლმა, განათლებულმა კაცმა უნდა იცოდეს, სჯეროდეს, რომ სიყვარულს ადამიანის „ამამალებელი“ ანუ პეტრიწის ენით „აღმყვანი“, „აღმცვრელი“ ძალა აქვს.

ი. პეტრიწი არჩევს თავის „განმარტებაში“ „უწესთაეს“—საღმრთო სიყვარულს, ამ ქვეყნიურ ბუნებრივ, ხორციელ სიყვარულისგან. ი. პეტრიწით „უწესთაეს“ სიყვარულს არაფერია აქვს არც საქებარი, არც საბრძოლველი, იმ სიყვარულს — „არცა ეამი, არცა ადგილი შთამოუვარდების საშუალო შეყრისათვის“!

შ. რუსთაველიც არჩევს ორგვარ სიყვარულს საზღოს, საღმრთო მიჯნურობასა და ამქვეყნიურს, ხორციელს:

ეთჳე მიჯნურობა პირველი და ტომი  
გვართა ზენათა  
ძნელად სათქმელი, საჰირო გამოსავები  
ენათა;  
იგია საქმე საზღო, მომცემი აღმაფრენათა (20)

მაგრამ რუსთაველმა ამქვეყნიურ, ხორციელ სიყვარულს უმღერა:

ეთჳევენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა  
ხედებანი (21, 3). ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის სიყვარული ამქვეყნიური, ბუნებრივი, ხორციელი სიყვარულია, ოღონდ მაღალზნობრივი და ამალღებული...

მწაღდა, მაგრა ვერ შეეკმარეთ შემოქმდობა,  
შემოხვევა (546)<sup>2</sup>

10. ი. პეტრიწის „განმარტებაში“ ვკითხულობთ:

„ტომსა შორის განიცადენ, ყოველნი  
გვარნი“ (გვ. 131)  
„აღიწიურე ტომისთჳს გუართა ჩემთასა მე  
მიღმობობა მსგავსა“ (გვ. 220) და სხვ.  
შეადარეთ რუსთაველის ზემონახსენებ სტრიქონს:

ეთჳეა მიჯნურობა პირველი და ტომი  
გვართა ზენათა (20, 1)

11. ი. პეტრიწის „განმარტებასა“ და პროკლეს „კავშირში“ მრავალგზის არის დასმული და განმარტებული საკითხი, რომ მსგავსისაგან წარმოიშობა მსგავსი. იგი ცალკე თვად არის გამოყოფილი და ვრცლად განხილული. როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა, სათაურით: „მსგავსისა და უმსგავსოასთჳს“, სადაც ვკითხულობთ: „რამეთუ მსგავსნი მსგავსებისა მიერ იქმნებან მსგავსს და არა უმსგავსობისა მიერ“<sup>3</sup>.

1 ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 71, გვ. 84.

2 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 132.

3 ი. პეტრიწის შრომები, ტ. I, გვ. 25.

ან კიდევ: „რამეთუ ორთავი მიზეზბაა არს წარმოქმნისაჲცა, და უკუაღდ თჳსთა დასაბამთადმი უუქუნტევისაჲ. და რაოდენ უფრო მსგავს, უფრო მამახლობელ და რაოდენ უფრო მახლობელ, უფრო მსგავსა“<sup>4</sup>.

შ. რუსთაველი პირდაპირ იმეორებს ამ იდეას, არა როგორც საუთნარ დაკვირვებასა და ჩანაფიქრს, არამედ როგორც ბრძენთაგან თქმულს, ჩამოყალიბებულ სწავლულებას:

მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე  
ბრძენთაგან თქმულია (1323)

12. ი. პეტრიწს არა ერთხელ აქვს ნახსენები თავის „განმარტებაში“ ორფეოსი (გვ. 208), ორფევსი (გვ. 100), ორფეოა (208, 210).

პეტრიწისეული იამბიკოების პერსონაჟიც არის ორფეოსი („იძღვენ საცემნი ორფევის ხმით დამხსენლი“). ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ორფეოსი პეტრიწის აზროვნებაში, მის სასწავლო სისტემაში მაგალითისა და ციტირების ობიექტს წარმოადგენდა. უთუოდ იგი მაგალითის აკადემიის მონაწილეთათვისაც ცნობილი იყო. ეს, ბერძნული მითოლოგიით, მომჩაღებელი მომღერალი და ლირაზე დამცვრელი, რომელიც ამოძრავებდა ბუნებას, აჯადოებდა და ამშვიდებდა მხევესს, მიმზიდველი გამოიქნებოდა მათთვის.

შ. რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ ორფეოსი არსად უხსენებია, მაგრამ ვეფქრობთ, შეუძლებელია რუსთაველისათვის ორფეოსს არ ჩაეგონებოდა ავთანდილის ცნობილი სიმღერა, რომელმაც მხეცები მოაჯადოვა, ბუნება ამოძრავა:

რა ესმოღის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი  
მოვიდიან.  
მისევ ხმისა სიტკოსაგან წყლით ქვენიცა  
გამოსდიან,  
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის  
ატირდიან (967)...  
მოვიდიან შესამკობლად, ქვეყნით ყოვლნი  
სულიერნი:  
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით  
ნინაზნი, ცით მფრინველნი (968).

ვეფქრობ, ამაზე ნათელი შემხვედრი ადგილები ფილოსოფიურ ტრაქტატსა და ლექსს, პოემას შორის შეუძლებელია იყოს.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები როგორც ცალკეული სიტყვების, ტერმინების, ისე გარკვეული ფილოსოფიური, ესთეტიკური მოსაზრებების მხრივ. ახლა ვნახოთ საერთო მსოფლმხედველობრივი მრწამსი რუსთაველისა და რამდენად ახლო დგას იგი ი. პეტრიწის მსოფლმხედველობრივ აზროვნებასთან; რასაკვირველია, ეს ნაწილობრივ ზემოხსენებული შედარებებიდანაც აშკარა იყო, მაგრამ იგი მაინც:

4 ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 78.

ცალკეულ საციოხეზშია მოცემული, აქ კი გვინდა განვიხილოთ ეპოქის ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებათა ისტორიის საერთო ფონზე. ცნობილია, რომ რუსთაველის წინარე ეპოქა ხასიათდება ახალი პოლიტიკური და ეკონომიური თავისებურებებით, ახალი სოციალური ვითარებებით, რამაც გამოიწვია ახალი ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობათა აღმოცენება, რაც ძირითადად ქართული ნეოპლატონიზმის ჩამოყალიბებითა და ამ ნეოპლატონისტური იდეების საფუძველზე ცალკეული სკოლებისა და მიმდინარეობების არსებობით ხასიათდება. ნეოპლატონისტური იდეების საქართველოში გავრცელებასა და დამკვიდრებას რუსთაველის ეპოქამდეც კარგა ხნის ისტორია ჰქონდა; პეტრე იბერიდან (ფსევდო-დონისე ეპოპეველი) მოყოლებული, ამბიოს ნეკრესელს, გრ. ხანძელს, ექვთიმე მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს და სხვ. შემოქმედებაშიც შეიგრძობა ნეოპლატონიზმის ნიადაგზე აღმოცენებული საერთო ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი იდეების არსებობა. მაგრამ თვით რუსთაველის წინარე ხანაში, აღმამეზებლასა და პეტრიწის ხანაში, როცა წარმოიშვა კულტურული, მეცნიერული და საზოგადოებრივი-ფილოსოფიური სკოლები და მიმდინარეობები, რომელთა უშუალო შემკვიდრე თვით რუსთაველის ეპოქა — შეიქმნა ორი ძირითადი სკოლა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში, ორი ძირითადი იდეოლოგიური მიმდინარეობა ი. პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მეთაურობით, ორივე ეს მიმდინარეობა ნეოპლატონური ფილოსოფიის მოძღვრებაზეა აშენებული, მაგრამ მათ შორის მაინც მკვეთრი იდეოლოგიური ბრძოლა, რადგან სწორედ ამ ნეოპლატონური იდეების (ანტიკური ფილოსოფიისა და წარმართული რელიგიური დოგმების) ერთგვარ „დოზირებაშია“ მათი პრინციპული შეუთანხმებლობა და თვით ეს სხვადასხვანაირი „დოზირება“ მართლაც იწვევდა მათ პრინციპულ სხვაობას. აკად. შ. ნუცუბიძე არსენ იყალთოელს კონსერვატული პარტიის მეთაურად სახავს, იოანე პეტრიწს — რენესანსის ცენტრის ლიდერად. პირველის სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობის კერაა იყალთოს აკადემია, მეორისა — გელათის აკადემია. პირველის მიზანი იყო თეოლოგიური დოგმატიკის დაცვა, მეორისა კი საერთო ფილოსოფიური იდეების განვითარება და დანერგვა. არსენ იყალთოელმა თავის იდეოლოგიურ წინამძღვრად იოანე დამასკელს აირჩია, იოანე პეტრიწმა კი თავის „მაცხოვრებლად“ პროკლე დიადოხოსი. არსენ იყალთოელი, განსხვავებით ეკლესიის ძველი თეორეტიკოსებისა, ქრისტიანული თეოლოგიური დოგმატიზმის დაცვის ზერელედ, დაუსაბუთებლად კი არ შეუდგა, არამედ ძველი ანტიკური ფილოსოფია გამოიყენა თეოლოგიური დოგმების დასამტკიცებლად,

ასახსენლად, ე. ი. ანტიკური ფილოსოფია თავისი მატერიალიზმითა და დიალექტიკით თეოლოგიის სამსახურში ჩააყენა. ი. პეტრიწმა კი — თეოლოგია უკანა პლანზე გადასწია და ანტიკური ფილოსოფია წამოაჩინა წინ წარმართული რელიგიური ელემენტების შეტანით.

ამგვარად, არს. იყალთოელისა და ი. პეტრიწის თეოლოგიურ-ფილოსოფიური განწყობები არსებითად განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან: 1) თუ არსენს ესაჭიროებოდა ფილოსოფია იდეოლოგიის სამსახურად, იოანე პეტრიწს მთელი ცენტრი სწორედ ფილოსოფიაში გადაჰქონდა; 2) არსენისათვის სიბრძნე იყო „მარტუენე მკლავი, რომლითა ესერისა და სდევენის სამწავლებლოთა გესლიანსა სიბოროტესა“; პეტრიწი კი საერთო ფილოსოფიის ნიადაგზე გულდასმით განმარტავდა პროკლეს, „ორფეოსს“ და წარმართულ-რელიგიურ შორის ქართულ მნათობთა თავყანის-მცემლობის ამოკითხვას ცდილობდა. ამ ორი მიმდინარეობას შორის შერიგება შეუძლებელი იყო და ისინი არც ოდეს შერიგებულან და მხოლოდ ქართულ ჰუმანიზმსა და რენესანსს შეეძლო მიეცა საფარი იოანე პეტრიწისათვის“<sup>1</sup>.

ეს ქართული ჰუმანიზმი და რენესანსი სწორედ ყველაზე უფრო ცხოვრებისეულად, ღრმად, მთელი კაცობრიობისათვის გასაგონად რუსთაველის შემოქმედებაში გამოვლინდა და ი. პეტრიწის იდეებმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ აქ ჰპოვა თავშესაფარი და შემდგომი განვითარება.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს რუსთაველს ფილოსოფიური დოგმები, მცნებები პირდაპირ ჰქონდეს ალებული, გადამლერებული, ვალქსილი. პირიქით, ეს მოსაზრებები, რომელნიც მას ახალგაზრდობაში შეუსწავლია, ცხოვრებისეულ ამბებში პოემის სიუჟეტურ ქსოვლებში ისე ორგანულად არის შერწყმული, რომ ისინი (ეს მოსაზრებები) ახალ შინაარსსა და ცხოველმყოფელობას იძენენ რუსთაველის გენიალურ მხატვრულ სამყაროში. შ. რუსთაველის შემოქმედებითი დიაპაზონი, მისი ინტელექტუალური სამყარო იმდენად დიდია, იმდენად ღრმა და ფართოა, რომ შეუძლებელია მას ძველი ანტიკური თუ თანამედროვე ფილოსოფიური ლიტერატურა შემდეგში ორიგინალში, პირველად წყაროებშიც არ შეეცნავლოს, მაგრამ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი, რომ ყველა შემოქმედს, თავისი ინტელექტუალური ცხოვრების დასასრულამდე თან გაჰყვეს იმ პირველი სახელმძღვანელოების კვალი, დალი, რომლითაც დაიწყო აზროვნება და ინტელექტუალური წვრთნა.

<sup>1</sup> შ. ნუცუბიძე, ი. პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 109.

**მიხეილ შინგალია**  
რუსთაველი და ბელატი



შ. რუსთაველი თითქოს საკუთარ თავზე ლა-  
პარაკობს შემდეგ სტრიქონებს:

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებეს  
ფოლოსოფოსთა ბრძნობისა!  
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა  
ზესთ მწყობრთა წყობისა.

„ფილოსოფოსთა ბრძნობის“ ცოდნა გენია-  
ლურად გამოიყენა მან მის უკვდავ პოემებში და  
მართლაც „შეერთო“ იგი „ზესთ მწყობრთა  
წყობას“. მისი სახელი პოეზიის „უზესთაეს“  
ცაზე შექსპირისა და დანტეს თანავარსკვლავედ-  
ში კიდობს, ბაირონისა და გოეთეს „ზესთზეს-  
თა“ მწყობრში ბრწყინავს.

ჩვენი, ზემოთ, „წიგნი სააქიმოა“ მივიჩნევთ,  
გელათის აკადემიის სასწავლო სახელმძღვანე-  
ლოდ; მართალია, ის „შედგენილია“, როგორც  
თვით ტექსტიდან ირკვევა, 1206-8 წწ-ში და  
ამგვარად, ქრონოლოგიურად „ვეფხისტყაოსნის“  
დაწერის შემდეგდროინდელი ძეგლია. მაგრამ  
ის ტერმინოლოგიური და ლექსიკური შეხვედ-  
რები, რომელიც შეიმჩნევა ვეფხისტყაოსანში  
და „წიგნი სააქიმოა“ შორის, ჩვენი აზრით,  
მთითითებს იმას, რომ ორივე ავტორი ერთი  
სკოლიდან, ერთი საგანმანათლებლო-კულტურ-  
ული კერიდან არიან (ამ კერის როგორც მოდ-  
ეაწე-მასწავლებელი ან მოწაფე). „წიგნი საა-  
ქიმოა“ და ვეფხისტყაოსნის ეს ენობრივი სი-  
ახლოვე, ჭერ კიდევ „წიგნი სააქიმოა“ გამო-  
ცემულმა ექიმმა ლ. კოტეტიშვილმა შენიშნა და  
მთელი რიგი პარალელური ადგილები მოიყვან-  
ა. იგი წერდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა და  
ამ წიგნის ენა ერთი და იგივეა. მაგრამ ამას  
ხსნიდა იმით, რომ „ერთიც და მეორეც ერთ  
ეპოქაშია დაწერილი“<sup>1</sup>.

ენობრივ-ტერმინოლოგიური სიახლოვის შემ-  
დეგი მაგალითების მოყვანა შეიძლება:

1. „წიგნი სააქიმოა“:  
„უყონდიდელმან მისმან მწიგნობართ უხუცე-  
სობამან... და ვაზირთა ყოველთა უპირველეს-  
მან კაცმან... ქართულად მათარგმინა მე მი-  
წას მათხა ხოჯა ყოფილხა“ (გვ. 3)  
ვეფხისტყაოსანი

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა  
მშვილდოსანია (67,1)  
მოახსენეს: „მიწად ვექმნეთ, ვინცა მიწად  
მიგვიყვანნეს (1547,2)  
მიწაცა თქვენი ავთანდილ ისმინეთ გიჭიერ  
მე რასა (166,1)

2. „წიგნი სააქიმო“:  
მტერთა დაცემა, რომელსა ჰქვიან სარით  
(გვ. 19)  
„მტერთა დაცემა გამოაჩნდებინ რომელსა  
ჰქვიან სარით“ (გვ. 37)

„ნიშანი არს მტერთა დაცემისი (გვიმარტა)  
ნიშნავს: ეპილეფსიას, ბნედას.

ვეფხისტყაოსანში  
„მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი,  
რას ჩამახვილიან,  
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ,  
ცეცხლნი უშრეტნი მწვილიან (351)

3. „წიგნი სააქიმოა“  
„სინგური და სპეტი და მელანი და „მარტაა“  
(გვ. 13. იხ. აგრეთვე გვ. 8, 104, 101, 113, 127,  
134, 200 და მრ. სხვ.).

„ვეფხისტყაოსანი“  
ზე წამოჯდა ფერმიხილი აყოლებდა  
თვალთა რეტად  
ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და  
ვითა სპეტად (500,2)  
სპეტი — უმარულია და ეს ტერმინი სხვა სამ-  
კურნალო ძეგლებში არსად არ გვხვდება.

4. „წიგნი სააქიმოა“  
„ყვითელი ზარნისი, რომელსა ჰქვიან ამარ-  
ტოა“ (გვ. 103)  
„ორისა დრამისა წონი ამარტაა“ (გვ. 154,  
იხ. აგრეთვე გვ. 13, 257, 261, 262).

„ვეფხისტყაოსანში“  
ამარტის ფერად შეცვალა ბროლი  
ცრემლისა ბანამან. (266,1)

5. „წიგნი სააქიმოა“  
„ზაფრანა და გომიზი არაბული...“ (გვ. 62)  
„ზაფრანა და მური ხონისიოშანი...“ (გვ.  
67. იხ. აგრეთვე გვ. 71, 78, 100, 102, 104 და  
მრავალი სხვ.).

„ვეფხისტყაოსანი“  
„ქაცვი ლერწამან, ზაფრანა იმსვავსოს  
ფერად მინამან“ (689)  
აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი  
ჰგვანდის, ვერ ია“ (854,3)  
იხ. აგრეთვე სტროფ. 358,1. 500,2, 699,4,  
1590,3, 1157,4, 1278,4.

6. „წიგნი სააქიმოა“  
„შარლი“ რეა ფერად იქნების... პირველი  
თეთრი... მეექვსე არღანის ფერი, მეშვიდე წი-  
თელი...“  
„... და თუ არღანის ფერად იყოს...“ (გვ. 39)

„ვეფხისტყაოსანი“  
ტარიელ, ასმათ, ავთანდილ, თვალთავან  
ცრემლნი დალამნეს;  
სამთავე დაწვთა ალამნი არღანის  
ფერად ალამნეს (943)  
არღანის ფერი, არც ერთ სხვა სამკურნალო  
ძეგლებში არ გვხვდება.

7. „წიგნი სააქიმოა“  
„ვირჩხიბი, რომელსაც ჰქვიან სარატანი“ (გვ.  
15).  
„ვითარებაა სარატანისა რომელ ჰქვიან ქარ-  
თულად კირჩხიბი და სპარსულად ხარჩანე“  
(გვ. 111).

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოა“, ტფილისი, 1936 წ. ექ.  
ლ. კოტეტიშვილის რედაქციით. გვ. 26.



**„ვეფხისტყაოსანი“**

ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა (1328,3).

**8. „წიგნი სააქიმოა“**

სევედის მორეგნისა და შესლისაჲ — სამკურნალოდ, როგორც ზემოთაც ვწერდით იხმარება სხვა წამლებთან ერთად „მოფარახისა მაჯუნი და ღაზებანგავისა წყალი“ (გვ. 52).

„და თუ ამით რომელ გვითქვამს არ დასწყნარდეს მიშქადარად ანუ მოფარაყისა მაჯუნი იხმაროს (გვ. 214).

**„ვეფხისტყაოსანი“**

რუსთაველი სწორედ „სევედის“ სამკურნალოდვე ხმარობს „მოფარახს“.

იმოქარგები სევედისა, მართ ვითა მუფარახისა (108,3).

რა შეატყო მოჯობება მან, სევედისა მუფარახმან (894,1)

ალსანიშნავია რომ „მუფარახისა მაჯუნი“ სხვა სამედიცინო ძეგლებსა და წყაროებში არაა ნახსენები.

**9. „წიგნი სააქიმოა“**

„კაცი მორკმით იყოს მანთა და ძნელთათვის ტკივილისაგან“.

(გვ. 18 და სხვაგან)

სნებისაგან მორკმით იყოს“ და ა. შ. ე. ი. ტკივილისაგან, სნეულებისაგან თავისუფალი იყოს.

**„ვეფხისტყაოსანი“**

მოსამართლე და მოწყალე, მორკმული განგებინი (32,3).

„მეფეა მორკმით მჯდომელი...“ (513,1) იხილეთ აგრეთვე სტროფები: 464, 313, 486, 537, 680, 676, 681, 694, 1221, 1474, 1478, 414, 1318, 293, 1562, 540.

10. შეადარეთ აგრეთვე რუსთაველის ის სტროფები. (362, 363, 366), სადაც აღწერილია „ხელის გახსნის“ (სისხლის გამოშვების) მომენტები, „წიგნი სააქიმოს“ ტექსტის იმ ადგილას, რომელიც დასათარებულია „ხელის გახსნისა ნიეთისაჲ“ (გვ. 33, 51, 75, 85) და დადებითი ემოციებისა და ესთეტიკურ საშუალებათა სამკურნალოდ გამოყენების შესახებ ვეფხისტყაოსნის სტროფები (815, 356, 357, 369, 367, 890-93), „წიგნი სააქიმოს“ იმ გვერდებს (31, 278), სადაც მოცემულია „მკურნალობა“ ცხენით სეირნობითა, ლხინითა, მუსიკითა და სიმღერებით“. ამკარად ჩანს, როგორც ტერმინოლოგიური, ისე შინაარსობრივი საოცარი დამთხვევა.

მეფემ ტარიელს სევედის გასაქარებლად, ნადირობისა და ბუნების წიაღში გასეირნების გარდა (სტრ. 367), ნადიმეც გაუმართა, სადაც სალხინო სიმღერები სრულდებოდა მომღერლებისა და დამკვრელების მიერ:

შინა დაესხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი;

მომღერალნი და მუტრიბნი იყენენ სულადებულნი (368).

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ, რომ ისეთი „ცბროს“ მკურნალობა, რომელიც „წყრომისაგან“ ან შინაგან შეიქმნება, ესთეტიკური საშუალებებით ხდება:

„კურნებაჲ მისი, იგი არს, რომელ ეგეთთა რასმე შეექცეოდეს რომელ გულსა გაამხიარულდეს ვითა ჰამოთა მუტრიბთა ხმაჲ, და ჰამოთა მოამბვეთაგან ჰამბავისა მოსმენაჲ, და კარგთა მეზღაპრეთაგან ზღაპრისა მოსმენაჲ და ლეინისა სუქმაჲ, და რამათაცა შეაკცევდეს კაცსა და გულსა და გაუქმადეს ღმირსა და გოუნდებოდეს და ელხინებოდეს“ 2.

აქ პირდაპირი დამთხვევაა როგორც აზრობრივ-შინაარსობრივი, ასევე ტერმინოლოგიურად; არა გვგონია; სიტყვა „მუტრიბნი“, რომელიც ოთხჯერ არის ვეფხისტყაოსანში ნახსენები, სხვა რომელიმე ქართულ წყაროში იყოს, ასეთსავე კონტექსტში მანც, ნახსენები.

**ასევე „წიგნი სააქიმოა-ში“ ნახსენებია სიტყვები:**

სარვა (კვიპაროზი) გვ. 55, 138, 139, 202, 135, 233 და შრ. სხვა.

სიქა, სიქაჲ, — სჯული, ღვინი, ძალა, ბეჭედი (გვ. 83)

სევედა — (გვ. 11, 13, 14, 52, 63 და სხვ.)

მახმური — მთვრალი (გვ. 69)

დასტაქარი — (გვ. 11 და სხვ.)

დაკოდლი — ტრავმული წყლული (გვ. 292 და სხვ.)

მაჯაში — (662,2)

იოტი — (836,3)

აყიყი — (1146,4)

რუბი — (1146,3)

ნაკრაი — (74,3, 70,4, 80,4).

დაკოდლი — 1221, 603, 1221, 453, 197, 997, 481, 1454, 76, 598, 1044, 1052.

**ვეფხისტყაოსანში:**

სარო — კვიპაროზი (296,2)

სიქა — (1551,2)

1 მუტრიბი — მუსიკოსი დამკვრელი და არა მომღერალი, როგორც ეს განმარტებულია „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ლექსიკონში.  
2 „წიგნი სააქიმოა, გვ. 278.  
3 „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის ლექსიკონში რუბი განმარტებულია, როგორც „მრგვალი სასმისი თასსავით“. აკად. გ. წერეთელი სწორედ „საქიმო წიგნზე“ დაყრდნობით იძლევა მის სწორ განმარტებას — იგი სიროფია, ხილის წვენი.

**მიხეილ უჩუაველია**  
რუსთაველი და გელათი



სედა — (352,2 405,1, 516,4, 667,4, 1127,4 და მრ. სხვ.)

მამური — (933,3, 1559,3).

დასტავარი — (598,1, 894,3 526,2).

მაჯასი — (გვ. 10, 37)

იოტა — (გვ. 48, 74, 117)

აიყიიაა — სარდონის ქვა, წითელი (გვ. 90, 104, 113, 213)

რუბი — სიროფი, ხილის წვენი (გვ. 178)

ნაკრავი — ტრავმული წყლული (გვ. 67, 114, 222, 292, და სხვ.)

მართალია, რიგი ზემოხსენებული სიტყვებისა შესაძლოა სხვა წყაროებშიც შეგვხვდეს, მაგრამ ისეთ ტერმინებთან კომპლექსში, რომელიც მხოლოდ, ვეფხისტყაოსანსა და გელათისეულ სახელმძღვანელოებში გვხვდება, სხვაგან იშვიათია.

„წიგნი სააქიმოა“ ძალიან ახლოს დგას აგრეთვე გელათის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან თავისი აკადემიური სტილით, სადაც უაღრესად მინიმუმამდეა დაყვანილი საეკლესიო-ლაიტურგიული ფრაზების ჩართვა ტექსტში. მიუხედავად საეკლესიო კლერიკალური ძალების რეკლამენტაციისა, განსაკუთრებული სიზუსტით, „გამოწვლილივით“ არის მოცემული ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხები (განსხვავებით დანარჩენი სამკურნალო ძეგლებისაგან).

„წიგნი სააქიმოა“-ს მთელი იდეოლოგიური მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამოხატულებას ვხედავთ თუნდაც მის ერთ სტრიქონში:

„თუ ცა სი ცოცხლე და სიკუდილი ღმერთისა ბრძანებითა არს, მაგრა საქმეცა ჩანს და ნივთი“. აქ ორი საწინააღმდეგო მოსაზრების დამაკავშირებელი სიტყვა „მაგრა“ ისე საუკეთესოდ ვერს, რომ ამ წინადადების პირველ ნახევარს რაღაც იძულებით, კომპრომისულ მოსაზრებად ხდის და „საქმისა“ და „ნივთის“ წინ გამოსაჩენად ხაზს უსვამს. საინტერესოა კიდევ მეორე ადგილი: „ყოველი არსება და საკვირელება, და მოვლინება დამბადებისა ღმერთისაგან არს! და ირწმუნებს ღმერთსა, და მორწმუნეთა იციან, რომელ ოთხთა ბუნებათა დამბადებელი და ეტლისა მბრუნებელი ღმერთი არს, და იცოდე რომელიც ამას იტყვის, თუ საქმე ბუნებისაგან არ იქნების, ტყუის და ბედათობს“. ავტორი აქ დაპირისპირებულია „მორწმუნეებთან“, ღმერთის ყოვლისშემძლეობის რწმენას მორწმუნეებს მიაწერს და მას, ვინც საქმის „ბუნებითაგან“ წარმომავლობას უარყოფს, „ტყუილის მოქმელისა“ და „ბედათობის“ ეპითეტივს ამკობს. ყოველ შემთხვევაში აქ მწკვედ, მკვეთარ ხაზგასმულია ორი საწინააღმდეგო იდეოლოგიური მიმდინარეობის არსებობა. ამ მხრივაც

„წიგნი სააქიმოა“ და მისი ავტორი გელათის კულტურული ცენტრის სკოლის წარმომადგენელად უნდა აღიქვას. სხვა მოტივებიც გვანინებენ რუსთაველის გელათთან ურთიერთობას.

როგორც უკვე ვთქვით, რუსთაველის ეპოქაში გელათი აღიარებულია „ახალ რომად“, „ელადად“ თავისი მეცნიერულ-ლიტერატურული პროდუქციითა და რეზონანსით, მაგრამ სადა არის ეს პროდუქცია, ვინ არიან ის მწერლები, მეცნიერები, რომელთაც გელათი გახადეს „რომად“ „ელადად“. შეუძლებელია ი. შავთელის მხოლოდ ი. პეტრიწი და მისი ადრინდელი მეცნიერული მემკვიდრეობა ჰქონდეს მხედველობაში. ი. შავთელი მის თანამედროვე გელათზე ამბობს, თამარის დროინდელ გელათზე და არა ადრინდელ, საუკუნეთა ადრინდელ აღმავლურ შენებლისა და ი. პეტრიწის დროინდელ გელათზე.

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს რუსთაველის უკანასკნელი სტროფი იძლევა:

ამირან დაჩეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა,  
აბღულ მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს  
რომელსა.

დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა  
დაუშრომელსა,

ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-  
შეუშრობელსა (1669).

მართლაც, მე-12 საუკუნეში ყველაზე ძვირფასი, რაც შეიქმნა, რომელსაც შეეძლო გელათი „რომად“ ან „ათინად“ გავხადა, ეს თვით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“; მოვე ზონელის „ამირანდაჩეჯანისა“, ი. შავთელის „აბღულ მე-სია“, სარგის თმოგველის „დილარგეთისა“ იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსთაველი, მოვე ზონელი, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი გელათის სკოლის წარმომადგენლები არიან, გელათის აკადემიის მოწაფეები, ერთი პლადარს, ერთი თაობის ხალხი და ამიტომაც არიან ისინი ერთად ნახსენები რუსთაველის მიერ, ამიტომაც უძღვნა იოანე შავთელმა თავის სკოლას, თავის „რომას“ და „ელადას“ დიდების ოდა.

აყად. ივ. ბერიტაშვილი წერს ი. შავთელის შესახებ: „შავთელის შეხედულება ადამიანის ბუნებაზე უნდა ეყარებოდეს პროკლე დიადოხოსის შრომას „კაეშირნი ღვთისმეტყველებითი“ და ი. პეტრიწის კომენტარიუმს“<sup>2</sup>. და მოკცავს მაგალითი შავთელის „აბღულ მესიადან“:

„ატრიკულისა პატრიკულისა ხედვის უფალ ხარ სიწლით სიხშისა უთქვამს ებელთა მძიებელთა შენთვის პროკლეს და დიადოხოსა“.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული ფრაგმენტის ინტერპრეტაცია იძლევა ი. პეტრიწთან იდენტურ მსოფლმხედველობას, იგი პირდაპირ ლექ-

<sup>2</sup> ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში. თბილისი, 1957. გვ. 213.

<sup>1</sup> ტექსტში „არარს“, რაც ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია.



სიკური დამხვევაც არის პეტრიწის „ვამმარ-ტეპასთან“:

„რამეთუ კეთილობაა შერთაგან მიხეხებულ არსო, ვინაჲ ესთა თან შეგმეობს ჩუენსა მას ორ ფეფო ატტიკული ესე, და ვითოს და აფეფსა“ (ხაზგასმა პეტრიწისა — მ. შ). აღსანიშნავია, რომ შავთელის ზემოხსენებულ სტრატეგიებიც და ვითოს აღმაშენებელი ან დავეთ სოსლანი) არის მიმართული.

ჩახრუხაძის ფილოსოფიური შეხედულება აღამიანის ბუნებაზე რამდენადაც იგი გამოფიქვნიება მის პოეტურ ნაწარმოებში, „თამარაინაში“ — აგრეთვე პირდაპირ გამომდინარეობს ქართულ ნეოპლატონიზმიდან, პირველ ყოვლისა იოანე პეტრიწის შრომებიდან — წიგნს აკად. ივ. ბერიტაშვილი. ამგვარად, შ. რუსთაველის თანამედროვე და თანამოკალმეთა, მისი პლავდის წარმომადგენელთა შემოქმედებაშიც იგრძნობა გელათის აკადემიის სასწავლო წიგნებისა და მასწავლებელთა გავლენა.

შ. რუსთაველი, ი. შავთელი, ს. თმოგველი, ჩახრუხაძე სამხრეთ საქართველოდან, მესხეთიდან არიან. მესხეთისა და ტაო-კლარჯეთის ახალგაზრდობის ქუთაის-გელათთან დაკავშირება, სრულიად ბუნებრივია, რადგან მესხეთისა და ქუთაისის შორის ჯერ კიდევ X საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი უშუალო პოლიტიკურ-ეკონომიურსა და კულტურულ კავშირს. ტაო-კლარჯეთის მფლობელი და მთავარი ხდება გეორგიანებული საქართველოს მეფედ, სატახტო ქალაქად — ქუთაისი. სამეფო სახლი ქუთაისშია; რასაკვირველია, ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ტაო-კლარჯეთის მთელი მოწინავე ახალგაზრდობა სწავლას, სამეფო კარზე აღზევებას თუ საეკლესიო სამეცნიერო მოღვაწეობას მოწყურებულნი ქუთაისში იპოვნიდნენ თავიანთ ასპარეზს. სამეფო კარის ოჯახის წევრებისა თუ მათთან დაახლოებული დიდებულთათვისაც ქუთაისი იქნებოდა სასურველი საწყაფელი. ეს ძაფები და გზები ტაო-კლარჯეთსა და ქუთაისის შორის თითქმის საუკუნეზე მეტი გაგრძელდა, ვინც 1122 წელს ბ. აღმაშენებელმა თბილისი არ წაართვა არაბებს და იქ არ გადმოიტანა სამეფო ტახტი. მიუხედავად ამისა, თამარისა და რუსთაველის ეპოქაშიც არაფერს შეუშლია ხელი, რომ ტაო-კლარჯეთისა და ქუთაის-გელათს შორის უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული ურთიერთობა დარღვეულიყო.

ამგვარად, შოთა რუსთაველისათვის თუნდაც, როგორც მესხეთის მკვიდრისათვის (შავთელთან ჩახრუხაძესა და თმოგველთან ერთად) გელათი სრულიად ბუნებრივი, ყველაზე მახლობელი და მესხეთთან ტრადიციულად დაკავშირებული კერა იყო. სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი მოკლენაა აგრეთ-

ვე ის, რომ „მესხ“-გელათელ მოღვაწეებს შორის, მათ პლავდაში ერთ-ერთი ხონელი — გელათის მიდამოების მკვიდრი, „დასავლეთელი ქართველი“, რაც იმ დროისათვის, შეიძლება ითქვას. იშვიათი მოკლენა იყო მთელი რიგი სხვა და სხვა ისტორიულ მიზეზთა გამო.

შეუძლებელია იყალთოს ვარიანტის უარყოფაც, ის დაინებელი მითითებები, რომელიც მესხურ გადმოცემებშია იმის შესახებ, რომ შოთა იყალთოში სწავლობდა, შეიძლება არ იყოს სინამდვილეს მოკლებული, თუმცა ვერც ერთი ამ გადმოცემის დათარიღება ვერ ხერხდება; საკითხს ჩაუფიქრდეთ ცხოვრებისეულად, პრაქტიკულად. შესაძლებელია და ბუნებრივია, რომ აღამიანს რამოდენიმე ადგილას მივლის სწავლის, განათლების სხვა და სხვა საფეხურები! ამიტომ შ. რუსთაველის მიმართაც სრულიად ბუნებრივია, რომ განათლების გარკვეული საფეხური მას იყალთოში ჰქონდეს მიღებული.

ამ მოსაზრებათა დასადასტურებლად ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ენას, მის ხალხურობას, დიალექტების სიმრავლეს, იმერზემებისა და ზანიზემების (მისი, იგი, ისი, აქამდის, იქამდის, აქანა, აქანამდის, ვინცაღა, რაცაღა, მოლორება და მრ. სხვ.) სიუხვეს „ვეფხისტყაოსანში“.

„თუ ნაცვალსახელებს, ზმნისართებს და მორფოლოგიურ ფაქტებს თვალს გადავაგვლებთ, ზოგადი შთაბეჭდილება ასეთი იქნება: ვეფხისტყაოსანში მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (ქართულ-კახური, პირველყოვლისა) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-რაჭა) დიალექტური სინამდვილესათვის ნიშანდობლივი მონაცემები. მასთან პირველი შეხედვით, სწორედ ეს უქანსკენლებია ცხადად რომ ჰქარბობს“.

მაგრამ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი თუ პირობები იმისა, რამაც გამოიწვია რუსთაველის შემოქმედებაში აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული მეტყველების ასეთი შეზავება? პროფ. შ. მიქიტური ამ საკითხთანააღმი მიმართული სპეციალურ კვლევაში (გახ. „კომუნისტნი“

1 ვინა ის 80 პატარა ბავშვი, რომელიც XI ს-ში გ. მთაწმინდელმა ათონის ივერთა მონასტერში წაიყვანა, ყველამ საბოლოოდ იქ დაასრულა სწავლა? მოსალოდნელია, რომ სწავლის გარკვეული საფეხურის დასრულების შემდეგ მათ სწავლა გაუგრძელებიათ, გელათში, იყალთოში ან ბიზანტიის სხვა რომელიმე ქალაქშიც.

2 აკად. არნ. ჩიქობავა, ენიმკის მოამბე 111-1938 წ. გვ. 212-227.

**მიხეილ ზნეპლია**  
რუსთაველი და გელათი



№ 189, 20/8-66) მიღის იმ დასკვნამდის, რომ ეს გაპრობებულია იმით, რომ რუსთაველი მესხეთიდან არის და მესხური მეტყველება კი ის მკვიდრი ნოყიერი ნიადაგია რუსთაველის ენი-სათვის, „რომელიც გაყვნილი და ნასაზრ-დოება ქართული ენის აღმოსავლური და და-სავლური დიალექტური შენაკადებით“. მესხურ მეტყველებაში ქართლურ დიალექტურ შენაკადების მიზეზებს შორის დამაჯერებელია ის მო-საზრება, რომ მურვან-ყრუს შემოსევების შემ-დეგ, მე-8-9 საუკუნეებში მესხეთში ხდება ქარ-თლიდან მასობრივი გადმოსახლება და სწორედ მათი მონაწილეობითა და ჰეგემონობით ხდება ამ კუთხის კულტურულ-ეკონომიური აღმავლო-ბა, რამაც შემდეგში უდრდესი როლი შეასრულა საერთო ქართულ ეროვნული სახელმწიფოსა და კულტურის შექმნაში. მაგრამ მესხეთში დასა-ეულურ-ქართლური დიალექტური ელემენტების შეჭრის ერთ-ერთი გზად ავტორს სამართლიანად მიაჩნია ჭოროხის ხეობა, იმერსაბურთე მეტყვე-ლება. ვფიქრობთ, შეუძლებელია აგრეთვე და-ვივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება.

როგორც ზეით ვთქვით, X საუკუნის 80-იანი წლებიდან მესხეთიდან წასული, ამ კუთხის მფლობელი მეფის სამეფო რეზიდენციად ქუთაისი ხდება და მესხეთ-იმერეთის ასეთ ურ-თიერთობას, რომელიც თითქმის 150 წელიწადი გაგრძელდა, შეუძლებელია მესხური მეტ-ყველებისათვის ვაღწენა არ მოეხდინა. მაგრამ საქმე ის არის, რომ საერთოდ მესხურ მეტყვე-ლებაში კი არ იგრძნობა იმდენად იმერისებები, არც სამხრეთ საქართველოს სხვა მოღვაწეთა შემოქმედებაში, როგორც ეს რუსთაველის შემოქმედებაში შეიმჩნევა. „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებით ხაზგასმულია იგი და აკად. ა. ჩიქობავას გამოთქმით „ცხადადა ჭარბობენ“ „პირველი შეხედვით“ აღმოსავლეთ საქართვე-ლოს ბარის კილოებს.

ეს მოვლენაც ხომ არ გამოდგება იმის მო-ტივად, რომ რუსთაველი დასავლეთ საქარ-თველში — გელათში ისწავლობდა და მის შემოქმედებაში დასავლურ რ-ქართული დიალექტები შენა-კადი გამოწვეულია იმით, რომ მას დასავლეთ საქართველოს მკვიდრ-თა შორის უხდებოდა ამ პერიოდ-ში ცხოვრება. ვფიქრობთ, ზემოხსენებულ მოტივებთან ერთად მთელ რიგ მტკიცება-თა კომპლექსში, ამ მოსაზრებასაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წამოყენებულ ბრობლემების საპირველობს.

ამგარდა, ყოველივე ზემოხსენებულის შემ-დეგ შეიძლება ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ენის, მისი ლექსიკურ-

ფრაზეოლოგიური შედგენილობის, სტრუქტურული, რიტორიკული, სემანტიკული და ტერმი-ნოლოგიის თანადროულ ქართულ სამყაროსთან მკვიდრო ურთიერთობის გამო რუსთაველს უმაღლესი განათლება უდავოდ საქართველოში აქვს მიღებული.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტუალური შესწავ-ლა სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების მხრივ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ შ. რუს-თაველს სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღე-ბული, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან იმ-დროინდელი უმაღლესი განათლების სისტემაში შეიძლება სავალდებულო საგანთა შორის მედიცი-ნაც ისწავლებოდა.

3. პროვინციული დადოხოსის „კავშირი“, ნემესი-ოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ იოანე პეტრიწის თარგმანებით, პეტრიწის ორიგინა-ლური — „განმარტებაა“, ხოვა ყოფილის „წიგ-ნი სააქიმოა“ სასწავლო-სახელმძღვანელოებს წარმოადგენდნენ გელათის აკადემიაში, სადაც მედიცინა ისწავლებოდა სხვა დანარჩენ, ექვს ძირითად საგანთან ერთად.

4. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან მთელი რიგი ადგილების შედარებამ როგორც მსოფლმხედვე-ლობრივ-შინაარსობრივი, ისე ლექსიკურ-ფრა-ზეოლოგიური თვალსაზრისით იმ დასკვნამდე მივყავანა, რომ შ. რუსთაველს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სხენებული სახელმძ-ღვანელოების მეშვეობით.

5. რადგან ეს სახელმძღვანელოები გელათის აკადემიის სახელმძღვანელოებად მიგვანჩნია, ვფიქრობთ, რომ შ. რუსთაველს (ი. შავთელთან, ჩახრუბასთან, ს. თმოგველსა და მისე ხო-ნელთან ერთად) უმაღლესი განათლება გელა-თის აკადემიაში აქვს მიღებული. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლამაზაობენ აგრეთვე მთელი რიგი სხვა მოტივები: ისტორიული და კულ-ტურულ-პოლიტიკური ვითარება იმდროინდე-ლი საქართველოსი. (მესხეთ-იმერეთის განსა-კუთრებული პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები, რაც ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადებამ გამოიწვია, იმერისებში „ვეფხის-ტყაოსანში“ და სხვ.).

6. შეუძლებელია იყალთოს გამორიცხვაც, შესაძლოა მას განათლების გარკვეული საფე-ხური იყალთოში მიეღოს, მაგრამ იმდროინ-დელი „უმაღლესი განათლება“ „რომლითაც რუსთაველი საბოლოოდ ჩამოყალიბდა გარკვე-ული მსოფლმხედველობის პიროვნებად, რო-მელმაც შეაიარაღა აზროვნებისა და სიტყვიერ-ენობრივი მასალისა და სტილის თავისებურებე-ბით, რომელიც შემდგენს ასახვას პპოვა მის გე-ნიალურ შემოქმედებაში, გელათში უნდა ჰქონ-დეს მიღებული.



# ჩინი

## ქვეყნებში

პახანგ ნათაძე

### ი. ტურგენევის „ლექსი პროზით“

მიმდინარე წელს შესრულდა დიდი რუსი მწერლის ი. ს. ტურგენევის დაბადების 150 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომები მოსკოვსა და ქ. ორიოლში, სადაც მწერალი დაიბადა. ეს თარიღი აღინიშნა მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ადამიანები მადლიერების გრძნობით იფიქრებენ მწერალს, რომელიც თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა პროგრესული აზროვნების განვითარებას, იბრძოდა ბატონ-ყმური უღლისაგან რუსი ხალხის გათავისუფლებისათვის, ადამიანის ზნეობრივი სიწმინდისათვის. მისი ნაწარმოებები დღესაც აღელვებენ ახალ თაობათა აზრებსა და გრძნობებს თავისი სიმართლით, ზნეობრივ იდეალებს კეთილშობილებით, მხატვრული ფორმის სილამაზითა და სრულყოფილებით.

1883 წლის ჟურნალ „ივერის“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ტურგენევის შვიდი „ლექსი პროზით“. 1899 წელს გაზეთ „კვალისა“ და ჟურნ. „ჭეცილის“ სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნდა კიდევ რვა „ლექსი პროზით“.

„ივერიაში“ დაბეჭდილი შვიდი „ლექსი პროზით“ ხელმოწერულია, მაგრამ მათი თარგმანი ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის. ქართველ საზოგადოებაში „ლექსებს პროზით“ ვარკვეული ინტერესი გამოუწვევია, თუმცა ქართულ-მავე კრიტიკამ ამ ნაწარმოებებს სასტიკი განაჩენი გამოუტანა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დიდ ქართველ მოაზროვნესა და პოეტს ი. ჭავჭავაძეს საკიროდ დაუნახავს ამ ლიტერატურული მინიატურების თარგმნი და გამოქვეყნება. ნათარგმნი შვიდივე „ლექსი პროზით“ ჭავჭავაძეს შეუტანია თავის სიცოცხლეში გამოცემულ კრებულში „თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა“ (ტ. III, თბ., 1892 წ.). მოითაღია, მას წერილობით არ გამოუთქვამს შეხედულება ამ ნაწარმოებებზე, მაგრამ თვით თარგმნის ფაქტი მივითითებს, რომ იგი მოხიბლული იყო ამ მართლა შესანიშნავი ნაწარმოებებით.

ი. ტურგენევის შემოქმედებაში „ლექსებს

პროზით“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ეს ნაწარმოებები მწერალმა სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე დაწერა (1878-1883 წ. წ.). ამ დროს იგი საფრანგეთში ცხოვრობდა, მძიმე სენით იყო დაავადებული, დიდ ნაწარმოებებს აღარ წერდა და სამშობლოს ბედ-იღბალსა და საკუთარ წარსულ ცხოვრებაზე ფიქრებით იყო გართული, იგი მოწყვეტილი იყო მშობლიურ ნიადაგსა და ნაცნობ-მეგობრებს, აღარ ჰქონდა საშუალება იმდენი ეწერა, როგორც უწინ. ე. ლეოვთან 1879 წ. მიწერილ ბარათში ტურგენევი წერდა, მე რომ რუსეთში ვცხოვრობდე, ალბათ კიდევ ბევრს დავწერდი; რა ვაწყობა, მოხეტედი და აღარც არავითარი ინტერესი მაქვს. ამა როგორ ვწერო, როდესაც მხოლოდ მოგონებებით ვიკვებები, ძველს ვიხსენებ, აქედან კი არაფერი ცოცხალი არ შეიძლება გამოვიდესო.

ამ წერილში დიდი მწერალი წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ამბობს, რომ არავითარი ინტერესს არ ვგრძნობო. პირიქით, აქ ის ყურადღებას იჩენს ისტორიული რომანისა და მოთხრობის მიმართ, „ფროლ სკობევისა“ და მღვდელმთავარ აბაკუმისადმი, ინტერესით აღნიშნავს, რომ „ჩვენი ძველი პროვინცია მეფე ალექსი მიხეილის ძის შემდეგ არ შეცვლი-



ლა“-ო. არა, სიცოცხლის უქანსკენელ წლებში რუსეთის ცხოვრებასადაც ინტერესი მას არ დაუკარგავს, და ეს მანაც კარგად იცის („მე რომ რუსეთში მეცხოვრა ალბათ კიდევ ბევრ რამეს დაწვრილი“), მაგრამ დიდ ნაწარმოებებს იგი მართლაც ვეღარ დაწერდა, რადგან დიდი ხანია სამშობლოში აღარ ყოფილა და რამდენადმე მოსწყდა მას; ამიტომ იძულებულია დაქმნაყოფილდეს მოგონებებით და მცირე ფორმის ქანს — „ლექსებს პროზით“ მოჰკიდოს ხელი.

მეორე მხრივ, ასეთი ხასიათის ნაწარმოებების წერას ხელი შეუწყო მწერლის სუბიექტურმა განწყობილებამ: ტურგენევი მწაჩედ განიცდიდა რუსი საზოგადოების დამოკიდებულებას ცვალებადობას მისდამი. ტურგენევის მანათი მკითხველისა და კრიტიკის მტრულმა განწყობილებამ ჯერ კიდევ 60-იან წლებში იჩინა თავი და განსაკუთრებულად გამწვავდა „ყამირის“ გამოქვეყნების შემდეგ (1877), როდესაც მწერალს თავს ესხმოდა როგორც საზოგადოების რევოლუციურად განწყობილი ნაწილი, ისე კონსერვატორები. ამასთან ერთად, ამავე წლებში მას ბევრი წმინდა ინტიმური ხასიათის უსიამოვნება შეხვდა. ყველაფერი ეს მწერალს მიძიდებ განიცადა და თავისი სულიერი განწყობილება „ლექსებში პროზით“ გამოხატა.

„ლექსები პროზით“ დაიბეჭდა (ნაწილი) 1882 წ. ჟურნალში «Вестник Европы». (№ 12). თვითონ ტურგენევი ამ ნაწარმოებებს უწოდებდა Senilia, ანუ ბერიაკულს, რითაც მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მათ მოგონებათა თავისებური ხასიათი აქვთ. ჟურნალის რედაქცია წერდა, რომ ტურგენევი თანხმობა ვანაცხადა იმ ნაუცბათევი, გაკეროთ გაკეთებულ შენიშვნებს, აზრების, სახებების გამოქვეყნებაზე, რომლებსაც ქაღალზე ჩაინიშნებად უქანსკენელი ხელი წლის მანძილზე.

ტურგენევი სულ ასამდე „ლექსი პროზით“ დაუწერია, გამოქვეყნებულია ოთხმოცამდე, მაგრამ ეს ის ნაწარმოებებია, რომლებსაც თვითონ ავტორი პოეტურად თვლიდა და ამ ქანს მიაკუთვნიებდა. სინამდვილეში მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ოღონდ მათი ერთი დიდი ნაწილი არასოდეს არ მიუკუთვნებიათ ტურგენევის მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვისათვის. ნ. ბროდსკი, რომელმაც კარგად შეამჩნია ტურგენევის მრავალი კერძო წერილის პოეტური ღრუსება, წერდა, რომ მისი წერილები ნაწილი არის თავისებური „ლექსები პროზით“ და აზრის სიღრმითა და სილამაზით ტურგენევის პოეტური შემოქმედების საუკეთესო ფურცლებს არ ჩამოუვარდებათ.

ასეთივე პოეტურია ზოგიერთი მისი კრიტიკული წერილი და საჯარო გამოსვლა. ასე რომ, ტურგენევის შემოქმედების მიმართ ცნება „მხატვრული ნაწარმოები“ ვერ ეტყება ამ ცნების

ჩვეულებრივად მიღებულ განმარტების ჩოგბში, იგი გაცილებით ფართოა.

ტურგენევის „ლექსებს პროზით“ ნ. ბროდსკი ახასიათებს, როგორც მხატვრულ მინიატურებს, რომლებიც დიდი მხატვრის, მოქალაქე-მოაზროვნის, დაკვირვებელი ფსიქოლოგის პოლიტიკური, ფილოსოფიური, ინტიმური თემატიკით არის გაკლენილი, ე. ი. ამ მინიატურებში ტურგენევის ფიქრები იგივე საკითხების გარშემო ტრიალებენ, რომლებიც მას უწინაც აინტერესებდა. ასე რომ, „ლექსები პროზით“ მთელი მისი შემოქმედების ორგანული და ბუნებრივი გაგრძელებაა; ამ ნაწარმოებებში ტურგენევის მოსფლმხედველობა ახალი არ არის, არც მთელმდენი. აქ ჩვენ ვცნობთ „მონადირის ჩანაწერებს“, „ახნაურთა ბუღისა“ და სხვა რომანების ავტორის მთელი თავისი წინააღმდეგობებით.



ტურგენევის ნაწარმოებებში სიცოცხლითა და სილამაზით სავსე რუსეთის ბუნების განუმეორებელი სურათებია მოცემული; პეიზაჟი მისი შემოქმედების აუცილებელი ელემენტია. იგი ჩანს მწერლის ლექსებში, რომანებში, მოთხრობებში, „პარამა“-დან „ლექსებამდე პროზით“, ე. ი. ყველგან, პირველი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან სიცოცხლის უქანსკენელი წლების ნაწარმოებებამდე, ეს სიყვარული მშობლიური ბუნებისადმი ხორდება და ღრმავდება ღრთთა ვითარებაში, ხოლო განსაკუთრებით ძლიერდება რუსეთიდან მწერლის გადახვეწასთან დაკავშირებით.

ტურგენევი ფიქრობს სიკვდილზე არა როგორც თითოეული ცოცხალი არსებისათვის ბუნებრივ და აუცილებელ დაბოლოებაზე, მასთან დამე თავისთავად არაფერს არაჩვეულებრივს რომ არ შეიცავს, არაჰედ როგორც „საყოველთაო სიკვდილზე“, სიკვდილზე საზოგადოდ, რომელიც მთელ დედამიწას მოსაპობს და მოკლავს ყველაფერს ცოცხალს.

ასეთი განწყობილება გამოხატული ტურგენევის „მუსაიდში“, რომელიც ქართულ ენაზე ილია ჭავჭავაძემ 1883 წელს თარგმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმავე 1883 წელს ტურგენევის სხვა ნაწარმოებებთან ერთად ილიას უთარგმნია ლექსი პროზით „ძალი“, იგი ისე, როგორც „მუსაიდში“, განყენებულ-ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია. ერთი—ადამიანის უესუსტრობისა და ქვეყნის დაღუპვის მოტივზეა აგებული, მეორე—ადამიანსა და ცხოველს შორის სულიერი ნათესაობის მოტივზე, ასეთი გრძნობები ილიას ობტიმისტური და ცხოველყოფილი შემოქმედებისათვის უცხოა და მეტიმეტად ძნელი ასახსნელია „მუსაიდის“ კავშირი ილიას ძირითად პოეტურ ტენდენციასთან. ერთადერთი, რაც ამ ფაქტის

ასახსნელად შეიძლება დაგვესახელება, ჩვენი ფიქრით, იქნებოდა შემდეგი: „მუსაიდში“ ტურგენევი უარესად მკაფიოდ ხატავს ყინულებითა და სუსხით შებოქვილი, მრისხანე ბუნების სურათებს, გოლიათ მთებს, რომელთა ათასი წელიწადი ერთ წუთს უდრის და რომელთა სიმაღლიდან „იქ, ქვევით... მოჩანან წყალნი ლურჯად, ტყეები შავად, თავის-ფრად უშველებელი გროვა ქვიშა“ და „ვიკუთნა“ — ადამიანები... „ორი უხარმზარი, ორი გოლიათი მთა ცის კალთებზე ორივე მხრივ ამართული: ერთი იუნგფრაუ და მეორე ფინსტერნარგორნი“. ისინი საუბრობენ და აკვირდებიან, არის თუ არა კიდევ სიცოცხლე დედამიწაზე; ვადის ათასეული წლები — ერთი წუთი, თანდათან იწმინდება დედამიწა ადამიანისაგან, ისპობა სიცოცხლე დედამიწაზე. „ჰო, აბა ესლაა კარგად, — მიუგო ფინსტერნარგორნი:— ყველგან სისუფთვეა, ყველგან სულ გასპეტაკებულია, საათაც კი მოიხდა... ყველგან ჩვენი თოვლია: ერთნაირი, თანაბარი, თოვლი და ყინული. ყოველისფერი გაყინულია. ესლა კარგია, ყველა დაღმდა, ყველამ მოისვენა...

...სძინავთ უშველებელს მთებს; სძინავს ფუსტულს, მოწმენდილს ცას, სამუდამოდ დაღმეულთა დედამიწის ზემოდ წამოდგულსა“.

ამ ნაწარმოების საკუთარი თარგმანი ილ. ჭავჭავაძემ ჟურნალ „ივერიში“ 1883 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა. ამავე წლის თებერვალში და ამავე ჟურნალში ილიამ თავისი „განდევილი“ დაბეჭდა, რომელიც იდენტურ „მუსაიდის“ მიმართ სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგას. არ არის საჭირო ყველასათვის კარგადცნობილი დებულების მოტივება იმის შესახებ, რომ „განდევლის“ მოცემულია სიცოცხლის, მოძრაობის, სიყვარულის გრძნობების, სინათლის, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განუშორებლობის ჰიმნი, ე. ი. ის, რასაც გმობს „მუსაიდის“ ავტორი და რაც ილიამ თავის სხვა ნაწარმოებებშიც გაიშეორა და გააღრმავა. მაშ, „მუსაიდის“ იდეური შინაარსით ილია ვერ მოიხიბლებოდა. მაგრამ „მუსაიდში“ დახატული ბუნების სურათები (განსაკუთრებით ბუნების მრისხანე) იმდენად ახლან „განდევლის“ მოცემულ ბუნების სურათებთან, რომ ტურგენევის ნაწარმოების წყობისაგან ილიამ მასში საკუთარი, უკვე განხორციელებული პოეტური ჩანაფიქრის შვავსება დაინახა, „მუსაიდის“ აღწერილობითი მხარე მოიწონა და თარგმნა კიდევაც ეს ნაწარმოები.

ილია ჭავჭავაძე ტურგენევის კიდევ ერთი ნაწარმოებით დაინტერესებულა, რომელშიც აგრეთვე ადამიანის სიკვდილის თემაა გახსნილი; ეს არის — „ბებერი დედაკაცი“; იგი ილიას 1883 წელს უთარგმნა და დაუბეჭდია („ივერია“, 1883 წ. № 12). აქ უკვე ლაპარაკია არა საყო-

ველთაო სიკვდილზე, არამედ სიკვდილზე, რა გარც ადამიანის ცხოვრებაში ჩვეულებრივსა და რეალურ ფაქტზე, რომელსაც მართალია კაცი ვერ გაეჭყევა, მაგრამ შეიძლება მისი მოახლოება რამდენიმე ხნით გადაიწიოს, იქნებ, მოტყუებაც შესაძლებელი იყოს.

საინტერესოა, რომ განწყობილებით ყველაზე უფრო მძიმე „ლექსები პროზით“ („მუსაიდის“ და სხვ) დაწერილია ადრე, ვიდრე ის ნაწარმოებები, რომლებშიც სიხარული და სიცოცხლისადმი სწრაფვაა გამოხატული, ე. ი. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ტურგენევი გათავისუფლდა დედამიწის დაღუპვის შესახებ შემთხვევით წამოშლილი მძიმე ფიქრებისაგან და კვლავ მოიბოვა სიცოცხლის რწმენა. თუმცა, თუ ვიმაჯღოვებ პროზით დაწერილი ლექსების მიხედვით, მას ეს რწმენა ნამდვილად და საბოლოოდ არასდროს არ დაუკარგავს, სასოწარკვეთილებისა და გამოუვალობის გრძნობა მას არასდროს არ ჰქონია, როგორც ძირითადი და წამყვანი. იგი დროებითი და შემთხვევითი იყო. რადგან მთლიანად მის შემოქმედებაში სიცოცხლის ცხოველმყოფელი სუნთქვა ისმის და, როცა დედა იგი სიცოცხლის სიმწყნარებზე ლაპარაკობს, სწორედ აქ შედარდება მწერლის ნამდვილი გრძნობები, ცხოვრებაში შეყვარებული მონადირე-ნატურალისტის გრძნობები, „უაღრესად ჭკვიანი მამაკაცის“ გრძნობები.

რა უფრო, რომ როდესაც იგი ტყეება ცხოვრებით, გრძნობს ბუნების სუნთქვას და მათან უშუალო კავშირი ახარებს, წამოიხსნება სხვის ზეგავლენით ხანდახან კარგავს თავის შეფარებას, გადაუხვევს იმ ხაზს და, მაშინ, თავისი ჩვეულებრივი ფსიქიური კალაპოტიდან ამოვარდნილი, სიცოცხლის არარობაზე ფიქრობს. ეს ჯერ კიდევ ტურგენევის პენსიონში არ არის, ეს მოტივი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი და წამყვანი ტენდენცია არ არის. ძირითადი ტენდენცია გამოცხატულია ისეთ „ლექსებში პროზით“, როგორიცაა „ბელურა“, „ჩვენ კიდევ ვიბრძობთ“, „უა... უა...“ და სხვა მრავალში, რომლებმაც ასახეს მწერლის ძირითადი განწყობილება. აქ კპოვეს მხატვრულ გაფორმებას ბელისკის რეალისტური ესთეტიკიდან გამომდინარე ტურგენევის ფორმულა, რომ „სიცოცხლე საერთოდ ყოველგვარი ხელოვნების მარადიული წყაროა“.

ბუნების დიდი მესაიდუმლო ტურგენევი აღტაცებაში მოდის, როდესაც ხედავს, რომ რომელიმე თავისთავად უსუსური ფრთოსანი თავისი ბარტყებისა და საკუთარი სიცოცხლის დაცვის დრის ძლიერი ხდება. „რა უმნიშვნელო და პატარა რამეს შეუძლია ხანდახან მთლიანად გარდაქმნას ადამიანი!“ — წამოიხახხებს

**ზაზზანა ნათაძე**  
 ი. ტურგენევის „ლესაბი პროზით“



იგი ლექსში პროზით „ჩვენ კიდევ ვიბრძობ-  
ლებთ“.

სიყვარულის ძალა შესანიშნავად აქვს ტურ-  
გენევის გამოხატული თავის „ბელურაში“ და  
როდესაც იგი ილია ჭავჭავაძემ ქართულ ენაზე  
თარგმნა და „ივერიამი“ დაბეჭდა, უმძველად  
მხედველობაში ჰქონდა არა მარტო მისი მომ-  
ხიბველად მხატვრული ფორმა, არამედ უმ-  
თავრესად მისი იდეა.

მონადირის ძალი ხიდან ჩამოვარდნილ ბე-  
ლურას ბარტყს ეცა, დედა-ბელურა ზევიდან  
გაღმოქანდა და ძაღლის ცხვირწინ დაეცა, „ეცა  
გამოსასხნელად და წინ აეფარა თავის შვილსა..  
ძალა ნებაზედ უფრო ღონიერმა, გაღმოქანა  
იგი ვიღარ ხილამა მე მოწინააღმდეგეობით  
თავყანის-  
ცემა ვიღარძენ იმ პაწია და თავ-განწირულ ჩი-  
ტის წინაშე, წინაშე მისის სიყვარულის აღფ-  
რთოვანების! სიყვარული, ვიფიქრე მე, სიკე-  
დილასა და სიკვილის შიშსაც სძლევს მარტო  
მითი, მარტო სიყვარული მძლეობს და მოძ-  
რაობს ცხოვრება“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქარ-  
თულ ენაზე გადთარგმნილი ყველა „ლექსები  
პროზით“ კონკრეტულ-რეალურ ცხოვრებასთან  
დაკავშირებულ თემებს შეიცავს, მხოლოდ სამა-  
ნაწარმოებია განყენებულ-ფილოსოფიურ თე-  
მაზე („ძალი“, „მუსაიფი“, „იესო ქრისტე“). ეს  
ფაქტი თავისთავად ამტკიცებს ქართველი  
პროზარეალის საზოგადოების რეალისტურ ინ-  
ტერესებს, ხოლო მეორე მხრივ ამტკიცებს, თუ  
რა ძლიერად სცემდა ტურგენევის უკანასკნელი  
პერიოდის შემოქმედებაში სასიცოცხლო ძარღ-  
ვი, რა დიდი იყო მისი ინტერესი ცხოვრები-  
სადმი. ქართულ ენაზე „ლექსების პროზით“  
სათარგმნელად შერჩევას შემთხვევითობას ვერ  
მივაწერთ. იმდენად დიდი იყო ამ ნაწარმოე-  
ბებში ტურგენევის მიერ დასმული საკითხების  
აქტუალობა, რომ სწორედ მან, აქტუალობამ,  
განსაზღვრა ნაწარმოებების სათარგმნელად შერ-  
ჩევის პრინციპი, რუსეთის საზოგადოებრივ  
ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ისე-  
ვე აღდევდა ქართველ საზოგადოებას, რო-  
გორც ტურგენევის.

კაბიტალისტური ურთიერთობის განვითარე-  
ბისა და აზნაურთა ბუნდების განწირულობის  
პირობებში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში  
აღვირახსნილი რეაქციის პირობებში, ტურგე-  
ნევი თავის ირგვლივ ვერ ხედავდა ადამიანთა  
ისეთ ურთიერთობას, როგორც მას იდეალში  
ესახებოდა. ბუნებით კეთილი და პატიოსანი,  
მგრძნობიარე, ჰუმანური და ღრმად განათლ-  
ებული, იგი, ბუნებრივია, სხვა ადამიანებშიც  
ასეთსავე თვისებებს ეძებდა; თვალთმაქცობა,  
ბოროტება მის აღშფოთებას იწვევდა და, რო-  
გორც რეალისტი, იმასაც ხედავდა, რომ ეს თვი-  
სებები მორალურად დაკნინებულ თავდაზნაუ-

რობასა და ფულით გარყვნილი საზოგადოებრივ  
ზედაფენებში იყო ფეხმოკიდებული.

ამეთ საკითხებს ეხება ქართულ ენაზე გადა-  
თარგმნილ ნაწარმოებთა ნაწილი. ასეთია „თა-  
ვის თავის კმაყოფილი“, რომელიც „კვალში“  
გამოქვეყნდა.

აქ გამოყვანილია ახალგაზრდა კაცი, რომელ-  
საც „თავლები უბრწყინავს. ტუჩებზე დიმილი  
უთამაშებს, სახე მისი სიამოვნებით წითლად ატ-  
ყვილია... იგი პოლად კმაყოფილი და მზი-  
არულია. რა დამართავ? მეგვიდრეობა ხომ არ  
მიუღია; იქნება სამსახურში ჩინი მოვება?  
საყვარლის სანახავად ხომ არ მიეშურება? ან  
იქნება კარგ საუზნის შემდეგ ჯანმრთელობის  
გრძნობამ ძარღვებში სისხლი აუთამაშა?... სუ-  
ლაც არა. მან მოიგონა ნაცნობზე უცნაური ჭო-  
რი, დიდი ხელგუნებით ვაჯერცელა, მერე თავის  
მოგონილი სხვისგან გაიგონა და თითონვე დაი-  
ჭვრა.

რა კმაყოფილია, გულკეთილიც კია ამ წუთას  
ეს მრავალსაიმედო და საყვარელი ყმაწვილი  
კაცი“

„თავის თავის კმაყოფილი“ გამოყვანილი  
ახალგაზრდა კაცის სახესხვაობას წარმოადგენს  
ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ნაწარმოების  
„სულელის“ პერსონაჟი, რომელიც ტიპური  
წარმომადგენელია ადამიანთა იმ ჯგუფისა, რომ-  
ლებიც არ ეძებენ სამართლიანობას; ცილისწა-  
მებასა და ჭორის ვაგრცელებს ისინი თავიან-  
თი მდამბო ზრახვების განსახორციელებლად  
მიმართავენ. სულელმა იცის, რომ მას საზოგა-  
დოებაში ქარადშუტას ეძახიან და თავის თავის  
რეაბილიტაციისათვის გამოდილ ხერხს მიმარ-  
თა: „მეც, ყველაზე რა ცი უნდა გეკით სულელის  
წინაშე, ყველაზე და ყველაფერზედ ერთი და  
იგივე პასუხი ჰქონდა: „ერთბა: საიღამ სად ჩა-  
მორჩენილხართ ქვეყნიერობას!“-ო. „ბოლოს  
ისე გათავდა სამქემ, რომ ერთმა რედაქტორმა  
გაზეთისამ მიიწვია იგი სულელი და ჩააბარა  
კრიტიკის ნაწილი გაზეთისა. სულელმაც დაი-  
წყო კრიტიკა ყველასი და ყველაფრისა... ენლა  
იგი უარ-მოყოფილი ავტორიტეტებისა, თვითონ  
შეიქმნა ავტორიტეტად და ყმაწვილი კაციინ თა-  
ყვანს სცემენ... რასა იქმ აქა... არა სცემ თა-  
ყვანს, ძველებში, უკან-ჩამორჩენილებში ჩაგთე-  
ლიან მსთაღთა შორის სულელების ბედს ძალ-  
ლიც არ ჰყვებ.“ („კვალი“. № 30, 1899 წ.).

საკითხის დასმითა და ტონით ტურგენევის  
ეს ნაწარმოები საოცრად წააგავს XIX საუკუ-  
ნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ  
კრიტიკულ წერილებს, მიმოხილვებს, რედაქტო-  
რისადმი გაგზავნილ წერილებს, რომლებშიც  
ჩვენი კრიტიკოსები უსასტიკესი გესლიანობი-  
თა და ირონიით თავს ესხმოდნენ პოლიტიკურ-  
სა და ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებს. ნა-  
წარმოების თემა იმდენად ორგანულად არის  
ჩაქსოვილი XIX ს. ქართულ ლიტერატურულ



ცხოვრებაში, ჩვენ რომ არ გვცოდნოდა, „სულელი“ ტურგენევის კალამს, რომ ეკუთვნის, მას უმეველად რომელიმე ქართველ ლიტერატორს მივაკუთვნებდით. ერთნაირმა სოციალურ-მა პირობებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთნაირი მახინჯი მოვლენები დაბადა რუსეთსა და საქართველოში.

მაგრამ ეს სიმახინჯე ტურგენევი გულგატეხილობას არ იწვევს. მწერალი მას მწვავედ განიცდის და იტანება კიდევაც, მაგრამ ადამიანისადმი რწმენა მაინც არ ეკარგება, ადამიანი ისევ ისე ნაზად და ღრმად უყვარს. არ შეიძლება, ჩვენი ფიქრით, მოყვანილი და მათი მსგავსი ნაწარმოებების საფუძველზე ისეთი დასკვნების გამოტანა, როგორც, მაგალითად, ს. მალახოვს, ა. ცეიტლინს, ს. დანელიას და სხვა მკვლევარებს გამოაქვთ. მხოლოდ ტურგენევის შემოქმედების სრულ გაუგებრობით შეიძლება აიხსნას ს. მალახოვის მიერ მწერლის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებების შეფასება. საქმე იქამდე მიდის, რომ ს. მალახოვი ტურგენევის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას რეაქციულს უწოდებს, ხოლო მის უკანასკნელ ნაწარმოებებზე წერს:

„...ბოდივით, მისტიკური სახეები... რომლებიც საგანგებოდ ხლართავენ... რელიჯისა და ირელიჯის, თვით ბუნებასაც ისეთ რამეს მიაწერენ, რაც საიდუმლოებით მოცულა და შიშის მომგვრელი... ყველაფერი ეს იმის მოწმობს, რომ ამ ნაწარმოებებში ტურგენევი საბოლოოდ განდგა რელიჯიზმს, რომ იგი იმპრესიონიზმსა და მისტიკაში გადავიდა“.

უფრო მეტიც, ს. მალახოვი წერს, რომ ტურგენევის შემოქმედებაში (ხოლო პერიოდის) „...რელიჯიზმი საბოლოოდ იქნა განდევნილი ტურგენევის შემოქმედებითი მანერდიანაც კი“.

ა. ცეიტლინის შეხედულება ტურგენევე არსებობდა ისეთივეა, როგორც ს. მალახოვის. ცეიტლინი წერს: „ლექსების პროზით“ მთელი ციკლის ლეიტმოტივია „ბრბოსადმი“ ტურგენევის უარყოფითი დამოკიდებულება“.

სავსებით უმართებულოა იმის მტკიცება, რომ „ბრბოსადმი“ უარყოფითი დამოკიდებულება ყველა „ლექსების პროზით“ ლეიტმოტივია. უმართებულო უკვე იმიტომაცა, რომ ამ ნაწარმოებებში ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ადამიანის უარყოფა კი არ გვაქვს. არამედ მისი საქციელისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც საფუძვლად ადამიანის გამოწორების პრობლემა უდევს, „ლექსების პროზით“ ძირითადი ლეიტმოტივია ცხოვრებისადმი ადამიანური სიყვარული, სიკოცხლისადმი სწრაფვა.

ა. ცეიტლინი ამტკიცებს, რომ 60-80-იანი წლების ტურგენევის სიუჟეტები ხშირად ირაციონალურ მისტიკურ საფუძველზეა აგებული,

რომ „ამ პერიოდის ტურგენევი მთლიანად შტრუპნული პენსავერის პესიმისტური ფილოსოფიის ტყვეობაში იმყოფება“. ტურგენევის პესიმისტური განწყობილებების შესახებ ასეთ კატეგორიულ მტკიცებას საფუძველი არა აქვს. პირველ რიგში მას უარყოფს თვით ტურგენევის შემოქმედება მთლიანად — რომანები, მოთხრობები, წერილები...

უადრესად პოპულარულ მწერლად რუსეთში ტურგენევი — რეალისტი გახდა; ტურგენევი — მისტიკოსი პოპულარული ვერ გახდებოდა, ასეთ ტურგენევეს ხალხი არ მიიღებდა.

საკმარისაა წყევითხოთ მხოლოდ ერთი „ლექსი პროზით“ „სოფელი“ (1878), რომ დავრწმუნდეთ, მის ავტორს მისტიკურთან არაერთი კავშირი არა აქვს. ეს ნაწარმოები მთლიანად გაფლეთილია სამშობლოსადმი სიყვარულით, ცხოვრებისადმი სიყვარულით, და არა რომელიმე განყენებული უსაგნო ცხოვრებისადმი, არამედ აი ამ საყუთარი, მშობლიური რუსული ცხოვრებისადმი, ამ რუსული მიწა-წყლისადმი და ამ რუსი ადამიანებისადმი, რომლებიც ამ მიწა-წყალზე ცხოვრობენ. მართალია, აქ აშკარა იდეალიზაციაა ძველი რუსული სოფლისა, მართალია, აქ ბოლოსდაბოლოს სოფლისადმი ბატონის დამოკიდებულება ჩანს, მაგრამ აქვე შედგენდება უღელისი რეალისტის თვალთ.

ქართულ ენაზე გადათარგმნილია ტურგენევის „ლექსი პროზით“ — „წვენი“, რომელიც შენაინაზავად ახასიათებს მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს. ტურგენევის სიდიადე ისიც არის, რომ მან, — წარმოშობით მეტატონემ, მაგრამ მართალმა და პატიოსანმა, — შეძლო ღრმა პატივისცემითა და სიმშაითით გასსკვალულიყო მშრომელი ადამიანისადმი, დანაჯრული და უფლებათაფილი გლეხკაცისადმი.

ქართულ ენაზე ორჯერ ითარგმნა (1899 წ. — 1938 წ.), „ორი მილიდარი“...

სოციალური ცხოვრებით დაწარული მშრომელი კაცო ტურგენევეს აშკარად უყვარს და პატივისცემით ეკიდება მას. ი. ჭავჭავაძის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ „მათხოვარში“ ბეტრიო მათხოვარს არაორაზროვნად „მძას“ უწოდებს.

ცხადია, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი, ყველასაგან მოძულებული მათხოვარი ტურგენევისთვის ის არ არის. ვინც შეძლებული კლასის წარმომადგენლებში მხოლოდ ზიზს იწვევს. მათხოვარი მამა, ის ადამიანია, ამიტომ მათხოვრის თანაგრძობა მწერლისადმი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც თვით მწერლის თანაგრძობა მათხოვრისადმი. ასეთია

**ზახანან ნათაძე**  
 ი. ტურგენევის „ლექსები პროზით“



ამ ნაწარმოების აზრი, თუ არ შევეცდებით აქაც მისტრიუტო საფუძვლის მიხედვას.

პეტერბურგის პროგრესული საზოგადოების მიერ 1879 წელს პეტერბურგში ტურგენევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეწარმოდა საპატივცემულოდ მოწოდებები საზეიმო შეხვედრის თაობაზე ტურგენევი წერდა: მე მესმის, რომ ზეიმი ჩემს საპატივცემულოდ კი არ არის გამართული, არამედ მე ამ შემთხვევაში კეტის როლს ვასრულებ, რომლითაც მთავრობას ურტყამენ. დღე ურტყან, მე ძალიან მოხარული ვარ. მთავრობის პოლიტიკის მიმართ მწერალი ყოველთვის კრიტიკულად იყო განწყობილი. ამიტომ ვასაუბრებ ლიბერალ ტურგენევის მსოფლმხედველობაში ის ნაკადი, რომელიც ჩნდება მისთვის და მის თანამოაზროვნეთა წისქვილის ბორბალზე წყალს ასხამდა. ეს ნაკადი ნამდვილი პატრიოტის გულიდან მომდინარეობდა, მისი საწყისი საშობლო სადმი უდიდესი სიყვარულით გრძობდა იყო. ტურგენევი ვერ დახტუა თვლი იმ უბედურებაზე, რომელსაც მეფის რეაქციული მთავრობა თესდა რუსეთში და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა ამ უბედურებას, თუმცა რევოლუციონერებს არ თანაუგრძობდა. აქ საქმე გვაქვს იმ წინააღმდეგობასთან მსოფლმხედველობაში, რომელიც ვ. ლენინმა აღნიშნა ლ. ტოლსტოის მიმართ. ტურგენევი მიხვდა, რომ მეფის რუსეთი ხალხთა საყვარელია: ამ თემას მან თავისი „ლექსი პროზით“ — „ზღურბლი“ უძღვნა. იგი ქართულ ენაზე 1953 წელს ა. ნეიმანმა გადათარგმნა.

შემთხვევითი არ არის, რომ „ზღურბლი“ დასაწყისში მწერალი საყვარელი სახარულს სურათს გვიხატავს. „მის შესავალთან ვიწრო კარები ღიად არის დატოვებული. ამ კარებს იქით უკუნეთია გამეფებული. მალა ზღურბლის წინ დგას ქალღმერთი... რუსია იგი“. მას თავი გაუწირავს ხალხის საქმისათვის, არ უშინია არც გვირგვინის, არც სიკვდილის. „ქალმა უშინარად გადააბიჯა კარების ღირეს და მიმე ფარდა მოსწყდა მის უკან. „რა სულელია“ — თქვა ვიღაც ამ კბილთა ღრუბლით. „წმიდათა წმიდა“ — გაოსმა სადაღაც მის საპასუხოდ.

პატრიოტული სიამყის გრძობა ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი მოტივთაგანია არა მარტო „ლექსების პროზით“, არამედ ტურგენევის მთელი შემოქმედებისათვის. სიკვდილის წინ დაწერილი თავის უკანასკნელ წერილში იგი ეკვლავ თავის საყვარელ საგანზე ფიქრობდა და წერდა ლეე ტოლსტოის: „ჩემო მეგობარო, დაუბრუნდი ლიტერატურულ მოღვაწეობას... რუსეთის მიწა-წყლის დიდი მწერალი — შესიმინეთ ჩემი თხოვნა“. ხოლო „ლექსი პროზით“ სახელწოდებით „რუსული ენა“ (1882 წ.) განსაკუთრებული სიძლიერით გამოხატა თავისი სიყვარული რუსეთისადმი.

„ჩემი საშობლო ბედზე როცა ეცემოდნენ ვერობს, როცა მიმე ფიქრები მეწვევა. — შენ ხარ მაშინ ჩემი ერთადერთი ნუგეში და დასაყრდენი, ოი, დიადო, ძლიერო, მართალი და თავისუფალი რუსული ენა! შენ რომ არ ყოფილიყავი როგორ არ მიეცემოდა კაცი სასოწარკვეთილებას ყოველივე იმის დანახვაზე, რაც ხდება ჩვენში? მაგრამ არ შეიძლება დაეიჭრო. რომ ასეთი ენა არ ეკუთვნოდეს დიდებულ ხალხს“.

1881 წლის 1 მარტის შემდეგ დაწყებული სასტიკი რეპრესიის ხანაში, მოხედონოსტრევისა და კატკოვის აღიარაწინილი თარგმის პერიოდში, როდესაც მოიცემოდა კაცი სასოწარკვეთილებას ყოველივე იმის დანახვაზე, რაც ხდება ჩვენში“, მაშინ ხალხს მიერ შექმნილი რუსული ენა იყო ტურგენევისათვის „ერთადერთი ნუგეში და დასაყრდენი“.

დიდი ქართველი მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი შესანიშნავად ჩასწვდა ნაწარმოების აზრის ფეხებს და თავის წერილში „ბურჯი ეროვნებისა“ გამოიყენა იგი იმ შრომებთან კამათში, რომლებიც „ნორჩი თაობის აღზრდასწავლაში ადგანან იმისთანა უკუღმართ გზასა, რომელიც ძლიერ დამაქვეითებელია აზროვნებისა, გულისა, ხასიათისა და არაოველიც ფუქსავატობის დედაა, ძიძა და გამღელი. რაში მდგომარეობს ეს უკუღმართი გზა?“ — კითხულობს ი. გოგებაშვილი და პასუხად ტურგენევი იმორქმებს, კერძოდ, მის „რუსულ ენას“.

ქართული ენის სიწმინდის ერთგული დამცველი ი. გოგებაშვილი წერილში „ბურჯი ეროვნებისა“ ტურგენევის ტექსტის ვადმოცემის შემდეგ დიდმნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს, რომ „არა ნაკლების საფუძვლიანობით შეუძლიან სთქვას შეგნებულმა ქართველმა ესევე სიტყვები ჩვენს დედა-ენაზედ“-ო. ამ შემთხვევაში ტურგენევი და გოგებაშვილს ერთი გრძობა ამოქრავება, ეს არის მდიდარი შრომითური ენისა და ხალხისადმი სიყვარული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გოგებაშვილმა ტურგენევის „რუსული ენა“ დამოწმა სწორედ იმ წერილში, რომელშიც ქართული ენის სიმდიდრეზეც ლაპარაკობს.

ტურგენევის „ლექსები პროზით“ ცალკე წიგნად ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებულა. საველ აბულაძეს გადაუთარგმნია 50 ლექსი (დაბეჭდილია 8), თარგმანი განხილული ყოფილა საქ. მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის სხდომაზე (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 17) და მიღებული ყოფილა დასაბეჭდად; ერთხელ იგი საგამომცემლო გეგმაშიც ყოფილა შეტანილი, მაგრამ დღემდე ს. აბულაძის მიერ შესანიშნავად თარგმნილი ეს მასალა მკითხველისათვის მიუწვდომელია.

## თამარ ღრაძე

ინგლისელი მწერალი.

### პირველად ღვიძის თვალებში გნახე...

მატარებელი საქართველოს უახლოვდება... თავში ბორბლები მიტრიალებენ... სინამდვილე, სინამდვილე, ეს საქართველოა; აზრი არა აქვს თვალის გახედვას, — მე ხომ არასდროს მინახიხარ, არა აქვს აზრი ანგარიშს და აწონ-დაწონვას, აღარც სიბერეს აქვს ახლა აზრი... მალე, სულ მალე შენთან ვიქნები.

იცი, პირველად როდის გნახე? — დედის თვალებში. თვითონ დედა მომიყვია: სამიოდ წლისა ვიქნებოდი, წაიჭექე, მუხლი ვიტკინე. დედა მომეხვია, დამამშვიდა: „ნუ სტირი, ძვირფასო, ქართველები მამაცი ხალხია, მათ არ უყვართ, შვილო, ტირილი“. მე ცრემლები მოვიწმინდე და ვუთხარი: „აღარაფერი მტკიავ, დედიკო“. ასე ვცდილობდი დავმსგავსებოდი ხალხს, რომლის დიდებაც ღრმად სწამდა დედას. და რაკი ქართველებს ვერ ვხედავდი არც დედასათვის, არც ჩემთვის ძნელი არ იყო გადაგვეწყვიტა, როგორებიც იყვნენ ახლა ისინი. რაღა თქმა უნდა, საჭმელს თევშუე არასოდეს ტოვებდნენ, პირში თითს არ იღებდნენ, ჰგავდნენ ჩემს შესანიშნავ ორ უფროს ძმას.

განა ოდესმე დამვიწყებია, ჩემო დედა საქართველოვ? ყური მათხოვე, ჩემი ბავშვობის წლებზე მოგიფიქრებ, ვიამბობ, რომ ჩემთვის მთელი პარიზის სამყარო ქართული ცეკვის გაკვეთილები იყო. ქართული მუსიკა ისმოდა დედის პიანინოზე... სტუდია ვიწრო ქუჩაზე, ბავშვებით სავსე, ჩემისთანა ბავშვებით, ჩემისთანა სახელებით. წარმოგიდგენია? იქ, მასწავლებელ შოთა აბაშიძესთან ვდგამდი განუმეორებელი ქართული გრაციის პირველ ნაბიჯებს, პირველ რიტმს ვსწავლობდი. მან ჩემს გულებს სამუდამოდ დააჭლო ისეთი დიდი გრძნობა,

რომელიც ყოველთვის იპოვის გამომახილს, ქართული ხელოვნების რა სახეობასაც არ უნდა შევხვდეთ. საღამო ხშირად მთავრდებოდა იმპროვიზირებული სადღილით, რითაც უფრო მეტად ვეზიარებოდი შენს ტრადიციას.

უფროსები ხანდახან წვეულებასაც გვიმართავდნენ. იცი, მე ბედნიერი ვარ, რომ შევიგრძენი ის განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც ქართველებს ახასიათებთ ბავშვებისადმი. ახლა უფრო ცნადად აღვიქვამ ამას. ასე ვიზრდებოდი დედაჩემის მეგობარ თამარ თარასაშვილის სამ გოგონასთან ერთად, ვმუშაობდით. ისინიც ჩემთან იყვნენ განუყრელად, ჩემი ცხოვრების ჩარხის ტრიალში. ბავშვობიდან მონაბერი სიო ყოველთვის თან მსდევს.

და მაინც, ზოგი რამ ჩნდებოდა და ჩამავალ მზე-სავით თვალს ეფარებოდა იმ წლების მსგავსად, რომელიც მაროკოში გავატარე და რომელთა მოგონება გაუნულებელი ცეცხლით მდადავს.

ყოველთვის, როცა თვალს დავხუჭავ მესმის იქაური ბაზრის ყაყანი, ყველგან ჩაი და უცხო სუნელი, ვაზის ჩრდილები და ლურჯი ზეცა, ისეთივე უსაზღვრო და გამომწვევი, როგორც მკვიდრთა მასხინპლობა; მაგრამ მე როდი ვიამბობ „ადამისაველთის ზღაპრებს“, ჩემო ჭაღარა საქართველოვ? გეტყვი მხოლოდ იმას, რომ ერთხელ დედა მეწვია ლონდონს. მერე ისე მაროკოში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა.

შემინდე, ძვირფასო, დედაჩემს ვეძებ, როცა შენიკენ ვიხედები, მაპატიე, რომ ასე ვნატრობ ვნასო შენი მთავრებილები, რომლებმაც დედა უნდა მომაგონონ... მაპატიე, თუ დედად მიმჩნისარ. გემუდარები, ნურად ჩაადგებ, თუ უთავბოლოდ ვიამბობ

რასმე. მე თვით ვცდილობ საკუთარ თავს განვუმუბარტო ზოგი რამ, თუმცა ვიცი, ზოგიერთ განმარტებასავით, შესაძლოა ისიც უადგილო იყოს. დღისი გულისათვის, შემოკლებ ჩვენს შორის დარჩენილი მანძილი და მეც დავედმდევი.

რა მომნიშობავი ხარ, საქართველოვ, იმ სამოსში, მე რომ ჩაგაცვი! რა შუშმა შემოიპყრო, როცა მოგიახლოვდი. როგორ მწვავე ნაბერწყლებით, მატარებლის ბორბლები რომ აფრქვევენ, წვირლებით, ბილეთებით, დოკუმენტებით, განუწყვეტელი თრთოლვით. ეს ხომ სიმართლეა, სინამდვილე, რომ მე, ჩემი პატარა სხეულით, თავით, გულით სულ მალე საქართველოში ვიქნები.

რა შემოიძლია გითხრა, რა შემოიძლია შემოგთავაზო შენი თავიგულსათვის? კარგი, გეტყვი, თუ რა არის ყველაზე ჭეშმარიტი და ძვირფასი: გაიმბობ ჩემს მეგობრებს, შენს დამამწვენებელ ყვავილებზე... ერთხელ კიდევ დაგხვდე ტელეფონის მიღს, რომ დავრწმუნებულიყავი სინამდვილე იყო ეს თუ არა.

ხმა მეუბნებოდა, რომ ის საქართველოდან ჩამოსული ლიტერატორი იყო, ნიკო ყიასფილი, რომ მან ჩემი მისამართი ინგლისელი მწერლის ალან სილიტოუსგან შეიტყო და ჩემთან შეხვედრა სურდა. ერთ წამს საგონებელში ჩავვარდი, თავი სიხმარში მივონა; სილიტოს უხსენებია კიდევ მისი სახელი ჩემთან საუბარში, მაგრამ განა შესაძლებელია ვნახო ის, ვინც ნამდვილად ცხოვრობს საქართველოში! ხვალ? უნდა ვიჩქარო. სარაკს მივყავდი, ფაქტით თვალის ვარწმულო შავი ხაზი შემოგავლე, რომ სახისათვის ტიპური ქართული იერი მიმეცა — მან ხომ მითხრა, რომ აინტერესებდა, მართლა ქართველი ვიყავი თუ არა.

ჩემი გამომცემლობის რწმუნებულის ქალიშვილმა, რომლის სახლშიც ვცხოვრობდი, ხილბანდი შემისწორა და დედამისის ნათქვამი შემახსენა — დროა, მეტი ყურადღება მიაქციო შენ თავსაო.

ვფიქრობდი: „კვლავ რომ შემოვალ სელნაწერებთან და საშინელი სახელმძღვანელოებით მოფენილ ჩემს ოთახში, ის უკვე ნანახი მეყოლება“. დიას, ასე იყო ჩემი პირველი შეხვედრის წინა დღეს.

ნაიტბრიჯის მეტროს სადგურში ვიჯექი. ეს ადგილი ყველაზე ახლოს იყო ჩემთან და ყველაზე მოსახერხებელი საქართველოდან ჩამოსული ქართველისათვის. შლიაპიანი ქალები, ფეხბურთის გულშემატკივარნი, კაცი, რომელსაც აბლი ახლდა, ყველა ამოვიდა ესკალატორით და გვერდით ჩამიარა. ნეტავ, როგორ გამოიყენებდი იმ ქართველს — ინტუიციით თუ ვიწინებით. თურმე ეს არც ისე ძნელი ყოფილა. მე ის მაშინვე შევიცანი და ჩვენი საუბარიც უშაღვე აეწყო. თითქოს დიდი ხნის უნახავ ნათესავს შეხვებდი: ის უბრალოდ, ისე სადად ვუვირებით ერთმანეთს სათქმელს. პაერის ბუმტივით მსუბუქად და ბედნიერად ვერძნობდი თავს. შემდეგში იგი შეხვდა ჩემს ძმას, რომელიც ერთი კვირით იყო ლონდონში ჩამოსული. საღამოთი კი,

ერთი ცნობილი საესტრადო მომღერლის პატარავი ცემად გამართულ სადილზე ჩვენ ყველას სიამაყით ვუამბეთ მის შესახებ.

ამ შემთხვევის შემდეგ, როცა ქუჩაში გავდიოდი, სიამოვნებით ვიგონებდი, რომ მე აქ ქართველი მოქალაქის გვერდით ვამივლია. სვედა მიპყრობდა, რომ არ შემეძლო დღისათვის მიმეწერა.

სევდიანი წვიმის წვეთები... ქარში კიდევ უფრო სევდიანი... ზღაზნით მიმავალი მატარებელი, ყოველ წუთს რომ ჩერდება.

„ბუნებრივია, თქვენ არ იცით, რა ძნელია — დაბადებიდან ისეთი გვარი მაქვს, ყველა მეციხვება მის შესახებ და მეც უმწურო ვარ ვატარო იგი მძიმე ხმალივით. თქვენ, ქართველები, მტკიცებით, თუ სად, რომელ სოფელში ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები. აბა, საიდან უნდა ვიცილდე? ვერ წარმოიდგენი, რა სამწუხაროა, როცა ადამიანს არა აქვს იმ ქვეყნის გვარი, სადაც ცხოვრობს. მით უმეტეს, როცა გაქვს ქართული გვარი, საქართველო კი თვლით არ გინახავს. სამწუხაროა, მაგრამ ადვილად გამოსასწორებელი. მხოლოდ ერთი კია — ახალი ჩვეულების შესასწავლად დრო მჭირდება, რომ შინაურულად, თავისუფლად ვივარძლო თავი. ეს ახლა, უდღოდ, ერთი ძნელია ჩემთვის, ვიდრე წინათ. დედა ხომ უფრო გარკვეულ საცხოვრებელ ადგილს ნიშნავდა ჩემთვის. ვინ, ვინ გამოგებს მე, — წვიმის პაწია წვეთს, მოხეტიალე ღრუბელს...“

ამას ვუბნებოდი ქართველ ქალს, ვენერა ურუშაძეს, რომელიც ლონდონში მუშაობდა თავის თარგმანზე. როგორ გაიმბოთ მასზე, როცა ამის ძალა არ შემეწევს? ჩემთვის ეს ქალი ნათელი გზა იყო დაბურულ ტყეში, სიცოცხლის ახალი ფოთქვა, უცნაოდ ნაპოვნი ბილივი, ჩემსკენ გულწრფელად გამოწვეული ხელი, — ჩემი დედა — საქართველოს სველი. საფხვლში, როცა ხალხის უმრავლესობა ტოვებდა ლონდონს, თავს დაკარგულად ვერძნობდი და ჩემი მომავალი თავისი ბუნდოვნებით მაშინებდა. მაპატიე, ჩემი ცხოვრების გახსენებით თუ შეგაწუხე...

მალე გამოცდები ჩავებარე უნივერსიტეტში, ჩავირიცხე, მაგრამ განა ამის გამო უკეთ შევიცანი ჩემი თავი!... ახლა სხვაგვარად ვცხოვრობ, თუმცა არასოდეს არ მოვიწყდება იგი — ჩემი ცისარტყელა. ბინდისას ზოგი მოგონება, საქართველოს ძველი სამოსისთვის, სვედით მავსებს: აერთობრტი მისი გამწვავრების შემდეგ, ნამეტყვარი და ხილი რომ მომიტანა. ეს ხომ აღარ გამოვრდება... წავიდა და თან წაიღო მთელი თავისი სიტობი.

ახლა საქართველოს რუკაზე ვხედავდი მხოლოდ, სწორედ მაშინ დავიწყე მისი შეგრძნება, ბუნდოვნად, იმედინად, ისე, როგორც დიდი ხნის წინათ განვლილ გზას იხსენებს კაცი... ბორბლები ტრიალებენ. უკან დარჩა საქართველოსთან განშორების იგივე საფხული. ტემისს საპირზე ჩამწკრივებული ცემენტის შენობები... ქართველი მოცეკვავეები. მე უხმოდ ვზივარ, ვეცაცხებ მოჯადობული. პალტო და ჩანთა იატაკზე დამვარდნია.

ერთი წლის შერე ისევ ვიჯექი ხალხით გაჭედილ ალბერტ პოლში. ვიჯექი მარტო და ჩუმად, როგორც ბედისწერის წინაშე, და მუსიკის ხმა გულს მიწურავდა. რატომ? ვესაუბრე ანსამბლის ხელმძღვანელ ქალს, ნინო რამიშვილს. მისი ხელი ხელში მეჭირა და ვეკითხებოდი: „რატომ?“.

„რა იქნებოდა, ჩემი ორი ძმაც ამ ბიჭებთან ერთად ცეკვავდეს! რა იქნებოდა!“ — ეს ერთადერთი წინადადება იყო, რომელიც აღელვებულმა რვეულში ჩავწერე. შემდეგში ყველა მოცეკვავესა და მუსიკოსს შევხვდი (იცი, დედაჩემიც მუსიკოსი იყო!), თვალდავიხეივდი ხოლმე ღამით, აფორიაქებული. ასე მგონია, ყოველ მათგანს დიდი, დიდი ხანია ვიცნობდი.


ერთხელ, ალბერტ პოლის კულისებში შემთხვევით შევხვდი შენს კიდევ ერთ შვილს, ჟურნალისტსა და მწერალს გურამ ფანჯიკიძეს, რომელიც ახლა ჩემს

საკუთესო მეგობრად მიმაჩნია; მასთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს გონებაში დიდხანს ვატარებდი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან ჩემს შესახებ დაწერა. მე განცვიფრებული ვეკითხებოდი ანსამბლის ერთ-ერთ მოცეკვავეს, როგორ მოხდა, რომ გურამმა გამიგო უკეთ, ვიდრე მათ, მთელი დღე რომ ინტერვიუს იღებდნენ მეთქი ჩემგან. როდის ვნახავ ჩემს მეგობრებს?

შემცდარი ხარ, თუ გონია, რომ აღარაფერი მოხდება, დაიხურა წიგნი, დამთავრდა ამბავი; მე მოწვევა მივიღე საქართველოდან.

თვალეხს ვზუჭავ... იმედია მელი. მატარებლის ბორბლები უსაზღვრო ოცნებისაკენ მიმაქანებენ. გემუდარები, შემინდო მე — უღირსს... თუ შემინდობ, ალბათ მიცნობ კიდევ, როცა შეგხვდები. იქნებ მეც შევძლო შემოგთავაზო ყვავილი — შენი თაიგულის შესაფერისი.

კანტერბერი, 1968 წ.



### შერნალ ცისკრის 1968 წლის ნომრების შინაარსი

#### რომანი, მოთხრობა, პიესა, ნოველა

- ავალიშვილი მანანა — ერთ ღამეს (მოთხრობა), № 10.
- აკობია შოთა — უკანასკნელი ტივი (მოთხრობა), № 11.
- აკუტაგავა — უსიერ ტყეში (ნოველა) თარგმნა ლადო ავალიანმა. № 8.
- ბატიაშვილი ნელი — ლეგატო, ლეგატო (მოთხრობა), № 6.
- ბიოლი შაინრიბ — როცა ომი დაიწყო, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ რუხაძემ, № 2.
- ბორჭერტი ვოლფგანგ — ეს ჩვენი მანიფესტია, ჰამბურგი (ნოველები) თარგმნა ნიკო დადიანმა, № 7.
- ბურღინოვა ელისო — ხვალ ჩემი დაბადების დღეა (მოთხრობა), № 3.
- გელაშვილი გიორგი — ჩემი თბილისი (მოთხრობა), № 11.
- გოგოლაძე თენგიზ — კაცი კაცითა (რომანი), № 8, № 9.
- გოდერძიშვილი თამაზ — ბზის ბუჩქი (მოთხრობა), № 12.
- დოჩანაშვილი გურამ — კოტე მასწავლებელი (მოთხრობა), № 7; ათასი წერილმანი (მოთხრობა), № 12.
- ვასაძე აკაკი — ნახტომი (მოთხრობა), № 1; მოთხრობები, № 12.
- თელია გიორგი — ენაკეიმატი (მოთხრობა), № 7.
- ინანიშვილი რევაზ — საღამო ხანის ჩანაწერები (მოთხრობები), № 4; საღამო ხანის ჩანაწერები (მოთხრობები), № 12.
- კეკელიძე გიორგი — ჩემი პატარა ლანდი (რომანი, დასასრული), № 1.
- კობერძიძე კარლო — მოთხრობები, № 2.
- კლდიაშვილი სერგო — სირინოზი (მოთხრობა) № 7.
- ლევთავა ბეთან — თამაში ნაბიჯით (მოთხრობა), № 5.
- ლობჯანიძე დიმიტრი — უცნობი (მოთხრობა), № 10.
- მაკულერსი გარსონ — ხე, კლდე, ღრუბლები (მოთხრობა), ინგლისურიდან თარგმნა ჯონდო მეტრეველმა, № 10.
- მალაზონია ლევან — გაზაფხულის ერთი დღე (მოთხრობა), № 2.

- მრეღაშვილი ლადო — თავგადასავალი სამი ღამისა (მოთხრობა), № 6.
- უნამუნო მიგელ — სტივენდია (ნოველა) თარგმნა ჯუმბერ თითმერიაშ, № 5.
- რაიტი რიჩარდ — ბეგ ბოი ტოვებს სახლ-კარს (ნოველა) თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა, № 6.
- რურუა ილია — მწვანე კორდი (მოზაიკური სურათები), № 3.
- რჩელიშვილი გურამ — ბეგრი ბავშვი ერთად (კინომოთხრობა), № 1.
- ფანჯიძე გურამ — ტალახისფერი ზღვა, აგვისტოს ტყელი დღე (მოთხრობები), № 5.
- სადრადე ოთარ — ცისფერ პლანეტაზე (ფანტასტიკური მოთხრობა), № 12.
- სისხარულიძე ვლადიმერ — მოთხრობები, № 12.
- ქარჩხაძე ჭემალ — გიგანტი (მოთხრობა), № 1.
- ქლიავა მურმან — ზღვა მასშველის თვალით (მოთხრობა), № 4.
- შანშაშვილი დიმიტრი — ცაში და მიწაზე (დოკუმენტური მოთხრობა), № 2.
- შათაძე ნუგზარ — თეთრი ყვავილები (მოთხრობა), № 6.
- შატბერაშვილი ბორის — ფიქრები (მოთხრობა), № 12.
- შოუ ირვინ — ფრანგულ ყაიდაზე (ნოველა), თარგმნა ნუგზარ რუხაძემ, № 4.
- ჩხეიძე ოთარ — აღმართ-დაღმართი (რომანი, გაგრძელება) № 1, 2, 3.
- წიკლაური ალექსი — უთოვლო ზამთარი (მოთხრობა), № 10.
- ჯავახიშვილი დავით — ქოხი ჭალაში, მდინარის პირას (მოთხრობა), № 5; მოგონება (მოთხრობა), № 9.
- ჯავახიშვილი თინათინ — წარსულიდან (მოგონებები), № 12.
- ჯღარკავა თეიმურაზ — უჯარა (ესკიზი), № 6.
- ხარაძე გურამ — ჯამალი, ზღაპრის შვილი (მოთხრობა), № 8.
- ხაჩიაშვილი ქეთო — აკვანი მწვანე თუთის ქვეშ (მოთხრობა), № 8.
- ხერგიანი შირონ — დაბრუნება (მოთხრობა), № 7.
- ხუნიდაძე ნოდარ — ილიკო (მოთხრობა), № 5.
- პედიათი სადეე — ქერეჯელი დონქუანი (ნოველა), სპარსულიდან თარგმნა თენგიზ კეშელავამ, № 7.



ლექსები, პოემები

აბულაშვილი ანზორ — ციკლიდან: აბსთუმანი, შზე და თოვლი (ლექსები), № 4.  
 ადგიშვილი ნოდარ — ლექსები, № 2.  
 ალხაიშვილი გივი — ციკლიდან „ჭარისკაცები“ (ლექსები), № 2.  
 არაბული ბალატი — ლექსები, № 3.  
 ამასუელი რეზო — ძახილი (ლირიკული პოემა), № 6.  
 ამისლავილი შალვა — თავთუბების ათეული (ლექსი), № 7.  
 ბეჭიშვილი თედო — ლექსები, № 5.  
 ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 2; წითელი მონღალი (ლექსი), № 11.  
 ბლუკი ალექსანდრ — Ты помнишь? В нашей бухте сонной... (ლექსი) თარგმნეს: შოთა ნიშინაიძემ, ვახტანგ ჯავახიძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, გივი გეგეჭკორმა, № 11.  
 გავუა ხუტა — ლექსები, № 6.  
 გეგეჭკორი გივი — მეთხუთმეტე პალატა (ლირიკული პოემა), № 1; ქარო, ფეხები არა გაქვს... (საბავშვო ლექსი), № 6.  
 გიგაური გიორგი — მყინვარის ნათქვამი (ლექსი), № 11.  
 გველგანი მარი — ლექსები, № 3.  
 გოგიაშვილი კუყური — ცეკვა (საბავშვო ლექსი), № 6.  
 გუგუციძე ალი — ლექსები, № 2.  
 დიასამიძე სულიკო — სამშობლო, გშენის მხისფერი ფარა (ლექსი), № 4.  
 დოხნაძე იმარ — ლექსები, № 10.  
 ერისთავი თამარ — შუაღელ თეძამზე (ლექსი), № 3.  
 ვაჟა ფშველა — ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს (ლექსი), № 9.  
 ვანაპოულუ ფოტულა — ლექსები, თარგმნეს ნაზი კილასონიამ, გივი ძნელაძემ, № 7.  
 ივარაჯა დილარ — ლექსები, № 2; ლექსები, № 7.  
 იუგოსლაველი პოეტები — იზეტ სარაილიჩი, ვლადიმერ ჩერკევი, ტონე პაჩეკი, ივან მიხატი, თარგმნა თამაზ ჩხენკელმა, № 2.  
 იჩია ჯემალ — ლექსები, № 12.  
 იკუშაძე თენგიზ — ლექსები, № 7.  
 კალანდია გენო — ლექსები, № 4.  
 კახიძე მედეა — ლექსები, № 2.  
 კერესელიძე ნუნუ — ლექსები, № 3.  
 კილასონია ნაზი — საღამო შენ, ჩემო რომანტიკავ (ლექსი), № 11.  
 კვიციანიშვილი ემზარ — მონადირე (საბავშვო ლექსი), № 6; ლექსები, № 8.  
 კლდიაშვილი გურამ — ლექსები, № 3.  
 ლებანიძე მურმან — ლექსები, № 4.  
 ლეონიძე გიორგი — ლექსები № 1; ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექსი), № 6.  
 ლორთქიფანიძე ზურაბ — თუ გინდა იყო სწორად მხედველი (ლექსი), № 10.

მაქსიმოვიჩი დესანკა — ლექსები, თარგმნა გეგეჭკორმა, № 12.  
 მაკვარიანი მუხრან — ვანო (საბავშვო ლექსი), № 6.  
 მინდაძე ბიძინა — ციკლიდან „მშინ, მღინარე როკა ვიყავი“ (ლექსები), № 2.  
 მეტრეხიშვილი ტაგუ — ლექსები, № 12.  
 მეტრეხიშვილი რუსუდან — შენ წახვედი (ლექსი), № 3.  
 ნიქაბაძე ჯანსუღ — ლექსები, № 8.  
 ნიშინაიძე შოთა — ლექსები, № 5.  
 ორჯონიკიძე იზა — დაბადება (ლექსი), № 3.  
 სტურუა ლია — ვიეტნამი, 1968. (ლექსი), № 12.  
 სულეიმენოვი ოლუს — მიწა, ეთაყვანე ადამიანს (ნაწყველი პოემიდან) თარგმნა გივი ძნელაძემ, № 8.  
 სულაბერიძე ლადო — ციკლიდან „ჩრდილოეთის ცილი“ (ლექსები), № 3.  
 ფოცხიშვილი მორის — გამარჯობა (ლექსი), № 6; საიუბილეო კანტატა (ლექსი), № 10.  
 ქემერელიძე იორამ — ლექსები, № 8.  
 ქვაშიშვილი სალვატორე — ლექსები, თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა, № 8.  
 ქვლივიძე მიხეილ — ახალი ლექსები, № 2.  
 შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 3.  
 ჩარკვიანი ჯანსუღ — ერთი, ორი და სამი..., ცისფერი ამბავი (საბავშვო ლექსები), № 6.  
 ჩარკვიანი გოგი — ლექსები, № 5.  
 ჩაჩავა ნიკოლოზ — ლექსები, № 8.  
 ჩიქოანი სიმონ — ლექსები, № 1; ნიკოლოზ ბარათაშვილი სავანეში (ლექსი), № 9.  
 ჩიტიშვილი შალვა — კვირტები (ლექსი), № 8.  
 ჩხიკავაძე ვანო — ლექსები, № 3; ინფორმაცია აწყობილი შავი პეტიტით (ლექსი), № 11.  
 ძნელაძე გივი — აჭარგული, ჩაქარგული (საბავშვო ლექსი), № 6; ბალადა უკვდავებისა (ლექსი), № 9.  
 ჯავახიძე ლია — ბარათაშვილის ღამე (ლექსი), № 9; ლექსები, № 12.  
 ჯანტურია ტარეელ — ლექსები, № 3; იური ვავარინი უკვდავების სტარტზე (ლექსი), № 5; ტყულები, კვიცს ვაჭაბე შაქრის კვინტა... (საბავშვო ლექსები), № 6; სტუმარი (ლექსი), № 11.  
 ჭელიძე იოსარ — ორი მარაბდელი (ბალადა), № 9.  
 ჭიჭინაძე გივი — ზღარბი (საბავშვო ლექსი), № 6.  
 ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 5.  
 ხარანაული ბესიკ — ფშური მზის ნაბიჯები (ლექსი), № 2.  
 ჯავახიძე ვახტანგ — ლექსები, № 4.  
 ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ნეონი (ლექსები), № 7.  
 ჯალდონია ნოდარ — ლექსები, № 10.  
 ჯაფარიშვილი ლალი — ლექსები, № 3.



ჯგუზურია მურმან — ლექსები, № 12.  
 ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 12.

**პრიმიტივ, კუბლიციზმი, კუბლიკაცი**

აბრამიშვილი ანდრია — ტიციან ტაბიძის უცნობი წერილი ანდრეი ბელისადმი, № 1.  
 ავალიანი ლალი — პაოლო იაშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი, № 6.  
 არჩიშვილი ღვთისო — პირველი კომკავშირული ვახუთები საქართველოში, № 10.  
 ასათიანი მანანა — იოსებ თბილელის „ღიმილურ-რავიანი“, № 11.  
 ასათიანი გურამ — „მერანი“ და მისი ავტორი, № 7, 8, 9.  
 ბათიაშვილი გურამ — ოდიშური მოთხრობები, № 8; „სისა“, № 11.  
 ბალახაშვილი იაკობ — 1832 წლის შეთქმულების ნ. ბარათაშვილის ჯგუფი, № 9.  
 ბარამიძე არჩილ — დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის, № 11.  
 ბარდაველიძე ბეჟან — ნ. ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლონი“, № 9.  
 ბაქრაძე აკაკი — „სანავარდო“ ანუ უნაყოფობის ტრაგედია, № 3.  
 ბახტაძე აღექსანდრე — კარლ მარქსი სტუდენტობის წლებში, № 5.  
 ბერგვაძე ბაჩანა — მედარი თვალსაზრისი, № 7.  
 ბუაჩიძე ვასტონ — ადრეული იონესკო, № 6.  
 ბოცვაძე იოსებ — სასარგებლო წიგნი, № 3.  
 გამსახურდია ზვიად — ა. თაყაიშვილის „ენა ძველი, ენა ახალი“, № 12.  
 გაჩიჩილაძე გიორგი — პოეზია სიყვარულის შესახებ, № 9.  
 გეწაძე აკაკი — მწერლის შუადღე, № 2.  
 გვერდთიშვილი გურამ — მეტი პრინციპულობა, № 5; ვინ არის ლევან ხიდაშელი? № 8.  
 გვენტაძე გივი — ქართული მოტივები მაქსიმ გორკის რევოლუციამდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, № 4.  
 დოლიძე გიორგი — ნატო ვაჩანაძის გახსენება, № 8.  
 დრავაძე თამარ — პირველად დედის თვლებში განახე, № 12.  
 ენიკოლოპოვი ი. — მამუკა ორბელიანის რაპორტი, № 9.  
 ვაშაყმაძე შოთა — ჟურნალ „ცისკრის“ პოეტები, № 8.  
 ვეკუა ილია — საშვილიშვილო საქმე კეთდება, № 10.  
 თაყაიშვილი არლი — ენა ძველი, ენა ახალი, № 4; „მე მყოვარ ეამ დაეინებით...“ № 8.  
 თვარაძე რევაზ — „მათ შესაძლებლობებზე სკეპტიკურად ყურების დასტური“, № 6.  
 თოფურია გურამ — ინვერსიული ლექსიკონი, № 6.

თუხარელი დიმიტრი — ნ. ბარათაშვილის პასტერნაკის თარგმანებში, № 9.  
 კანკავა გურამ — ანა კალანდაძე, № 7.  
 კანდელაკი ნიკოლოზ — ედრემ მციერე — ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი, № 6.  
 კაწანცევი აღექსანდრე -- რაკეტის წინამორბედი, № 4.  
 კენჭოშვილი ირაკლი — ბარათაშვილის მსოფლგანცდის საკითხი, № 9.  
 კვანთილაშვილი ტარიელ — ნარკვევის თავისებურებანი, № 3.  
 კვერენჩილაძე რომან — ელოზე რეკლეუ და იონა მეუნარგია, № 8.  
 კინწურაშვილი კორნელი — ქართველთმცოდნეობის შესანიშნავი კერა, № 6.  
 კიკნაძე რამაზ — სინამდვილე და მოთხოვნა, № 8.  
 კიკნაძე ზურაბ — „ესე ამბავი სპარსული...“, № 5; „არ შეამოკლოს ქართული...“ № 11.  
 კოკია-ფანჯიძე დალი — მონოგრაფია თომას მანის ადრეულ შემოქმედებაზე, № 4.  
 კოკია აღექსანდრე — უმღერის სიჭაბუკეს-სიცოცხლესა და სიყვარულს გაზაფხულს, № 10.  
 კოლხსკვი ა. — პოეტის ტრაგედია, № 8, № 11.  
 ლომოური ნოდარ — „ქართველი ერის ისტორია“, № 10.  
 მახათაძე ნინო — „ი. პოლონსკი საქართველოში“, № 1.  
 მატარაძე ლევან — ამერიკის ბუნტარული ახალგაზრდობა, № 8.  
 მაჭავარიანი გივი — სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, № 12.  
 მეგრელიძე იოსებ — საყურადღებო გამოკვლევა, № 2; კარბევ დონდუს რჩეული ნაშრომები, № 8.  
 მენაბდე ლევან — ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული მწერლობა, № 9.  
 მეტრეველი როინ — ქართული უნივერსიტეტის კარიბჭესთან, № 5; სახელოვანი ორმოცდაათი წელი, № 10.  
 მეტრეველი გურამ — საყურადღებო ნაშრომი, № 1.  
 მეწვიშვილი კახი — გიორგი ნატროშვილი. „გულთმისნების ქვეყანა“, № 6; „ოთხი დრო“, № 8.  
 მიშველაძე რევაზ — „აპა, მიწურა ზამთარი“, № 2; მისი ფიქრების ყველიები, № 8; ახალგაზრდული პოეზია და მოქალაქეობრივი პრობლემეტიკა, № 12.  
 „მომიგონებდეთ ყარიბს მგოსანსა...“ — გალაკტიონ ტაბიძე; შოთა ნინიანიძე, — მარადისობის ფერი; მორის ფოცხიშვილი — უკედანების გზით; ვახტანგ ჭავჭავაძე — ჩემი ბარათაშვილი; ემზარ კვიციანიშვილი — სიახლის პოეზია; ჭანსულ ჩარკვიანი — „ნიტოთა კეთილთა უხვად მორქმული“; გივი გეგეჭკო-



რი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ტაძარი, № 9.  
**პაქორია ოტია** — ფრედერიკ სტენდალი, № 2.  
**ჟღენტი იოსებ** — საქართველოს კომკავშირის საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში, № 10.  
**რატინი ზურაბ** — მსახურთა სოციალური წოდება, № 8.  
**რევიზილი შოთა** — ლენინის სახე გერმანულ ლიტერატურაში, № 4.  
**რცხილაძე ვასილ** — დიდი შოთას მთარგმნელის საფლავთან, № 12.  
**სილაგაძე მარია** — ალიოშა ჯაფარიძე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი, № 11.  
**სურგულაძე აკაკი** — ნიკოლოზ ბარათაშვილი და საქართველოს ისტორიის პრობლემები, № 9.  
**უნივერსიტეტი და ლიტერატურული ახალგაზრდობა**, № 10.  
**ფერაძე ნუგზარ** — ნიკოლას გილიენი. „საგვარეულო სახელი“, № 6.  
**ქავთარაძე ივანე** — რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, № 11.  
**ქველაძე გიორგი** — ერთი საბავშვო წიგნის თარგმანის გამო, № 1.  
**ყარალაშვილი რეზო** — ჰერმან ჰესე, № 7.  
**ყაუხიშვილი სიმონ** — საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროების ახალი ფონდი, № 10.  
**შანიძე აკაკი** — თბილისის უნივერსიტეტის დარსების ისტორიიდან, № 10.  
**შამგრიანი სიმონ** — გივი ჭიჭინაძე. „თავგმობა და იპოქრატე“, № 6.  
**შველიძე ზაქარია** — ლენინური წრთობის სარდალი, № 7.  
**ჩანტლაძე ვასილ** — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთი ადგილის გაგებისათვის, № 5.  
**ჩიქოვაძე არნ.** — თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება, № 10.  
**„ცისკრის“ ანეკდა** — ნოდარ დუმბაძე, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაკავარიაძე, შოთა ნიშნაიანი, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, დემნა შენგელაია, ნოდარ წულეისკირი, რეზო ჭეიშვილი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჯაფარიძე, № 3.  
**წერეთელი ნუგზარ** — შრომითა და ბრძოლით მოპოვებული სიყვარული, № 10.  
**წილაური მამუკა** — ეკუა ფაველა ჩვენთან, № 8.  
**წულეისკირი ნოდარ** — გუსტავ ფლობერი. „ჰეროდია“, № 6.  
**ქილაძე თამაზ** — „მოთხი დიკი“ ქართულად, № 11.  
**ხუხაშვილი გიორგი** — დამკვიდრებული ფარდის აქტო..., № 1.

**ჯიბუტი ვლადიმერ** — „სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფიალი ბადებს“, № 5.  
**ჯორბენაძე სერგო** — ყველაზე მძიმე დღე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში, № 10.

**მოგონებები, ნარკვევები**

**გედენიძე დუდე** — ახლაც მტიციელ მიაბიჯებს, № 2.  
**გორგანელი ვახტანგ** — ძირს ჩამოსული ლავარდები, № 11.  
**თითმურია ჯუმბერ** — ოჯახი, № 10.  
**კობერიძე კარლო** — თითოთ საჩვენებელი ბიჭები, № 6.  
**კოროტივი ვიტალი** — ამოახილი, № 7.  
**ლეკვიშვილი თენგიზ** — სიცოცხლის მტყვენბი, № 4.  
**მეგობრის სხვენას**, № 2.  
**მესხი ია** — ჯარისკაცის დედა, № 10.  
**მესტიელი მირონ** — არაგვისპირელი ქალიშვილები, № 7.  
**მექვამიშვილი ვალერიან** — საბჭოთა სამშობლომ მძლავრი გუშავი, № 2.  
**მრელაშვილი ლადო** — სტორის ხეობაში, № 11.  
**ოქროშიძე თამარ** — ცოტა რამ მოგონებებიდან, № 3.  
**სულაკაური ვალერიან** — ბილიყი პირიქითის ხეობაში, № 5.  
**ფანჯიძე გურამ** — მილიონური მეფეოლადა, № 3.  
**ცვეთავა მარინა** — სული პერობილი, თარგმანა რუსულად ქებულაძემ, № 8.  
**შამათავა პეტრე** — ძვერს გული ნატყვიარი, № 7; კომკავშირული შევსება, № 8; ყველაზე ახალგაზრდა მეთაური, № 10.

**მისალმებები, მილოცვები**

**აბაშიძე გრიგოლ** — ჩვენი კომკავშირი, ჩვენი უნივერსიტეტი, № 10.  
**დუმბაძე ნოდარ** — მზეგრძელობა, დღეგრძელობა, № 10.  
**მეტრეველი როინ** — სახელოვანი ორმოცდაათი წელი, № 10.  
**ჩვენი სამშობლოს დაბადების დღე**, № 2.

**მეცნიერება**

**ბორი ნილს** — აღამიანური ცოდნის ერთიანობა, № 2.  
**ლორთქიფანიძე ოთარ** — „ენის ქალაქი“ № 7.  
**შენგელია მიხეილ** — რუსთაველი და გელათი, № 12.

**ხელოვნება**

**კუკარჩინი ალექსანდრე** — ჩამავალი მზის ბუღეღარი, თარგმანა ელზა ახვლედიანმა, № 5.  
**უზრუღაშვილი ლალი** — ახალი, ახალგაზრდული..., № 2.



შალიაპინი თედორე — ჩემი ცხოვრების ფურცლები, თარგმნა ეთერ კეჭელაძემ, № 11.

„ცისკრის“ ფოსტიდან

გადაუღებელი საქმე, № 1.  
გოგოჭური დავით — „ადვილ ნუ იტყვიო...“, № 5.  
ზარდალაშვილი გრიგოლ — ვინ თქვა „ადვილი“, № 11.

სბტირა ღა იუშორი

გომართელი გურამ — მარე და მისი მკითხველები, № 7.  
გორინი გრიგოლ — არის ერთი ანგვლოტი, № 5.  
თაყაიშვილი არლი — სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს! (იუმორისტული რეპორტაჟი), № 1.  
მიშველაძე რევაზ — უთო (მოთხრობა), № 5.  
სახაღწლო შარუი. (ნახატები რეზო ამაშუკელისა), № 1.  
ჭეიშვილი გოდერძი — კრიკინა (მოთხრობა), № 3.

ჩვენი პალენდარი

ანასტასია ერისთავ-ზომარია, № 6.  
აინი საღრიდინ — ოქტომბრის რევოლუციის სადიდებლად, თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, № 9.  
გვახარია ალექსანდრე — ალიშერ ნავოსის უცნობი ქართული თარგმანი, № 9.  
ვაგიფი — მუხამბაზი ლეონ ბატონიშვილზე, ერეკლეს ძეზე, (ლექსი) აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, № 10.  
მაქსიმ გორკის დღეები საქართველოში, № 8.  
ნატროშვილი გიორგი — ეპოქის მზარდაშხარ, № 11.  
ტიციან ტაბიძის სსოვნის საღამო, № 7.  
ნათამე ვახტანგ — ი. ტურგენევის „ლექსები პროზით“, № 12.  
ჩხეიძე ნოდარ — სანდრო შანშიაშვილი, № 12.

სამორტი

ვასილევი ვიქტორ — ვახტანგი და მისი ბავშვები, თარგმნა თამაზ ებანოიძემ, № 2.  
ქორქია მიხეილ — „ისევე ვითამაშებ ნაყრებში“, საუბარი ჩაიწერა ციალა არდაშელიამ, № 7.  
ციბაძე ავთანდილ — ათენიდან მეხიკომდე, № 9.  
ჟორდანიას ანდრო — ფიქრები ქართულ ფეხბურთზე, № 5, 6, 7.

უცველი მხრისა

უცხოური ქრონიკა, № 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

**КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ**

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბღუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-68 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 3881. უფ 02564. ტირ. 16700

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

ՅՆԵՆ 60 ՅՅՅ.

Հ Ը Ը 2 1 9

ՀԱՄԱՅՆՈՒ  
ՆՈՇՈՒՄՈՅՑ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«М Е Р А Н И»

ИНДЕКС 76236